


შალვა ჯაფარიანი

სახეები
თქმულიანი



საბჭოთა მწერალი »

თბილისი

1962

ლიტერატურული პორტრეტები



ნიკო ლორთქიფანიძე

მეოცე საუკუნის პირველი ათეული წლების ქართული მხატვრული პროზის აღორძინება და განვითარება არსებითად განსაზღვრა მიხეილ ჯავახიშვილმა, ლეო ქიაჩელმა და ნიკო ლორთქიფანიძემ. თითოეული მათგანი ამ უაღრესად რთულ საქმეს ემსახურებოდა თავისი ბრწყინვალე ინდივიდუალობის გამომჟღავნებით. ლეო ქიაჩელმა კარგად აღნიშნა: „ნიკო ლორთქიფანიძე იყო პირველი კვალის გამკვლეველი მეოცე საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ყამირზე“. მისი ნოველები, მოთხრობები და რომანები თავისებური და ღიდი მოვლენაა ახალ ქართულ პროზაში.

ნ. ლორთქიფანიძე ქართულ ლიტერატურაში აღიარებულია მხატვრული სიტყვის ნოვატორად. „როგორც ოსტატი მოთხრობისა, ნიკო ლორთქიფანიძე წარმოადგენს მოვლენას ახალ ქართულ ლიტერატურაში. ამ მხრივ ის სრულიად თავისებური და განუმეორებელია“ (ს. კლდიაშვილი). „შეიძლება თამამად ითქვას, რომ ქართულ მწერლობაში არავის ისე არ ემარჯვებოდა მხატვრულად აქედერებინა ფრაზა როგორც

ნიკო ლორთქიფანიძეს. მისი ყოველი სტრიქონი — ესაა დაუსრულებელი გამმა ფერებისა. არათუ ყოველი სტრიქონი, მან ოსტატურად იცის ყოველი სიტყვის აღმასისებური ბრწყინვალეობით აელვარება, რომ ხშირად მის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში უფრო მეტს ხედავთ და მეტს ისმენთ, ვიდრე სხვა რომელიმე მწერლის ნაწარმოების რამდენიმე გვერდში შესძლებთ ამოიკითხოთ“ (ა. ბელიაშვილი). საესებით მართებული თქმაა.

ნ. ლორთქიფანიძის სტილს ახასიათებს მხატვრული მთლიანობა, ორგანიულობა. მას არ უყვარს მრავალსიტყვაობა, აზრს მოკლედ და სხარტად გამოთქვამს. ნ. ლორთქიფანიძეს ახასიათებს ჩამოსხმული ფრაზა, სიმსუყე, ბუნებრიობა და ზომიერების გრძნობა. ხელოვნების საერთო კანონია მხატვრულ საშუალებათა მომჭირნეობა. ნაწარმოების ყოველი გვერდი უაღრესად დატენილი უნდა იყოს აზრით და გრძნობებით. მოკლედ თხრობა ქეშმარიტი ნიჭის აუცილებელი თვისებაა. ნ. ლორთქიფანიძე თავის ნოველებსა და მოთხრობებში მიჰყვება ლაკონიური. თხრობის გზას. მისი ყოველი ნაწარმოებო ღრმა გააზრებისა და ოსტატობის გამოხატულებაა. მისი პროზის სტილი — სრულყოფილი სტილია.



ნიკო ლორთქიფანიძე დაიბადა 1880 წლის 30 სექტემბერს, სოფ. ჩუნეში (იმერეთი). წერა-კითხვა უფროსმა დამ შეასწავლა. შემდეგ დაიწყო მომზადება ცნობილ პედაგოგ-ლიტერატორთან — სილოვან ხუნდაძესთან ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შესასვლელად. ქუთაისის გიმნაზიიდან ნ. ლორთქიფანიძე გადადის კავკაისის გიმნაზიაში, რომლის დამთავრების შემდეგ შედის ხარკოვის უნივერსიტეტში. მაგრამ ნ. ლორთქიფანიძეს იქ სწავლა არ დაუმთავრებია — გამორიცხეს სტუდენტთა მოძრაობაში მონაწილეობისათვის. სწავლის გასაგრძელებლად იგი იძულებული შეიქნა წასულიყო საზღვარგარეთ, ავსტრიაში, სადაც შევიდა სამთო აკადემიაში. 1907 წელს ნ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა საქართველოში. ამ დროიდან 1912 წლამდე იგი იყო მასწავლებლად თბილისის

ქართულ გიმნაზიაში, ხოლო 1912 წლიდან ქუთაისში — კლასიკურ გიმნაზიაში, რეალურ სასწავლებელში და ქალთა გიმნაზიაში.

ნ. ლორთქიფანიძემ სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1900 წელს, როგორც იმპრესიონისტული მინიატურების ავტორმა. ამ მინიატურებში არ იყო დასმული ფართო საზოგადოებრივი პრობლემები, მათში მხოლოდ ცალკეული შტრიხები იყო მოხაზული. ნ. ლორთქიფანიძე ცხოვრებისადმი ასეთი დამოკიდებულების თავისებურ დასაბუთებასაც კი ცდილობდა. ამ მხრივ საყურადღებოა მისი განცხადება: „განა მწერალს, როგორც ყოველს ადამიანს, ცოტა ჰყავს ნაცნობი, რომელიც მზის დაბნელებასავით ერთხელ უნახავს, რომელზედაც გაუგონია ორიოდ სიტყვა და უბრალო შეხვედრაც მეხსიერებიდან ვერ აღმოუფხვრია? განა უფლება არა აქვს ბელეტრისტს შემთხვევითი შეხვედრანი, ყურმოჭრილი ხმები, წუთიერი შთაბეჭდილებანი გადასცეს თავის მეგობარს — მკითხველს?! მე სხვადასხვა სურათს მოგაწვდენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია... მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის... მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი შემუშავებული, თავ-თავის ადგილზე ჰპოვოს. მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი დაამზადოს, დამთავრება, დაბოლოება ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებასა და სურვილს მიანდოს...“ („უილქნოდ“). უნდა ითქვას, რომ ნ. ლორთქიფანიძე ამ შემთხვევაში ყოველთვის არ გამოდიოდა მკითხველთა ინტერესებიდან (როგორც იგი ფიქრობდა), არამედ თავისი პირადი ლიტერატურულ-ესთეტიკური შეხედულებებიდან. იმპრესიონისტული დამოკიდებულება ცხოვრებისადმი მას არ აძლევდა საშუალებას, მოვლენები გადმოეცა ფართო მოცულობით. ცნობილია, რომ მწერალი-იმპრესიონისტი ასახავს მხოლოდ იმას, რასაც ითვისებს ერთი შეხედვით; მისი მისწრაფებაა გამოხატოს მხოლოდ ცალკეული, გარდამავალი მომენტები. რომელიც შეიძლება წარმოსახული იქნას წამიერი გრძნობითი ათვისებით; იმპრესიონისტი არ გვიჩვენებს სინამდვილეს თავის წინააღმდეგობებში, არამედ ახდენს მის ფიქსირებას იმ სახით, რო-

გორც ხედავს სუბიექტურად განსაზღვრულ მომენტში. სწორედ ასეთი თვისებები ახასიათებდა ნ. ლორთქიფანიძის მინიატურებს, რომელზედაც გავლენა მოახდინა უცხოურმა იმპრესიონისტ-ესთეტიკების სკოლამ.

ნ. ლორთქიფანიძის მინიატურები თემატურად ხასიათდებოდა მრავალფეროვნებით. პირადი განწყობილებანი, სიყვარული და ფილოსოფიური პრობლემები იყო მწერლის უმთავრესი ინტერესის საგანი. ცხოვრება ამ მინიატურებში გამოიყურებოდა, როგორც უფერული რამ, როგორც შემთხვევითობა და საშინელება; იგრძნობოდა სკეპტიციზმი და სმირად გულგატეხილობაც. ნ. ლორთქიფანიძის ამ ხანის შემოქმედების დამახასიათებელი მინიატურებია: „გული“, „დაუწერელი მოთხრობა“, „უფერულება“, „შეხვედრა“, „ყელსახვევის ნაფლეთები“, „დაქვანა ყვავილი“, „მთვარე“. მათში უფრო მეტი იყო სურათოვნება, შთაბეჭდილებები, ვიდრე შინაგანი ხილვა.

თავის მინიატურებში ნ. ლორთქიფანიძე არ უგულებელყოფს სოციალურ პრობლემებს. იგი ცხოვრებაში ხედავდა უთანასწორობას, წინააღმდეგობას, მისი თანაგრძნობა ხალხის მხარეზე იყო („ბრმა თერძი“, „მონა“, „შეგირდი“, „ესეც თქვენ“); ნ. ლორთქიფანიძის პროზაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი პატრიოტიზმს („გული“, „სიზმრები“, „მრცხენია“). იგი გაძობატავს დიდ სიყვარულს ნაშობელი ქვეყნისადმი, ცდილობს იაროს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდ მედროშეთა გზით.

მინიატურების ჟანრიდან ნ. ლორთქიფანიძე გადადის ისტორიული ხასიათის მოთხრობებსა და რომანებზე. ძველი ფეოდალური ცხოვრების მრავალი მოვლენა აგვისახა მან ისტორიული განხრით დაწერილი მხატვრულ ნაწარმოებებში („ქამთა სიავე“, „მრისხანე ბატონი“, „რაინდები“). ამ მოთხრობებში მწერალი გვიხატავს ქართველი ფეოდალური არისტოკრატის ყოფას, მის განცხრომასა და ფუფუნებას, ქეიფსა და ნადირობას, მნეცობას და გაუტანლობას. ამ ხალხს ახასიათებს ცხოვრება წვრილმანებით, უხეშობა, ველურობა, კარჩაეტილობა. მეფეები, თავადები და აზნაურები — ადამიანურად ყველანი ერთმანეთის მსგავსნი არიან, მათ შორის არავითარი განსხვა-

ვება არ არსებობს. მათი მისწრაფებები ისეთივე მოცულობისაა, როგორც მათი ზოოლოგიური ცხოვრება. ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ ბევრჯერ მომხრე იშოვონ და ძალაუფლება მოიპოვონ; მათ მაღალი გრძნობების, ემოციების არავითარი ნა-სახიცი არ გააჩნიათ, მხოლოდ ინსტინქტებით მოქმედებენ. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია „მრისხანე ბატონი“. ეს ნაწარმოები იმავე დროს მწერლის ოსტატობის ყველაზე ნათელი გამომხატველიცაა.

„მრისხანე ბატონის“ სიუჟეტი ფეოდალური ყოფის ფონზე ვითარდება. მართალია, მისი პერსონაჟები ისტორიულად ცნობილი პირები არ არიან, ამბავიც რეალურ-კონკრეტულ შემთხვევას არ გადმოგვცემს, მაგრამ ეპოქის კოლორიტი მაინც ზედმიწევნით სწორად არის გადმოცემული. ფეოდალთა სიმკაცრე და საშინელება, ველური მოქმედება ნაწარმოებში რეალისტური სიპართლით არის წარმოდგენილი. დიდი თავადი ლევანი თავნება და მკაცრი ადამიანი იყო. მის სიმკაცრეს გლეხობის მიმართ საზღვარი არ ჰქონდა. ლევანი არ ზოგავდა მახლობლებს, ნათესავებსაც კი. მან ვერაგულად მოჰკლა თავისი ღვიძლი ძმა და ეძებდა შემთხვევას შური ეძია ძმისშვილზე — ვახტანგზე.

ლევანი მოხუცებულობისას შეირთავს აზნაურის ახალგაზ-ზრდა ქერივს, ლამაზს, მაგრამ უზნეო ციცინოს. ლევანის და ციცინოს ოჯახური დამოკიდებულება ნაძალადევი იყო. ციცინოში მხოლოდ სქესი მეტყველებდა, იგი გარყვნილ ცხოვრებას ეწეოდა. „ხშირად ციცინოს გარყვნილებით ბრაზმორეული ლევანი შევარდებოდა ოთახში, მაგრამ ორიოდ სიტყვა, ორიოდე ქალის ღიმილი, ვნებით გაზმორება.. და ლევანი გრძელ უღვაშებს უფრთებდა შავს, ტიტველ მკერდზე დაყრილ კაეებს“.

გაბოროტებული ლევანი ხელში ჩაიგდებს თავის ძმისწულს -- ვახტანგს და ცალკე საკანში ჩაამწყვდევს მას. შემთხვევით ციცინო დაინახავს ახალგაზრდა, წარმოსადეგ ვახტანგს და განიზრახავს მასთან ინტიმურ კავშირს. ციცინო ფარულად დადის პატიმართან, უცხადებს სიყვარულს, მაგრამ ვახტანგს შორს უჭირავს თავი.

ლევანი გაიგებს ციცინოს დამოკიდებულებას ვახტანგი-

სადმი. მის მრისხანებას საზღვარი არ აქვს. იგი გასცემს ბრძანებას: „დააკარით ორივე პალატის მოზერებს. მერე მიუშვით ერთმანეთზე. ისე დააკარით, რომ ორივე დაფლეთილი იქნეს, დიდხანს კი იცოცხოვნ“. ხარების ჭიდილის სცენა და მათზე დაკრულ ადამიანთა კვნესა-წამება შემზარავ შთაბეჭდილებას სტოვებს მკითხველზე.

„მრისხანე ბატონში“ ნ. ლორთქიფანიძე ამჟღავნებს გარდასული ცხოვრების მკვეთრად წარმოსახვის ძალას. იგი იშვიათი მხატვრული დამაჯერებლობით აცოცხლებს შორეული ეპოქის და ადამიანების დასრულებულ სურათებს. მძაფრი კოლიზიების საფუძველზე აშენებულია დიდი დრამატიზმის შემცველი ამბავი.

ნ. ლორთქიფანიძე კარგად ითვისებს წინებდა ქართველი თავადაზნაურობის ცხოვრების ისტორიულ ევოლუციას. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში და მე-20 საუკუნის დასაწყისში კაპიტალიზმის განვითარების შედეგად, ერთ დროს გაბატონებული და შეძლებული წოდება — თავადაზნაურობა დაეცემის გზას დაადგა.

განადგურებული კოშკების, დანგრეული გალავნების სურათების მართებული დახატვით ნ. ლორთქიფანიძე წარმოგვიდგენს ქართველი ფეოდალების გადაშენების მთელ ეპოპეას. ეს ხალხი, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ, წინათ „ცხოვრობდნენ, დროს ატარებდნენ“, ახლა კი ყველგან მოჩანს მიტოვებული, დანგრეული სრა-სასახლეები; ბნელი და დაცარიელებული დარბაზები, მიტოვებული ბაღები, თავადაზნაურობის საცხოვრებელი მიდამოები „მიცვალბულთა კუნძულს“ წარმოადგენს. ირგვლივ სიჩუმე, უადამიანობაა. ბატონები დაილუპნენ, ან, მიატოვეს „თბილი ადგილები“. ნაწარმოებთა ამ ციკლით ნ. ლორთქიფანიძე ქართულ ლიტერატურაში გამოდის უმთავრესად თავადაზნაურების წარსული ცხოვრებისა და განადგურებული კარ-მიდამოს სურათების მემატრიანედ, აგრძელებს გიორგი წერეთლისა და დავით კლდიაშვილის შემოქმედებითს გზას.

ნ. ლორთქიფანიძის მოთხრობათა სერია „დანგრეული ბუდეები“ წარმოადგენს თავადაზნაურობის „დიდი გაღარიბების“, მისი დაჰქნობის სურათებს, ნეკროლოგს გარდაცვლილი

წოდებასა. „დანგრეული ბუდეების“ პერსონაჟები კარვს აღარაფერს მოელოან მომავალში, ისინი მხოლოდ წარსულს იგონებენ; მათ არ იციან პროტესტი, დამორჩილებული არიან თავიანთ ზეედს და ელიან ფიზიკურ სიკვდილს. თუ წინათ თავადაზნაურები შორს მანძილზე ძვირფასად მორთული საკუთარი ცხენებით დაქროდნენ, ახლა უკვე დიაკვნისაგან დღეში სამ აბაზად უხდებათ გატყავებული ჯორის დაქირაება, ბალიშგამოხეულ უნაგირზე ჯდომა; ის ადგილები, სადაც ერთ დროს თავადაზნაურები „ცხოვრობდნენ“, „დროს ატარებდნენ“, უკვე სხვა სურათს წარმოადგენს: „ორი ცაცხვი, წყაროს რომ გადაჰყურებს, დასუსტებულა და დაჩაჩანაყებულა... სასეირნოთ განგებ დატოვებული მინდორისათვის ყოველის მხრით ჩამოეკლოთ და დანარჩენი სივიწროვის გამო ურმებს აეჩეხა. ხმა არსაიდან ისმოდა. სანთელი არ ჩანდა. კაცი არ შემხვედრია. მივადექ ბიძაჩემის სახლს. არავინ გამომგებებია. გაწყვეტილა საძაღლეთიც... აივანზე ავედი: სახლი შიგნადან არის ურდულით გადაკეტილი. კარები ღრეპათა დატოვებული. ხელი შევეყავი ურდულის გამოსაძრობათ. კარს შერცხვა ძველი სტუმართმოყვარეობის დავიწყება და ადვილად დამნებდა. რაღაც ფრინველები დაფრთხენ. უსათუოდ დამის ფრინველები იყვნენ—გატეხალ ფანჯარაში შემოფრენილან — იქვე მიიძალენ ჩამონგრეულ ბუხარში. ძვირფასი პარკეტი ნაგავითაა მოყრილი. შუაზე გატეხილ დამტვერიანებულ სარკეში მხატვრულად გამოიხედება ობობას ქსელით ერთმანეთზე გადაბმული შპალერის ნაფლეთები. როიალს სახურავი ახდელი აქვს. კონტრაბასის სიმი გაწყვეტილია და დაჭრილის წელივით საცოდავად გადმოვარდნილა, გვერდზე ჰკილია. კლავიშები სიკვდილის კბილებივით დანჩენილა, დაყვითლებულა... მეორე ოთახში იგივე სურათი. ძვირფასი აბრეშუმის ფარჩა გადაწვიე და ლოგინის მაგიერ ძაღლის მწვირიანი დაგლეჯილი ლეიბი-ლა დავინახე კუთხეში“. ასეთ გარემოცვაში ცხოვრობს დავრდომილი, მომაკვდავი ხალხი, რომელსაც სიკვდილის მეტი აღარაფერი დარჩენია. „ტახტზე გაგდებულ ჰუჭყიან, დაგლეჯილ ლეიბზე იწვა ახალთხიანი მოხუცი და გამოხუნებული პიკის საბანი ეხურა თავს... მოკლე საბანს ვერ დაეფარა სახლში ნაქსოვ წინდის ნაფლეთებში გახვეული ფეხე-

ბი... ფეხებთან ტახტზე ეგდო გატეხილი კენი, აბჯანდები და უკანასკნელი მოწმე ძველი დიდებისა — სევადიანი ვერცხლით გაწყობილი ავშარა“... („დანგრეული ბუდეები“). ამ მომაკვდავ წოდებას მომავალში წილი აღარ უძევს. ისინი წარსულის მოჩვენებად ქცეულან, იგონებენ „დაუბრუნებელს“, „გუშინდელს“: „წინ აღარაფერია ჩვენთვის, თუ უკანიდან არ შემოგვეყურებს წინაპრის მკაცრი, ულმობელი სახე ტრადიცია“, — ამბობს „ალბუმის“ მოქმედი პირი. ამ ნაკაცართ, რომლებიც დანგრეულ, გაპარტახებულ და გაველურებულ ციხე-კოშკებს და სასახლეებს თავს აფარებენ, ნუგეშად ისლადარჩენიათ, რომ ამზეურებენ წარსული „დიდების“ ნაშთებს.

ნ. ლორთქიფანიძე შეპყურებს იმათ, „ვისაც სახლ-კარი მიდამოში მთელი გვარის ლეგენდები, წინაპრების ტანჯვა და სიხარული ჩაუმარხავს და სახლის გაყიდვასთან, წარსულის დაშორებასთან ერთად მომავალი ეკარგება“. მწერალი გრძნობს პატრიარქალური კარ-მიდამოს დაღუპვას, გრძნობს თავდაზნაურობის დანაშაულს ხალხის წინაშე. ფეოდალური საზოგადოების რღვევის მიზეზად მას მიაჩნია ცალკეულ ფეოდალთა გადაგვარება, მათი დაჩივება და უქნარობა.

ნ. ლორთქიფანიძის მრავალი ნაწარმოები წარმოადგენს თავდაზნაურობის ყოფის დაცემის, მისი კარ-მიდამოს განადგურების ლირიკულ პოეტიზაციას. მაგრამ მწერალი აქ არ ჩერდება, იგი გადადის ჩაქრობის, სიკვდილის განზოგადებულ წარმოდგენაზე, საერთოდ ცხოვრების დაღუპვის წარმოდგენაზე, რაც იწვევს პესიმიზმისა და ადამიანის მარტოობის მოტივებს. უიმედობასა და სევდაზეა აგებული ნ. ლორთქიფანიძის ნოველათა მთელი სერია („ტაბაკელა“, „ბუნება“, „საფლავის ვარდი“).

ნ. ლორთქიფანიძე ჰუმორისტულ სახეებში გვიჩვენებს ბატონყმობის გაუქმების შემდეგდროინდელ თავდაზნაურობის ცხოვრებას. ეკონომიურად განადგურებული და დაცემული თავდაზნაურები „შესაბრალის“ არსებებს წარმოადგენენ. ისინი კაპიკის გულისათვის თამბაქოს გაყოფის დროს თითებს სჭრიან ერთმანეთს („ფეოდალები“), ან მანეთნახევრად ღირებული მოზერის ტყავისათვის არ ერიდებიან ჩხუბსა და დავიდარებას, სასამართლოში სიარულს, ერთმანეთის გადაკიდე-

ბას („რუმბი“). ამ ნაწარმოებში მეტყველებს მწერლის მძაფრი კრიტიციზმი თავადაზნაურულ სამყაროსადმი.

ამგვარად ნ. ლორთქიფანიძეს პირველ პლანზე გამოაქვს თავადაზნაურთა წოდებების გახრწნა და დაცემა. მის პერსონაჟებს აღარ გააჩნიათ არა მარტო სასიცოცხლო ძალა, არამედ ადამიანობა — გარეგნობა გამოხატავს მთელ მათს ბუნებას. თავადაზნაურობის დაცემის მიზეზს მწერალი იმაში ხედავს, რომ ამ წოდებას ცხოვრებაში არ გააჩნია მტკიცე დასაყრდენი, მიზანი. საზოგადოებრივი ლოგიკის მიხედვით ეს წოდება უნდა გაეიდეს ისტორიული ასპარეზიდან.

ნ. ლორთქიფანიძე არ იყო შემოფარგლული მარტო თავადაზნაურობის დაცემის მხატვრული სურათების ჩვენებით. მის ყურადღებას იპყრობდა სოფლის ცხოვრების მრავალი მოვლენა. ამ მოვლენებს ასახავს: „იმერის“ მთელი ციკლი („ქორწილი“, „ბოროტმოქმედნი“, „სანახავათ“, „მარად და მარად“ და სხვ.). მაგრამ ძველი სოფლისა და გლეხობის ცხოვრების რელიეფური სახე ნ. ლორთქიფანიძეს ყველაზე ოსტატურად აქვს მოცემული მოთხრობაში „კერისათვის“. კაპიტალიზმის განვითარებით გამოწვეული ეკონომიური სიციფროვის ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობანი ოჯახის წევრებს შორის იწვევს დიდ კონფლიქტს, ძმების გაყოფას, ერთმანეთზე გადაკიდებას და ბოროტმოქმედებასაც კი. ხაქრაშვილების ოჯახის ისტორია, რომელსაც მწერალი გვიხატავს ამ მოთხრობაში, რევოლუციამდელი სოფლის განზოგადოებულ-სურათია.

მართალია, ნ. ლორთქიფანიძე მახვილად არ გამოხატავდა სოციალურ პროტესტს, მაგრამ მისი მოთხრობები სოფელსა და გლეხობაზე იძლევა მდიდარ მასალას ცხოვრების მოვლენათა მართებული გაგებისათვის.

„ბილიკებიდან ლიანდაგებზე“ ნ. ლორთქიფანიძე რეალისტურად ასახავს პირველი რევოლუციის ცალკეულ მოვლენებს. მოთხრობის პერსონაჟებიდან განსაკუთრებით გამოიჩინება მთავარი სახელოსნოს მუშა გაიოზ ლამბარდავა, რომელსაც სოფლად შეაქვს რევოლუციური იდეები; სიმპათიურ და ენერგიულ პიროვნებად არის დახატული პარმენა მარგველაძე — აქტიური მებრძოლი ხალხის ინტერესებისათვის.

ამ ნაწარმოებში სოფლისა და გლეხობის მძიმე ცხოვრების მრავალი რელიეფური სურათია ნაჩვენები; კარგად დაახასიათა ნ. ლორთქიფანიძემ მოლიბერალო ინტელიგენტი, რომელიც ხელად იცვლებოდა, როდესაც საქმე მის პირად ინტერესებს შეეხებოდა.

ნ. ლორთქიფანიძის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა მისი ისტორიული ტეტრალოგიის ესკიზები, უკეთ, ნაწყვეტები დავით აღმაშენებელზე. როგორც ჩანს, ჩვენს სახელოვან მწერალს ვრცელი, ფართო ნაწარმოების დაწერა ჰქონია განზრახული დავით აღმაშენებლის ეპოქისა, ამ დროის ადამიანებისა და ისტორიული მოვლენების, თვით დავით აღმაშენებლის შესახებ. იგი გვიჩვენებს ისტორიულ გმირს ისტორიულ სარბიელზე.

ნ. ლორთქიფანიძეს მოსამზადებელი მუშაობა ამ დიდი ნაწარმოებისათვის დაუწყია 1912 წლიდან და განუგრძია გარდაცვალებამდე ე. ი. 1944 წლამდე. შემონახული ესკიზები გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ეს იქნებოდა ძალზე საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჩვენს ისტორიულ წარსულზე.

ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებში ვხედავთ არა სამუზეუმო სურათებს, არამედ ცოცხალი ცხოვრების მაჯისცემას. მას ღრმა და სერიოზული დამოკიდებულება აქვს წარსულისადმი. იგი ეყრდნობა საფუძვლიან ცოდნას, ქართველი ხალხის მდიდარი ისტორიისა, კულტურისა და ეროვნული ხასიათისა. იგი ფაქტებს ისე ალაგებს, რომ მათში გარკვევით მოჩანს ისტორიული მოვლენები, ეპოქის ძირითადი ტენდენციები. ნაწარმოებში თბრობა ვითარდება ფართოდ. ნ. ლორთქიფანიძე ისტორიულ გმირს გვიჩვენებს ეპოქის საზოგადოებრივ მოვლენებთან კონკრეტულ კავშირში. ნაწარმოებში სიუჟეტური ხაზების მრავალფეროვნებასთან გვაქვს საქმე.

ნ. ლორთქიფანიძის „დავით აღმაშენებელი“ იწყება ლამაზი რეალისტური სურათით ბუნებისა და გელათის ტაძრის მშენებლობისა. ამ ნაწილში მთავარი მოქმედი პირებია: მუშა ხალხი, კალატოზები, გელათის ტაძრის მშენებლები, რომელნიც საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მოსულიყვნენ ამ მშენებლობაზე. რელიეფური სახეებია მოხუცი კალატოზი —

ქართლიდან და მისი შვილი, პატარა გოგი. მწერლის მიერ წარმოდგენილი ყოველი დეტალი შეეფერება თავისი ეპოქის ისტორიულ სიმართლეს.

ნ. ლორთქიფანიძის ნაწარმოების მიხედვით გრანდიოზულ მშენებლობას უშუალოდ დავით აღმაშენებელი ხელმძღვანელობდა, იგი ყოველდღიურად ადევნებდა თვალყურს ამ საქმეს, ზრუნავდა მისი წარმატებით დაგვირგვინებისათვის შეეწყო ხელი ხალხით, თუ მასალით; დავით მეფე მწერალს გაიდევალებული ჰყავს. იგი არის მშენებელი, მზრუნველი, მოსამართლე, განსაკუთრებული ფიზიკური ძალის პატრონი; დავით აღმაშენებელი დიდ მოსამზადებელ მუშაობას ატარებდა ქვეყნის გაერთიანებისა და განმტკიცებისათვის, მისი საზღვრებიდან ყველა დამპყრობელის განსადევნად.

ტეტრალოგიის ბოლო ნაწილი, რომელიც დრამატული სიმძაფრით და მკვეთრი საღებავებით არის შესრულებული, შეეხება დავით აღმაშენებლის გარდაცვალებას. ეს ეპიზოდი დაუვიწყარ, მძლავრ შთაბეჭდილებას ტოვებს მკითხველზე. პირდაპირ დასანანია, რომ ჩვენმა შესანიშნავმა მწერალმა ვერ გამოახა დრო ამ საუცხოო ქმნილების დასრულებისთვის!

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნაწარმოების ენა; რომელიც ემსგავსება აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკის“ ენას. იგი მოედინება ბუნებრივად, სადად, მუსიკალურია და სახეებით მრავალფეროვანია.

ეპითეტების, შედარებების შერჩევაში მოჩანს ნ. ლორთქიფანიძის შემოქმედებითი, ინდივიდუალური ნაშნები — მოვლენაში შენიშნოს არსებითი, დამახასიათებელი. მის ნაწარმოებთა კომპოზიცია ზუსტია, წინადადება მსუბუქი და გამომსახველი.

ნ. ლორთქიფანიძე მხატვრული სიტყვის შესანიშნავი ოსტატი. ენის სიწმინდე, მოქმედების სურათოვანი ჩამოყალიბება, განწყობილების მთლიანობა — მის ნაწარმოებებს ანიჭებს თვალსაჩინო მხატვრულ ღირსებებს.

თავისი შემოქმედებით ნ. ლორთქიფანიძე შეცხრამეტე საუკუნის ქართული მხატვრული პროზის ღირსეული მემკვიდრე და გამგრძელებელია.

ალექსანდრე ავაშელი

არიან პოეტები, რომლებიც მორიდებულად, გარეგნულად მშვიდად, აკეთებენ ფრიად სასარგებლო საქმეს, თავდადებულად ემსახურებიან საქვეყნო ინტერესებს, ხელს უწყობენ მშობლიური კულტურის წინსვლას. ასეთი იყო ალექსანდრე ავაშელი, რომლის პოეტური ხმა არასოდეს ყოფილა ხმაურიანი, იგი მკითხველს ესაუბრებოდა. წყნარად, აუღელვებლად, ინტიმურად და მკითხველიც ინტერესით უსმენდა მის ტკბილ საუბარს. ა. ავაშელი უმთავრესად ლირიკოსია და იგი პიროვნულ ათვისებაში გადმოშლიდა ცხოვრების ღირსშესანიშნავ მოვლენებსა და ადამიანის სულის სიმდიდრეს.

ოთხათეულ წელზე მეტ ხანს ეწეოდა ა. ავაშელი ნაყოფიერ შემოქმედებით მოღვაწეობას და ამ ხნის მანძილზე მან განიცადა სხვადასხვა ლიტერატურული სკოლის გავლენა. მაგრამ ძირითადად მას არასოდეს არ უღალატნია რეალისტური პოეზიისთვის. მის ლექსებში პოეტური აზრი ვითარდება ბუნებრივად.

ა. ავაშელის პოეტური მემკვიდრეობა თავმოყრილია სხვადასხვა დროს გამოცემულ კრებულებში: „მზის სიცილი“ (1910 — 1913), „ანთებული ხეივანი“ (1913 — 1920), „გაბზარული სარკე“ (1916 — 1929), „მზე და სამშობლო“ (1932 — 1939); ბოლო წლებში დაწერილი ლექსების ერთად თავმოყრა და ცალკე წიგნად გამოცემა ა. ავაშელმა თავის სიცოცხლეში ვერ მოასწრო. ეს კრებული, რომელშიც შევიდოდა 1939 — 1954 წლებში დაწერილი ლექსები, საკმაოდ მოზრდილი და მნიშვნელოვანი იქნებოდა. ამ წლებში დაწერილი ლექსები შევიდა ა. ავაშელის გარდაცვალების შემდეგ დაბეჭდილი მისი ნაწერების მეორე ტომში.

ალექსანდრე აბაშელი არის ფსევდონიმი ისაკ ბესარიონის ძე ჩოჩიასი. იგი დაიბადა 1884 წ. 15 აგვისტოს, სოფ. საჩოჩიოში (აბაშის რაიონი). მისი მშობლები ღარიბი გლეხები იყვნენ. მომავალ პოეტს მამა ადრე გარდაეცვალა. მიუხედავად ამისა, მან მაინც მოახერხა დაესრულებია აბაშის ორკლასიანი სასწავლებელი. აქედან იგი გადაჰყავთ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ სიღარიბის გამო იძულებულია სწავლას თავი დაანებოს.

17 წლის რომ გახდა, ა. აბაშელს ფოთში მოუხდა ჩასვლა. ზღვის დანახვამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ყმაწვილზე — გადასწყვიტა გემის კაპიტანი გამხდარიყო. ერთმა ნაცნობმა იკისრა მისი წაყვანა ხერსონში, საზღვაოსნო სკოლაში შესაყვანად, ა. აბაშელმა მოაგროვა ათი მანეთი და გაჰყვა ნაცნობს. მაგრამ, სამწუხაროდ, ის კაცი გზაში გარდაიცვალა, ათი მანეთიც მას ჰქონდა მიბარებული. დარჩა ყმაწვილი გემზე უფულოდ და უპატრონოდ. მგზავრებმა გემზე მოაგროვეს ფული და იგი დააბრუნეს უკან, ბათუმში. ამის შემდეგ იგი ერთ ხანს მუშაობდა აბაშისა და ბორჯომის ფოსტის განყოფილებებში უბრალო მოხელედ.

1902 წლიდან ა. აბაშელი ბათუმიდან ჩამოსული მუშების დახმარებით არალეგალურ ლიტერატურას დაეწაფა. 1904 წლის დამლევებიდან იგი რევოლუციურ-პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა. ამავე წელს ბათუმის როტშილდის ქარხანაში იწყებს მუშაობას.

1905 წლის რევოლუციის დღეებში ა. აბაშელი მთელი თავისი გატაცებით ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. 1906 წელს, თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი ახალგაზრდა ა. აბაშელი დააპატიმრეს და ქუთაისის ციხეში მოათავსეს. სადაც მან 5 თვე დაჰყო. შემდეგ იგი გადაასახლეს ვოლოგდის გუბერნიაში სოლვიჩეგოდსკში. 1907 წელს არალეგალური წრის მოწყობისათვის აქ ხელმეორედ დააპატიმრეს და სამი წლის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს ენოტაევსკს, ასტრახანის გუბერნიაში.

1908 წელს ა. აბაშელი ახერხებს გადასახლებიდან გაქცევას და ჩამოდის თბილისში. 1909-11 წლებში თბილისში

ყოფნის დროს სამჭერ იქნა დაპატიმრებული ჟანდარმთა სამ-
მართველოს მიერ.

1909—1912 წლებში ა. აბაშელი მუშაობდა ჯერ გაზეთ
„ზაკავკაზიის“, შემდეგ „ნოვია რეჩის“ რედაქციებში.
1913—1914 წლებში აბაშელი ისმენს ლექციების ციკლს
შანიავესის სახელობის მოსკოვის უნივერსიტეტის ისტო-
რიულ-ფილოსოფიურ ფაკულტეტზე. სხვათა შორის, ამავე
წლებში ამ უნივერსიტეტში ლექციებს ისმენდა გამოჩენილი
რუსი პოეტი სერგეი ესენინი. არის ცნობა, რომ ესენინი და
აბაშელი იცნობდნენ ერთმანეთს, ქართველი პოეტი რუსულ
ენაზე უკითხავდა თავის ლექსებს რუს პოეტს.

თავდაპირველად ა. აბაშელი რუსულ ენაზე აქვეყნებდა
ლექსებს. მისი პირველი ქართული ლექსი დაიბეჭდა ი. პარ-
ნასელის ფსევდონიმით 1909 წელს გაზ. „დროებაში“. ამ
დროიდან თავისი პოეტური მუშაობით მან მიიქცია ქართვე-
ლი მკითხველი საზოგადოების ყურადღება. 1911 წელს გა-
ზეთ „თემის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში ა. აბაშელმაც
მიიღო მონაწილეობა და ლექსისთვის „მზე“ მიეკუთვნა
მეორე პრემია.

* * *

ალექსანდრე აბაშელი მნიშვნელოვანი წარმომადგენელია
ქართველ პოეტთა იმ თაობისა, რომელმაც სამწერლო მო-
ღვაწეობა დაიწყო პირველი რევოლუციის დამარცხების
შემდეგ. ამ თაობის მწერალთა შორის ა. აბაშელი ყოველთვის
გამოირჩეოდა საკუთარი პოეტური ხმით. მისი ადრინდელი
შემოქმედება ვითარდებოდა სიმბოლისტური პოეზიის საგრ-
ძნობი გავლენის ქვეშ (ლექსები—„შავი აჩრდილი“, „განთი-
ადის მოლოდინში“, „სსს... შუშუ“, „მოჩვენება“, „მირაჟი“
და სხვ.), თუმცა იმავე დროს იგი მრავალი მომენტიტ იყო
დაკავშირებული „პარნასულ“ პოეზიასთან. თავისებური
„ობიექტივიზმი“, რომანტიკული მღელვარების უქონლობა,
აღწერითი მომენტების სიჭარბე, სახის გამოკვეთილობა და
ეპითეტების სიზუსტე ძლიერ აახლოვებდა აბაშელს „პარნა-
სელებთან“.

ა. აბაშელის პირველი წიგნის — „მზის სიცილის“ —

მთავარ მოტივს შეადგენდა მზის კულტი. პოეტმა მოგვცა ლამაზი, პლასტიკური სახე მზისა. იგი მარად „მშობელი მზის“ ძიებაშია, სურს დაინახოს „ცის მნათობი“, „ცეცხლის მფრქვეველი“, რადგან ის არის „მოვლენილი სიციცხლის მცველად“. მზე შვების მომცემია, „სხივოსანი ზღვაა“, ქვეყნის „ოქროს ტალღებში გამბანელია“. ამიტომ პოეტი ჰიმნს უძღვნის მას:

მზე, მშენიერო, მნათობო მეფე,

ცხოველ-მყოფელო,

სიციცხლის წყარო, საეურთხეელის ცეცხლო დიადო,

ლაქვარდ სიერცეში ოქროს სიმთა ამირთოლებელო,

სხივოსან ზღვაო, ქვეყნის დილა, ცის განთიადო!

(„მზის წიაღში“)

პოეტი დიდი აღზნებით უმღეროდა საგალობელს დაუსაზამობისა და უსაზღვროების გამომხატველ მზეს. იგი მთელი თავისი არსებით მზესთან იყო, იფერფლებოდა მის „ცეცხლთა ტალღებში“, ბანაობდა მის „სხივთა ზღვაში“:

„მზის წიაღში“ მონაევარდე პოეტს იღუმალი ხმა ცისა მოუწოდებდა: დაბრუნებოდა სინამდვილეს, ცხოვრებას, რადგან მისთვის „ცა მუნჯია და უგრძნობი“, „არას ეტყვის, ნურას ჰკითხავს“; თუ მას მართლაც სურს ოდესმე ცის საიდუმლოება ამოხსნას, დედამიწაზე უნდა დაბრუნდეს სამოქმედოდ; თუ იგი მიისწრაფვის, რათა მნათობთა საიდუმლოება ამოიკითხოს, უპირველეს ყოვლისა, უნდა გააცნოს მიწის სევდა!

აქ რას ეძებ. ცის წიაღში. ვარსკვლავთ შორის. მიწის შვილი,

რად დასტოვე დედამიწა, ბრძოლის ველად გადაშლილი?!

რად გაექვე მიწის კენესას, მიწის ნაღველს დაგუბებულს?

ტანჯვის ცრემლის ოკეანეს და სისხლის ზღვას აზვირთებულს?

■ ■ ● ■ ● ■ ■ ■ ■

ცა მუნჯია და უგრძნობი, არას გეტყვის. ნურას ჰკითხავ,

მიწის სევდან გაეცანი — ვარსკვლავებსაც წაიკითხავ!...

(„მიწის სევდა“)

ამ ხმის გაგონების შემდეგ პოეტი უბრუნდება დედამიწას. ცხოვრებას. მზის სიდიადისა და ბრწყინვალეობის კონტ-

რასტს წარმოადგენს ამქვეყნიური სინამდვილე, ა. აბაშელს იპყრობს „მიწის სევდა“, ეს სევდა ზოგჯერ ლებულობს მძაფრი უიმედობის ხასიათს.

ა. აბაშელის ამ დროის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ბუნებას, მაგრამ ბუნება მისთვის არ არის მარტო ფონი, არ არის მარტო მატერიალურ-საგნობრივი მოვლენა, არამედ ინტიმურ, სულიერ განცდათა გამზიარებელი ობიექტი. ამ მხრივ ა. აბაშელის დამოკიდებულება ბუნებისადმი ტიპიურ-რომანტიკულია. როგორც ცნობილია, რომანტიკოსები ცდილობდნენ ბუნებაში მოენახათ გამოხმაურება თავიანთი განწყობილებისა. რომანტიკოსების წარმოდგენით ბუნების მოვლენანი გავსებულია საიდუმლო, ადამიანისათვის უცნობი ცხოვრებით; ბუნება გაცილებით უფრო ღრმაა, ვიდრე მისი გარეგანი გამოხატულება; ბუნება აღვიძებს ადამიანის სულში საიდუმლო ძალებს. რომანტიკოსებს ეჩვენებოდათ, თითქო ჩანჩქერი, ვარსკვლავები, ხეები, ყვავილები გავსებულია ადამიანური ცხოვრებით, ესმით ადამიანის ტანჯვა, მწუხარება. ჰაინრიხ ჰაინე ერთ-ერთ ლექსში იძლევა ბუნების მიერ ადამიანისადმი თანაგრძნობის სურათს: პოეტი ზაფხულის მშვენიერ დილას მისეირნობს ბაღში, იგი დამწუხრებულია და არავის უმელავენებს თავისი მწუხარების მიზეზს, მაგრამ ბაღში მყოფი ყვავილები გრძნობენ მის მწუხარებას და ჩასჩურჩულებენ გამამხნეველ სიტყვებს.

ა. აბაშელისათვის ბუნება დამშვიდების წყაროა. ბუნების მოვლენების ანალოგიით ამელავენება იგი თავის განწყობილებას. ტყის განმარტობაში თითქოს ესმოდა უხილავი ხმები თანაგრძნობისა. ასეთი რომანტიკული განცდა ბუნებისა პოეტს მრავალ ლექსში აქვს გადმოცემული („ღამის მხატვარი“, „დათალხული ფირუზი“).

მიუხედავად ასეთი გულგატეხილობისა, ა. აბაშელს თავის შემოქმედებით ცხოვრებაში ამ ხანებშიაც ჰქონდა მკაფიოდ გამოხატული. მისწრაფება, როდესაც ცდილობდა დაბრუნებოდა ცხოვრებას, სინამდვილეს და აესახა საზოგადოებრივი ყოფის მოვლენები. პოეტი ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მისი მიზანია მზეს დაუახლოს დედამიწა, მიწის კენესა შეუ-

ერთოს ცის სიხარულს, შეარიგოს ცა და მიწა, „გაალმერთოს“ მიწის შვილი, გააბას ცისარტყელა მიწით ცამდე გაუქრობელ ცეცხლის ხიდად, რათა „მიწის შვილი ცისკენ ვლიდეს საიდუმლოს სახილველად“.

საზოგადოებრივ მოტივს გამოხატავს „სევდის ჰანგი“. ამ ლექსში პოეტი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ იგი განშორდა სინამდვილეს და „ცის ეთერში“ დაბინავდა, მაგრამ იქ მარტობას ვერ გაუძლო, მის სულს მოსწყინდა ცაში ფრენა, მოაგონდა დედამიწაზე არსებული „ცრემლის გუბე“, „მიწის ხუნდები“ და ისევ დაუბრუნდა ცხოვრებას; „ჩაქრა დილა“ პირველი რევოლუციის ალეგორიული გახსენებაა. პოეტი იგონებს მოციმციმე შვების ცრემლით ანათრთოლ დილას, რომელიც „ციურ მნათობს“ შესცინოდა „უკუნეთთან შენაბრძოლი“, როდესაც ირგვლივ ყოველივე ლხენის წამით მოხიბლული ნეტარებდა, როდესაც „საუკუნეთ განაკედი კაცთ ბორკილი იმსხვრეოდა, ძველი ქვეყნის ძველი ჰანგი ახალ ჰანგში ითქმებოდა“... ამ მოგონებამ პოეტის შეგნებას ღრმა კვალი დაამჩნია.

ა. აბაშელი იმსკვალება ბრძოლის იდეით, მტკიცდება მასში სოციალური განთავისუფლების აზრი და მოწოდება:

მომავლის შვილნო. ამქუხრდეს დღეს ჩენი დაფი. ნალარა!
ვაქოთ ვინც ჩაგრულთ მხსნელად უმანკო სისხლი დაღვარა!
დღეს მაინც ვიგრძნოთ სიამე დაკოდილ სულის შვებისა,
ეს ჩენი დღეა: სიმბოლო ნათელ მზის გამარჯვებისა!
დევ. ბნელოდეს გარშემო. სუენი. ყორანნი ჰყოლდენ,
სერაბიმთ ნაცულად აღ-ქაჩნი სამოთხის ბქუხე ჰყოლდენ!
ცის თალი. შავად მოსილი. მოვქარგოთ ვარსკვლავთ ვერცხლითა,
რწმენის ყვაილი გაფურჩქნოთ, გრძნობა ავანთოთ ცეცხლითა.

• • • • •

ღრო მოვა: ღამეს ჩაისრავს შუქურ ვარსკვლავის ცილი,
ცის ეთერს აკაშკაშებს მზის ცხოველ სხივთა სრიალი...

(„აღღგომა“)

მომავლის ეს რწმენა, ეს შეგნება ა. აბაშელის პოეზიაში საკმაოდ ნათლად იყო გამოხატული.

პირველ ორ წიგნში („მზის სიცილი“, „ანთებული ნეივა-

ნი“¹ ა. აბაშელმა თავისი თავი გამოამჟღავნა როგორც ორიგინალური შემოქმედებითი პრინციპების, მხატვრული მეთოდის მატარებელმა პოეტმა. მხატვრული სახეები „მზის სიცილში“ და „ანთებულ ხეივანში“ მკვეთრად და ჩამოყალიბებული. ა. აბაშელისათვის არ არის დამახასიათებელი ემბლემატურობა, რაც ასე იყო გავრცელებული სიმბოლისტური სკოლის პოეტებს შორის. მისი მხატვრული სახეები გამოკვეთილი არიან მარმარილოსავით და ახასიათებთ სიზუსტე. თითოეული მისი სტრიქონი და სტროფი ნაწრთობია. ყოველი მისი ლექსი წარმოადგენს არქიტექტორულ მთლიანობას. იგი არ მიმართავს გარეგნულ ეფექტებს.

ა. აბაშელი თავისი შემოქმედებითი პრინციპებით ეკუთვნის პოეტ-სკულპტორების წყებას. ლექსს იგი პირდაპირ გამოჰკვეთს. იგი გრძნობს სიტყვას და აზრიანად იყენებს მის შესაძლებლობებს, ამიტომ ყოველი სიტყვა ლექსში თავის ადგილზეა. მისი ნიჭისათვის დამახასიათებელია უნარი იმისა, რომ სიტყვებით მკაფიოდ გამოხატოს თავისი გრძნობა და განწყობილება.

ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში გამოითქვა შეხედულება, რომ ა. აბაშელი უმთავრესად „აზრის პოეტია“, წინააღმდეგ ისეთი პოეტებისა, როგორცაა ი. გრიშაშვილი და სხვები, რომელთა შემოქმედებაშიც სჭარბობს გრძნობის სტიქია, უშუალობა, ლირიკული ამღერება. ეს მოსაზრება სწორია. ა. აბაშელი თავისი პოეზიის ხასიათით უფრო მეტად „რაციონალისტია“. მისი ლექსი ხშირად ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებს, თითქოს ის წარმოადგენს მონოლოგებს და არა ლირიკული უშუალობით გამოთქმულ აზრებსა და განწყობილებებს. ამიტომ არის, რომ ა. აბაშელის ადრინდელი ლექსების უმეტესობას ახასიათებს „სიცივე“ და „აბსტრაქტულობა“, მსჯელობითი ხმა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცების პირველ წლებში ა. აბაშელის შემოქმედებითი

¹ მართალია, „ანთებული ხეივანი“ ა. აბაშელმა მოგვიანებით, 1923 წელს გამოაქვეყნა, მაგრამ მასში მოთავსებული იყო უმთავრესად რევოლუციამდე დაწერილი ლექსები.

განვითარება წინააღმდეგობით მიმდინარეობდა. მის პოეზიაში კვლავ მოისმოდა გულგატეხილობისა და უიმედობის ხმები. ამ ლექსების უმრავლესობა შემდეგში მან მოათავსა კრებულში — „გაბზარული სარკე“. გაღის დრო და პოეტი იგონებს ახალ ცხოვრებასთან დაახლოების აუცილებლობას, რწმუნდება, რომ განახლებული სინამდვილე მოითხოვს ჯანსაღ, მებრძოლ განწყობილებას.

ესლა კი ეამბობ: როცა ირგვლივ ცეცხლი ანთია:
ბრძოლის მაგივრად ატირდება მხოლოდ ჯაბანი.
რა არის ლექსი, თუ არ გრძნობის აპოთუზი?!
დატენეთ მზიურ ენერგიით ყოველი სტროფი,
რომ წაითხვის დროს სიხარულის გავარდეს თოფი
და სტრეიქნებმა დაიყუფონ გულის თეოზე...

(„პოეტებს“)

ეს სიტყვები, ეს შეგნება ა. აბაშელისათვის არ იყო მხოლოდ დეკლარაცია, ეს იყო გულწრფელი შეგნება მოწოდებისა.

ა. აბაშელის შემოქმედებით განვითარების უკანასკნელი ხანა იყო ყველაზე ნაყოფიერი, იდეურად გამართული და მხატვრულად მნიშვნელოვანი. მეტი გაბედულება და სიმძაფრე შეიძინა მისმა პოეტურმა ხმამ, მრავალფეროვანი და მნიშვნელოვანი გახდა თემატიკა. ერთ-ერთ ლექსში („გზა მშვიდობისა“) იგი ამბობს, რომ დღეს „მინდა ახალგაზრდული მღერა“, რომ „შეეხარი ჩემს დაბადებას“, რომ მსურს ჩემი ლექსების ხმა გაისმას როგორც ქუხილი, როგორც „გრიალი მთაში თოფისა“.

გასწით. ლექსებო, თქვენს ყოველ ხმაში
მე ჩემი გულის სინათლეს ეხედავ.
გასწით. გაფრინდით. გაინაჟარდეთ.
რომ თქვენი ხმები მზეში ავარდეს.
რომ ოქროს წვიმად გადმოილუაროს.
რომ ჩემი ქვეყნის მთებსა და ველებს
თქვენი რითმების მისწვდეს წყრიალი.
და მშობელ მიწის მზიან თაველებს
დაადგეს თქვენი უმრეტი ალი.
გასწით, მერცხლებო ჩემი ოცნების.
წაიღეთ ჩემი აღფრთოვანება.

ჩემი სიმღერის და გაოცების
მთელი სიმძლავრე და ხმოვანება.
და თუ ლაჩრულად სადმე შეჩერდით,
საფრთხის წინ სადმე თუ მოღუნდებით. —
სჯობს. მაღალ ხეებს შეასყდეთ მკერდით.
ბუდეში ნულარ დამიბრუნდებით.
ჩემი სიმღერა გულში რად მინდა,
თუ ის არავის ემახსოვრება...
თუ მისი კილო ისე დაქინდა,
რომ ხალხის გუგუნს არ ექსოვება...

ა. აბაშელმა თავისი ახალი ლექსებით თავი დააღწია ვიწრო-ინტიმურ თემებსა და მოტივებს, ყოველი ახალი ლექსი ნათლად მეტყველებდა იმის შესახებ, რომ იგი დიდი გულწრფელობით იბრძოდა ახალი ცხოვრების ამსახველი პოეზიის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის; თავის ლექსებში იგი ეხებოდა სასიცოცხლო საკითხებს, თანამედროვეობას.

განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ ა. აბაშელის იმ ლექსების ციკლზე, რომლებსაც ეწოდება „გმირული დღეები“. ეს ლექსები უშუალოდ შეეხება სამამულო ომს, სამამულო ომის დაწყებისას ა. აბაშელმა თავის ლექსებს დევიზად წააწერა:

დასთქმე სიმღერა სხვა ყოველგვარი,
ყოველი კილო, სიტყვა და აზრი.
გარდა ერთისა: მხოლოდ მედგარი
დაგრჩეს ყივილი, ხმალივით ბასრი.

(„ჩემს კალამს“)

ყველაზე მეტად ამ ლექსებში გამოჩნდა ა. აბაშელის შემოქმედების ღირსშესანიშნავი მხარე: აქტუალობა, იდეური სიმძაფრე, პატრიოტიზმი. სამამულო ომის ყოველ მნიშვნელოვან ეპიზოდსა თუ ფაქტს იგი ეხმაურებოდა მაღალმხატვრული ნაწარმოებებით, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია — „ცამ დაიქუხა გუშინ“, „დედის წერილი“, „სახალხო ლაშქარი“, „ომში მიმავალ ქართველ მეომარს“ და „არ მოუშვა, დაჰკარი“. ყველა ამ ლექსიდან გამოსჭვივის მტკიცე რწმენა ჩვენი სამართლიანი საქმის გამარჯვებისა. ა. აბაშელი ამ ლექსებში ლაპარაკობდა, რომ ჩვენს ხალხს განუსაზღვრელად უყვარს სამშობლო, მზადაა მისთვის გას-

წიროს სიცოცხლე, პოეტი გვიხატავდა მებრძოლთა კონკრეტულ სახეებს, ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ თანამოდძე ხალხებთან ერთად სახელოვნად იბრძვიან ქართველი ხალხის შვილები, რომელთაც ომში ვაჟკაცობის არა ერთი და ორი მაგალითი გვიჩვენეს. პოეტი ლაპარაკობდა ჩვენი ხალხის ფოლადისებურ სიმტკიცეზე, რომ კავკასიონის მაღალ კარებთან გუშაგად იდგა ძველი ქართველი — შეუპოვარი და შემმართველი. შრომაში დინჯი და გულკეთილი ქართველი იდგა კლდესთან, თვითონაც კლდისაგან გამოკვეთილი, და იცავდა მოშავლის ვარსკვლავს. ქართველმა ბევრი ვაება განიცადა, მაგრამ მტერს არ დაუთმო თავისი კერა. ამ გმირთა მემკვიდრეები არიან თანამედროვე მებრძოლნი, რომლებიც იცავენ მზიან მიწას, ზღვასავით გაშლილ ქვეყანას. ხალხი აქებს, ხალხს უყვარს მხოლოდ ის, ვინც უშიშარი გულით მტკიცედ იცავს მშობელ ქვეყანას.

გმირთა სამშობლოა ჩვენი ქვეყანა და, პოეტსაც სჯერა, რომ ასეთი ქვეყანა ყოველგვარ გამოცდას გაუძლებს, ყოველგვარ ვანსაცდელს დასძლევს. ეს შეგნება, ეს რწმენა ამოდრავებდა არა მარტო ა. აბაშელის პოეზიას, არამედ მთელ ჩვენ ხალხს.

სამამულო ომის დამთავრების შემდეგაც აბაშელი მგზნებარე პოეტური სიმღერებით გამოთქვამდა თავის სიყვარულს ცხოვრებისადმი, სამშობლოსადმი. მისი ახალი ლექსები ახალი თემების ძიება კი არ იყო, არამედ გაბედული და წარმატებითი ცდა პოეტური ჰორიზონტის გაფართოებისა. თანამედროვეობის ნათელი და ღრმა სურათების მოცემისა.

ვხედავ — მთის იქით ბევრია კიდევ
ჭერ გაუშლელი ყვაილის ღერი.
მე იმ ბალისკენ მთის ბილიკს მივდექ.
იმ ყვაილების გაშლაზე ვმღერო...

ეს იყო ა. აბაშელის კეთილშობილური პოეტური მისწრაფება. ამ სულისკვეთებით დაამთავრა მან თავისი სიცოცხლეც და შემოქმედებაც.

ა. აბაშელის სახელი მტკიცედ არის შენსული თანამედროვე ქართულ პოეზიაში.

სანდრო შანშიაშვილი

სანდრო შანშიაშვილმა სამწერლო სარბიელზე გამოსვლისთანავე მიიპყრო მკითხველი საზოგადოებისა და კრიტიკის ყურადღება. გალაკტიონ ტაბიძესა და იოსებ გრიშაშვილთან ერთად იგი უახლესი ქართული პოეტური კულტურის განმახლებელია. მისი ნაწარმოებები ნათელყოფდნენ იმას, რომ პოეტი ეძიებდა ახალ გზებს, სერიოზულად ფიქრობდა ცხოვრებაზე. ამჟღავნებდა დიდ შემოქმედებით ძალასა და საკუთარ ინტონაციას. ყოველივე ამის გამო მეოცე საუკუნის ქართულ პოეზიაში ს. შანშიაშვილმა დაიკავა მნიშვნელოვანი ადგილი.

* * *

სანდრო შანშიაშვილი დაიბადა 1888 წლის 13 ივნისს, სოფელ ჭუგაანში (სიღნაღის რაიონი). სწავლობდა ხირსის მონასტრის სამრევლო სკოლაში, თბილისის სასულიერო სასწავლებელში, შემდეგ — თბილისის ქართულ, გიმნაზიაში. 1909 წელს იგი არალეგალური ჟურნალის გამოცემისათვის გარიცხეს გიმნაზიის მეშვიდე კლასიდან. 1911 წელს ს. შანშიაშვილი გაემგზავრა შვეიცარიაში. აქედან გადავიდა გერმანიაში და სწავლობდა ჯერ ბერლინის, ხოლო შემდეგ ლაიპციგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე. პირველმა მსოფლიო ომმა მწერალს ხელი შეუშალა დაესრულებინა კურსი. 1914 წლის ზაფხულში იგი საქართველოში დაბრუნდა.

ს. შანშიაშვილის პირველი ლექსი „ზღვა“ დაიბეჭდა 1906 წელს, გაზეთ „ისარში“. მას შემდეგ იგი განუწყვეტლად მუშაობს სამწერლო ასპარეზზე. 1912-13 წლებში

ბერლინის უნივერსიტეტში სტუდენტობის დროს დასწერა პირველი პიესა „უგვირგვინო მეფენი“.

1915-16 წლებში ს. შანშიაშვილი თბილისში რედაქტორობდა გაზეთ „საქართველოს“ და აღმანახს — „მერანს“. 1917 წელს რედაქტორობას თავი დაანება და გადასახლდა თავის სოფელში, სადაც ახლო ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას.

1923 წელს ს. შანშიაშვილი დაბრუნდა თბილისში და გაშალა ფართო საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობა.

განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის ს. შანშიაშვილს ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების საქმეში. ქართული საბჭოთა თეატრის რეპერტუარში მის პიესებს მუდამ მთავარი ადგილი ეჭირა. რუსთაველის სახელობის თეატრის განვითარება განუყრელად დაკავშირებულია ს. შანშიაშვილის დრამატურგიულ შემოქმედებასთან. თითქმის ყოველ წელიწადს ამ თეატრისათვის იგი ან სწერდა ორიგინალურ პიესას, ან თარგმნიდა უცხოელი და საბჭოთა მწერლების დრამატიულ ნაწარმოებებს. მას დაწერილი აქვს ოცზე მეტი პიესა, ხოლო თარგმნილი თხუთმეტამდე ნაწარმოები, მათ შორის შილერის — „ყაჩაღები“ და „დონ-კარლოსი“, შექსპირის „რომეო და ჯულიეტა“.

1948 წელს ს. შანშიაშვილს გადაუხადეს დაბადებიდან სამოცი წლის თავის აღსანიშნავი იუბილე, რომელმაც ფართო ხასიათი მიიღო და საზეიმო ვითარებაში ჩატარდა.

* * *

სანდრო შანშიაშვილის პირველი ლექსებისათვის დამახასიათებელი იყო ფართო სუნთქვა, სამოქალაქო ხმა. პოეტი ემყარებოდა სასიცოცხლო გამოცდილებასა და ცოდნას. მისი ყურადღების ცენტრში იყო ადამიანი თავისი აზრებით, მისწრაფებებით და ქცევით.

თავის პირველ ლექსებში სანდრო შანშიაშვილი გამოხატავდა 1905 წლის რევოლუციის მიერ გამოწვეულ განწყობილებას:

მედგარ ბრძოლისათვის ყველა ავძარით....

უნდა დაინგრეს ძველი ტაძარი...

ვაშა ჩვენს იმედს. აღფრთოვანებას, —
ცხადს სინამდვილეს. არა ზმანებას!

ემად გაფიქვლებს შეახმეს მკლავი.
ვინც კი არ დასდოს ბრძოლაში თავი!

თავისუფლება ყველას გეწყურია...

ქმებო. ხმალს ხელი და ტყვია თოფში!
დილაზე გავალთ გადამწვევტ ომში...

ხვალ იერიშით მივდივართ მტერზე...

(„1905“)

პირველი რევოლუციის შთაბეჭდილებებით დაწერილი ამ
ლექსისათვის ავტორი დაატუსაღეს და რამდენიმე წლით მოა-
თავსეს მეტეხის ციხეში.

პოეტი გვიხატავს აღელვებულ, აღშფოთებულ ზღვას,
რომელიც ებრძვის ირგვლივ გამეფებულ წყევლიადს:

ზღვა ლელავს. ღმუის საზარლად,
კლდეს ეხეთქება ციცაბოს;
გრიგალი ამსხვრევს ჭურღმულებს.
არ სურს დაკრილმა იცადოს.
ცას ელვამ გაჰკრა, გააპო,
შორს მუხმაც დაიგრილა:
მუხას დაეცა დაკოურილს
და წითლად ააპრილა.
მკაცრი ბუნება ზანზარებს,
ზღვაც მიტომ აღშფოთებულა.

(„ზღვა“)

ამ ლექსის პირველ, ვრცელ ვარიანტში კიდევ უფრო მე-
ტი სიმძაფრით იყრ გამოთქმული პოეტის მეზრძოლი სულის-
კვეთება.

ს. შანშიაშვილი ალეგორიულად ლაპარაკობდა რევოლუციისზე. ის წარმოდგენილი ჰქონდა სინათლისა და სიცოცხლის გამონატულებად. ამიტომ მისთვის თავდადება, მისთვის ქება სავსებით ბუნებრივ მოვლენად მიაჩნია. რევოლუციამ ადამიანთა ცხოვრებასა და შეგნებაში საპატიო ადგილი დაამკვიდრა, ის მეფობს ადამიანის სულში, ანიჭებს შევბას.

განა არ იცით, ღღეს ვინ მეფობს ჩვენს სულში ღმერთად?
იგი გვიღობის. მხიარულობს. გვანიჭებს შევბას!
მოდით. მოგროვდით. ყრმა-კაბუჯნო, ზეიმით ერთად,
ჩვენს ნათელს. ცოცხალს, ჩვენებრ კაბუჯს ვუძღვნიდეთ ქებას!

(„ჩვენს ნათელს“)

პოეტმა კარგად იცის, რომ რევოლუცია მოითხოვს ბრძოლას, სიმტკიცეს, შეერთებულ ძალას, მსხვერპლს.

შემოკრებით ერთად!
დასძახეთ მედგრად!
თავი გაწვიროთ.
მსხვერპლი შეეწიროთ
და მოეხადოთ მით ჩვენი ვალი!
ყრმანო, მებრძოლნო, აღმართეთ ხმალი!

(„ბრძოლის სიმღერა“)

რევოლუციის აღმავლობის წლებში ს. შანშიაშვილი დიდი პათოსით გამოთქვამდა ხალხის განთავისუფლების იდეას, მებრძოლ სულისკვეთებას:

შეიღი მოვსწიოთ, მოვხაროთ.
გავსტუორცნოთ ბასრი ისარი.
თავზარი დაესეთ მჩაგვრელებს —
გაუეპოთ გულის ფიცარი!
გასწი. გაფრინდი, ისარო,
მთა-ტყენი გადისრიალე.
სადაც დაეცე. იქ ღრომა
მშობისა ააფრიალე!
ნუგეში ეცი ჩაგრულებს —
ცრემლი შეუშრე თვალებსა:
ჟთხარ, რომ შენით შექმუსვრენ
სულის შექსუთველ ძალებსა!..

(„ისარი“)

ამგვარად, ახალგაზრდა პოეტის აზროვნებაში, მის პირველ ლექსებში საპატიო ადგილი ეჭირა რევოლუციურ მისწრაფებებს. ამ ლექსებით იგი გვევლინებოდა, როგორც დემოკრატი და ჰუმანისტი პოეტი, რომელიც ოცნებობდა უკეთეს მერმისზე, ხალხის თავისუფლებასა და ბედნიერებაზე. ეს იყო ს. შანშიაშვილის ადრინდელი პოეტური მოღვაწეობის პროგრესული და ძლიერი მხარე.

რევოლუციის დამარცხების შემდეგ საზოგადოებრივ ურთიერთობასა და აზროვნებაში გამეფებულმა დაცემულობის განწყობილებამ ს. შანშიაშვილის შემოქმედებაზეც იქონია საგრძნობი გავლენა. იგი თანდათან ტოვებს რეალიზმის გზას პოეზიაში და იხრება სიმბოლიზმისაკენ. პოეტი გვაცნობს, რომ მისი „სული დანადგლდა“, რომ „მარტო შთენილს“ სევდა აგლოვებს:

სული დანადგლდა, ცა იცრემლება,
ხან კი მრისხანედ ზუზუნებს ქარი;
მთის კალთას შავად ნისლი ევლება,
კლდეებს კი მალა — ღრუბელთა ქარი.
შორს კენესა ისმის უკანასკნელი,
ნაცნობს სიკვდილი ემუდარება...
კვდება... და ქვეყნად ანდერძად ტოვებს,
რომ მარტო შთენილს სევდა მაგლოვებს.

(„სული დანადგლდა“)

ეს ლექსი დაწერილია 1907 წელს. შემდეგ წლებში ს. შანშიაშვილი უკვე გარკვევით დაადგა პესიმიზმისა და ინდივიდუალიზმის გზას. ამ პერიოდის ლექსებია: „მე ვუმღერ მხოლოდ“, „ჩემს შემდეგ“, „არავის ველი“, „გამოთხოვების უსტარი“, „სევდის ბალში აღვიზარდე“, „რისთვის დამიხსენა“. იგი ლაპარაკობს, რომ განუდგა ცნოვრებას, ხალხს და გამოუცნობისაკენ, შორეულისაკენ სწრაფვით არის გამსჭვალული: ს. შანშიაშვილის შემოქმედებით დევიზად ხდება შემდეგი სიტყვები: „ჩემში ჩემთვისვე კერპი აღეძარი, მას ავუშენე ოქროს ტაძარი... ის მსოფლიოა: თვითონ მე ჩემი... მე ვუმღერ მხოლოდ საკუთარ ჩემ თავს... მწვერვალზე ბროლის კოშკი ავმართე, ვესაუბრები საკუთარ ლანდებს“... მისი ცნოვრების გზაზე სრულიად არაფერი მოჩანდა. წინ, ირგვ-

ლივ ბნელოდა და თვით გზა კი ცრემლებით მორწყული ღ
ეკლით შემოსილი იყო, არემარეს ნისლი გადაჰკეროდა:

მხოლოდ ნისლი და ცრემლები
მიხუთავენ სულს და გულსა;
მომავალსა ეპკით ვუშვებ,
არც აწმყო მფენს სიხარულსა!
სატრფოც ნისლად გარდაიქცა,
ნამად სხვა ვარდს ეპკურება;
ჩანგი ჰვენესის, ჩანგი ჰგოდებს,
უფსკრული ბანს ეუბნება!

(„ნისლი“)

სევდა და ნაღველი ხდება ს. შანშიაშვილის თანამგზავრო.
მას ყველაფრისადმი დაუქარგავს რწმენა:

რას მივენდო, რა ვიწამო,
მითხარ რაზე დავემყარო?
ყველა მიდის, ყველა ჰქრება...
დამსხვრევა თვით სამყარო!
სიყვარულის და მშვენების
დაანგრია ბრბომ ტაძარი:
მისი ღმერთი. კერპად ქმნილი.
სასტიკია და საზარი!
სიკედილი გესპობს უფრო ადრე,
ოცნებას ფრთა ეკვეცება.
რას მივენდო, რა ვიწამო?
ყველა მიდის... ყველა ჰქრება!

(„სიმღერები“)

ასე უიმედოდ მოთქვამდა პოეტი. მისი „ჩანგი კენესის,
ჩანგი გოდებს, უფსკრული ბანს ეუბნება“. იგი არავისაგან
არ მოელის თანაგრძნობას, თვითონვე ჰქმნის თავისი გულის
თანამგრძნობს და მეგობარს. ეს მეგობარი განუყრელია მას-
თან, მან ყველაზე უკეთ იცის პოეტის გულისთქმა და მწვავე
ტკივილები. ეს განუშორებელი მეგობარი, თანამგზავრი არის
სევდა, მწუხარება და მოწყენილობა. ბევრგან შეხედება
მკითხველი ს. შანშიაშვილის ლექსებში გამოთქმებს: „სევ-
დის ბაღში აღვიზარდე“, „ან ვლალადებ სევდის ბაღში“ და
სხვ. სევდისადმი სიყვარულმა უკარნახა მას თავისი ლექსე-

ბის პირველი კრებულიც სათაურით: „ბალი სევდისა“, რომელიც გამოქვეყნდა 1911 წელს.

სევდისა და მწუხარების განწყობილებას ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში განუყრელად დაჰყვებოდა თან მოვლენების მისტიკური ათვისების გრძნობა, მას სჯეროდა „მეორე“, „მოდმა“ ქვეყნის არსებობა. იგი ამტკიცებდა პოეტის ზებუნებრივობას.

ამგვარ უიმედობის და იკვიანობის გრძნობით ს. შანშიაშვილი გამოხატავდა ინტელიგენციის იმ ფენის განწყობილებას, რომელიც ვერ უძლებდა ცხოვრების მკაცრ გამოცდას და ყოველ წინააღმდეგობისას მუხლებზე იჩოქებდა, აქტივობის ყოველგვარი ნასახი ეკარგებოდა.

* * *

ქართულ ლიტერატურაში ს. შანშიაშვილი სიმბოლისტური დრამის თვალსაჩინო წარმომადგენელია. შეიძლება ითქვას, რომ ამ ჟანრში ჩვენში ყველაზე ადრე მან შემოიტანა და განავითარა სიმბოლიზმი. ისევე, როგორც სიმბოლისტური პოეზია და პროზა, სიმბოლისტური დრამატურგიაც დაშორებულია სინამდვილეს, ცხოვრების ცოდნას და გადაქცეულია „მარადიული კანონების“ მაძიებელ მხატვრულ ფორმად, რომელიც მთლიანად ატარებს მისტიკურ ხასიათს. სიმბოლისტურ დრამატულ ნაწარმოებში არ მოჩანს ცოცხალი ადამიანები, ისინი შეცვლილი არიან აბსტრაქტული სქემებით. სიმბოლისტური დრამის ეს პრინციპი ს. შანშიაშვილს თავის პიესებში საცესებით მიღებული და განხორციელებული ჰქონდა.

დრამატულ პოემაში „შვების თავადი“, რომელიც ს. შანშიაშვილმა დაწერა 1909-11 წლებში, „მოქმედება წარმოებს უხსოვარ დროს“. მისი თემატიკა ვითარდება კეთილისა და ბოროტის ბრძოლის ფონზე. მიუვალი მთის მწვერვალზე, სადაც ბროლის ციხეა გაშენებული, ცხოვრობს „მზის ასული და დედოფალი მშვენიერებისა“ — ციაგი, რომლის სამფლობელოში მუდამ სიამე და სილამაზეა. ამ მშვენიერების დედოფალს ეტრფის ამო — მიწისშვილი, შვების თავა-

დი. ამო მოუწოდებს ქვეშევრდომთ „მზის სამეფოსაკენ“, რომელსაც „არა აქვს საზღვარი“. იგი მიისწრაფის ხალხს დაუმკვიდროს წალკოტი, მოუპოვოს ბედნიერება, მშვენიება, თავისუფლება. განბანოს ხალხი მზის სხივების უკვდავ სილამაზეში.

ამოს სურვილები განუსაზღვრელია. „მე ვარ ზეკაცი, ჩემში ღვივის მშვენიერება. ჩემსა გარეშე არ არსებობს ბედნიერება“. ამ „ზეკაცს“ სურს დაეუფლოს მიუწვდომელს. მისი მიზანია, „ოცნების სამეფოს“ დაუახლოოს რეალობა. ცასა და ქვეყანას შორის გადოს ხიდი, გარდაქმნას უკვდავყოს ადამიანი.

„ზეარსთა“ გვირგვინოსანი — მზის ასული, დედოფალი მშვენიერებისა — ციაგი, შეუერთდება „შვების თავადს“, ოცნება იქცევა სინამდვილედ. ადამიანი უახლოვდება სრულყოფილ ცხოვრებას. მაგრამ „ზეკაცის“. ამოს. „ანთებულ ნებასურვილს“, მისწრაფებას ამსხვრევს ბნელი ძალა. უღმობელი „შავი ყორანი“ თავს დასტრიალებს მიწისშვილთ გულშემზარავი ჩამოძახებით; „ამბის ავი მთხრობელი“, „ბოროტების გამოძახილი“ საშინელ სურათს, მწარე მომავალს უსახავს კეთილშობილი მისწრაფებით გამსჭვალულ ამოს: კაცობრიობის ბედნიერ მომავალს დაეპატრონენ საზიზღარი მტრები — აყვია. მახინჯი „ძე ადამიანისა“, შავი დევი — „მეუფე წყვილადისა“ და მისი ნაზირ-ვეზირნი.

მიწას და მის შვილებს გლოვიან ზეწარი გადაეფარა. ამო, ციაგი თავიანთი ამალით: იმედით, თავისუფლებით, სიყვარულით, სიხარულით, სიბრძნით, სიმდიდრით. ხელოვნებით, მშვენიერებით, ბედნიერებით ძნელნი იქნენ. ფათერაკი, ჭირი, მწუხარება, სევდა, შური. შიმშილი, ხიფათი მოედო კაცობრიობას, ხსნა არსაიდან ჩანს. ამო ბრძოლაში იღუპება. ციაგი ჭერ აყვიას და შემდეგ საუკუნოდ შავი დევების საკუთრება შეიქმნება. დაბნელდა მზე — კაცობრიობამ მომავალი დაკარგა. ბრძოლა მაინც არ წყდება. ამოს მეომარი — უღრეკელი მიეშურება ციაგისა და „შვების თავადის“ საძებნელად, მაგრამ დევის მეოხებით „ჯადო-წრეს“ მოჰყვება. უღრეკელი მაინც არ ღრკება, მედგრად გაემართება წინ სასტიკი ბრძოლისათვის, რათა დაუბრუნოს კაცობრიობას „დაკარგული სამოთხე“, რამდენიმე საუკუნის შემდეგაც ვხვდებით მოხუცე-

ბულს, თმაგათეთრებულ უდრეკელს იმავე „ჯადო-წრეში“, რომელსაც იგი განუწყვეტლივ უვლის და ჰგონია, რომ მიზანს უახლოვდება. მაგრამ ცდება—„ჯადო-წრე“ დაუსრულებელია:

ასე ყოფილა, დღესაც ასეა,
და შემდეგშიაც განმეორდება;
მუდამ ბრძოლასა და შავ სიკვდილში
სული ძლიერი შენადონდება.
კაცობრიობა ჯადო წრეშია,
მოსდევს თაობას ხალხთ ნათესავი,
ჩან შეფობს შვება, აღორძინება
და ხან დამხობის შავი საფლავი...

ადამიანს მხოლოდ იმედილა რჩება: ოდესმე იდეალი განხორციელდება და კაცობრიობას ბედნიერება, სიყვარული, მშვენება მოევლინება, რწმენა მომავალში ბედნიერების, თავისუფლების, სიყვარულის მოპოვებისა, ძალას აძლევს დაქანცულ ადამიანებს.

„შვების თავადში“ დაპირისპირებულია სამყაროს ორი ძალა, ორი მოვლენა: ბოროტება, სიმახინჯე და სიკეთე. მშვენიერება. პოეტის აზრით, საერთოდ არსებობს სამყაროს ორი პრინციპი. პრინციპი ბოროტებისა და პრინციპი კეთილისა. ამიტომ ქვეყნიერებაც ორ ნაწილად განიყოფება: ბოროტების მომხრეებად და კეთილის თაყვანისმცემლად. ყოველი კეთილშობილი მიზნის განხორციელება მხოლოდ რჩეულთა, „ზეკაცთა“ ხვედრია.

„შვების თავადი“ ამჟღავნებს გარკვეულ მსოფლმხედველობას, რომელიც ქართულ ლიტერატურაში ფრიდრიხ ნიცშეს იდეების გავლენით წარმოიშვა. ერთ დროს ს. შანშიაშვილი გატაცებული იყო ნიცშეს „ზეკაცის“ იდეით და მისი გამოხატულება მოგვცა „შვების თავადში“.

თავის ერთ-ერთ მეტად დამახასიათებელ დრამატულ ნაწარმოებს — „ბერლო ზმანიას“ ს. შანშიაშვილი უწოდებს „ადამიანის ტრაგედიას“. მასში რაელური ადამიანების ნაცვლად მოქმედებენ განყენებული სახეები: დე-დია — ასული დედამიწის; ბერლო ზმანია — დე-დიას ვაჟი; ბედია Fatum; ცისია — ამორღეა; ტურფა, ვნებო, მზეონა — ცისიას სახეები სინამდვილეში; ინვიდო — შური; სიკვდილი, ბუნების ძალნი

და სხვები. ავტორი მოქმედ პირთა სახელებით ცდილობს მოგვეცეს მათი ხასიათი. პიესის მოქმედება და მოქმედი პირებიც წარმოდგენილია ისტორიისა და რეალობის გარეშე.

ადამიანი თავიდანვე ატარებს ორ საწყისს — „ამქვეყნიურს“ და „ზეციურს“, „ზეციური“ მხარე ადამიანის ბუნებისა თავისაკენ მიზიდავს მიწისშვილს, მაგრამ თანდაყოლილი თვისებები მიწიერებისა და ბედი, რომელიც მრავალნაირ სახეს აძლევს ადამიანის სიცოცხლეს, სიკვდილის სახით საზღვარს უდებს მის მისწრაფებებს „ზეციურისაკენ“.

ბერლო ზმანიას აწვალებს ღრმა ფილოსოფიური პრობლემები — ყოფნა-არყოფნისა, მარადიულობის და იდუმალობის დაუფლებისა. „მას წასვლა სურს ამ სოფლის იქით. მისი გული, გრძნობა და ლალი სული ვერ ისვენებს, დაეძებს რაღაც იდუმალს, რაღაც შორეულს, ნათესაურს და მიუწვდომელს“. პიესის დასაწყისი იხსნება „ზღუდით, რომელიც ჰყოფს მიწიერს და ზეციერს“. ზღუდის ერთ მხარეზე არის ბერლო ზმანია — ამქვეყნიურობის წარმომადგენელი, ხოლო მეორე მხარეზეა — ბედია, „მისი სახის სულის მატარებელი“.

ადამიანის არსებაში ჩამარხული ორი, ერთმანეთის საწინააღმდეგო ბუნების ქიდილი უკავშირდება ბედისწერას, რომელიც ფატალური აუცილებლობით მრავალგვარ განცდათა შემდეგ ადამიანს მიაქანებს სიკვდილისაკენ. ადამიანი ვერსად წაუვა ბედისწერას. ყველაფერი წარმავალია. ბერლო ზმანიამ ყველაფერი გამოსცადა, ყველაფერი იხილა, მოგვევლინა ხან პირველყოფილი ადამიანის, ხან ყმა-გლეხის, ხან მთვარისა და ხან მეფის სახით, მაგრამ ვერ მოიპოვა უკვდავება, ვერ მიადწია მარადიულს.

„ბერლო ზმანიას“ მოქმედი პირები წარმოდგენილი არიან მეტაფიზიკური სახით. ტრაგედიაში მოქმედი ძალებიც — სიკვდილი, ქარი, გრიგალი, ცეცხლი და ბუნების სხვა სტიქიონებიც, სიმბოლისტური ბურუსიანობისა და აბსტრაქტულობის ნისლში არიან გახვეულნი. „ბერლო ზმანიაში“ პირდაპირ არის აღიარებული დუალიზმი, სინამდვილის დუალისტური გაგება. ს. შანშიაშვილი გარკვევით გვეუბნება, რომ ამქვეყნიური სინამდვილე არის ირეალური სამყაროს უხეში ანარეკლი.

„ბერლო ზმანიაში“ ყურადღებას იქცევს მოვლენათა ჩვენების პრინციპები და დრამატურგიული ხერხების ჩამოყალიბების გზა. ეხებოდა რა ს. შანშიაშვილის დრამატურგიულ შემოქმედებას და კერძოდ „ბერლო ზმანიას“. სიმ. ხუნდაძე მართებულად შენიშნავდა: „პრობლემების მეტაფიზიკურად დაყენება იწვევს თვით დრამის თავისებურ კონსტრუქციას. ეს განსაკუთრებით გამოიხატება ტიპაჟში: ხორცსმული ადამიანების ნაცვლად აქ მეტაფიზიკური ცნებები მეტყველებენ... ამ მეტაფიზიკურ ტიპაჟთა შორის წდება ბრძოლა და შეჯიბრი. იმედი უიმედობას ებრძვის, წყვდიადი — მზეს, სიმახინჯე — მშვენიერებას და ასე. ადამიანი, გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობისა და ეპოქის შვილი, აქ არ ჩანს ან ნაკლებად ჩანს. ავტორს აბსტრაქციის სივრცეში გაყინული ცნებები უფრო აინტერესებს, ვინემ სოციალური ადამიანი, გარკვეული კლასისა და გარკვეული ეპოქის შვილი, მთელი თავისი უარყოფითი და დადებითი თვისებებით“¹. შემდეგ სიმ. ხუნდაძე განაგრძობს: „პრობლემების ასეთს მეტაფიზიკურს სიბრტყეზე დაყენება ავტორისაგან მოითხოვდა ღრმა ფილოსოფიურ სიბრძნესა და შემოქმედებითი ენერჯის ძალების დაჭიმვას; ასეთს შემთხვევაში დრამის არქიტექტონიკა, მისი ფორმა იმდენად გამართული უნდა იყოს, რომ მან შესძლოს რთული პრობლემების შინაარსის ისე მხატვრულად გადმოცემა, რომ დრამის ბუნებრივი მიმდინარეობა არ დაზიანდეს და შინაარსის მეტაფიზიკურმა რეზონიორობამ არ იმსხვერპლოს მხატვრული შემოქმედების ემოციონალობა. ეს რთული და მეტისმეტად ძნელი საქმე არის, და არ არის გასაკვირი თუ ს. შანშიაშვილმა ამ რთული პრობლემის დაძლევა შესაფერისად მისი მხატვრული ასანვა ვერ შესძლო. ამ დრამებში ავტორის მეტაფიზიკურ-მისტიკური რეზონიორობა სჭარბობს მხატვრულ პოტენციას, მიუხედავად ზოგიერთი მონოლოგების შესაფერისი გაფორმებისა“...² ამ სიტყვებში მართებულად არის დახასიათებული „ბერლო ზმანიას“ იდეურ-მხატვრული შეუსაბამობანი.

სიმ. ხუნდაძე, „ნარკვევები“, „ფედერაცია“, 1941 წ., გვ. 316.

² იქვე.

ს. შანშიაშვილის ამ პერიოდის ნაწარმოებებისათვის დამახასიათებელი იყო განსაკუთრებული გატაცება ელინისტური მითოლოგიით. ეს იყო კლასიციზმის გზის თავისებური აღდგენა და განვითარება ქართულ ლიტერატურაში. ცნობილია, რომ ახალი საუკუნის კლასიციზმის წარმომადგენელ მწერალთა გაგებით, ამა თუ იმ მხატვრული ამოცანის გადაწყვეტისათვის გონება იძლევა ერთ აბსოლუტურ, სამუდამო პრინციპს. თუ რომელიმე დიდმა პოეტმა — ოსტატმა შექმნა კარგი ნაწარმოები, მაშინ სრულებით არ არის საჭირო მისმა მემკვიდრეებმა ეძიონ, ან, იარონ სხვა გზებით, მათ უნდა მიბაძონ მხოლოდ ამ ნიმუშს. კლასიციზმის ეათეტიკა ქედს იხრიდა ავტორიტეტების წინაშე. მე-17 საუკუნის კლასიციტები ანტიკურ ხელოვნებას სთვლიდნენ „კლასიკურად“, ე. ი. სრულყოფილ, სანიმუშო მოვლენად, რომელშიაც მთლიანად იყო რეალიზებული მხატვრული იდეალი საერთოდ ყველა დროისა და ხალხებისათვის. ამიტომ კლასიციტები პრინციპში უარყოფდნენ ახალი ლიტერატურული ჟანრებისა და ფორმების ძიებას, მიისწრაფოდნენ თავიანთ ნაწარმოებებში გაემეორებინათ ანტიკური ლიტერატურის არა მარტო ფორმა, შინაარსიც. ამიტომ იყო, რომ ისინი ხშირად ვერ ინარჩუნებდნენ შემოქმედებით დამოუკიდებლობას ანტიკური ლიტერატურის ნაწარმოებთა ნიმუშების მიმართ, მონურად ბაძავდნენ ანტიკური ქვეყნის დრამატურებსა და პოეტებს.

ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში კლასიციზმის აღდგენის ყველაზე მკაფიო გამოხატულება მოცემული გვაქვს პოემებში — „მედია და მშვენიერი ელენე“, და „ორფეუს და ევრიპიდე“. ამ ნაწარმოებთა სიუჟეტად მწერალს გამოყენებული აქვს ცნობილი ლეგენდა. „მედია და მშვენიერი ელენე“ დიდი მოცულობის პოემაა. ის შედგება რამდენიმე თავისაგან (შესავალი, დემეტიკა, იაჰონ და რენო, ოქროს ვერძი, მედია, მშვენიერი ელენე). მის ძირითად სიუჟეტურ ჩონჩხად აღებულია ის ამბავი, რომელიც მთავარი მომენტებით მოთხრობილია ჰომეროსის „ილიადაში“, ევრიპიდეს და სენეკას ტრა-

გედებში, კორნელის „მედიაში“, ა. წერეთლის „მედიაში“.
ს. შანშიაშვილი პოემას იწყებს მიძღვნით, მსგავსად ძველი პოეტისა:

იველ გმირთა აჩრდილს შევეტკბე,
ვისწაღე გრძნეულბანი;
დაეჭექ და ჩანგი მოვმართე,
შევუხმატკბილე ნებანი;
ზღაპრის კუნძულზე ჩემ დარათ
ვერვინ აყდეროს ებანი;
შევთხზე უკედავი ლოცვანი
და ახალ აღთქმის მცნებანი...

შემდეგ მოდის პოემის ძირითადი სიუჟეტური ამბავი; იოლიქის მეფე აფამანტე სიკვდილის წინ მოიხმობს თავის ძმას კრიტესს, რომელსაც გადასცემს ტახტს და ანდერძს დაუტოვებს, რომ მისი პატარა ქალ-ვაჟი — ელენე და ფსიქსი ისე აღზარდონ, როგორც მეფის შვილთ ეკადრებათ. მართლაც, პატარა და-ძმას ანდერძისამებრ ღირსეულად ზრდიან. მუდამ ერთად ყოფნის შედეგად მათ შეუყვარდებთ ერთმანეთი. და-ძმის სიყვარული შეუმჩნეველი არ რჩება დედოფალს — დემეტრიას, რომელიც მხოლოდ განხორციელებული ვნებაა და ფარულად ფსიქსს ეთაყვანება. დემეტრია გაუმჟღავნებს ფსიქსს თავის სურვილებს, მაგრამ ფსიქსი ღუმს და პასუხს არ აძლევს. დემეტრია ყოველგვარ საშუალებას მიმართავს ფსიქსის დასამორჩილებლად, თუმცა ცდა ამაოა. შურისძიებით გამსჭვალული დემეტრია დაასმენს მეფესთან ფსიქსს. მან დედოფლის შეურაცხყოფა განიზრახაო. განრისხებული მეფე მსაჯულებს მოიწვევს, რომელნიც გადასწყვეტენ ელენე და ფსიქსი ღმერთებს შესწირონ მსხვერპლად. აქ იჩენს სასწაული თავის ძალას. კავკასიონის მწვერვალზე მიჯაჭვულ ამირანს წინდაწინვე გული უგრძნობს, რომ ელენეს და ფსიქსს უბედურება მოელით. ამ ბავშვების დედას — ნეფელას, რომელიც ღრუბლად გადააქციეს ღმერთებმა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ცეცხლის მომტაცებელ გმირს გამოესარჩლა. ამირანი მოუხმობს და შვილების უბედურებას აუწყებს, თანაც მას აჩუქებს ვერძს. ეს ვერძი შვილების დახსნაში დაგეხმარებაო. ნეფელა გაეშურება სამსხვერპლოსაკენ. ვერძი მართლაც

დაეხმარება მას. დედა შეისვამს ზურგზე შვილებს და კოლხეთისაკენ გამოაქანებს. იმ დროს, როდესაც ისინი პონტოზე უნდა გადაფრინდნენ, ელენე შეკრთება და ზღვის ტალღებში დაიღუპება, რის გამოც ამ ადგილს ელესპონტი დაერქვა. დედის რჩევით, ფსიქსი თავის კეთილსმყოფელ ვერძს დაჰკლავს და ღმერთებს მსხვერპლად შესწირავს. ვერძის ტყავი მალე სახელს გაითქვამს. მთელს ქვეყნიერებაზე მოედება ვერძის ამბავი. საბერძნეთის მეფე პელეისი ამ ამბავს რომ გაიგებს, მოიხმობს თავის ძმისწულს იასონს და გაგზავნის ვერძის ტყავის საძებრად. იასონი შეკრებს საბერძნეთის საუკეთესო გმირებს, ააგებს ნავს არგოსს და გზას გაუდგება. იასონი თავს ამოჰყოფს პრიამის სამეფოში, სადაც იგი შეზღუდება მშვენიერ რენოს, მეფის მზეთუნახავ ქალს. იასონი შეიყვარებს რენოს; შემდეგ პოემაში მოდის ამბავი არგონავტიების მოსვლისა კოლხეთში ოქროსმატყლიანი ვერძის გასათაცებლად, იასონისა და მედიას შეხვედრა, მათი შეუღლება. იასონი და მედია მიემგზავრებიან კორინთში. მალე იასონი ვერაგულად უღალატებს მედიას და ირთავს კრეონტოს — კრეუსის ქალს. მედია შურს იძიებს, მოშხამული ტანისამოსით ჰკლავს იასონის საცოლეს და მის მამას, და შემდეგ აღმფოთებული სიცოცხლეს გამოასალმებს თავის ორ შვილსაც. პოემის უკანასკნელი თავი შეიცავს მშვენიერი ელენეს ამბავს, მის რომანტიკულ-სასიყვარულო ისტორიას.

„მედია და მშვენიერი ელენე“ თავის დროზე აღიარებული იქნა ეპოქალური მნიშვნელობის ლიტერატურულ მოვლენად. ამ პოემის ცალკეული თავების შესახებ წერდა კიტა აბაშიძე, რომ „მასში არის ისეთი პასაჟები, რომელიც უმაღლესი პოეზიის ნიმუშად უნდა ჩაითვალოს“¹. მიუხედავად ამისა, „მედია და მშვენიერ ელენეში“ არის იმ ხასიათის სუსტი მხარეები, რაც საერთოდ ნიშნეული იყო კლასიციზმის პრინციპზე აგებული მრავალი მხატვრული ნაწარმოებისათვის. როგორც ცნობილია, მოქმედ პირთა ტიპიური სახეები კლასიციზმის მიმდევარ მწერალთა ნაწარმოებებში

¹ კ. აბაშიძე. „ცხოვრება და ხელოვნება“, გაზ. „სახალხო ვაზეთი“, 1913 წ., №888.

ჩვეულებრივ ხასიათდებოდა სქემატურობით, თითოეულ გმირში მკვეთრად იყო აღნიშნული და გამოყოფილი მისი ხასიათის მხოლოდ ერთი რომელიმე ძირითადი ნიშანი, ვნება ან ჩვეულება. ამიტომ თითოეული გმირი იყო არა ცოცხალი ადამიანი, არამედ განხორციელება ცალკეული მოძრავი სიკეთისა ან ბოროტებისა. ასეთ გმირში ნაწარმოების მთელ მანძილზე არავითარი ცვლილება არ ხდებოდა, რა ნიშნითაც გამოჩნდებოდა იგი დასაწყისში მაყურებლის წინაშე, იმითვე გადიოდა სცენიდან. ამავე დროს გმირის სახელიც და ვერაირც აღნიშნავდა მის ძირითად თვისებებს. კლასიციზმის მიმდევარი მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში აგრეთვე იყენებდნენ ტიპიზაციის განსაზღვრულ პრინციპს. ეს იყო აბსტრაქტული, სქემატური ტიპიზაციის პრინციპი. ავტორი აიძულებდა ემოქმედათ გმირებს არა ისე, როგორც ისინი იმოქმედებდნენ თავიანთი ცხოვრების რეალურ პირობებში, არამედ ისე, როგორც ეს სურდათ მწერლებს, თანახმად თავიანთი განყენებული შეხედულებებისა და წარმოდგენებისა. მწერლები ხელმძღვანელობდნენ თავიანთი მორალური მისწრაფებებით და არა ცხოვრების სიმართლით, რომლის გამოხატვასაც ისინი ფიქრობდნენ. ეს მოვლენები საკმაოდ მკლავნდება „მედია და მშვენიერ ელენეშიც“. მთავარი მომენტი, რაც ნაწარმოებში ჰქმნის კოლიზიას — ეს არის სიყვარულის გრძნობა. ამ ფონზე მოჩანს უმთავრესად მოქმედ პირთა სასიათები. ამ ნაწარმოებში არ არის ერთიანი იდეა, მთლიანობა, რომელიც აკავშირებდეს პოემის ცალკეულ ნაწილებს.

* * *

ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში გამოქვეყნებულია არა მარტო კლასიციზმური გატაცებები, არამედ დიდი ინტერესი საქართველოს წარსულისადმი. ეს ინტერესი ჩვენი ქვეყნის ისტორიისადმი ყველაზე უფრო მკვეთრად გამოქვეყნებულია ხუმრობებთან დრამაში — „უვირგვინო მეფენი“. ამ პიესის მთავარი მოქმედი პირებია: გიორგი სააკაძე, ლუარსაბ მეფე და ქართველი ფეოდალები. დრამაში სისწორით არის აღბეჭდილი სასახლის ცხოვრება, კართუხუცესის

შადიმან ბარათაშვილის ვერაგი პიროვნება, შურიანობა, ინტრიგები დიდი მოურავისადმი, რომელსაც აუმხედრდა, როგორც ლუარსაბ მეფე, ისე ქართლის ფეოდალური არისტოკრატია.

მიუხედავად იმისა, რომ სცენიური ტექნიკის, დრამატიზმის თვალსაზრისით „უგვირგვინო მეფენი“ გამოირჩევა ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში, მასშიაც შესამჩნევია ერთგვარი წონასწორობის დაუცველობა მოქმედ პირთა ჩვენებაში. გიორგი სააკაძე უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე მოქმედებს. ბევრად უფრო ცოცხლად არის ნაჩვენები და ბევრად უფრო საინტერესო ტიპია შადიმან ბარათაშვილი. როგორც თავის დროზე მართებულად იყო კრიტიკაში აღნიშნულა, ამ პიესაში ლუარსაბ მეფე უფრო ევროპელ პრინცს მოგვაგონებს, ვიდრე ქართველ მეფეს, რომელიც მეფობაში ასეთი ბედშავი იყო, მაგრამ ჰქონდა საკუთარი ადამიანური ხასიათი.

„უგვირგვინო მეფენი“ დაწერილია შექსპირის დიდი გავლენით. ეს გავლენა აშკარად ატყვია როგორც პიესის დიალოგებს, ისე გმირების ხასიათს. ეს ითქმის განსაკუთრებით შადიმან ბარათაშვილზე, რომელიც მოგვაგონებს შექსპირის „ოტელოს“ ერთ-ერთ გმირს — იაგონს.

ზოგიერთ ეპიზოდში „უგვირგვინო მეფენი“ დაშორებულია ისტორიულ კოლორიტს. გიორგი სააკაძის დის; ლუარსაბის ცოლის სახელი იყო მაკრინე და არა თეკლე. როდესაც ქართველმა ფეოდალებმა აიძულეს ლუარსაბი განშორებოდა მაკრინეს, ეს უკანასკნელი აღიკვეცა მონოზნად და არა დანით მოუკლავს იგი სასახლეში შადიმან ბარათაშვილს, როგორც ეს პიესაში არის მოცემული.

იმუშაო ლიტერატურაში ისე, როგორც მუშაობს ს. შანშიაშვილი ნიშნავს, რომ დაადწიო თავი გაუგებრობისა და უცნაურობის საფრთხეს. ს. შანშიაშვილის ნაწარმოებების კითხვის დროს მკითხველი თავს არ გრძნობს დაბნეულად. მის პოემებსა და დრამებში ყოველთვის მოჩანს სწორი გზა. სიხარული, რომელსაც განიცდის მკითხველი, როდესაც ხედავს ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში ახალ პოეტურ ყვავილებს, კიდევ უფრო იზრდება იმით, რომ იქვე, მათ ვერ-

დით იგი ზედება უკვე ნაცნობ საყვარელ ყვავილებს. ს. შან-
შიაშვილი ჭარბად იყენებს ძველი ლიტერატურისა და ხალ-
ხური შემოქმედების სახეებს, მაგრამ მათ კრიტიკულად იმუ-
შავენ და უფარდებს თავის მხატვრულ ამოცანებს, სცელის
მათ ანტურაჟს, იგონებს მათთვის ახალ ასოციაციებს, აძლევს
მათ მანამდე უცხო მნიშვნელობას.



1948 წელს სანდრო შანშიაშვილმა დასწერა ლექსი „ჩემი
სიტყვა სამადლობლო“. ეს ერთგვარად ნაპროგრამო ნაწარ-
მოებია, მასში გამოთქმულია პოეტის შემოქმედებითი
მრწამსი. ამ ლექსში ს. შანშიაშვილი ამბობს:

ცხოვრების გზა განველუ დიდი.
განველუ ჩემი დროება!
ზინდა დავრჩე, თქვენთან ვიყო,
არ მსურს გამოთხოვება.
თქვენი გრძნობა, თქვენი ფიქრი
მქონდეს გამოსახული,
ვიყო ხალხის მომღერალი
და ერთგული მსახური!

როგორ არ ჰგავს ს. შანშიაშვილის ეს სიტყვები იმ სი-
ტყვეებს, რომელსაც იგი ამბობდა 1908 — 1917 წლებში. სა-
ქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ
ს. შანშიაშვილმა 'მესძლო თანამიმდევრად გამოსულიყო რე-
ვოლუციური განვითარების გზაზე, რაც ასე კარგად გამოი-
ხატა მის პოეტურ და დრამატურგიულ შემოქმედებაში.

ს. შანშიაშვილის კალამს ეკუთვნის საბჭოთა პერიოდში
დაწერილი პიესები: „პერეთის გმირები“, „სპარტაკი“, „ლა-
ტავრა“, „სამნი“, „ანზორი“ (ეს. ივანოვის „ჯავშნოხანი
№ 14-69-ის“ მიხედვით), „გიორგი სააკაძე“, „კრწანისის გმი-
რები“, „არსენა“, „ფოლადაური“, „ხევისბერი გოჩა“
(ა. ყაზბეგის მოთხრობის მიხედვით) და „იმერეთის ღამეები“.
ამ დრამატიულ ნაწარმოებებს ახასიათებს თემატიური მრავალფეროვანება. მათში ისტორიულ წარსულთან ერთად
ასახულია ქართველი ხალხის ახალი ცხოვრება, მისი სასახე-
ლო შრომა და ბრძოლა. უჩვეულოდ ფართოა დრამატურგის

სასიცოცხლო ინტერესები. როგორც შემოქმედს, ს. შანშიაშვილს მრავალი რამ აღელვებს ცხოვრებაში. რის შესახებაც არ უნდა წერდეს იგი, ჩვენს წინაშე იშლება ახლებურად დანახული სამყარო თავისი მდიდარი შინაარსით, რაც ყოველთვის გამოითქმულია მხატვრულად. მეტიწილი სახეებისა დრამატურგს ყოველთვის გახსნილი აქვს განსაზღვრულ სცენიურ სიტუაციებში.

მდიდარია ს. შანშიაშვილის დრამატურგიულ ნაწარმოებთა ენა. მან კარგად იცის, რომ პიესა არა მარტო საკითხავია, არამედ დასანახავი, გასაგონია სცენიდან. ს. შანშიაშვილის პიესების ენა ექსპრესიულია, რიტმულია, ამავე დროს ხალხურია, თავისებური ნიუანსების შემცველი. კარგად თქვა გერონტი ქიქოძემ: ს. შანშიაშვილი „საუცხოოდ ფლობს ქართულ ენას, მას მდიდარი ლექსიკონი აქვს, მისი მეტყველება ახლო დგას ქართველი ხალხის ძარღვიან მეტყველებასთან და მან დიდი საგანძობრი შეიტანა ჩვენი ენის კულტურაში. ვერც ერთი ქართველი ლექსიკოლოგი გვერდს ვერ აუხვევს მის ნაწერებს“.

ს. შანშიაშვილი ოსტატია მონოლოგისა და დიალოგისა, რომლებშიც გამოითქმის ცხოვრების შინაარსი, პერსონაჟების ბუნება და ხასიათი. მათი ინტელექტუალური დონე, ინტერესები და მისწრაფებები. ს. შანშიაშვილის დიალოგისათვის ნიშანდობლივია მძაფრი დრამატიზმი და კოლოზიციები.

ა. შანშიაშვილის პოეტურ ნაწარმოებებში გამომჟღავნებულია: აზრი, პათოსი, გრძნობა. ეს მით უფრო ითქმის იმ ლექსებზე, რომლებიც მან დაწერა სამი უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში. ამ ლექსებში იგი მთელი გულწრფელობით უმღერის ფრთაგაშლილ საქართველოს, სამგორს, რუსთავის მეტალურგებს, ომგადაზღდილ ვაჟკაცებს, მშვიდობას ხალხთა შორის, ახალ სოფელს, რთველს კახეთში, სახეცვლილ ბუნებას, ქართველ დედას, შრომის გმირებს.

რევოლუციამ ხალხის ზიგებიდან წამოაყენა მრავალი „უსახელო“ გმირი, რომელნიც იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის. ეს გმირები უკანასკნელ ამოსუნთქვამდე იცავდნენ მშრომელთა ხელისუფლებას. ერთი ასეთი „უსახელო“ გმირის შესახებ არის შეთხზული ს. შანშიაშვილის მიერ ბალადა „დედისერთა ვაჟიკა“. ვაჟიკა ლენინის ჯარის-

იაკი იყო. იგი დაიღუპა რევოლუციის მტრებთან ბრძოლაში. იმ დროს, როდესაც უკვე მოხუცი დედა „ბუხრის წინ შვილს სიზმარში ხედავდა, იმ დროს მისი ვაჟიკა მტერს ბრძოლაში ჰკვეთავდა“. იგი იბრძოდა წითლებთან, წითელ დროშას იცავდა. ჭარისკაცი ლენინს რუსეთში გაჰყვავა მტკიცედა. პირველ რიგში დაეცა... თავი დასდო ხალხისთვის. სისხლი ნორჩ-მა დაღვარა. ნახა სამშო, საფლავი, ველარ — დედის ქალარა“, მოხუცი დედა კი შვილს მოუთმენლად მოეღის:

მუდამ ფხიზლობს, მზად არის
შვილს გაუღოს კიშკარი
თავზე დასთენებია,
ამოსულა ცისკარი.
აღარ ძალუძს საბრალს...
შავს ძაძვებში დრო მიდის.
დედა მას ენაცვალს“, —
ხვალეც ღამე ლოდინის!..

მრავალი ასეთი ვაჟიკაცი იბრძოდა და მსხვერპლად ეწირებოდა რევოლუციას.

ს. შანშიაშვილი მთელი გატაცებით უმღერის სამშობლოსა და ხალხს.

ს. შანშიაშვილის პოეზიაში გვხვბლავს სახეებისა და ინტონაციების სიმდიდრე, მაგრამ მიუხედავად ამისა, მისი შემოქმედების გაცნობისას მკითხველს ექმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს იგი ყოველთვის არ აშალაშინებს სტრიქონებსა და სტროფებს. ამიტომ ამ ხასიათის ნაწარმოებები მოკლებულია ლირიულ მღელვარებას, მოდუნებულია, დაწერილია ოქმისებურად პრიმიტიულად. თხრობა გადასულია არა აუცილებელ წერილმანებში, გაქიანურებულია, პროზაულია და საერთოდ არ არის მისი ნიჭის შესაფერისი. ეს არის ცხოვრებისადმი გაიოლებული მიდგომის შედეგი.

მინც ს. შანშიაშვილმა იმდენი კარგი, მოსაწონი გააკეთა, რომ იგი სავსებით დამსახურებულად საჩვენებლობს მკითხველს საზოგადოებაში პოპულარობით. ს. შანშიაშვილი მეოცე საუკუნის ქართული პოეზიისა და დრამატურგიის ღირსეული წარმომადგენელია.

პაოლო იაშვილი

მეოცე საუკუნის ოცი-ოცდაათიანი წლების ლიტერატურულ მოძრაობაში პაოლო იაშვილს ერთ-ერთი საპატიო ადგილი უჭირავს. იგი იყო იმათ შორის, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქართულ პოეზიაში ახალი მიმართულების დაკვიდრება-განვითარებას.

პაოლო იაშვილი მაღალი კულტურისა და მომთხროვნელობის პოეტი იყო. ყოველთვის ეძიებდა საკუთარ შემოქმედებითს გზას, ამდიდრებდა ქართულ პოეზიას ახალი თემებით. მის ლექსებში გამომჟღავნებული იყო მძაფრი პათოსი და მკაფიო ინტონაცია. ეს ლექსები იყო მათი ავტორის ვაჟაკური ხმის ანარეკლი, მგზნებარე ტემპერამენტის გამოძახილი. მიუხედავად სიმბოლისტურ სკოლასთან კავშირისა, მაინც შეიძლება ითქვას, რომ პ. იაშვილი სიხარულისა და სინათლის პოეტი. ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ისმობდა მისი სახელი ქართულ პოეზიაში. ამ ხნის მანძილზე მან განვლო ვრცელი და შინაარსიანი პოეტური ცხოვრება.

პაოლო იაშვილი დაიბადა 1894 წლის 29 ივნისს, საჩხერის რაიონის სოფელ არგვეთში. ცხრა წლისა, 1903 წელს იგი შეიყვანეს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში. მეექვსე კლასში პ. იაშვილი რედაქტორობდა მოწაფეთა ხელნაწერ ჟურნალს „კოლხიდის ისარს“. გამოვიდა მისი რამდენიმე ნომერი და მასში თანამშრომლობდნენ ის ახალგაზრდები, რომელთაგან ზოგიერთმა შემდეგ მნიშვნელოვანი ღვაწლი დასდო მშობლიურ კულტურას.

1911 წლიდან პ. იაშვილი ბეჭდავს ლექსებს ქუთათურ ვაზეთ „კოლხიდაში“. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, 1912 — 1913 წლებში იგი რედაქტორობს სამხატვრო-სალიტერატურო ჟურნალს „ოქროს ვერძს“. ამ წლებში პ. იაშვილი განსაკუთრებით გატაცებული ყოფილა მხატვრობით. სამხატვრო კულტურის საფუძვლიანად დაუფლების მიზნით იგი გაემგზავრა პარიზში და შევიდა განთქმულ ლუერთან არსებულ ხელოვნების ინსტიტუტში.

თავის მოთხრობაში — „ფერადი ბუშტები“, პ. იაშვილი ასახელებს თავის პარიზელ მეგობრებს, პარიზში იგი ხვდებოდა არა მარტო ფრანგ მხატვრებსა და პოეტებს, არამედ სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ხელოვანთაც. მისი ნაცნობები და მეგობრები ყოფილან — გიომ აპოლინერი, პაბლო პიკასო, რიბეირა, ალბერტ უამი, მოდილიანი, ილია ერენბურგი და სხვები.

ამავე დროს პ. იაშვილი არ იეიწყებდა ლიტერატურულ მოღვაწეობასაც. ფრანგული პოეზიის გაცნობამ თანდათან გაათართოვა მისი შემოქმედებითი პორიზონტი. მაშინდელ ქართულ ჟურნალ-ვაზეთებში — „თემში“, „მეგობარში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“, „კოლხიდაში“ ათავსებდა ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებსა და პოეტურ თარგმანებს.

პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ პ. იაშვილი იძულებულია დაბრუნდეს სამშობლოში. მოგვიანებით დაწერილ ლექსში იგი ასე იგონებს ამ შემთხვევას:

1915, იანვარში
პორტმა, რომელსაც გლაზგო ჰქვია,
დიდ ნიაღვარში
მე გამისტუმრა ევროპიდან ინგლისის
გემზე „კაბადოკია“.

გამოვექეცი ევროპის ქაოსს,
სისხლს,
დანგრეულ რეიმის ტაძარს,
უზარმაზარ ტანკების ქშენას.
რეინის ირგვლივ თაობათა გადაშენებას...

პოეტს პარიზიდან თან გამოჰყვა მრავალი მოგონება და

მათ შორის, მარნასთან დაღუპული და პერლაშეზის სასაფ-
ლაოზე დაკრძალული გმირი ქართველის შესახებ.

სამშობლოში დაბრუნებული პ. იაშვილი აღარ გაპყოლია
მხატვრობის გზას, მისი ყურადღება უმთავრესად მიიპყრო
პოეზიამ.

1915 წელს პ. იაშვილი თავის მეგობარ ახალგაზრდა პოე-
ტებთან -- ტიცთან ტაბიძესთან, ვალერიან გაფრინდაშვილთან
და სხვებთან ერთად ქუთაისში აარსებს შემოქმედებით
ჯგუფს -- „ცისფერი ყანწები“. ეს იყო სიმბოლიზმის თავი-
სებური სახეობა. სიმბოლიზმში, როგორც ლიტერატურული
მიმართულება, ემყარებოდა განსაზღვრულ სოციალურ-პო-
ლიტიკურ და ფილოსოფიურ-ესთეტიკურ წინამძღვრებს. მის
ფილოსოფიურ საფუძველს წარმოადგენდა უარყოფა ობიექ-
ტური რეალობისა. სიმბოლისტებმა გასწყვიტეს კავშირი სი-
ნამდვილის ფართო სოციალური ათვისების მოთხოვნასთან და
პოეზია ააგეს იდეალისტური ირაციონალიზმის პრინციპებზე.
ისინი ამტკიცებენ ხელოვნების თვითმიზნურ ხასიათს, ილაშ-
ქრებენ ცხოვრების ამსახველი რეალისტური ხელოვნების
წინააღმდეგ; სიმბოლიზმის დამოუკიდებელ პრინციპს წარ-
მოადგენდა „სიმბოლოს“ იდეა, როგორც ძირითადი მხატვ-
რული მეთოდისა. სიმბოლო ეს არის ყოველგვარ შესაბამი-
სობათა გამოხატულება. სიმბოლისტურ ნაწარმოებში ხილულ
ქვეყანას დაკარგული ჰქონდა თავისი კონკრეტული ხასიათი.
უპირველესი ადგილი დათმობილი ჰქონდა პოეტის შემოქმე-
დებითს ჭირვეულობას. „ცისფერყანწელები“ დემონსტრა-
ტიულად მიუთითებდნენ თავიანთ დაშორებას ნაციონალური
საფუძვლებიდან, ნაციონალურ-მხატვრულ კულტურის ტრა-
დიციებიდან. სიმბოლიზმში, „ცისფერყანწელობა“ ქართულ
ლიტერატურაში იყო ანარეკლი პირველი რევოლუციის მომ-
დევნო ხანის სოციალურ-პოლიტიკური ვითარებისა.

ამ დროიდან პ. იაშვილი აქტიურად ჩაება ლიტერატუ-
რულ ცხოვრებაში. იგი აგრეთვე ლექსებს აქვეყნებდა ელენე
დარიაანის ფსევდონიმით.

ყავახანებში, ღუქანში, შხამში,
კვამლში, რეტიან ქალების წრეში,

მოხვდა, ჩავარდა პოეტი-ბავშვი,
ნაზი, ვით დილით გალობა შაშვის,
და ჩქარი, როგორც ზაფხულის თქეში.
მას თითქოს ზურგში ლურსმანი ესო,
როცა ეკვროდა გაღევილ დიაცს,
ესიზმრებოდა სოფლური ეზო
და მკერდის წვერზე მისული ტყვიაც.
დამყნილი იყო სარდაფის სკამზე
და ლექსებს დუქნის ტალახში სვრიდა;
და ავინებდა საკუთარ გამზრდელს
ამოგდებულ სიმშვიდის წრიდან...

მხოლოდ რამდენიმე ლექსის მიხედვით შეიძლება ლაპა-
რაკი პ. იაშვილის სიმბოლისტობაზე საერთოდ. ასეთ ლექსე-
ბად გვეჩვენება: „ლანდი სიცივეში“, „მალარმე“, „ვერლენ“,
„სევდიანი ზურმუხტი“, „არტურ რემბო“. მაგრამ ამ ლექ-
სებშიც არ გვაქვს გამომქლავებული უკიდურესი დეკადენ-
ტურ-სიმბოლისტური თვალთახედვა, ავადმყოფური ინდივი-
დუალიზმი და ესთეტიზმი, ფორმალიზმი და დაცემულობა;
რაც შეეხება ელენე დარიანის ფსევდონიმით გამოქვეყნებულ
ლექსებს — აქ არაფერია სპეციფიკურ სიმბოლისტური, ისი-
ნი უპირატესად სატრფიალო-ეროტიკული ლექსებია, რომლის
მსგავს ნაწარმოებს სიმბოლიზმამდეც ვხვდებით.

მდიდარი და რთულია პ. იაშვილის შინაგანი პოეტური
სამყარო, თუმცა მის სულში ამავე დროს გამომქლავებულია
ერთგვარი წინააღმდეგობრივი განწყობილებანიც. მის ლექ-
სებში უპირატესად გამოხატულია სინამდვილის შთაბეჭდი-
ლებები. პ. იაშვილის ლექსებს ახასიათებს პოეტური ძალა,
აზრობრივი სინათლე, გრძნობის ზომიერება, კომპოზიციური
სიმწყობრე, მოქნილობა და ენერგია. ეს ის თვისებებია, რაც
არ არის ნიშანდობლივი დეკადენტურ-სიმბოლისტური პოე-
ზიისათვის. თავისი ემოციური გამოსახვით და მხატვრული
მანერით პ. იაშვილი უფრო რომანტიკოსად გვევლინება. მის
პოეტურ მსოფლმხედველობას საფუძვლად უდევს რწმენა,
რომ ამქვეყნიური ცხოვრება არის უმაღლესი სიკეთე, წარუ-
ხორცელი სილამაზე.

პ. იაშვილი ერთ-ერთი პირველთაგანი ჩადგა საბჭოთა პოეზიის რიგებში. ახალ პირობებში გაიშალა მისი ნიჭის განსაკუთრებული შესაძლებლობანი. თავის შემოქმედებაში იგი უფრო და უფრო ანმტიციებდა სინამდვილის უშუალო გამოკვეთილობასა და წინააღმდეგობებში გამოხატვის ტენდენციებს. პოეტის მიერ ამ წლებში დაწერილ ნაწარმოებებში მოისმოდა თანამედროვე მოვლენათა გამოძახილი. სამყაროსადმი აღრინდელი ჰვრეტიითი დამოკიდებულების ნაცვლად, პ. იაშვილმა საკმაოდ მძლავრად გამოამჟღავნა სამშობლოსა და ხალხისადმი სამსახურის შეგნება.

როგორც ყოველი ჰემარიტი შემოქმედის, ისე, პ. იაშვილის წინაშეც ბუნებრივად დაისვა საკითხი ხელოვანის, პოეტის ადგილისა და როლის შესახებ განახლებულ ცხოვრებაში. მისთვის ცხადი გახდა, რომ პოეტი ვერ დარჩებოდა თანამედროვეობაში უბრალოდ. პასიურ მჭვრეტელად. პ. იაშვილის ლექსების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მას ღირსეულად ჰქონდა შეცნობილი შემოქმედის მისია ხალხის გათვითცნობიერების, მისი ცხოვრების გარდაქმნის საქმეში. ცხოვრებისა და ხელოვნების, სინამდვილისა და პოეტის ურთიერთობის პრობლემას მიუძღვნა პ. იაშვილმა არა ერთი და ორი საუკეთესო ლექსი. საკმარისია დავასახელოთ „პოეზიის ინჟინერებს“, „პოეზია“, „პოეტის საქმე“, „როგორც აფრის ტკაცუნი“, „ბადის ამბავი“, „საკუთარ თავს“, შესავალი პოემისა — „ცხოვრება ალიოშა ჯაფარიძისა“. ამ ნაწარმოებებში სრულად არის ჩამოყალიბებული პ. იაშვილის ესთეტიკური მრწამსი. მას შემოქმედებითი პროცესი მიაჩნია უაღრესად რთულ საქმედ, რომელიც მოითხოვს პოეტის სიცოცხლის ნაწილს:

რამდენი ლექსი დაიწერა. იმდენი წელი
ჩამოეწერა ჩემს ცხოვრებას. ვით აღამიანს...

ნამდვილ - პოეტს, რასაკვირველია, სხვაგვარად არ შეეძლო ეთქვა თავისი შემოქმედებითი ძიებების შესახებ. ის, ვინც ზერელედ, იოლად უყურებს პოეტურ საქმიანობას, რა-

საკვირველია, ვერ შექმნის ღირსეულ ნაწარმოებს. შემოქმედებითი პროცესისათვის მზადების მთელი სურათია ალფგორიულად დახატული პ. იაშვილის საუკეთესო ლექსში „ბაღის ამბავი“. პოეტი წერს:

ღვეთნები. მომინდება ამინდის სინჯვა,
ბევრი ნდომია მუშაობა ლექსების ბერტყვას,
გაუხედავ ბაღში, წვიმა ცვივა კრიალა ბრინჯად,
წვიმა. რომელიც მომაგონებს მოვარდნილ სეტყვას.
შემდეგ ამ წვიმას საღამომდე სინჯე მოსდევს,
ბავშვების ფეხთა ანაბეჭდებს სილაში სძინავს,
უცხად რაღაცა შეაშფოთებს კოპიტის ტოტებს —
ეს ბელურაა, რომ იბერტყავს ფრთებიდან წვიმას.
მოვა .საღამოც... ისევ შევალ ნაწვიმარ ბაღში
და უცხად ვიგაძნობ ჩასვლის უმალ — მზე აქ ყოფილა:
დავაკვირდები ღობეს, ფოთლებს, დაგდებულ ნახშირს,
და ყველაფერმა მზის აქ ყოფნა შემატყობინა.
მერე ამ სითბოს და ამ ბაღის პატარა ამბავს
შევიტან სახლში, ღია მრჩება ფანჯარა, კარი,
ლოგინზე მთვარე გადააფენს ცივ ტილოს საბანს,
და როგორც ლექსის დასაწყისი, ამოდის ქარი.

ამ სიტყვებში ყველაფერი ძუნწად არის ნათქვამი, მაგრამ ამავე დროს რა ემოციურობა, რა ძალა, რა სიღრმეა მასში!.. ამ თავისებურ ლექსში არსებითად პოეტის მთელი შემოქმედებითი ცხოვრებაა აღბეჭდილი. კარგი ნაწარმოების შექმნას იგი ადარებს დილის მზის ამოსვლას, ან კიდევ — ვაჟის დაბადებას ოჯახში.

პ. იაშვილი აქ არ შეჩერებულა. მას უფრო და უფრო მეტად აინტერესებდა ცხოვრებისა და პოეტის ურთიერთობის შინაარსი:

უნდა გავტეხო ახალი ახო,
ახალ სიტყვების დასაფანტავად,
უნდა იმისი წამალი ვნახო,
რამაც ხალისი ამოათავა
ახალი ფერით, ნაღდი საღებით
დავატრიალო სიტყვა ახალი,
მომავლისათვის ხელშესახები
და ათრთოლებით შესანახავი...

პოეტი იმავე ლექსში გამოთქვამს კრიტიკულ დამოკიდებულებას თავისი წარსულისადმი.

რევოლუციის შემდეგდროინდელ ლექსებში პ. იაშვილის პოეტური მრწამსი სავსებით ეგუებოდა რეალისტური ესთეტიკის პრინციპებს. იგი ასე მიმართავდა თავის თავს:

დაჯექ, დაწერე, დახატე,
რითაც ცხოვრება ივსება,
პიეც დამშეულ ქაღალდებს
საშვილიშვილო თვისება.

გასინჯე ცეცხლის ლაღარში
სიმაგრე ლექსად თქმულისა.

ვერ ნახო სიტყვის გარეშე
სხვა მოწოდება მაღალი...

შემდეგ პ. იაშვილი ჩამოთვლის, თუ რას უნდა მიაქციოს ყურადღება პოეტმა. მისი თქმით, თანამედროვე პოეტმა უნდა დააწეროს, თუ როგორ იზარდა ჩვენი თაობის დიდებამ; როგორ აივსო სიმაართლით ღარიბი ოჯახი; პოეტმა უნდა დაწეროს მტერთა ბანაკზე და მიწის სიხარულზე, ჩვენი ქვეყნის წარსულზე და უსამართლობასთან მეტბოლო ადამიანებზე:

დაჯექ, დაწერე, დახატე,
რაც ბუნებაში გელექსა...

ბუნებამ რომ დაარწიოს
შენი უბადლო ხელობა;
და რომ სიმღერამ გასწიოს
ღროშების მაგიერობა.

რომ ამაყობდეს სამშობლო
შენი მდიდარი წიგნითა...

გვაგონდება ვახტანგ ორბელიანის ანალოგიური ლექსი პოეტის დანიშნულებაზე. მაგრამ რა დიდი განსხვავებაა ამ ორ ლექსს შორის: თანამედროვე პოეტის თვალთახედვა უფრო ფართოა, ემყარება მოწინავე მსოფლმხედველობას.

სამშობლოსა და ხალხის წინაშე მაღალი პასუხისმგებლო-

ბის შეგნებას გამოხატავს პ. იაშვილის სხვა ლექსებიც, მათ შორის „პოეტის საქმე“. იგი მთელი გულწრფელობით წერს:

ჩემო ქვეყანაე, დამსვი პოეტად
შენი შრომის და მიწის საქებად,
და რაც კი ძალა მომეპოვება,
მინდა ლექსებით გადმოლაგება.
მიწაე, ახალი დალით დაგტორეს.
მთებო, მოგასკდნენ რკინის ჯოხები;
მეც ვუშლერ ველად გაქრილ ტრაქტორებს
და ოქროს მადნებს მივეჩქარები.
ზეც, გაზაფხულო, შენის დიდებით
საესე, ყოველ ღლის საქმეს ვეხები,
და მწერლის შრომას მოვეკიდები,
როგორც ჰკიდია გუთანს გლეხები.

როგორი შაღალი და საპატიო გაგებაა პოეტის როლის; როგორც ხალხის მსახურისა პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი დროის მწერლებიდან არც ერთს არ გამოუთქვამს ასე სრულად თავისი შემოქმედებითი შრწამსი, როგორც ეს პ. იაშვილმა ჩამოაყალიბა.

განახლებულ სამშობლოს და შრომის ადამიანებს მიუძღვნა პ. იაშვილმა საუკეთესო, გულწრფელი, ემოციური ლექსები. გმირული სულისკვეთებით ამღერებული პოეტი, თავის შემოქმედებაში გამოხატავდა უჩვეულო ლირიკულ აღმავლობას, სიცოცხლის განმამტკიცებელ პათოსს. ახალგაზრდული მგზნებარებით უმღეროდა პ. იაშვილი ცხოვრების სიხარულს, ბედნიერებას, ახალ ადამიანსა და მის საქმეს.

დიდი ინტერესის შემცველია პ. იაშვილის ლექსების ის ციკლი, რომელიც მიძღვნილია კოლხიდისადმი. ერთსა და იმავე თემასთან დაკავშირებულ ამ ლექსებში ასახულია ცხოვრების გარდაქმნის გრანდიოზული სურათები, ახალი ცხოვრების დამკვიდრება კოლხიდაში:

ხალხის სახელით დღეს შევალგბა
ვიყო მერყველი შენი სიამის,
დილა ვადიდო ცისფერთვალება
და ამაღლება ადამიანის...

პოეტი თავის ლექსებში ითვლის ხალხის სიხარულს; რაც მას აღორძინებული კოლხიდის მიდამოებში შეუძნნევია.

ეს წმინდა გრძნობა სამშობლომ იცის.
და ისე მიმღერს ჩემი ქვეყანა,
როგორც უნაზეს მგერელი ძიძის
შვილობილისთვის ნათქვამი ნანა...

პ. იაშვილი ხატავს კოლხიდის ბუნებას. მის ადამიანებს, შრომას, სიახლეს.

• • •

ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს პ. იაშვილი თავისი ლექსებით დროულად ეხმაურებოდა. მან ერთმა პირველთაგანმა უმღერა სამგორს, მისი მიდამოების მკვდრებით აღდგომას.

პ. იაშვილის პოეზიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხალხთა მეგობრობის იდეას. გულწრფელი ლექსები მიუძღვნა მან მოძმე ხალხების საუკეთესო შვილებისადმი სიყვარულსა და პატივისცემას. მის მიერ დახატული უკრაინელი ქალი და დიდი სომეხი პოეტი ოვანეს თუმანიანი სავსებით განახორციელებენ კეთილშობილურ იდეას მოძმე ხალხთა ურთიერთ სიყვარულისა და პატივისცემისა. ამ მხრით ფრიად საგულისხმოა აგრეთვე მისი ერთ-ერთი ადრინდელი ლექსი, მიძღვნილი პოლონელი ხალხისადმი.

პ. იაშვილს დაუმთავრებელი დარჩა ვრცელი პოემა — „გზა მშვიდობისა“. ამ პოემის მხოლოდ ორი თავის დაწერა და გამოქვეყნება მოასწრო მან „მნათობში“ 1936—1937 წლებში. პოემის ცნობილი თავები ატარებენ რომანტიკულ შინაარსს, მოგვითხრობენ სასიყვარულო ამბავს. გრანდიოზული ბუნების გარემოცვაში პორტრეტული ხატვით მკითხველის წინაშე წარმოდგებიან უბრალო მთის შვილები, რომლებსაც უყვართ ერთმანეთი. პოემის ამ ორ თავში მხოლოდ ექსპოზიციასთან გვაქვს საქმე.

„გზა მშვიდობისა“ ადასტურებს, რომ პ. იაშვილი დიდ ლირიკულობასთან ერთად დიდი ეპიური თემის პოეტიც იყო.

იგი სადა, ნათელი, დახვეწილ, ამღერებულ სტრიქონებში გამოთქვამდა ნაწარმოების შინაარსს. პ. იაშვილი ორგანიულად იყო დაუფლებული ხალხური ენის სიმდიდრეს და თავისუფლად განაგებდა მას თავის პოეტურ შემოქმედებაში.

პ. იაშვილი საუკეთესო მთარგმნელი იყო. იგი ერთ-ერთი პირველი მთარგმნელია შ. ბოდლერის, ა. ზემბოს, ო. უაილდის, კ. ბალმონტის, ე. ვერჰარნის ლექსებისა. რამდენიმე საგულისხმო ნაწარმოები მიაწოდა მან ქართველ მკითხველს ვ. მაიაკოვსკის შემოქმედებიდან. მაგრამ ყველაზე მეტი დამსახურება მას მიუძღვის ა. პუშკინის მრავალი ლექსისა და პოემის თარგმნის საქმეში. პ. იაშვილი პუშკინის შესანიშნავი მთარგმნელია. პუშკინის ნაწარმოებთა თარგმნას ქართულად დიდი ხნის ისტორია აქვს. მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენს საუკეთესო პოეტთაგან თითქმის ყველას უთარგმნია პუშკინის სხვადასხვა ნაწარმოებნი. მაგრამ პუშკინის თხზულებათა შესანიშნავი თარგმანებით პ. იაშვილმა უეჭველად ახალი სიტყვა თქვა. შემთხვევითი როდია, რომ ეს თარგმანები მკითხველ საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს.



პ. იაშვილი ქართული პოეტური სიტყვის მაღალ ნიჭიერი ოსტატია. თავისი ლექსებისათვის მან იპოვა ახალი ფერები, ახალი ტონალობა, გამოამყვანა ინდივიდუალური სტილი. მას არ აქვს უფერული, დაუღვეარი, გულგრილი ნაწარმოებები. იგი აზრის გარკვეულობასა და სინათლეს არ წირავს ლექსის სხვა ელემენტს, რაზედაც იოლად შიდიან ზოგიერთები.

პ. იაშვილის ლექსებისათვის დამახასიათებელია ღამაზი და პარმონიული ფორმა, ღრმა და თავისებური სახეები, რომელთა შექმნისათვის. იგი მასალას პოულობს ჩვენსავე სინამდვილეში: პოეტი ხედავს ოქროსფერი ნაყოფით დახუნძლულ ხეს და მას ასეთ შედარებაში წარმოგვიდგენს:

თუ გინახავთ საღმე თერგის
ნაპირებზე ქალი..
ქისტის ქალი, დახატული

მძივებიან მკერდით
როგორც ოქროს ნაკადული
რომ ჩაგირბენთ გვერდით.
ნერგიც ასე ელავს რხევით.
მძიმე ტოტებს გაშლის...

ეს ლამაზი შედარებაა, რომელიც ქმნის მთლიან სურათს
ზოლო შებინდებას პოეტი შემდეგნაირად გვიხატავს:

როგორც აყვავებული იასამნის ტოტები,
დაეფინა საღამო ამაღლებულ სახურავს...

ეს შედარებები რეალისტურია და სავსებით განსაზღვ-
რავენ პ. იაშვილის პოეზიის თავისებურებას.

შინაარსის გაღრმავებისა და გაძლიერების მიზნით
პ. იაშვილი ლექსში მიმართავდა სიტყვათა განმეორებას:
„როგორც ზეციდან მტრედების ჯოგი“, „როგორც ურმული
გადადის ბოგირს“, „როგორც დასტოვებს კოლხიდის ლო-
გინს“, „ჯერ ისეთი ფეხშიშველა“, „ჯერ ისეთი თვალტანადი“
და ა. შ. სიტყვათა ასეთი განმეორებანი ლექსში სავსებით
ბუნებრივად ეღერენ და ხელს უწყობენ აზრის სიღრმეს.

ჰ. იაშვილის ლექსების რიტმი და რითმა სხვადასხვაგვა-
რია, მაგრამ ზუსტი და ხშიერი; ენა პოეტისა ფერადოვანია,
მდიდარი, რაც ემსახურება მხატვრული შთანაფიქრის სრულ-
ლად გამოხატვას. მის ლექსში ყოველი სიტყვა გააზრებულია.
თავის ადგილზეა, რაც ლაპარაკობს შემოქმედის დიდ ღირ-
სებზე.

ქართული ისტორიული რომანის კლასიკოსი



ვასილ გარნოვი

ახასიათებს რა ვალტერ სკოტის შემოქმედებასა და მის ცნობილ ისტორიულ რომანს „კვენტინ დორვარდს“, ვიქტორ პიუგო წერს: „ქეშმარიტად არის რაღაც განსაცვიფრებელი და საუცხოო ამ კაცის ნიჭში, რომელიც მკითხველს ეპყრობა ისე, როგორც ქარი ხის ფოთლებს, რომელიც თავისი სურვილის მიხედვით აიძულებს მკითხველს გადახედოს სხვადასხვა საუკუნესა და სხვადასხვა ქვეყნებს, თითქოს თამაშობაში გადაუშლის მას. რაც დაფარულია ადამიანის გულის საიდუმლო სიღრმეებში, ბუნების ამოსაცნობ მოვლენებში და თვით ისტორიის გაურკვეველ ფურცლებში... ეს განსაცვიფრებელი ჯადოსანი უპირველეს ყოვლისა, ცდილობს დახატოს სიმართლე. მისი კალამი არ შორდება ქეშმარიტებას, თვით იმ ქეშმარიტებასაც, რომელიც წარმოიშვება მაშინ, როდესაც ხატავს ცდუნებას... ვგრძნობთ მის მისწრაფებას, რომ პორტრეტები იყოს ნათელი სურათები, ხოლო სურათები ზუსტად აღბეჭდავდნენ პორტრეტულ მსგავსებას. იგი გვიხატავს ჩვენამდე ნაცხოვრებ ადამიანებს მთელი თავიანთი ვნებებით, ნაკლითა და შეცდომებით... ვალტერ სკო-

ტი ათანხმებს უმნიშვნელო წყაროებს: სიზუსტეა იატორიის საზეიმო სიდიადესთან და რომანისტის თხრობასთან. მისი ძლიერა და დაკვირვებულნი გენია ღრმად წვდება წარსულის ნიშნებს: მისი მართებული ყალამი გვიხატავს რომელიმე გაურკვეველი სახისაგან სავსებით გამოკვეთილ პორტრეტს და გვაძლევს გავიგოთ ისიც, რაც ჩვენ არასოდეს არ გვინახავს: მის მოქნილ და ამავე დროს დიდ გონებას შეუძლია ჩამოაყალიბოს თითოეული ეპოქის, თითოეული ქვეყნის ნიშნები, და მსგავსად ბრინჯაოს სიმტკიცისა შეინახოს ეს ანაბეჭდი შთამომავლობისათვის“. გამოჩენილი ფრანგი მწერლის ეს სატყუები შეიძლება გავიმეოროთ შესანიშნავი ქართველი მწერლის ვასილ ბარნოვის მიმართაც.

ვასილ ბარნოვა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე განვლო მშობელი ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი მუდმივ და ღრმა ინტერესში. საქართველოს წარსულისადმი მისი მიმართვის წყარო და საფუძველი იყო 'პატრიოტული სიამაყის გრძნობა. ვ. ბარნოვა საუცხოოდ იცოდა თავისი ხალხის ისტორია და დიდად უყვარდა ეს წარსული. „მიმქრალი შარავანდედის“ ავტორის ნაწარმოებებში ოსტატურად, მაღალმხატვრულად გამოხატულია საქართველოს მდიდარი და მრავალსაუყუნოვანი ცხოვრება.

ქართულ ლიტერატურაში ვ. ბარნოვის შემოქმედებასთან არის დაკავშირებული ახალი საფეხური ისტორიული რომანის განვითარებაში. ამიტომ ვახდა იგი ქართული ისტორიული რომანის კლასიკოსი. —

აღრე ვ. ბარნოვის რომანებსა და მოთხრობებს არ გამოუწვევია კრიტიკაში შეხედულებათა, აზრთა სხვადასხვაობა. შეჯახება. არც სალიტერატურო და არც საისტორიო კრიტიკა სათანადოდ არ გამოწმუტრებია ამ დიდი მწერლის ნაწარმოებებს, რომელთაც ქართულ ლიტერატურაში განავითარეს და განამტკიცეს შემოქმედების უმნიშვნელოვანესი და ურთულესი ენარი — ისტორიული მხატვრული პროზა. მხოლოდ იმ ცალკეულ წერილებსა და მიმოხილვებში, რომლებიც ვ. ბარნოვის აციოცხლან უკანაჰკნელ ხანს და გარდაცვალების შემდეგ დაიწერა. იგი დახასიათებულია როგორც „დიდად ორიგინალური შემოქმედი“, რომელიც „ფილოსოფიუ-

რად ყველაზე უფრო მეტად არის განსწავლული ახალ ქართულ მწერალთა შორის“, რომელსაც „ახასიათებს წარსულის განჭვრეტის განსაკუთრებული ნიჭი და ისტორიული დეტალების ცოდნა“, რომელსაც „გააჩნია თავისებური პოეტური მეტყველება“, რომლის „ოსტატობა ადის მხატვრული პროზის უმაღლეს მწვერვალზე“ და რომელიც „მთელი თავისი შემოქმედებით ზაქაყშირებულია ძველი ქართული ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენლებთან“.¹ ეს სიტყვები მართებულად განსაზღვრავენ ვ. ბარნოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის ხასიათსა და მნიშვნელობას. მართლაც, რომ ღრმად თავისებურია ქართული ხალხის ისტორიული წარსულის ამ მემკვიდრის მხატვრული შემოქმედება.

აღსანიშნავია, რომ ვ. ბარნოვის მდიდარ მხატვრულ მემკვიდრეობაში ნაწარმოებები, რომლებიც მიძღვნილია ქართველი ხალხის მახლობელი ხანისადმი, შედარებით მცირეა. მას არ დაუწერია არც ერთი მნიშვნელოვანი არაისტორიული რომანი. მართალია, ვ. ბარნოვს აქვს რომანები, რომლებიც მიძღვნილია ახალი ეპოქისადმი („სევდის საგუბარი“ და სხვ.), მაგრამ დაკვირვებული მკითხველი აშკარად შეამჩნევს, რომ ამ შემთხვევაში იგი თავის კალაპოტში არ იმყოფება. ყველა ის მიღწევა, რაც მას ისტორიული რომანის სფეროში აქვს თითქმის არ მუდგენდება თანადროულ თემებზე დაწერილ რომანებში. აქ არ მოჩანს ვ. ბარნოვისათვის დამახასიათებელი მასშტაბი მხატვრული მოვლენების ჩვენებისა, ფართოდ

¹ იხ. გრ. ყიფშიძე — „უასილ ბარნოვი“, შესავალი წერილი — ბიოგრაფია ვ. ბარნოვის „თხზულებათა“ პირველი ტომისა, თბილისი, 1920 წ. წერა-კითხვის გამ. საზ. გამ; გ. ქიქოძე — „უასილ ბარნოვი“, შესავალი წერილი „ტფილისის აჩრდილებისა“. „ქართული წიგნის გამოცემა 1929 წ., გ. ქიქოძე „უასილ ბარნოვის ფილოსოფიისათვის“. კრებულში — „ნარკვევები“, „ფედერაციის“ გამოცემა. 1941 წ.; გ. ლეონიძე — „უასილ ბარნოვი“. ვაზ. „კომუნისტი“, 1934 წ. № 259; შ. რადიანი — „უასილ ბარნოვი და ისტორიული რომანის პრობლემა“, „კრებულში — „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, სახელგამი, 1936 წ. ს. ჩიქოვანი „უასილ ბარნოვის „ფერად-ფერადის“ გამოცემის გამო“. შესავალი წერილი „ფერად-ფერადისა“, „ფედერაციის“ გამოცემა. 1934 წ. ა. გაწერელია — „ვ. ბარნოვი“, კრებულში „წიგნები და ავტორები“, „ფედერაციის“ გამოცემა, 1941 წ.

დამუშავებული ფონი და ტიპები. თავისი ხალხის გმირული წარსული, საამაყო ტრადიციები არის მის ნაწარმოებთა უმრავლესობის საფუძველი და წყარო. მხოლოდ საქართველოს ისტორიული წარსულის ასახვაში გამოავლინა ვ. ბარნოვმა თავისი დიდი მხატვრული ნიჭი და ცოდნა. შექმნა რა მრავალი თვალსაჩინო ნაწარმოები.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაში აღსდგა: განახლდა მხატვრული ლიტერატურის დიდი ფორმები. მისი ნაწარმოებები გამსჭვალულია ფართო ეპიური თვისებებით. XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისტორიული რომანის, როგორც სპეციფიკური პოეტური ჟანრის განვითარება, უშუალოდ დაკავშირებულია ვ. ბარნოვის სახელთან. თავისი შესანიშნავი შემოქმედება მან მიუძღვნა ისტორიულ-მხატვრულ პროზას და გამოიმუშავა თავისებური მეთოდი ისტორიის ესთეტიკური ათვისებისათვის. ამ ხასიათის ნაწარმოებებში ვ. ბარნოვი გამოჩნდა როგორც საქართველოს წარსულის ღრმა მცოდნე, რომელიც საფუძვლიანად გრძნობს ეპოქის მოვლენებს. იგი ქმნის მაღალმხატვრულ და კოლორიტულ ისტორიულ რომანებს. ვ. ბარნოვი ავტორია ისეთი მნიშვნელოვანი ისტორიული რომანებისა, როგორიცაა: „ისნის ცისკარი“ (1901 წ.), „სახიფათო სიყვარული“ (1908 წ.), „მიმქრალი შარავანდედი“ (1913 წ.), „ტრფობა წამებული“ (1918 წ.), „ხაზართა სასძლო“ (1919—1922 წ.), „განგების რკალში“ (1923—1925), „არმაზის მსხვერვეა“ (1925 წ.), „ნათელმოსილნი“ (1926 წ.), „დედოფალი ბიზანტიისა“ (1927 წ.). „ცოდვა სიკვამლისა“ (1928 წ.), „რაინდი სული“ (1928 წ.), „თამარ პრეში“ (1929 წ.), „პირიმზე“ (1930 წ.). „ისკანდარი“ (1933 წ.): ზოგიერთი ამ ისტორიულ რომანთაგანი ავტორის სიკოცხლეში არ გამოქვეყნებულა („პირიმზე“, „დედოფალი ბიზანტიისა“, „ცოდვა სიკვამლისა“. „ისკანდარი“, „რაინდი სული“).

ვ. ბარნოვს, როგორც ისტორიულ რომანისტს. მთლიანად ახასიათებს ის თვისებები, რასაც ი. ჭავჭავაძე მოითხოვდა ისტორიულ თემაზე მომუშავე მხატვრული ნაწარმოების ავტორისაგან: „ღვთით მომადლებულ ნიჭს“; „დიდ ცოდნას ისტორიისა“, „დიდ გონებაგახსნილობას“ და „განათლე-

ბას“.¹ თავის რომანში ვ. ბარნოემა ისტორიული წარსული გამოხატა უფრო მეტი მრავალფეროვანებით, ვიდრე მისმა თანამედროვე რომელიმე ქართველმა მწერალმა. ლეო ქიაჩელმა მართებულად მიუთითა: „როგორც ყველა დიდი მწერალი, ვასილ ბარნოეიც ფლობს იშვიათ საიდუმლოებას მოვლენების სიღრმეში ჩაწვდომისა და მათი უზუსტესი შეფარდებისა იმ მიზნებთან, რომლებიც მის მთავარ მხატვრულ ამოცანას წარმოადგენენ. აქედან გამომდინარეობს ვასილ ბარნოეის ნაწარმოებების ზემოქმედების ძალა, რომელიც ყოველთვის ეფექტიური რჩება მკითხველისათვის, მიუხედავად ხატვის, აზროვნებისა და მეტყველების სისტემის სირთულისა, რაც ვასილ ბარნოეს ახასიათება“.²

ვ. ბარნოეის ისტორიული რომანები წარმოადგენენ ქართული ლიტერატურის შესანიშნავ მოვლენას, როგორც თემატიკური მნიშვნელობით, ისე მხატვრული შესრულებით. წარსულის უშუალო ათვისება, პოეტური ოსტატობა და მდიდარი სიტყვიერი მასალა განსაკუთრებულ მნიშვნელობას აკუთვნებს ამ რომანებს ქართულ ლიტერატურაში. „ეს ნაწარმოებნი უსათუოდ დიდი მიღწევია ქართული მხატვრული პროზისა“.³

ვ. ბარნოეის მრავალრიცხოვანი რომანები მოითხოვენ სერიოზულ მეცნიერულ-კრიტიკულ შესწავლას. ეს ნაწარმოებნი მდიდარ მასალას იძლევიან ისტორიული რომანის პრობლემის დასმისა და გადაწყვეტისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული მხატვრული პროზის ქანრში ვ. ბარნოეი მალა დგას XIX — XX საუკუნის თითქმის ყველა ქართველ მწერალზე.

ჩვენი შრომის მიზანია სპეციალური შესწავლა ვ. ბარნოეის მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობის ამ ერთი და მთავარი მხარისა. მისი შესწავლა საშუალებას მოგვცემს გავიფიქროვოთ ისტორიული რომანის პრობლემა საერთოდ და ყერძოდ. მისი განვითარება ქართულ ლიტერატურაში.

¹ ი. კავკაჟაძე — თბულებანი ტ. II, სახელგამი, 1941 წ.

² ლეო ქიაჩელი — „ვასილ ბარნოეი“, ტ. IV, სახელგამი, გვ. 3: 1.

³ ს. ჩიქოვანი — „ვასილ ბარნოეის ფერად-ფერადის გამოცემის გამო“, შესავალი წერილი—ვ. ბარნოეი, — „ფერად-ფერადი“, 1934 წ. გვ. 41.

ვასილ ბარნოვის წინაპრები სამცხე-საათაბაგოს სოფელ ბარნავეიდან გადმოსულან სოფელ კოდაში. ამ სოფლის მკვიდრთ ახალმოშენეთათვის პირველი მშობლიური სოფლის სახელი ბარნავეი გვარად გადაუკეთებიათ და უწოდებიათ ბარნაველები.¹ კოდაში ბარნოვიანთ რამდენიმე თაობას უცხოვრია. ეს სოფელი გაშენებულია ვაკეზე, გარშემორტყმულია მინდორ-ველებით. სამხრეთით შემოფარგლულია იაღლუჯის, ხოლო ჩრდილო-დასავლეთით თრიალეთის მთებით. კოდადან მკაფიოდ იხედება მთების კალთებსა და ტაშირზე გაშენებული და ერთმანეთისაგან მცირე მანძილით დაშორებული სოფლები: ერტისი, ღიაუბანი, მარაბდა, ვაშლოვანი, თელეთი.

მომავალი მწერლის მამა ზაქარია იყო მღვდელი, თბილისის სემინარიაში სწავლამიღებული. ღედას ვ. ბარნოვისა იაშვილის ქალს — მაიკოს, კარგი შინაური განათლება ჰქონია მიღებული და დიდი მწიგნობარიც ყოფილა.

ვ. ბარნოვი დაიბადა 1857 წლის 3 ივნისს, სოფელ კოდაში. ბავშვობის პირველი წლები მან გაატარა თავისი პაპის — იაკობ მღვდლის პატრიარქალურ ოჯახში. შემდეგ მისი მამა ზაქარია გაამწესეს მღვდლად ერწოში, ტოლათსოფელში, რომელიც ხევსურებით არის დასახლებული. აქ ყოფნამ და ხევსურების ყოფა-ცხოვრების გაცნობამ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა მომავალ მწერალზე. მათი სახლის მახლობლად, მდინარე აძეძის მარცხენა ნაპირას, შეფენილ ვაკეზე იდგა ეკლესია, იქვე — სკოლის შენობა. ამ შენობებისა და მირგვალაის ხევის იქით, დიდ ვაკეზე, აშენებული იყო ხევსურების სამლოცველო კოპალე-იანსარისა. იანსარის დეკანოზის კურდღელას ვაჟი ვ. ბარნოვის ბავშვობის მეგობარი იყო, და თვითონ კურდღელაც ძალიან ჰყვარებოდა პატარა ვასილს. იგი არა ერთგზის დახმარებია დეკანოზს ხატის მსახურების დროს.

თ. სახოკია — „ვასილ ბარნოვი“, იხ. „სამი რომანი“, სახელგამო-
1930 წ.

წერა-კითხვა ვ. ბარნოვს ასწავლა დედამ, რომელმაც განუვითარა ბავშვის სიყვარული ხალხური შემოქმედებისადმი — ზღაპრებისა და სიმღერებისადმი; როდესაც წამოიზარდა, იგი ნიაბარეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში. ამ სასწავლებელში გამეფებული იყო მკაცრი რეჟიმი, სასტიკი მოპყრობა მოწაფეთადმი. იმდროინდელი სკოლა და მასწავლებლები ჰყავს ვ. ბარნოვს გამოყვანილი „ქოჩორა ხეში“. ბავშვის ნათელი და დაკვირვებულ გონება მაინც არ უდრკება ამ სიმკაცრეს. იგი გულმოდგინედ და კარგად სწავლობს, ამქავე ვნებს განუსაზღვრელ წყურვილს ცოდნის შეძენისა, მეცნიერების დაუფლებისა. იგი დაკვირვებით სწავლობს იმდროინდელი თბილისის ცხოვრებას.

ამ ხანამ ვ. ბარნოვს მისცა საშუალება ზედმიწევნით გასცნობოდა თბილისის მოქალაქეთა ყოფას, დაახლოვებოდა ხელოსნებს, ღარიბ ხალხს, რომელთა ოჯახებში თვით იზრდებოდა, დაჰკვირვებოდა მათს ზნე-ჩვეულებას, რომ ყოველივე ეს სარჩულად დასდებოდა მის მოთხოვნებს თბილისის შესახებ, რომლებშიაც გადაშლილია გარდასულ დღეთა ცხოვრება.¹

თბილისის სასულიერო სემინარიაში მოწინავე მოსწავლეებს ჰქონდათ საიდუმლო ბიბლიოთეკა, რომელშიაც თავმოყრილი იყო პროგრესულად მოაზროვნე მწერლების თხზულებები. ამ თხზულებებს ვ. ბარნოვი გატაცებით კითხულობდა.

სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 14 წლის ვ. ბარნოვი გადადის თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომლის დამთავრების შემდეგ მან ერთი წელი დაჰყო ზედამხედველად თბილისის სემინარიაშივე, ხოლო 1878 წელს კი შევიდა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, საისტორიო ფაკულტეტზე. შესასვლელი გამოცდების საუკეთესოდ ჩაბარების გამო, ვ. ბარნოვი ჩარიცხეს აკადემიასთან არსებულ პანსიონში სახელმწიფო ხარჯზე. ამ დროის თავისი ცხოვრება და სწავლა ვ. ბარნოვმა შემდეგ აღწერა მოგონებებში „სამწუხარო ღიმი“. მაშინ მოსკოვის აკადემიაში საკმაოდ ლიბე-

¹ თ. სახოკია — „ეასილ ბარნოვი“, იხ. „სამი რომანი“, სახელგამი, 1930 წ. გვ. X^v

რალური სული მეფობდა, იქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი პროფესორები, მათ შორის ისტორიკოსი კლუჩევსკი და ფილოსოფოსი კუდრიავეცევი. იგი დიდის ინტერესით კითხულობდა სასულიერო აკადემიის მდიდარ ბიბლიოთეკაში დატულ წიგნებს.

სასულიერო აკადემია ვ. ბარნოვმა დაამთავრა 1882 წელს. სამაგისტრო თხზულებად ჩააბარა — „პასკალი იეზუიტების წინააღმდეგ“, ამავე წელს იგი დანიშნეს სენაკის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად. „სამი წელი ისე გაატარა სენაკში, რომ ერთი მომდურავი როგორც სასწავლებელში, ისე საზოგადოებაში ვ. ბარნოვს არავინ ჰყოლია. პირიქით, ყველას მარტოოდენ მისი ქება და მადლობა ამოსდიოდა პირიდან. ასეთი სახელი კაიკაცობისა, შეგნებულ და უმწიკლო მოქალაქისა სენაკში იმ დროს არავის დაუმსახურებია“. ¹ შემდეგ ვ. ბარნოვი გადმოიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში ინსპექტორის თანაშემწედ.

თბილისში ვ. ბარნოვი მუშაობდა აგრეთვე ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის ისტორიულ-არქეოლოგიურ კაბინეტში და გაზ. „ივერიის“ რედაქციაში. „ივერიის“ რედაქტორად ამ დროს იყო ი. ქავჭავაძე.

1885 წელს სემინარიის მოწაფემ ლალიაშვილმა მოჰკლა შავრაზმელი რექტორი ჩუღეცკი. ამის შემდეგ სემინარიაში განსაკუთრებით სასტიკი რეჟიმი გაბატონდა, ქართველი მასწავლებლები აღარ შეარჩინეს სემინარიას. ვ. ბარნოვი გადაიყვანეს თელავში, სადაც ოცდახუთი წლის განმავლობაში მასწავლებლობდა სასულიერო სასწავლებელსა და ქაღთას სასწავლებელში.

თელავში ვ. ბარნოვმა ცოლად შეირთო საქალბო ინსტიტუტის კურსდამთავრებული ნინო ბენაშვილი. თავისი დოქახების ამბავი ვ. ბარნოვმა შემდეგში გამოხატა ლამაზად დაწერილ მოთხრობაში „ალუჩა“; თავის მოზრდილ ნაწარმოებში „სევდის საგუბარი“ გმირი ქალის გულნაზის სახით

¹ თ. სახოკია—„ეასილ ბარნოვი“, „ლიტერატურის მატრიანე“, 1952 წ. წიგნი 6. ნაკვეთი პირველი.

ვ. ბარნოვს გამოყვანილი ჰყავს თავისი მეუღლე.¹ მხოლოდ 1911 წელს დააბრუნეს ვ. ბარნოვი თბილისში და ისევ დანიშნეს ქართული ლიტერატურის მასწავლებლად სემინარიაში.

რევოლუციის შემდეგ ვ. ბარნოვი მასწავლებლობდა თბილისში ქალთა მეშვიდე გიმნაზიაში. ამავე დროიდან კითხულობდა ლექციებს მუშათა აუდიტორიებში. პედაგოგიური მოღვაწეობა მას მიაჩნდა დიდი მნიშვნელობის საქმედ და ამიტომ მთელი შეგნებით, მონდომებით ემსახურებოდა მას.

სამწერლო მოღვაწეობა ვ. ბარნოვმა ლექსებით დაიწყო.² იმავე ხანებში პრესაში გამოქვეყნდა მისი საეთნოგრაფიო ხასიათის წერილები და კორესპონდენციები.³

მხატვრული პროზიდან ვ. ბარნოვის პირველი ნაწარმოები — „სურათები“ დაიბეჭდა 1878 წელს „დროებაში“. მას მოჰყვა მოთხრობები: „ჩენი ლამაზი“, „სესე“ და „პაპუნა“ („ხარაზი“); 1893 წელს „კვალში“ გამოქვეყნდა მისი ორიგინალური ისტორიული მოთხრობა „პატარა ლევანი“.⁴ ეს ნაწარმოები შეეხება მეთექვსმეტე საუკუნეს. მასში ასახულია სამეგრელოს მთავრის მემკვიდრის ლევან გიორგის ძის ტრაგიკული დაღუპვა მოქიშპეთაგან ტახტის დაუფლებისათვის; შემდეგ დაიბეჭდა ისტორიული მოთხრობები „მსხვერპლი“ და „სვიმონ ნელი“. ამის შემდეგ ვ. ბარნოვის მხატვრული ნაწარმოებები შეუწყვეტილ იბეჭდებოდა თითქმის ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაში („ივერია“, „კვალი“, „მოამბე“, „ცნობის ფურცელი“, „განათლება“, „ჯეჯილი“, „ნაკადული“ და სხვ.), რევოლუციის შემდეგაც უკვე ხანდაზმული მწერალი მთელი მონდომებით განაგრძობდა შემოქმედებით მუშაობას. ამ ხანებში დაწერა მან მრავალი მოთხრობა და უმეტესობა ისტორიული რომანებისა; მისი ერთ-ერთი უკანასკნელი რო-

¹ ლ. ბარნაველი — „მოგონებანი მამაზე“, „ლიტერატურის მატრიანე“. 1952 წ. წიგნი №6, ნაკვეთი პირველი.

² „დროება“, 1879 წ. № 149, ლექსი „ქართველ ქალს“, ამ ლექსს დაწერის თარიღად უზის 1875 წ. 29 ივლისი.

³ „დროება“, 1879 წ. № 220-227.

⁴ „კვალი“, 1893 წ. №2.

მანი „შურისგება“ გვიხატავს მეოთხე საუკუნის დამლევეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, აღწერს მამასახლისობის დროს საქართველოში და აღადგენს ძველი ქართული ღმერთების პანთეონს.

ვ. ბარნოვი გარდაიცვალა 1934 წლის 4 ნოემბერს, დასაფლავებულია მთაწმინდის მწერალთა პანთეონში.

მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იყო ვ. ბარნოვის სალიტერატურო მოღვაწეობა. როგორც მწერალი, იგი გასაოცარი ენერგიით მუშაობდა თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე. მაშინაც კი, როდესაც ღრმა მოხუცებულობის გამო მას თვით აღარ შეეძლო წერა, თავის ქალიშვილებს უკარნახებდა მოთხრობებსა და რომანებს.¹ იგი არის მრავალი მოთხრობისა და რომანის, აგრეთვე ლიტერატურულ-კრიტიკული მონოგრაფიის (ა. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი და სხვ.) ქართული სიტყვიერების ისტორიის ნარკვევების ავტორი. ამ ნარკვევებში საგულისხმო შეხედულებაა გამოთქმული ქართული ლიტერატურის ისტორიისა და თეორიის საკითხებზე, ცალკეულ მწერალთა შემოქმედებაზე, ხალხური შემოქმედების ძირითად პრობლემებზე. დამაჯერებლად არკვევს ავტორი რეალისტური ესთეტიკის პრინციპებს. მისი თქმით, ჭეშმარიტი რეალიზმი არ შეიძლება არაებობდეს რომანტიზმის გარეშე.

• • •

არ იქნებოდა მართებული, რომ ვ. ბარნოვი მარტოოდენ საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველ მწერალად წარმოგვედგინა. არცთუ იშვიათად იგი ენმაურებოდა თავის თანამედროვეობის რთულ და მნიშვნელოვან პრობლემებს. კაპიტალისტური სინამდვილის დამახასიათებელი სახეები გარკვევით არის ასახული მის მოთხრობებში. იგი გვიჩვენებს სოციალურ წინააღმდეგობებსაც.

თავის მოთხრობებში ვ. ბარნოვმა რეალისტურად ასახა სოფლის ღარიბთა ყოფა, ქალაქის დაბალი ფენების ცხოვრება. ამ ნაწარმოებთა პერსონაჟები არიან გლეხები, ხელოსნე-

¹ ს. ბარნაველი — „ნასილ ბარნოვი“, „ლიტერატურის მატანი“, 1940 წ. წიგნი 1-2.

ბი, მეწვრილმანეები. იგი გვიჩვენებს გადატაკების გზაზე დამდგარი თავადაზნაურობისა და ეკონომიურად გაძლიერებული ბურჟუაზიის წარმომადგენლებს. მწერალი დიდ ყურადღებას აქცევს ქართველი ინტელიგენციის ცხოვრებასაც.

ვ. ბარნოვი დაკვირვებული თვალთ ხატავს ადამიანებს. იგი ღრმა ფსიქოლოგია, ადამიანის ბუნების დიდი მცოდნე. მისი მოთხრობები, ისევე როგორც რომანები, მკითხველს ყოველთვის აძლევს მდიდარ მასალას ფილოსოფიური დასკვნებისათვის.

ვ. ბარნოვის შემოქმედებაში რეალიზმთან ერთად შეინიშნება ძლიერი ნაკადი რომანტიკული სტილისა და აზროვნებისა. სწორი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ვ. ბარნოვის პროზაში თანაარსებობს რომანტიზმი და რეალიზმი, ისევე, როგორც ყოველი დიდი შემოქმედის ნაწარმოებებში.

თავის მოთხრობებში ვ. ბარნოვი მართებულად ასახა ბურჟუაზიული მყვლეფელების მტაცებლური ბუნება. კაპიტალისტური ურთიერთობა მის მიერ დახასიათებულია როგორც „გველის ზეიმი“, რომელიც შხამავს და დაუზოგაკად სპობს ყოველივე კეთილსა და ლამაზს. გამდიდრებული პეტრე ასეთი შეუფერავი სახეა ბურჟუაზიული სინამდვილისა. მწერალს სწამს, რომ საბოლოოდ ამ ხალხს არ გააჩნია მომავალი.

„თებერას დანიშნულში“ ვ. ბარნოვი გვიჩვენა ფულას ძალა, როდესაც ზნედაცემული ვაჭარი ცდილობს თულით იყიდოს უმანკო და მშვენიერი ეონას გული, რომელიც შეყვარებულია ლარიბ თებერაზე. მაგრამ თებერასა და ეონას სიყვარულს წინ გადაეღობება სოფლის მეღუქნე თევდორე, რომელშიაც იღვიძებს ვნებააშლილი ჟინი ეონას დაუფლებისა. თევდორე ქალაქში ნამყოფი იყო და იქ ბევრი ცუდი რამ შეეთვისებინა. მან მოინდომა კეთილი და პატიოსანი ეონას დამორჩილება. თევდორე უმსგავსი პიროვნებაა. მწერალი მას ხატავს მართებულად, როგორც შავბნელი ძალების, უადამიანობის განსახიერებას.

ცხოვრების მოვლენათა რეალური სახეებია დანატული „ამქრის მშვენებაში“. მართალი ადამიანი, მარჯვე ოსტატი იყო უსტაბაში მჭედელი პაატა. მისი შეგირდი ვანოც ასეთი-

ვე თვისებებით იყო აღჭურვილი, ისიც პატიოსანი და გამრჩე იყო. ვანო ბავშვობიდანვე იზრდებოდა პაატასთან და კარგი ხელოსანიც გახდა. ვანოს შეუყვარდა თავისი ოსტატის ქალი — ლამაზი ანიკო, რომელიც სხვაზე ფიქრით იყო გატაცებული. უიმედო საყვარულისაგან განაწამები ვანო ვერ ამჩნევდა, რომ იგი გულწრფელად უყვარდა მის მეზობელ ქალს უუუუნას. ვანო ხედავდა, რომ ანიკოს თანაგრძნობა არ იყო მისკენ, მაგრამ მას მაინც ისე ძლიერ უყვარდა იგი, რომ სხვა ქალი მისთვის არც კი არსებობდა. ვანო ფიქრობდა, რომ ანიკო საბოლოოდ მაინც არ გასწირავდა მას. ანიკოს ოცნება მხოლოდ ის იყო, რომ გამხდარიყო ისეთი კაცის ცოლი, რომელიც მალალ საზოგადოებაში შეიყვანდა მას. „იქნება ბედმა მჭედლის ქალს თუნდაც თავადიშვილის ცოლობა არგუნოს, შეიძლება მომხდარა ასეთი ამბავი. სკოლაში ხომ ვერავენ მჯობდა და ცხოვრებაში რაღად უნდა ეიყო იმათზე მდარე, — ამბობდა ქალი“. იგი მზად იყო გაყოლოდა ცოლად თუნდაც მოხელე მირონას. ეს უკანასკნელი კი ნამდვილად იყო ძველი მახინჯი ყოფის ნარჩენი, რომელსაც ზნეობა და სინიღისი არ გააჩნდა.

მოთხრობაში „სადედოფლო სარტყელი“ ვ. ბარნოვი აღწერს ერთი უბრალო ადამიანის ცხოვრებას. გოგი ცნობილია უბანში, როგორც ბედნიერი ხელის პატრონი. ამიტომ იგი გახდა ღირსი იმისა, რომ თავისი ხელით უნდა შემოაჩტყას სადედოფლო სარტყელი ბატონიშვილს ციაგს. გოგი ღარიბია, მას ვერ გაუბედნია მისვლა დიდებულებთან, ეშინია კიდევ, იქნებ გაუჩავრდნენ, გაუგია, დიდებულები ბოროტები არიანო, მაგრამ მაინც გაბედა და კარგადაც შეაარულა დავალება. დაასაჩუქრეს გოგი.

კაპიტალიზმის განვითარების შედეგად დიდებულთა ცხოვრება შეირყა და ისე დაკნინდა ეს ოჯახი, რომ ბაზარზე გამოითანეს გასაყიდად ძველთაძველი საქორწილო სარტყელი. რომელიც უკანასკნელ ნუგეშს შეადგენდა დიდებულ ციაგისა. უკვე დავაყვაცებულმა გოგიმ მალაზიაში შეამჩნია გასაყიდად გატანილი სადედოფლო სარტყელი, რომელიც მან ქორწილის დროს შემოაჩტყა ციაგს. მას სურს შეიძინოს ეს სარტყელი, მაგრამ სიღარიბე უშლის ხელს.

„ფარჩის აბალუხში“, „ხარატში“, „მუშაში“ ვ. ბარნოვი წარმოგვიდგენს მშრომელთა სახეებს და მათი დახასიათებისას იგი ამჟღავნებს ჰუმანიზმსა და დემოკრატიზმს, სიყვარულს მშრომელი ადამიანისადმი.

„მეჩვენებაში“ ვ. ბარნოვი ასახავს ბურჟუაზიული ურთიერთობისაგან გათელილი კაცის — იოსებ სანდომიძის ცხოვრებას. სანდომიძეს უმაღლესი განათლება აქვს მიღებული. იგი სამოღვაწეოდ მოიჩქაროდა სამშობლოში, მაგრამ მწარე სინამდვილემ მალე დაარწმუნა იგი, რომ „ცხოვრება ისე არ იყო მოწყობილი, როგორც სასწავლებლის ფანჯრებიდან ჩანდა, რომ იგი არ იყო ცხოვრებისათვის კარგად მომზადებული, — ამ ცბიერ, გულქვა, მოსისხლე ცხოვრებისათვის“. თავიდანვე დაიწყო მისი უიღბლობა. იგი გაწვილდა საზოგადო საქმიანობაშიც და სიყვარულშიც. სანდომიძის სახით ვ. ბარნოვმა პირველმა დაასურათა ქართულ ლიტერატურაში ინიციატივამოკლებული ინტელიგენტი, რომელიც პატიოსანია, მაგრამ გამოუხსადეგარი ცხოვრებისთვის, მის წინააღმდეგობათა დაძლევისათვის.

„ტკბილი ღუღუკი“ ფსიქოლოგიური მოთხრობაა. მასში მწერალმა დაგვიხატა, თუ რამდენად ძლიერია სულიერ კავშირზე აღმოცენებული სიყვარული.

ვ. ბარნოვის ზოგიერთი მოთხრობა და რომანი ავტობიოგრაფიული ხასიათისაა, ან დაკავშირებულია მახლობლების ცხოვრებასთან. თავისი მამა ჰყავს ვ. ბარნოვს გამოყვანილი მოთხრობაში „მსახური ეკლესიისა“. ავტობიოგრაფიულ ხასიათს ატარებს აგრეთვე მოთხრობა „სულთა კავშირი“.

* * *

ისტორიულ რომანს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლიტერატურაში. ისტორიული წარსულის მართებული და მხატვრული ასახვა ყოველთვის იმსახურებდა მკითხველის სიყვარულს, რადგან იგი გვაცნობს ხალხის ცხოვრებას წარსულში, თანამედროვეთა შორის აღვივებს კეთილშობილურ პატრიოტულ შეგნებას.

ისტორიული წარსულის მოვლენებისა და ადამიანების

მხატვრული ასახვა, ახალი საუკუნის თითქმის ყველა დიდი მწერლის განსაკუთრებული ინტერესის საგანს შეადგენდა. სტენდალი, გოეთე, ბალზაკი, ჰიუგო, პუშკინი, გოგოლი, ლ. ტოლსტოი, ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, რომელნიც ასე მტკიცედ იყვნენ დაკავშირებულნი თავიანთ თანადროულობასთან, განსაკუთრებული ინტერესით ეტანებოდნენ ისტორიას, როგორც მხატვრული შემოქმედების ობიექტს. XIX საუკუნის მანძილზე დასავლეთ ევროპულ და რუსულ ლიტერატურაში შეიქმნა მრავალი ისტორიული რომანი. საკმარისია დავასახელოთ ვალტერ სკოტის „აივენჰო“. „უევერლი“. „კვენტინ დორვარდი“, სტენდალის „პარპის სავანე“, ბალზაკის „შუანები“, ფლობერის „სალამბო“, ალფრედ დე ვინის „სენ-მარი“, პროსპერ მერიმეს „კარლოს IX ღროის ქრონიკა“, ვიქტორ ჰიუგოს „პარიზის ღვთისმშობლია ტაძარი“ და „ოთხმოცდაცამეტი“, პუშკინის „კაპიტანის ქალიშვილი“, გოგოლის „ტარას ბულბა“, ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“, მაძინის „დანიშნულნი“. ერკმან-შატრიანის „გლახკაცის ისტორია“, ჰალდოსის „სარაგოსა“, ა. ფრანსის „თაისი“, „ღმერთებს სწყურიათ“, სენკევიჩის „ცეცხლითა და მახვილით“, „ვიდრე ჰხვალ უფალო?!, და სხვ. ამ რომანების მნიშვნელობა განსაკუთრებულია როგორც მხატვრული ლიტერატურის განვითარებაში, ისე ისტორიული წარსულის შეცნობის საქმეში. (თუმცა თითოეული მათგანისა სხვადასხვა ღირსებით, მოცულობით). შემთხვევითი როდია, რომ ამ პერიოდში დასავლეთ ევროპის ხალხების ლიტერატურაში ისტორიული რომანი ითვლებოდა წამყვან ჟანრად.

ისტორიული რომანი მხატვრული შემოქმედების უროთულესი ჟანრია. წარსული ცხოვრების რეალურ სახეთა მხატვრული გაცოცხლება და მისი „ხელშესახებად“ მკითხველთან მიახლოება უადრესად ძნელი საქმეა. გარდა ფაქტების ღრმა ცოდნისა, მწერლისაგან ისტორიული რომანი მოითხოვს დიდ ნიჭსა და ოსტატობას, მოწინავე მსოფლმხედველობას.

ისტორიული რომანის ამოცანაა მხატვრულ სახეებში გვიჩვენოს ხალხის ცხოვრება, რეალური მოვლენები და ადამიანები. ნამდვილი ისტორიული რომანი ეს არის ეპოპეა ხალხის ცხოვრების შესახებ. ამ სპეციფიკური ჟანრის ნაწარმოებში

ისტორიული ფაქტები ორგანულად უნდა იყოს დაკავშირებული ისტორიულ ხასიათებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიული და მხატვრული ქვეშეობა ორგანულ მთლიანობაში უნდა იყოს მოცემული.

ვ. ბარნოვს ისტორიულ-მხატვრული პროზის ჟანრში დახვდა თავისებური ტრადიციები. ამ ტრადიციებს ხანგრძლივი, მრავალსაუკუნოვანი წარსული აქვს. ისტორიული მხატვრული პროზის, უმთავრესად ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის ჩანასახები ქართულ ლიტერატურაში გვაქვს უძველესი დროიდან. მის პირველ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს ცნობილი ჰაგიოგრაფიული ნაწარმოებები: იაკობ ცურტაველის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“. შემდეგ მას მოჰყვება იოანე საბანისძის „წამებაჲ წმიდისა და ნეტარისა მოწამისა და ქრისტესაჲსა ჰაბომასი“, ბასილ ზარზმელის „ცხოვრებაჲ და მოქალაქობაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“. გიორგი მერჩულეს „ზრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისა არქიმანდრიტისაჲ ხანძთისა და შატბერდისა აღმამწებელიაჲ და მის თანა მრავალთა მამათა ნეტართაჲ“. ლეონტი პროველის „ცხოვრება ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“. საქართველოს შორეული საუკუნეების, წარსული ცხოვრების მრავალი დამახასიათებელი მოვლენა, თუ ამბავი, ისტორიული სინამდვილით არის ამ ნაწარმოებებში გადმოცემული. სხვა თვისებებთან ერთად ეს მომენტი დიდად აძლიერებს ამ ნაწარმოებთა მნიშვნელობას.¹

ისტორიულ-მხატვრული შემოქმედების ტრადიციებს ამტკიცებენ ქართულ ლიტერატურაში აგრეთვე ისეთი პოეტური ნაწარმოებნი. როგორცაა — იოსებ ტფილელის „დიდ-

უკანასკნელ დროს მკვლევარებმა ფრანგული რომანის განსაკუთრებით ისტორიული რომანის წარმოშობა ჰაგიოგრაფიის დაუკავშირეს. ელმოტი თავის გამოკვლევაში „De l'origine du roman en France. La tradition antique et les éléments chrétiens du roman“, დაპარაკობს ჰაგიოგრაფიაზე. როგორც თანამედროვე რომანის ერთ-ერთ სათავეზე; ანალოგიურ მისაზრებას რუსული ისტორიული რომანის წარმოშობაზე გამოთქვამს ვ. სიპოვესკი შრომაში: „Русский исторический роман первой половины XIX. ст.“

პოეტრადიანი“. ფეშანგის „შაჰნავაზიანი“. თეიმურაზ პარკელის „წამება ქეთევან დედოფლისა“. არჩილის „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთაველისა“, დ. გურამიშვილის „ქართლის ჭირი“, ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილის) „რუხის ბრძოლა“.

XIX საუკუნეშიც გრძელდება ქართულ ლიტერატურაში ისტორიული ჟანრის მხატვრული ნაწარმოებების დამუშავება. ასეთია ნ. ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“, გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, ი. ჭავჭავაძის „მეფე დიმიტრი თავდადებული“, „ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი“. წერეთლის „თორნიკე ერისთავი“, „ნათელა“, „ბაგრატ დიდი“, „გორგასლანი“, „ბაში-აჩუკი“. რაფ. ერისთავის „ასპინძის ომი“, ვაჟაფშაველას „ბახტრიონი“, ა. ყაზბეგის „ხვეისბერი გოჩა“, „ელგუჯა“, ე. ნინოშვილის „ჯანყი გურიაში“. ისტორიულ-მხატვრული პროზის ნიმუშად არის ცნობილი აგრეთვე გრ. რჩულიშვილის „ქვრივის ღიმონები“, „ანუკა ბატონიშვილი“ და „თამარ ბატონიშვილი“. მაგრამ. როგორც უკვე თავის დროზე აღნიშნა ა. ხახანაშვილმა, ამ ნაწარმოებთა საერთო ნაკლოვანება ის არის, რომ მათმა ავტორმა ნაკლებ იცის საქართველოს ისტორია.¹

XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ისტორიული მხატვრული ჟანრის განვითარების საფუძველია ნაციონალურ-გამანათავისუფლებელი იდეები.

ვ. ბარნოვმა ღრმად აითვისა და გამოიყენა ეს მდიდარი ტრადიციები. იგი ორგანიულად დაუკავშირდა გიორგი შერჩულეს. ლეონტი მროველს და სხვა ძველ ქართველ მწერლებს. ამ მწერლებიდან მან გამოიყენა ზოგ შემთხვევაში არა მარტო მხატვრული ფორმა. სტილი, არამედ თემებიც.

ვ. ბარნოვის ისტორიული რომანების წარმოშობის უმთავრესი საფუძველი იმავე ხასიათისაა. როგორც ეს მოცემული გვაქვს XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. ეროვნული თვითშეგნების ზრდა, ნაციონალურ-გამანათავისუფლებელი იდეები აძლევენ საზრდოს მის ისტორიულ-მხატვრულ პროზას.

ა. ხახანაშვილი — „ქართული სიტყვების ისტორია XIX საუკუნე“. წერა-კითხ. გამაერტ. საზოგადოების გამოცემა. 1918 წ. გვ. 80.

გამოჩენილი ჩეხი მწერალი, შემქმნელი ისტორიული რომანისა და მოთხრობების ჟანრისა ჩეხურ მხატვრულ ლიტერატურაში — ალოის ირასეკი (1851 — 1930) ერთგან აღნიშნავს: „მე ვცდილობდი გამეცოცხლებია ჩვენი წარსული. გამეხადა ის რაც შეიძლება უფრო მახლობელი, გასაგები. მაგრამ ამას ვაკეთებდი არა როგორც მეოცნებე, რომელიც იტყირება მხოლოდ წარსულში და ვერ ამჩნევს თავისი ხალხის მძიმე ბრძოლას აწმყოში. სწორედ იმიტომ, რომ მთელი სულით და გულით განვიცდიდი ამ ბრძოლას, მე ვგრძნობდი, რომ აუცილებელია გადავიხედოთ ჩვენს წარსულში, ვინაიდან ვინც არ იცის წარსული, ის ვერ გაიგებს აწმყოსაც. ცხოვრების ჩაქვთა რგოლებში აწმყო დაკავშირებულია წარსულის რგოლებთან. მებრძოლნი წავიდნენ, მაგრამ ბრძოლა გრძელდება“. ამ სიტყვებშია ალოის ირასეკის შემოქმედების გასაღები, ის გვიჩვენებს ამ სახელოვანი მწერლის ისტორიის ფილოსოფიას. ისტორიის ეს ფილოსოფია ბევრ რამეში უახლოვდება ე. ბარნოვის ისტორიის ფილოსოფიას. მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ხანაც თითქმის ემთხვევა ერთმანეთს.

ე. ბარნოვის მიმართვა ისტორიული ჟანრისადმი შეპირობებული იყო ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზროვნების საერთო განვითარებით, რამაც მოითხოვა დიდი ისტორიული პრობლემების დასმა და გადაწყვეტა.

ე. ბარნოვი თავისი რომანების თემად იღებს სამშობლო-ქვეყნის ისტორიის კრიტიკულ მომენტებს (ომები, მტრების თავდასხმა, შინაგანი სახელმწიფოებრივი კონფლიქტი და სხვ.). ეპოქის მხატვრულ აღდგენას იგი განსაკუთრებულის სერიოზულობით უდგება, წარსულის სახეებს ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის ერუდიციით წარმოგვიდგენს. მისი ნაწარმოებების გმირების მეტი წილი ნაცნობია ჩვენს ისტორიაში. წარსულში ე. ბარნოვი ეძებს უპირველეს ყოვლისა ადამიანს. მას აინტერესებს ეპოქის ზნე-ჩვეულებანი და ხასიათები.

ე. ბარნოვი ფლობს ისტორიული რომანისტიკის აუცილებელ თვისებას — ღრმად შედის ეპოქაში და მხატვრულად წარმოგვიდგენს მას. ცოცხალი შეგრძნობა ძველი, გარდასუ-

ლი ყოფისა და ადამიანებისა უაღრესად არის მასში განვითარებული. იგი წარსულს ასახავს როგორც მეცნიერული ცოდნის დონეზე მდგარი შემოქმედი; მისი რომანები ლოგიკური სისწორით გადმოგვცემენ ამ წარსულს, როგორც ცოცხალ მოძრაობას. აქ არ აქვს ადგილი განხეთქილებას ისტორიულ და მხატვრულ სიმართლეს შორის. იგი დამაჯერებლად შლის ჩვენს წინაშე ძველი საუკუნეების ყოფისა და ზნეჩვეულების ნათელ სურათებს, გალერეას ისტორიულ სახეებისა.

თავის ისტორიულ რომანებში ვ. ბარნოვი მთავარად გმირის სახით ყოველთვის რეალური ისტორიული პირები გამოჰყავს. ამ მხრივ იგი მიჰყვება ფრანგ ისტორიულ რომანისტებს (ალფრედ დე ვინი და სხვ.), რომელთაც სამოქმედო ასპარეზზე მთავარ გმირებად თვალსაჩინო ისტორიული პიროვნებანი გამოჰყავთ, თანაც მათი ცხოვრების ცენტრს ყოველთვის სატრფიალო ამბავი შეადგენს. ვ. ბარნოვი თავის რომანებისა და მოთხრობებისათვის მასალას იღებს საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა ღირსშესანიშნავი ხანიდან, მწერლის ხედვა სწვდება ჩვენი წელთაღრიცხვის წინა საუკუნეებს და მოდის მეოცე საუკუნემდე.

ვ. ბარნოვი თავის ისტორიულ რომანებისათვის საერთოდ იყენებს აღმოსავლურ-სარაინდო რომანებში მოცემულ სქემებს. ცნობილია, რომ აღმოსავლურ-სარაინდო მხატვრულ ნაწარმოებებში დიდი ადგილი დათმობილი აქვს სამიჯნურო ამბავს. სარაინდო ლიტერატურული ტრადიციის თანახმად, რომანის ინტრიგა მეტწილად „სამიჯნურო“, „რომანტიკული“ ისტორია უნდა იყოს. გამიჯნურებულთა ურთიერთობა, რომელსაც ხელს უშლიან მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური ხასიათის სიძნელენი და დაბრკოლებანი, ანვითარებს რომანის კოლიზიას (საკმარისია გავიხსენოთ: ფირდოუსის „შაჰნამეს“ სამიჯნურო ეპიზოდები, გურგანის „ვისრამიანი“, ჯაამის „იოსებ ზილიხანიანი“, აბულ კასიმის „წიგნი საამაკ იარეს შესახებ“, „ამირჰამზა“, „ოთხი დერვიშის ისტორია“, „თუთიყუშის ზღაპარი“ და სხვა ამგვარი თხზულებანი). ვ. ბარნოვმაც ვერ შესძლო ამ ტრადიციის დარღვევა, გვერდის ავლა. ყოველ მის რომანში ჩვენ ვხედავთ შეყვარებულთ,

რომელთა შეერთებასაც წინ ეღობება მრავალი სიძნელე. ამ შეყვარებულ პიროვნებათა თაეგადასავალი ჰქმნის ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებში სიუჟეტურ კოლიზიებს.

* * *

„არმაზის მსხვერველაში“ გადმოცემულია ქართველთა გაქრისტიანების ისტორია, მაგრამ ეს ფაქტი დაკავშირებულია დიდი მნიშვნელობის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან, საქართველოს საგარეო და საშინაო ურთიერთობის პრობლემატან. ვ. ბარნოვი ამ ნაწარმოებში თვალსაჩინოდ გილს უთმობს საქართველოს სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხს. რომანის სიუჟეტი იშლება IV საუკუნის პირველი ნახევრის იბერიის ცხოვრების ფონზე. იბერია აქ მოცემულია როგორც რომისა და ირანის ბრძოლის ქიშპობის ობიექტი. ამ ბრძოლაში რელიგიას, როგორც დროშას, როგორც გზის გამკაფავს, ირანიც იყენებს და რომიც. ირანისათვის, ისევე როგორც რომისათვის, საქართველოს სტრატეგიულად და ეკონომიურად განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ სარწმუნოებრივი საკითხი — მაზდეანობა და ქრისტიანობა, აღმოცენებული იყო გარკვეულ პოლიტიკურ საფუძველზე, იგი „განსაზღვრული იყო რომისა და ირანის ბრძოლით პირველობისათვის წინა აზიაში, მეზობლ მხარეთა დაინტერესებით ამიერკავკასიის ქვეყნებისა და, კერძოდ, ქართლს მიმართ, და დასასრულ, თვით ქართლის მმართველ წრეების განწყობილებითა და მიდრეკილებით ამ ბრძოლაში“. ქრისტიანობა თავისი ღრთისათვის უფრო პროგრესული იყო, ვიდრე მაზდეანობა. ქრისტიანობა, რომელიც გავრცელდა ფეოდალური ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით, წარმართულ ველურობასთან შედარებით, ნიშნავდა მოძრაობას წინ. თავისი ბრძოლით ნაციონალური კარჩაკეტილობის წინააღმდეგ, ქრისტიანობა ამ პირობებში აადვილებდა პოლიტიკურ. სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობას მრავალრიცხოვან ეროვნებათა შორის, რომლებიც რომის იმპერიაში

ს. ჟანაშია — „საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“. სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1937 წ. გვ. 86.

სახლობდნენ. ქრისტიანობის მიღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა განაპირა ქვეყნების ხალხთათვის, რომელნიც ამ გზით ითვისებდნენ ახალ კულტურას. ვ. ბარნოვს კარგად ესმის რომის გამარჯვების მიზეზები, რომ ქრისტიანობა იყო გამოხატულება ახალი ეკონომიური და პოლიტიკური ურთიერთობისა, რომელიც შეიქმნა რომის იმპერიაში, მაგრამ მან ისიც იცის, რომ ახალი რელიგიაც „წარმართავდა მახვილს სისხლიანს“ ურჩთ წინააღმდეგ.

რომის იმპერიის ორად გაყოფის შემდეგ, IV საუკუნის მეორე ნახევრიდან, აღმოსავლეთის ნაწილის ცენტრი ჩვენს მეზობლად იქნა გადმოტანილი (კონსტანტინეპოლში), რითაც იმპერიის გავლენა უფრო საგრძნობი შეიქნა საქართველოსათვისაც. ამასთანავე რომის იმპერიის აღმოსავლეთი ნაწილი თანდათან ჩამოშორდა დასავლეთ ნაწილს და იწოდა ბიზანტიის. იმპერიად. ისტორიული პერსპექტივა საქართველოს ახლოვებდა ბიზანტიასთან. ამ მოვლენებთან დაკავშირებით ვ. ბარნოვი ააშკარავებს რომისა და ირანის დამპყრობლობის პოლიტიკას. იგი ღრმად იხედება მოვლენებში და აღიარებს, რომ როცა კონსტანტინე კეისარი მილანის ცნობილ ელაქტს აქვეყნებდა, ანდა ნიკეას საეკლესიო კრებაზე მწვალებლების დევნას აცხადებდა. ამით იგი აკეთებდა პოლიტიკურ საქმეს. ამტკიცებდა საკუთარ ძალებს და მეტ მომხრეებსა და მეგობრებს იძენდა იმპერიაში. ამ გარემოებას სწორად შენიშნავეს ფრ. ენგელსი: ბოლოს და ბოლოს პატრიმონიარე კონსტანტინე დარწმუნდა, რომ ქრისტიანობის მიღება წარმოადგენდა საუკეთესო საშუალებას. რათა იგი რომის სამყაროს თვითმპყრობელის მდგომარეობაშივე ამალღებულყო.¹

ქართველებმა რომ ქრისტიანობა მიიღეს. ეს შედეგი იყო არა იმ სასწაულისა, რომლებიც ჩვენს მატრიანესა და საეკლესიო გადმოცემას შემოუნახავს, არამედ იმ რეალური პოლიტიკური ურთიერთობისა, რომელიც III საუკუნიდან დაწყარდა რომსა და იბერიას შორის. მაგრამ ამ პოლიტიკური იიზე-

¹ ფრ. ენგელსი — „ბრუნო ბაუერი და აღრინდელი ქრისტიანობა“, თბილისი. 1939 წ. გვ. 4.

ზის გარდა, ჩვენში ქრისტიანობის გამარჯვებისათვის ხელი უნდა შეეწყოს განსაზღვრულ შინაგან სოციალურ მიზეზებსაც. ეს მიზეზი იყო გაძლიერებული ეკონომიური და უფლებბრივი უთანასწორობა თავისუფალ „გვართა“ შორის, ძველი გვაროვნული თანასწორუფლებიანობის შერყევა და შიშნაცვლად სოციალური განსხვავებულობის თანდათან განვითარება. ამ პროცესმა ძირი გამოუთხარა წარმართულ-პატრიარქალურ შეხედულებებს, რომელიც გვაროვნულ-სამამასახლისო წყობილებაზე იყო დამყარებული. წარმოიშვა მთელი ფენები ეკონომიურად და უფლებბრივად დაჩაგრულთა. და ამან ფართო ნიადაგი მოუშადა ახალი სარწმუნოების შეთვისებას. ეს სარწმუნოება შეეფერებოდა სწორედ იმ ხალხს, რომელიც თავისი ჩამომავლობით დაჩაგრული იყო უფლებბრივად და ეკონომიურად. ეს იყო არსებითად იმავე ხასიათის პროცესი, რამაც თავი იჩინა ყველგან, სადაც კი ქრისტიანობა გავრცელდა. თავის დროზე პირველყოფილი ქრისტიანობა პროტესტანტულ სულისკვეთებას გამოხატავდა მონათმფლობელური წესწყობილების წინააღმდეგ. „ქრისტიანობა თავის ჩასახვისას ჩაგრულთა მოძრაობა იყო. თავდაპირველად იგი გამოდიოდა, როგორც მონათა და თავდახსნილთა, ღარიბთა და უუფლებოთა, რომის მიერ დაპყრობილ ან, მიმოფანტულ ხალხთა რელიგია“.² საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პროცესი მოიცავს ხანგრძლივ დროს. იგი პირველ საუკუნეებშივე შემოდის ჩვენში და თანდათან ვრცელდება ხალხში. ბრძოლა წარმართობასა და ქრისტიანობას შორის ქართველთა მოქცევის შემდეგაც არ შეწყვეტილა ხანგრძლივი დროის მანძილზე.

ქრისტიანობის მიღებით საქართველო მჭიდროდ დაუკავშირდა მოწინავე ქვეყნებს და ამას ჰქონდა არა მარტო პოლიტიკური ორიენტაციის მნიშვნელობა, არამედ კულტურუ-

ს. ჭანაშია — „საქართველო აღრინდელი ფეოდალიზმის გზაზე“; სახ. უნივერსიტეტი, გამ. თბილისი, 1937 წ. 75-95; ს. გორგაძე — „წერილები საქართველოს ისტორიიდან“, კრ. „ძველი საქართველო“, ტ. II. გვ. 47-48.

² ფრ. ენგელსი — „აღრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის“, თბილისი, 1939 წ. გვ. 3.

ლი მნიშვნელობაც. ქრისტიანობამ დააკავშირა საქართველო უფრო განვითარებულ ბიზანტიასთან, ხელი შეუწყო საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას. ქრისტიანობამ გაათართოვა საქართველო, კავშირი ევროპასთან, გაძლიერა აღმავლობა ჩვენს ქვეყანაში.

ქრისტიანობა მძლავრ იარაღად შეიქმნა რომის მფლობელთა ხელში გავლენისა და ბატონობის გასაფრთხილებლად. „დაემონებინა იგი მოძღვრება რომაელთა კეისარს, გაეხადნა თანამებრძოლად. წაემძღვარებინა აღმოსავლეთისაკენ მის დასაპყრობად“. წარავლინა კეისარმა ყოველ მხარეს სჯულის ქადაგნი, მათ შორის საქართველოშიც. „დაიპყარ მცირე აზია. ეუფლე პონტა. დაიმონე საქართველო, შეჭლუდავ აქედან და დასძლევ ირანს! შეიქნები დიდი ქვეყნის ბატონ-პატრონი, გექნება წყარო უმრეტელი კეთილდღეობის, შენის სკიპტრის ძლიერება დაძხრის შენს წინაშე ოქროს ინდოეთს... კეისარი კონსტანტინე აევსო ამ სასურვოს. შეეგნო მას ახალი სჯულის მნიშვნელობა ამ ძნელ სავალზედ. წარმოგზავნა დაზავებული. ფეხდაფეხ მისდევდა მას ფხიან ხმლით ხელში. რომაულ დროშას აწ ზედ ეწერა: „ჯერით დაიპყარ ქვეყნიერება“. საქართველოში ქრისტიანობა მიდიოდა ბიზანტიის მფლობელობის წინამორბედად. მირიან მეფე მიხვდარი იყო. თუ რა საბოლოო მიზანი ჰქონდა რომისა და ირანის ქიშპობას. „უნდა აერჩია მირიანს ან ირანი ან რომის იმპერია“.

იბერთა მეფეს — მირიანს მოსდის შაპ-შაბურის წერილი. რომელიც მას აცნობებს, რათა დაუყოვნებლივ წარგზავნოს ქართველთა მშველი რაზმი ირანში საბრძოლველად. „სწრაფად იარეთ. მეწყერივით წამოვიდა რომაელ ჯარი“-ო. შეადგინეს ლაშქარი რჩეულ ვაჟკაცთაგან. ამ ლაშქრის უფროსობა მირიანმა თავის შვილს ბაქარს ჩააბარა. მას თან ახლავს სამეფო სასახლესთან დაახლოებული რაინდი ამზაილი. რომაელთა და ირანელთა ჯარის შეხვედრისას, ბრძოლაში გამარჯვება პირველთ ხვდათ წილად. რომმა დაამარცხა ირანი. ამზაილის გმირობამ იხსნა შაპ-შაბური ტყვეობისაგან, შაბურმა ისევ შეკრიბა თავისი გაფანტული ჯარი და დაიწყო გამაგრება ახალი ბრძოლისათვის. ქართველთა ბრძოლა წაგებულად ჩათვალეს.

ამ ხანებში ბიზანტიიდან საქართველოში გზავნიან ნინოს ქრისტიანობის საქადაგებლად. ნინო, რომელიც რომის ქვეშევრდომად ითვლებოდა, ცდილობდა დაემტკიცებია ხალხისათვის არმაზის კერპის უძლურობა. ნინო დღითიღღე სამოქმედო ასპარეზს განაგრძობს, თავის გარშემო იკრებს ხალხს. ნინო განთქმული მკურნალია, იგი მოარჩენს მირიანის მღვდლეს ნანას და სამაგიეროდ მისგან გაქრისტიანებას მოითხოვს. მირიანის სიმტკიცე თითქოს გატეხილია. მისი რელიგიური მოუდრეველობა განსაკუთრებით შეარყია შემდეგმა შემთხვევამ: ერთხელ მეფეს ნადირობის დროს თვალთ დაუბნელდა, ირგვლივ ყველაფერი დაბინდდა. შეევედრა მირიანი არმაზ ბრწყინვალეს დაუბრუნოს სინათლე — უფრო დაბნელდა. შეევედრა ნინოს ღეთაებას — განათლდა ბნელი. ამ გარემოებაში ჩააფიქრა მირიანი, იგი რწმუნდება, რომ ახალ სარწმუნოებას ველარაფერი ძალა ვერ შეაჩერებს.

არმაზის დღესასწაულზე აუარებელი მლოცველი მოაწყდა კერპს. მთიულები, რომელთაც არც არმაზის ძლიერებისა სჯეროდათ და არც ქრისტიანობის მიღება სურდათ, მანგიურის მეთაურობით ცდილობდნენ ქართველთა უძველესი ღმერთების ციბუმ-თარხუჯ-ითრუშანის რწმენის გაცოცხლებას, რომელთა ადგილი არმაზმა დაიკირა. ნინო ევედრება თავის ღმერთს, რომ მოავლინოს წარღვნა და მოსპოს არმაზი. მართლაც მოვა საშინელი წვიმა, სეტყვა. ავარდება ქარი, დასკექს მენი. არმაზი ებრძვის მრისხანე ბუნებას, მაგრამ საბოლოოდ მაინც დამარცხდება.

ვ. ბარნოვს „არმაზის მსხვერველაში“ საკმაოდ აქვს გათვალისწინებული და გარკვეული პირველყოფილი ქრისტიანობის სოციალური ტენდენციები. ეს მოძღვრება მას მიაჩნია დაჩაგრულთა და შევიწროებულთა ინტერესების დამცველ ძალად. მისთვის ნათელია, რომ ქრისტიანობა თავის ჩასახვისას ჩაგრულთა მოძრაობა იყო, რომ ის გამოდიოდა როგორც მონათა და თავდახსნილთა, ღარიბთა და უუფლებოთა რელიგია. ამიტომ ნაწარმოებში იგი ხშირად ალაპარაკებს პერსონაჟებს პირველყოფილი ქრისტიანობის სოციალური ტენდენციების შესახებ.

ვ. ბარნოვი „არმაზის მსხვერველაში“ ორგანიულად ურთავს ამზაილისა და ხვარამზეს სასიყვარულო ამბავსაც. ძლიერია ამზაილის სიყვარული ხვარამზესადმი, მაგრამ თვითონ ქალწული მეტად შორს იდგა ამ განზრახვისაგან. სად მირიანის ქალი და სად მისი ქვეშევრდომი ამზაილი! მაგრამ სიყვარულმა გადალახა წოდებრივი ზღუდე.

არმაზის დასაცავად გამართულ ბრძოლაში სასიკვდილოდ დაიჭრა ამზაილი. მის საძებნელად არმაზისკენ გაეშურა ხვარამზე. კარგა ხნის ძებნის შემდეგ იპოვეს სასიკვდილოდ დაჭრილი გმირი.

„— ამზაილ ჩემო, — შასძახა ქალმა და მოეხვია.

წაადგა ნინო ხელისხლიანი: თუ გაქვლეშოდა.

— დაწყნარდი ქალო! ჭვარის მადლი...

ქალმა შეხედა ქადაგ ნინოს ძნელის შეხედვით, შეიწყვიტა ყელზედ ჭვარი და გადასტყორცნა. მოექრო ჭაბუკს. გაიყრეოლა ამზაილმა ქალის მკლავებში და გაითანგა. დასწვდა ქალი ვაჟის ხანჯალს. დააკლა თავი“.

ასე თავდება „არმაზის მსხვერველა“. სწორედ ამ დასასრულში არის გამოთქმული ნაწარმოების მთელი აზრი: სიყვარული ყველა გრძნობაზე ძლიერია. ხვარამზე ხედავს, რომ იგი და ამზაილი სხვადასხვა რელიგიას ემსახურებიან: ერთია — ქრისტიანი და მეორე — კერპთაყვანისმცემელი. მაგრამ ეს მომენტი მაინც არ აშორებს მათ ერთმანეთს. რომანის დასასრული დიდი სიყვარულის აპოთეოზია.

მანგიური ქართველთა ძველი სარწმუნოების ციხეშ-თარხუჯ-ითრუშანიის თავგაპოვებული დამცველია. მას ღრმად სწამს ამ ღმერთების ძლიერება, იგი დაჭერებულა, რომ ციხეშ-თარხუჯ-ითრუშანი განდევნის უცხო არმაზს, არმაზის წინააღმდეგ მებრძოლ ქრისტეს სჯულსაც და დამკვიდრდება ისევ ძველი, მამა-პაპათა სალოცავი. მანგიური ცდილობს ააჯანყოს მთის ხალხი პირველყოვლისა არმაზისა და შემდეგ, არმაზთან მებრძოლი ქრისტიანობის წინააღმდეგ. ამ ბრძოლას ერთგვარად აქვს იდეოლოგიური საფუძველი. მანგიური საკმაოდ შორსმჭვრეტელია, მან სხვებზე ადრე იგრძნო, რომ

ორანისათვის საბედისწერო განსაცდელი მოვლენილა, რომ მოდსპობა მისი ძალა და გავლენა საქართველოში.

მანგიურში ვ. ბარნოვი ხელდას მისთვის მისაღები და სასურველი რელიგიური მსოფლმხედველობის წარმომადგენელს. საერთოდ ყოველ რელიგიასთან შედარებით ვ. ბარნოვი უპირატესობას აძლევს ქართულ წარმართობას, ის მიაჩნია ჩვენი ხალხის ორგანიულ რელიგიად.

მოქმედ პირთაგან აღსანიშნავია ამზაილი. ვ. ბარნოვი დიდი სიყვარულით გვიხატავს მას. ამზაილის ყოველ მოძრაობასა და ქცევაში მწერალი გვაგრძნობინებს, რომ იგი შეუპოვარი ადამიანია, ზოგჯერ რისხვავ, ზოგჯერ კი უაღრესად მგრძნობიარე და მოსიყვარულე. ამზაილი ლამაზი, წარმოსადგეი ახალგაზრდაა, რომელიც განთქმული რაინდია და ამავე დროს დიდად გონიერი, დაკვირვებული და შორსმჭვრეტელი. სწორედ ამიტომ არის, რომ მეფე მირიანი მას პასუხსაგებ დავალებებს აძლევს (ჰაიასტანს გაგზავნის კეისრის ჯარების დასაწვერავად, ირანში წარავლენს ნაომრად და სხვ.). ამზაილის განსაცვიფრებელი ვაჟკაცობისა და გამირობის მრავალ ეპიზოდს ვეცნობით რომანში.

ხვარამზე — მირიან მეფის ასული, ამზაილის მსგავსად, მტკიცე ხასიათის ადამიანია. ნაწარმოებში იგი უმანკო ქმნილებად არის ასახული. გარეგნულ სილამაზესა და მომხიბვლელ სიკეკლუცესთან ერთად მასში მოჩანს ძლიერი ნებისყოფა, ქალური მოვალეობის შეგნება და დიდი თავშეკავება სიყვარულში.

მირიან მეფის მემკვიდრე — ბაქარი ვაჟკაცობით ბევრად ჩამორჩებოდა ამზაილს, თუმცა რომანში იგი გამოყვანილია დადებით ტიპად. ბაქარი სრული მბრძანებელია ქართველთა რაზმში, რომელიც წარგზავნილია მირიან მეფის მიერ შაჰშაბურის დასახმარებლად. მართალია, ბაქარი დაკვირვებული მოხერხებული ადამიანია, მცოდნეა ბრძოლის წესებისა და თავისი მოვალეობისა ბრძოლაში, მაგრამ იგი თავის უფლებებს, უპირატესობას უხეშად არ იყენებს და ყოველთვის ჭურადლებით ეკიდება და აფასებს ბრძოლის ველზე გამოწრთობილ, აზრიანი ადამიანის — ამზაილის რჩევასა და შეხე-

დულებას. ბაქარი მკითხველში ტოვებს კეთილი ადამიანის შთაბეჭდილებას, მას ოდნაეც არ შურს ამზაილის რაინდობა და გმირობა.

„არმაზის მსხვერვეაში“ წარსულის შემთხვევები და ამბებია უშუალოდ ერწყმინან ერთმანეთს. მთელი სიმძაფრით ისახება საზოგადოებრივი, პოლიტიკური, იდეოლოგიური ყოფის სურათები. „არმაზის მსხვერვეაში“ მხატვრულმა სრულყოფილობით არის ასახული ეპოქა მომაკვდავი კერპთაყვანისმცემლობისა და აღმაეალი ქრისტიანობისა.

ბრძოლას წარმართობასა და ქრისტიანობას შორის მსოფლიო ლტერატურაში მრავალი მწერალი შეეხო, საკმარისია დავსახელოთ შატობრიანის „მარტილნი“, კინგსლის „იპატია“, სენკევიჩის „ვიდრე ჰხვალ, უფალო?!“, მერილის „მირინა“, ფრანსის „თაისი“. „არმაზის მსხვერვეა“ თათქმის იმავე პრობლემას უახლოვდება, რასაც ეხება ქართული ლიტერატურის პირველი ცნობილი ისტორიულ-მხატვრული ძეგლი — იაკობ ცურტაველის „წამებაჲ წმიდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ“.

„არმაზის მსხვერვეა“ თემატიკურად ეხმაურება აგრეთვე ა. წერეთლის პოემას „წმინდა ნინო, ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში“. ამ ნაწარმოებში მოთხრობილია ნინოს შემოსვლა ჩვენში, ხალხის წასვლა არმაზისა და სხვა კერპების თაყვანისცემად და მათი შემუსვრა, ნანა დედოფლის ავადმყოფობა და მისი განკურნება ნინოს მიერ, მეფის გამგზავრება სანადიროდ და მზის დაბნელება, ნინოს გადასვლა მთიულეთში და მიცვალება. თემატიკური თანამთხვევის მიუხედავად, ეს ორი ნაწარმოები მაინც საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ეს განსხვავება იწყება ჯერ ერთი ჟანრიდან (ერთია პოემა, მეორე — რომანი). მაგრამ მთავარი რაც „არმაზის მსხვერვეას“ განასხვავებს „წმინდა ნინოსაგან“ ეს ის არის, რომ პირველში მოვლენები ასახულია მრავალფეროვნად, რთულად და ფართოდ. „არმაზის მსხვერვეაში“ არსებითად მთელი საზოგადოებრივი ვითარებაა წარმოდგენილი, მაშინ, როდესაც „წმინდა ნინო ანუ ქრისტიანობის შემოღება საქართველოში“ სქემატიკურად გადმოგვცემს ქართულთა გაქრისტიანების რამდენიმე ეპიზოდს.

„ხაზართა ახსლო“ ეწება საქართველოს ისტორიის იმ ხანას, როდესაც მას თავს ესხმოდნენ გარეშე მტრები — არაბები, ხაზარები და სხვები. ქვეყანა დაქსაქსული, დარღვეული და აოხრებული იყო არაბების მიერ. ხალიფას მისწრაფება იყო მოესპო საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართველი ხალხის თვითმყოფადობა.

არაბების სისასტიკემ იმსხვერპლა ქართველთა მეფე არჩილი, იგი თავისი ლაშქრით ვაჟეაცურად შეებრძოლა არაბებს, არც ერთი მტკაველი მაწა არ დაუთმო მტერს უბრძოლველად, მაინც დამარცხდა ძლიერ მოწინააღმდეგესთან ბრძოლაში. მარცხდება რა არაბებთან ბრძოლაში, არჩილი კვლავ ფიქრობს საქართველოს კეთილდღეობაზე. მას კარგად ახსოვდა მურვან-ყრუს გამანადგურებელი ლაშქრობა საქართველოში, რაც მის ახალგაზრდობის წლებში მოხდა. იგი მიდის არაბთა ამირასთან. ამირა პირველ ხანებში თითქოს პატივით მიიღებს არჩილს, მაგრამ შემდეგ, გარდაბანელი მთავრის ფეროზის დასმენით, თავს წაპყვეთს. არჩილს თან ახლდნენ ერთგული კარისკაცნი, რომელნიც არ მოშორებიან მას უკანასკნელ წუთამდე. მათ გამოიტაცეს არჩილის გვაში და დაკრძალეს ნადკორის სიონში.

არჩილის დაჯის გაგონებაზე მრისხანე დელვამ აიტანა ქართველნი. ვისაც არ შეეძლო პირადად მიეღო მონაწილეობა ატეხილ ბრძოლაში — გაიხიზნა, მიუვალ ადგილებს შეაფარა თავი. კვლავ დაირაზმნენ მტერთან საბრძოლველად ქართველნი.

არჩილის ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ საქართველოს საფრთხე მოელოდა ერთის მხრით, არაბთაგან, ხოლო მეორეს მხრით, ხაზართაგან, რომელთაც დიდი დამპყრობელობითი მიზნები ამოძრავებდათ. დამწუხრებულ სამეფო ოჯახს გლოვისათვის აღარ ეცალა, საჭირო იყო ზრუნვა სახელმწიფოს მდგომარეობაზე და მეფის ოჯახის წევრთა ბედ-იღბალზედაც; საჭირო იყო ძალების მოკრეფა, გამაგრება, მტრისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ხიფათის თავიდან ასაცილებლად სამეფო ოჯახი ორად გაიყო. ტახტის მემკვიდრე იოანე, დედოფალი და ორი ქალიშვილი არჩილისა ეგრისს გადასახ-

ლდნენ, რათა აქედან გაეწიათ წინააღმდეგობა მტრისათვის, ხოლო ჯუანშერი თავისი ორი დით, მათ შორის იყო უმცროსი და, სილამაზით განთქმული შუშანი, დაძინავდნენ კახეთის ხეობაში — ლაკვასტის ციხეში.

ასეთ მძიმე პირობებში ხაზართა ხაკანი შემოუთვლის ქართველებს, რომ მას სურს ცოლად შეირთოს შუშანი, რომლის სიყვარული უნახავად გულს ჩაყარდნოდა, ხოლო როცა ხელთ იგდო მისი სურათი, მეტად მოიხიბლა. დასუსტებულ საქართველოსათვის ხაზართა ხაკანის დამოყვრებას პოლიტიკურად სერიოზული მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან იგი დახმარებას ჰპირდებოდა ქართველებს არაბების წინააღმდეგ ბრძოლაში. სარწმუნოების სხვადასხვაობის გამო ქართველები უარს ეუბნებიან ხაზართა ხაკანს შუშანის მითხოვებაზე.

ისარგებლეს რა ქართველების მეზობლების, ლეკების მიმართვით მტერთან ბრძოლაში დახმარების თაობაზე, ხაზარებმა მოსთხოვეს მათ გაეტარებინათ ხაზართა ლაშქარი ლეკეთით საქართველოზე თავდასხმისათვის. შუშანის მოსატაცებლად. ლაკვასტის ციხეში სუსტად გამაგრებული ჯუანშერისათვის და შუშანისათვის მოულოდნელი იყო ხაზართა თავდასხმა. მცირე ბრძოლის შემდეგ ხაზარები შეიჭრნენ ციხეში, გაიტაცეს შუშანი, ჯუანშერი და ყველა იქ მყოფი.

თავზარი დასცა უფლისწულების გატაცებამ ქართველებს. ქართველი ერისათვის ცდა — შეეფერხებინა სწრაფმავალი ხაზართა ლაშქარი იოანეს მოშველებაამდე, ან გამოეგლიჯა მტრისათვის ხელიდან ძვირფასი ტყვეები. უნაყოფო გამოდგა. იოანე შეუდგა ჯარის შეგროვებას. ჯარის შეგროვებამდე კი ხაზართა შესაფერხებლად დაგზავნა სწრაფლმსრობოლი რაზმი ფარსმან გოდერძიანის მეთაურობით. რომელიც შორიდან გამიჯნურებული იყო შუშანიზე და ამიტომ სიხარულით მიდიოდა სატრფოს გამოსახსნელად. მაგრამ ფარსმანს ამაოდ ჩაუარა უფლისწულების განთავისუფლების ცდამ, ხაზართა მრავალრიცხოვანი ლაშქარი ვერ სძლია მისმა მცირე რაზმმა; ფარსმანმა ვაჟკაცურად დადო თავი ამ ბრძოლაში.

ხაზარები შეუსვენებლივ განაგრძობდნენ გზას, ჩქარობდნენ გასცლოდნენ საქართველოს საზღვრებს. მალე მათ მიაღწიეს მიზანს. გასცდნენ საქართველოს. ვერ მოუსწრო იოანემ

ქართველთა ლაშქრით, დაჰკარგეს ტყვეებმა ყოველგვარი იმედი ხსნისა. შუშანი დარწმუნდა, რომ ვერ გადაირჩენდა თავს ხაზართაგან და ბექდის თვალში შენახული საწამლავით თავი მოიწამლა, შეუფერებელ დედოფლობას მან სიკვდილი ამკობინა.

როგორც მართებულად შენიშნა აკადემიკოს კ. კეკელიძემ, შუშანის ისტორია თავისებური გამოძახილი უნდა იყოს ხაზართა ასულის ხათუნის და ამირა ეზიდის ისტორიისა, რომელიც ისტორიკოს ლევონდის ცნობით, შეიქნა საბაბი 764 წელს ხაზართა მიერ ამიერკავკასიის აოხრებისა და რომელსაც ეხმაურება აგრეთვე არაბთა ისტორიკოსების მიერ გადმოცემული ამბავი ამირა ალ-ფადლზე 798 წელს ხაზართა ასულის გათხოვებისა.¹

სომეხთა ისტორიკოსი ლევონდი თავის „სომხეთის ისტორიაში“² მოგვითხრობს, რომ ამირთა-ამირა ეზიდმა, ჩრდილოეთის მეფეს, რომელსაც უწოდებდნენ ხაკანს, გაუგზავნა დესპანი იმ მიზნით, რათა დამოყვრებოდა მას. ხაზარეთის მეფე დაეთანხმა თავისი დის ხათუნის მითხოვებაზე და მას თან გააყოლა მრავალი მოახლე და მონა. მაგრამ ხათუნი ცოტა ხნის შემდეგ გარდაიცვალა და ამით დაირღვა სამშვიდობო შეთანხმება ამირთა-ამირა ეზიდისა და ხაზართა ხაკანს შორის. ხაზარებმა ხათუნის სიკვდილი ვერაგობას მიაწერეს. ხაკანმა შეკრიბა ძლიერი ჯარი და გადმოგზავნა იმ ქვეყნის დასალაშქრავად, რომელიც ემორჩილებოდა ეზიდს. ხაზარებმა მოაოხრეს ადგილები მტკვრის გაყოლებით, მათ შორის საქართველო, საიდანაც გაიტაცეს მრავალი ნადავლი და ტყვე.

ამირა ალ-ფადლზე გათხოვილ ხაზართა ასულზე არაბ ისტორიკოსებს იბნ ალ-ასირს და ალ-იაფეის მოთხრობილი აქვთ შემდეგი: 798 წელს ამირა ალ-ფადლს მიათხოვეს ხაზართა ხაკანის ასული, მაგრამ იგი გზაში გარდაიცვალა. ქალის მხლებლები დაბრუნდნენ მამასთან და უამბეს, რომ მისი ასული მუხანათურად იქნა მოშობილიო. ამის შედეგად ხაზართა ხაკანმა დაიწყო მზადება მუსლიმანური ქვეყნების და

¹ კ. კეკელიძე — „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“, ნაკვეთი პირველი, სახ. უნივერ. გამ. თბილისი, 1935 წ. გვ. 32.

² В. Гевонд—„История халифов“. Петербург, 1862 г. гв. 92—93.

მათი მოკავშირეების წინააღმდეგ გასალაშქრებლად. ხაზარებმა მოსრნეს და გაანადგურეს მრავალი ქვეყანა, მათ შორის სომხეთი და საქართველო.¹

შუშანის თავგადასავალსა და ლევონდის, იბნ ალ-ასირის და ალ-იაფის მიერ მოთხრობილ შემთხვევას შორის მართლაც შეიძლება შორეული ანალოგიების პოვნა. მაგრამ შუშანის ისტორიას მეტი ტრაგიკულობა და სიმძაფრე ახასიათებს.

ვ. ბარნოვი განსაკუთრებული სიყვარულით და გულისხმიერებით ეპყრობა ამ რომანის თითოეულ გმირს. არ ზოგავს მხატვრულ ფერებს მოქმედ პირთა დასახასიათებლად. მოქმედ პირებად ამ ნაწარმოებში გამოჰყავს: შუშანი, ჯუან-შერი, იოანე — არჩილ მეფის შვილნი, ფარსმან გოდერძიანი, მანგიური, ბღუჩანი, ხაზართა ხაკანი და სხვ. ამათგან თითქმის ყველა გარდა მანგიურისა, ისტორიულად ცნობილი პირია.

შუშანი არჩილ მეფის უმცროსი ქალია, რომელიც ბუნებისაგან დაჯილდოვებულია მომჯადოებელი სიტურფით და გონიერებით, შუშანის მნახველი პირველ შეხედვისთანავე იხიბლება მისი გარეგნობით. დიდრონი თვალნი, ოღნავ დახრილნი, წამწამთ ტევრებით მთლად დაჩრდილულნი, „უბსკრულის განუჰკრეტელობის მნახველნი ტბანი მელნისა“, „დაღონებული სახე, გიშრის თმათა ჭავლები“ იშვიათი მშვენიერებით მოსავდა შუშანს. ამ მშვენებით შორიდან მოიხიბლა ხაზართა ხაკანი და გაუმიჯნურდა მას. შუშანით მოხიბლული ხაკანი ვერ ამჩნევს მათ შორის არსებულ ასაკობრივ განსხვავებასაც კი, რაც ძალზე აბრაზებს შუშანს. როდესაც ჰკითხავენ მას გამოთქვას თავისი აზრი ხაკანის ცოლობაზე, იგი განრისხებული ტოვებს დარბაზს ამ სიტყვებით: „მეზიზღება იგი ხაკანი. ჟერ არს უკვე საიქიოზე ზრუნავდეს იგი, თავის სულის საქმეს განაგებდეს შემძიმებულსა“. შუშანი დრტვინავს ხაკანის შეუფერებელი არჩევანის გამო. მას სასიყვარულოდ უძგერს გული. იგი ეძებს თავისი გულის სწორს, თავისებურად წარმოიდგენს განგებისაგან მისთვის დანიშნულ სანატრელ რაინდს — ძლიერს, მოლიმარს, სიცოცხლით სავსეს. ხოლო ასეთი არ იყო წელთა ტვირთით შე-

¹ В. Василевский—„Труды“. том второй, выпуск второй, изд. Академии наук. СПб, 1912 г. стр. 392—393.

მძიმებული, ცხოვრებისაგან გამოფიტული, უნით შეპყრობილი ხაკანი. მართალია, ცხადად არ ჰყავდა შუშანას წარმოსახული თავისი სატრფო, მაგრამ ქალი ნათლად გრძნობდა, რომ იგი არ ემსგავსებოდა არამცთუ ხაკანს, არამედ მისი ბავშვობის მეგობარს — მანგიურსაც, რომელსაც თუმცა გარკვეული სიმპატიით ექცეოდა, მიხვედრილი იყო რა მანგიურის მისდამი ტრფილსა და სიყვარულს, ზოგჯერ მისი თაყვანისცემა სიამეს აგრძნობინებდა, ოღონდ „სიამეს უარყოფითი გრძნობა აედევნა თან, რომელიც მსწრაფლ გაძლიერდა და ავად ააღელვა შუშანი, გამოაშრო მისი გრძნობა და გამოფიტა. უარჰყო ვაჟი ყმაწვილის გულმა: აკლდა ჰაბუქს მკვეთრი სიმამაცე, შემმართებლობა უტეხი, რომ ხმალამოწვილი წასწრებულიყო საძებრისაკენ, თუნდაც აღმასის კლდე დახვედროდა წინ ზღუდედ ან, დასნი მრავალნი წინააღმდეგ ძალთან“. ასეთ თვისებებს შუშანი ხედავდა ფარსმან გოდერძიანში. გრძნობდა მის სიყვარულსაც, იცოდა, რომ იგი დაუფიქრებლად შესწირავდა სიცოცხლეს მას, თუმცა არც ფარსმანს მიიჩნევდა გულის სწორად. შუშანის გული უცნობ რაინდს ეთაყვანებოდა.

შუშანი ხასიათით გაუტეხელი, გრძნობა შეურყეველია. რაჟი ერთხელვე უარჰყო ხაკანის სიყვარული მისმა გულმა. იგი ბოლომდე დარჩა ამ საფუძველზე, მას ურჩევნია სიცოცხლეს გამოესალმოს, ვიდრე უთანასწორო და შეუფერებელი ქორწინებით დაუკავშირდეს ხაკანს. მაშინ, როდესაც ბღუჩანი თავს გამარჯვებულად სთვლის და ზეიმობს შუშანის გატაცებას, შუშანი წარბშეუხრეკლად თავს მოიწამლავს და გამოესალმება სიცოცხლეს.

მანგიური ქართლის ერისთავის ძმისწულია, აღზრდილია მეფის კარზე. შეზრდილია შუშანთან. მანგიური მშვენიერი ახალგაზრდა იყო, მაგრამ მის მშვენებას უფრო ქალური იერი სდევდა: „სუფთად დანაკთილი სახე, ნაზი აგებულება; მსწრაფლ მგრძნობიარე ბუნება, ცვილივით ლბილი ხასიათი, მარად დამთმობი, ვერ შეეფერებოდა ვაჟკაცის სახეს“. მანგიური „დიდის გონების ახალგაზრდა იყო, მწიგნობრობის მოყვარული, გალობა-სიმღერის მოტრფიალე გატაცებული“. მეტად ჩვილი გულის პატრონი და შემბრაღე იყო მანგიური.

ზარაედა მას სისხლი და განზე აყენებდა; აკლდა ჭაბუკს მკვეთრი სიმამაცე, შემმაერთებლობა უტეხი, იგი მხოლოდ წიგნისათვის იყო გაჩენილი. უყვარდა მას შუშანი, შორიდან ეთაყვანებოდა მშვენიერების ნათელ გამოხატულებას, თუმცა გრძნობდა, რომ იგი მისი არასოდეს არ იქნებოდა. მიუხედავად ამისა, მანგიური ბოლომდე შუშანის ერთგული და მოსიყვარულე რჩება, გაჭირვებისა და უბედურების დროსაც თან ახლავს და არ შორდება.

ასევე ერთგული და მოსიყვარულეა შუშანისა ფარსმან გოდერძიანი, რომელმაც გმირულად შესწირა თავი სატრფოს გამოხსნას ხაზართა ტყვეობიდან. შუშანის სიყვარული ასაკლდევენს, გაბედულებას მატებს მას. ფარსმანი გაჭირვებისა და უბედურების დროს თან ახლდა არჩილ მეფეს მტრის ბანაკში. ფარსმანი ნამდვილი გმირი-მებრძოლია, მას გატაცებით უყვარს შუშანი, თუმცა სამშობლოს სიყვარულს იგი ყველაფერზე მაღლა აყენებს. ფარსმანი თან მიჰყვება იოანეს ეგრისში, რადგან მისი აზრით სახელმწიფო სამსახური მას იქით იხმობს, მაგრამ როცა შეიტყობს, რომ მისი იმედი, მისი ნუგეში შუშანი გაიტაცეს, იგი ითხოვს გაგზავნონ სწრაფლმსრბოლ რაზმში უბრალო მებრძოლად, ხოლო მას რაზმის წინამძღვრად ნიშნავენ, რადგან იგი გამოცდილი ჰყავთ მრავალ ბრძოლაში. ფარსმანი „დაუფიქრებლად გადადის შიგ შუა ცეცხლში შენივთებული ომისა“. ფარსმანი სიხარულით მიუძღვის რაზმს და მიისწრაფვის სატრფოს გამოსახსნელად, მას აკვირებს სარდლის სიტყვები, მის შესახებ თქმული: „თავსა არა ზოგავს, სადაც ომი შეხვდება. იქ გაჩნდება, ფარსმან უშიში“ და გაკვირებული ეკითხება თავის თავს: „მამ სად უნდა ვიყო, თუ არა შუაგულ ბრძოლაში“. იგი ისე „ირჩება ბრძოლის დროს, თითქო მომკალი შესულაო სიმწიფისაგან დახრილ ყანაში. ისე სცელავს მტრის რაზმს მებრძოლსა, როგორც მთიბავეი ლბილ ბალახს ნორჩსა“. ფარსმანი თავისი რაზმით სწრაფად მიიწევს წინ. დაეწევა ხაზართა ლაშქარს, შეებრძოლება, მიაღწევს შუშანის ეტლამდე. გამოხსნას კი ველარ ახერხებს, მტრის შუბით განგმირული ვაჟაკურად იღუპება ბრძოლაში. სიკვდილის წინ უსრულდება

დიდი ხნის ნატვრა: შუშანი დაუხუჭავს მას თვალებს და აპკურებს ცრემლებს.

წელთა სიმრავლით წელში მოხრილი და სახედანაოქებუ-
ლი ხაკანი ვერ ამჩნევს უფსკრულს თავისა და შუშანს შო-
რის, და, ყოველ ღონეს ხმარობს, რათა დაეუფლოს მას. იგი
უნახავდაა გამიჯნურებული შუშანზე, მაგრამ როდესაც
ქართველნი უარს ეტყვიან შუშანის მითხოვებაზე, იგი იწყებს
ბღღვინვას ვიწროებში შემწყვდეული ლომივით, აღარ ეკა-
რება აღარც ღვინოს, აღარც გართობას, შეიძლება თავის
„ცოლთა სავარდოს“, არ იტაცებს მას ის ბრძოლაც კი, რო-
მელიც მაშინ ხაზარებს ჰქონდათ არაბებთან. ხაკანი დედოფ-
ლად აღიარებს შუშანს მშვენიერს, მიუხედავად მიღებული
უარისა, დიდი ზეიმით ემზადება მოტაცებული შუშანის შე-
სახვედრად, უმზადებს განცალკევებულ სასახლეს ყოველ-
გვარი ფუფუნებით. წელთა სიმძიმით დაძალებულ ხაკანს ავი-
წყდება თავისი ხნოვანება და ბავშვივით ელის შუშანის ხილ-
ვას, ფიქრობს საზღვარზე შეეგებოს თავის მზეს, ხოლო რაკი
ოცნება ვერ განხორციელდა, იგი სასტიკად განრისხდება და
გულისწყრომას თავის სარდალ ბღუჩანზე იყრის, რომელმაც
ვერ შესძლო მისთვის სასურველი ქალის მშვიდობით მიყვანა
ხაზარეთში.

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ხაკანის შმაგი გამიჯნუ-
რება შუშანისადმი სურათის ნახვის საშუალებით პირდაპირ
განმეორებაა აღმოსავლური სატრფიალო-სამიჯნურო რო-
მანებისა.

„ხაზართა სასძლოში“ ვ. ბარნოვმა გადმოგვცა ისტორიუ-
ლი მოვლენები, რაც ორგანიულად დაკავშირებულია „კერ-
ძო“, „სამიჯნურო“ ეპიზოდებთან. ორივე მხარე საბოლოო
ანგარიშში მთლიანად რეალურ ამბავთა პოეტურ თხრობას
წარმოადგენს. ისტორიულ პროზაში ეს ის პრინციპია, გზაა,
რომელიც ასე სრულყოფილად გამოავლინა ვალტერ სკოტმა.
ამ გარემოებაზე მართებულად მიუთითებდა ბელინსკი. იგი
წერდა: „ადამიანების ისტორიული და კერძო ცხოვრება ისე
შერეული და შერწყმულია ერთმანეთში, როგორც სადღესას-
წაულო ღღეები ჩვეულებრივ ყოველდღიურობასთან. ვალ-
ტერ სკოტმა, როგორც გენიალურმა ადამიანმა, ინსტინქტით

„ასპერიტა ეს. იცნობდა რა იგი ქრონიკებს, მან შესძლო წა-
კითხვა არა მარტო იმისა, რაც სტრიქონებით იყო დაწერილი,
რამედ იმისაც, რაც სტრიქონებს შორის იყო მოთავსებული.
ის რომანებში მოქმედებენ ადამიანები, ლელავენ ვნებები,
ერთმანეთს ეჯანება დიდი და პატარა, მალალი და დაბალი ინ-
ჯერესი, და, ყოველივე ამაში მქლავნდება ეპოქის პათოსი,
რაც მის მიერ პირდაპირ გასაკვირველი ოსტატობათ არის
გამოჰქერილი“. ¹ ბელინსკის ეს სიტყვები მთლიანად უდგება
ვ. ბარნოვს. „ხაზართა სასძლოში“ ისტორიული და კერძო
ცხოვრება ადამიანებისა ერთმანეთისაგან განუყოფელია,
ქმადრი პიროვნული კონფლიქტები წარსულის საზოგადოებ-
რივი-პოლიტიკური ცხოვრების უშუალოდ დამატება ან, მისი
თანამონაწილეა.

* * *

„ტრფობა წამებულში“ ვ. ბარნოვი წარმოგვიდგენს აშოტ
კურაპალატის და გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ხანას.
ამ რომანში ასახულია საქართველოს საშინაო და საგარეო
მდგომარეობა VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის
დასაწყისში. ეს ის დროა, როცა საქართველო აოხრებულია
არაბების მიერ, რომელთა შემოსევაჲ ჯერ კიდევ VII საუკუნის
პირველ ნახევარში დაიწყო. საქართველოს მიწა-წყალი ამ
პერიოდში ოთხ სხვადასხვა მფლობელს ეჭირა. თბილისი მი-
სი მიდამოებით და ქართლის სამხრეთი ნაწილი არაბთა ამი-
რას ალი შუაბისძეს ჰქონდა ხელთ, საქართველოს აღმოსავ-
ლეთი ნაწილი კახთა მთავარს ეპყრა; დასავლეთი საქართველო
ორად იყო გაყოფილი: ჩრდილოეთ მხარე აფხაზთა მეფეს ეკუ-
თვნოდა, სამხრეთი აშოტ კურაპალატსა და მის შთამომავლო-
ბას. ² ცალკე სამთავროებად დაქუცმაცებული საქართველო
ვერ უწევდა მტერს მედგარ წინააღმდეგობას. ამიტომ აშოტ
კურაპალატის მისწრაფება იყო გაეერთიანებია მთელი სა-

¹ В. Белинский—Полное собрание сочинений, том XII, под редак-
цией В. Спиридонова, ГИЗ, 1926 г. გვ. 457-

² ი. ჯავახიშვილი — „ქართველი ერის ისტორია“. წიგნი მეორე. გვ.
369-370.

ქართველო, განედევნა მტერი სამეფო საზღვრებიდან, ჩაეჭრო შუილი ქართველთა შორის. თანდათან ძლიერდება ცენტრალიზმის იდეა. მაგრამ ფეოდალებისათვის ხელსაყრელი არ იყო ერთმეფობა, ძლიერი სახელმწიფო, რადგან მათ თავისუფალი მოქმედების ასპარეზი შეეკვეცებოდათ და ამიტომ ეწინააღმდეგებოდნენ აშოტ კურაპალატის ამ კეთილშობილ განზრახვას. ცალკეული მთავრები მეფეს გადამწყვეტ მომენტში, გარეშე მტერთან შეტაკების დროს დალატობდნენ. ფეოდალთა და მთავართა ეს განკერძობის მისწრაფება იყო, რომ ასუსტებდა და ანგრედა ქვეყანას. არაბებთან შეტაკებისას აფხაზთა მეფე თეოდოსიმ კრიტიკულ მომენტში არ მიაშველა აშოტს ლაშქარი. ამიტომ იძლია იგი აგარიანებთან ბრძოლაში.

დამარცხებული ქართველები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ლტოლვილნი ისვენებდნენ ფარაენის ტბასთან. აშოტ კურაპალატი სასოწარკვეთილებაშია ჩაყარდნილი. მან ყოველგვარი იმედი დაჰკარგა. იგი მხოლოდ თავის ოჯახის გადარჩენაზე ფიქრობს და ამიტომ მიეშურება საბერძნეთისაკენ. „თავისი თავმოყვარეობაც დაჰვიწყებოდა ვაჟიკაცს. ის ზვიადი ოცნება, რომელიც უსახავდა მას საქართველოს შეერთებულს ზღვიდან ზღვამდის და თან მას, აშოტ მძლეველს, ბრწყინვალე გვირგვინად შეკრებულის ტომისა, სალბუნებლად მის წყლულებისა, მანათობლად მის ცხოვრებისა. ყოველივე ეს წაშლილიყო მის მიმქრალ სულში და აღმოჩენილიყო მხოლოდ კერძო ადამიანი, რომლის მოწოდება იყო მარტო საკუთარი ცხოვრების მოწყობა, საკუთარი კერის დარაჯობა და მფარველობა. ჩასთვლემოდა აწ მასში გმირს შემართებულს, მისძინებოდა მასში ნიქს ცხოველს. მარჯვედ მოაზრეს, დიდებულ გეგმათა სწრაფად ჩამომსხმელს. მოშვებულ-მოდუნებულყო მასში მისი ნებისყოფა უტეხი, ბუმბერაზული საქმეთა მსრულებელი, გული აღარ უთქმიდა მას. ეროვნულ ძნელ განცდათათვის“. მაგრამ აშოტის გვერდით იყო მისი აღმზრდელი, განთქმული ვაჟიკაცობით და გონიერებით, სამშობლოს მოსიყვარულე მოხუცი ბარძიმი. „საგმირო საქმეთა მასწავლებლობა“ — ბარძიმმა შთააგონა მას კვლავ ზრუნვა ქვეყნისათვის, ძალ-ღონის მოკრეფა და ბრძოლის განგრძობა მტერთან. „არ შეშვენის აშოტ გმირს უსასოდ-

ქმნა... მაინც ვიბრძოლებთ, ვერ ვათრგუნინებთ წმიდას მას ჯვარსა, საყვარელს მამულს უწმინდურთ ტომებს, გაპარჯება საბოლოოდ ჩვენია“.

თავისი ბრძნული სიტყვებით ბარძიმმა გამოაფხიზლა, ადაფრთოვანა მეფე. გაფანტულ ლტოლვილებს შორის მან განოპყო მამაკაცები, შეადგინა მათგან მცირედი ლაშქარი. შეიტყუა მტრის მოთარეშე ჯარი აშოტმა ხეობაში, მოხერხებულად შეებრძოლა და დაამარცხა კიდეც. შემდეგ დაედევნა და დიდი ზიანი მიაყენა შემკრთალ მტრის რაზმებს.

გამარჯვებული აშოტი ხედავდა, რომ თბილისის დაბრუნება ადვილი არ იყო, ჯერ კიდევ ბევრი ბრძოლა დასჭირდებოდა სანამ განდევნიდნენ აქედან ძლიერ მტერს. არტანუჯი აირჩია დროებით სატახტო ქალაქად. გასცა ბრძანება ალდგანათ ვახტანგისეული სიმაგრე. გაათართოვეს ციხე. გალავანშივე ააგეს მრავალდარბაზიანი სასახლე. იგი შეუდგა სოფლების აღდგენას და მცხოვრებთა დასახლებას. „აშოტმა შესძლო მცირე ხანში ალდგინა. ფერად-ფერადად აღეყავებინა ის კუთხე საქართველოსი, რომელიც ამიერიდან შეიქნა ფუძედ სამშობლოს დიდებისა. სანიმუშო სახედ ქართველთა ერის განვითარებისა, წინამბრძოლ ბურჯად მართლმადიდებლობისა, სიმტკიცედ დიდებულის ბიზანტიისაც“.

ისტორიულად ცნობილი გვირის სახის მთლიანობა ვ. ბარნოვას ამ ნაწარმოებში შეპირობებულია იმით, რომ იგი გამოხატულია არა მარტო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაში, არამედ პირად ცხოვრებაში. წარმოდგენილია მთელი თავისი ადამიანური თვისებებით — ძლიერი და სუსტი მხარეებით. ვნებებით და განცდებით. ამიტომ ეს გვირები აკეთებენ დიდ სახელმწიფო საქმეებს. მაგრამ ამავე დროს არიან შეყვარებულნი. იტანჯებიან. ვარდებიან სასოწარკვეთილებაში. ლევ ტოლსტოი იმ აზრისა იყო, რომ ისტორიული პირი მწერლის მიერ ნაჩვენები უნდა იქნას თავის რეალურ სახეში, ყოველი მხრით — საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში. ლევ ტოლსტოის თქმით, მწერლისათვის არ შეიძლება და არც უნდა არსებობდნენ გვირები, არამედ — ადამიანები. თვითონ ლევ ტოლსტოი ისტორიული მოღვაწეების, როგორც ადამიანების ასახვის პრინციპს მტკიცედ მოჰყვება „ომსა და

მშვიდობაში¹. ასევე ვ. ბარნოვი ისტორიული რომანის ავტორისგან მოითხოვს წარსულის ვითარების ზუსტ აღდგენასთან ერთად მართებულ ჩაწვდომას გამოსატული ეპოქის ადამიანების აზრების, გრძნობების, ვნებების სამყაროში. „ტრფობა წამებულის“ სიუჟეტის განვითარება ხასიათდება არა მარტო ისტორიული ცნობების გადმოცემით, არამედ გმირთა შინაგანი ცხოვრების ჩვენებით. ამ რომანის მთავარი მოქმედი პირებისათვის დამახასიათებელია მძაფრი სულიერი მოძრაობანი, განწყობილებათა ცვლა, გრძნობათა დრამატიზმი. მწერალი გვიჩვენებს, რომ აშოტ კურაპალატი იყო ადაშიანი, რომელზედაც გავლენას ახდენდა ვნებები და ჭირვეულობანი.

საქვეყნო საქმეში აშოტ კურაპალატს გვერდით ედგა დედოფალი გურანდუხტი. მისი მისწრაფება იყო ეხილა მთლიანი საქართველო. გაჭირვების დროს იგი განსაკვიფრებელ მზნეობას იჩენს და მტრის დევნით შეშინებულ ხალხს ამშვიდებს. მაგრამ პირად ადამიანურ ცხოვრებაში გურანდუხტი ციფა და მიუყარებელი ქალია. აშოტი მასში ვერ ხედავს ნაზი, თბილ-ტკბილი გრძნობების მატარებელს. მეფე მასზე ამბობს: „ქალი კი არ არის ეს სისხლ-ხორციით თხზილი, გრძნობის სითბოთი სულდგმული, კერპია ხისა მორთულ-შემკული, სადიდებლად კვარცხლ-ბეკზედ მდგარი. ეჰ, ეგეთია იგი ყოველ ქამს, ეგეთი იყო. ამოდ ვეძებდი მასში ჩვილ-ტკბილ გრძნობათა სავანეს, ხანდისხან მაინც გულუბრყვილოდ მომზიარულეს, სიცოცხლის ეშხით აღსავსეს, ცხოვრების სიმწარეთა დამატკობელსა. ცივია, მისი სული და ცივია ჩემთვის სამეფო პალატნიც ქვეყნიურთა კეთილთა, მიერ სავსებით სავსენი“. ეს გარემოება არათუ აწუხებდა, დიდათაც სტანჯავდა აშოტ კურაპალატს. „ჰსურდა აშოტს სულით დაესვენა განმარტოებულ სავანეში თვის ჯალაბისა, დევნილ ირემს ნაკადის პირას, უღრან ტყეშია. ამოდ ჰსურდა! რად ეძიებდა ხმელ უდაბნოში, თუნდ აჩრდილს წყნარად მიმდინარე გრძნობათა ნაკადისა, რომელ ალერსს მიუბნობს ყვა-ვილთა შორის და საიდუმლოდ ამრავლებს ლამაზ ცხოვრებას

¹ С. Бычков—„Л. Н. Толстой“, გვ. 126-127.

სუნნელოვანსა, ღიმილით უკლავს კაცს გრძნობათა წყურვილს. სასწაულებრივია იგი გრძნობათა ნაკადი საიშვიათო მით უფრო მაგრილებლად ესხურება მისი სუნნელი შხეფა გულს. სწყუროდა მაშვრალს სულით დაესვენა იმ ჯადოსა ნაკადის პირას, თუნდ ერთ წამს. ამაოდ ჰსურდა! არ დადიოდ სამეფო სახლში იგი ნაკადი. მხოლოდ სახე რამ იყო იქ ტურფა წყაროსი, მინანქრებისაგან შეთხზილნი მსგავსება უსულგულო“. ასე იყო მოწყურებული ვაჟკაცი ადამიანურ სიამეს. უადრესად შემქიდროებულად გადმოგვცემს ვ. ბარნოვი დრამატიულ ეპიზოდებში აშოტ კურაპალატის განცდებს.

ასეთ პირობებში აშოტი შეხვდა ქალს, რომელმაც ბედნიერების სხივებით გააშუქა მისი ცხოვრება. ეს იყო ყვავილივით ნაზი და სათუთი შუქია, თავისი სარდალ-ყოფილის პაატა იაშვილის ქვრივი. ხერთვისის სანახებში ეჩვენა პირველად მას ქალი ნანატრი, რომლის თვალთაგან გამოკრთა ის მადლიანი ნათელი, რომელს იგი ამაოდ დაეძებდა მანამდე, რომელზედაც იგი ოცნებობდა ყოველთვის, ნატრობდა მარად ეამს. შუქია არის სიმბოლო ამქვეყნიური სილამაზისა, ცხოვრების სიხარულისა. სიმართლე მშვენიერებისა და ცხოვრებისა გამოხატულია შუქიას სახეში. შუქიას მიწიზიდველობა თან აჰყვება აშოტს, არ მოშორდა იგი ხატება მისი გონების თვალს. თან ახლდა მეფეს იგი სახე შვების დროსაც და მოქმედების ეამსაც, მეჯლისშიც და ბრძოლაშიც. ყოველთვის გულს უამებდა ვაჟკაცს სათნო იგი ხატება მშვენიერი, სიმშვიდეს აგრძნობინებდა, სულით ასვენებდა უზომოდ ღელვილს. ძილად გამზადებულ აშოტს ბევრჯერ შეუნიშნავს იგი აჩრდილითვის სასთუმალთან.

შუქიას ეთეროვანი სურათი ჩადგა აშოტსა და გურანდუხტს შუა. როცა გურანდუხტის თვალთაგან მშრალგულიანი ბრძანების უღმობელობა მძვინვარებდა, შუქურის თვალთაგან მსალბუნებელ სითბოთა სხივი გამოკრთოდა და სათნოების ნაზ ნათელში ხვევდა ვაჟკაცს, დამაყურებელ სიამეს განაცდევინებდა მას. აშოტის სურვილით შუქია დააბინავებდა სასახლეში და სეფექტურკლის მეთვალყურეობა ჩააბარეს. აშოტი და შუქია უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს. „ამის შემდეგ სავარდუ გაუშენდა აშოტს. წალკოტი მშვენიერი, სად

ფერად ყვავილებად იფურჩქნებოდნენ მისთვის ნახნი გრძობანი, სრულდებოდნენ სანატრი გულისთქმანი. აქ უსტვენდა მისთვის ბულბული სიამისა, აქ უგალობდა მას იადონი სიხარულისა, აქ ელვარებდნენ მისთვის ხორცშესხმული ოცნებანი. მრავლდებოდნენ ის დაუფიწყარი განცდანი, რომელნი მხოლოდ ამკობ-აშშვენიერებდნენ ადამიანთა სიცოცხლეს, რომელთ მოგონება ღიმილად ეფინება ცხოვრების გზასათვის სამარემდინ. იქ შუქიას ბინაზედ, სულიერად ისვენებდა მოჭირნახულე ბუმბერაზი, საზოგადო საქმეთაგან დატვირთულ-შემძიმებული; აქ უყუჩდებოდა მას ყოველი ტკივილი გულისა. განუქარდებოდა ტანჯვა სულიერი. აქვე ივსებოდა და პირთავებოდა საწყაული მისის ხორციელის ფუფუნებისა. ეს პატარა ბინა იტევდა დიდი მეფის და განთქმული ვაჟკაცის კმაყოფილებათა სიმრავლეს ათას გვარს“. შუქია განუყოფელი ნაწილი შექმნილიყო აშოტის არსებისა.

აშოტისა და შუქიას სიყვარულში ჩაერია ეკლესია და დაშალა ეს კეთილშობილი მისწრაფებები და განცდები. დედოფალ გურანდუხტთან ერთად გრიგოლ ხანძთელი და დედათა მონასტრის წინამძღვარი თებრონია წინ აღუდგნენ ამ ამალმულ გრძობას.

შუქიას გატაცების თავგადასავალს ვ. ბარნოვი აღწერს მთელი დრამატულობით. მოტყუებით გამოიხმეს იგი სასახლიდან, როდესაც აშოტი არ იმყოფებოდა არტანუჯს. გაპყვა შუქია გრიგოლს უსიტყვოდ, მაგრამ ძლიერ იტანჯებოდა იგი, ფეხშიშველს ფეხებიდან სდიოდა სისხლი. გრიგოლმა მონასტერში შუქიას გაახდევინა ყველაფერი ძვირფასი და ლამაზ ტანზე ჩამოაცვეს ტომარასავეით შავი სუდარის მსგავსი კაბა. მონასტრის ბნელ საკანში მოათავსეს იგი: „ტრფობა წამებულის“ ეს ადგილი ძლიერ უახლოვდება ანატოლ ფრანსის „თაისში“ მოთხრობილ შემთხვევას თაისისა და პაფნუტის შესახებ, ამ უკანასკნელის მიერ თაისის განწორებას ამქვეყნიურ ცდუნებათაგან.

აშოტისა და შუქიას კეთილშობილებას უპირისპირდება გრიგოლ ხანძთელი და დედათა მონასტრის წინამძღვარი თებრონია. მათ ბუნებაში ჩაკლული იყო ყოველგვარი გრძობა, ისინი გადაქცეული იყვნენ ცივ, გაქვავებული გულის პატრო-

ნებად, რომელთათვის უცხო იყო მისწრაფება ადავიანური განცდებისადმი და მშვენიერებისადმი.

წარჩინებული ოჯახის შვილი იყო თებრონია. მას შეუყვარდა ქაბუჯი გრიგოლ ხანძთელი. მაგრამ ეს უკანასკნელი უგრძნობლად შეჰყურებდა თებრონიას, თითქოს მას არ შეეხებოო ქალის სურვილი. უთმენი ტანჯვა მისი. არც ერთი სიტყვა თანაგრძნობისა, არც ერთი თბილი შუქი მკვეთრ თვალებიდან. თებრონია ხშირად ეტყოდა ხორცგაყინულ ქაბუჯს: „უგულოვ! ნუთუ ჩემი სახე გზნებელი, აგებულება ჩემი სრულნაქვითიანი მეტს არ გეტყვის შენ, სინამეჯ წიგნი უსულგულო და უსაკო?! ან თუ ალიონის ფრად აღვივებული თბილი კანი ჩემის ტანისა უფრო სასიამო არ არის შენთვის, სინამეჯმარ-გაცივებული ეტრავი, ხელოვნურად შენივთებული, ვინ იცის რის ქერქისაგან?! თვალნი არ გასხენ ჩემდა სამზერლად, კერპო ნაკვეთო, ყურნი არ გქონან ჩემ ოხერის სმენად!“... გრიგოლმა არ შეისმინა ლამაზი თებრონიას გულის ძახილი, ვერ იგრძნო მისი ტანჯვა. და ბოლოს, განდგომილმა, ასკეტმა აიძულა თებრონია სამუდამოდ დაეტოვებინა ბუნებრივი გზა სრულის ცხოვრებისა. ძვირად დაუჯდა სისხლ-ხორციით სავსე ქალწულს გაუზიარებელი მიჯნურობა. თებრონია აღიკვეცა მონაზვნად და დიდი ბრძოლით თავის თავში ჩაკლა ყოველივე ადავიანური. იგი გახდა გაქვავებული გულის პატრონი.

ძალით მოსტაცა გრიგოლმა აშოტს თავისი გულის სატრფო და ხელში ჩაუგდო გაავებულ თებრონიას. მონასტრის კედლებში დიდ ტანჯვაში გამოასალმეს სიცოცხლეს ნაზი და ღრმა გრძნობების მქონე პირმშვენიერი შუქია.

ამ პიროვნულ მისწრაფებათა საფუძველზე დაუპირისპირა ერთმანეთს ორი ძალა — სახელმწიფო და ეკლესია. ასე რომ, „ტრფობა წამებულში“ არსებითად ასახულია ბრძოლა საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის სახელმწიფოში თავიანთი გავლენის დასამყარებლად. სპიცივარულ ამბავი მხოლოდ ერთგვარი საბაბია, მიზეზი უფრო ღრმაა.

დიდი ფანტიკოსი და მტკიცე ნებისყოფის გრიგოლ ხანძთელი მწერლის მიერ დახატულია ისტორიული მონაცემების საფუძველზე. იგი ქრისტიანულ ასკეტური მორალის თავდადებული დამცველია და ამ საქმეში მან არ იცის არავითარი

კომპრომისი. მისი სახით საერო წესებს დაუპირისპირდა ქრისტიანული ეკლესია თავისი გაქვავებული წეს-ჩვევებით.

ქვეყნიერებისაგან განდგომაში, ყოველგვარი სიხარულის ჩახშობაში ხედავდა ქრისტიანული ასკეტიზმი თავის დანიშნულებას. ვ. ბარნოვი ცხოვრების განმამტკიცებელი სიბრძნით ასაბუთებს, რომ ასკეტიზმი ძირეულად ეწინააღმდეგება ადამიანის ბუნებას. იგი თანამიმდევრულად იცავს სიცოცხლეს, ქვეყნიურ სიხარულს, ამტკიცებს ფანატიზმის უმწეობას და უსაფუძვლობას. „ტრფობა წამებულში“ ვ. ბარნოვის ოპტიმისტური მსოფლმხედველობაა გამოთქმული. იგი წინააღმდეგია მკვდარი დოგმისა, მომხრეა ცხოვრებისა. ამ ნაწარმოებში საბოლოოდ მხილებულია, უარყოფილია განდევილობა. მასში გამოხატულია დიდი სიყვარული ადამიანისადმი. ამაშია ამ ნაწარმოების ზნეობრივი ღირსება. ვ. ბარნოვი უარყოფს ქრისტიანულ ასკეტიზმს. იგი თანაუგრძნობს ჯანსაღ, ბუნებრივ, ადამიანურ გრძნობებს, ამაღლებულ, კეთილშობილურ მისწრაფებებს.

ეს სატრფიალო ისტორია რამდენადმე მოგვაგონებს ვალტერ სკოტის „კენილვორტს“, რომელშიაც ასახულია ინგლისის დედოფლის ელისაბედის ცხოვრების ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ამ რომანის წინასიტყვაობაში ვალტერ სკოტი დედოფალ ელისაბედზე წერს: „მე საჭიროდ ჩავთვალე დამეხატა იგი მაღალი გონების მატარებელ დედოფლად და ამავე დროს ძლიერი ვნებებით გამსჭვალულ ქალად, რის გამოც იგი მერყეობდა, ერთის მხრით, თავისი ღირსებისა და მოვალეობის შეგნებასა და მეორეს მხრით, თავისი დიდებულისადმი მიდრეკილებას შორის, ვინაიდან ამ დიდებულს სრულიად დამსახურებული ჰქონდა მისი მოწყალეობა, ყოველ შემთხვევაში გარეგანი თვისებებით“. ამიტომ ასახავს ვალტერ სკოტი თავის რომანში დიდი სიმძაფრით დედოფალ ელისაბედისა და გრაფ ლეინტერის „რომანტიკულ“ სიყვარულს, რაც კატასტროფით მთავრდება.

„ტრფობა წამებულში“ ვ. ბარნოვი არსებითად ამავე ხასიათის პრობლემას ეხება. ამოტ კურაპალატს ჩვენ ვხედავთ, როგორც დიდ სახელმწიფო მოღვაწეს და ამავე დროს ტრფიალების გრძნობით გამსჭვალულ ადამიანს. მსგავსად დედო-

ფალ ელისაბედისა და გრაფ ლეისტერის სიყვარულსა, აშოტისა და შუქიას სიყვარულიც კატასტროფით დამთავრდება.

ამგვარად, „ტროფობა წამებულში“ ისტორიული შემთხვევები და გმირების ბედი უშუალოდ არის ერთმანეთთან შერწყმული. ვ. ბარნოვი ისტორიულ ამბებს ყოველთვის წარმოგვიდგენს მძაფრ დრამატიზმში. მისი მტკიცებით, ისტორიულ ქარტიხილში ჩაბმულ ადამიანთა ბედი ყოველთვის ტრაგიკულია.



„პირიშე“ შეეხება თამარის გამეფების პირველ წლებს, ვიდრე იგი რუსთა დიდი მთავრის ანდრეი ბოგოლუბსკის შვილს მისთხოვდებოდა.

თამარის მამის — გიორგი მეფის წინაშე დიდა საკითხი იდგა, თუ ვინ უნდა ყოფილიყო მის შემდეგ საქართველოს განმგებლად. დავით მეფის შვილის — დემნას დასაჭურისებისა და დაბრმავების შემდეგ, მამაკაცთაგან აღარავინ იყო მახლობელი ნათესაეი, რომ იმისათვის გადაეცა მემკვიდრეობა. გიორგიმ განიზრახა თავისი ასულის თამარის გამეფება. მართალია, ქალი მანამდე არ ყოფილიყო საქართველოში მეფედ. მაგრამ გიორგის არ ეუცხოვა ეს აზრი, რომ გონიერ ქალს შეეძლო კარგად წარემართა სახელმწიფოს საქმეები.

თამარის სახელი, მისი სიმშვენიერე და გონიერება ჯერ კიდევ გამეფებამდე იყო ცნობილი საქართველოს გარეთაც. შორეული ქვეყნებიდან მრავალ მეფეთა უფლისწულნი მოდიოდნენ თამარის სატრფიალოდ. სახელგანთქმული და უძლეველი სალეს-ად-დინის (სალადინის) ვაჟიც კი ესტუმრა საქართველოს თითქოს თამარის სახილველად. ყოველი მათგანი ცდილობდა თავი მოეწონებინა ქალწულისათვის, რომ ღირსი გამხდარიყო მასთან შეუღლებისა.

გიორგის მეფის მიერ თამარის თანამოსაყდრედ გამოცხადებას გულლიად შეხვდა ქართველთა უმრავლესობა. ხალხში უკვე ხმა იყო დარხეული თამარის სიბრძნეზე. გულშუქიანობაზე. ქალი ბრძენი, სათნოიანი დაამყარებს ყველგან მშვიდობასაო. დიდი აღფრთოვანებით ჩაატარა გიორგი მეფემ თავისი ასულის თანამოსაყდრედ გამოცხადების ზეიმი.

გიორგი მეფის მოულოდნელმა გარდაცვალებამ დიდი მოვალეობანი დააკისრა სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ჯერ კიდევ გამოუცდელ ახალგაზრდა ქალს. თამარმა იწყო მართვა ჭვეყნისა. ნაზი ხელით უღლელ-უტეხით. იგი ცდილობდა თვით რთულ საკითხსაც ჩაჰკვირებოდა, ეძებდა ყველგან საქმის მიზეზს, იკვლევდა მიზანს. თავიდანვე კმაყოფილნი დარჩნენ თამარის მეფობისა მახლობელნი, კარისკაცნი და დიდებულნი. მაგრამ მაინც იყვნენ გამძვინვარებულ ფეოდალთა შორის. ისეთნიც, რომელთაც განეზრახათ — ესარგებლნათ გამოუცდელი ქალწულის მეფობით, დაასკვნეს განდგომა, დარწმუნებულნი იყვნენ თამარი მათ წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა, ისიც ეგონათ ყველა დიდებული მათ მიემხრობოდა. ამ დიდგვარიანებს სურდათ კვლავ აღედგინათ წოდებრივი უპირატესობა, რომელიც მათ შეუზღუდა გიორგი მეფემ. და კვალინდებურად შთამომავლობითი უფლებები პირად ღირსებაზე მაღლა დაეყენებინათ. ამგვარად ქართველ დიდგვაროვანთ უნდოდათ მოესპოთ ის, რაც დიდი ხნის მედგარი ბრძოლის წყალობით, საქართველოს კეთილდღეობისა და წარმატებისათვის თამარის წინაპრებმა შექმნეს. ამას ზედ დაერთო პოლიტიკური ხასიათის მოთხოვნებიც, რაც შეთქმულთა ერთი დასის მეთაურმა, მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-არსლანმა წამოუყენა თამარ მეფეს.

მივიდა რა ამბოხების ამბავი თამარ მეფის ყურამდე, მან მსწრაფლ მოუწოდა ერთგულებს. თამარის განკარგულებით ყუთლუ-არსლანი დაატუსაღეს. მისმა მომხრე დიდებულებმა და ლაშქარმა მოინდომეს ძალით გაენთავისუფლებინათ მეამბოხეთა მეთაური და კიდევაც მოჰკიდეს ხელი იარაღს. მაგრამ მათ დასაწყენარებლად თამარმა მიმართა მშვიდობიან გზას — სიტყვიერ ჩაგონებას, რაიცა მიანდო ორ გამოჩენილ ქართველ მანდილოსანს — ქვაშაქ ცოქალს და კრავაი ჭაყელს. ამ ორმა მანდილოსანმა მოახერხა მეტად პასუხსაგები პოლიტიკური კონფლიქტის მოგვარება.

უფრო ადრე თამარ მეფემ ყურადღება მიაქცია ეკლესიის საქმეს. შენიშნა, რომ ხანთა სვლაში სამღვდელოების გარშემო ისეთი ვითარება შექმნილიყო, რაც რჯულის დამცველთ არ შეეფერებოდა. იყვნენ ისეთი ეპისკოპოსნიც დიდგვაროვნ-

თავან, რომელნიც ავაწროებდნენ ხალხს. ყველა ეს გარემოება გაითვალისწინა თამარის განკარგულებით მოწვეულმა საეკლესიო კრებამ.

თამარი შეუდგა სამფლობელოს დათვალიერებას, ადგილობრივ გაცნობას. შემოიარა საქართველო, ყველგან დასტოვა საუკეთესო მოგონება. ზღაპრად მოუთხრობდნენ მის ჰაეროვან ქცევას, თუ ჰაზრიან თქმას სასიკეთოს. აქ მტრები შეარიგა, იქ გაჭირვებულ თემს თუ გატეხილ ოჯახს ხელი აღუპყრა, სხვაგან სამკვიდრედ შემოართყა თავისი მზრუნველობა. იმ ხანად საქართველოს გარეშე მტრებთან უხდებოდა ბრძოლა. ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს თავდამსხმელები. თამარმა მთელი ეს წლები თავისი მეფობისა ქვეყნის მიზანშეწონილ მზრუნველობას მოახმარა.

ამის შემდეგ საქართველოს სახელმწიფოს მესვეურთა საზრუნავს თამარისათვის ქმრის მოძებნა შეადგენდა. ბევრი ძიებისა და ფიქრის შემდეგ დიდებულებმა სასურველ საქმროდ თამარისათვის სცნეს რუსეთის მთავრის ანდრეი ბოგოლუბსკის ძე გიორგი, იმ დროს იგი ყივჩახეთში ცხოვრობდა. გარეგნობით მოეწონათ დიდებულებს გიორგი რუსი და წინადადება მისცეს თამარს, იგი შეერთო ქმრად. ღამარი არ დაკმაყოფილდა მხოლოდ საქმროს მოსაწონი გარეგნობით და სთხოვა დიდებულებს დაეცადნათ იმ დრომდე, ვიდრე კარგად გაიცნობდნენ გიორგი რუსის ხასიათსა და ზნეობას. დიდებულებმა შეუძლებლად სცნეს დაცდა და სთხოვეს თამარს დაუყოვნებლივ დაეწერა ჯვარი. ამასვე ურჩევდა თამარს მისი მამიდა რუსუდანიც. თამარი იძულებული შეიქნა მითხოვებოდა გიორგი რუსს თავისი სურვილის წინააღმდეგ.

ამ უკანასკნელი ეპიზოდის აღწერით ასრულებს ვ. ბარნოვი „პირიმზეს“.

ვ. ბარნოვი არ ჰგავს იმ მწერლებს, რომლებიც თავიანთ ნაწარმოებებს ავსებენ წარსული ცხოვრების მხოლოდ გარეგან ფორმებზე მოთხრობით, ტვირთავენ მათ ნივთებისა და საგნების აღწერით. ასეთ ნაწარმოებში გამოხატული ადამიანები არ ცოცხლდებიან მკითხველთა წარმოდგენაში, არ ამჟღავნებენ თავიანთ ადამიანურ სახესა და სულს. ვ. ბარნოვი ყოველთვის მთავარ ყურადღებას ადამიანს აქცევს. იგი მოვ-

ლენებს უმეტეს შემთხვევაში აგვიწერს თითქოს ძალზე ზუსტად და „მშრალად“, მაგრამ ეს იმისათვის, რომ მოვლენები მისთვის მხოლოდ ჩარჩოა, რომელშიც გამოჩნდებიან ისტორიული ადამიანების ცოცხალი სახეები. ვ. ბარნოვი ნაწარმოებში ლაპარაკობს გარეგან ფორმებზედაც — ტანსაცმელზე, იარაღზე, ბუნებაზე, არქიტექტურაზე, თუმცა ეს ყოველივე ისეა, რომ არ ჩრდილავს ადამიანებს. ვ. ბარნოვი ადამიანის სულს, რომელიც გადასულია ისტორიაში, არ ცვლის გარეგანი აქსესუარების აღწერით, არამედ ამ საგნებისა და დოკუმენტების იქით სჭვრეტს ისტორიულ თავისებურებას, რასაც იგი სწვდება თავისი შემოქმედებითი ხილვით.

ვ. ბარნოვის შემოქმედების ეს თვისება, შეიძლება ითქვას, ყველაზე უფრო მკვეთრად „პირიმზეში“ გამოქვდავდა. ეს რომანი არსებითად არის ერთი პიროვნების — თამარის ცხოვრებისა და მეფობის პირველი წლების მხატვრული რეპროდუქცია. ნაწარმოების დანარჩენი მოქმედი პირნი თავიანთი სიტყვითა და საქმიანობით მხოლოდ ხელს უწყობენ, რაც შეიძლება სრულყოფილად გამოჩნდნენ თამარის დიადი ადამიანური და სახელმწიფოებრივი ღირსებანი. ისტორიულად ცნობილი თამარ მეფე მწერალს ნათელი პოეტური ფერებით ჰყავს დახატული. მისი წარმოდგენით გამართლებულია თამარის ჩვენება, როგორც ნამდვილი ადამიანისა, დამახასიათებელი ქალური ვნებებით, თვისებებით, გრძნობებით, სილამაზით, სიბრძნით და გულკეთილობით.

ვ. ბარნოვის რომანში თამარი წარმოდგენილია, როგორც მეტად გონიერი და მტკიცე მმართველი ქვეყნისა, რომელიც ახერხებს და იმორჩილებს განაპირების მოსურნე ფეოდალებს, ზრუნავს ხალხისათვის. ამ ნიადაგზე უთანხმოებაც კი წარმოიშვა მასსა და დიდგვარიანებს შორის. მისი გამეფებისას იყო, რომ ხალხმა მიმართა: „თამარ პირიმზე! მოგვგზავნა ხალხმა, მოგახსენოთ გულისტკივილი. გვიხარია შენი მეფობა, იგრძნობ ჩვენ ტანჯვას, რკინის უღელს არ დაგვიძიმებ. გადმოგვხედე წყალობის თვალთ. თავს შემოგწირავთ“. უკმაყოფილო დიდგვარიანები იმასაც კი ამბობდნენ, თამარი ალაღებს ხალხს, გლეხობასო. „ისლა გვაკლია, მიჰმართოს თვით ხალხს და შეკრიბოს მისი ძალა ჩვენ შესაზღუ-

დად... ოღონდაც! თუ გლახობას მოუწოდა და შეიერთა, ფრთებს შეასხამს ყმებს. გამოვა მაშინ მღაბით მორჩილებიდან და შესაძლოა, ჩაგვეშალოს ბატონობა“. თამარის მზრუნველი ხელი შეეხო საქართველოს ცხოვრების ყველა მხარეს. ამ დროს იყო, რომ განმტკიცდა და გაძლიერდა ქვეყანა, უაღრესად აყვავდა ლიტერატურა და ხელოვნება.

ვ. ბარნოვი იზიარებს იმათ მოსაზრებას, რომლებიც ამტკიცებენ, — თამარის მეფობას ამშვენებდნენ ჩახრუხაძე და რუსთაველი.

„პირიმზედან“ ვიგებთ, რომ თითქოს ამ დროს მმართველ წრეებში დიდი უთანხმოების საგანს შეადგენდა სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხი. ერთმანეთს უპირისპირდებოდნენ ორი ორიენტაციის მომხრე დიდგვარიანნი. ერთნი იცავდნენ იმ აზრს, რომ საქართველო უნდა დაკავშირებოდა სამხრეთ-აღმოსავლეთს, მუსლიმანურ ქვეყნებს, ხოლო მეორენი ამბობდნენ, რომ ჩვენი გზა ჩრდილოეთისკენაა, ქრისტიანულ ქვეყნებისაკენ. ვ. ბარნოვის ეს შეხედულება ერთგვარ კორექტივს საჭიროებს. თამარ მეფის დროს საქართველო საკუთარ ძალებს ეყრდნობოდა უპირატესად და არაერთარ პოლიტიკურ ორიენტაციას ის არ ეძებდა.

„პირიმზეში“ წარმოდგენილია აგრეთვე შორეული გამოძახილი იმ დიდი ისტორიული მოძრაობისა, რომელიც ცნობილია ჯვაროსანთა ომების სახელით. სალადინი ცდილობს კეთილმეზობლური და მეგობრული ურთიერთობა იქონიოს გაძლიერებულ საქართველოსთან, მიწერ-მოწერაჲ კი აქვს მას ქართველ მეფეებთან. სალადინის უმცროსი ძე ზუნდალადილი თითქოს საქართველოშიც იყო და გაუმიჯნურდა თამარსო.

რომანის ფურცლებზე გაცოცხლებულია ეპიზოდურად ფილიპე ფრანგისტანელისა და რიჩარდ ლომგულის გმირული სახეები.

* * *

არც ერთ თავის რომანში ვ. ბარნოვი ისე ზუსტად არ მიჰყვება აღწერილი ისტორიული ამბების თანამედროვეობას, როგორც „თამარ მრწემში“. ამ რომანში გადმოცემულია

საქართველოს ცხოვრება XIII საუკუნეში. ეს ის დროა, როდესაც საქართველო დაპყრობილი ჰქონდათ მონღოლებს. ცნობილია, რომ მეცამეტე საუკუნის დამდეგს მონღოლების მეთაურთა შორის გაძლიერდა ჩინგის-ყაენი. სხვადასხვა ტომებისაგან მან უზარმაზარი ლაშქარი შეაგროვა და აღმოსავლეთის თურქ-მონღოლთა ხალხები დაიმორჩილა. შუა აზიიდან ჩინგის-ყაენის ჯარმა კასპიის ზღვის სამხრეთ ნაპირებს შემოუარა, მოადგა კავკასიას, მათ შორის საქართველოსაც და დაიპყრო იგი; ქართველი ხალხი დიდხანს მდგარ წინააღმდეგობას უწევდა მონღოლებს, მაგრამ მაინც დამარცხებული იქნა უძლიერესი მტრისაგან. ამის შემდეგ ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველო მონღოლთა მძიმე უღლის ქვეშ იმყოფებოდა¹.

„თამარ მრწემის“ სწორედ ამ პერიოდის საქართველოს მდგომარეობას აგვისახავს. მთავარი მისი წყაროა „ქართლის ცხოვრება“.

გიორგი ლაშას სიკვდილის შემდეგ, მისივე ანდერძით დროებით გამეფდა რუსუდანი, რადგან კანონიერო მემკვიდრე ტახტისა დავითი ჯერ მცირეწლოვანი იყო. რუსუდანს მალე შეეძინა ვაჟი და მასაც დავითი უწოდეს. პატივმოყვარე რუსუდანმა განიზარახა თავისი შვილის გამეფება. ტახტის კანონიერი მემკვიდრე რომ გზიდან ჩამოეცილებინა, რუსუდანმა იგი რომის სასულტნოში გაგზავნა, თავის სიძე ყიასდინ სულთანთან, რომელსაც მისი ასული თამარი ჰყავდა ცოლად, ხოლო შემდეგ ცილი დასწამა, ვითომც დავით ლაშას ძეს სულთანის ცოლთან უზნეო კავშირი ჰქონებოდეს. აღშფოთებულმა ყიასდინმა დავითი ჯურღმულში ჩააგდო. ეს შემთხვევა გარკვევით არის აღნიშნული ისტორიულ წყაროებშიაც.

ამ არევ-დარევის დროს მონღოლებმა ჰერეთისა, კახეთისა და კამბეჩიანის ღუშანის მმართველად დასვეს ერგასლან ბაკურციხელი. დიდგვარიანთ არ სურდათ ერგასლანის ბატონობა. ამიტომ შეიკრიბენ თბილისში ვარამ გაგელი, შანშე, ცოტნე დადიანი, ყვარყვარე ათაბაგი, შოთა კუპრი და სხვა

¹ იხ. ი. ცინცაძე — „მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები“, გვ. 108—131, 150—157.

წარჩინებულნი, რომელნიც ეძებდნენ ქვეყნისათვის გამოსავალს მძიმე მდგომარეობიდან.

იკვევია, რომ ტყვეობაში მყოფ დავით ულუ, ლაშა გიორგის ვაჟი, რომელიც მას ველისციხელი ქალისაგან შეეძინა, ცოცხალია. დიდგვარიანთ გადასწყვიტეს, თხოვონ ყენს მისი გამეფება, როგორც კანონიერი მემკვიდრისა.

სამეფო კარის ინტრიგებს საქართველო ხშირად დიდ უბედურებამდე მიჰყავდა. ამ რომანშიც სწორედ ეს აზრია გატარებული. მონღოლებმა გაგზავნეს ელჩი ქართველების თხოვნით ყიაზდინ სულთანთან. მონღოლებმა საქართველოს დაქსაქსვისა და დასუსტების მიზნით აღმოსავლეთ საქართველოში გაამეფეს დავით ულუ, ხოლო დასავლეთ საქართველოში — დავით ნარინი.

დავით ნარინი ჩაიკეტა დასავლეთ საქართველოში, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში დავით ულუ ნომინალური მეფეა, სახელმწიფოს ფაქტიურად განაგებენ მონღოლები. მონღოლთაგან შეწერილი მძიმე ხარაჯა ეკონომიურად ლუპავდა საქართველოს. ქართველები აწყობენ აჯანყებას. ამ აჯანყების მიზეზად მონღოლთაგან საქართველოში ხარკისა და გადასახადების ამკრფე მოხელეთა უზენაეს ხელისუფლად დანიშნულ ხოჯა-აზიზის ბოროტმოქმედება და ქვეყნის ყვლეფა იყო დასახელებული.

ვ. ბარნოვი დიდი დამაჯერებლობით აღწერს დაპყრობილ საქართველოს მდგომარეობას. რომანის ეს ნაწილი წმინდა ისტორიულია, ისტორიულია ის ამბავიც, რომ დავით ულუს, რომელსაც არ ჰყავდა შვილი ჯიქთა-ხათუნთან, მოუყვანეს ოსი ბატონის ქალი ალთუნ, რომელთანაც ეყოლა ორი შვილი — გიორგი და თამარ. ალთუნ შვილოსნობის შემდეგ მეფურად დასაჩუქრებული გაუშვეს მშობლებთან. ხოლო ბავშვები კანონიერად იშვილა მეფე-დედოფალმა. ამრიგად ტახტის მემკვიდრე გახდა გიორგი დავითის-ძე. ეს ამბავი რომანში და „ქართლის ცხოვრებაში“ ერთმანეთს ემთხვევა; ხოლო ეს თამარი არის მთავარი გმირი იმ რომანულ-სასიყვარულო ამბისა, რომლის შესახებაც არის ლაპარაკი ვ. ბარნოვის ნაწარმოებში. გარდაიცვალა ჯიქთა-ხათუნ. მეფემ შეირთო სირმან ნოინის და ესუქან, რომელსაც შეეძინა შვილი დარდანი და ხელახლა გაიმართა მემკვიდრეებს შორის ბრძო-

ლა ტახტის გარშემო. ესუქანმა მოინდომა დარდანის გამეფება, მაგრამ ჯერ საჭირო იყო გიორგის ჩამოშორება. აქედან იწყება საშინელი კონფლიქტი.

„თამარ მრწემში“ წარმოდგენილია მრავალი ისტორიული სახელი, მათ შორის დავით ლაშა გიორგის ძე, დავით რუსუდანიის-ძე, ერგასლანი, სოსნა, გიორგი, თამარი, მონღოლთა ყაენები და ნოინები, რომელთაც კარგად იცნობს „ქართლის ცხოვრება“. რომანში არიან ისეთი პირებიც, რომელნიც არც „ქართლის ცხოვრებაში“ და არც სხვა ისტორიულ წყაროებში არ არიან მოხსენებულნი. ისტორიული პირების დახასიათებისას ვ. ბარნოვი ეყრდნობა რეალურ მონაცემებს.

„თამარ მრწემში“ ვ. ბარნოვი მოხერხებულად აბამს სიყვარულის ქსელს. გარდანს შეუყვარდება მეფის ასული თამარი, თუმც დაუძლეველი ზღუდე ელობება მას ამ მიზნის შესრულებაში. გარდანი შეუყვარდება თამარსაც. გარდანისა და თამარის სიყვარულს ერთი ფრიად დამაბრკოლებელი გარემოება გადაელობა: მამას სურს თამარის ქორწინება გადააქციოს პოლიტიკურ აქტად, მიათხოვოს იგი დიდ ნოინს ჩალათარს და ამიტომ სახელმწიფო ინტერესებისათვის ქალიდან მოითხოვს პირადი გრძნობის უარყოფას.

რომანის მთავარი გმირებია თამარი, თამარ მრწემადაა წოდებული, რაც ნიშნავს თამარ უმცროსს, და გარდანი. თამარი გიორგი ლაშას შვილიშვილია, დავით ულუს ასული. სილამაზით იგი დიდ თამარსაც არ ჩამოუვარდებოდა. თამარი მეტად მგრძნობიერია. იგი თავითვე მიუხვდა გარდანს, „ვაჟის მზერამ ამცნო ქალის გულს, ამიერიდან ის ჭაბუკი შენი ყმა არის“. მათ შორის წოდებრივი განსხვავება არსებობდა, თუმც ქალი თუ პირდაპირ არა, უჩინარად მაინც უაღერსებდა ხოლმე, „თავისიანად“ სთვლიდა მას. მართალია, თამარს აშინებდა მამის რისხვა და ფრთხილად იქცეოდა. მაგრამ აზრი იმის შესახებ, რომ ოდესმე უღალატებდა თავის სატრფოს, ფიქრადაც არ მოსდიოდა. თამარი გამბედავი ქალია, იგი გრძნობდა, რომ გარდანი მისი სიყვარულით გაგიყვამდე იყო მისული, თუმც ისიც იცოდა, რომ გარდანი ამის შესახებ რაიმეს თქმას ვერ უბედავდა. ისევ თამარს უნდა დაეძლია ყოველივე და პირველად მას გაემყდვენებია გულისთქმა. გრძნობამორეულმა ქალმა მიმართა გარდანს: „ჩემი გულის

რჩეული ხარ, ვაჟკაცო“. თამარი არ მიისწრაფის განდიდებასაქენ. იგი ბოლომდე რჩება ერთგული სპეტაკი სიყვარულისა. მას არ აშინებს ბრძოლა, იგი გარდანსაც მოუწოდებს ბრძოლისაკენ. „ვიბრძოლოთ, გარდან! ბრძოლით დავიცვათ ჩვენი გული, ჩვენი უფლება!“ ვერავითარმა რისხვამ ვერ შეაშინა იგი, მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე, რისთვისაც კიდევ დაისაჯა.

გარდანი, რომანის მიხედვით, ლაშას შეყვარებულის, უფლისციხელის შვილიშვილია: „დიდდღის სისხლი ჩქეფსო იმის ძარღვებშიო“, — ამბობს გიორგი. გარდანის მამა ნოდარი, ერგასლანის ერთგული იყო. მას გარდანიც თავისთან ჰყავდა. ჯერ კიდევ პატარა გარდანს იზიდავდა იარაღი და საგმირო საქმეები. ჩემულობდა ვაჟკაცობას და თხოულობდა ერგასლანის რაზმში ჩაწერას. ერგასლანმა შეუსრულა თხოვნა. განთქმული მეომარი დადგა გარდანი. იგი ტახტის მემკვიდრის გიორგის პირადი მეგობარი და მისი რაზმის წინამძღოლი გახდა. მან ერთხელ დავით მეფეც კი იხსნა სიკვდილისაგან: დავითის მიერ ძლეულ მონღოლის შინაყმამ დაუმიზნა ისარი მეფეს და ის იყო მოსწია მშვილდი, რომ დაასწრო გარდანმა და ისარი ყელში გაურჭო მონღოლს. ამის შემდეგ მეფემ გარდანი კიდევ უფრო დაიახლოვა, სასახლის ამაღლში ჩარიცხა, ყაენმა კი ვაჟკაცობისათვის მას საკუთარი ხმალი უბოძა. გარდანი უანგარო, ერთგული, კეთილი მიჯნურია, ლომივით ძლიერი და გაუტეხელი, მტკიცე ნებისყოფისა ომში. ერთის სიტყვით ყოველმხრივ ღირსეული თვისებით დაჯილდოებული რაინდია. „მას ბადალი არა ჰყავდა სულიერ და ხორციელ შემკულობაში“. ამიტომაც მოიხიბლა იმით თამარი, რომელიც „ცაში ვარსკვლავთა შორის ეძებდა თავის ცალს!“

თამარს და გარდანს ერთმანეთი შეუყვარდათ, მაგრამ გარდანმა კარგად იცოდა, რომ „არ უყვარდა დავით ულუს ხუმრობა“. გარდანს განსაცდელისა არ ეშინია, მას ვერც კი წარმოუდგენია მოსალოდნელ ხიფათს გვერდი აუქციოს, დაემალოს. მეფის ბრძანებას მისი „გადაზღვევების“ შესახებ, იგი ვაჟკაცურად შეხვდა, შეებრძოლა, ახლოსაც არავინ მიიკარა, ყველას ხელები დასხიპა და გაფანტა. ამით დაიმსახურა მან მეფისგან „დანაშაულის“ პატიება. გარდანის სახით

ვ. ბარნოვა დაგვიხატა ამაღლებული სიყვარულით გატაცებული რაინდი.

* * *

„ნათელმოსილნი“ ასახავს XV საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ვითარებას. ქართველი ხალხი ზეიმს მისცემოდა იმის გამო, რომ ქვეყნიდან განდევნილი იქმნენ მონღოლები.

დიდი ხნის განმავლობაში ქართველი ხალხი მედგარ წინააღმდეგობას უწევდა მონღოლებს, მაგრამ მან მაინც ვერ გაუძლო მოზღვავებულ მტერს და დამარცხდა უძლიერესი მტრისაგან. ამის შემდეგ მთელი ორი საუკუნის განმავლობაში ქართველები მონღოლთა ბატონობის მძიმე უღელქვეშ იმყოფებოდნენ. სასტიკი იყო მონღოლთა მართველები, თავისი სიმკაცრით მაინც ყველას გადააქარბა თემურ-ლენგმა. მრავალჯერ მოაოხრა მან საქართველო, თუმცა ვერც ერთხელ ვერ მოახრევინა მას ქედი. დაიცალა საქართველო სისხლისაგან, მაგრამ მონობას მაინც ვერ შეუზღიდა. დროთა განმავლობაში ჩინგის-ყაენისაგან შექმნილი მონღოლთა სახელმწიფო თანდათან სუსტდებოდა, ქუცმაცდებოდა; სამხედრო დიქტატურაზე დამყარებული, ყოველგვარ ეკონომიურ საფუძველს მოკლებული სახელმწიფო ერთბაშად დაინგრა¹.

მონღოლთა მონობისაგან განთავისუფლდა საქართველოც. გაბედნიერებული ქართველი ერი ზეიმობს ამ ღირსშესანიშნავ დღეს. ზეიმი მცხეთაშია, სვეტიცხოველში. განთავისუფლებულ ქვეყანას ესპიროება განაწლება და აღდგენა. ალექსანდრე მეფე ზრუნავდა ამისათვის.

მონღოლთა მძლავრობისაგან მარტო საქართველო კი არ განთავისუფლებულა, თავისუფალი შეიქმნა მთელი წინა აზიაც, მათ შორის ირანიც. მონღოლთა მფლობელობის დროს ირანიც დიდად იქნა დამდაბლებული. მხოლოდ მტრის უკუქცევის შემდეგ გამოცოცხლდა იგი: მისი ერთი ნაწილის

¹ ი. ჯავახიშვილი — „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი მესამე; ი. ცინცაძე — „მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები“.

მბრძანებელი შეიქნა შაჰ-როხი, ხოლო მეორე ნაწილი ირანის, ადერბაიჯანი ჯეჰან-შაჰს გადაეცა საბრძანებლად. შაჰ-როხი ოცნებობს ძველი ირანის საზღვრების აღდგენაზე, მაგრამ მას წინააღმდეგა მისივე თანამებრძოლი ჯეჰან-შაჰი, როხის შორეული მიზნების განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს, როგორც ბუნებრივ საზღვარს ჩრდილოეთით და გზას დასავლეთისაკენ. „ნათელმოსილში“ აღწერილია შაჰ-როხის ელჩების ჩამოსვლა საქართველოში. ქართველებმა შაჰ-როხის წინადადება მორჩილების შესახებ, უარჰყვეს. ელჩებმა კარგად იციან თუ რამდენად ძვირფასია საქართველოს შეგობრობა ირანისათვის და ამიტომ დათმობაზე მიდიან. ირანი უთმობს საქართველოს რამდენიმე სავასალოს, ხოლო საქართველო ღებულობს ვალდებულებას იყოს მისი მოკავშირე და საჭირო შემთხვევაში დაეხმაროს ჯარით.

ამის შემდეგ რომანში ნაჩვენებია ბრძოლა ირანის ტახტის გარშემო, რაც ხშირი მოვლენა იყო ამ ქვეყანაში. ამ შფოთს ბევრჯერ მოჰყოლია გრიგალი საქართველოშიც. „ნათელმოსილში“ აღწერილია თუ ჯეჰან-შაჰმა, შეშფოთებულმა იმით, რომ საქართველო შეუკავშირდა შაჰ-როხს. მოინდომა მისი გადაბუგვა. მაგრამ ქართველთა დიდი წინააღმდეგობის შედეგად, ჯეჰან-შაჰი გაწბილებული გაბრუნდა უკან. რომანის ბოლო თავებში იშვიათი მხატვრული ოსტატობით არის აღწერილი ბრძოლა სამშვილდეს ციხესთან.

ბატონიშვილმა დიმიტრიმ მცნეთობის ზემიდან გამოაყოლა თვალები სამშვილდის ციხისთავის ქალს შუქიას. მას მოეწონა ქალი მხოლოდ და მხოლოდ წუთიერი სიამოვნებისათვის. დიმიტრი ბატონიშვილი აედევნა ქალს, მაგრამ დაუძლეველ წინააღმდეგობას წააწყდა, შუქიამ ზიზლით უარჰყო მისი წინადადება: „უზნეოა ეგ შენი ნათქვამი, მორჩი ეგ სიტყვა“. ბატონიშვილის უბრალო მოწონება დაბოლოს თითქმის ნამდვილ სიყვარულად იქცა, მაგრამ იგი აქაც გაწბილებული დარჩა.

შუქიას უყვარს რაინდი ზურაბი. დიმიტრის უხეშ „სიყვარულს“ უპირისპირდება ზურაბის უმწიკვლო სიყვარული. ზურაბი ცოცხალი განსახიერებაა ვაჟაკობისა და კეთილშობილებისა. მისი სიყვარულიც კეთილშობილურია.

დიმიტრი ბატონიშვილმა მოინდომა ზურაბის გზიდან ჩამოშორება. შუქიას დაუფლები სურვილით გატაცებულ ბატონიშვილს გადაეწყვიტა ზურაბი თავისთან ერთად წაეყვანა ირანში, რათა სახიფათო საქმეში ჩაება იგი და დაეღუპა. მაგრამ შეყვარებული ვაჟკაცის გულს თან სდევს სატრფოს ჩრდილი და ყოველგვარ გასაჭირში მხსნელად ევლინება. შუქიას ხატებამ ააციხფეროვნა ზურაბი საგმირო საქმეებისათვის და იგი გამარჯვებული დაბრუნდა საქართველოში.

სამშვილდეს ციხის დამცველ ქართველთა შორის იმყოფებოდა ზურაბიც და დიმიტრიც. მწვავე და სისხლისმღვრელი ბრძოლის შემდეგ, შეატყვეს რა მათ, რომ მოზღვავებული მტრის წინააღმდეგ ძლიერი ვაჟკაცის მარჯვენაც კი უძლურია, მათ საკუთარი შუბლებით განიგმირეს გულები და ცოცხლები კი მაინც არ დანებდნენ თავდამსხმელებს. შუქიაც ამ მებრძოლთა გვერდით იდგა და იცავდა სამშობლოს.

„ნათელმოსილში“ ვ. ბარნოვმა ხაზი გაუსვა იმ მოსახრებას. რომ სიყვარული მაღალი გრძნობაა, მაგრამ სამშობლოს სიყვარულთან შედარებით, როგორც ყოველი გრძნობა, ისიც მკრთალია და ადვილად დასათმობი.

* * *

გურიის მთავრის ასულს — თინათინს უყვარს თავადი ნოშრევანი, მაგრამ მამია გურიელს პოლიტიკური სარგებლობიანობის თვალსაზრისით სურს თავისი ქალი მრათხოვოს კახეთის მეფეს — ლევანს; ამ უკანასკნელს კი უყვარს ლეკეთის შამხალის უსუფ-ხანის ქალი ლეილ-ყიზი.

ამ სატრფილო ამბებთან ერთად „მიმქრალ შარავანდედში“ ასახულია ისტორიული ვითარება, როდესაც საქართველო დაყოფილი იყო ცალკეულ სამფლობელოდ და სამთავროებად, ხოლო თბილისში ბატონობენ სპარსელები. დანაწილებულ საქართველოს მეფეებს და მთავრებს ერთმანეთთან მუდმივი ქიშპობა და შუღლი ჰქონდათ. ამ ბრძოლებისა და შეხლა-შემოხლის გამო თითოეული მეფე, თუ მთავარი ყოველთვის იმის ცდაში იყო, რომ ძლიერი მოკავშირე ჰყოლოდა, რომელიც საჭირო შემთხვევაში დაეხმარებოდა. ასე-

თივე მოსაზრებით გამსჭვალული მამია გურიელი გადაწყვეტს სიძედ აირჩიოს კახეთის მეფე ლევანი, მიათხოვოს მას თავისი ასული თინათინი. მამია გრძნობს, რომ მისი ვაზნაზის წინააღმდეგი არც ლევანი იქნება, რადგან მასაც ესაჭიროება ერთგული მოკავშირე. კახთა მეფემ მიიღო გურიელის წინადადება იმ რწმენით, რომ ეს კავშირი წარმატების გზაზე დააყენებდა სახელმწიფოს, განამტკიცებდა მის ძლიერებას. ლევანმა თავისი პირადი ცხოვრების შექმნას საფუძვლად დაუდვა პოლიტიკური მოსაზრება.

მამია გურიელის პირმშვენიერმა და კეთილშობილმა ასულმა თინათინმა კარგად იცის, რომ დედოფლობა მოელის, მაგრამ როგორ მიიღოს ეს ბედნიერება თუ მას გული აუკუნესდება და დაეტანჯება: „ვიცი, დედოფლობა მომელის, მაგრამ არ მიმიწევს. გული იქითკენ, ვერ დამიმორჩილებია ჩემი თავი, ვერ დამიყოლება, მიკვნესის გული, თითქოს რაივე უბედურება მომელის იქ“. თინათინს ვერ გადაუწყვეტია, ცხოვრების რომელი გზა აირჩიოს, დატკბეს სიყვარულით; თუ უპირატესობა მისცეს გარეგან ბრწყინვალეებას, რომელიც მოკლებული იქნება ყოველგვარ გრძნობას. თანდათან გაიღვიძა მასში პატივმოყვარეობის მისწრაფებამ. მართალია. სიყვარული დიდი გრძნობაა, ნოშრევანი ტკბილია, მაგრამ იგი ხომ თავადია უბრალო, მისი შამის შინაყმა და უბრალო თავადივე დარჩება და თვითონაც თინათინი მხოლოდ უბრალო თავადის ცოლი იქნება. იმის შეგნებამ, რომ ნოშრევანი უბრალო თავადია და ისიც უბრალო თავადის ცოლი იქნება, სხვა, ათასი თავადის ცოლების სწორი. და, სხვას უნდა უთმობდეს პირველ ადგილს. ამის შეგნებამ უსაზღვრო დამცირება აგრძნობინა თინათინს, იგი შეყოყმანდა. ვთქვათ, ქალმა დასძლია ყოველივე. აჰყვა გულისტქმას, დედოფლობას ამჯობინა უბრალო თავადის ცოლობა, გრძნობას და სიყვარულის ძალას დამორჩილდა. მაშინ რას იტყვიან მშობლები? მომავლის იმედით გაბრწყინებულ თინათინს ფონებაც მორჩილებას უკარნახებდა.

ვ. ბარნოვს შეუღარებლად ჰყავს რომანში დაპირისპირებული ორი შეყვარებული ქალის: ლეილ-ყიზისა და თინათინის სახე. თინათინი გამსჭვალულია სიყვარულით, მაგრამ მას დიდების შარავანდედი უბრმავებს თვალებს, დედოფლობის

გულისათვის იგი უარპყოფს გულს, გრძნობას; ლეილ-ყიზი—
ეს მთების შვილი, ბოლომდე გამსჭვალულა ლევანისადმი
სიყვარულით და თავის გრძნობებს ჩაკვირვებული ამბობს:
„არ მინდა მისი დედოფლობა, მომცეს მხოლოდ ლევანი,
მარტო მე მომცეს“.

თინათინი გაპყვა ცოლად ლევან მეფეს, შესწირა დედოფ-
ლობას თავისი სიყვარული, თავისი გული. მაგრამ ადამიანის
„ბედნიერების საყურკლე“ ძნელად ყოფილა ასავსები.
„სიყვარულია მხოლოდ ერთადერთი უკვდავი ნიჭი სახიერე-
ბისაგან წყევამოსილ ქვეყანაზე დატოვებულ კაცთა სანუგე-
შოდ, ერთადერთი ძალაა ადამიანის ცასთან დამაკავშირებე-
ლი, მხოლოდ სიყვარულით ძალუძს ადამიანს განიცადოს ამ
წუთიერ ცხოვრებაში საუკუნო ნეტარება. წრფელი სიყვა-
რული თვით ნათელია სხივით შემოსილ, მოტრფიალეთა და
მას არ ეჭირება არც ფოთოლთა შეთხზული არდაგი, არც
ტყავის რამ საფარველი სათბურებელი“. სწორედ ეს იყო
გვირგვინოსან მეუღლეთა უბედურება, მათ შორის ეკლე-
სიისაგან ნაკურთხ კავშირს არ ასხივოსნებდა და არ აფაქი-
ზებდა სიყვარული. თინათინსა და ლევანს შორის ცოლ-ქმრუ-
ლი კავშირი ძალზე ცივი და ნაძალადევი გამოდგა, ერთსაც
და მეორესაც თან დაპყვებოდა ნამდვილ სატრფოთა სახე.
„არ იყურთხა მალლით იგი კავშირი უგულო, ზეციით წარმო-
გზავნილმა ანგელოზმა ღვთაებრივი ნექტარით ხელში ვერ
მიუპყრა სავსე ფიალა ამ მეფე-დედოფალს“. სიყვარული ვერ
დაემკვიდრა იქ, სადაც იყო ცივი ანგარიში. თინათინი გაპყვა
ლევანს სწორედ ცივი ანგარიშის საფუძველზე, და, ეს არის
მისი ტრაგედია. შვილების გაჩენამაც ვერ შეიტანა სითბო
მეფე-დედოფლის ურთიერთობაში.

თინათინი მეტად დაღონებულია, არაფერი აღარ ახარებს
მას. გარეშე მაყურებლები დედოფლის ასეთ დაღონებას
მისი სიამაყით ხსნიდნენ, თორემ თუ მის გულს ნოშრევანის
სიყვარული აჰკნობდა, ეს „ვერაინ გაუგო“. თინათინი
გრძნობს, რომ შეცდა არჩევანში, უგულვებელპყო სიყვარუ-
ლი და გაპყვა განდიდების სურვილს, რომ ნოშრევანის გა-
რეშე მისი ცხოვრება არარაობას წარმოადგენდა. ფატყდა
დედოფალი და სინანულით იგონებს თავის ნაბიჯს. თუ წი-
ნათ დედოფლობისაგან დაბრმავებული ქალი განსხვავებას

ვერ ხედავდა ლევანის ქვეშევრდომებსა და ნოშრევანს შორის, ახლა იგი ლევანზე მალლა აყენებს ნოშრევანს, ახლა ვერ ხედავს იმ დიდ განსხვავებას მათ შორის, რამაც დააკარგვინა საყვარელი. ნოშრევანი „რითი-ღა განირჩევა ლევან ნოშრევანისაგან? მხოლოდ იმით, რომ მისი საბატონო უფრო ვრცელია და მდიდარი? თითონ ნოშრევანი კი ბევრით განირჩევა ლევანისაგან: იგი ახოვანი და შემმართველია, ერთი მუჭა ხალხით საარაკო საქმეების მომქმედი, ეს კი მოკრძალებული, ლაშქართა სიმრავლეზე დაყრდნობილ-დამყარებული, მით გულადი, იგი თავისუფალია, თავის ხმალს მინდობილი, უშიშარ-შეუპოვარი, ეს კი მხდალი, რომელსაც ვერც კი გაუბედნია გულახდილად გამოთქვას თავისი სურვილი. ნოშრევანი არ იყო, ლევან ჩემო, ბურთივით რომ გადმოგვიგდო თბილისი პოროლის წვერზედ, შენ კი შეკრთი, ვერ გაბედვ ხელის მიშველება, განზე გახტი მის სიდიდის წინაშე და ლაჩრულათ დაუთმე იგი სხვას“. ახლა ზღაპრულ არსებად წარმოუდგა ნოშრევანი თინათინის აღტაცებულ გონებას. მის თვალში უსაზღვროდ განდიდებული იყო ნოშრევანი, ხოლო ლევანი მეტად დამცირებული მოჩანდა. შეცდა მოჰაველის იმედით გაბრწყინებული თინათინი, უღალატა საყვარულს, განდიდება შესწირა გული.

იმედგაცრუებული, შეურაცხყოფილი დედოფალი სწყვეტს კავშირს ცხოვრებასთან, მონოზნად აღიკვეცება, რათა ამით მოუპოვოს სულს სიწყნარე და დაიმშვიდოს გული ფრიად ღელვილი. სიმშვიდე დედოფალმა მაინც ვერ კპოვა და გაიტანჯა სულითა და ხორცითაც. გაითანგა ათასკეც მწუხარებით. მონაზონის შავი ტანისამოსი აღმურად შემოეხვია მის მშვენიერ და ნაზ ტანს.

არც ლევანის გულს მოუპოვებია ნეტარება შექმნილი მდგომარეობით, ისიც იტანჯებოდა, მარად აგონდებოდა ლეილ-ყიზი. ვერც მან აღმოფხვრა გულიდან სიყვარული, დაკარგული ბედნიერება, ისიც მოტყუვდა არჩევანში. ლევანს თინათინთან გრძნობა არ აკავშირებდა, მხოლოდ მოვალეობა და პატივისცემა აახლოებდა, მაგრამ ესეც თანდათან შესუსტდა და ბოლოს სულ გაჰქრა.

თინათინთან განშორების შემდეგ ლევან მეფე თითქო ახლად დაიბადა, ახალი ცხოვრებისათვის იშვა და კვლავ კავკა-

სიონის მწვერვალადან გაულიმა სანატრელმა მზემ გაზაფხულისამ, დაღესტანის მთებიდან კვლავ გადმოხედა გულის სწორმა ლეილ-ყიზიმ. ლევანი გაეშურა მისკენ.

რომანში ყველაზე უფრო გვიზიდავს თავისი კეთილშობილური სახით ნოშრევანი. იგი გარეგნულად წარმტაცია, ფიზიკურად ძლიერია, გამბედავია, და, რაც მთავარია ძლიერი გრძნობის პატრონია. ნოშრევანი, რომელიც თინათინმა გვირგვინში გაცვალა, ვერ იშორებდა გულიდან სატრფოს სიყვარულს. მისი ცხოვრების გზა მთლად ჩამოხნელდა, მომავალს ვეღარ ხედავდა, განუხორციელებელი სიყვარული უაღრესად ტანჯავდა მას. ნოშრევანი გადაწყვეტს გაქცევას იმ ცხოვრებიდან, რომელიც ოდესღაც მთელი აღმაფრენით უყვარდა. ნოშრევანმა გაიგო რა, რომ თინათინ მონაზნად აღიკვეცა; თვითონაც გადაწყვიტა ბერად შემდგარიყო, რათა გამწარებული სულისათვის სიმშვიდე მოეპოვებინა. ცხრაკარის მონასტერში აღიკვეცა იგი ბერად. ყველას აკვირვებდა ასეთი ბრგე, ახოვანი ვაჟკაცის ბერად შედგომის ამბავი.

ნოშრევანი განუწყვეტლივ მისჩერებოდა შუამთის მონასტერს, სადაც თინათინი იმყოფებოდა, გულმოკლული სულ მასზე ფიქრობდა. დაუსრულებელ სივრცეში მწირს უნდოდა გონებით გაეპო აღმართული ზღუდე და ეხილა სახე თინათინისა, ჩაეხედნა მის თვალებში, აღმოეკითხნა პასუხი მისი. მაგრამ ამოდ. ბურუსი ფარავდა ყოველივეს.

ერთ დღეს ცხრაკარის ეკლესიის დღეობაზე ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ თინათინი და ნოშრევანი. ტაძრიდან მომავალი დედოფლის წინ დაეცა მწირი და ემთხვია მისი კაბის კალთას. „დიდებულო დედოფალო! ხელმწიფეე ჩემო თინათინ, რატომ თვალნი არ დამიბრმავდებიან, რატომ ამ ძაძასა ეხედავ შენზედ სადედოფლო ძოწეულის მაგივრად! მიცნობდა, ბატონო, შენს ერთგულ მონას ნოშრევანს?“ თინათინისა და მწირი ნოშრევანის ეს შეხვედრა დიდი ტრაგიკული ექსპრესიით აქვს გადმოცემული მწერალს. ეს ეპიზოდი ერთ წუთს ისევ დააბრუნებს მკითხველს უკან, ფიქრით გაიტაცებს გურიაში, მოაგონებს თინათინს, რომელსაც „უღიმოდა მომავალი და უქადდა სიყვარულს, დიდებას, სიხარულს, ყოველივე კეთილ ქვეყნიერს“. მაგრამ გაქრა, წარვიდა ყოველივე და დარჩა მხოლოდ მწუხარება და უიმედობა.

„მიჰქრალ შარავანდედს“ გასდევს ის აზრი, რომ ვინც სიყვარულს უარყოფს, ყველაფერი უშინაარსო გახდება, დაიშხვრევა. სიყვარულია სიცოცხლის საფუძველი, დასაბამი ჭეშმარიტი ადამიანური ცხოვრებისა და მოქმედებისა.

* * *

რომანში „დედოფალი ბიზანტიისა“ ასახულია ის ეპოქა, როდესაც მსოფლიო ასპარეზზე თანდათან ძლიერდება თურქეთი და საფრთხის ქვეშ აყენებს ქრისტიანული ქვეყნების და უპირველეს ყოვლისა, ბიზანტიის კრახობას. XV საუკუნის დასაწყისისათვის ბიზანტია მკვიდროდ იყო შემოკლებილი თურქთა ძლიერებით, ხონთქარს მიზნად დაესახა ბიზანტიის დამოუკიდებლობის მოსპობა. კეისარი კონსტანტინე გრძობდა, რომ ქრისტიანობის დიდი ბურჯი აღმოსავლეთში განსაცდელში იყო ჩავარდნილი. თურქეთის გაბატონება ბიზანტიაში დიდ უბედურებას მოასწავებდა მთელი დასავლეთის ქვეყნებისათვის. გამჭირახი კეისარი დამხმარე ძალებს დაეძებდა ამ განწირულ ბრძოლაში. ბიზანტიას აღმოსავლეთით-ღა დარჩენოდა გზა, იქ არსებობდა თანამორწმუნე, მოკავშირე ქვეყანა — საქართველო. კონსტანტინე კეისარმა სწორედ მისკენ მიაპყრო თვალი.

ქართველებიც კარგად ითვისებდნენ, რომ თურქეთის გაძლიერება და მოახლოვება საქართველოსაც მოუტანდა დიდ უბედურებას. ამიტომ იყო, რომ მისი მესვეურები — მეფეები ასე ძლიერად ცდილობდნენ ბიზანტიასთან მკვიდრო კავშირის გაბმას. ამ დაკავშირების რეალურ საბაზად შეიქნა საქართველოს მეფის გიორგი ალქესანდრეს ძის ასულის მითხოვება კეისრისათვის. კონსტანტინე კეისარმა თავის საცოლედ და თანამეცნებრედ აირჩია ქართველთა მეფის ასული. მალე დაქორწინება უნდა მომხდარიყო, მაგრამ კონსტანტინეპოლის თურქთა მიერ აღებამ და კონსტანტინე კეისრის დაღუპვამ ჩაშალა ეს საქმე.

ეს ისტორიული ვითარება ვ. ბარნოვს დიდი მხატვრული დამაჯერებლობით აქვს გახსნილი. რეალური ისტორიული მოვლენები წარმართავენ „დედოფალი ბიზანტიის“ სიუჟეტურ განვითარებას. კონსტანტინე კეისარს თავის ერთგულ

კარისკაცს და მეგობარს — ფრანძეს გზავნის ტრაპიზონისა და საქართველოს მეფეებთან, რომ მას ერთ-ერთ ამ ქვეყანათაგანში მისთვის შესაფერი საცოლედ გამოეძებნა. გიორგი მეფეს პირველი ცოლისაგან — თამარისაგან ჰყავდა სილამაზით განთქმული ასული. სწორედ იგი აირჩია საცოლედ კონსტანტინე კეისარმა.

გიორგი მეფის ქალს საქართველოში ბევრი ჰყავდა თაყვანისმცემელი, მათ შორის უპირველესი იყო ყვარყვარე ათაბაგის უფროსი ვაჟი, განთქმული რაინდი და გმირი ბაკური. სახელმწიფოებრივმა ინტერესებმა მოითხოვეს უპირატესობა მიეცათ კონსტანტინე კეისარისათვის.

ეპოქის მრავალი დამახასიათებელი მოვლენის შესახებ არის საუბარი რომანში. გიორგის მეფობის პირველსავე წელს მესხეთში, ჭაყელთა მმართველ საგვარეულოში ბრძოლა მომხდარა ყვარყვარესა და აღბუღას შორის. ყვარყვარე ათაბაგის მთელი მოქმედება ისედაც დაშლილ და დასუსტებულ საქართველოს პოლიტიკურ განაწილებისაკენ იყო მიმართული. მას საკუთარი დესპანებიც კი ჰყავდა მივლინებული უცხო ქვეყნებში. ეს ბრძოლა და განხეთქილება მას საეკლესიო სფეროშიაც გადაუტანია. გიორგი მეფემ აღბუღას დაუჭირა მხარი, ხოლო ყვარყვარე, ვითარცა განაპირებისა და თურქეთის ორიენტაციისა, მოაშორა მესხეთს და თავის სამეფო კარზე დაიჭირა. მხოლოდ მოგვიანებით, აღბუღას სიკვდილის შემდეგ დააბრუნა იგი კვლავ მესხეთში.

ბიზანტიელთა ბრძოლა კონსტანტინეპოლის დაცვისათვის და თურქების მიერ მისი ალების ამბავი ვ. ბარნოვს მთლიანად ისტორიული ჩარჩოებით აქვს განსაზღვრული. ამ ფაქტის გადმოცემისას იგი სავსებით ითვალისწინებს ისტორიულ პერსპექტივას, რომ ბიზანტიის მოსპობა და თურქთა გაბატონება მუსლიმანურ სახელმწიფოში ძლიერ რკალს არტყამდა საქართველოს და უკრავდა მას ევროპასთან დამაკავშირებელ დასავლეთის გზას:

გიორგის ქალის კონსტანტინე კეისარზე დაწინდვა აღწერილი აქვს ამ უკანასკნელის ისტორიკოსს—ფრანძეს, რაც შემდეგ მთლიანად იქნა გადატანილი ჰიბონისა და ლეზოს ცნობილ მეცნიერულ გამოკვლევებში. ჰიბონის ნაშრომიდან ეს მასალა თავის დროზე ქართულ ენაზედაც იქნა თარგმნი-

ლი და გამოქვეყნებული.¹ ეს ცნობა დაუდგა საფუძვლად ვ. ბარნოვმა თავის რომანს. მაგრამ XV საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ვითარების დასახასიათებლად მან გამოიყენა ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორია“. ი. ჭავჭავაძის „ქართველი ერის ისტორია“ (მეთხე წიგნი, პირველი ნაწილი).

ორი მოქმედი პირი წარმართავს არსებითად ამ რომანის სიუჟეტს. ერთი არის გიორგი მეფის ასული, დედოფალი ბიზანტიისა და მეორე — ბაკურ ათაბაგი.

გიორგი მეფის ასული განთქმული იყო თავისი სილამაზით, „საროსავით აყლორტილი, თითქმის მაღალი აგებულებისა, ოდნავ მოგრძო მოყვანილი პირის ფარგლით, ყვრიმალ ყვავილის ღეროსავით გაშლილი ყელით“. ქალი ახლად იყო გამოსული ბაღლობის ასაკიდან, მაგრამ მისი გონიერება და თავდაბლობა, მაინც საკმაოდ იყო ცნობილი. მის სახეს ყოველთვის სევდა თან დაჰყვებოდა. ვ. ბარნოვი ამ ქალს სახელად ხათუთას (ელენეს) უწოდებს².

ბაკურ ათაბაგი ვაჟაკია, უდრეკი მებრძოლი, ჭკვიანი და თავდაპირველი. მას ჰხივთა კრთომად ასჩენოდა გიორგი მეფის ასული. მისმა სიყვარულმა გადალახა მტრობის საზღვარი გიორგი მეფესა და ათაბაგებს შორის. ბაკურ რაინდი შორეულად ოცნებობდა სიმშვენიერით განთქმული ქალის გვერდით ყოფნაზე, ცდილობდა სამსახური გაეწია მისთვის; ბაკურისათვის ხათუთა იყო საოცნებო სხივით მოსილი, მისი სახელით დასდგომოდა რაინდობის გზას, თუმცა ვერ განეცხადებინა მისთვის გარკვევით თავისი გულის ნაღები. გიორგი მეფის ასულის დაწინდვამ კონსტანტინე კეისარზე იგი დიდ ტანჯვაში ჩააგდო, მაგრამ თავისი გულის ვარამს მაინც სხვას არ აგებინებს! შორეულად ქალიც თითქოს გრძნობს ბაკურის გამიჯნურებას მისდამი.

ბაკურის მეთაურობით მიავლინა გიორგი მეფემ მცირე

¹ თ. ჟორდანი — „ქრონიკები“, წიგნი მეორე, თბილისი, 1897 წ. გვ. 286-287.

² ზოგიერთი წყაროს მიხედვით თითქოს ამ ქალის სახელი ნინო ყოფილა. (იხ. თ. ჟორდანი — „ქრონიკები“, წიგნი მეორე, გვ. 287; პ. იოსელიანი — „Описание Душета“, 1860 წ. გვ. 36).

რაზმი კონსტანტინე კეისრის დასახმარებლად. თურქთა წინააღმდეგ ბრძოლაში კონსტანტინეპოლის დაცვის დროს დიდად ისახელა თავი ბაკურმა თავისი ვაჟეკაცობით. ამ ბრძოლაში იგი მძიმედ დაიჭრა. ჭრილობამ და გიორგი მეფის ასულის სიყვარულმა გადაიტანა, გამოასალმა სიცოცხლეს რაინდი ჭაბუკი.

* * *

„სახიფათო სიყვარული“ აგვისახავს იმ ხანას ჩვენი ქვეყნის ისტორიისა, როდესაც ქართლის ტახტს განაგებდა გამაჰმადიანებული მეფე როსტომი, ხოსრო-მირზად წოდებული. ეს არის მეჩვიდმეტე საუკუნის შუა ათეული წლები.

როსტომი ქვემო ქართლის და თბილისის მეფის, გამაჰმადიანებული დაუთხანის უკანონო შვილია. მისი დედა შინდისელი გლეხის ქალი იყო, როსტომი ირანს დაიბადა და აღიზარდა. შაჰ-აბასი მშვენიერად იმიხვდა, თუ რა სასარგებლო და გამოსადეგი იარაღი შეიქნებოდა ირანის ხელში გამაჰმადიანებული როსტომი, როგორც ლუარსაბ მეფის მეტოქე. შემდეგში შაჰ-სეფიმ იგი დასვა ქართლის მეფედ. ეს მოხდა 1632 წელს. ქართლის დიდებულთა ნაწილი არ იყო კმაყოფილი ამ ფაქტით და გაუდგა როსტომს. განდგომილთა შორის იყო დიდი ფეოდალი ყაფლან არსიანელი. ეს წინააღმდეგობა როსტომ მეფესი და ქართველ ფეოდალებს შორის დებულობს მძაფრი კონფლიქტის ხასიათს.

სამების დღესასწაულზე მოულოდნელად მივიდა თავისი ამალით როსტომ მეფე. მისი მიზანი იყო გამდგარ და უკმაყოფილო თავადებთან შერიგება. ყაფლან არსიანელის ქალს — მშვენიერი ტასიკოს ხილვამ შეფხვს ყოველივე დაავიწყა, იგი მოულოდნელად გამიჯნურდა.

როსტომის გამიჯნურების ამბავი დედოფალ მარიამის ყურამდეც მიაღწევს. იგი თავს შეურაცხყოფილად, დამცირებულად გრძნობს, რაშიაც მისი აზრით, ბრალი მხოლოდ ტასიკოს სილამაზეს მიუძღვის. ამიტომ დედოფლის და მისი თანამოაზრეების გადაწყვეტილებით, ტასიკო უნდა ჩამოეშორებინათ გზიდან, გაენადგურებინათ მისი არსება.

არ სძინავს დედოფლისადმი მტრულად განწყობილ

იორამ სააკაძესაც. მას იმთავითვე ეკლად ესობოდა გულზედ დედოფლის ყოველგვარი სურვილი, მიაი განზრახვა იყო როსტომ მეფეს გაედევნა სასახლიდან ხანში გადასული მარიამი, რომლის ადგილს ყაფლან არსიანელის ტასიკოს მოყვანა თვით იკისრა. ამ მიზნით იორამ სააკაძე ინახულებს ყაფლან არსიანელს, მაგრამ მან ამ უკანასკნელისგან ვერ მიიღო გარკვეული პასუხი. არსიანელს არ იზიდავდა დამოყვრება გამაჰმადიანებულ მეფესთან, იგი როსტომს თვლიდა ქრისტიანების მდევნელად და შეუტაცხმყოფად, თავისი ერთადერთი ასულის ბედ-იღბლის მისთვის ჩაბარება მეტად სამძიმო საქმედ მიაჩნდა. თვით ტასიკოს გულმა ხომ გალომებულად გაიბრძოლა და მისმა გონებამ მხოლოდ ნამდვილ სატრფოს რაინდ ფარნაოზის ხატებას შეჰღაღადა: „ფარნაოზ ჩემო, გული ჩემი ყოვლად დასაწველი მსხვერპლად მომირთმევია შენთვის, ვერვინ გამოგწირავს შენ მას! ვერ ამოშლან ჩემი სულიდან შენს სახეს“. ტასიკოს გადაწყვეტილება მტკიცე, ურყევეია.

ტასიკოს გული ყოვლად ტკბილ და დამწველ გრძნობისადმი — სიყვარულისადმი მიისწრაფოდა. მას არ იტაცებს დედოფლის გვირგვინი. „გულგანგმირულს, გრძნობა მკვდარს რაღად მინდა თუნდ გვირგვინი სამეფო? განა დიდება გააცოცხლებს მკვდარ გრძნობას? რა აქვს ჩემს გრძნობას, ჩემის გულის ძგერას საერთო სიმდიდრესთან. სიდიდესთან, პატივთან და სხვა რამ მოსაზრებასთან, თუნდ სახელმწიფო მოსაზრებასთან?“ მისი აზრით, საყვარელი არ შეიძლება გაიცვალოს სხვა რამეზე. „როგორც გაიცვლება პურზე თუ ფულზე, დიდებაზე თუ პატივზე, მეფის პორფირზე თუ გლახაკის კონეებზე? ტრფობას რა აქვს მათთან საერთო? ტრფობა ნიჭია ზეციური და უკვდავი“... ტასიკოს მთელის გრძნობით უყვარს ფარნაოზი.

როსტომ მეფემ შეიტყო, რომ ქალის გული დატყვევებულია ფარნაოზის სიყვარულით. მან განზრახა ფარნაოზის თავიდან მოცილება მეტად რთული და საპასუხისმგებლო დავალებით გაგზავნა საათაბაგოს, რომელიც მაშინ თურქებს ეპყრათ.

როსტომ მეფე რომ თავისი მიზნის განხორციელებისათვის ისწრაფოდა, სამეფო კართან დაახლოებული და გავლენ-

ნიანი გოჩაშვილიც ზრუნავდა დედოფლის სურვილის შესრულებაზე, რათა მეფის თვალთაგან მოეშორებინა ტასიკო. გოჩაშვილის მოხერხებით, მისმა კაცებმა მოიტაცეს ყაფლან არსიანელის ასული და გადამალეს ერწოში.

ამ ხანებში თეიმურაზ მეფის მომხრეებმა შეთქმულება მოაწყვეს — განიზრახეს როსტომ მეფის სამეფო ტახტიდან ჩამოგდება. როსტომმა ადრევე გაიგო ამ შეთქმულების არსებობის შესახებ და დააპატიმრა შეთქმულების ყველა მონაწილე. დააპატიმრეს ყაფლან არსიანელიც, რომელსაც თუმც შეთქმულებაში მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ როსტომს ვერ დაეჯერებინა თავისი გული, რომ ქალის გადამალვის საქმეში ყაფლანი არაფერ შუაში იყო და ამის გამო განიზრახა შეთქმულებთან ერთად მასზედაც ეძია შური. ყაფლან არსიანელი უსაზღვროდ განიცდიდა თავისი საყვარელი ასულის დაკარგვას. საათაბაგოდან დაბრუნებული ფარნაოზი იტანჯებოდა სატრფოს დაკარგვით, ყველაფერს ღონობდა რომ გაეგო მისი ამბავი თუ სამყოფელი.

ფარნაოზ კიანელი სახეა უებრო რაინდისა. მას არ აკლია გამბედაობა და სიმამაცე. როსტომ მეფემ დაავალა მას საათაბაგოში დაეწვერა თურქების ძალა. გაეგო ციხეებისა და ჯარის მდგომარეობა, და რამდენადაც შეიძლებოდა, ხალხიც გაეზიარებია თავისაკენ. მან მარჯვედ და მარდად შეასრულა ეს დავალება. ასევე მტკიცე და გაბედულია იგი სიყვარულშიაც, თავდადებით დაეძებდა დაკარგულ სატრფოს.

ციხეში მყოფი არსიანელი ევდემოზ კათალიკოზისაგან გაიგებს, თუ სად იმყოფება ტასიკო. საიდუმლოდ ყაფლანი ყოველივეს გააგებინებს ფარნაოზს. კვლავ ამობრწყინდა შეყვარებულთათვის მზის მცხუნვარე სხივები, კვლავ მოიწმინდა მათთვის ლაყვარდოვანი. ტასიკო და ფარნაოზი სამუდამოდ შეაკავშირა ერთმანეთთან გულშეხურვალე სიყვარულმა.

* * *

„განგების რკალში“, ანუ „დიდი მოურავი გიორგი სააკაძე“ შეეხება საქართველოს წარსული ცხოვრების მეტად მძაფრ ხანას. ამ ნაწარმოებში ავტორმა დაგვიხასიათა XVII საუკუნის საქართველოს საზოგადოებრივი მდგომარეობა და

იმ დროის მთავარი ფიგურა გიორგი სააკაძე. ვ. ბარნოვი ღრმად იხედება საუკუნის ყოფაში, კარგად ერკვევა მაშინდელი ცხოვრების მამოძრავებელ ძალებში და მხატვრული დამაჯერებლობით გადმოგვცემს მრავალ დამახასიათებელ მოვლენას.

ვ. ბარნოვი სწორედ აშუქებს იმ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიაც იმყოფებოდა საქართველო XVII საუკუნეში. ამ დროს საქართველო უკვე დიდი ხნის დაყოფილი იყო სამ სამეფოდ და რამდენიმე სამთავროდ. ამ სამეფოებსა და სამთავროებს უკვე განვლილი ჰქონდათ რამდენიმე საუკუნის მანძილზე ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრების გზა. ამ ხანებში ქართლს ჰფლობდა მეფე ლუარსაბ მეორე, ხოლო კახეთს თეიმურაზ პირველი. მათი მეფობის წლები მეტად მძიმე იყო საქართველოსათვის. გარეშე და შინაური მტრები ასუსტებდნენ და ანადგურებდნენ საქართველოს, სპობდნენ მის თვითარსებობას.

განსაკუთრებული გეოგრაფიულ-ტერიტორიალური მდებარეობის გამო საქართველო მუდამ გამწვავებული ბრძოლების ობიექტი იყო მოსაზღვრე, თუ მეზობელ სახელმწიფოთა შორის. ერთის მხრით. ჩვენს ქვეყანას ესაზღვრებოდა ირანი და თურქეთი, ხოლო მეორეს მხრით. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მტკიცედ მოიწევედა გაძლიერებული რუსეთი. დარიალის კარები ქართველების ხელში იყო. რუსეთი ამ კარებს გაღებაზე ოცნებობდა. რომ გზა გაეკათა სამხრეთისაკენ, ირანი და თურქეთი კი ამ კარების გადაარაზვას ფიქრობდნენ, რათა რუსეთი კავკასიონის ქედზე არ გადმოეშვათ. ამიტომ იყო, რომ საქართველო დიდი ბრძოლის საგნად გახდა ირანსა. ოსმალეთსა და რუსეთს შორის. პატარა საქართველო ამ ბუშბერაზთ შორის დამოუკიდებლად ვერ იარსებებდა. მას ესაჭიროებოდა მოკავშირე. როგორც ქართლისა. ისე განსაკუთრებით კახეთის მეფეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ როგორმე თავი დაეღწიათ ირანისა და თურქეთის მონობისაგან. ერთ-ერთ საშუალებას ამ მიზნის მიღწევისათვის ქართველებს რუსეთთან დაკავშირება და მისი მფარველობის ქვეშ შესვლა მიაჩნდათ. ამ ხანებში ქართველ მეფეებს ხშირად მი-

წერ-მოწერა აქვთ რუსეთის მეფეებთან, ელჩებსაც უგზავნიან და სთხოვენ მფარველობის ქვეშ მიღებას.

ეს გარემოება დიდად აბოროტებდა ირანის შაჰებს. საქართველოს ორიენტაციის საკითხი მათთვის ერთი უდიდესი ამოცანათაგანი იყო. ამ საკითხის გადაწყვეტაზე იყო დამოკიდებული ირანის მომავალი სიმტკიცე და არსებობა, სწორედ ამიტომ ირანის გამოჩენილმა მპყრობელმა შაჰ-აბასმა სცადა ამ საკითხის ერთხელ და საბოლოოდ ირანის სასარგებლოდ გადაჭრა. მას რუსეთი მეტად საშიშ და ძლიერ მეტოქედ მიაჩნდა. შაჰ-აბასმა კარგად იცოდა რა სერიოზული კავშირი ინასკვებოდა საქართველოსა და რუსეთს შორის. შაჰ-აბასის მისწრაფება იყო ჩაეკეტა ჩრდილოეთის საზღვარი ისე, რომ რუსებს ვერ მოეხერხებინათ სამხრეთისაკენ წამოსვლა. ეს გარემოება იყო მიზეზი შაჰ-აბასის დაუსრულებელი და სასტიკი ლაშქრობისა საქართველოში, რამაც ჩვენი ქვეყანა საშინელ განსაცდელში ჩააგდო.

თანაც ერთ-ერთი ძირითადი მიზეზთაგანი XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური უბედურებისა იყო ფეოდალური განაპირობება, სეპერატიზმი. ქართველი დიდებულები არ ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას, მათში თანდათან იწმობა საერთო-ეროვნული, საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები; ქვეყნის პოლიტიკური მთლიანობის იდეა. ისინი იფარგლებიან თავიანთ საბატონეების ვიწრო. შემოზღუდული სარგებლიანობის მისწრაფებებით. გალადებული ფეოდალები შიგნიდან ასუსტებდნენ და ღრღნიდნენ საქართველოს მთლიან ორგანიზმს. ისინი მთელი რისხვით დაატყდებოდნენ ხოლმე თავს იმას, ვისაც გული შესტკიოდა ქვეყნისათვის, ვინც საქართველოს გაერთიანებაზე და სიმტკიცეზე ფიქრობდა. ასეთი მოქმედებით ქართველი ფეოდალები ასუსტებდნენ ქვეყანას, უადვილებდნენ მტერს შემოჭრილიყო საქართველოში, დაეპყრო და დაერბია იგი.

ასეთ დროს გამოდის სამოქმედო ასპარეზზე გიორგი სააკაძე — იმ ეპოქისათვის პროგრესული სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწე. თავის პიროვნებაში, უსაზღვრო ვაჟკაცობასთან ერთად იგი აერთიანებდა თავისებური პოლიტიკოსისა და დიდ სამხედრო სტრატეგს, გიორგი სააკაძე ცდი-

ლობდა თავის მოღვაწეობაში ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური ინტერესების ორგანიზულად შერწყმას, ერთმანეთთან დაკავშირებას. თავისი პოლიტიკით მას ძირითადად ორი ამოცანის გადაწყვეტა სურდა: პირველი — საქართველოს ერთ მთლიან სახელმწიფოებრივ ორგანიზმად გაერთიანება და მეორე — ფეოდალთა უფლებების შეკვეცა და გლეხობის სოციალური მდგომარეობის შემსუბუქება. სააკაძე მიზნად ისახავდა საქართველოს გადარჩენას გარეშე და შინაურ მტაცებელთა კლანჭებისაგან. იგი გამოსავალს ხედავდა ძლიერ. გაერთიანებულ საქართველოს შექმნაში, რის წინააღმდეგი იყვნენ ფეოდალები, რადგან მეფის ცენტრალისტური ხელისუფლების გაძლიერება მათი უფლების შეზღუდვას მოასწავებდა. სააკაძე ლაშობდა დაემორჩილებინა ფეოდალები მეფისათვის, აძლიერებდა გლეხობას და ღარიბ აზნაურობას. ფეოდალებსა და სააკაძეს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაჩაღდა, რის შედეგადაც ფეოდალურმა არისტოკრატამ შესძლო მისი დამარცხება.

გიორგი სააკაძის იდეები მისი დროისათვის იყო მოწინავე. მაგრამ ფეოდალური წესწყობილების პირობებში — განუხორციელებელი. ეპოქის სოციალურ-პოლიტიკური ვითარება ხელს არ უწყობდა მისი მიზნების მიღწევას. ამიტომ ნაადრევი აღმოჩნდნენ ისინი. სააკაძის მისწრაფება საქართველოს გაერთიანებისა და დემოკრატიული რეფორმების გატარებისა იმ დროს დარჩა გადაუწყვეტელი, ხოლო თვით იგი, მიუხედავად ბრწყინვალე პირადი ღირსებებისა, იძულებული ხდება აწარმოოს ზოგჯერ ორაზროვანი პოლიტიკა და ჩაიდინოს სერიოზული შეცდომები, რის შედეგადაც იგი იღუპება. ეს შეცდომები საშუალებას აძლევენ მის მტრებს ჩრდილი მიაყენონ ამ დიდი ადამიანის სახელს, შეთხზან კორები. ვითომც იგი სამშობლოს მოღალატე იყო.

გიორგი სააკაძის პროგრესული მიზნები კონფლიქტში აღმოჩნდნენ თავის თანამედროვე სოციალურ ურთიერთობასთან. სააკაძის მოღვაწეობის ეპოქაში დიდი ფეოდალები გაცილებით უფრო ძლიერნი იყვნენ, ვიდრე წვრილი აზნაურობა, რომელსაც იგი ეყრდნობოდა. ამ გარემოებამ გამოიწვია სააკაძის პოლიტიკის დამარცხება ქვეყნის შიგნით, და რათა გადაელახა შინაგან ძალთა წინააღმდეგობა და განეხორ-

ციელებინა თავისი მიზნები, მან მიმართა გარეშე ძალას. მისი პოლიტიკის ყველაზე უფრო სუსტი მხარე და შეცდომა სწორედ ის იყო, რომ იგი ვერ ითვალისწინებდა გარეშე ფაქტორის ნამდვილ ხასიათს, რომ ამ ფაქტორს არ შეეძლო ქვეყნის შინაგანი სისუსტის კომპენსირება. ამიტომ მისი მიწრაფება დამარცხდა. სწორედ ეს წინააღმდეგობა სურვილისა და შესაძლებლობას შორის იყო სათავე სააკაძის მთელი ტრაგედიისა.

გიორგი სააკაძის საკითხი არ არის ისტორიულად სავსებით გაშუქებული, არ არის სავსებით შესწავლილი მისი როლი საქართველოს ეროვნულ-გამანთავისუფლებელ ბრძოლაში, არ არის სავსებით გაფანტული ის ბურჟუაზია, რომელიც ამ დიდი პიროვნების გარშემო შექმნეს ისტორიული წარსულის მანძილზე (ანტონ კათალიკოსმა¹, ვახუშტი ბატონიშვილმა² და სხვებმა). გმირი და თავდადებული მეზრძოლი ქვეყნისათვის, დანაწილებული საქართველოს გაერთიანების მხურვალე მოსურნე, ცხადია, მოღალატე ვერ იქნებოდა, პირიქით, იგი ერთ-ერთი შესანიშნავი მეზრძოლი იყო თავისი ქვეყნის ინტერესებისათვის, მისი გაერთიანებისა და განმტკიცებისათვის.

ასეთი რთული ეპოქისა და პიროვნების მხატვრული გახსნა და გააზრება აქვს მოცემული ვ. ბარნოვს „განგების რკალში“. რომანი შესდგება სამი ნაწილისაგან: „ქუფრი ლანდები“, „ბჰესთან დიდებისა“, „გადატყდა ხმალი“. მწერალი ასახავს საზოგადოებრივი ძალების ბრძოლას, რომელიც უაღრეს გამძაფრებამდე აღწევს. ნაწარმოებში წარმოდგენილი კონფლიქტი მკვეთრად ხსნის XVII საუკუნის საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებს და ურთიერთობას მეზობელ ქვეყნებთან.

„განგების რკალის“ პირველ ნაწილში ძირითადია ლუარსაბისა და მაკრინეს ურთიერთობა. ვ. ბარნოვს რომანის ამ ნაწილში გაშლილი აქვს მომხიბლავი სასიყვარულო ინტრი-

¹ დ. ჩუბინაშვილი — „ქართული ქრესტომათია“, ნაწილი პირველი, 1846 წ. პეტერბურგი, გვ. 327 — 344.

² ვ. ბატონიშვილი — „საქართველოს ცხოვრება“ (1469—1800), მეორე გამოცემა ზ. კიკინაძისა, 1913 წ. გვ. 53—56.

გა. მეორე და მესამე ნაწილში უკვე ძირითად ფიგურად გვევლინება დიდი მოურავი, რომლის თავგადასავალსაც ავტორი მოგვითხრობს ისტორიული წყაროების მიხედვით.

გიორგი სააკაძე თავისი ვაჟკაცობით და ჭკუით ახერხებდა დიდი გავლენის მოპოებას ქართლში. მას ანგარიშს უწევდნენ და აფასებდნენ ქართველი მეფეები. სააკაძე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა იყო, რომ სვიმონ მეფეს ომებში გვერდით უდგა. სვიმონის სიკვდილის შემდეგ გიორგი მეფემ კიდევ უფრო მეტად დაიახლოვა სააკაძე. ოცდაორი წლის სააკაძეს მან უბოძა ქართლის ამირთ-ამირობა და მოურავობა თბილისისა, ცხინვალისა და მთელი ოსეთისა. ლუარსაბის გამეფების შემდეგ სააკაძე კიდევ უფრო სახელოვანი და გავლენიანი ხდება. ლუარსაბ მეფე დაემოყვრა სააკაძეს, შეირთო მისი და — სილამაზით განთქმული მაკრინე.

საკაძე კარგად ითვისებდა, რომ ასეთი მჭიდრო დაახლოება სამეფო გვარეულობასთან კიდევ უფრო მეტ მტერს შესძენდა მას ფეოდალური არისტოკრატის წრეებში, რომ ეს დამოყვრება საბოლოოდ მას უბედურებას მოუტანდა. გარისხებდა თავადებს, დიდკაცობა არ მიიღებდა ამ მოყვრობას. სინამდვილეში მართლაც ასე მოხდა. სააკაძის ამალგებებს ვერ შეუტრიადა თავადობა, თხზავენ და ავრცელებდნენ მის წინააღმდეგ ცილისწამებას. ამცირებდნენ სააკაძის გვარს და მტრობდნენ ამ გვარიდან გამოსულ დედოფალს. იმდენი აბეზღეს მოურავი ლუარსაბთან, რომ მეფე დარწმუნდა სააკაძის მოღალატეობაში. მართალია, სააკაძეს თავისი მომხრეებიც ჰყავდა (თავადიშვილთა და განსაკუთრებით, აზნაურთა და გლეხთა წრეებიდან). მაგრამ მოწინააღმდეგენი გაცილებით უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ და აიძულეს იგი სამშობლოდან გადახვეწილიყო. სწორედ ამის შემდეგ იწყება საქართველოში ის საშინელი კონფლიქტები. რომლის ცენტრში თითქმის ყოველთვის სააკაძე იყო. სააკაძე დაღუპეს „მაბეზლარმა“, „მოქიშპე“ ფეოდალებმა. რომელთაც მოსვენებას არ აძლევდა მისი სახელი და დიდება. ფეოდალურმა არისტოკრატამ წოდებრივი ინტერესების გულისათვის. გაწირა თავისი ეპოქის შესანიშნავი ადამიანი და სახელოვანი გმირი. როგორც ი. ჭავჭავაძე აღნიშნავს, ყველაზე ბოროტმა ადამიანმა და დახელოვნებულმა ინტრიგანმა შადიმან ბარა-

თაშვილმა „დაიყოლია მეფე და აათვალწუნებინა იმისთანა კაცი, როგორც იყო დიდი მოურავი, გადაჰკიდა მეფე დიდ მოურავს და დიდი მოურავი იძულებული შეიქნა შეჰკედლე-ბოდა შაკ-აბასს“¹.

გიორგი სააკაძის ცხოვრება ვ. ბარნოვს ნაჩვენები აქვს, როგორც დაუსრულებელი ბრძოლა. მკითხველთა წინაშე წარმოდგება სახე უდრეკი რაინდისა, ბუნებით ჭკვიანი და სახელოვანი მეომრისა, რომელსაც ვერა სძლეეს, ვერ იმორჩილებს ვერავეთარი უბედურება. პირველივე სიტყვებიდან მოურავი მოჩანს როგორც ბრვე ვაჟკაცი, რომლის „ბოხი ხმა მღორე გრგვინვად ეფინებოდა არემარეს“, რომლის „ვეფხვის ტორივით ძარღვიანი სისხლით გატენილი ხელები და დიდრონი ნომჯდარი თვალები“ მეტყველ სახეზე შიშის ზარსა სცემდნენ მტრებს. მისმა გულმა არ იცოდა შიში. უღმობელი იყო იგი მტერთან, ორგულთან, ომში იბრძოდა თავგანწირულად და აზრიანად. მის რჩევა-დარიგებას მიყოლილი ჯარი არასოდეს არ მარცხდებოდა. ამის მრავალ მაგალითს იძლევა სააკაძის ბრძოლები. ვაჟკაცობასა და გამირობასთან ერთად მას ახასიათებდა რაინდული ქცევა, კეთილშობილება და ნათესაური გრძნობა.

გიორგი სააკაძის პიროვნებაში ჩვენთვის ყველაზე საყურადღებოა მისი მიზნები. ნაწარმოებში ბევრგანაა აღნიშნული, რომ იგი იბრძოდა ცენტრალისტური ხელისუფლების განსამტკიცებლად. მისი მისწრაფება იყო აღმოფხვრილიყო დიდებულთა ზვიადობა, რომელიც არყევდა მეფის ტახტს და მთელი საქართველო გაერთიანებულიყო ერთი ძლიერი მეფის ხელში. შემთხვევითი როდია, რომ დიდებულებთან ერთად კახეთის მეფეს, თეიმურაზსაც სძულდა სააკაძე, ამ მეფეს იგი წარმოდგენილი ჰყავდა, როგორც საქართველოს გაერთიანებისათვის მეზობელი. დიდებულები საუბრობენ: „სხვაგვარად ფიქრობს ამირთ-ამირი! ვინ არისო დადიანი, გურიელი, თუნდ კახთ ბატონი, თუ არა მარტო ქედმაღალი თავადთაგანი, უნდა შეიგნონ: ყმები არიან საქართველოს ერთის მეფისაო... დიდი შედეგიანი ეს იმის თქმა: თუ ამოქმედ-

¹ ი. ქავკავაძე, „თხზულებანი“, ტ. II, სახელგამი, 1941 წ. გვ. 490.

და ეს მისწრაფება, ველარ შედგება, გავა ბოლომდინ: დას-
ცემენ დაბლა ძალის მეჭონს ყველას და ყველგან“...

მტკიცე ხელისუფლებისათვის მებრძოლი სააკაძის მისწრა-
ფება შიშს ჰგვრიდა განაპირების მოსურნე ფეოდალურ არი-
სტოკრატას. შადიმან ბარათაშვილს კარგად ესმის მოურა-
ვის სწრაფვა: „დიდ სვიმონისაგან მაქვსო ჰაზრი წამოღებუ-
ლი: მეფის ტახტი უცილობლივ უნდა ბრწყინავდეს სწორ-
უპოვარი; როგორც გლეხი ჰმორჩილებს თავადს, მთელი
ხალხი: გლეხი, თავადი, აზნაური, სამღვდლოება უნდა ჰმო-
ნებდეს ერთს მბრძანებელსა, ქართველთ ხელმწიფეს: ვისაც
არ სურს და ამაყოზს, მეფის დარი შევიქმნებიო. უნდა დაკ-
ნინდეს, მოისპოს იგი!“

გიორგი სააკაძის მოღვაწეობა, როგორც ტახტის გამაძ-
ლიერებლისა, მიმართულია დიდებულთა წინააღმდეგ. ამი-
ტომ ბუნებრივია მტრობა მათ შორის. შადიმან ბარათაშვი-
ლი სააკაძეზე ფიქრობს: „მე მისი ღუშმანი, იგი ჩემი ავის
მსურველი; მაინც უნდა ვთქვა, ღირსეულია! და მით უფრო
საშიშია, საფრთხილობელი. იმათ ჰგონიათ, მე მმტრობს პი-
რადად, ან შე მასა ვმტრობ, სააკაძეჲა! არა! დიდებულთა
მტერი არის უძინებელი: ის ჰაზრი უძღვავს დაამდაბლოს
ამაღლებულნი, დააკნინოს, დასცეს დაბლა გვარიშვილები“.

გიორგი სააკაძე გრძნობს, რომ თავადები სულს უხუთა-
ვენ ხალხს, ავიწროებენ, სტანჯავენ გლეხობას. ეს უსამართ-
ლოდ მიაჩნია. ამიტომ იცავს იგი ხალხს. ფეოდალები მს-
წოდებრივ-კლასობრივი ინტერესების გულისათვის ებრძვიან.
„ლუარსაბი აღრეცა გრძნობდა, რომ ბრძოლა სააკაძისა და
წარჩინებულთა შორის არ იყო მხოლოდ პირადი მტრობის
ნაჟური, ალლო ეტყოდა: ამ უძინებელ განხეთქილებას სა-
ფუძვლად ჰქონდა ფართო ჰაზრი, თუ მისწრაფება. ამას
ცხადჰყოფდა თითონ მებრძოლთა შემადგენლობა. ერთს მხა-
რეს იყენენ დიდებულნი, მეტ აღმატების მოტრფიალენი, მათ
წინააღმდეგ აზნაურები, მდაბიო ხალხი“.

რამდენადაც მტრული იყო დამოკიდებულება დიდებუ-
ლებთან, იმდენად განსხვავებული ურთიერთობა ჰქონდა
საკაძეს ხალხთან. დიდებულები აღნიშნავენ, რომ ყველას-
თან ზვიადე არ არის ამირთ-ამირი: „ეტმასნება, უაღეზებს
გლეხთ, აზნაურებს. ალლოთი თუ გრძნობს იმათ ტოლობას.

თუ სხვა ჰაზრი უტრიალებს ზვიად თავშია: ჰსურს მოისყიდოს იმათი გული“, „გლეხებს ეყრდნობა, თითონაც გლეხი!“, „ჯარი, ხალხი, აღმერთებს მას“.

ხალხს სააკაძის უსაზღვრო ნდობა აქვს. შაჰ-აბასის პირველი შემოსევის შემდეგ ასეთი ლაპარაკი ისმის მათში: „კრულვით იღებდნენ ჩვენს გიორგის, სპარსთ მოუძღვისო საქართველოს ასაკლებად. — ახორებას მაშინ ჰნახავდნენ, თუ გიორგი არ ახლდეს თანა“, ხოლო როცა შემდეგ გიორგი და ყორჩი-ხანი მოვიდნენ საქართველოში, ხალხში ასეთი მითქმა-მოთქმა აღარ იყო; „არა, შიში არაფრისაა: გიორგი არის მთავარსარდალი და არ გაგვიმეტებს — სპარსთა ჯარმა რომ აგვიკლო, გიორგი თან არ ახლდა ყენის, თორემ ნებას არ მისცემდა. — ყენისს პირველ შემოსვლაზედ იმან იხსნა საქართველო განსაცდელისაგან“.

ვ. ბარნოვი გვიჩვენებს ხალხის სიყვარულს სააკაძისადმი. ხალხი ხედავს თუ როგორ გასწირეს მეფე ლუარსაბმა, შადიმან ბარათაშვილმა და სხვა ძლიერმა ფეოდალებმა სააკაძე, როგორ დაივიწყეს მისი ღვაწლი ქვეყნის დაცვის საქმეში. „არ ინდობენ არც მეფე, არც დიდებულნი ამაგდარ ადამიანს ღირსეულს და ჩვენ რაღას დაგვზოგავენ“... — „ალარ ახსოვთ უმადურებს, რომ თათარიხანობას გიორგიმ დაიფარა ეგენი ამოწყვეტისა და გაოხრებისაგან“. როცა სააკაძეს სამშობლოდან განდევნიან, ხალხი ასე ეხმაურება ამ მბავს: „— გიორგი გაუნაპირებია ბატონებს, აჰმტერებთან, — მეფე გაუორგულეებით მასზე“. „— ბატონი რაღა ბატონია, თუ უმადური და უმადლო არ იქნება“. „— მაგათ არაფერი სიკეთე არ ახსოვთ კაცისა: თუ გიორგი არ გარჯილიყო თათარხანობას ენახავდით მაგათ ყოფას მეფიანათ!“ „— მაშინ ამოდენა ხალხი მაგან გადაგვარჩინა და ეხლა...“. „— ეხლა ჩვენ გადავარჩინოთ. რომ სული მოითქვას... თავს დავდებთ მისთვის: წარჩინებულთა, მაინც ჩვენი კაცია“... ხალხი გრძნობდა მანლობლობას სააკაძესთან, მის ჰუმანიურობასა და კეთილშობილებას, პატრიოტულ სულისკვეთებას და სიყვარულს ქვეყნისადმი.

ვ. ბარნოვს ბევრგან აქვს აღნიშნული რომანში სააკაძის განუსაზღვრელი სიყვარული სამშობლოსადმი. ქვეყნის ინტერესებს იგი ყოველთვის წინ აყენებდა. მისი სიტყვებია: „ეხლა ყოველივე უნდა დავთმო და ყველას შეუფერო, რომ შევ-

კრიბო საქართველო ძნელ ბრძოლისათვის“. ეს აზრი ამოძრავებს სააკაძეს სავსებით თავისი ცხოვრების მანძილზე. თუმცა მისი განხორციელების მეთოდი ყოველთვის სწორი და მართებული არ აქვს.

„განგების რკალში“ სერიოზული ყურადღება ექცევა სახელმწიფოებრივი ორიენტაციის საკითხსაც, თუ საით იხრება სააკაძე, ვისთან სურს მას, რომ საქართველოს ჰქონდეს ურთიერთობა და მჭიდრო კავშირი. რომანის მიხედვით, სანამ შაჰ-აბასი სააკაძის სიკვდილს განიზრახავდა, ეს უკანასკნელი ყოველთვის ირანის ორიენტაციისა იყო, მაგრამ დარწმუნდა რა იგი შაჰ-აბასის ვერაგობაში, მაშინვე ზურგი შეაქცია მას. ერთხანს სააკაძე თითქოს ოსმალეთსაც თანუგრძობს. მაგრამ საბოლოოდ კი საქართველოს თვითმყოფობის აზრის მომხრეა. არც ერთი გარეშე ძალა არ არის საჭირო საქართველოს დამხმარედ. ამასთან ერთად რომანში საკმაოდ დაწვრილებით არის ნაჩვენები ის ძალა და ის წრეები, რომლებიც მოითხოვდნენ საქართველოს დაკავშირებას რუსეთთან და მისი მფარველობის ქვეშ შესვლას. ამ მიმართულების მთავარ წარმომადგენლად გამოყვანილია კახეთის მეფე თეიმურაზი და მისი მახლობლები.

გიორგი სააკაძის რთული ხასიათის ჩვენების დროს ვ. ბარნოვი ისტორიულ კანონზომიერებას იცავს. მას სააკაძე გამოჰყავს როგორც პატრიოტი და თავისი ქვეყნისა და ხალხის მოყვარული. მწერლის თანაგრძნობა სააკაძის მხარესაა. როცა იგი ფეოდალებს ებრძვის, როცა სამშობლოს იცავს. მაგრამ ამავე დროს ვ. ბარნოვი არ ახდენს სააკაძის გაიდევლებას, გადაჭარბებით არ აფასებს მის დემოკრატიზმს, არ ჩქმალავს იმ შინაგან წინააღმდეგობებს, რაც მას ახასიათებდა. როდესაც სააკაძე უცხო სახელმწიფოთა ძალებზე (ირანი, ოსმალეთი) იღებს ორიენტაციას თავისი მიზნების განსახორციელებლად, აქ უკვე იგი აღარ არის ვ. ბარნოვის გმირი და რომანში სააკაძეზე ვკითხულობთ შემდეგს: „სპარსთა სისხლის მძებნელ სააკაძეს ველარ ეგნო ხალხის გულისთქმა. მის გონებას არ ესმოდა ერის ძახილი. მის ჩაბნულ გულს ველარ ეგრძნო ერის განცდანი, ვერ ხედავდა, არ ჰყვებოდნენ ქართველთ ტალღანი, სურვილთ ყვავილებს არ აფენდნენ მის ბრძოლის გზაზედ. მიილტვოდა სააკაძე სავნებლისაკენ და

სწრაფვა მისი იყო ქროლვა სტიქიონთ ძალის“. ეს კრიტიკული ხაზი ბევრგან არის რომანში გამძაფრებული. „ხალხსაც ველარ ეთვისებოდა გზააბნეულ ბუმბერაზის მოქმედება. წინათ ერი უყურებდა მხსნელად ბატონთა მძლავრობისაგან; საფურცლეს ომში ღირსეულად დაიმსახურა სახელი უცხოელთა მონობისაგან ხალხის მხსნელისა; ეხლა ოსმალთ მოუძლოდა ქართველთ ბატონად“.

ასე ესახება მწერალს სააკაძის მთლიანი ფიგურა. წინააღმდეგობებით აღსავსე მისი ცხოვრება რელიეფურად არის მოხაზული, აქ აღარ არის ხელაღებითი აპოლოგია დიდი მოუჭრავისა, რაც ასე დამახასიათებელია იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანისა“ და ა. ფურცელაძის საინტერესო მონოგრაფიისა „ბრძოლა საქართველოს მოსასპობლად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“.

რატომ დამარცხდა, ვ. ბარნოვის აზრით, გიორგი სააკაძე? ამ საკითხის გარკვევას იგი ცდილობს ფილოსოფიურ ასპექტში. ის გარემოება, რომ თავის ნაწარმოებს ვ. ბარნომა უწოდა „განგების რკალში“, შემთხვევითი როდია. აქ მოჩანს მთელი მისი იდეა. ადამიანის დანიშნულება ამ ცხოვრებაში ბედისაგან არის განსაზღვრული. ვინც განგების წინააღმდეგ წავა, იგი ყოველთვის დაიღუპება. სააკაძემ თითქოს უარპყო განგებისაგან დანიშნული მოწოდება და იგი გაიწირა. ბედისაგან დანიშნული ჰქონდა სააკაძეს, რათა საქართველოს სამეფო ტახტზე ასულიყო. ამას ურჩევდა მას ხალხი, „უნდა აასრულო განგების ნება, ან დაიღუპო!... განგება ირჩევს მეუფის გვარს განსაზღვრულ ჟამით. აასრულებს მისი მოდგმა დანიშნულებას, სხვაა მისცემს გვირგვინს. ჟამმა დარეკა. საქართველოს სული გიბრძანებს, ხალხის მეფეო!“ ხალხის სახელით ურჩევს გოდერძი ბურღული დიდ მოურავს ჩამოაშოროს ტახტს უმწეო მეფე და თვით იკისროს ქვეყნის წინამძღოლობა. მთიელთა წარმომადგენლები ასე მიმართავენ სააკაძეს: „შენს პასუხზედ არის დამოკიდებული ქვეყნის ბედი, შენ ხელთ არის საქართველოს გადარჩენა და მთის დაწყენარებაც... ამ განწირულ ომში საჭიროა ხატისაგან დალოცვილი სარდალი დიდი. ამისთანა წინამძღვარს აღარ უნდა პყვანდეს სხვა მბრძანებელი, ხელის შემშლელი... ხალხს ჰსურს და ხატსაც: შენ უნდა იყო მთავარსარდალად და

მბრძანებლადაც: სხვას ვერ დავემორჩილებით!... გამჩენელს შენთვის მოუწვდია სამშობლოს დაცვა, შენვე უნდა გამშენებდეს ხმალი სამეფო!.. ხალხის ნება და ერის ხმა ღვთის ხმად მოისმის“. ამნაირად, თითქოს ხალხი სთავაზობდა სააკაძეს ტახტს და ჭარით შევლას ჰპირდებოდა. რა პასუხი გასცა მათ მოურავმა? „მე ხმლის კაცი ვარ, ბრძოლის ბატონი. არას დავზოგავ ხალხისათვის, არც ჩემ სიცოცხლეს... ბაგრატიონს ვერ მოვხდი გვირგვინს ზეცით ნაბოძებს“. არ მოხადა ბაგრატიონთ სამეფო გვირგვინი სააკაძემ, და განგების რკალში მომწყვდეული, თვით დაიღუპა. ამის შემდეგ გაიწირა დიდი სარდალი, მან წააგო ბრძოლა მარაბდაში, ბაზალეთში, ხოლო საბოლოოდ ოსმალთ ხელით გამოენალმა სიცოცხლესაც. „უძლეველი ხმალი მისცა განგებამ ხელში, დასახა იგი ქართველთ წინამძღვრად, უბრძანებდა წაეყვანა ხალხი ახალი გზით. ვერ შეიგნო ხმა ბედისწერის და იღბალმაც უარპყო. იგი: აჰხადა მებრძოლის სული მეცანი“. ამის შემდეგ თვით ხალხიც გადაუდგა დიდ მოურავს.

ამგვარად ვ. ბარნოვის აზრით, გიორგი სააკაძე იმიტომ დამარცხდა. რომ მას ბედმა ჩაუარა, ფრთა შეაზო, მან კი ვერ იგრძნო, ვერ მიჰყვა, დაუპირისპირდა ბედისწერას და გაიწირა. აქ მკვლავნდება ვ. ბარნოვის მსოფლმხედველობის სუსტი მხარე, შეზღუდულობა. გიორგი სააკაძის დამარცხების მიზეზები მას იდეალისტურ-მეტაფიზიკური გააზრებით აქვს ახსნილი. მწერალი ვერ ითვალისწინებს სააკაძის დამარცხების ნამდვილ მიზეზებს, სახელდობრ, რომ მისი იდეები ეწინააღმდეგებოდნენ მაშინდელ საზოგადოებრივ შეგნებას, რომ მისი მიზნები ნაადრევი იყო და ვერ განხორციელდებოდა ფეოდალურ კარჩაკეტილობის პირობებში. იგი დამარცხდა სწორედ მაშინ როცა თავისი მიზნების განხორციელებას შეეცადა უცხო ძალების დახმარებით.

ვ. ბარნოვის მიერ რომანში გამოყვანილ ისტორიულ პერსონაჟთა სახეები მეტწილად მკითხველზე ახდენენ დაუვიწყარ შთაბეჭდილებას თავისი გამოკვეთილობით და მხატვრული მთლიანობით.

ტრადიციულად დიდი მოურავის პიროვნებას ყოველთვის უპირისპირდება ლუარსაბის გამზრდელი, დიდი და გავლენიანი ფეოდალი შადიმან ბარათაშვილი. ამ რომანში იგი

საკმარისი სიცხოვლით არის დახატული, ჭკვიან, მოსაზრებულ პიროვნებად მოჩანს. „მიენიჭებინა მისთვის ბუნებას გაძქრიახი ძალა — გონებისა, ხანთა სიმრავლეს — გამოცდილება“. შადიმან ბარათაშვილი არის არა მხოლოდ ვიწროპირადული ინტერესებით გამსჭვალული ადამიანი, არამედ იგი წარმოადგენს კონდენსირებულ სახეს ფეოდალური არისტოკრატის რეაქციული იდეოლოგიისა XVII საუკუნის საქართველოში. მისი სიტყვები დასრულებულად გამოხატავენ ფეოდალური განაპირების იდეას: „ყველა თავადი ისეთივე შეუფეა თავის საყმოში, როგორც მეფე თავის სამეფოში. მხოლოდ მეფეს მეტი საყმო შეუძენია და ძალაც მეტი: ბევრი მებრძოლი შეუძლიან გამოიყვანოს... დადიანი რით არის სწორი მეფისა, ან სხვა მთავარი ქვეყნისა მპყრობი? უშოვიათ. მრავალი ყმა, მეტი ქვეყანა, უპოვნიათ მეტი ძალა, ეტოლებიან სხვა ხელმწიფეებს... თუ ლიპარიტს თავის ბრძოლაში გაჰმარჯვებოდა, მისი საყმოც ერთ სამთავროდ შეიქმნებოდა“. ეს აზრი ამოქმედებდა მას მთელი მისი ცხოვრების მანძილზე. ასეთი აზრებით შეპყრობილი ბარათაშვილი და სხვა თავადები არა ზოგავდნენ ცდას, რათა მეფის ტახტი არ გაძლიერებულიყო.

დახელოვნებული ინტრიგანი და მახეზლარი შადიმან ბარათაშვილი იყო დამწყები და სულისჩამდგმელი ყველა იმ ბოროტებისა, რაც მიმართული იქნა სააკაძის წინააღმდეგ. მისი ინტრიგების წყალობით მოხდა განხეთქილება ლუარსაბსა და მაკრინეს შორის. მან მოაწყო ისე, რომ ლუარსაბს მტრად გადაჰკიდა მისი ტახტის ბურჯი სააკაძე.

ვ. ბარნოვს რთულად აქვს ასახული შადიმან ბარათაშვილის სახე. მისთვის შადიმან ბარათაშვილი არის ტიპი დიდი ფეოდალისა მისი დამახასიათებელი მისწრაფებებით. შადიმანის შეგნებაშიაც ხდება ზოგჯერ ბრძოლა, წინააღმდეგობა, როდესაც შაჰ-აბასმა მოსთხოვა ლუარსაბის ტყვედ მოყვანა, ეს მას მეტად ემძიმა; იგი ხედავს სააკაძის ღირსებასაც. არ შეუძლია პატივი არ სცეს და ანგარიში არ გაუწიოს მას, მაგრამ თავის წოდებრივ-პირადულ ინტერესებს იგი მაინც ყველაფერზე მაღლა აყენებს.

მკაფიოდ არის ნაჩვენები რომანში ლუარსაბ მეფე. პირმშვენიერი, ახოვანი ვაჟკაცი, გულადი და ბედისაგან განებივ-

რებული, სულიერად არარაობას განასახიერებს. ვნებით ძლიერი ლუარსაბი მოკლებული იყო სურვილთა მძლევანებელ ძალას, იმ დაუღალავ შემაერთებლობას, რომელიც მიაბიჭებს წარბშეუხრელად, მიაჩრდევს ყოველს საბრკომსა, ან მიაღწევს თავის საწაღს, ან დაითქმება. დიდ მოუტრავსაც აღონებდა სიძე-მეფის აზრთა ცვალებადობა, იგი რწმუნდებოდა, რომ ლუარსაბი სუსტი იყო დიდი ქმედობისათვის, ვერ დაიტევდა საქართველოს გაერთიანების იდეას, ვერ შესძლებდა ბრძოლას მისი გამარჯვებისათვის. ლუარსაბის სისუსტეს კარგად ხედავს დედა დედოფალი, რომელიც რომანში გონიერ ქალად არის ნაჩვენები. „სდუმდა დედა-დედოფალი დაღონებული. ეჭ, არ მოსწონდა შვილი ლუარსაბი. ის თავის მამას გიორგისაც ვერ ედრებოდა, არა თუ პაპას, განთქმულ სვიმონსა. სამეფო ტახტს კი მეტად სჭიროდა შემართი მეფე დაფიქრებული“. საქართველოსათვის ეს დრო იყო მეტად მძიმე, როგორც არის აღნიშნული რომანში. „ქართველების მეფეთა-მეფეს მხოლოდ-ღა ქართლი ხელთ შერჩენოდა; აეჩეხნათ საქართველო გაუყოფელი და გაეტაცნათ მიაი წმინდა ნაწილები განდიდებულებს... სხვა ნამტვრევები ტურფა ქვეყნის ხელთ შერჩენოდათ ქართველთავე შუღლით გალაღებულ უძინებელ მტერთ, თვით ქართლშიაც ერყეოდა საფუძველი სამეფო საყდრებს გალაღებულ ქვეშევრდომთაგან; ჰბაძავდნენ გამდგართ, მათ გზას მისდევდნენ“. ასეთი გასაჭირის დროს ლუარსაბ მეფე ზეიმობდა, დროს ატარებდა, მას დავიწყებული ჰქონდა საერთო საქვეყნო საქმე.

მერყევი, უნებისყოფო, ბრძოლის უნარმოკლებული ლუარსაბა სათამაშო ტიკინას წარმოადგენდა გამძვინვარებული ფეოდალების ხელში. დიდებულები იცნობდნენ მეფეს: „მას არ შესწევდა ხასიათის ისეთი ძალა, მედგრად ებრძოლნა ავის განზრახ ქვეშევრდომებთან“. კარგად ჰქონდა შეცნობილი მეფის ხასიათი შადიმან ბარათაშვილსა. „იციოდა უეცარ აღტყინებას მალე მოჰყვებოდა მოშვება“. ლუარსაბს სჩვეოდა: „ჯერ აღფრთოვანდებოდა და მკვეთრად აღიქურვებოდა მისი ნებისყოფა მქმედი ძალა, აეზვანჯებოდა ჰაზრთა ქსელი და დაუშვებდა გვირგვინოსანი თავს, ქედს მიუბყრო-

ბდა ალესილ მახვილს“. შაჰ-აბასიცი არ არის დიდი წარმოდგენისა ლუარსაბ მეფეზე: „მერყევია, უნებისყოფო, მასზედ დაყრდნობა ამ ძნელ დროში არ შეიძლება“. მეტისმეტად ადვილი იყო ლუარსაბზე გავლენის მოხდენა. თუ სააკაძე ადგა მას თავს, მაშინ იგი დარწმუნებული იყო მოურავის აზრთა სიმართლეში, თუ დიდებულები ეხვივნენ გარს, მათაც ეთანხმებოდა. უნებისყოფო ლუარსაბს დიდებულები შეეჭრნენ საოჯახო. ცოლქმრულ საქმეებშიაც, შეუჩინდნენ და ბოლოს დაითანხმეს კიდევ, რომ განშორებოდა მაკრინეს. ამ განშორებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ქვეყნის აშლასა და უბედურებაში.

რომანში რელიეფურად არის წარმოდგენილი თეკლე-მაკრინეს სახე. მომჯადოებელი სილამაზისა და მშვენიების სრული განხორციელებაა იგი. „დრუნგილის ნაკეთი ასუნთქებული, მთვარეულ შუქით ნაშუქები. გამჭვრივი კანი აგორებულ ნაწნავთ საშუალ“. პირველსავე ნახვაზე მოაჯადოვა მან ლუარსაბ მეფე. „წარსდგა მაკრინე, მეტად ჰღელავდა ღაღანა სახე. დაწვთა არეს ვარდები თუ გადაჰყენოდა. დიდრონ თვალეში აღტაცება ელვარებული, მოირკალა საროს ტანი ხელზედ სამთხევად. მწყობრად ნახლართი ნაწნავეები გადასრაილდნენ. აჩნდა მათ შუა მთვარის შუქით ნანათი კანი“. ფიზიკურ სრულქმნილებასთან ერთად, მაკრინე სულიერადაც მაღალი ზნეობისა და კეთილშობილების სრული განხორციელებაა. იგი აზრიანია, კეთილი გულის პატრონი. შეაყვარა თავი ყველას, ვინც გარს ეხვია. მეუღლე-მეფეც დაიმონა ტკბილი მორჩილებით. მასთან ყოფნისას, მისი ზემოქმედების შედეგად, მეფის გულში იღვიძებდა „ძალა უტეხი, ხალხთ მმართველისათვის უცილებელი, რომ მძლედ ედგას სათავეში ერის ცხოვრებას და გზას უკვლევდეს ტეხილ აწმყოში თუ ბნელით მოსილ მომავალში გაურკვეველში... და იმ წუთებში საადვილოდ მოჩანდა მისთვის იმ ნათელ გზაზე მძლეთ სიარული“. თითქოს რაღაც ძალა მიუთითებდა ლუარსაბს, რომ მაკრინე იყო მისი ცხოვრებისა და მეფობის ნათელი, გზის მაჩვენებელი ლამპარი. „მისი ალერსი დაგიყუჩებს ხმლის კვალთა ტკივილს, მისი შეხედვა გაგამხნეებს თვით ღონემიხდილს, მისი სიხარული აღგამაღლებს გამარჯვებულსაო“.

ლუარსაბი თვით აღიარებს მაკრინეს გონიერებას: „ჭკვიანიც არის და ლმობიერიც, რამდენჯერ მოუცია ჰაზრიანი რჩევა კეთილი“. თავისი სულის სიფაქიზით, სილადით იგი ნიბლაფდა ყველას. მაკრინე არ იყო მოკლებული სულიერი სიმტკიცისა და სიამაყის გრძობასაც. თავის თავმოყვარეობას არავის არ შეალაზვინებდა. ამიტომ იყო, რომ დამცილებულ მდგომარეობაში მყოფ დედოფლობას მონაზნობა არჩია. მონაზვნად აღვეციის შემდეგ მაკრინე მაინც ზრუნავდა ლუარსაბის კეთილყოფაზე, სთხოვდა თავის ძმას, არაფერი ევნო მისთვის. იგი არასოდეს უკვე აღარ ცდილა დაბრუნებოდა სამეფო სასახლეს... არმაზის მონასტერში დაასრულა თავისი დღენი საცოდავმა შეშლილმა ქალმა.

მეტად საყურადღებოა ხალხის შვილი— გოდერძი ბურდული. იგი გიორგი სააკაძისაგან აზრდილ-გაწრთენილია, მისგან ესწავლა შემმართება, ბრძოლის წესები. ომებში ყოველთვის გვერდზე ახლდა მოურავს. გოდერძი ბურდული იწვოდა სიყვარულის ცეცხლით მაკრინესადმი, თუმცა ვერ ბედავდა ამის გამხელას. ხმლით, ვაჟაკობით, თავდადებით უნდოდა მოეპოვებინა „ბედის ვარსკვლავი“. მაკრინეც შორიდან გრძობდა გოდერძი ბურდულის გულისთქმას და თითქოს თანაუგრძობდა კიდევ, მაგრამ განგებამ სულ სხვაგვარად დაატრიალა საქმე. მაკრინე გახდა ლუარსაბ მეფის მეუღლე და დედოფალი. გულგატეხილი რაინდი ამის შემდეგ განმარტოებულ ცხოვრებას ეწეოდა, თუმცა უბედურების მოახლოების შემთხვევაში იგი ყოველთვის თავს დასატრიალებდა მაკრინეს.

გოდერძი ბურდული ხალხის ინტერესების დამცველია. იგი ყმებს აგულიანებს მებატონეების წინააღმდეგ. მისი ვაჟაკობა და თავგანწირულება ყველასათვის ცნობილია. თავისი რაზმით იგი ბევრს საგმირო, სასახელო საქმეს აკეთებს.

შეიძლება ითქვას, რომ „განგების რკალში“ ვ. ბარნოვს საკმაოდ სრულად აქვს ასახული ისტორიული წარსული. მხოლოდ დასასრულ თავებში შესამჩნევია სქემატურობა. გიორგი სააკაძის ცხოვრების უკანასკნელი პერიოდი ძალზე კონსპექტურად აქვს წარმოდგენილი ავტორს.

„ისნის ცისკარი“ ერთ-ერთი საუკეთესო ისტორიული ნაწარმოებია ვ. ბარნოვისა, და ამავე დროს ძალზე დამახასიათებელი მთელი მისი შემოქმედებისა. XVIII საუკუნის მეორე ნახევრის, ე. ი. ერეკლე მეორის დროის თბილისი დიდის სიცხოვლით და სრულყოფით არის ასახული ამ რომანში. აქ ხელშესახები კონკრეტულობითაა წარმოდგენილი ძველი თბილისის რაინდულ-ამქრული ცხოვრება. გარდა ადამიანებისა, „ისნის ცისკარში“ ვ. ბარნოვი კარგად გვიხატავს თბილისის გეოგრაფიას, მისი მისადგომებითა და ადგილმდებარეობით. მწერლის მიერ აღწერილ სახლს, სახელოსნოს, ზარაფხანას თუ მთელ მიდამოს, მკითხველი ნათლად წარმოიდგენს, თითქოს ყოველივეს საკუთარი თვალებით ხედავდეს.

„ისნის ცისკარი“ ყურადღებას იპყრობს არა მარტო ისტორიული დეტალების ცოდნით, არამედ ეპოქის დამახასიათებელი საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ურთიერთობის რთული და ტრაგიკული მოვლენების განჭვრეტით. ვ. ბარნოვი ასახავს ფეოდალური სახელმწიფოს მორალურ დაშლას, რომელმაც ბოლო მოუღო დამოუკიდებელ საქართველოს. ჩვენი ისტორიიდან ვიცით, რომ 1795 წელს დიდი რისხვა დაატყდა თბილისს, ალა-მაჰმად-ხანმა სასტიკად დაარბია და გაანადგურა ეს მშვენიერი ქალაქი. მეფე ერეკლეს გათვალისწინებული ჰქონდა მოსალოდნელი საფრთხე, და ამიტომ იგი ადრევე შეუდგა სამზადისს მტრის დასახვედრად, მაგრამ გართულებულმა მდგომარეობამ ქვეყანა დამარცხებამდე მიიყვანა. საქართველოს არ დაეხმარა მფარველი და მოკავშირე თვითმპყრობელური რუსეთი, ხოლო ამავე დროს შიგნით, ფეოდალებშიც თავი იჩინა ლალატმა. ალა-მაჰმად-ხანის ჯარებმა ისარგებლეს ამით და ააოხრეს თბილისი. მწერალი ხაზგასმით აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ქართველთა და განსაკუთრებით ფეოდალთა შეუთანხმებლობა იყო ძირითადი მიზეზი ერეკლე მეორის დამარცხებისა და თბილისის გადაბუგვისა, ვ. ბარნოვის წარმოდგენის თანახმად, ხალხი ერთგული იყო თავისი სამშობლოსი და მეფისა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში წინ აღუდგნენ მოლალატე ბატონიშვილები და მთავრები და არ მისცეს საშუალება ებრძოლა

ქვეყნის დასაცავად. „საქართველოს საუკეთესო შვილნი ჯერ კიდევ ფეხზე იდგნენ შეიარაღებულნი, შებოჭილ ლომებივით კბილთა ღრჭენით გასცქეროდნენ ხოჯა-ხანის ბანაკს თბილისის ნანგრევებზე, საითქენაც არ უშვებდნენ მათ მუხანათი მედაურნი“. ამასვე აღნიშნავს რომანის მთავარი გმირი საამ გოსტაშაბიშვილიც, რომელიც გამწარებული წამოიძახებს: „იცი რას გაებედავ?! ან მთლად დაბნეულან ჩვენი წინამძღვრები, ან ლალატია აქ, საზიზღარი ლალატი, თვით ბატონიშვილისა და მის ქვეშევრდომთაგან! ხომ ესენიც სისხლს უშრობენ მოხუც გმირს?“ ასე მკვეთრად არის გადმოცემული საქართველოს ვითარება.

თუმცა მეფე ერეკლე „ისნის ცისკარში“ უშუალოდ არ არის გამოყვანილი, როგორც მოქმედი პირი, მაგრამ მკითხველი მაინც ნათლად წარმოიდგენს მას ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით მოთხრობილ ეპიზოდებში.

ისტორიული ამბების ფონზე ვ. ბარნოვს მოცემული აქვს მისთვის ჩვეული სიყვარულის ამბავი, რომელიც თითქოს არა ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე სახელმწიფოს შინაგანი კონფლიქტები. სიყვარულმა შეუწყო ხელი მუხათის მებატონეს საამ გოსტაშაბიშვილს გამხდარიყო სახელოვანი გმირი და თავგანწირული ბრძოლით დაეხსნა სატრაფო მრისხანე შაჰის ტყვეობიდან.

აღა-მაჰმად-ხანის ჯართან მოსალოდნელი ომის სამზადისმა შეახვედრა საამ გოსტაშაბიშვილი იოთამ ბურჯელის ქალს თინანოს. თინანო მეტად ლამაზი, ტურფა, სათნო ქალი იყო. თვალწარმტაც აღნაგობას თან ერთვოდა ხასიათის სიმტკიცე და უბრალოება, რაც კიდევ უფრო ამშვენებდა მას, „ძნელად თუ გამოერეოდა ისეთი ქმნილება ცხოვრებაში, რომელშიც შეიძლება აღამიანმა იხილოს ღვთაებრივი სიმშვენიერე და ელვარება. ასეთი მოვლენანი იშვიათია და ამ მოვლენათაგანი იყო თინანო“, — მოგვითხრობს ავტორი. თვით საიათნოვაც მოხიბლა ამ ქალის სიტურფემ, რომელმაც ლექსები მიუძღვნა მას და უწოდა „ისნის ცისკარი“. თინანო ჟანგარო მოსიყვარულეა. თინანოს სიყვარულის სისპეტაკე მხოლოდ მის ფიზიკურ სიმშვენიერეს თუ შეედრება. თინანომ კარგად იცის, რომ წმინდა ბუნებრივ გრძნობაზე დამყარებული სიყვარული არ მოისყიდება არავითარი ძალით;

ფუჟია ყოველგვარი სიმდიდრე, თუ იქ ბუნებრივი გრძობა არაა. „ხოვ არ გგონია შენი თინანო ამაებით (ე. ი. ოქროებით შ. რ.) შეისყიდოს ვინმემ? სამოთხეზედაც ვერ გავცვლი ჩემ სიყვარულს; ქვეყნის სიმდიდრე ჩაღად მიმაჩნია უშენოდ“, — მიმართავს იგი საამს, თინანო პატიოსნების მტკიცე დამცველია. მას ძლიერ უყვარს თავის სამშობლო. ასევე, საამსაც უპირველეს სატრფოდ საქართველო მიაჩნია. „სტყუი, ურჯულოვ, საამს ერთადერთი სატრფო ჰყავს ტყვეობაში — თავისი სამშობლო. მე მხოლოდ მავედრებელი ვარ მიენიჭოს გამარჯვება“. თვით საფრთხის ღროსაც თინანო უშიშარი და მტკიცეა. მისი დევიზია: „ან პატიოსანი სიცოცხლე, ან უმალ სიკვდილიო“. ვერ აცდინა იგი სელიმ-ხანმა. რომ ვითოჰდა პატიოსნების გაწირვით სიკეთეს მოუტანდა თავის სამშობლოს. „სანატრელია ვემსხვერპლო ქვეყანას! მაგრამ იცოდე, რომ საქართველო მხოლოდ პატიოსან მსხვერპლს შეიწირავს“. თინანო მტკიცე და უმწიკვლო სიყვარულის მატარებელია, მისი გარდაქმნა ვერ შესძლო ვერც ვაჟრის ოქროებმა და ვერც სელიმ-ხანის მიერ დედოფლობის დაპირებამ. მისი ქცევა და სიტყვა გამძვინვარებულ მტერსაც კი მოახრევეინებს ქედს.

საამ გოსტაშაბიშვილი მეტად სიმპათიურადაა დახასიათებული ნაწარმოებში. „სწორედ ბედნიერი ვარსკვლავზედ იქნება დაბადებული, ვინც ამ ვაჟკაცს შეხვდება ცოლად“, ამბობდნენ ქალები. ასევე ფიქრობდა თინანოც, რომელსაც სულ უფრო და უფრო მოსწონდა საამი. ვაჟკაცური შესახედობა, გონიერება და სიმტკიცე იყო მისი უპირველესი თვისებები. საამი კეთილი მეზატონისა და სამშობლოსათვის თავდადებული პიროვნების განსახიერებაა. ერთგული მოსიყვარულეა სამშობლოსა და თინანოსი. მას სურს თავისი გმირობითა და თავდადებით დაიმსახუროს თინანოს პატივისცემა და თანაგრძობა. საამს სწამს, რომ სამშობლოს გადარჩენისათვის, მტრის დასამარცხებლად საჭიროა მსხვერპლის გაღება. ამიტომაც დაასკვნა: „რა არის ერთი სამოურაოს გაუქმება, თუ კი მტერი საბოლოოდ მოისპობა“. მას სწორად მიაჩნია მეფე ერეკლეს გეგმა თბილისის ვიწროებში მტრის შემოტყუებისა და იქ მისი განადგურებისა: საამმა არ იცის დაბრკოლებათა წინაშე უკან დახევა. მან პირნათლად შეას-

რულა თავისი მოვალეობა ჯარის შეგროვების, თბილისის მიდამოების დაზვერვის საქმეში და, რაც მთავარია, ესოდენ ძნელი და დიდი მოვალეობა: თინანოს გამოხსნისა მტრის ტყვეობიდან.

თინანო ტყვედ ჩაუვარდა სელიმ-ხანს. აქედან იწყება სიყვარულის ინტრიგის მძაფრი გაშლა-განვითარებაც ნაწარმოებში. ერთის მხრით, დაკარგულ სიყვარულზე ოცნებობს ტყვექალი თინანო, რომელიც ქართველი ქალის ზნეობრივი სიფაქიზით და მტკიცე ნებისყოფით დგას ურჯულ სელიმ-ხანის წინაშე, ხოლო მეორეს მხრით, თინანოს სიყვარულით შეპყრობილი საამი იბრძვის სამშობლოს დასაცავად. საამმა გადაწყვიტა, ან დაიხსნას სატრფო ტყვეობიდან, ანდა შესწიროს სიცოცხლე ამ მშვენიერ არსებას. „ქალი ხომ თან უნდა წაიყვანოს სელიმ-ხანმა და გზაზე გაეთავისუფლებ! იქ ციხე-გალავანი მაინც არ ერტყმება გარს და პირდაპირ მიეუხტები. თუ წადილს ვერ შევისრულებ, სიკვდილს მაინც შევხვდები: გაიგებს, რომ სიტყვა აეუხსრულე, დამტირებს“, — გადასწყვეტს საამი და სამზადისს შეუდგება. „მხოლოდ თავ-განწირულ კაცს თუ მოუვა აზრად ეს“. წარმოთქვა მღვდელმა, როცა მოისმინა შეყვარებული საამის განზრახვა. მართლაც საამმა სულ მცირერიცხოვანი რაზმით შესძლო თინანოს უვნებლად გამოტაცება ირანელთა მრავალრიცხოვანი ჯარიდან.

საამ გოსტაშაბიშვილი მწერლის მიერ იდეალიზირებულ გმირად არის წარმოდგენილი.

მეხანჯლეთა უსტაბაში იოთამ ბურჯელი უბრალო და გულმართალი, მზრუნველი მამისა და სტუმრის მოსიყვარულე პიროვნების განსახიერებაა. იგი თბილისის თავისუფალი მოქალაქეა, ცხოვრობს საკუთარი შრომით და სახელმწიფოს ბედ-იღბალზედაც ზრუნავს; საამ გოსტაშაბიშვილი დიდის ცნობისმოყვარეობით შეჰყურებს იოთამის ოჯახს, დიდად მოსწონს იგი. ასეთი ოჯახი მას ბევრი უნახავს, მაგრამ აქ ყოველივე უფრო ლამაზად და სხვაგვარად ეჩვენება. ამ ოჯახს საფუძვლად უდევს წესიერება, შრომისადმი სიყვარული, ერთმანეთისადმი გულთბილი და სალი დამოკიდებულება, სტუმართმოყვარეობა და სათნოება. იოთამის ოჯახს კიდევ უფრო მეტად ამშვენებს ტურფა და კდემამოსილი თინანო.

მკითხველის სიმპათიის გამომწვევი გმირების გარდა,

ვ. ბარნოვმა „ისნის ცისკარში“ წარმოგვიდგინა გაიძვერა და მარტოოდენ პირადი კეთილდღეობისათვის მოქმედ ადამიანთა სახეები. ასეთია პირველ ყოვლისა, ზარაფი მილუა. მას არ გააჩნია ადამიანური ზნეობა. მისი ცხოვრების შინაარსი მხოლოდ გამდიდრებისა და ავადმყოფური სექსუალური უინის დაკმაყოფილებისათვის ბრძოლაა. იგი ქალის სიყვარულს ოქროებით ზომავს. მილუას ვერ წარმოუდგენია, რომ შესაძლებელია მისი ოქროების ბრწყინვალეობამ თვალი არ მოსჭრას თინანოს. მილუა პირადი სარგებლობით აფასებს ქვეყნის მდგომარეობას, ოღონდაც გამდიდრდეს და მისთვის სულერთია რა მდგომარეობაში იქნება სამშობლო. უფრო მეტიც: მას სურს საქართველო დამარცხებულ-განადგურებული იყოს მტრისაგან, რადგანაც „ამღვრეულ წყალში თევზი ადვილად დაიჭირება“. პირადი შურით შეპყრობილი მოღალატეობასა და მამბეზღარობასაც კისრულობს. ტყუილ-უბრალოდ დაღუპა მან თავისი მამბეზღარობით იოთამის ოჯანი.

როგორც მიუთითებენ, ცოცხალნი და ხორცმესხმულნი არიან „ისნის ცისკრის“ გმირები. ზუსტად არის მითითებული ის ადგილები, სადაც საამ გოსტაშაბიშვილმა მტრის ხელიდან გაპოიტაცა თავისი დანიშნული თინანო¹. ამ ნაწარმოებში გაზოყვანილ პერსონაჟებიდან ისტორიული პირებია: გიორგი ბატონიშვილი, ალა-მაჰმად-ხანი; ისტორიული შემთხვევაა ალა-მაჰმად-ხანის შემოსევა 1795 წელს. მის მიერ თბილისის აოხრება, ერეკლეს დამარცხება კრწანისის ველზე, ერეკლეს გადასვლა მთებში და კვლავ მისი სამზადისი მტრის დასამარცხებლად. ალა-მაჰმად-ხანის წასვლა თბილისიდან.

ასეთია ის სინამდვილე და მოქმედი პირები, რომლებიც წარმოდგენილია „ისნის ცისკარში“. როგორც დაეინახეთ, ვ. ბარნოვმა ამ ნაწარმოებში ასახა XVIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველო და კერძოდ თბილისი, ეპოქის დამახასიათებელი მოვლენებით და ზნე-ჩვეულებებით, რომელშიაც ჩააქსოვა სამიჯნურო თავგადასავალი.

* * *

„შუანების“ პირველი გამოცემის წინასიტყვაობაში ბალ-

¹ ლ. ბარნაველი — „მოგონებანი მამაზე“. „ლიტერატურის მატრიანე“, 452 წ. წიგნი 6, ნაკვეთი პირველი.

ზაკი აღნიშნავდა, რომ იგი ზუსტად მიყვება ისტორიას. მაგრამ ისტორიის სიმართლისათვის მიყოლა მისთვის არ ნიშნავდა ფაქტების უბრალო განმეორებას, კოპირებას. „აგტორი არ კისრულობს ვალდებულებას მშრალად დაალაგოს ფაქტები ერთმანეთის მიყოლებით, რომ ამ გზით ისტორია გადააქციოს ზუსტად დანომრილი ჩონჩხის ძეგლებად... იგი ცდილობდა თავის წიგნისათვის შთაებერა ეპოქისა და მოვლენათა სული, აძლევდა რა უპირატესობას კამათს ოქმთან შედარებით, ბრძოლას ბიულეტენთან შედარებით, დრამას მოთხრობასთან შედარებით“. ასახავს რა მართებულად სინამდვილეს, ბალზაკი სწორად მიუთითებს ისტორიულ მოვლენათა რეალურ საფუძველზე.

უმნიშვნელოვანესი პრობლემა, რომელიც ყოველთვის აინტერესებდა ვ. ბარნოვს, იყო მხატვრული და ისტორიული სიმართლე ხელოვნებაში. სხვაგვარად ეს ნიშნავდა იმის გათვალისწინებას, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ისტორიულ ელემენტს მხატვრულ ნაწარმოებში.

ისტორიული რომანის შექმნისას ვ. ბარნოვი უპირველეს ყოვლისა, ფიქრობდა ისტორიაზე და სინამდვილეს აძლევდა უპირატესობას გამომგონებლობასთან შედარებით. თითქმის, ყოველი მისი ნაწარმოები გამომდინარეობს ცხოვრების კონკრეტული შემთხვევიდან, კონკრეტული მასალიდან. რომელი მისი ნაწარმოებიც არ უნდა დავასახელოთ, თითქმის ყოველთვის შეიძლება მივუთითოთ მასში აღწერილი ძირითადი ამბისა და მეტი წილი პერსონაჟების ისტორიულობაზე. მუშაობდა რა ისტორიულ სიუჟეტებსა და სახეებზე ვ. ბარნოვი ისწრაფოდა წარსულის ზუსტად შესწავლისაკენ. მას კარგად ესმოდა, რომ ისტორია არის სინამდვილე, ხოლო მხატვრულ ნაწარმოებში ამ სინამდვილისათვის გვერდის აქცევა ნიშნავს საერთოდ ლიტერატურაში სინამდვილის გამოხატვის უგულველყოფას. ვ. ბარნოვის რომანებში მხატვრული და ისტორიული სიმართლე გამოხატულია მთლიანობაში.

ვ. ბარნოვის რომანებში ბევრია ნამდვილი ფაქტი, ისტორიული პირები, რეალური ყოფისა და გარემოს სურათები. ვ. ბარნოვის ქალი ლელა ბარნაველი იგონებს: „შემოქმედების დროს მამა მთელი თავისი არსებით გადასული იყო იმ ეპოქაში, რომელსაც აღწერდა, ხედავდა თავის რომანის გმი-

რებს. ესაუბრებოდა მათ. „ტრფობა წამებულის“ რომ წერდა, ერთხელ დიდის სინანულით გვითხრა: „აშოტის სიმღერა გავიგონე, ნაწილი ჩავწერე, ნინას რომ არ დაეძახა ჩემთვის, სულ ჩავწერდი“. შემდეგშიაც სინანულით იგონებდა, რომ ვერ მოასწრო აშოტის სიმღერის ჩაწერა.¹

ქართული ისტორიოგრაფიის ძეგლები ემსახურებოდნენ ვ. ბარნოვს საფუძვლად, რომელზედაც აღმოცენდა მისი ისტორიული რომანები. ამ ნაწარმოებებში იპოვა თავისი გამოხატულება ქართველი ხალხის გმირულმა ბრძოლამ უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ვ. ბარნოვს სახელმძღვანელოდ ჰქონდა ა. წერეთლის მოსაზრება. რომ საზოგადოდ ისტორიულ-მხატვრული თხზულება „უეჭველია ჰემმარიტებაზედ უნდა იყოს დამყარებული“.² ამიტომ ისტორიული რომანის დაწერის საშუალების იგი ყოველთვის ზედმიწევნით იკვლევდა წყაროებს. თავის მხატვრულ ნაწარმოებთა შინაარსი მას მრავალი წლის განმავლობაში ჰქონდა მოფიქრებული; ისტორიული რომანის ან მოთხრობის დაწერას იგი ყოველთვის წარუმიძღვარებდა ხოლმე დიდ მოსამზადებელ მუშაობას, ეყრდნობოდა ქრონიკების მონაცემებს, სხვადასხვა წერილობით ძეგლებს, დოკუმენტებს; ამოწმებდა ისტორიულ-გეოგრაფიულ ადგილებს, სადაც ხდებოდა ამბები, ეცნობოდა მატერიალური კულტურის ნაშთებს. მის სამუშაო ქალაქებში გვხვდება რომანებისათვის შედგენილი გეგმები ომებისა, გენეალოგიური ტაბულები, გეოგრაფიული რუკები იმ ადგილებისა, სადაც ვითარდება ესა თუ ის ამბავი: გვხვდება აგრეთვე ამონაწერები „ქართლის ცხოვრებიდან“, ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს ისტორიიდან“, „მოქცევაჲ ქართლისაჲდან“, „ახალი ვარიანტიდან წმ. ნინოს ცხოვრებისა“, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანიდან“. გიორგი მერჩულეს ჰაგიოგრაფიული მოთხრობიდან „შრომაჲ და მოლუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრი-

¹ ლ. ბარნაული — „მოგონებანი მამაზე.“ „ლიტერატურის მატინე“, 1952 წ. წიგნი 6. ნაკვეთი პირველი.

² ა. წერეთელი, თხზულებანი, ტ. VI, გვ. 227.

ტისაჲ ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ და მის თანა მრავალთა მამათა ნეტართაჲ“, იოსებ ტფილელის „დიდმოურავიანიდან“, პლატონ იოსელიანის ნაშრომიდან „ცხოვრება გიორგი მეცამეტისა“, თ. ყორღანის „ქრონიკებიდან“ (ტომი პირველი და მეორე), ა. ფურცელაძის „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დროიდან“, დ. ბაქრაძის „ისტორია საქართველოსიდან“, ი. ჯავახიშვილის „ქართული ერის ისტორიიდან (წიგნი პირველი და მეორე, მეოთხე), „საქართველოს სიძველენში“ მოთავსებული სიგელებიდან, ჰაბონის ნაშრომიდან „დაცემა და დაღუპვა რომის იმპერიისა“ და მრავალი სხვა ქართველი და უცხოელი ისტორიკოსის შრომებიდან. როგორც ჭეშმარიტი მხატვარი, ვ. ბარნოვი ნახულობს ყველგან — ქრონიკებში, სიგელ-გუჯრებში, ძველ ავტორთა წიგნებში ისტორიულ მასალას და შეაქვს თავის რომანებში სხვადასხვა მცირე, მაგრამ ნათელი სახეები, გამოთქმები, აღწერები, დეტალები. ვ. ბარნოვი „დამალა“ ის ფოლიანტები, რომლებიც შეისწავლა და მოგვცა ჭეშმარიტი მხატვრული ნაწარმოებები. ეს არის მისი, როგორც ისტორიული რომანების ავტორის დიდი ღირსება.

ვ. ბარნოვს, როგორც ღრმა მცოდნეს საქართველოს ისტორიისა, არა იშვიათად თვით უხდებოდა ისტორიკოსთა გამოკვლევების შეესება და ეპოქის დოკუმენტების საფუძველზე გააზრება მოვლენათა საერთო განვითარებისა, და, აგრეთვე ზოგიერთ ისტორიულ სახის თუ ფაქტის უფრო ნათლად გაგონება, ვიდრე ამის საშუალებას იძლეოდა დოკუმენტები. მაგალითად, სამშვილდეს ციხის აღების ხერხი („ნათელმოსილნი“) არც ერთ ისტორიულ წყაროში არ არის აღწერილი. ამ ციხის აღების დეტალები მწერლის მიერ აღდგენლია არსებული გაკვრივითი ცნობებით და განსაკუთრებით ციხის მდებარეობის დაწვრილებითი შესწავლით¹.

გარდა ისტორიული და ძველი ლიტერატურული წყაროებისა ვ. ბარნოვი თავის ნაწარმოებთათვის იყენებდა მის მიერ უშუალოდ ცხოვრებიდან ამოკრეფილ და შესწავლილ

¹ ლ. ბარნაული — „მოგონებანი მამაზე“. ჟურნ. „ლიტერატურის მატრიანე“ 1957 წ. წიგნი 6, ნაკვეთი პირველი.

მასალებს, ზეპირ გადმოცემებს. ცნობილია, რომ ბავშვობის წლები ვ. ბარნოვმა მთებში გაატარა. მისი მამა ზაქარია მღვდლად იყო გაწესებული ხევსურეთში, სოფელ ღუღეში, საიდანაც შემდეგში გადმოყვანილ იქნა სოფელ ტოლათში. აქ იყო იმ დროს ქურუმში ხევსურთა სალოცავეების კოპალე-იახსარისა. ხშირად უთევდნენ ღამეს ერწოელი ხევსურნი ამ ხატს, უკლავდნენ ცხვარს, კურატს, სვამდნენ არაყსა და ლუდს და ღრეობაში ატარებდნენ დროს. პატარა ვასილი თვალნათლივ ხედავდა წარმართული კულტის ამ რიტუალს. იგი აგრეთვე ესწრებოდა ხევსურთა დეკანოზის კურდღელას მიერ ლოცვების შესრულებას. ყოველივე ამას აღბეჭდავდა და იმახსოვრებდა თავის გონებაში ბავშვის ცნობისმოყვარე ბუნება¹. ეს მასალა ვ. ბარნოვმა შემდეგში გამოიყენა „არ-მაზის მსხვერვესა“ და სხვა ნაწარმოებებში; ასევე, სასულეირო სემინარიაში ყოფნის ხანა აძლევდა ვ. ბარნოვს სა-შუალებას „გაცნობოდა თბილისის მოქალაქეთა იმდროინ-დელ ცხოვრებას, დაახლოვებოდა ხელოსნებს, უღარიბეს ელემენტებს მკვიდრთა, რომელთა ოჯახებში თვით იზრდე-ბოდა. დაჰკვირვებოდა მათ ზნე-ჩვეულებას, რომ ყოველივე ეს სარჩულად დასდებოდა მთელ რიგ მოთხრობებს თბილი-სის ცხოვრებიდან, რომელშიც, როგორც ხელის გულზე ისეა გადაშლილი უკვალოდ გარდასული ცხოვრება ძველი თბი-ლისისა“².

ასე სწავლობდა და აგროვებდა ვ. ბარნოვი მასალებს თავისი მხატვრული ნაწარმოებებთათვის.

ვ. ბარნოვის რომანებში რეალურ ისტორიულ პერსონა-ეებს უჭირავთ არა მეორეხარისხოვანი, პერიფერიული მდგომარეობა. პირველ რიგში წამოწეულია ისტორია, ის-

¹ იხ. გრ. ყიფშიძე — „უასილ ბარნოვი“, შესავალი წერილი — ბი-ოგრაფია ვ. ბარნოვის „თხზულებათა“ პირველი ტომისა. თბილისი. 1920 წ. წერა-კითხვის გამ. საზ. გამოც. გვ. X—XI; თ. სახოკია — მოკლე ბი-ოგრაფია ვასილ ბარნოვისა, კრებულში „თბილისის აჩრდილები“, „ქარ-თული წიგნის“ გამოცემა, 1929 წ. გვ. XIV დ. კასრაძე „თანამედროვე პორტრეტები“ (ვ. ბარნოვი), „ქართული მწერლობა“, 1928 წ. № 2-3, გვ. 132-133; ვ. ბარნოვი „სამწუხრო ღიმი“ (მოგონება), „ლიტერატურის მატიანე“, 1940 წ. წიგნი 1-2, გვ. 86-87.

² თ. სახოკია — „უასილ ბარნოვი“, ბიოგრაფიული მიმოხილვა, დარ-თული „საში რომანისათვის“, სახელგამი, 1930 წ. გვ. XVI

ტორიული მოვლენები და ისტორიული პირები; ხოლო გამო-
გონილი ეპიზოდები და პირები ნაწარმოებებში მიჰყვებიან,
ავსებენ და აღრმავებენ ყოველივე ისტორიულს.

ლ. ბარნაველის თქმით, მანგლისის მიღამოებში გაგო-
ნილი თქმულება „გულდამანთ მამიდაზე“, ვ. ბარნოვს გამო-
ყენებული აქვს „ტრფობა წამებულში“ და აგრეთვე მო-
თხრობაში „ნაძვის დევი“.

საინტერესოა გავითვალისწინოთ თუ რა სახით შევიდა
ისტორიული მასალა ვ. ბარნოვის რომანებში.

უპირველეს ყოვლისა, იგი თითქმის სიტყვა-სიტყვით იყე-
ნებს ამა თუ იმ ისტორიულ წყაროს და დოკუმენტის ტექსტს,
გადმოაქვს მზამზარეული სიტუაციები („არმაზის მსხვერევა“,
„ტრფობა წამებული“, „პირიმზე“. „თამარ მრწემი“); ზოგ-
ჯერ ვ. ბარნოვი გამოყენებულ მასალას საკმაოდ სცელის ომ-
დენად, რამდენადაც ეს საჭიროა რომანის სიუჟეტისათვის
(„ნათელმოსილნი“, „სახიფათო სიყვარული“, „ისნის ცის-
კარი“); უფრო ხშირად იგი რომანის სიუჟეტს აყალიბებს
რომელიმე შედარებით მცირედი ისტორიულ ამბისა და შემ-
თხვევის საფუძველზე („მიმქრალი შარავანდელი“, „ხაზართა
სასძლო“, „დედოფალი ბიზანტიისა“, „ცოდვა სიჭაბუქისა“).

როგორია კონკრეტულად ის რეალური ისტორიული მა-
სალები, რომელთაც ეყრდნობა ვ. ბარნოვი თავის ნაწარმოე-
ბებში და როგორ იყენებს მათ? ამ საკითხის გასარკვევად,
უპირველეს ყოვლისა, უნდა ავიღოთ ისეთი მნიშვნელოვანი
რომანები, როგორიცაა „არმაზის მსხვერევა“, „ხაზართა სასძ-
ლო“, „ტრფობა წამებული“, „განგების რჯალში“ და „მიმ-
ქრალი შარავანდელი“.

• • •

დავიწყოთ „არმაზის მსხვერევიდან“. როგორც დავინახეთ,
ამ ნაწარმოებში ასახულია საქართველოს ისტორიის შორეუ-
ლი მოვლენები. დღემდე ჩვენს ისტორიოგრაფიას ყოველ-
მხრივ ზუსტი და დასაბუთებული მოსაზრება არ მოეპოვება
ამ ხანის მრავალ ღირსშესანიშნავ მოვლენაზე. სწორედ ამ გა-
რემოებას აღნიშნავენ მკვლევარები, როდესაც ამ ხანას ეხე-
ბიან: „ყველასათვის საინტერესო უნდა იყოს საკითხი, თუ
როდის შემოვიდა ჩვენში ქრისტიანობა. რომელმაც შექმნა

სულ ახალი ხანა ჩვენს ისტორიაში. სანწუხაროდ, რამდენადაც საინტერესოა ეს საკითხი, იმდენად ბურჟუაზიის ის მოცული. თუმცა ბევრი უწერიათ და ულაპარაკნიათ ამ თემაზე, მაგრამ საკითხი ჯერ ღიად არის დარჩენილი და მის შესახებ ჩვენ დღეს იმაზე მეტი არ ვიცით, რაც ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა იცოდნენ¹. ამას ემატება ისიც, რომ „ჩვენი დროის საისტორიო მწერლობაში ქართველთა მოქცევის ისტორიის თითქმის არც ერთი საკითხი არ არის, რომ მკვლევართა წინანდელი შეხედულებების შერყევა არ ეცადათ და ახალი დებულებები არ წამოეყენებიათ. მაგრამ ამ ახალი დებულებათა ავტორებს შორისაც დიდი აზრთა სხვაობაა“². ყველა ეს გარემოება დიდად ართულებს ისტორიული რომანის ავტორის მუშაობას. მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ვ. ბარნოვა თავის ნაწარმოებში საკითხის დიდი ცოდნა და მხატვრული ალღო გამოამჟღავნა.

„არმაზის მსხვერველაში“ პერსონაჟების ნაწილს შეადგენენ ისტორიული პიროვნებანი (მირიანი, შაჰ-შაბურჩი, ბაქარი, ნანა), ხოლო ნაწილი მოგონილი მხატვრული სახეებია (ამაზილი, ბაბეგი). მაგრამ ეს მოგონილი მხატვრული სახეები არ ეწინააღმდეგება ისტორიულ სიმართლეს.

არმაზის კერპი ქართველებისათვის ითვლებოდა უმთავრეს ღვთაებად. მის შემოღებას ისტორიული წყაროები მიაწერენ ფარნავაზ მეფეს. „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ცნობით არმაზი იყო ქართველთა მეფეების მზრუნველობის განსაკუთრებული საგანი. მისი ღლეობა, რომელიც აგვისტოს თვეში მოდიოდა, საზეიმო ხასიათს ატარებდა. იმ დღეს მის თაყვანსაცემად თავს იყრიდა როგორც მეფე და მისი ოჯახობა, ისე პროვინციებიდან ჩამოსული მრავალი ხალხი. მოდიოდნენ აგრეთვე ვაჭრები თავიანთი საქონლით. დღესასწაული მიმდინარეობდა ღამისთევით და მსხვერპლის შეწირვით არმაზის კერპის წინაშე. როგორც ვახუშტი ბატონიშვილი გადმოგვცემს არმაზისა და სხვა ღმერთების დღესას-

¹ კ. კეკელიძე — „ქართველთა მოქცევის მთავარი ისტორიულ-ქრონოლოგიური საკითხები“. კრ. „მიმოხილველი“, საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, 1926 წ. გვ. 1.

² ი. ჭავჭავაძე — „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი პირველი. 1929 წ. გვ. 194.

წაულს უქმობდნენ ასე: „განვიდის თვთ მეფე და დიდებულნი და მცირებულნი ბუკდაფდაფითა და ყოვლითა ძნობითა და სახიობითა. შესწირვიდიან ძროხათა, ხართა, ცხოვართა და ნადირთა. თაყვანს სცემდნენ არმაზსა, შემდგომად ზადენს და მერმე სხვათა ღმერთთა. არამედ უმეტეს დიდი იყო ღღესასწაული არმაზისა, და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჰამითა და ღვინის სმითა, როკვითა ფერხისათა, პურობითა, სახიობითა და ძნობითასამ ღღე და მოიქციან თვსთვსად სახიდ“...¹ ვ. ბარნოვი არმაზის ღღესასწაულის აღწერაში ზუსტად მიჰყვება ისტორიულ წყაროების გადმოცემებს. თვით არმაზის კერპის გარეგნული აღწერა მას აღებული აქვს ცნობილი ისტორიული წყაროებიდან². ასევე, არმაზის კერპის დაცემისა და განადგურების ეპიზოდისათვის თითქმის მთლიანად გამოყენებულია „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ტექსტი³.

ქრისტიანობის დასავლეთიდან მოსვლას და იბერიაში ნინოს მოღვაწეობას მთელი რიგი დოკუმენტები მიაწერენ მირიანის დროს. „ქართლის ცხოვრებაში“ მირიან მოხსენებულია პირველ ქართველ ქრისტიან მეფედ. „მოქცევაჲ ქართლისაჲსაჲს“ პირველი ქრისტიანი მეფე მირიანია: ი. ჭავჭავაძის შვილი⁴ პეტრე მაჲუმელის ცხოვრების ასურულ ტექსტზე დაყრდნობით პირველ ქრისტიან ქართველ მეფედ დიდ ბაქურს ასახელებს.

ვ. ბარნოვი დაემყარა „ქართლის ცხოვრებას“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატიანეს.

ნინოს წამოსვლა საქართველოში ჭავჭავაძის გზით, ებრაელებთან მისი დადგომა, სანამ მცხეთაში შემოვიდოდა, მის მიერ ნანა დედოფლის განკურნება, მირიანის ნათესავის მოგვის მორჩენა (ძველი წყაროს მიხედვით ამ მოგვის სახელია

ვახუშტი ბატონიშვილი — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“: თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამ. 1941 წ., გვ. 18: იხ. აგრეთვე E. Такайшვილი — „Описание рукописей“. Тифлис, 1906—1912, т. II გვ. 750—751.

¹ E. Такайшვილი — „Описание рукописей“ т. II გვ. 752.

² E. Такайшვილი — „Описание рукописей“ — т. II, გვ. 754—755.

³ ი. ჭავჭავაძის შვილი — „ქართველი ერის ისტორია“, წიგნი პირველი, 1928 წ., გვ. 196—201.

ხუარა, ვ. ბარნოვი კი მას უწოდებს აბუხეასროს¹, მეფის ნადირობის დროს მზის დაბნელება, მირიანის ვედრება არმაზთან, რათა მისმა ძლიერებამ იხსნას, თვალთახედვა დაუბრუნოს, შემდეგ მირიანის ვედრება ქრისტიანთა ღმერთის წინაშე და ფიცის მიცემა, რომ თუ სინათლეს დაუბრუნებს, იწამებს მას თავის ღმერთად, მირიანის ძის ბაქარის რომში მძევლად ყოფნა, აგრეთვე ამბავი, რომ ქართველებმა არ მოისურვეს გაქრისტიანება, ღვთაება არმაზის დღესასწაული, მეფისა და დედოფლის იქ მისვლა, ვედრება ნინოსი თავის ღმერთის წინაშე, რათა „ბნელის მსახურთ სამხილებლად“ ცეცხლი აწვიმოს, შემუსროს კერპი და ბოლოს, არმაზის დამსხვრევა, — ყოველივე ეს, რაც აღწერილი აქვს ვ. ბარნოვს „არმაზის მსხვრევაში“, დამყარებულია ისტორიულ გადმოცემაზე „მოქცევაჲ ქართლისაჲის“ მატიანედან. ლეონტი მროველის მატიანიდან „ცხოვრებაჲ ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ და სხვ.

„არმაზის მსხვრევაში“ ასახულია არა მარტო ბრძოლა არმაზსა და ქრისტიანობას შორის, არამედ ის ბრძოლა, რომლებსაც ამ რელიგიების წინააღმდეგ აწარმოებდა ქართველთა უძველესი სარწმუნოება. ქართველთა უძველესი ღმერთები ყოფილან ციშუბ-თარხუჯი და ითრუშანი. არმაზსა და ითრუშანს თავიდანვე ურთიერთი ბრძოლა ჰქონდათ და ერთმანეთის დაღუპვას სწადდათ. IV საუკუნეშიც მთიელები ძველი სარწმუნოების მომხრენი ყოფილან. ამ ღმერთებს თავიანთი სამყოფელიც ჰქონდათ თურმე ციშუბის მთაზედ, კალის კოშკის დასავლეთით. რომანის მიხედვით განდგილი მანგიური ქართველთა ამ ძველი რელიგიის დამცველია.

მართლაც, ძველ ქართულ წარმართულ პანთეონის შესახებ არსებულ ლიტერატურულ წყაროებში — „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ლეონტი მროველის „ცხოვრებაჲ ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, სადაც ლაპარაკია იმ ღმერთებზე, რომელთაც ჩვენი წინაპარნი თაყვანსა სცემდნენ, მოხსენებულია აგრეთვე „ქართველთა ღმერთი ითრუჯანი“, „ნინოს ცხოვრებაში“ ხაზგასმით არის აღნიშნული რომ „წყეული არმაზ და შეჩვენებული

¹ მ. საბინინი — „საქართველოს სამოთხე“, გვ. 81.

ქალდეველთა ღმერთი ითრუჯანი ყოვლადვე მტერ არიან ურთიერთისა“¹. ამ ცნობას უნდა ემყარებოდეს ვ. ბარნოვი არმაზისა და ითრუჯანის ურთიერთობის საკითხში. რომანში მოჩანს, რომ დაბალი ფენები, განსაკუთრებით მთიულები განაგრძობენ თავიანთი ნაციონალური ღმერთების დიდებას და ებრძვიან არმაზს.

„ქართლის ცხოვრების“ ცნობით მირიანი იყო სპარსეთის მეფის ქასრეს შვილი. იგი შვიდი წლისა გამეფდა საქართველოში. მას შერთეს ცოლად ასფაგურის ასული — აბეშურა. თხოუმეტი წლისა იყო მირიანი, როდესაც აბეშურა გარდაიცვალა. ამის შემდეგ მირიანმა შეირთო ულიათორის ასული — ნანა, რომელიც მოიყვანა პონტიით. „ქართლის ცხოვრების“ ამ ცნობათა წინააღმდეგ თავის დროზე გაილაშქრეს ე. თაყაიშვილმა² და ს. გორგაძემ³. ეს უკანასკნელი მკვლევარი ამის თაობაზე წერს: „მირიანი არც სპარსელი ყოფილა და არც არავითარი მეგობრული განწყობილება ჰქონია სპარსეთთან: იგი იყო ქართველი მეფის შვილი და რომის ვასალი. ამიტომ ჩვენის ფიქრით, მირიანის ცხოვრებიდან სამუდამოდ უნდა ამოიშალოს მატეანის ყველა ის ადგილი, რომელიც გვარწმუნებს, ვითომც მირიანი სპარსეთის მეფის ძე ყოფილიყოს და თავის სამეფოს ნახევარი სპარსეთის მეფისაგან ჰქონებოდეს ნაჩუქარი (იხ. ქ. ცხოვრ. გამ. ზ: კიკინაძისა, ტ. 1, გვ. 79 — 81). მსგავსად უნდა გამოირიცხოს მირიანის ცხოვრებიდან ის თქმულებაც. ვითომც მირიანის პირველი ცოლი ყოფილიყოს ასფაგურ მეფის ასული — აბეშურა (იქვე, გვ. 81 — შეად. გვ. 77 — 79). ეს თქმულება განგებ

¹ Е. Такайшвили — „Описание рукописей“ т. II, г. Кавелидзе — „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, თბილისის სახ. უნივერ. „შრომები“, 1936 წ. № 1; Н. Марр — „Боги языческой Грузии по древне-грузинским источникам“. С. 1, 1901 г., ი. ჯავახიშვილი — „ქართველი ერის ისტორია“, წ. პირველი, 1928 წ., Brosset, „Histoire de la Géorgie.“ I, 1858; „ქართლის ცხოვრება“, მარ. დედოფლისეული ვარიანტი.

² ე. თაყაიშვილი — „ახალი ვარიანტი ნინოს ცხოვრებისა“, თბილისი, 1891 წ., გვ. XXVII.

³ ს. გორგაძე — „წერილები საქართველოს ისტორიიდან“, კრებ. „ძველი საქართველო“, ტ. 2, თბილისი, 1913 წ., გვ. 43.

შეთხზულია მემატრიანისაგან, რადგან მირიანი სპარსელი იყო, და, მაშასადამე. თუ არ ამ გზით, სხვა მხრივ ძნელი უნდა ყოფილიყო მირიანის დაკავშირება ქართველ სამეფო სახლთან. ჩვენ კი უძველესი ქართული ქრონიკიდან ვიცით, რომ მირიანი ქართველი მეფის „ლევის ძე“ იყო და, მაშასადამე, ადგილობრივ დინასტიასთან მის დასაკავშირებლად მემატრიანის მიერ შეთხზული ამბავი აღარ გვესაჭიროება“.¹ ვ. ბარნოვის რომანი ამ საკითხში მთლიანად ემყარება „ქართლის ცხოვრებას“.²

ამგვარად ვ. ბარნოვი იცავს ძველი ქართული წყაროების მიერ მოთხრობილ ამბავთა თანმიმდევრობას, მათ მიერ მოცემულ ძირითად სქემას და აგრეთვე ისტორიულ პიროვნებათა გაღერებას. მაგრამ, ცხადია, ეს საკმარისი არ არის რომანის არქიტექტონიკის შესაქმნელად. იგი მატრიანებში მოცემული ფაბულის საფუძველზე აგებს მტკიცე სიუჟეტურ შენობას.

„არმაზის მსხვერველაში“ გამოყვანილ მთავარ პერსონაჟთაგან არაისტორიულია ამზაილი. მაგრამ არც მისი სახელი და არც მისი მოქმედება არ არის დაშორებული ეპოქის ხასიათისაგან. ეს სახელი იცავს ისტორიულ კოლორიტს. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ „...და შემდგომად წელთა მრავალთასა ძის-წულის შვილმან ადერაკი მეფისა — მან ამზაელ ძიება ყო სამოსლისა — მის-თვის“.³

„არმაზის მსხვერველაში“ ვ. ბარნოვს მრავალი ისტორიული დეტალი აქვს გადმოცემული. ეს დეტალები ზუსტად წარმოგვიდგენენ ეპოქის კოლორიტს. მიუხედავად ამისა, მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ მოვლენათა და ამბავთა აღწერის დროს იგი არ სცოდავდეს ისტორიული სიზუსტის წინაშე. უნდა აღინიშნოს ზოგიერთი ნაკლი და შეცდომა დეტალების გადმოცემისას. რომანში ერთგან ვკითხულობთ: „გაიმართა დარბაზობა. მოართვეს მეფეს შაჰინ უსტარი, წამოდგა, მიიღო ეტრათი, მიიღო შუბლზე, გადასცა წასაკითხავად მწიგნობართ უხუცესს“. მწიგნობართ უხუცესი და მისი თა-

¹ იქვე, 83-43.

² „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამ. 1849 წ., გვ. 81.

³ იქვე.

წამდებობა. რაც საქართველოში X — XI საუკუნეიდან არსებობდა, ვ. ბარნოვს გადააქვს IV საუკუნეში, როცა არც ეს ტერმინი და არც მისი შესაფერი თანამდებობა არ არსებობდა¹; ასევე უნდა ითქვას „ვაზირის“ და „სახლთუხუცესის“ ტერმინის შესახებ, ისიც გვიანდელი წარმოშობისაა; მირიან მეფის ძის სახელი ისტორიულ დოკუმენტებში ორნაირად არის ცნობილი. ბაკური ასე ეძახის მას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ხოლო ლეონტი მროველის თხზულებით „ცხოვრებაჲ ქართუელთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“, ამ პირს ბაქარი ჰქვია. ვ. ბარნოვი ამ შემთხვევაში დებულობს ლეონტი მროველის მიერ გადმოცემულ სახელწოდებას. მაგრამ როგორც უკვე აღინიშნა ისტორიულ ლიტერატურაში, უპირატესობა პირველ წყაროს უნდა მიეკუთვნოს. შეუძლებელია სახელი ბაქარი იმ დროს არსებულიყო. ეს სახელი არაბული წარმოშობისაა და იმ ხანისათვის ანაქრონიზმს წარმოადგენს²; რომანით მირიანი მთელი საქართველოს მეფედ არის გამოცხადებული („მთელი საქართველო ხელთ უჭირავს“). ისტორიულად კი ცნობილია, რომ მირიანი მთელი საქართველოს მეფე არასდროს არ ყოფილა თითქოს IV საუკუნეში არაბეთი „ჯვარცმულ ქრისტეს აღიარებდა“. ეს არ არის მართალი; ვ. ბარნოვის აზრით ნინოს კაბადოკიიდან მოჰყვენენ აბიათარ და სიდონია. ჩვენს წყაროებში კი აღნიშნულია, რომ ისინი მცხეთელი ებრაელები იყვნენ; ნიკეას კრებას არასოდეს არ აღუიარებია ორღმერთიანობა, პირიქით, ამ კრებამ ჩამოაყალიბა ფორმულა: „მრწამს ერთი ღმერთი-ო“; ცეცხლისთაყვანისმცემელთა სამღვდლო პირს უწოდებს არა „მოგეს“, არამედ „ქურუმს“. ვ. ბარნოვს ჰგონია, რომ ხალხური ლექსი „ლაზარ მოდგა კარსა“, რომელშიც შემონახულია გადანაშთი ძველი წარმართული შეგნებისა, ჩვენში ცნობილი იყო ქრისტიანობის შემოღებამდე. ეს არ შეიძლებოდა. ბიბლიურ ლაზარეს ქრისტიანობამდე ხალხი ლექსებში ვერ მოიხსენიებდა. ლექსი შეთხ-

¹ ი. ჭავჭავაძის — „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი მეორე, ნაკვეთი პირველი, თბილისის უნივერ. გამ. 1928 წ., გვ. 124.

² ს. ჯანაშია — „საქართველო აღრინდელი ფეოდალიზმის გზაზე“, თბილისი, სახ. უნივერ. გამომ. 1937 წ., გვ. 90.

ზულია ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ; მაზდეანობის კულტის მთავარი მოგვის რელიგიური რიტუალის შესრულების დროის ტანთშესამოსის აღწერა თითქმის მთლიანად აღებული აქვს ვ. ბარნოვს ქრისტიანულ ეპისკოპოსის ტანთშესამოსიდან.¹ ცხადია, ამა თუ იმ გამოთქმის არასისწორით ამათუიშ დეტალის III — IV საუკუნის კოლორთან ნამდვილი მსგავსებით არ განიზომება ამ რომანის მნიშვნელობა.

ანალოგიური ხასიათის ისტორიულ შეუსაბამობას არცთუ ისე იშვიათად შეხვდებით ცნობილ ისტორიულ რომანებში. „სალამბოში“ გუსტავ ფლობერი ფიქრობს, რომ აქლემები იყო თითქოს ემბლემა აღმოსავლეთისა და აღმოსავლური პეიზაჟის აუცილებელი ელემენტი. აქლემები აფრიკაში გამოჩნდნენ მხოლოდ პირველ საუკუნეში და ის უცნობი იყო მანამდე კართაგენებისათვის; ფლობერი რომანში ლაპარაკობს ალოეს შესანებ, რომლითაც აღვივებენ ცეცხლს. მაგრამ ალოე აფრიკაში მიიტანეს მხოლოდ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ. დაქირავებულ ლაშქარს კართაგენიდან ზაფხულის სიცხეში მოაქვს თოვლი, რაც წარმოუდგენელია, კერძოდ იმიტომ, რომ კართაგენში საერთოდ არ მოდიოდა თოვლი; ადამიანის მსხვერპლად შეწირვა III საუკუნეში არ ხდებოდა კართაგენში. „სალამბოში“ მოქმედება ორმოცდაჩვიდმეტ თვეს გრძელდება, მაშინ როდესაც ნამდვილად დაქირავებული ლაშქრის ბრძოლა გაგრძელდა სამ წელს.²

* * *

„ხაზართა სასძლოში“ ისტორიული ვითარება კარგად არის ასახული. არჩილის ტრაგიკული დაღუპვა იმ სახით, როგორც ეს მოთხრობილი აქვს ვ. ბარნოვს, ისტორიულად მართალია. „ქართლის ცხოვრებაში“ აღნიშნულია: როცა არჩილს ორმოცდაათი წელი შეუსრულდა, მაშინ საქართველოში მოვიდა არაბთა ამირა ჭიჭუში, რომელსაც ეწოდა ასიმ,

¹ „არმაზის მსხვერველად“ მოტანილი ისტორიული შეუსაბამობის მაგალითების მეტწილზე მიგვითითა აკად. კ. კეკელიძემ, რისთვისაც დიდ ზაღლობას მოვახსენებთ.

² იხ. Б. Реншоу — „Творчество Флобера“, გვ. 353—354.

ქე მოჰმედისი. მან მოაოხრა და შემუსრა ქართლი და გაემართა კახეთისაკენ, რისხვად მოველინა ქართველებს ასიმი. ქართველთა მეფეებს არ ძალუძთ წინააღმდეგობა. როდესაც არაბთა ჯარი მოადგა კახეთს, არჩილი გამოცხადებულა არაბთა სარდლობის წინაშე, რათა ეთხოვა „მშვიდობა ქვეყნისა“. არჩილი მომსწრე იყო მურვან-ყრუს შემოსევისა, რომელმაც გაანადგურა და გასცა საქართველო. მას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, თუ რა ძალა იყო არაბთა ლაშქარი და რა ნიშნავდა მისი თარეში, მაგრამ არჩილმა ვერ მიაღწია მიზანს. პირველად ჭიჭუმმა თითქოს კარგად მიიღო იგი, მაგრამ გარდაბანელი მთავრის ფეროზის დასმენის შემდეგ ძლიერ განრისხდა მასზე. შემდეგში ჭიჭუმმა კვლავ აღუთქვა არჩილს სამეფოს დაბრუნება იმ პირობით, თუ მისცემდა მას საქართველოში დაფლულ განძს და გამოიცილიდა სარწმუნოებას. არჩილმა ყველა ამ წინადადებაზე უარი ვანაცხადა და ამიტომ ასიმის განკარგულებით მას თავი მოჰკვეთეს. არჩილის გვამი მოიტაცეს მისმა თანამხლებლებმა ქართველებმა და დამარხეს ნადკორის ეკლესიაში.¹ ასეთივე სიზუსტით აქვს გადმოცემული ეს ისტორიული მომენტი ვ. ბარნოვს თავის რომანის შესავალ ნაწილში.

არჩილის ტრაგიკული დაღუპვის შემდეგ მთავრობენ მისი შვილები — ჯუანშერ და იოანე, რომელთაგან პირველი კახეთის მთიანეთში — არჩილისაგან აგებულ ლაკეასტის ციხეში გამაგრებულა, ხოლო მეორე — იოანე გადასულა ეგრისში. „შემდგომად ამისა, რაჟამს იგი აღესრულა წმინდა მოწამე არჩილ მეფე. დარჩნეს შვილნი მისნი იოანე და ჯუანშერი. წარვიდა იოანე ეგრისად და წარიტანა თანა დედა და ორნი დანი თვისნი, ხოლო ჯუანშერ და ორნი დანი დაშთეს ქვეყანასა ქართლისასა და კახეთისასა: და უმრწემესი და მისი სახითა იყო შევნიერ, და მიესმა ქება მისი ხაზართა მეფესა. ხაკანსა. მოგზაენა მოციქული ჯუანშიერად და ითხოვა ცოლად, რომელსაც ერქვა სახელად შუშან, და უქადა შველა სარკინოზთა ზედა. რაჟამს მოიწია მოციქული ხაკანისა, მიუძენო ესე ყოველი ჯუანშერ ძმასა თვსსა, ხოლო მათ არა ინებეს

¹ „ქართლის ცხოვრება“, მარ. დედოფლისძეული ვარიანტი, გვ. 211—215.

მიცემა მისი და უთხრეს „უკეთუ უღონო იქმნეს ყოფა ჩვენი, უმჯობეს არს რათა შევიდეთ საბერძნეთად, და მივმარტოთ ქრისტიანეთა, ვიდრე-ღა, რა შეიგინოს შველი ჩვენი“. და შუშანმაცა აგინა ხაზართა მეფესა. შემდგომად სამი წლისა მოგზავნა ხაკანმა სპასალარი თვისი ბულჩან. გამწვლო გზა ლეკეთისა და შემოვიდა კახეთად და მოადგა ციხესა ძას, რომელსა შინა იყუნეს ჯუანშერ და დაჲ მისი შუშან და მცირეთა ღღეთა წარიღო ციხე იგი და ტყვედ ყვნა იგინი. და შემუსრა ქალაქი ტფილისისა, წარტყვენა ქართლი და ყოველივე ეს ქუეყანა: და ვითართა წარემართა გზასა დარიალისასა, ღღესა ერთსა ჰრქუა ძმასა თვისსა შუშან: „უმჯობეს არს ჩემთვის სიკუტდილი, რათა ღირს მყოს მე უფალ-მან ნაწილსა წმინდათა ღღდათა, ვიდრე-ღა შევიგინო წარმართთა მიერ“: და ჰქონდა მას ბეჭედი, აღმოუგლო მას თვალი და მოწოა იგი, რამეთუ იყო თვალსა — მას ქუეშე წამალი სასიკუტდინე და მუნთვესვე მოკულა; წამოვიდა ხაკანისა ბულჩა, მოჰგვარა ჯუანშერ ხაკანსა და მიუთხრა: სიკუტდილი დისა მისისა შუშანისა: ნოლო განუწყრა მეფე ხაკან, არა მოტანისა-თვის გვამისა შუშანისა, რომლისა წადიერ იყო ხილვად. მაშინ შეიპყრეს ბულჩან და მოაბეს ყელსა საბელი და განზიდვად სცეს ორთა ცხენოსანთა იმიერ და ამიერ, და მოსწყვიტეს თავი მისი ბოროტად“...¹ ვ. ბარნოვისთვის ეს ცნობა ამოსავალი მომენტია. ამ მცირე ისტორიული გადმოცემის ფართო მხატვრულ გააზრებას წარმოადგენს „ხაზართა სასძლოს“ მთავარი ამბავი. ვ. ბარნოვს ამ შემთხვევაში სახელმძღვანელოდ ჰქონდა ცნობილი თქმა იმის შესახებ, რომ რომანისტს ესაჭიროება მხოლოდ ერთი თმა, რათა მისგან დაწინას მთელი თოკიო. ვ. ბარნოვი პოეტური გულისხმიერებით და ღიდი მხატვრული დაკვირვებით აცოცხლებს ფაქტიურ ცნობებს. აქ არსებითად იმავე ხასიათის მოვლენასთანა გვაქვს საქმე, რასაც აღნიშნავს ა. ფრანსი თავისი „თაისის“ გამო. ა. ფრანსი წერს, რომ „თაისის“ შესაქმნელად მან გამოიყენა ჰაგიოგრაფიული ნაშრომი: „წმინდა მამათა ცხოვრება უდაბნოში“ მოთხრობილი ორმოცდაათ სტრიქონიანი ლეგენდა და ისე შექმნა თავისი ეპოპეა, რომელიც მთელი

¹ „ქართლის ცხოვრება“, მარ. ღედოფლისეული ვარ. გვ. 216—217.

ეპოქის რომანტიკულ გააზრებას წარმოადგენს.¹ „ხაზართა სასძლოს“ მთავარი ამბავიც, რომელიც ისტორიულ წყაროებშია გადმოცემული, არსებითად რამდენიმე ათეულ სტრიქონს შეიცავს, მხოლოდ მწერალმა მას განზოგადებული სახე მისცა, გადაიყვანა კონკრეტულ მხატვრულ სურათში, დაუკავშირა ის ეპოქის მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს. ასე ქმნის ვ. ბარნოვი მთლიან მხატვრულ პანორამას.

იმ პერიოდში, რომელსაც ვ. ბარნოვის რომანი შეეხება, ხაზართი მართლაც ძლიერი სახელმწიფო იყო და მდებარეობდა დღევანდელი ჩრდილო კავკასიის ტერიტორიაზე, გადაქიმული იყო ვოლგიდან ყირიმამდე. ხაკანის მთავარი სარეზიდენციო ქალაქი იყო სარილ-შარი ანუ იტილი. VII — VIII საუკუნეებში ხაზარები არა ერთხელ დასცემიან საქართველოს და აუწიოკებიათ იგი. 764 წელს ხაზარებმა მოკლეს ხნით დაიჭირეს და დაარბიეს თბილისი. ხაზარები თავიადროზე სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ არაბებსაც.²

„ქართლის ცხოვრების“ ცნობის თანახმად, რელიგიაურმა სხვადასხვაობამ გადამწყვეტი როლი ითამაშა შუშანისაგან ხაზართა ხაკანის ცოლობის უარყოფაში. მათიანის ცნობით ხაზარები იმ ხანებში, როდესაც შუშანიკის „რომანტიული“ ტრაგედია დატრიალდა, წარმართები იყვნენო. ამავე მოსაზრებას იმეორებს ვ. ბარნოვი თავის რომანში. ხაზარები რომ VIII საუკუნეში წარმართები იყვნენ, ამ აზრს აკადემიკოსი ი. ჯავახიშვილიც იზიარებდა.³ მაგრამ ამ საკითხის სპეციალური მიმოხილვა მოგვცა აკადემიკოსმა კ. კეკელიძემ. აღნიშნავს რა მრავალი ძველი ავტორების (დიმაშყის, იეჰუდა ჰალევის, მეყადასის და სხვ.) გადმოცემებს ნაზართა რელიგიაზე, რომლებშიც ერთმანეთის ნაწინააღმდეგო ცნობებია წარმოდგენილი, აკადემიკოსი კ. კეკელიძე ასკვნის: „ამრავად, როგორც ვხედავთ, მერვე საუკუნეში ხაზარებს რელი-

¹ Œuvres complètes, t. V, გვ. 272

² ი. ჯავახიშვილი, — „ქართული ერის ისტორია“, წიგნი მეორე, გვ. 348—357; კ. კეკელიძე — „აღრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“, ნაკვ. პირველი, გვ. 21—28; ს. ჯანაშია—„არაბობა საქართველოში“, თბილისის დაუსწრ. პედინსტიტუტის გამ. 1936 წ., გვ. 28—29.

³ ი. ჯავახიშვილი—„ქართული ერის ისტორია“, წ. მეორე. გვ. 352—353.

გია აქვთ. ეს არის ერთი ცნობით — ისლამი, მეორეთი — იუდაიზმი¹. ამ შემთხვევაში ვ. ბარნოვი მართალია, რაკი მან ხაზარები არაქრისტიანული რელიგიის მომხრეებად გამოიყვანა და ისტორიული გადმოცემის ამ მომენტის გათვალისწინებით მძაფრი კოლიზიები შექმნა.

„ხაზართა სასძლოში“ ვ. ბარნოვი ისტორიულ სინამდვილეს მიჰყვება არა მარტო მთავარ მომენტებში, არამედ დეტალებშიც კი ისტორიული ცნობების საფუძველზეა წარმოდგენილი. დოკუმენტალურად არის ცნობილი, რომ ხაზარები დაღესტნის გზით გადმოვიდნენ საქართველოში შუშანის მოსატაცებლად, ხოლო უკან გაბრუნდნენ დარიალით. თბილისი ამ დროს აგარიანებს ეჭირათ; ისტორიულად ცნობილი პირებია: ქართლის ერისთავი ნასრე, ვარაზმან კოტმანელი და ხერჯეთის ერისთავი ჯუანშერი;² ლაკვასტის ხევი და ციხე, ნადკორის სიონი ისტორიულადაც დაკავშირებულია არჩილ მეფის, შუშანიკის და ჯუანშერის სახელებთან.

„ხაზართა სასძლოში“ ვ. ბარნოვი სწორედ იცავს ეპოქის გამომხატველ ცნებებსა და ტერმინებს. მაგრამ ამ მხრივაც აქვს მას ერთგვარი შეუსაბამობანი. ხაზარების ხაკანი ბეგრადგილას წოდებულია კეისრად, ხან ყვენად. კეისრად ამ დროს იწოდებოდა მხოლოდ რომის (ბიზანტიის) იმპერატორი; თანადებობანი — ჩუხჩერახი³ და მანდატურთუხუცესი უჩივევო არის ხაზართა ხაკანის კარისათვის; უხერხულია ამ ეპოქისათვის ტერმინი — ბატონიშვილი, ხაზართა ჯარის სარდალი მოხსენებული ყავს ყველგან ბღუჩანად. „ქართლის ცხოვრების“ ბროსესეულ გამოცემაში ერთგან არის ნახმარი

¹ კ. კეკელიძე — „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“, 1935 წ., გვ. 24—25.

² „ხაზართა სასძლოს“ ნაბეჭდ ტექსტში ნახსენებია ხერთვისის ერისთავი ჯუანშერი. ეს არის მხოლოდ კორექტორული ხასიათის შეცდომა, რომანის ავტოგრაფში აღნიშნულია ხერჯეთის ერისთავი.

³ ვ. ბარნოვს ამ ტერმინის ის ფორმა აქვს მიღებული, რომელიც ნახმარია „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეულ რედაქციაში და საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონში დაწვრილებით ამ ტერმინის შესახებ იხ. კ. კეკელიძის წინასიტყვაობა — „ისტორიანი და აზმანისა“, საქ. სსრ მეც. აკად. გამოც. 1941 წ., გვ. 11—16.

„ბლუჩანი“. ¹ შემდეგ ასევეა განმეორებული „ქართლის ცხოვრების“ ზ. კიკინაძისეულ გამოცემაში, ოღონდ იქ სიტყვა „ბლუჩანი“ ორჯერაა ნახმარი; ² მარიამ დედოფლისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ ყველგან აღნიშნულია „ბულჩანი“ ³; თავისთავად ეს შეცდომები იმ ხასიათის არ არის, რაც ამცირებდეს რომანის მხატვრულ, ან ისტორიულ ღირსებას.

•

„ტრფობა წამებულში“ ვ. ბარნოვი ეყრდნობა „ქართლის ცხოვრების“ და გიორგი მერჩულეს „შრომაჲ და ქოლუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ და მის თანა პრავალთა მამათა ნეტართაჲ“. ეს ორი ისტორიული წყარო განსაზღვრავს თითქმის მთლიანად რომანის ხასიათსა და შინაარსს. აშოტ კურაპალატის სახელმწიფოებრივი მოღვაწეობისა და მტრების წინააღმდეგ გამირული ბრძოლების აღწერისათვის ვ. ბარნოვი იყენებს უმთავრესად „ქართლის ცხოვრებას“, ხოლო სასიყვარულო-რომანტიკული ამბავის და გრიგოლ ხანძთელის დასახასიათებლად მერჩულეს შრომას.

„ტრფობა წამებულში“ მოქმედება ისტორიულად ცნობილ გარემოში ვითარდება. რომანი იწყება იმავე ფაქტების მხატვრული გადმოცემით, რაც მოთხრობილია „ქართლის ცხოვრებაში“. ვ. ბარნოვი მთლიანად იყენებს წყაროს ტექსტს, ოღონდ აკონკრეტებს მას დეტალებით. საქართველო არაბების ბატონობის მძიმე უღელქვეშ იყო მოქცეული. არაბები სასტიკი და დაუნდობელნი იყვნენ. მტრისაგან დამარცხებულმა ქართლის ერისთავმა აშოტ კურაპალატმა ვერ გაუძლო არაბებისაგან დევნას. ეს ისტორიული ამბავი

¹ „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამ. გვ. 184.

² „ქართლის ცხოვრება“, ზ. კიკინაძის გამ., გვ. 66—67.

³ „ქართლის ცხოვრება“, მარიამ დედოფლისეული ვარიანტი, გვ. 217.

„ქართლის ცხოვრებაში“ ასეა გადმოცემული: „და შემდგომად მისსა მოვიდა ხალილ, იზიდისძე, არაბით, დაიპყრა სომხითი, ქართლი და შრეთი. და იწყეს ძიება აშოტ კურაპალატისა და ვერ უძლო წინააღმდეგომად მათდა აშოტ და ივლტოდა, მათ-გან: და წარემართა იგი, რათა წარვიდეს საბერძნეთად და თანა ჰყვეს მას დედა და ცოლი და ორნი ძენი ასაკითა ჩჩვილნი: უხუცესი ადარნასე და შემდეგი — ბაგრატ... და ერი თვისი მცირედ ჰყვა თანა მკვიდრნი მისნი დედაწულითურთ და შვილით მათით; და მოიწინნეს მთასა ჯავახეთისასა, კიდესა დიდისა მის ტბისა ფარავნისასა, დამაშვრალნი სლვისაგან და გარდავდესგანსვენებლად კიდესამას ტბისასა: ჰამეს რა პური მცირედ, მიერულად და მძინარეთა ეწივნეს დიდნი ლაშქარნი სარკინოზთანნი; მაშინ შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა და კნინსა მას ლაშქარსა მისსა, მოსცა ძლევა მათზედა და მოსწრნეს სიმრავლენი ურაცხუნი“...¹ ქართველთა ჯარმა მოიკრიფა ძალ-ღონე და აშოტ კურაპალატის წინაშელოლობით შეებრძოლა ვიწროებში არაბთა მოთარეშე ლაშქარს. მტერი სრულიად იქნა განადგურებული. გამარჯვებული ქართველები მობრუნდნენ და გაამაგრეს ციხეები.

ამის შემდეგ აშოტ კურაპალატი გადავიდა ტაო-კლარჯეთში, გაიხადა იგი თავის მოღვაწეობის ასპარეზად. მიჰყო მან ხელი აღმშენებლობასა. გაუკაცურებული სოფლები ააშენა და სამეფო ტახტი დაიდგა არტანუჯში. აქედან იგი ძლევამოსილად ლაშქრობს არაბთა წინააღმდეგ.

ეს ვითარება „ტრფობა წამებულში“ ასეა აღწერილი:

„დარწმუნდა აშოტი ტფილისის დაბრუნება ადვილი არ იყო; ჯერ ბევრი ბრძოლა დასპირდებოდა სანამ განდევნიდა იქიდან ძლიერ მტერს, იწყო თვალთერება ადგილისა, რომელიც დროებით ენაცვლებოდა სატახტო ქალაქს, აირჩია არტანუჯი და გასცა ბრძანება აღედგინათ ვახტანგისეული სიმაგრე, გაათართოვეს ციხე. მეფემ მოისურვა გალავანშივე აეგოთ მისი სასახლე. მრავალ დარბაზებიანი იყო სასახლე. მკვიდრად ნაგები, მალლობზე იდგა ციხე, მის ქვეით გააშენა

¹ „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამ. 1849 წ. გვ. 187.

ქალაქი... ციხის ეკლესია პეტრე-პავლეს სახელზე იქნა
კურთხი“¹.

ეს ადგილი თითქმის ასევეა წარმოდგენილი „ქართლის
ცხოვრებაში“, სადაც გვითხულობთ:

„აშოტ კურაპალატმან ჰპოვა კლარჯეთის ტყეთა შინა
კლდე ერთი, რომელი პირველ ვახტანგ გორგასალს ციხედ
აღეშენა, სახელით არტანუჯი; აონრებული იყო ბაღდადე-
ლისა-მის ყრუობითგან. იგი განაახლა აშოტ, და აღაშენა აგ-
რეთვე ციხედ, და წინაყერძო მისსა, ქვეშეთ აღაშენა ქალაქი,
და ააშენა ციხე-მას შინა ეკლესია. წმინდათა მოციქულთა
პეტრესი და პავლესი და შექმნა მას შინა საფლავი თვისი“².

შემდეგ „ქართლის ცხოვრებაზედ“ დაყრდნობით „ტრფო-
ბა წამებულში“ მოთხრობილია თუ ეს გავერანგებული კუთხე
როგორ აღორძინა აშოტმა და გახადა საქართველოს მოწი-
ნავე კერად.

ისტორიული წყაროების მიხედვით აშოტ კურაპალატი
დიდებული და ძლევამოსილი მმართველი ყოფილა, მას დაუ-
პყრია თვისი ძველი სამფლობელოს — ქართლის ნაწილიც.
ეს მომენტი აქვს აღნიშნული ვ. ბარნოვსაც.

„ტრფობა წამებულში“ აღწერილ აშოტ კურაპალატისა და
შუქიას რომანტიულ-სასიყვარულო ამბავის მთელი აზრი.
ისტორია მოცემულია მერჩულეს ნაწარმოებში. მერჩულეს
აღნიშნული აქვს, რომ „აცთუნა მტერმან კელმწიფმ იგი და
მოიყვანა მან დედაკაცთა სიძვისაჲ ციხესა მას შინა, რომლი-
სა თანა იმრუშებდა“.³ ამ სტრიქონებმა მისცა ვ. ბარნოვს
საშუალება ფართოდ გაეშალა მხატვრული ფანტაზია, თავი-
სებურად გაეშუქებინა სიყვარულის საკითხი და უაღრესი
ტრაგიკული გამძაფრების ხასიათი მიეცა მისთვის.

ვ. ბარნოვი კარგად გრძნობდა, რომ აშოტისა და შუქიას
რომანტიული კოლიზია შედარებით მკრთალად გამოჩნდე-
ბოდა მის მიერ შექმნილი ისტორიული დეკორიუმის ფონზე.
ამიტომ მოკლე სქემატური ცნობა სასიყვარულო ისტორიისა

1 ვ. ბარნოვი — „სამი რომანი“, სახელგამი. 1930 წ. გვ. 376.

2 „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამ. გვ. 188.

3 ვ. მერჩულე „შრომაჲ და მოლუაწეობაჲ. გვ. 59.

მან გარდაქმნა შესანიშნავ და ნამდვილ ისტორიულ რომანად. ეს გარდაქმნა შედეგი იყო უდიდესი და ურთულესი მუშაობისა. ვ. ბარნოვმა ცალკეული ფაქტიდან, ყოფითი დეტალისაგან შექმნა მთლიანი სურათი, ფართო ეპოპეა ისტორიული ეპოქისა.

აშოტ კურაპალატის ტრაგიკულ სიკვდილზე ისტორიულ წყაროებში ვკითხულობთ, რომ იგი მოკლულ იქნა მისივე ქვეშევრდომების მიერ. ერთხელ არაბები მოულოდნელად დასცემიან აშოტს და გაუქცევიათ. იგი წავიდა თურმე ნიგალის ხევს და დაიწყო „ერის ძებნა“, რათა გაემრავლებინა ლაშქარი. ამ დროს გამოჩნდნენ ბოროტგამზრახველნი. აშოტს მათი მიზანი გვიან შეუტყვია და რადგანაც ჯარი თან არ ჰყოლია, თავი ეკლესიისათვის შეუფარებია, მაგრამ ბოროტგამზრახველნი შიგ შეჰყოლიან და მოუკლავთ საკურთხეველსა ზედა¹. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით აშოტის მკვლელნი არიან ოროზ-მოროზისძენი, რომელნიც მეგრელნი იყვნენ².

„ტრფობა წამებულში“ აშოტის მკვლელობის ისტორია მსგავსადეა აღწერილი, ოღონდ ოროზ-მოროზისძენი გადაკეთებულია „ოროზაშვილებად“ და ისინი აღიარებულნი არიან შუქიას ძმებად. სისხლის აღების წყურვილით გამსკვალულმა და ამირას ოქროებით მოსყიდულმა ეგრისელმა აზნაურებმა ოროზაშვილებმა, რომლებიც ერთ-ერთ რაზმს უძღოდნენ, მოღალატურად მოკლეს აშოტი.

„ტრფობა წამებულის“ ძირითად ნაწილში გრიგოლ ხანძთელს ეხედავთ, როგორც ერთ-ერთ მთავარ მოქმედ პირს. ამ სახელოვანი მოღვაწის სახის მხატვრული გახსნისათვის ვ: ბარნოვს უმთავრესად გამოყენებული აქვს გიორგი მერჩულეს „შრომაჲ და მოღვაწეობაჲ ღირსაჲდ ცხოვრებისაჲ წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრი-

¹ „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონიათა, ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწიენეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომელი ეამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა სუმბატ ძემან დავითისამან“ (ე. თაყაიშვილი — „სამი ისტორიული ქრონიკა“, თბილისი, 1890 წ.: გვ. 53—54, „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამ. 1849 წ. გვ. 188).

² „ქართლის ცხოვრება“, ბროსეს გამ. გვ. 188—189.

ტისაჲ ხანძთისა და შატბერდისა და აღმაშენებლისაჲ და მის-
თანა მრავალთ მამათა ნეტართაჲ.¹ თუ „ქართლის ცხოვრე-
ბიდან“ ვ. ბარნოვს გამოყენებული აქვს ამბავთა სქემა, სამა-
გიეროდ „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ მრავალი ეპი-
ზოდი შეუცვლელადაა გადატანილი რომანში.

„ტრფობა წამებულში“ გამოყვანილ მოქმედ პირთა სახე-
ლები შეტწილად ისტორიულია და „ქართლის ცხოვრებასა“
და მერჩულეს ნაწარმოებებშივეა ნახსენები, როგორც, მაგა-
ლითად: ბაგრათი, ადარნასე, გუარამ, ხალილ იზიდისძე; გაბ-
რიელ დაფანჩული, არსენ ბერი, ანასტასია ხვედიოს, საბა
იშხნელი, ებიფანე, მატოი, ზენონ, თემისტო, კრაეი და სხვ.

ამგვარად, „ტრფობა წამებულზე“ შეიძლება ითქვას,
რომ მასში მოთხრობილი ამბავის უმეტესი ნაწილი თითქმის
პერიფრაზია ისტორიული დოკუმენტებისა. ეს ის მხატვრუ-
ლი მეთოდია, რომელსაც მსოფლიო ლიტერატურაში მიმარ-
თავდა ისტორიული რომანების ავტორების უმრავლესობა.
ვალტერ სკოტი „კენილვორტის“ წინასიტყვაობაში მიუთი-
თებს, რომ მრავალი ეპიზოდი და სახელი პირდაპირ გადმოი-
ღო ინგლისელი ისტორიკოსის აშმოლის „ბერქშირის სიძვე-
ლეებიდან“ და აგრეთვე, ძველი ავტორიტეტების ნაწარმოებ-
თაგან; ასეთსავე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ლევ ტოლ-
სტოის „ომსა და მშვიდობაში“. რუსმა მკვლევარებმა დიდი
ყურადღება მიაქციეს იმის გამორკვევას, თუ რა მასალებს
ეყრდნობოდა ლევ ტოლსტოი ამ ბრწყინვალე ნაწარმოების
შექმნისას. მკვლევარებმა ზუსტად განსაზღვრეს, თუ რამდენ-
ნად ვრცლად და პირდაპირი ამონაწერებისა და პერიფრაზე-
ბის სახით იყენებდა ეს გენიოსი შემოქმედი ისტორიულ წყა-
როებს. ლევ ტოლსტოის მთელი აბზაცები აქვს გადმოტანილი
თავის რომანში ტიერის, ბოსეს, რაპის, სეგიურის, მიხაი-
ლოვსკი-დანილევსკის, ბოგდანოვიჩის, კორფის, ერმოლოვის,
დავიდოვის, გლინკას, ბესტუჟეე-რუმინის, პეროვსკის, ლიპ-

¹ ვ. მერჩულე — „შრომაჲ და მოღუაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ
წმინდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლისი არქიმანდრიტისაჲ
ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ და მისი თანა მრავალთა მამათა
ნეტართაჲ.“ ნ. მარის გამ. 1911 წ.

რანდის და სხვა ავტორთა ნაწარმოებებიდან და მოგონებებიდან¹.

მიუხედავად იმისა, რომ „ტრფობა წამებულში“ ვ. ბარნოვი უმთავრესად ეყრდნობა ისტორიულ წყაროებს, მაინც ვხვდებით მასში ერთგვარ გადახვევას დოკუმენტებისაგან. გრიგოლ ხანძთელი ბარნოვით არის „აშოტის მამის სახლში სამოწყალოდ აღზრდილი ობოლი... იგი სამადლოდ იზრდებოდა მეფისკარს, თუმცა არც თუ ძლიერ შორეული იყო ის აშოტისა: ბიძაშვილი იყო მისი, დედისძმისწული“. აქ ვ. ბარნოვი ლალატობს ისტორიას. გრიგოლი იზრდებოდა ნერსე ერისთავის სახლში, იყო მისი ცოლის ძმისშვილი. ასე რომ აშოტი უნდა ვაღიაროთ ნერსეს შვილად, რომანში კი ვ. ბარნოვი აღაარებს მას ადარჩნასეს შვილად; მეორე — აშოტი და გრიგოლი თითქოს ერთმანეთის თანაშემზრდილნი ყოფილან ბავშვობიდანვე. გიორგი მერჩულემ კი გრიგოლი აშოტს გააცნო მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი ტაო-კლარჯეთში დაემკვიდრა. აშოტი გრიგოლს გააცნო ერისთავმა გაბრიელ დაფანჩულმა;² ვ. ბარნოვის სიტყვით, გრიგოლ ხანძთელის წასვლა მისი აღმზრდელი ერისთავის ოჯახიდან ტაო-კლარჯეთში „იმ დროს მოხდა, როცა აშოტის გამჭირახმა გონებამ და მისმა მოხერხებულმა მოქმედებამ უტეხმა შეაყენეს მოზღვავებული წინსვლა მტრისა, შეაკრთეს ის, გადრიკეს და მოაქციეს იმ სიმაგრეებამდე, რომლებიც შექმნილიყვნენ იმათთვის უკანასკნელ თავშესაფარად, ერთადერთ ზღუდედ შუაგულ საქართველოში“, ე. ი. აშოტის არტანუჯში დამკვიდრების შემდეგ. ეს არაა მართალი;³ „ტრფობა წამებულში“ ნახსენებია „თავთარაფანი“, მაგრამ მეცხრე საუკუნეში არ შეიძლებოდა არსებულებოდა გეოგრაფიული სახელწოდება „თავთარაფანი“.

¹ К. Покровский—„История романа „Война и мир“, сб. „Война и мир“, изд. „Задруга“, 1912 г., В, Шкловский—„Материал и стиль в романе Льва Толстого „Война и мир“, изд. „Федерация“, Москва; З. Эйхенбаум—„Лев Толстой“, книга вторая. Гослитиздат, 1931 г. стр. 281—408.

² გ. მერჩულე — „შრომაჲ და მოღუაწებაჲ...“ გვ. იე-იზ.

³ კ. კეკელიძე — „ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა“, ნაკვეთი პირველი, გვ. 107—109.

„განგების რკალშიაც“ ვ. ბარნოვს ისტორიული ფაქტები შცირედის გამოკლებით ზუსტად აქვს გადმოცემული. მას მრავალი ისტორიული დოკუმენტი, თუ ისტორიული გამოკვლევა შეუსწავლია თავისი მნიშვნელოვანი რომანის დასაწერად. მთავარი წყარო, რომელსაც ვ. ბარნოვი ეყრდნობა, არის ა. ფურცელაძის „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს შესაერთებლად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“. ამასთან ერთად იგი იყენებს „ქართლის ცხოვრებას“, „პარიზის ქრონიკას“, არჩილ მეფის „გაბაასებას თეიმურაზისა და რუსთველისა“, იოსებ ტფილელის „დიდ მოურავიანს“, ძველ სიგელ-გუჯრებს. („საქართველოს სიძველენი“, ტომი 2), კასტელის ალბომს, ხალხურ თქმულებებსა და გადმოცემებს.

ისტორიული ფაქტების აღწერას უმეტეს შემთხვევაში ვ. ბარნოვი ა. ფურცელაძის — მონოგრაფიის მიხედვით იძლევა, ამიტომ მისთვის ლუარსაბის და — ელენე და ფერლეილა ერთი და იგივე პიროვნებაა. ეს ელენე-ლეილა მათხოვეს შაჰ-აბაზსს, თინათინი კი ლუარსაბის მეორე და იყო თითქოს; ა. ფურცელაძის ცნობით, ლუარსაბს თევზაობის დროს მოჰკლავენ შაჰ-აბაზის ბრძანებით. ასევე აქვს აღნიშნული ვ. ბარნოვსაც. სხვა ისტორიული დოკუმენტების მიხედვით კი ლუარსაბი შირაზის ციხეში მშვილდის საბლით „მოაშთევს“¹.

„განგების რკალში“ გამოყვანილი პერსონაჟების მეტი წილი ისტორიულად ცნობილი არიან. გარდა გიორგი სააკაძისა, ლუარსაბ მეფისა, მაკრინესი, შაჰ-აბაზისა, შადიმან ბარათაშვილისა, დოკუმენტებსა და ქრონიკებში დასახელებულია: ზაზა ციციშვილი, ურუმ ბენაშვილი, მათე პროველი, ნასიძე, დეკანოზი კანდელაკი, დელუ მამად შამშადელი, პაპუნა ვაშაყიშვილი, ცალქალამანიძე, ფეიქარ ზანი, ნოდარ ჯორჯაძე, დავით ჯანდიერი, თამაზ ვაჩნაძე, ნუგზარ და ზურაბ

¹ ვ. ბატონიშვილი — „საქართველოს ცხოვრება“ (1469 — 1800), მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისაგან, თბილისი, 1913 წ. გვ. 60; ფარსადან გორგიჯანიძე „ისტორია“, თბილისი, 1926 წ., გვ. 23; ბერა ეგნატაშვილი — „ახალი ქართლის ცხოვრება“, ი. ჯავახიშვილის წინასიტყვაობით და რედაქციით, თბილისი, 1940 წ., გვ. 140.

ერისთავები, შალვა ჯავახიშვილი, არაბ-ქერლე, ალი-ყული-ხანი, ბეგლარბეგი ზიადოღლი, უსუფხანი ქირმანელი, ხოსრო მირზა, ყორჩიხანი, ჩივატე და სხვ. სახელმწიფო კონფლიქტების შინაარსი, ომების ეპიზოდები, შაჰ-აბასის შემოსევა საქართველოში არ შორდება ისტორიულ ქარგას. გეოგრაფიულ სახელწოდებათა სიზუსტეც უშუალოდაა შეთანხმებული ისტორიულ ფაქტებთან; რომანში გამოყვანილი არაბული სახელებიდან აღნიშნულ უნდა იქნან გოდერძი ბურდული, მიმამსალა და თინაანთ თიკო, რომელზედაც თითქოს დაინიშნა შაჰ-აბასი.

„სიუჟეტურად „განგების რკალს“ ისტორიული ფაქტების გაგების თვალსაზრისით ზოგი თავისებურება ახასიათებს, აქედან განსაკუთრებით აღსანიშნავია: სასახლიდან წასულ მაკრინეს მონასტერში თითქოს შეეძინა ვაჟი, რომელსაც დიდებულები მოსტაცებენ და დაუღუპავენ. ეს შემთხვევა არ არის ცნობილი ისტორიულად. რომანში გამოყვანილია ლუარსაბის ორი და: ფერ-ლეილა და თინათინ. ფერ-ლეილა იკლავს თავს და სამაგიეროდ ფეიქარ-ხანს ცოლად ერგება ოსმალეთიდან მოსული თინათინი. ა. ფურცელაძის თქმით კი ლუარსაბის უფროსი და თინათინ იმყოფებოდა ტყვედ ოსმალეთში და სტამბოლს გარდაიცვალა.¹ გიორგი სააკაძის ტრაგიკული დაღუპვის მიზეზები ვ. ბარნოვს შემდეგნაირად აქვს ახსნილი: შაჰ-აბასმა რუსეთის საწინააღმდეგოდ მუსულმანური ქვეყნების ერთობა ბრძანა, სულთანის ვეზირი აზიმი შაჰ-აბასის დიდი თაყვანისმცემელი იყო, შაჰ-აბასი კი სააკაძეზე — დიდად გაგულისებული. ამიტომ აზიმი მკვლელებს მიუგზავნის სააკაძეს. ისტორიულ ძეგლებში. მართალია. სააკაძეს ვეზირის ბრძანებით კლავენ, მაგრამ ეს შური-თა და ვეზირის ცოლის შთაგონებით ხდება².

¹ ა. ფურცელაძე — „ბრძოლა საქართველოს მოსასპობად და საქართველოს გადასარჩენად, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“, თბილისი, 1911 წ.

² იოსებ ტფილელი — „დიდმოურავიანი“, სახელგამი, 1930 წ.; ფარსადან გორგიჯანიძე — „ისტორია“, თბილისი, 1936 წ.; ბერი ეგნატაშვილი — „ახალი ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1940 წ., შეად. ს. ჭიქია „ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში“ — ნ. მარის სახელობის ენის ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის შრომები“, 1943 წ., XIII, გვ. 207 — 218.

„განგების რკალის“ მიხედვით, თითქოს გიორგი სააკაძეს თავის ოჯახში ნოსტეს ესტუმრა შაჰ-აბასი, წამდვილად კი ეს ეპიზოდი წარმოადგენს გადასხვაფერებას ისტორიული ამბისა. ლუარსაბ მეფის სტუმრობისა ნოსტეს სააკაძესთან.

როგორც ხაზართა ხაჯანს — „ხაზართა სასძლოში“, ისე სპარსეთის შაჰს და რუსეთის მეფეს — „განგების რკალში“, ვ. ბარნოვი უწოდებს კეისარს. ეს რასაკვირველია შეცდომაა.

* * *

„მიმქრალ შარავანდედში“ ვ. ბარნოვს ბევრი რამ აქვს ამოღებული ისტორიიდან. ლევანი და თინათინ — ისტორიული პირები არიან. 1520 წლიდან კახეთში მეფობდა ლევანი. მისი გავლენა არ გაცვილებია კახეთის ფარგლებს. საქართველოს პოლიტიკური მთლიანობის აღდგენაზე ლევანი ნაკლებად ზრუნავდა. იმ სახელოვან ბრძოლაში, ქართლი რომ აწარმოებდა ამ დროს, კახეთი თითქმის განზე იდგა და მონაწილეობას არ იღებდა. ლევან მეფე მტკიცედ ადგა ირანისადმი მორჩილებისა და ერთგულების გზას. ამიტომ სრულიად გასაგები ხდება ვ. ბარნოვის ტენდენცია, როდესაც თინათინი გამოჰყავს საქართველოს გაერთიანების იდეის მოტრფიალედ, რამაც რომანის მიხედვით თითქოს დიდი როლი ითამაშა მისი და ლევანის განშორებაში.

თინათინ — გურიის მთავრის ასული მისთხოვდა კახეთის მეფეს ლევანს. ლევანთან მას ეყოლა ორი ვაჟი — ალექსანდრე და იესე. დოკუმენტალურად ცნობილია ლევანის და თინათინის განშორება. ამის უმთავრეს მიზეზად წყაროები ასახელებენ ლევანის რომანიულ-სასიყვარულო გატაცებებს. მართალია ისიც, რომ თინათინი წავიდა შუამთას, ალაშენა იქ მონასტერი, სადაც გაატარა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები. თინათინთან განშორების შემდეგ ლევანმა დედოფლად მოიყვანა ყარაქუმსალის შამხალის ასული.¹

¹ ვახუშტი ბატონიშვილი — „საქართველოს ცხოვრება“ (1469—1800), მეორე გამ., თბილისი, 1913 წ. გვ. 161—167; ბერი ეგნატაშვილი — „ახალი ქართლის ცხოვრება“, თბილისი, 1940 წ. გვ. 55—56.

ისტორიული პიროვნებაა მამია (პირველი) გურიელიც. იგი მთავრობდა გურიაში XVI საუკუნის პირველ ნახევარში და გარდაიცვალა 1534 წელს.

„მიმქრალ შარავანდედში“ ეპიზოდურად გამოჩნდება ქართლის მეფის ლუარსაბის სახეც. ეს იმ დროს, როდესაც სწარმოებს ბრძოლა თბილისის გასანთავისუფლებლად.

მართალია, „მიმქრალ შარავანდედის“ ძირითადი თემატიკური ხაზი სამიჯნურო-სატრფიალოა თავისი ტრაგიკული დასასრულით, მაგრამ ყველაფერი ეს მოთავსებულია ისტორიულ ჩარჩოში. როგორც ვ. ბარნოვის ყველა რომანში, ისე, კერძოდ, „მიმქრალ შარავანდედში“ ისტორიული მანა-ლა მთავარი კონსტიტუტური ელემენტია, მაგრამ ამავე დროს რომანის თვალსაჩინო ნაწილი მხატვრული გამოგონებებს ნაყოფია. ეს უკანასკნელი ორგანიულად არის დაკავშირებული ისტორიულ მოვლენებთან და ისტორიულ პერსონაჟებთან. „პატარა გმირები“ (არა ისტორიული) ავსებენ იმ გმირების მოქმედებას, რომლებიც ისტორიულად ცნობილი არიან. „პატარა გმირების“ (ნოშრევანი, გულქა, კოწია და სხვ.) ისტორია არის რგოლი, რომლის გარეშეც რომანის ძაფიც გაწყდებოდა. მაგრამ ეს არაისტორიული პერსონაჟები მხოლოდ დამატებანი არიან, ისტორიის დიდი მოვლენები და ადამიანები კი მეტწილად მოცემული არიან როგორც მთავარი ნასიათები, გამოგონილი გმირები მხოლოდ გვეხმარებიან ისტორიული მოვლენების გაგებაში, ისინი არ ფარავენ ძირითად მოვლენებს. სწორედ ამ გზით აღწევს ვ. ბარნოვი მთლიანობას, ორგანულობას. მის ისტორიულ რომანებში თითქმის ყოველთვის ერთი მოვლენა უკავშირდება მეორეს, ერთი ფაქტიდან ყოველთვის გამომდინარეობს მეორე ფაქტი. ეს, რასაკვირველია, მწერლის დიდი ღირსებაა. ასე რომ არ იყოს, შაშინ ჩვენ გვექნებოდა არა რომანი, არამედ უბრალო ქრონიკების კრებული, რომლებშიაც ისტორიული სინამდვილე სათანადო მხატვრული ეფექტიანობით ვერ იქნებოდა გადმოცემული.

ვ. ბარნოვის რომანებში ისტორიულ მასალას ავსებს ხალხური შემოქმედების ნიმუშები. მის ყოველ ნაწარმოებში („არმაზის მსხვერვეა“, „განგების რკალში“, „ტრფობა წამებული“, „პირიმზე“ და სხვ.) მკითხველი შეხვდება ლექსებსა და პროზაულ სტრიქონებს, რომლებიც შექმნილია ხალხის მიერ („ლაზარ მოდგა კარსა“, „იციან გულდამაყრელთა შორით მოქნევა ხმლისაო“, „გაილო თეთრი კლდე“ და სხვ.). ხალხური შემოქმედებიდან ამოღებული ლექსები ორგანიულად ჩართულია რომანების ტექსტში და სავსებით უკავშირდება ნაწარმოების სიუჟეტურ განვითარებასა და იდეას. ვ. ბარნოვის აგრეთვე ჭარბად შეაქვს თავის ნაწარმოებებში ხალხური ბრძნული თქმები და აფორიზმები. ამის ნიმუშებს შევხვდებით მის ყოველ რომანში. ასეთი თქმების ნიმუშებია: „ზურგწამხდარი ცხენი ცაში კაპკაქს დაინახავს“, „გველი გარედან არის ჭრელი, კაცი შიგნიდან“, „წასვლა სჯობს წამაველისა, არ დაყოვნება ხანისა“, „სხვა სხვის ომში ბრძენია“, „მგელს მგელი ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგლო“, „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს“ და სხვ.

ვ. ბარნოვი თავის რომანებში მრავალ გვერდს უძღვნის ისტორიული ადგილების უშუალო აღწერას. გარდა იმისა, რომ იმ გეოგრაფიულ ადგილებს, ზაც დასახელებულია, და სადაც სწარმოებს მოქმედება რომანებში, ვ. ბარნოვი უშუალოდ იცნობდა, მას მთავარ სახელმძღვანელოდ ჰქონდა ვახუშტი ბატონიშვილის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“. ამ წიგნიდან მას ზუსტად აქვს გადმოტანილი სოფლებისა, მთებისა და სხვა ადგილების სახელები და აღწერები. ვ. ბარნოვის გეოგრაფიულ გარემოთა აღსაწერად გამოუყენებია აგრეთვე: Д. Бакрадзе — „Кавказ в древних памятниках христианства“ П. Иоселиани — „Города существовавшие и существующие в Грузии“, მისივე — „Описание древностей г. Тифлиса“, Э. Такайшвили „Археологические экскурсии, разыскания и заметки“, Кирион — „Старая Шуамта“ და სხვ. გეოგრაფიული ადგილების სიზუსტით და სწორად აღწერას ვ. ბარნოვი თავის ყოველ ნაწარმოებში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

ვ. ბარნოვი დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა რომანისათუ მოთხრობის სათაურს. სათაურს რაც შეიძლება სრულად უნდა გამოეხატა ნაწარმოების შინაარსი. ზოგიერთ ნაწარმოებს იგი რამდენჯერმე უცვლიდა სათაურს. „მიმქრალ შარავანდელს“ თავდაპირველად ერქვა „ოქროს შვინდი“, „ტრფობა წამებულს“ — „წამება აშოტისა“; „თამარ მრწემის“ პირველი სათაური ყოფილა „მხეცქმნილი“.



მხატვრული ნაწარმოები სინამდვილეს ასახავს უმთავრესად ადამიანებით, ხასიათებით. „ხასიათი ჰეშმარიტად მთავარია ხელოვნებაში... ხასიათის გარეშე არ ვლინდება არავითარი ინდივიდუალობა“, — ამბობს ჰეგელი.¹ ამიტომ ხასიათის და გმირის პრობლემა ისტორიული რომანის ესთეტიკის ერთ-ერთი ძირითადი მომენტია.

ისტორიული პიროვნების ხასიათის დახატვა მეტად რთული პრობლემაა, რომელიც ადვილი გადასაწყვეტი როდია თვით დიდი მწერლებისათვისაც კი. ლევ ტოლსტოი „ომი და მშვიდობაზე“ მუშაობის დროს 1866 წელს, თავის მეგობარ პოეტს ფეტს წერდა: „ხასიათების და მოფიქრების გარდა, მე მაქვს კიდევ მოფიქრება ისტორიული, რაც მეტისმეტად ართულებს ჩვენს მუშაობას და რასაც, როგორც ჩანს, ისე ვერ ვართმევ თავს; როგორც საჭიროა. ამის გამო იყო, რომ პირველ ნაწილში ხელი მოვკიდე ისტორიულ მხარეს, ხასიათი კი დგას და არ იძვრის. ეს არის ნაკლი, რომელიც ნათლად შემაცნობინა თქვენმა წერილმა და რომელიც ვფიქრობ — გამოვასწორე“.² სწორი პროპორციები ისტორიულ სინამდვილისა და პერსონაჟის ხასიათს შორის, ისტორიული სინამდვილის ისე გახსნა, რომ პერსონაჟი არ იდგეს ერთადგილას, არამედ მოძრაობდეს, ვითარდებოდეს, და თანაც

¹ Vorlesungen über die Aesthetik, 1927, I, გვ. 31

² Л. Толстой—„Полное собрание сочинений“, под редакцией П. Бирюкова, 1913 г. т. XXI გვ. 182.

ემთხვეოდეს ისტორიას, — ყველაფერი ეს მეტად ძნელი და პასუხსააგები ამოცანაა ყოველი ისტორიული რომანის ავტორისათვის.

ვ. ბარნოვი ოსტატია ხასიათების დახატვაში. აშოტ კურაპალატი, გრიგოლ ხანძთელი, გურანდუხტ, თინათინ, ნოზრევანი, ხვარამზე, ამზაილი, თებრონია, შუქია, ბაკურ ათაბაგი, გოდერძი ბურდული, საამ გოსტაშაბიშვილი და სხვები, გამოკვეთილი და ჩამოყალიბებული ხასიათებია. ისინი მთელი ნაწარმოების მანძილზე მოქმედებენ, ვითარდებიან, ჰქნნიან კოლიზიებს და ყოველ ეპიზოდში თავიანთი ადამიანური „მეობის“ ახალ მხარესა და თვისებას ამჟღავნებენ. „პერსონაჟები დასაწერის მოთხოვნისა თუ რომანისა ნათლად მიდგია თვალწინ, თითქოს სარკეში ვიყურები და ყველაფერს აშკარად ვხედავ“, — ამბობს ვ. ბარნოვი.¹ დიახ, წარსული ცხოვრების სარკეში ხედავდა იგი უკვდავ სახეებს — აშოტ კურაპალატისა, გრიგოლ ხანძთელისა, თამარ მეფისა, გიორგი სააკაძისა, თინათინ გურიელისა და სხვებისას. გრ. ყიფშიძესთან საუბარში ვ. ბარნოვს უთქვამს: „სურათები თვალწინ მიდგას, პერსონაჟებს ისე შეეყურებ, თითქოს სცენაზე დადიან და ვხედავ, ვინ რა უნდა მოიმოქმედოს, ვინ რა ხასიათის და ბუნებისაა“.² პერსონაჟის ყოველი მოქმედება და განწყობილება, შინაგანი მღელვარება და გულის ოდნავი გაბრძოლებაც კი არ გამოეპარება ვ. ბარნოვს, და იგი კალმის ერთი მოსმით აქანდაკებს დაუვიწყარ სახეებს.

ვ. ბარნოვის რომანებში უშუალოდ ერწყმის ერთმანეთს საკუთრივ — ისტორიული და კერძოდ — ყოფილი პლანი. მათ შორის არ არსებობს დაშორება. განხეთქილება. ვ. ბარნოვი აფართოებს კერძო ადამიანების ცხოვრებას და თავის გმირებს უკავშირებს ფართო ისტორიულ მოვლენებსა და შემთხვევებს. ამის შედეგად ადამიანის პირადი ბედი უშუალოდ დაკავშირებულია ხალხის ისტორიულ ყოფასთან, მის მდგომარეობასა და არსებასთან.

¹ ვ. ბარნოვი — „თხზულებანი“. წერ. კითხ. ვამ. საზ. თბილისი, 1920 წ. ტ. I, გვ. XVI.

² იქვე. გვ. 15.

ცნობილია, რომ სასიყვარულო-რომანტიული ინტრიგების მატარებელ პიროვნებად ვალტერ სკოტს ყოველთვის გამოჰყავს გამოგონილი პერსონაჟები, რომლებიც სიუჟეტურად დაკავშირებულნი არიან ისტორიულ მოვლენებთან და პოლიტიკურ მოღვაწეებთან. ეს გარემოება, რასაკვირველია, იწვევს ინტერესის გაორებას. ვ. ბარნოვი მოვლენების ჩვენებისას მიჰყვება იმ გზას, რომელიც მოცემულია ალფრედ დე ვინის „სენ-მარში“, და, საერთოდ, ფრანგი ისტორიული რომანების ავტორების უმეტესობის ნაწარმოებებში, სადაც სასიყვარულო ინტრიგები, დაკავშირებულია ისტორიულ პირობებთან.

ვ. ბარნოვის რომანებში ისტორიული მოვლენები წარმოდგენილია ადამიანთა ისტორიაში, მათ ქცევაში. ვ. ბარნოვი წარსულში ეძებს ადამიანს, მის ძლიერ ვნებებსა და მხატვრულ სახეებში წარმოგვიდგენს ბრძოლას, კოლიზიებს. მას უყვარს პიროვნება, როგორც დიდი დრამატიზმის დამტვეი არსება. მისთვის ისტორია არის უმთავრესად ფსიქოლოგიური პრობლემა. მართალია, პერსონაჟების ერთ ნაწილზე მწერალი დაწვრილებით მოგვითხრობს მათი სიუჟეტური ფუნქციის მიხედვით. სხვებზე შედარებით ნაკლებს მსჯელობს, მაგრამ თხრობის მიმდინარეობაში ამ უკანასკნელთა როლიც ბოლომდე და თვალნათლივ გახსნილია. ვ. ბარნოვის რომანებში არ არიან „დაკარგული“ ან „დავიწყებული“ პერსონაჟები, როგორც ეს გვხვდება ბევრი დახელოვნებული მწერლის ნაწარმოებებშიც კი.

ვ. ბარნოვი აკვირებს მკითხველს ადამიანური ხასიათების სრულყოფილი გამოხატვით. მისი გმირები მკითხველის წინაშე წარმოდგებიან დამახასიათებელი ინდივიდუალური ნიშნებით — საუბრით, მოქმედებით, მანერებით, გარეგნობით, ტანსაცმელით, იარაღით და სხვ. იგი ჰქმნის რთულ ხასიათს. ამ მხრივ მეტად დამახასიათებელ დეტალს გადმოგვცემს გრ. ყიფშიძე. „ტრფობა წამებულის“ პირველად გამოქვეყნების თაობაზე იგი წერს: „როდესაც ავტორმა რომანში, მიაღწია კრიტიკულ მომენტებს, ვკითხე: „აჰა, ახლასაქმე, ორი ბუმბერაზი აშოტ დიდი და არა ნაკლებ დიდი და დიდბუნოვანი გრიგოლ ხანძთელი ერთმანეთს უნდა შეეჯახნენ და როგორ გაიტან-მეთქი თავს ამ ვიწროებში, ან, რას.

მოუხერხებ იმ გარემოებას, რომ ორივე ძლიერი და ორივე ერთნაირად კანონიერი და ბუნებრივი გრძნობა... ერთმანეთს უპირისპირდება რომანში და რომელს მხარეზე უნდა დადგე-მეთქი“. ვ. ბარნოემა პასუხად დაახლოებით ასე თქვა: „ეგ მე არ მაფიქრებს, არც მაშინებს, ჩემი სარკე მეტყუის როგორ უნდა მოიქცეს ან ერთი, ან მეორე. ამ ორი გრძნობის ჭი-დილში კი, რასაკვირველია, ერთ-ერთი გაიმარჯვებს და ეს გამარჯვება იქნება სრულიად ბუნებრივი, ბუნების კანონი-ვით აუცილებელი. მე თვითონ კერძოდ მონაწილეობას არ ვიღებ ამ ბრძოლა-ჭიდილში, ჩემი ვალია ის დავხატო, რასაც ვხედავ ჩემის გონების თვალთ, რასაც სარკე მიჩვენებს. მე იქნებ სხვაფორივაც მინდოდეს მიემართო გმირთა მოქმედება, საქციელი, სიტყვა-პასუხი, მაგრამ ჩემი საკუთარი ნდობა და სურვილი აქ არაფერ შუაშია. იქ ის უნდა ითქვას და იქმნას, რაც სათქმელია და სათქმელი გარდუევალის კანონის ძა-ლით“¹. მართალია, ამ სიტყვებით ყოველივე ნათლად და დამაჯერებლად არ აქვს მწერალს გამოთქმული, მაგრამ მი-უხედავად ამისა, იგი ერთგვარად მაინც გვირკვევს თავისი შემოქმედებითი მუშაობის მეთოდის ზოგიერთ მომენტს, რომლის მიხედვითაც იგი აყალიბებს თავის ნაწარმოებებში გმირებს, ხასიათებს.

ერთი და იგივე ხასიათი, ისევე, როგორც სიუჟეტური სქემა, ხშირად მეორდება ვ. ბარნოეის რომანებში. ეს გარე-მოება მისი შემოქმედების სერიოზული სუსტი მხარეა. ამ-ზაილი („არმაზის მსხვერვეა“). ფარსმან გოდერძიანი („ხა-ზართა სასძლო“), გარდან („თამარ მრწემი“), ფარნაოზ („სა-ხიფათო სიყვარული“), ზურაბ ქოლრათაშვილი („ნათელმო-სილნი“), ბაკურ ათაბაგი („დედოფალი ბიზანტიისა“), ნოზ-რევან („მომქრალი შარავანდედი“), გოდერძი ბურღული („განგების რკალში“) საამ გოსტაშაბიშვილი („ისნის ცის-კარში“). დიდად მსგავსი ხასიათებია, რომელთაც ძირითადად ერთნაირი თვისებები გააჩნიათ, ერთნაირ სიტუაციაში არიან მოქცეულნი, ყველანი სრულად გამოხატავენ რაინდის კე-თილშობილურ თვისებებს, ვაჟკაცობას, თავდადებას, სატრ-

¹ ვ. ბარნოე — „თხზულებანი“, წერ. კთხ. გამ. საზ. 1920 წ. ტ. I, გვ. XVI — XVIII.

ფოსა და სამშობლოსადმი განუსაზღვრელ სიყვარულს, ბევრს სასახელო საქმეებსაც აკეთებენ და საჭირო შემთხვევაში სიცოცხლესაც კი გასწირავენ ხოლმე. ისინი არსებითად განასახიერებენ „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ გმირებს. შეიძლება ითქვას, რომ მათი ხასიათისა და გარეგნობის ჩამოყალიბებისას ვ. ბარნოვს უთუოდ წინ ედგა ტარიელისა და ავთანდილის დიადი, უკვდავი სახეები; ასევე, თინათინისა და ნესტან-დარეჯანისაგან მომდინარეობს ვ. ბარნოვის ქალთა სახეებიც: ნათუთა („დედოფალი ბიზანტიისა“), ხვარამზე („არმაზის მსხვერვა“), თინანო („ისნის ცისკარი“), თამარ („თამარ მრწემი“). ქალ-ვაჟთა სამიჯნურო ურთიერთობა ძლიერ ემსგავსება „ვეფხისტყაოსნის“ მხატვრულ სურათებს. მწერალს თავისი ისტორიული რომანების შექმნისას თითქოს ყოველთვის მხედველობაში აქვს რუსთაველის პოემის გმირები, მათი თავგადასავალი, მოქმედება, შეხვედრები და დიალოგები. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია „არმაზის მსხვერვა“, „დედოფალი ბიზანტიისა“, „განგების რკალი“, „მიმქრალი შარავანდედი“ და „ისნის ცისკარი“. „მიმქრალ შარავანდედში“ ბრძოლა თბილისის განთავისუფლებისათვის, ნოშრევანის მოქმედება და გმირული ბრძოლა. გვაგონებს „ვეფხისტყაოსნის“ იმ ადგილებს, სადაც საუბარია ქაჯეთის ციხის აღებაზე. „არმაზის მსხვერვაშიც“ ბევრია ისეთი დეტალი, თუ ეპიზოდი, რომელიც პირდაპირ იმეორებს „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ სიტუაციებს. საკმარისია მოვიგონოთ, ერთის მხრით, ამზაილისა და მირიანის ასულის ხვარამზეს მიჯნურობა და ამ მიჯნურობის გარშემო გაშლილი პერიპეტიები და მეორეს მხრივ, ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ-ნესტან-დარეჯანის სამიჯნურო ურთიერთობა.

„არმაზის მსხვერვის“ მთავარი პერსონაჟი — ამზაილი მირიანის ოჯახს შეზრდილია. მეფე-დედოფალი მას შვილივით უყურებენ. იგი მეტად მოხდენილი და სწორუბოვარი გმირი-რაინდია, სამეფო ჯარის მწედართმთავარი. მას შეჰყვარებია მირიანის ასული ხვარამზე, მასზე ოცნებობს მუდამ. ხვარამზეც გულშიაც სიყვარულის კოცონი ანთია, მაგრამ შეყვარებულნი დიდხანს ვერ ანერხებენ, რომ გამოუტყდნენ ერთმანეთს სიყვარულში. მალე ამისი საბაბიც მიეცათ მათ. ამზაილი ბაქარს მიჰყვება სწომრად, ეთხოვება დედო-

ფალსა და ხვარამზეს. ამზაილმა შეხედა ქალს და მოახსენა: „შენი ნაქონი რამ ნივთი მფარველ ხატად მომეველინება იმ განსაცდელში“. ქალმა გაუღიმა ამ თქმანზედ. შეიხსნა მელანდი. „ჩემს სახსოვრად გქონდეს ესა, დედასთან ერთად გლოცავ, მოგენიჭოთ გამარჯვება თქვენ და ჩვენს ლაშქარს“. ამზაილი გამარჯვებული ბრუნდება. ამ გარემოებამ ქალის გული უფრო მოაჯადოვა; უცხოელ მეფეთა შვილები თხოულობენ ხვარამზეს ხელს, კერძოდ წერილი გამოუგზავნია ხატაველთა მეფეს, ქალს სთხოვს მირიანს თვის შვილისათვის, თვით გაახლებათ მალე პირადათო. გაიგო ეს თუ არა, ხვარამზემ არ სურს გაჰყვეს უცხოელს. შეწუხებულმა ხვარამზემ დაუძახა მოხუცებულ შიმუნვარს, გაუმჟღავნა თავისი გულისტკივილი და უბრძანა დაუყოვნებლივ მოეყვანა მასთან ამზაილი. იმასაც უნდა შენთან მოსვლაო, — ეუბნება შიმუნვარი ხვარამზეს. გამიჯნურებული ამზაილი, როგორც გიყი ისე დადის განმარტოებული, არავითარ ხალისს არ იჩენს, გადასცეს მას ხვარამზეს წერილი, რომელშიაც ეწერა: „მიახელ- ეხლავეო“. ამზაილი მაშინვე გაემართა სასახლისაკენ, ეახლა ქალს, ეთაყვანა. ხვარამზე ტახტზე იჯდა, ანიშნა ამზაილს მის გვერდით დამჯდარიყო. „ვიცი, გიყვარვარ, — მიმართავს ხვარამზე ამზაილს, — ამისრულე სათხოვარი, სარძლოდ უნდივარ ხატაველთა მეფეს, მაგრამ მას ვერ გავყვები. დამიმტკიცე სიყვარული“. ამზაილი მზადაა სატრფოს სურვილები შეასრულოს, თუნდ ეს მოითხოვდეს სიცოცხლის განწირვასაც. შემდეგში ამზაილმა საარაკო გმირობა გამოიჩინა — დაამარცხა გოლიათი რაინდი — თურანელი. ამ გამარჯვებამ კიდევ უფრო ასახელა იგი. ხვარამზემ კვლავ იხმო ამზაილი თავისთან. „შევლო ოთახში. ქალთა მზე თვით მოეგება, გადაეხვია... იალერსეს, იმხიარულეს, მრავალი სთქვეს უხმოდ. უსიტყვოდ...“ საბოლოოდ შეკფიცეს ერთმანეთს სიყვარული. „მომეცი ფიცი, არ გაჰყვები სხვას. არც ხელმწიფეს“. „გითხარ, მიყვარხარ, სიცოცხლე ჩემი შენი სიცოცხლე, ქვეყანა შენი ჩემი ქვეყანა, ღმერთები შენი ჩემი ღმერთები“. უდავოა, რომ ეს ამბავი მოტანილ ეპიზოდებში დიდად ემსგავსება ავთანდილ-თინათინისა და ტარიელ-ნესტან-დარეჯანის სამიჯნურო ისტორიას.

ცალკეული მხატვრული სურათების გადმოცემისას ვ-

ბარნოვი განიცდის „ამიკან დარეჯანიანის“ გავლენასაც. ასეთია „არმზის მსხვერველი“ და „განგების რკალში“ ბუმბერაზთა შეტაკება იარაღით ძალ-ღონის და ვაჟაკობის ჩვენების მიზნით; ამავე წყაროდან მომდინარე ეპიზოდი გვაქვს „ტრფობა წამებულში“. ეს არის ბრძოლის ასპარეზზე შეხვედრა ცნობილი რაინდის გობრონ ხერთვისელისა და incognito-დ გამოჩენილის ქაბუკ აშოტ კურაპალატისა; ეს უკანასკნელი ეპიზოდი მოგვაგონებს აგრეთვე ვალტერ სკოტის „აივენგოში“ მოთხრობილ ეპიზოდს, როდესაც რიჩარდ ლომგული incognito-დ დაბრუნდება ინგლისში, გამოდის რაინდთა შეჯიბრებაზე მოგონილი გვარით და ნიღაბით, და მრავალ სახელოვან ვაჟაკს დაამარცხებს.

ვ. ბარნოვის შემოქმედებითი მეთოდისათვის დამახასიათებელი არის ის, რომ იგი მხატვრულ განზოგადებას აკეთებს უმთავრესად ადამიანთა შინაგანი, სულიერი ცხოვრების საფუძველზე, დამაჯერებლად ხსნის მათი ქცევის მოტივებს. ვ. ბარნოვის მიერ წარმოდგენილი ხასიათები, გმირები უმეტეს შემთხვევაში მკვეთრად უპირისპირდებიან ერთმანეთს და მათი შეჯახება ჰქმნის კოლიზიებს. კონტრასტული სახეებია: აშოტ კურაპალატი და გრიგოლ ხანძთელი, გურანდუხტ და შუქია, ზურამ კოლრათაშვილი და დიმიტრი ბატონიშვილი, მარიამ და ტასიკო, გიორგი სააკაძე და შადიმან ბატონაშვილი და სხვ. მათი ინტერესების შეჯახების საფუძველზე ისტორიულ მოვლენებთან დაკავშირებით ყოველთვის უქმნება გამძაფრებული დრამატიზმის შემცველი კოლიზიები.

სალიტერატურო კრიტიკაში გამოითქვა მოსაზრება, თითქოს ვ. ბარნოვი თავის გმირებს ხატავს „ფრესკული მხატვრული მანერით“.¹ ეს მოსაზრება მთლიანად არ შეიძლება გავრცელებული იქნას ვ. ბარნოვის შემოქმედებაზე და კერძოდ, ისტორიულ რომანებზე. ქალთა სახეების (ხვარაშზე, შუქია, მაკრინე, თინანო და სხვ.) ასახვისან მწერალი მართლაც მიმართავს „ფრესკულ მხატვრულ მანერას“, სამაგიეროდ არაფრით არ უღგება ეს პრინციპი ისეთ პერსონაჟებს,

¹ ვ. ბარნოვი — „ფერად-ფერადი“, გამ. „ფედერაცია“, 1934 წ. სიმ. ჩიქოვანის წერილი, გვ. VII.

როგორცაა გიორგი სააკაძე, შადიმან ბარათაშვილი, საამ გოსტაშაბიშვილი და სხვ. პერსონაჟების ხასიათები ვ. ბარნოვის რომანებში ყოველთვის ინსნება ფარული შინაგანი დრამით და არა აღწერთა და გარეგანი სურათების ჩვენებით. მთავარი პერსონაჟები სრულყოფილად ამჟღავნებენ თავიანთ ხასიათს და ამავე დროს გვეხმარებიან გავიგოთ მეორე ხარისხოვანი პერსონაჟების ხასიათებიც. მისი ისტორიული გმირები არ არიან განყენებული იდების გამოხატულებანი, არამედ განახორციელებენ ცოცხალ, რეალურ ხასიათებს.

ზოგჯერ იქმნება ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ვ. ბარნოვი ადამიანებს მოსავეს გადაჭარბებით გამოხატული და გამომჟღავნებული მგრძობელობით და ვნებიანობით, ვიდრე ეს შესაძლებელი იყო სინამდვილეში, მაგრამ მის მიერ ასახული ადამიანთა მოქმედების შინაარსი, აზრი ყოველთვის მართალია საზოგადოებრივი და ისტორიული თვალსაზრისით: ასევე ხშირად ხატავს იგი მონომანებს, ერთი ვნების ადამიანებს, მაგრამ მისი პერსონაჟების მეტწილზე მაინც ვერ ვიტყვით რომ ისინი, როგორც ხასიათები იყვნენ ყალბი, ნაძალადევი. მწერალი იმდენად აძლიერებს თავისი გმირის თვისებებს, რელიეფურობას, რამდენადაც ეს აუცილებელია ხასიათის გასაგებად. ვ. ბარნოვი პერსონაჟის ყოველ აზრსა და გრძობას აძლევს იმ დროის ტემპს, კოლორიტს, ნიშნებს, რომელშიაც სწარმოებს მოქმედება.

ვ. ბარნოვი თავისუფლად და ბუნებრივად გადადის ისტორიული თხრობიდან, რაც უპირატესად სიზუსტით არის შესრულებული, ღრმა ფილოსოფიურ განზოგადებამდე და გმირთა ქცევისა და განცდების ფსიქოლოგიურ ანალიზამდე. მისი ისტორიული პროზის ძირითადი სტრუქტურული პრინციპებია — მკვეთრად გამოხატული დრამატიულობა; შეერთებული ფილოსოფიურ პრობლემურობასთან. ვ. ბარნოვის მეტ წილ რომანებში მრავალრიცხოვან ვარიაციებად განვითარებულია ერთ და იმავე გვარის სქემა და მდგომარეობა. ეს მხატვრული პრინციპი მომდინარეობს ვალტერ სკოტიდან. ვ. ბარნოვის რომანებში ერთგვარ სქემას და მდგომარეობას უმთავრესად ქმნიან სატრფიალო ამბები.

ვ. ბარნოვის ლირსებას, როგორც ისტორიული რომანების ავტორისა — აღწერის ოსტატობაა. იგი ეპოქის აღდგენისა და პერსონაჟის დახასიათებისათვის არჩევს და გვიჩვენებს მხოლოდ აუცილებელ დეტალებს. ლაკონიურია ვ. ბარნოვის ნაწარმოებთა გმირების პორტრეტებიც. მაგრამ იგი მისწრაფვის გარეგნობაში, პორტრეტებში გვიჩვენოს შინაგანი, წარმოგვიდგინოს გმირის დრამატული მდგომარეობა, განწყობილება. ტონუსი. იგი შესაფერისად იცნობს იმ გარემოს, რომელსაც აღწერს. შორეულ ეპოქებს, ყოფას, მოვლენებს იგი აგვიწერს იშვიათი სურათოვნებით. ისტორიული კოლორიტი ყოველთვის გადმოცემულია ნისრულით. ძველი ეპოქის სულიერი და მატერიალური კულტურის ზედმიწევნით ცოდნით. ძველი ეპოქის ადამიანთა ფსიქოლოგიურ სამყაროში შესვლით ვ. ბარნოვი იძლევა ისტორიული ყოფის სულს. ამ მხრივ მან გვასწავლა წარსულის წარმოდგენა თითქმის ხელშესახები კონკრეტულობით.

„სიძველის აღდგენის“ მეთოდი ვ. ბარნოვს ძალზე რთული აქვს. იგი იტევს არა მარტო ისტორიკოსისა, არამედ აგრეთვე ეთნოგრაფისა, არქეოლოგისა, ზნე-ჩვეულების და ფსიქოლოგიის მკვლევარის მუშაობას; მან კარგად იცის წარსულის ისტორიული დეტალები. თავისი გმირების პირით ვ. ბარნოვი ყოველთვის ხმარობს ტიპიურ ძველ გამოთქმებს.

ვ. ბარნოვი მრავალ გვერდს უთმობს ისტორიულ-გეოგრაფიული გარემოს აღწერას (ბუნება, ციხე-კოშკი, ტანსაცმელი, იარაღი და სხვ.). ვ. ბარნოვი მძაფრ ბრძოლას აწარმოებს ზუსტად შესწავლილ არქეოლოგიურ დეტალებთან, ცდილობს დაუმორჩილოს ისინი მთლიან პოეტურ იდეას, რათა შექმნას დასრულებული მხატვრული სახე ძველი ცხოვრებისა. მთელი ამ კომპლექსით იგი გვიჩვენებს ძველი ყოფის დამახასიათებელ მოვლენებს და ამით მას შევყავართ „ეპოქის სულში“.

ვ. ბარნოვი ხშირად ერთი წინადადებით მთელ ამბავს გვაუწყებს, რის გამოც თხრობა მრავალფეროვნად იშლება; რომელიმე ეპიზოდი, ან სახე ნაჩვენებია ერთი, ან ორი წინადადებით, მაგრამ ისე დროულად და ოსტატურად, რომ მკითხველის ცნობიერებაში იქმნება სრული შთაბეჭდილება

ასახული ვითარებისა. მაგალითისათვის სურათი რომეღთა-
გამოლაშქრებისა შაჰ-შაბურის წინააღმდეგ: „მოიგრაგნებო-
და რომეღთა ძალა, ფეხთა მტვერი ღრუბლად მოსჩანდა“...
(„არმაზის მსხვერვეა“). მხოლოდ ორიოდ სიტყვით გაშალა
მწერალმა ბიზანტიელთა მოსვლის ამბავი, თუმც ჩვენს წინა-
შე აისახა გრანდიოზული პანო მრისხანე დამპყრობელთა და-
უნდობელი შემოსევისა. კიდევ ერთი მაგალითი ამ ხასიათი-
სავე: როცა ამზაილი დაჭრილი დაასვენეს მის სამყოფელოში,
სანახავად მოვიდნენ დედოფალი ნანა და ხვარამზე. ამ უკა-
ნასკნელის მოსვლამ ამზაილს დაავიწყა ძნელად ასატანი ჭრი-
ლობა: „ვეღარ გრძნობდა ვერაფერს ტკივილს. მზად იყო
მოეაღერსნა ჭრილობისათვის: მან გააბედნიერა იგი, თავის
ფეხით მოიყვანა მის ოჯახში მისი მზეთამზე“ („არმაზის
მსხვერვეა“). ამ ორიოდ სტრიქონით იგრძნობა განუსაზ-
ღვრელი ტრფიალება და სიყვარული ამზაილისა ხვარამზე-
სადმი. მსგავსი მაგალითები ბევრია არა მარტო „არმაზის
მსხვერვეაში“, არამედ ვ. ბარნოვის ყოველ მხატვრულ ნაწარ-
მოებში; ასეთივე დიდი აზრი აქვს მინიჭებული ვ. ბარნოვის
რომანებში მხატვრულ დეტალებსაც. გავიხსენოთ სცენა
„მიმქრალი შარავანდედიდან“, როდესაც მამია გურიელის
მეჭინიბე ცხენის ავეანდს უხერხულად დაუჭერს. მრისხანე
თავადი მაშინ არას ეტყვის მსახურს. გავა დრო და მთლიანად
გაიხსნება ეს შემთხვევა, გურიელი გასაყიდად გზავნის
ტყვეებს და ამის გამო მიმართავს იგი თავის საზღოუხუცესს:
„ჩაპგვარე ის ხუთი ტყვე სოვდაგარს! ე. მეჭინიბეც გააყოლე
თან!“ სახლოუხუცესმა ბორკალებით შებოჭილ ხუთ ტყვეს
მეჭინიბეც თან წაუმატა ნაყიდი მხვეალის საფასში.

ვ. ბარნოვთან დიალოგი ასრულებს მნიშვნელოვან როლს,
ისე არსად არ ირკვევა პერსონაჟის ხასიათი. როგორც დია-
ლოგში, რადგან მოდილოგე მოქმედ პირთა — ყველას თავის
საკუთარი. თავისებური სიტყვა-პასუხი აქვს და თავისებური
გარეგანი მოქმედებით (სახის გამოწევა, სხეულის
მოძრაობა და სხვ.) ამჟღავნებენ თავიანთ ხასიათს. ვ. ბარნო-
ვის რომანებში დიალოგი ხატავს მოსაუბრე პირს, მის მანერ-
ებს, ხასიათს, ინდივიდუალობას. ვ. ბარნოვის თითოეული
პერსონაჟი ლაპარაკობს საკუთარი ენით. ხშირად ვ. ბარნოვი

აქტიურად ერევა თბრობის განვითარებაში, ურთავს თავის თავთან, ან თავის გმირთან დამახასიათებელ დიალოგს. ეს დიალოგი აცხოველებს თბრობის მიმდინარეობას.

ვ. ბარნოვი კომპოზიციის ოსტატია. მისი ეს ოსტატობა ნათლად მოჩანს ყოველ მის ნაწარმოებში. მას აქვს თბრობის ნიჭი და მდიდარი ფანტაზია, უნარი დახატოს კოლორიტული სურათები, აღწეროს ბუნების თვალწარმტაცი სურათები. ცალკეული ტიპები ასახულია საუცხოოდ, განსაკუთრებთ გარგნული სილამაზის მხრით. ამა თუ იმ გამოგონილი პერსონაჟის გამოჩენა რომანში ყოველთვის დასაბუთებულია ფაბულის განვითარების აუცილებლობით: მდიდარი ფაქტიური მასალა და მოქმედ პირთა დიდი რაოდენობა ვ. ბარნოვის ყოველ ნაწარმოებში ორგანიზებულია. მისი რომანები აგებულია მტკიცედ, მთლიანად და დასრულებულ არქიტექტორულ შენობად.

ვ. ბარნოვს შეუძლია რამდენიმე სიტყვით, ან წინადადებით დაგვიხატოს გარკვეული სურათი, მოგვცეს ამა თუ იმ გმირის დამახასიათებელი თვისებები, ან განწყობილებები გარკვეულ მოვლენებთან დაკავშირებით და შემდეგ მათი განმეორება თითქოს აღარ არის სწავირო. მაგრამ ასე როდი იქცევა იგი ყოველთვის, მას უხერხულად როდი მიაჩნია განსაკუთრებულ განწყობილებათა და შემთხვევათა განმეორება რამდენიმეჯერ. ყველა ამ განმეორებას ვ. ბარნოვი თავის დაუშრეტელ სიტყვათა მარაგის წყალობით ახალ-ახალი ეპითეტებით და დეტალებით ტვირთავს და უკვე ნაცნობ ამბავზე საკმაოდ ვრცლად ისევ გველაპარაკება. ეს, რა თქმა უნდა, დიდად უშლის ხელს ნაწარმოების თავისუფლად განვითარებას. მართალია, მწერალი ასეთ დროს მიმართავს საინტერესო ხერხს, მოხდენილად აბამს დიალოგს გმირსა და თავის თავს შორის.



ვ. ბარნოვი ღრმად გრძნობს ბუნებას. მას გამოლევძებული და ცოცხალი ბუნების მრავალი წარმტაცი სურათი აქვს. მაგრამ მას არ უყვარს განყენებულად წარმოდგენა ბუნების, იგი არ არის მისთვის თვითმიზანი, ან მექანიკურად დანართი

რამ; მისი როლი სრულიადაც არ განისაზღვრება მხოლოდ მოქმედების „მოჩარჩოებით“. ბუნება არსებობს როგორც შინაარსის, დრამის თანამონაწილე, მისი განმარტებელი; იგი დაკავშირებულია ფსიქოლოგიურ ამოცანასთან, ახასიათებს გმირის ცვალებად განწყობილებას. უმეტესად ბუნება მოკვეთილად არის დახატული.

ვ. ბარნოვი ბუნებას განსაკუთრებულ სიტუაციაში იძლევა. ბუნება მისთვის მხოლოდ იმდენად არსებობს, რამდენადაც ეს მისი გმირების სამოქმედოდ არის საჭირო. პეიზაჟი ორგანიულად არის შესული მხატვრული თხრობის ქარგაში. გავიხსენოთ ვ. ბარნოვის მიერ დახატული სურათი ბუნებისა „ნათელმოსილნიში“. მართალია სურათი რამდენადმე „ვეფხისტყაოსანში“ აღწერილ ნადირობას წააგავს, მაგრამ ეს გარემოება მაინც არ ამცირებს ამ სურათის თავისებურ მნიშვნელობას.

ვ. ბარნოვის პეიზაჟისათვის დამახასიათებელია ღრმა ემოციურობა. ხშირად პეიზაჟი ასრულებს დამატებითი ფსიქოლოგიური დახასიათების როლს, გვიხსნის ადამიანის განცდებს. გრანდიოზულ დრამატულ სურათად იშლება გამძვინვარებული ბუნება შუამთის მიდამოებში, სადაც მონასტერში ჩაკეტილი იყო თინათინ დედოფალი, გურიელის ასული: „ბნელი დამე იყო ღრუბლიანი, უმთვარო, ჩაბნელებული იყო ტყე უღრანი. მკიდროდ მიჭრილი უზარმაზარი ხეები სიბნელეს გაეერთიანებინა და ტყე შავად წარმოდგომოდა თავს დედათ მონასტრის ზღუდეებს შუამთაში. ქარი მძლავრად არხედა ტყეს, ზნექდა, აგუგუნებდა, როგორც აღელვებულ წყალს, რომელიც მიისწრაფოდა წარღვნად ყოვლისა. ტყის ერთგვარ გუგუნს ასხვაფერებდნენ უცნაური რამ ხმები, რომელი ჟამითი-ჟამად შეიჭრებოდნენ გუგუნში და წარხარ-კასკასით თავს გადაეცლებოდნენ მონასტერს, კენესა-ოხვრით ჩაეშვებოდნენ სხვათა ხმათა გუნდში, ლეწით და მტკრევით გზას იკვლევდნენ უფსკრულ ხევ-ღრიანტებისაკენ“... („მიმქრალი შარაევანდელი“). ბუნების ამ მრისხანე ფონზე ვ. ბარნოვი გვიჩვენებს ამქვეყნიურ ცხოვრებისაგან გამდგარ კახეთის დედოფალ თინათინს.

მეტად რთული საქმეა მხატვრულ ნაწარმოებში ბატალური სცენებისა და ეპიზოდების გადმოცემა. მსოფლიო ლიტერატურაში მცირეა ისეთი ნაწარმოებნი, რომლებშიაც ბატალური სცენები მთელი მხატვრული სიდიადით იყოს ასახული და ამავე დროს იგი არ არღვევდეს მწერლის მთლიან კომპოზიციურ განაზრახს. კლასიკური ნიმუშები ბატალური სცენებისა მოცემული აქვს სტენდალს — „პარმის მონასტერში“, როდესაც იგი თავის გმირს მოატარებს ვატერლოოს მიდამოებს და ლევ ტოლსტოის — „ომი და მშვიდობაში“, აუსტერლიცის და ბოროდინოს ბრძოლის სახით. გრანდიოზული ბატალური სცენები მოცემული აქვს თავის რომანებში აგრეთვე ვალტერ სკოტს („თალისმანი“, „კვენტინ დორვარდი“), მერიმეს („კარლოს I.X დროის ქრონიკები“), ფლობერის („სალამბო“) და სხვ.

საყურადღებო მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ბალზაკის იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება ასახოს მწერალმა ბრძოლის ეპიზოდები. ბალზაკი წერს: „ლიტერატურას არ ძალუძს დახატოს სამხედრო მოქმედება განსაზღვრულ მოცულობაზე მეტად. რათა ცოცხლად აღწერო სევენის მთები, მათ შორის გადაჭიმული ჭალები, ლანგედოკის დაბლობები. ყველგან დააყენო ჯარები, აამოქმედო ისინი და თან ახსნა ბრძოლის მსვლელობა, — ეს ისეთი ძნელი ამოცანაა, რომლის გადაწყვეტასაც ვერ ბედავენ ვალტერ სკოტი და კუპერი. ესენი არასოდეს არ აღწერდნენ თავიანთ ნაწარმოებებში მთელ ბრძოლას, არამედ კმაყოფილდებოდნენ მცირე მოცულობის შეტაკებების ჩვენებით, სადაც გამოხატავდნენ მებრძოლი მასების სულიერ განწყობილებას. და ეს მცირე შეტაკებებიც, რომლის გამოხატვასაც ისინი ბედავდნენ, მოითხოვდა მათგან ხანგრძლივს მომზადებას“. როგორც ვხედავთ, ბალზაკი პირდაპირ მიუთითებს იმ განსაზღვრულ სიძნელეებზე, რაც დგას მწერლის წინაშე, რომელსაც განზრახული აქვს ბრძოლის მხატვრულ-პოეტური გამოსახვა. მსოფლიო ლიტერატურის დიდი წარმომადგენლის ეს სიტყვები სრულიად ბუნებრივად გვახსენდება მაშინ, როდესაც ვხეებით ვ. ბარნოვის შემოქმედებას. თითქმის ყოველ თავის რო-

მანში („არმაზის მსხერევა“, „ტრფობა წამებული“, „პირი-მზე“, „დედოფალი ბიზანტიისა“, „ნათელმოსილნი“, „განგე-ბის რკალში“, „მიმქრალი შარაევანდედი“ და სხვ.). წარმო-გვიდგენს იგი ბრძოლის ეპიზოდებს, ბატალურ სცენებს. ამ ხასიათის ეპიზოდების აღწერისას ვ. ბარნოვი ამჟღავნებს დიდ მხატვრულ ტაქტსა და ინტუიციას. მისი შემოქმედებითი პრინციპები ამ საკითხში მთლიანად ეთანხმება ბალზაკის შეხედულებას.

ვ. ბარნოვი ბატალური სცენების აღწერით გვიჩვენებს თავის დიდ ოსტატობას ისტორიული ეპიზოდების ცოცხალ მხატვრულ სახედ გადაქცევისა, იგი ომებისა და ბრძოლების ვითარებას ისე ზუსტად და ზედმიწევნით აგვიწერს, როგორც ამას გააკეთებდა ისტორიკოსი, მაგრამ იგი არასოდეს არ ივიწყებს, რომ ყოველივე ეს დაკავშირებულია რომანის მთლიან სიუჟეტურ აღნაგობასთან.



ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია ვ. ბარნოვის ისტორიულ რომანებთან — ენის პრობლე-მაა. არ შეიძლება სრულად გავიგოთ მისი ისტორიული რომანების ხასიათი ისე, თუ არ შევვხებით ამ პრობლემასაც. ენის, სიტყვის საშუალებით ვლინდება მწერლის სტილი, მხატვრული აზროვნება, მსოფლმხედველობა და ისიც, რასაც ასახავს ვ. ბარნოვის შემოქმედების ძლიერ მხატვრულ მხარეს შეადგენს ენა. ალბათ ამ ენას ბევრჯერ დაუბრუნდებიან და საგანგებოდ შეისწავლიან.

ვ. ბარნოვი გასაოცარი ოსტატობით ფლობს სიტყვას. მის რომანებსა და მოთხრობებში პოეტური სიტყვის ვირტუოზობა მაღალ დონეზეა ასული. მის შემოქმედებაში გამომჟღავნებულია ისტორიულად შექმუშავებული კულტურა, წერის მანერა მერჩულემ, მროველმა, რუსთაველმა; საბა ორბელიანმა რომ განამტკიცეს ქართულ ლიტერატურაში. იგი აცოცხლებს ე. წ. „კლასიკურ ნორმებს“ ქართული ენისა, რომელიც ძველ ძეგლებშია წარმოდგენილი. ზოგიერთი მკვლევარი ვ. ბარნოვის ენაში უმართებულოდ ხედავს თავისებურად გამოვლენილ „მოდერნისტულ მიდრეკილებებს“,

რამაც თითქოს ერთგვარი ხელოვნურობის ბეჭედი დაასვა მის უაღრესად თავისებურ სტილს.

განსაკუთრებით საყურადღებოა ვ. ბარნოვის თხრობის ფორმა. მის მხატვრულ ნაწარმოებებში მკითხველი შეხვდება ისეთ ეპიტეტებს, რომლებიც ახალ კოლორიტს უქმნიან ენას; შეხვდება წინადადებათა ისეთ განლაგებას, რაც რიტმს გვაგრძნობინებს. შემთხვევითი როდია, რომ ახალ ქართულ ლიტერატურაში ვ. ბარნოვი აღიარებულაა რიტმული პროზის ოსტატად. რიტმული პროზა ბგერათა თანაბარ ძალოვან განმეორებას ემყარება და თავისი სტრუქტურით ახლო დგას ლექსთან. რიტმული პროზა სტილის ურთულეს სახეთაგანია და მწერალთა შორის მან მხოლოდ რჩეულნი ფლობენ.

ვ. ბარნოვი განსაკუთრებული ოსტატობით ფლობს ამ რთულ სახეს პოეტური მეტყველებისა. მან მთელი სიძლიერით გამოაგლინა ძველი ქართული ენის მუსიკალური ბუნება, რიტმი, ინტონაცია. ამ მხრით იგი აგრძელებს იოანე საბანისძის, გიორგი მერჩულეს, ლეონტი მროველის, საბა-სულხან ორბელიანის, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“, „ვისრამიანის“ და აგრეთვე „დაბადების“ ქართული თარგმანის ავტორებისა და სხვა ძველ ქართველ მწერალთა გზას. ვ. ბარნოვის პროზა დიდად უახლოვდება ძველ ქართულ სასულიერო პოეზიას, მისთვის დამახასიათებელი შინაგანი რიტმულობით.

ვ. ბარნოვის რომანები და მოთხრობები რიტმიზებული პროზის საუცხოო ნიმუშია და მისი სტრიქონები მკითხველზე მუსიკის შთაბეჭდილებას სტოვებენ. ასე დაწერილია მის ნაწარმოებთა უმეტესობა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ — „განგების რკალი“, „არმაზის მსხვერვეა“, „ტროფობა წამებული“ და „მიმქრალი შარავანდედი“.

„განგების რკალში“ მეფე ლუარსაბ ასე მიმართავს მკერინეს:

„ცაზედ მრავალი მნათობია დიდი თუ მცირე, ბედის ვარსკვლავი ერთი არის უსწორ-უბადლო. ამულდაზარში ბევრი არის ყვაველი ტურფა, რა შეედრება სიმშვენიერით ფურჩქენილსა ვარდსა?!“

„არმაზის მსხვერვეაში“ ხვარამზეზე შეყვარებული ამზილი ამბობს:

„მთლად დავემონე ჩემს ბედს საბრალოს! ვეტრფი ჩემ ვარსკვლავს ჩემგან შორეულს. მინათებს — ხან ხარ იმედთა შუქი. ვძრწი უფრო ხშირად, შიშით ვილევნი“... „ნუ მირისხდები, სულის ბადალო! ხომ იცი, კარგო, სიკვდილამდის მონა ვარ შენი; ტკბილი სახე თან მყვება ყველგან ყოველ ჟამს: მამხნევებდა საძნელო გზებზედ, კტეზიფონის სასახლეშიაც ჩემთანვე იყო. მიტხარი, მამცნე, რა შევეცოდე, მზევე მოღრუბლულო!“

„ტრფობა წამებულში“ თებრონია ასე მიმართავს გრიგოლ ხანძთელს:

„დახე ჩემს თბილს, ფიფქისაგან თხზულს ვარდის ფურცლებად მკლავებს მომკლავებს, ეშხისა რტოებს, სასოდ ნაზარდ ტანს შოლტივით მოქნილს, თმას უზშირეს, გიშრის ტევრებად ქოჩრილს, შემომხედე მე სიცოცხლით საესეს, ვნების ნაგუბარს ულევ-უკლებელს!“

თინათინს განშორებული ლევან მეფე გაეშურა ლეილ-ყიზისაკენ:

„მოვალ, სატრფიალო, შენთანვე მოვალ სიხარულით და იმედით! წმინდა ყოფილა სიყვარული შენი, როგორც მთის წყარო, სპეტაკი, როგორც ფიფქი მიუვალის მწვერვალისი; მაღალი და შეურყეველი, როგორც ცამდის ატყორცნილი სალი კლდე შენის ქვეყნისა, იქითყენ, ლურჯის მთებისაკენ, ვარდისფერი სიყვარულისაკენ, ჩემგან დაღონებულს, ჩემს ლეილასაკენ!“ („მიმქრალი შარაევანდელი“).

ამ სტრიქონებში მთელი პოეტური თქმებია. ასე მაქსიმალურად დაცული რიტმი მოხერხებულად და ლამაზად არის გაშლილი ვ. ბარნოვის მიერ, რის გამოც ყველა მის რომანში მოთხრობილი ამბავი მძაფრი მუსიკალური აღმავლობით ვითარდება.

ხშირად მიმართავს ვ. ბარნოვი წინადადებათა რიტმულ-ინტონაციური წყობის ცვალებადობას, როგორც საშუალებას მკითხველზე ზემოქმედებისა, ხასიათის სხვადასხვაობის ჩვენებისა.¹

¹ ზოგი მკვლევარი იმდენად დიდ მნიშვნელობას აკუთვნებს რიტმულობას მხატვრულ პროზაში, რომ საგანგებო გამოკვლევასაც კი წერს ამის თაობაზე. ფრანგმა მკვლევარმა ბეკერმა ვრცელი შრომა მიუძღვნა რიტმულობის საკითხს ა. ფრანსის „ანგელოზების აჯანყებაში“ (იხ. „La prose rythmée dans „La révolte des Anges““)

ვ. ბარნოვის პროზა თავისი მდიდარი მუსიკალური, რიტმული და მრავალსახოვანი გამოთქმებით, ხშირად არა ნაკლებ მხატვრული სილამაზის მქონე და ესთეტიკური განცდის მიმნიჭებელია, ვიდრე რომელიმე მაღალღირსებიანი რითმა დაკული პოეტური ქმნილება. ამასთანავე რამდენადაც რიტმულ პროზას ახასიათებს მოძრაობა და მოქმედება, ვ. ბარნოვი სტილის ამ ხერხს მიმართავს იქ, სადაც მძაფრი მოქმედებაა, დინამიკაა. ასეთ შემთხვევებში თვით ბგერათა განვითარებაც გვაგრძნობინებს მოქმედების სიმძაფრეს.

ხშირია ვ. ბარნოვის პროზაში ალიტერაციაც. მაგალითად: „თითქმის მაღალი აგებულება, ოდნავი მოგრძოდ მოყვანილა პირის ფარგალი, ყელის ყვრიმალი, ყვავილის ღერო! („დედოფალი ბიზანტიისა“). სანიმუშოდ კიდევ ერთი ადგილი „განგების რკალიდან“: „ხვევრდის ხაო შესახებად ალერსიანი“. ეს მომენტი საყურადღებოა ვ. ბარნოვის შემოქმედების სიტყვიერი მასალის ანალიზის დროს.

ვ. ბარნოვს შეტად მდიდარი ლექსიკონი აქვს, თუმცა მისი სიტყვარი დამძიმებულია არქაიზმებით. თანამედროვე მკითხველს სპეციალური ახსნა-განმარტებაც კი სჭირდება მისი ლექსიკონის სრული ათვისებისათვის. ვ. ბარნოვი თავის ისტორიულ რომანებში არ ერიდება ისეთ არქაულ თუ პროვინციალურ სიტყვების ხმარებას, როგორცაა „ავლანი ადამიანი“ (ავი, მყვირალა ადამიანი), „ბაცაცი ხელი“ (ფაფუჯი ხელი), „დატიტული წყალი“ (მლაშე წყალი), „დახაციცებული“ (დანატრებული), „ზუზვივ“ (ზედმიწეენით), „იმლიკი ხასიათი“ (უკადრისი ხასიათი), „მიზმაროთი“ (აბაზანა), „ფანცი“ (ფარჩეული), „ხადუმი“ (მოახლე), „ამყარია“ (დაარსებულია), „აჩნრდნეული“ (ჩახერგილი) და სხვ. მართალია, ვ. ბარნოვის მხატვრულ ნაწარმოებებში ასეთ სიტყვებს ერთგვარი გამართლებაც აქვთ იმით, რომ გვაძლევს ეპოქის დამახასიათებელ ენობრივ კოლორიტსა და ინვენტარს, მაგრამ ამავე დროს ძნელად გასაგებსა და ასათვისებელს ხდის მათ თანამედროვე მკითხველისათვის.

ისტორიული კოლორიტის შექმნაში პირველხარისხოვან როლს ასრულებს ნაწარმოების ენა. ამიტომ ვ. ბარნოვის მხატვრულ ნაწარმოებებთან დაკავშირებით სრულიად ბუნებრივად ისმის საკითხი იმაზე, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს

„აუცილებელ ანაქრონიზმს“ საერთოდ ენაში. არის მოსაზრება, რომელიც ამბობს, რომ „ისტორიულ რომანში კართაგენისა, ეგვიპტის და სხვა ძველი ქვეყნების შორეულ საუკუნეებზე მოუთხრობს თანამედროვე მკითხველს — თანამედროვე მწერალი. ეს გარემოება კი სრულიად საკმარისია იმისათვის, რომ უარყოთ ისტორიული რომანის ენის არქაულობა, როგორც ხელოვნური და გაუმართლებელი მოვლენა“. ჩვენის აზრით, ეს უკიდურესი დასკვნაა. მწერლის მიერ გამოხატული ეპოქის სიტყვიერი მასალის გამოყენების მთლიანად უარყოფა არაა სწორი. ოღონდ საკითხი შეიძლება მხოლოდ იმაზე დაისვას, თუ რა მოცულობით იქნას გამოყენებული შორეული ეპოქების სიტყვიერი ინვენტარი. ცნობილია, რომ რეალისტური ისტორიული რომანის ფუძემდებელი ვალტერ სკოტი თავის ნაწარმოებების მოქმედ პირების ენასა და თავის თხრობაში შეჰქონდა სხვადასხვაგვარი ძველი გამოთქმები, მაგრამ ამას აკეთებდა ფრთხილად, არ ამძიებდა ნაწარმოების ენას არქაიზმებით. ეს მართებული გზაა. წარსული ეპოქების სიტყვიერი მასალა იმდენად უნდა იქნას ხმარებული, რამდენადაც ეს აუცილებელია მხატვრულ ნაწარმოებში გამოყვანილი პერსონაჟების მართებული და ყოველმხრივი გამოხატვისათვის. აბა, როგორი მხატვრული ეფექტი იქნებოდა, რომ ვ. ბარნოვს აშოტ კურაპალატი აემეტყველებინა მეოცე საუკუნის რაფინირებული ენით, რომლითაც ლაპარაკობენ თანამედროვე ცხოვრების ამსახველ ნაწარმოებთა გმირები?! ვ. ბარნოვის მიერ ხმარებული არქაული სიტყვები ცალ-ცალკე გამოყოფით მართლაც გაუგებარია მკითხველისათვის, მაგრამ წინადადებაში იგი ახერხებს მათთვის ისეთნაირი ნიუანსების მიცემას, რომ ნათლად გასაგები ხდება მათი აზრი. ამ ხასიათის არქაიზმები გამართლებულია როგორც სტილის ერთ-ერთი თვისებათაგანი, რამდენადაც ის აყალიბებს განსაზღვრული ეპოქის ადამიანების აზრებსა და შეხედულებებს. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ვ. ბარნოვის ნაწარმოებებში არქაული ფრაზეოლოგია მოიცავს მისი სტილის ყველა ელემენტს. იგი ხმარობს ისეთ არქაულ სიტყვებს, გრამატიკულ ფორმებს, სტილისტიკურ თავისებურებებს, რომელთა ხმარება ყოველთვის არ არის ნაკარნახევი აუცილებლობით.

ნას თბოქოს ნაკლებად აწუხებს ამ არქაული სიტყვების გაუგებრობა თანამედროვე მკითხველის მიერ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ვ. ბარნოვს შედარებით ნაკლები არქაიზმები აქვს ადრინდელ ისტორიულ რომანებში („ისნის ცისკარი“, „სახიფათო სიყვარული“, „ნათელმოსილი“, „მიმქრალი შარავანდედი“), უფრო მეტი და ხშირად სადავო არქაიზმებით შესამჩნევი ვ. ბარნოვის მიერ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაწერილ რომანებში („ტრფობა წამებული“, „თამარ მრწემი“, „განგების რკალში“).

ვ. ბარნოვს ეტყობა ძველი სასულიერო წიგნების ღრმა ცოდნა. მის მხატვრულ ნაწარმოებებში მრავალ სიტყვას ვხვდებით საეკლესიო-სასულიერო ხასიათისა, მაგრამ არა მარტო ცალკეული სიტყვები, არამედ მთელი წინადადებაც კი საეკლესიო ელფერით არის ხოლმე მოცემული. ასე, მაგალითისათვის: „მღვდელმთავარო და მამაო სულიერო“, „არ დაეკარგვის ღვაწლი ესე ამი ქვეყნად, არც წინაშე მეუფისა“... „სახელი შენი ბრწყინვალედ აღიბეჭდების ქართველთა მატიაწეში, ქართველთა გულში და წიგნსაცა შინა საუკუნისა მის ცხოვრებისა“... და სხვ. ვ. ბარნოვს უცვლელად აქვს გამოყენებული სასულიერო ლიტერატურისათვის დამახასიათებელი განლაგებაც წინადადებებისა; ამათთან ერთად იგი ჭარბად ხმარობს ქალაქურ, ძველი თბილისის ყოფისათვის დამახასიათებელ სიტყვებსა და გამოთქმებს. ამ მხრით მდიდარ მასალას იძლევა მისი ყოველი მხატვრული ნაწარმოები.

დავიწყებული სიტყვების გაცოცხლებას აქვს თავისი დადებითი მნიშვნელობა ლიტერატურული ენის გამდიდრებისათვის. ამ მხრით ცნობილია ფრანგი რომანტიკოსების მიერ ჩატარებული მუშაობა. ფრანგული ლიტერატურის მკვლევარი ემილ ფაგე რომანტიკოს შარლს ნოდიეს შესახებ წერს: „იციობდა რა საფუძვლიანად ფრანგულ ენას, მან მოძველებული სიტყვებისა და წინადადებების თავისებური ხმარებით განაახლა, განავრცო ეს ენა და საპატიო ადგილი მოუპოვა მასში ძველ სიტყვებს. მეტად საყურადღებო მოვლენაა, რომ მრავალი სიტყვა, რომელიც სრულიად გამოსული იყო ხმარებიდან XVIII საუკუნის ბოლოდან და ეხლა არის ხმარებაში, ნოდიეს უნდა მიეწეროს... მან შემოიტანა XIX საუკუნის ენაში ერთგვარი რაოდენობა XVI საუკუნის ჯანსაღი თეს-

ლისა. ამით მან უდიდესი სამსახური გაუწია ფრანგულ ენას“. ამასვე აღნიშნავს ემილ ფაგე თეოფილ გოტიეს შესახებაც. ჩვენის აზრით, ასეთი მუშაობა გამართლებულია ქართულ ლიტერატურაშიც. ვ. ბარნოვს სიტყვათა გამოუღვევლი მარაგი გააჩნია. მას მრავალი ისეთი სიტყვა აქვს ნახმარი, რომელიც თანდათან შემოვიდა, თუ შემოდის თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში. ამით ჩვენ, რასაკვირველია, სრულებით არ გვინდა იმის თქმა, თითქოს ვ. ბარნოვის მიერ ნახმარ ყველა სიტყვას მიიღებს ლიტერატურა, ხალხი. მაგრამ მის მიერ ნახმარი, აღდგენილი რამდენიმე ათეული სიტყვაც რომ შევიდეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის საგანძურში, მაშინაც კი გამართლებულია ვ. ბარნოვის მუშაობა ენაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ენა ვ. ბარნოვისა და მის ნაწარმოებთა პერსონაჟებისა არაა ერთმანეთისაგან განსხვავებული. ვ. ბარნოვი ისეთივე წყობითა და სიტყვებით ლაპარაკობს, როგორც აშოტ კურაპალატი, გრიგოლ ხანძთელი და სხვ. ეს პრინციპი არაა გამართლებული, იგი ერთფეროვნების ხასიათს აძლევს ნაწარმოებს. პოეტურ-ესთეტიკური მოთხოვნის მიხედვით მწერლის ენა არ უნდა ემთხვეოდეს მისი პერსონაჟების ენას, მწერალი თავისი საკუთარი ენით უნდა ლაპარაკობდეს ნაწარმოებში.

ამგვარად, უდავოა, რომ ვ. ბარნოვმა ქართულ ლიტერატურაში შექმნა თავისი განსაკუთრებული სტილი.

* * *

ვ. ბარნოვი დიდი დიაპაზონის შემოქმედია. იგი მემკვიდრეა არა მარტო ქართული ლიტერატურული ტრადიციებისა, არამედ იმ ვრცელი და ღრმა იდეებისა, რაც დამახასიათებელია ძველი გამოჩენილი ქართველი მწერლებისა (შოთა რუსთაველი, გიორგი მერჩულე, საბა-სულხან ორბელიანი და სხვ.). მის მხატვრულ ნაწარმოებებში პრობლემები ყოველთვის ფართოდ არის დასმული და გადაწყვეტილი. ამიტომ არის, რომ ამ თავისებური პროზაიკოსის რომანებსა და მოთხრობებში საფუძვლიანადაა გამოთქმული ფილოსოფიური, ესთეტიკური და ისტორიული ხასიათის შეხედულებანი.

მხატვრულ ნაწარმოებებში განსაკუთრებით მოჩანს, რომ ვ. ბარნოვი ფილოსოფიურად განსწავლული და სერიოზულად მოაზროვნე მწერალია, შემუშავებული აქვს ერთგვარი პრინციპები შემეცნებისა, გააჩნია განსაზღვრული შეხედულებანი მოვლენებსა, საგნებსა, ადამიანებსა და საზოგადოდ ცხოვრებაზე. იგი ეტანება ფილოსოფიურ სენტენციებსა და აფორიზმებს, ბრძნულ გამოთქმებს. მის რომანებსა და მოთხრობებში ისტორიული მოვლენები მეტწილ ათვისებულია ფილოსოფიური განჭვრეტით და გააზრებით. ახალი ევროპული ლიტერატურიდან ვ. ბარნოვი ემსგავსება ა. ფრანსს, რომლის შემოქმედებაში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ფილოსოფიურ დიალოგს. ვ. ბარნოვის ლიტერატურული მემკვიდრეობის ფილოსოფიურ მხარეს სერიოზული ყურადღება მიექცია გ. ქიქოძემ. იგი წერს: „ვასილ ბარნოვს არაერთი ფილოსოფიური ტრაქტატები არ დაუწერია და არაერთი მეტაფიზიკური სისტემა არ შეუქმნია. ამისდა მიუხედავად ის ქართული ლიტერატურის ისტორიაში დარჩება არა მარტო როგორც დიდად ორიგინალური მხატვარი, რომელსაც სრულიად თავისებური პოეტური მეტყველება ჰქონდა, არამედ როგორც უღრმესი მოაზროვნე, რომელმაც პასუხი გააცა ფილოსოფიის ზოგიერთ პრობლემას. როგორც ქეშმარიტი ბრძენი, ის ყოველდღიურ პროზაული მოვლენების უკან მათ ღრმა აზრს სჭვრეტდა“¹. ეს მოსაზრება უთუოდ სწორია. ვ. ბარნოვის მრავალ მოთხრობასა და რომანში გამოთქმულია ღრმა ფილოსოფიური ხასიათის მოსაზრებანი. საკმარისია დავასახელოთ: „სულთა კავშირი“, „მუშა“, „მტკვრის ვაჟი“, „ტკბილი დუღუკი“, „ყვავილები“, „დედა“, „ფერია“, „ტრფობა წაშებული“, „მიმქრალი შარავანდედი“, „თამარ მრწემი“, „განგების რკალში“, „საფლავის ქვაზე“, „ლერწამი რხეული“, „ისნის ცისკარი“ და სხვები. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ გვინტერესებს განსაკუთრებით მისი ისტორიული რომანები, სადაც გზადაგზა გამოთქმულია რიგი ფილოსოფიური დებულებებისა.

ვ. ბარნოვი არ იყო შემოზღუდული რომელიმე ფილოსოფიური სკოლის დოქტრინით. მისი მსოფლმხედველობა სწვა-

¹ გ. ქიქოძე — „ნარკვევები“ გამ. „ფედერაცია“, 1941 წ. გვ. 102.

დასხვა ფილოსოფიური აზროვნებისა და იდეების თავისებური სინთეზია. გ. ქიქოძე თავის აღრინდელ წერილში აღნიშნა, რომ ვ. ბარნოვის აზროვნების ძირითადი ფონდი წარმართულიაო. მისი განცხადების თანახმად, ვ. ბარნოვს „შეუსწავლია ჩვენი ხალხური წარმართობის ზნე-ჩვეულებები, რომელიც საბოლოოდ არასოდეს დაუჩრდილავს და მოუსპია ქრისტიანობას, ბოლოს, როგორც ჩანს, მას შეუსწავლია წარმართული აზროვნების წარმომადგენელი ფილოსოფოსები: პლატონი, ფითაგორელები, ნეოპლატონიკოსები. მაგრამ მისი წარმართობა არაა პირველყოფილად უშუალო და გულუბრყვილო, მასში მძლავრი ებრაულ-ქრისტიანული ნაკადის გავლენაცა ჩანს“.¹ ამ სიტყვებით მკვლევარი ცდილობს მიუთითოს ვ. ბარნოვის ფილოსოფიური აზროვნების სათავეებზე და ზასიათზე. მაგრამ ამ ზოგად განსაზღვრაზე უფრო მეტ წარმოდგენას ვ. ბარნოვის ფილოსოფიურ აზროვნებაზე მოგვცემს მის მიერ მხატვრულ ნაწარმოებებში გამოთქმულ შეხედულებათა უშუალო გაცნობა.

ვ. ბარნოვი უპირველეს ყოვლისა, ეძიებს სიცოცხლისა და ქვეყნიერების პირველ სათავეს, დასაბამს, შემოქმედს. მისთვის ყველაფრის დასაბამი, მიზეზი ღმერთია. ყველაფერი სამყაროში და ადამიანთა ცხოვრებაში ღმერთით არის განსაზღვრული. ადამიანის ბედი ზეცას იქედება („ხაზართა სასძლო“). ადამიანი ვერსად წაუვა ღვთის ნებას და სურვილებს. ყველას თავისი ბედი შუბლზედ აწერია („ტრფობა წამებული“, „ღედოფალი ბიზანტიისა“, „განგების რკალში“). ამიტომ იყო, რომ უბედურებით დასრულდა თინათინ ღედოფლისა და ლევან მეფის ცოლ-ქმრული ურთიერთობა, „არ იკურთხა მალლით იგი კავშირი უგულო, ზეცით წარმოგზავნილმა ანგელოზმა ღვთაებრივი ნექტარით ხელში ვერ მიუბყრა სავსე ფიალა ამ მეფე-ღედოფალს“ („მიმქრალი შარაევანდელი“).

ვ. ბარნოვის ფილოსოფიურ შეხედულებებში დიდი ადგილი უჭირავს ბედისწერის საკითხს. ბედისწერას ემორჩილება ყველაფერი, რაც ქვეყნად არსებობს, ბედისწერას თვით

¹ გ. ქიქოძე — „ეასილ ბარნოვი“. შესავალი წერილი „ტფილისი აჩრდილებისა“. „ქართული წიგნის“ გამოცემა, 1929 წ. გვ. 6.

ღვერთებიც მორჩილებენ („არმაზის მსხვერვეა“). ადამიანის დანიშნულება, მოწოდება ცხოვრებაში ბედისაგან არის განსაზღვრული. „განგების ეტიკი“, ანუ ბედი ხშირად ერევა ადამიანთა მოქმედებაში. ბედი უღმობელია, სასტიკია და ხშირად საკვირველიც, „სასტიკი მოსჩანს ბედისწერა“, — ავბობს ლუარსაბ მეფე („განგების რკალში“).

ვ. ბარნოვის წარმოდგენის თანახმად, ადამიანს ერთხელ ჩამოუვლის ბედი და ფრთას შეახებს, და თუ შეიგრძნო ის ადამიანმა, აღორძინდება, და თუ ვერა, დაიღუპება. ასე დაემართა გიორგი სააკაძეს. ბედისწერა მას უქადაგებდა ასულიყო საქართველოს სამეფო ტახტზე, გამეფებულიყო. ამას ურჩევდა მას ქართველი ხალხი და შაჰ-აბასიც. „განგება ირჩევს მეუფის გვარს განსაზღვრული ჟამით. ასრულებს მისი მორღმა დანიშნულებას, სხვას მისცემს გვირგვინს. ჟამმა დარევა, საქართველოს სული გიბრძანებს, ხალხის მეუფეო“, — ეუბნებდა გოდერძი ბურღული გიორგი სააკაძეს ირანში გაქცევის წინ. მარაბდის ომში დამარცხებული სააკაძე თავისთავს ეუბნება: „ვერ დაუმკვიდრე საქართველოს თვითარსებობა. უფრო მძლავრად უნდა მევლო საკუთარ გზაზედ. შენა ხარ განგებისად მეფედ რჩეული, — მეტყოდა ხალხი, თვითონ შაჰ-აბაზ“. ამასვე ევედრებიან სააკაძეს თუშები და ხევსურები: „ხალხსაც სურს და ხატსაც. შენ უნდა იყო მთავარსარდლად და მბრძანებელად, სხვას ვერ დავემორჩილებით, — დაათავა აღდიამ“. დუმდა გიორგი. „ფშაე-თუშ-ხევსურთ ექვსასი ხმალი შემოგწირეს, ქუდზე კაცი გამოვალთ, თუ შენ გვეყოლები მეფე-ბატონად... ხალხის ნება და ერის ხმა ღვთის ხმად მოისმის“... მაგრამ სააკაძე უარზეა, და ამ უარში ვ. ბარნოვი ბედისწერის შრისხანებას ხედავს. „უძლეველი ხმალი მისცა განგებამ ხელში, დასახა იგი ქართველთ წინამძღვრად. უბრძანებდა წაეყვანა ხალხი ახალი გზით. ვერ შეიგნო ხმა ბედისწერის და იღბალმაც უარჰყო იგი: აჰხადა მებრძოლს სული მეცანი“. გიორგი სააკაძე დაიღუპა იმიტომ, რომ ბედმა ჩამოუარა, ფრთა შეახო, მან კი ვერ იგრძნო, ვერ მიჰყვა მას.

ბედისწერის სიმკაცრის შედეგად დაიღუპა გიორგი სააკაძის და — მშვენიერი მაკრინე. ბედისწერის ქუფრი ლანდები გადაეფარა მაკრინეს და ლუარსაბის სიყვარულს და არ

მოეშვა, სანამ ისინი არ მიიყვანა გულისდამწველ ტრაგედიაში.

ასეთია ბედისწერის სისასტიკე. დიდი ძალოვნების პიროვნებას შეუძლია შეებრძოლოს ბედისწერას და სძლიოს იგი. „ადამიანს მაინც შერჩენია ძალა შეებრძოლოს თვით უღმრთელ ბედს შემპართებელს და შეარყიოს იგი, კიდევცა სძლიოს“ („ხაზართა სასძლო“). ლუარსაბ მეფეზე „განგების რკალში“ ვკითხულობთ: „მის ყოფაში თავის იღბალს თითონ სქედს კაცი. მეფე იყო, მძლედ შეეძლო ეკარნახა ბედისწერისათვის“. ბედისწერასთან ბრძოლა და მისი დამორჩილება დიდ ძალასა და მსხვერპლს მოითხოვს პიროვნებისაგან და ეს ყველას არ შეუძლიან.

სიდიადესა და უკვდავებას—მხოლოდ ტანჯვით აღწევან ადამიანი. უკვდავების მაძიებელ პიროვნებას ყოველთვის თან დაჰყვება სევდა და მწუხარება: „არ იცოდა გულუბრყვილომ, რომ კაეშანი სდევს ადამიანს მთელ მის სიცოცხლეში, როგორც რამ აჩრდილი განუყრელი, რომ სევდა არასოდეს არ ჰშორდება მას, ხოლო ხან ცრიატდება იგი, მკთალდება და ძლივს—ლა მოჩანს, ხან ხშირდება, მძიმდება და ჰშხამავს გულს, როგორც ღამე უმნათობო, ჩაბნელებული“ („მიმქრალი შარავანდელი“). ამიტომ იყო, რომ გიორგი მეფის ასული-სათვის „კაეშანი სახე იყო მის ხანიათის“ („დედოფალი ბიზანტიისა“). მაგრამ ადამიანმა არ უნდა მოიხაროს ქედი სასოწარკვეთილებისა და განწირულების გრძნობის წინაშე.

ვ. ბარნოვის აზრით, ადამიანის არსება ორად არის გაყოფილი, თითქოს ორი სხვადასხვა პიროვნებაა. ერთად ცხოვრობენ განუყრელად ორნი, მაგრამ მათ აქვთ თავთავიანთი სარბიელი ცხოვრებისა, მიზანი არსებობისა, სიხარული და მწუხარება. მხოლოდ ზოგიერთ პიროვნებაში ეს ორება უფრო ცხადყოფილია, განსაზღვრულ-დამთავრებულია.

ვ. ბარნოვის შეხედულებით „ღმერთი თვით სამყაროშია. ის მხოლოდ უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ხრწნადი ნივთიერი არსებობა ეთეროვან არსებობაში გადადის. ეს უკანასკნელი ზენივთიერში. ეს გადასვლა ეროსის შემწეობით ხდება, ე. ი. სიყვარულის შემწეობით, ამ მცნების ფილოსოფიური გაგებით. სამყარო ბნელი ქაოსი იქნებოდა, ბრმა ბედისწერას დაქვემდებარებული, თუ ყოველს შემძლე სიყვარ-

რული არ ყოფილიყო, რომელიც მიწას და ზეცას აკავშირებს... სიყვარულის შემწეობით ხდება პიროვნების გადმოშუქება პიროვნებაში, სულთა თანაზრდა, მათი თანაზიარობა. ეს არის აგრეთვე უკვდავების თანაზიარება, ვინაიდან სიყვარული უფრო ძლიერია, ვიდრე თვით ბედისწერა და სიკვდილი“¹, სიყვარული ვ. ბარნოვით არ არის გრძნობის უბრალო მღელვარება, ის აღიარებულია ისეთი ყოვლის შემძლე ძალად, რომელიც ადამიანს განწმენდს, განასპეტაკებს. ნამდვილი სიყვარული გამოხატულებაა პიროვნების სრულყოფისა. სიყვარულის მეშვეობით ხდება პიროვნების შეერთება განუსაზღვრელობასთან, მარადისობასთან. სიყვარულით იგებს ადამიანი არსებობის აზრს, სიყვარული — სიცოცხლის საფუძველია, დასაბამია მთელი ადამიანური ცხოვრებისა, სიყვარული ყოველთვის დაკავშირებულია სიმშვენიერესთან. ეს უკანასკნელი აღვიძებს სიყვარულს, სიყვარული ამალღებს ადამიანს. შეყვარებული უმაღლესი ქმნილებაა.

მშვენიერება ღმერთის ანარეკლია. „სიმშვენიერე სამარადისო ნიჭთაგანია ქმნილებაში, ღვთის სახის ანარეკლია, ახლოებს ადამიანს ღმერთთან... სიმშვენიერე აღვიძებს სიყვარულს, ხოლო ღმერთი არის თვით სიყვარული“ („თამარ მრწემა“). ეს ფორმულა ხშირად შეორდება ვ. ბარნოვის ნაწერებში. „სიმშვენიერე, სიყვარული, ქეშპარიტება ნაწილნი არიან უსაზღვროს მის (ე. ი. ღვთის — შ. რ.) ნათელისა ჩვენდა სანუგეშოდ ცხადქმნილი — მოვლინებულნი“ („ტრფობა წამებული“); „სიტურფე ღვთაებრივი ნიჭთაგანია უშლელი, ანარეკლი თვით საბიერების მეუფისა“ („ტრფობა წამებული“); „შენ უწყვი სახიერო, მხოლოდ ეხლა შეეხო ჩემს გულს სიყვარული და იგი ხომ თვით შენი გამოკრთომაა ამ ქვეყნად“ („ტრფობა წამებული“); „მშვენიერება თვით უფალია“ („ისნის ცისკარი“).

ადამიანი ხატებაა ღვთისა და ხატებაშიაც უნდა ჩანდეს სრულყოფა დედნისა. ადამიანის მიზანია გახდეს ისეთი, როგორცაა ღმერთი, შემოქმედი. ეს შესაძლებელია სიყვარულის გზით. ადამიანი მხოლოდ სიყვარულის მეშვეობით განი-

გ. ქიქოძე — „ნარკვევები“, „გამ. უფედერაცია“, 1941 წ. გვ. 109.

ცდის უკვდავების გრძნობას, სიყვარულის მატარებელი დიდ-სულოვანია და ყოვლის სიკეთით შექმული.¹

მშვენიერება დასაბამია სიყვარულისა. მის წინაშე ქედს იხრის ყველა მძლე მეომარი, მეფე, მდიდარი. ბუნება ცდილობს განახორციელოს ქალში უმთავრესად მშვენიერება. ის ისწრაფვის ზედმიწევნით გამოსახოს მასში ეს უცვალებელი სახე ღვთაებრივი არსებისა. ამისათვის ჰრის, რომ ასე ვეთაყვანებით ქალთა მშვენიერებას, ღვთაებად ვსახავთ მშვენიერს, რადგან თვით ღმერთია მასში განხორციელებულ-გამოთქმული („ისნის ცისკარი“); „მეუფე ხომ თვით სიყვარულია გამოუთქმელი“ („ტრფობა წამებული“); „სიყვარული მშვენიერია და თვით ღმერთია ის სიყვარული“ („არმაზის მსხვერვა“); „სიყვარული ღვთაებრივი ძალაა“ („სახიფათო სიყვარული“); სილამაზე ზეციური და ქვეყნიური ორივე ერთი სიყვარულია. მათი გაყოფა, დაშორება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება. „სიყვარული მხოლოდ ერთია განუყოფელი, ვით ღმერთი, რომელიც არის თვით სიყვარული“ („ტრფობა წამებული“). სიყვარულია საიდუმლოება უფრო ძლიერია, ვიდრე საიდუმლოება სიკვდილისა, იგი გრძნობათა მზეა, რომელიც უხვად აბნევს მანათობელ სხივებს თავის გარშემო და იზიდავს თავისკენ ყოველ არსს სათაყვანებლად თუ სადიდებლად“. „სიყვარული... აღმაფრენა არის სულისა, მიწიერთ სიმძიმეთაგან მისი განტვირთვა“ („დედოფალი ბიზანტიისა“). ქეშმარიტი სიყვარული დაუსრულებელი და განუსაზღვრელია. არ არსებობს ზღუდე, რომლის გადალახვაც არ შეეძლოს ყოვლისა შემძლე ძალას სიყვარულისას, ის უძლეველ გმირად აქცევს თვით სუსტ ქმნილებასაც. ვერავითარი წოდებრივი, მდგომარეობრივი უფლება ვერ შეზღუდავს სიყვარულს. ადამიანს არ შეუძლიან უარყოს სიყვარულის დიადი მარადიული გრძნობა.

¹ ვ. ბარნოვი „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წერს, რომ დელაზარი პოემისა არის: „ქეშმარიტი სიყვარული თავია ბუნებით უმწიკვლოა და შეურყეველი, ხოლო პიროვნება, რომელშიც განხორციელდება იგი ნათელი სიყვარული, შეიქმნება უებრო და ჩანთქმული იქნება ამ სულისკვეთებით“ (იხ. „შოთა რუსთაველი“, „მნათობი“, 1938 წ. № 1; ვ. ბარნოვის ეს წერილი. წარმოდგენს ნაწყვეტს მისი დაუბეჭდავი „ქართული სიტყვიერების გაცვეთილების“ მეორე წიგნისა).

ვ. ბარნოვი ხშირად იმეორებს სოლომონ ბრძენის „ქებათა ქებას“ სიტყვებს: „ძლიერ არს ვითარცა სიკჳდილი სიყვარული“.

ეს დებულებები ვ. ბარნოვს ამოდებული აქვს ქრისტიანული დოგმატიკიდან. „ბიბლია“ და სასულიერო თხზულებანი წარმოადგენს მის ფილოსოფიურ შეხედულებათა ამოსავალს.

ვ. ბარნოვი მეტად დიდ ადგილს უთმობს სიყვარულს ადამიანთა ცხოვრებაში. მის შეხედულებათა მთავარი გამოძრავებელი ფორმულა — ხორცშესხმული მშვენიერებისა და სიყვარულის აპოლოგიაა. ასე იბმება რგოლი: ღმერთი — მშვენიერება — სიყვარული. ასეთი იდეალისტური გაგება სიყვარულისა ბოლომდე მიჰყვება ვ. ბარნოვის მთელ შემოქმედებას.

ვ. ბარნოვს სწამს სულთა ერთობა, სწამს, რომ ადამიანები იბადებიან ერთმანეთისათვის და მხოლოდ ისინი იგემებენ უზრეტ სიამეს, ვინც შეხვდება ერთმანეთს ამ ცხოვრებაში. სატრფო თვისი ადამიანს შემოქმედისაგან იმ თავითვე ჰყავს დასახული. ამქვეყნად ეძიებს იგი მისთვის განკუთვნილ ძვირფას სახეს და თუ ვერ პოულობს, ეძლევა ტანჯვას აუწერელს, ან დადის განუჭვრეტელ სიბნელეში. ამოტ კურაპალატის გული ესწრაფოდა სატრფოს, მას ეძიებდა, მაგრამ ამაოდ. „ბევრი თურმე ისე განვლის ცხოვრების წუთებს, თვალსაც ვერ მოჰკრავს თავის სულისდგმას. განგება სახიერი ყველას შეუქმნის ტოლს, ბოროტი, ბნელი არ შეახვედრებს“ („ტრფობა წამებული“). ამ ტიპიურ ნეოპლატონურ მოსაზრებას ვ. ბარნოვი ხშირად იმეორებს თავის სხვა ნაწარმოებებშიც¹.

სასიყვარულო განცდებში ვ. ბარნოვს ყოველთვის შეაქვს ტრაგიკული ტონი. მისი გაგებით, ბუნების მისწრაფება ყოველთვის ვერ აღწევს მიზანს, ხშირად დაუძლეველი სიძნელენი და წინააღმდეგობანი იჩენენ ხოლმე თავს. გიორგი მე-

¹ შეად. ი. პეტრიწი — „შრომები“, ტომი მეორე შ. ნუცუბიძისა და ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბილისი, სახ. უნივერ. გამომცემლობა, 1937 წ. 84-87.

ფის ასულზე იყო შეყვარებული ბაკურ ათაბაგი, მაგრამ ქალი ბიზანტიის კეისარზე დაინიშნა. ამიტომ ბერი ონოფრე ასე მიმართავს ბაკურ ათაბაგს: „არ ჰყოფილხართ განგებისაგან ასახულნი ერთმანეთისათვის“ („დედოფალი ბიზანტიისა“).

ვ. ბარნოვი ხორციისა და სულის ჰარმონიის მქადაგებელია. სხეული, ხორციელი თან სდევს სულიერს, იდეალურს და აქვს უნარი შემოქმედის წვდომისა. სული და ხორცი განუყრელად არიან ერთქმნილნი და განვითარების გზაზე ეხმარებიან ერთმანეთს. უთანხმოება თუ წინააღმდეგობა მათ შორის მხოლოდ ნაკლია ერთი მათგანის შეუსაბამოდ ზრდისა. სიბოროტე არა მარტო ხორციელის გალაღებას, არამედ სულიერის გალაღებასაც მოსდევს. გრიგოლ ხანძთელმა უარყო თებრონიაში განხორციელებული მშვენიერება — სიამენი ამა სოფლისა, ერთი ნაწილი თვით ბუნებისა, თვის ნივთიერის არსებისა და შეუდგა განვითარებას მხოლოდ სულისას. „გგონია კარგად ქმნა? დარწმუნებული ხარ, მცნება უფლისა აასრულა, ნუ იფიქრებ! ღმერთს ჰკუა არ ესწავლება. იმან შეგქმნა ხორციელი და ჩაგბერა სული უყვდავი, ორი ბუნება შენი განუყრელად შეერთებული. უნდა დამპირხილდე ნებას ყოვლად ბრძენ შემოქმედისას: გიყვარდეს ხორციელიც და სულიერიც შენი არსება, იზრუნე მათზედ განავითარო. განგებამაც ასე განაწესა; მოგცა წესდება ხორციისათვის და მცნება სულისათვის. გახსოვდეს!.. სული და ხორცი განუყრელად არიან ერთქმნილნი და განვითარების გზაზედ ეხმარებიან ერთმანეთს. უთანხმოება მათ შორის, თუ წინააღმდეგობა მხოლოდ ნაკლია ერთის მათგანის შეუსაბამოდ ზრდისა, სიბოროტე, ერთის უზომო ლაღობისა. უნდა შეაწყო. შეათანხმო, შეანმატებლო ეს სივები შენის არსებისა. როგორ შეიძლება უგულვებელჰყო ერთი მათგანი, განზრახ გასწყვიტო! იგულე ადამიანი ორსახედ ერთისა და იმავე განუყოფელის არსებისა. ვერავინ გაჰყრის სამუდამოდ ერთქმნილ ხორცს და სულს ვერც ამქვეყნად, ვერცთუ იმქვეყნად“ („ტრფობა წამებული“). სულისა და ხორცის ჰარმონია ჰქმნის სახეს სრულყოფილი პიროვნებისა, რომელიც ყოველგვარ ბედნიერებას აღწევს. როდესაც ტასიკო და ფარნაოზი სიყვარულით დაუკავშირდნენ ერთმანეთს. მაშინ

„ერთი-ღა შეიქმნა განუყოფელი არსება ორი, მოისპო განცალკევება მათი და იქნენ ორნი ერთხორც და ერთ სულ“ („სახიფათო სიყვარული“). სიყვარულის მეშვეობით დაკავშირებული ადამიანები ღვთაებას ემსგავსებიან.

ზოგჯერ, თითქოს, ვ. ბარნოვი არ იზიარებს იმ მოსაზრებას. ვითომც ცოლქმრობის სიყვარულის საქმე ზეცას წყდებოდეს, განგებისგან ისახებოდეს. შეყვარებულნი აშოტ კურაპალატი ასე მსჯელობს თავისთავთან: „ადვილად იტყვის ენა: ზეცას მიანდე შენი გულისთქმა! გონება უკარნახებს გულს, ცივად მსჯელი გონება, მაგრამ განა გულს შეუძლიან უთქმელად გაჰყვეს ჰაზრების ხმასა? როგორ შეუძლიან დაწყნარდეს გული, აჰყვეს სხვისგან ნაჩვენებ კვალსა, როდესაც ჰლელავს. იგი აღელვებული ბობოქრობს საზარლად და ეხეთქება კლდოვან ნაპირებს, რომ გააპოს იგი, ან დაიშალოს, შხეფად დაიმსხვრეს. დაიმორჩილე გული და დააწყნარე! ეს ხომ სასწაული იქნება. სასწაულმოქმედება კი არ არის მომაკვდავთა ხელში“ („ტრფობა წამებული“). ამქვეყნიური ჯანსაღი ადამიანური გრძნობის სამსახურს არასოდეს არ ივიწყებს ვ. ბარნოვი. ამავე მიმართულებით მეტად დამახასიათებელია „თამარ ჰრწემში“ გამოთქმული სიტყვები იმაზე, რომ ჯანსაღი, ნათელი გრძნობის უარყოფა არ შეიძლება, რომ ის მიმზიდველი და მშვენიერია. ამიტომაც, რომ თვით ბერიც კი ფიქრობს ასკეტური ცხოვრების დაგმობაზე („ღედოფალი ბიზანტიისა“).

ვ. ბარნოვი ქალისა და სიყვარულის, სულიერისა და ხორციელის საკითხში არასოდეს არ მიდიოდა იმ უკიდურესობამდე, რაც დამახასიათებელია, მაგალითად ა. ფრანსისათვის. ცნობილია, რომ თავის შემოქმედებაში ეს სახელოვანი მწერალი ამ საკითხს დიდ ადგილს უთმობს, მაგრამ იგი უკიდურესობაში ვარდება, თვითდატკობის კულტს ქადაგებს, სულიერისათვის სამსახური და ზრუნვა უაზრობად მიაჩნია („თაისი“). ვ. ბარნოვი სულიერისა და ხორციელის, ქალისა და სიყვარულის საკითხში ძლიერ ახლოს დგას რუსთაველთან და მის გმირებთან. ვ. ბარნოვის მთავარი აზრი მშვენიერებისა და სიყვარულის შესახებ, პირდაპირ პერიფრაზაა რუსთაველის შეხედულებებისა. შემთხვევითი როლია, რომ

„დედოფალი ბიზანტიისაში“ გიორგი მეფის ასულს მასწავლებელი-ბერი „ვეფხისტყაოსნის“ სიტყვებით განუმარტავს მიჯნურობას...¹

* * *

მოწინავე მეცნიერების თანახმად, წარსულის შეცნობა სრულიად შესაძლებელია. მაგრამ ეს შეცნობა წარსულისა სოციალურად განსაზღვრულია. იმის მიზეზი, რომ სხვადასხვა მწერალი ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქას და მოვლენას სხვადასხვანაირად ასახავს, უმთავრესად უნდა ვეძიოთ არა „ობიექტური სამყაროს სხვადასხვაობაში“, არამედ სოციალური ინტერესების განსხვავებულებაში. მწერალი ისტორიას „გულგრილად“, „განურჩევლად“ როდი მიმართავს, აქ ვარკვეული კანონზომიერება მოქმედებს.

როდესაც მწერლები „გარბიან ეპოქისაგან“ და გადადიან წარსულში, ამით ისინი არსებითად თავისებურად უდგებიან თანადროულობას. ისტორიული ფაქტების გათვალისწინება, მის საფუძველზე შექმნილი მხატვრული სახეები განისაზღვრება იმ პოზიციით, რომელიც მწერალს უჭირავს თანადროულ სოციალურ ურთიერთობაში; ისტორიის კანონზომიერებას მწერალი შეიცნობს თანადროულობაში აღებული ორიენტაციის მეშვეობით. სხვადასხვა კლასის მწერლები „წარსულის სულს“ იხმოზენ იმისათვის, რათა ისინი ჩაებნენ თანადროულობის კლასობრივ ბრძოლაში. ამ შემთხვევაში ისტორიის ძირითადი პრობლემები და ცენტრალური ისტორიული ფიგურები ყოველთვის გამოდიან იმ ეპოქის რეფლექტორით გაშუქებული, რომელშიც იქმნება ნაწარმოები. XV¹¹ საუკუნის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში აღმავალი ბურჟუაზია და მომაკვდავი თავადაზნაურობა სხვადასხვაგვარად უდგებოდა ისტორიას. დამარცხებული ფეოდალიზმის დამცველები წარსულს ხვევდნენ რეაქციული რომანტიზმის ბურჟუსში. ამ მიმართულებების წარმომადგენელი მწერლები თავიანთ ამოცანად სრულიად არ ისახავდნენ წარსულის სრულყოფილ მხატვრულ გამოხატ-

¹ შეად. ვ. ბარნოვი — „შოთა რუსთაველი“, — მნათობი“. 1938 წ. № 1.

ვას. მათთვის წარსული იყო თანადროულობის „შეურაცხყოფისაგან“, „დამშვიდების“, „თავდაცვის“ საშუალება. ისინი აქებდნენ შუა საუკუნეების ცხოვრებას, აღფრთოვანებულნი იყვნენ კათოლიციზმის სიმშვენიერით და ამ ეპოქის კულტურისა და ხელოვნების პარმონიულობით და სხვ. ცხოვრების მწვერვალებსაქენ აღმავალი ბურჟუაზიაც ასევე დიდის ინტერესით იცქირებოდა წარსულისაქენ, თავისი პოლიტიკური მძლეობის განმტკიცებისათვის იგი ისტორიაში ეძიებდა „დასაყრდენს“, „აცოცხლებდა“ აქტიურ მებრძოლ პიროვნებებს. რომაელებსა და ბერძნების მოქალაქეობრივი ცხოვრება ხდება მათი იდეალიზირების მთავარ ობიექტად. სწორედ ამიტომ ისტორია თავადაზნაურობისათვის იქცევა უკან დასახევე გზად, ხოლო ბურჟუაზიისათვის მისი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე — განმტკიცებისა და გაძლიერების საშუალებად. წინააღმდეგ თავადაზნაურული და ბურჟუაზიული შემეცნებისა, რევოლუციური პროლეტარიატის შემეცნება ხასიათდება ნამდვილი ისტორიზმით. მისი მსოფლმხედველობა იძლევა შესაძლებლობას სრულიად შევიცნოთ ისტორიული პროცესის ნამდვილი კანონზომიერება და არსებითი ობიექტური შინაარსი. ისტორიული პროცესის საერთო კანონები მედაზნდებიან ცალკეული ისტორიული ფაქტების საფუძველზე და შეიცნობიან მხოლოდ მათი მეშვეობით. მაგრამ ამავე დროს, ყოველი ნამდვილი, მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, მიუხედავად თავისი ინდივიდუალობისა, წარმოადგენს როგორც ისტორიულ განვითარების საერთო კანონების, ისე მოცემული ფორმაციის განსაკუთრებული კანონების გამოხატულებას.¹

* * *

მიდრეკილება ისტორიული თემებისადმი როდი იყო ვ. ბარნოვისათვის შემთხვევითი რამ. ეს განსაკუთრებული ინტერესი ისტორიული თემებისადმი აღმოცენებული იყო გარკვეულ საზოგადოებრივ შეხედულებათა საფუძველზე.

¹ ფრ. ენგელსი — „ანტიდუჩინგი“, თარგ. გერმანულიდან ვ. ჭიქოძის მიერ, სახელგამი. 1933 წ. გვ. 7.

XIX საუკუნის ნაციონალურ-განმათავისუფლებელ მოძრაობის წარმომადგენელ მწერალთა ტრადიციების საფუძველზე. „ბევრი ფერადი სურათი მომანვენა აწმყომ, უფრო მეტი წარსულმა“¹ — აცხადებდა ვ. ბარნოვი და ამით ნიშანდობლივ აღნიშნავდა თავის ინტერესთა და მიდრეკილებათა ხასიათს.

ვ. ბარნოვის შეხედულებების თანახმად, ისტორიაში არის ადამიანის იდეალურ მისწრაფებათა დასაყრდენი. ამიტომაც, რომ იგი ერთ-ერთი თავის ნაწარმოების პერსონაჟის პირით გვეუბნება: „მიყვარს ბაზარში სიარული, თვალიერება. ჩემი გასართობი ეს არის. ახალ ბაზარში არა, ევროპიდან გადმოსულ მაღაზიებში. იქ არაერთიარო ნაქმე არა მაქვს. ძველ ქუჩებში შევხვდები იქ... ნივთს უწინდელს, თუ ნივთს ნატებს... თვითელი ძველი ნაშთი გიამბობს თავის თავგადასავალს, გეტყვის წარსულს, რამდენი თაობა გამოუვლია, რამდენჯერ დახმარებია ადამიანს ძნელ სიცოცხლეში“.² არსებითად ამ სტრიქონებში გამოთქმულია მთელი დედააზრი ვ. ბარნოვის დამოკიდებულებისა ისტორიული მოვლენებისადმი, ამ „უწინდელი ნივთით“ გატაცება უდევს საფუძველად მის აზროვნებას. წარსული და მის ნიადაგზე აღმოცენებული კოლიზიები ამოძრავებს ვ. ბარნოვის შემოქმედებას.

ვ. ბარნოვს გააჩნია ისტორიული პროცესის გაგება-გააზრების თავისებური კონცეფცია. მისი წარმოდგენით ისტორია არის ადამიანთა შეუგნებელი, ბედისწერით განსაზღვრული ცხოვრების გამონახატულება, ისტორიის კანონები ამავე დროს არის სტიქიური, ბედისწერასთან დაკავშირებული ცხოვრების კანონები.

ისტორიულ მოვლენებს ვ. ბარნოვი ხსნის, როგორც ცალკეული გამოჩენილი პიროვნების მოქმედების შედეგს. ისტორიული პროცესის ერთადერთი გადამწყვეტი ფაქტორი მისი აზრით რჩეული ადამიანები არიან; მოვლენებს მიმართულებას აძლევს არა ობიექტურ-ისტორიული პირობები.

¹ ვ. ბარნოვი — „ვარდუანჯები“; სახელკაში, თბილისი, 1929 წ. გვ. 67—68.

² იქვე.

არამედ რჩეულ პიროვნებათა. სურვილები და მისწრაფებები. ისტორიული მოღვაწენი არიან მხოლოდ ბრმა შემსრულებელნი. უმაღლესი ძალის განზრახულებისა. ყველაფრის მიზეზი, სათავე განმსაზღვრელი არის ღმერთი, ან ბედისწერა. უარყოფს რა ვ. ბარნოვი ადამიანთა ნების თავისუფლებას, სთვლის რა მას ილუზიათ, იგი აუცილებლობით მიდის ფატალიზმის აღიარებამდე.

ასეთია ვ. ბარნოვის ფილოსოფიურ და ისტორიულ შეხედულებათა მთავარი მომენტები. ეს შეხედულებები დაუდგვა საფუძვლად მან თავის მხატვრულ პრაქტიკას, განსაკუთრებით ისტორიულ რომანებს. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ვ. ბარნოვის ამ შეხედულებებში ერთგვარი წინააღმდეგობანიც კი შეინიშნება.

ცნობილია, რომ კლასიკოსებს ჰქონდათ თავიანთ ეპოქასთან შეფარდებით მოწინავე ისტორიული კონცეფცია, რაც გულისხმობს ხალხის როლის პირველ რიგში წამოწევას. ი. ჭავჭავაძის ფილოსოფიურ-ისტორიულ კონცეფციაში ხალხი არის მატარებელი დიდი შემოქმედებითი საწყისებისა, ხალხი ქმნის ყველა მატერიალურ ღირებულებას. ი. ჭავჭავაძისათვის ისტორია შეადგენს ხალხის ცხოვრების კანონზომიერ განვითარების პროცესს. ამ თვალსაზრისით იგი დაუპირისპირდა იმას, რომლებიც ისტორიას განიხილავდნენ, როგორც მარტოოდენ მეფეთა მოღვაწეობის ასპარეზს, როგორც გარეგანი ფაქტებისა და შემთხვევების ისტორიას. ჭეშმარიტი ისტორია — ხალხის ისტორიაა. საგულისხმოა ი. ჭავჭავაძის პირადი წერილი დრამატურგ დავით ერისთავისადმი. „სამშობლოს“ ავტორს იგი წერს: „ამ აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზე შევდექ და ერთი ბიჭი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი რა ექნა? ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო-მეთქი. ეს ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს, შე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს“. იმავე მოსაზრებას გამოთქვამს ი. ჭავჭავაძე თავის ერთ პუბლიცისტურ სტატიაში: „ჩვენი ხალხისა და ქვეყნის ისტორია მეტად ძნელია და შეუმუშავებელი, ჩვენს ისტორიაში ან სულ არ არის ფაქტები ჩვენის ხალხის

ცხოვრების შესახებ და თუ არის კანტიკუნტად სადმე, რომელშიაც ერთობ ხალხი იჩენს თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობას ისტორიაში. ერთი სიტყვით, ჩვენის შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდააუხდელია და უცნობია ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია“. აქ არის გამოთქმული პროგრამა ამ ჰუმანიზმისა, და დემოკრატიზმისა, რომლითაც გამსჭვალულია ი. ჭავჭავაძის მთელი შემოქმედება, მისი ისტორიული თვალთახედვა. ისტორიული რომანების ავტორმა არა მარტო უნდა აღნიშნოს ისტორიული ფაქტები, არამედ კიდევ უნდა გაიგოს ისინი განვითარების პროცესში, დაინახოს კავშირი მოვლენებსა და ადამიანებს შორის, მოვლენათა ცენტრში დააყენოს ხალხი.

* * *

XIX საუკუნის 90-იან წლებიდან ისტორიული რომანის განვითარება ქართულ ლიტერატურაში არსებითად განსაზღვრა ორმა მწერალმა — ე. ნინოშვილმა და ვ. ბარნოვმა. პირველმა ნაწარმოებით — „ჯანყი გურიაში“ და მეორემ კი მრავალრიცხოვანი რომანებით.

ე. ნინოშვილმა ისტორიული მასალების მიხედვით შექმნა „ჯანყი გურიაში“. საფუძვლად ამ რომანს გასული საუკუნის ორმოციან წლებში გურიაში მომხდარი რეალური ფაქტები უდევს. ე. ნინოშვილი თავის ნაწარმოებში, საერთოდ, არ სცილდება ისტორიული სინამდვილის ფარგლებს, მაგრამ შინაარსის მიხედვით მას ამძაფრებს და მკვეთრ სოციალურკლასობრივ ბრძოლის ფონზე იძლევა. ამ რომანის პერსონაჟების უმეტესობა ისტორიულად ცნობილი პირები არიან.¹ გარდა ისტორიული ფაქტების სიზუსტისა, ე. ნინოშვილმა თავის ნაწარმოებში განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია

¹ ს. ხუნდაძე — „ჯანყი გურიაში“, იხ. ე. ნინოშვილის თხზ. სრული კრებ. ტომი პირველი, გამ. „ფედერაცია“, 1932 წ. გვ. 304.

ისტორიულად მოქმედი სოციალური ფენებისა და კლასების როლს 40-იანი წლების გურიის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. რომანში მკვეთრად არის ასახული ერთის მხრით, ყვავლების ყოფა და მდგომარეობა და მეორეს მხრით, მემამულე-თავადაზნაურობის მისწრაფებანი. ე. ნინოშვილი უყურადღებოდ არ სტოვებს თვითმპყრობელობის პოლიტიკური ბიუროკრატიული აპარატის წარმომადგენლებსა და მათ საქმიანობას.¹

ე. ნინოშვილის რომანის მთავარ იდეას შეადგენს ქართული ხალხის ცხოვრებაში მომხდარი კლასობრივი ბრძოლისა და წინააღმდეგობის ასახვა. ნაწარმოებში პირველ პლანზე წამოწეულია სოციალური მომენტები, რომელთა მთავარი აზრი თვითმპყრობელური რუსეთის ბატონობისა და ბატონყმური ურთიერთობის მოსპობაში მდგომარეობდა. გურულ გლეხთა ეს პირველი მასიური მოძრაობა ვიწრო შინაარსიდან, როგორც იყო იგი პირველ ხანებში, გადაიქცა ფართო რევოლუციურ ბრძოლად, რომელიც მიმართული იყო მთელი სოციალური პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ.

ე. ნინოშვილი მოვლენებს ისტორიისა, ისტორიული ეპიზოდებისა და არსებული ქრონიკების მიხედვით ავითარებს. ძირითადად მას არ სჭირდება ისტორიული ფიგურებისათვის ისეთი ყოფითი ელემენტების, ან ნიშნის მიმატება, რომელიც მხოლოდ მხატვრული „გამოგონება“ იყოს. ამავე დროს იგი არ გამოდის ცივი მთხრობელის, მეთვალყურის როლში, არამედ იძლევა გამახვილებულ კლასობრივ შეფასებას, მკვეთრ კოლიზიას. ცნობილია, რომ პირველ ხანებში მემამულენი ცდილობდნენ გლეხთა ეს მოძრაობა თავიანთი ინტერესებისათვის გამოეყენებინათ, მაგრამ როდესაც გლეხთა ბრძოლა მიიმართა ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ, მემამულეთა განუხაზვდრელი უფლებიანობის მოსპობისაკენ, ამ უკანასკნელთ შესცვალეს გეზი და თვითმპყრობელობას ამოუდგინენ გვერდში. ე. ნინოშვილი ამ მომენტსაც საკმაოდ მკაფიოდ აღნიშნავს თავის ნაწარმოებებში².

¹ ს. ხუნდაძე — „ჯანყი გურიაში“ იხ. ე. ნინოშვილის თხზ. სრული კრებ. ტომი პირველი, გამ. „ფედერაცია“, 1932 წ. გვ. 304.

² იქვე — გვ. 299.

„ჯანყი გურიაში“, პრობლემათა აქტუალობით, დიდი სოციალური რომანია ქართულ ლიტერატურაში. ამ ისტორიულ რომანში ე. ნინოშვილმა ხაზგასმით აღნიშნა ის გარემოება რომ ჩვენი ხალხის წარსული არის კლასობრივი ბრძოლის შეუწყვეტელი ჭაჭვი, სოციალური კონფლიქტების დაუსრულებელი ასპარეზი.

ასეთი პროგრესიული, რევოლუციური თვალსაზრისი დიდად ამაღლებს ე. ნინოშვილის რომანის მნიშვნელობას ქართულ ლიტერატურაში.

ასე არ უდგება და არ ესმის წარსული ვ. ბარნოვს. მართალია, თავის რომანების გმირებს იგი ათავსებს ისტორიის ჩარჩოებში, მაგრამ ისტორიას უმეტეს შემთხვევაში იღებს თავისებურად, შემოზღუდულად, ნაკლებად აქცევს ყურადღებას სინამდვილის სოციალურ მხარეს. ვ. ბარნოვის რომანებში წარსულის პრობლემები, კონფლიქტები წყდება საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელი ძალის — ხალხისაგან დამოუკიდებლად, ხალხის მონაწილეობის გარეშე. ვ. ბარნოვის ნაწარმოებებში ხალხთა მასები დატოვებულია სცენის გარეთ, კულისებში, ან, უკეთეს შემთხვევაში, ნაჩვენებია, როგორც დეკორუმი, კრებული სტატისტიებისა. აქედან არის საზოგადოებრივი ფონის სიღარიბეც. მის რომანებში მოძრაობენ და მოქმედებენ თითქმის მხოლოდ მეფეები, მთავრები და თავადები. ვ. ბარნოვის არც ერთ ნაწარმოებში არ ჩანს ხალხი, დაბალი ფენა, რომელიც მტრულ განწყობილებაში იყოს მაღალ ფენასთან და მათ შორის სოციალური წინააღმდეგობა არსებობდეს. წარსულის ასახვისას ვ. ბარნოვი ცდილობს არასოციალური უთანასწორობისა და წინააღმდეგობის გარკვევა-გათვალისწინებას, არამედ იგი გადავარდნილია ისტორიული სახეების იდეალიზირებაში. მწერალი წარსულში ვერ ხედავს საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას. ამგვარად ვ. ბარნოვის ისტორიზმი საკმაოდ შემოზღუდულია.

ხალხთა მასების ცხოვრების ასახვის თვალსაზრისით ვ. ბარნოვის მრავალრიცხოვან რომანებში ერთგვარ გამონაკლისს შეადგენს „პირიმზე“ და „ისნის ცისკარი“. ამ ნაწარმოებებში მწერალი ჰგეტ ყურადღებას აქცევს ხალხის ცხოვრებას. მაგრამ არც ის იქნება მართებული, რომ თითქოს ვ.

ბარნოვი საერთოდ ვერ ხედავდა ხალხს. მისი მოთხრობების ცენტრში ხომ ხალხია გამოყვანილი.

ისტორიულ წარსულში თუ რამე წინააღმდეგობა არსებობდა, ვ. ბარნოვის წარმოდგენით, ეს უმთავრესად იყო ნაციონალურ-პატრიოტული და შემდეგ სიყვარულის ნიადაგზე აღმოცენებული წინააღმდეგობანი. ამიტომაც, რომ წარსულიდან იგი არჩევს ისეთ მოვლენებს, რომლებშიც უფრო მკაფიოდ მქლავნდება „რომანტიკული“ მხარე. თავის რომანებში ვ. ბარნოვი ცდილობს დაამტკიცოს ის თეზისი, რომ იცვლება ფორმები, ხოლო ადამიანის არსი კი ერთი და იგივე, უცვლელი რჩება მთელი ისტორიის მანძილზე; მუდმივია ადამიანთა ბიოგენეტიკური ინსტინქტები, ყველაფერი დანარჩენი კი შემთხვევითი და წარმავალია.

ვ. ბარნოვი ყოველთვის ცდილობს წარსულს ჩასწვდეს ფსიქოლოგიურ-მორალური განხრით. ამიტომ იგი ქმნის ფსიქოლოგიურ-ისტორიულ რომანსა და არა სოციალურ-ისტორიულ რომანს. მისი დამახასიათებელი თვისებაა დიდი ინტერესი გმირის ფსიქოლოგიისადმი, მისი შინაგანი ცხოვრებისადმი. იგი მთავარ ყურადღებას აქცევს ისტორიული სახეების ადამიანური თვისებების და გრძნობების გაცოცხლებას. ამიტომ მისთვის ძირითადი პრობლემა წარსულის ფონზე სიყვარული და სქესთა ურთიერთობაა. ვ. ბარნოვის გაგებით, არსებითად ეს ინდივიდუალური ხასიათის ინსტინქტები ამოძრავებდნენ დიდი ისტორიული ხასიათის მოვლენებსაც („ხაზართა საძილო“, „ტრფობა წამებული“, „ნათელმოსილნი“, „მიმქრალი შარავანდედი“ და სხვ.). ვ. ბარნოვისათვის საქართველოს წარსული ის ქარგაა, რომელშიც იქსოვება სასიყვარულო განცდები იდეალური გმირებისა. როცა მას სურს მოგვეცეს სამშობლოსათვის თავდადებული, ღრმა პატრიოტული გრძნობებით აღსავსე გმირი, მაშინ ისტორიული ფაქტები შედარებით ვრცლადაა გადმოცემული, ხოლო როცა ნაწარმოებში წინა პლანზე სიყვარულის ინტრიგას აყენებს, მაშინ ამ ისტორიულ ფაქტებს ნაკლები მოცულობის არეში ვხვდებით.

ვ. ბარნოვის მსოფლმხედველობის დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ღრმა პატრიოტიზმი. მისი მხატვრული ნა-

წარმოებები გამსჭვალულია სამშობლოს სიყვარულის დადი გრძნობით.

ვ. ბარნოვი ამაყობს თავისი ქვეყნის ისტორიით, მისთვის ნათელია, რომ ქართველობამ საუკუნეთა მანძილზე გამოატარა გმირობისა და ვაჟკაცობის იდეალი, სამშობლოს განუსაზღვრელი სიყვარულის გრძნობა.

ვ. ბარნოვს კარგად ესმის ის გარემოება, რომ მრავალსაუკუნოვან მძიმე, დაძაბულ ბრძოლაში მტრებთან ქართველი ხალხი იცავდა თავის მიწა-წყალს, თავის დამოუკიდებლობას, თავის ენასა და კულტურას, რომ ხალხი აქებს თავის გმირებს. რომელთა სახელი გაუთქვეს სამშობლოს უცხოელ დაჩუბობთა წინააღმდეგ ბრძოლით. ამიტომ არის, რომ მის მიერ დახატულ პერსონაჟებისთვის სამშობლოზე უძვირფასესი სიტყვა და გრძნობა არ არსებობს. ისინი არჩილ მეფის მსგავსად („ხაზართა სასძლო“), მზად არიან თავიანთი სიცოცხლეც კი გასწირონ ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის; სამშობლოს განუსაზღვრელი სიყვარულის გრძნობას ამჟღავნებენ არა მარტო მამაკაცები, მათ ქალებიც არ ჩამორჩებიან. „ისნის ცისკრის“ გმირი ქალი გამძვინვარებულ მტერს პირდაპირ მიმართავს, რომ მის შეყვარებულს ერთადერთი სატრფო ჰყავს — სამშობლო და მისი განთავისუფლებისათვის ზრუნავსო, ხოლო ჯეჰან-შაჰის თავდასხმის დროს სამშვილდეს ციხის დამცველთა შორის ქალებიც იყვნენ, რომლებიც ვაჟკაცურად იბრძოდნენ და კიდევ ემსხვერპლნენ საქვეყნო საქმეს, რამაც მტერიც კი განაცვიფრა („ნათელმოსილნი“). სამშობლოს სიყვარულისა და დაცვის იდეა წარმართავს ვ. ბარნოვის რომანების პერსონაჟების დიდი ნაწილის ცხოვრების აზრს.

დამახასიათებელია ის გარემოება, რომ როდესაც ვ. ბარნოვი ამა თუ იმ გმირის პატრიოტულ გრძნობასა და ალტყინებაზე ლაპარაკობს, თვით ერწყმის მას — ამ გრძნობასა და ალტყინებაში, სამშობლოს მოსიყვარულე გმირი მისი გმირიცაა, რომლის მაგალითსაც ყველამ უნდა მიბადოს.

კემმარიტ მხატვრულ ნაწარმოებს ყოველთვის აქვს უდიდესი შემეცნებითი მნიშვნელობა. ნიჭიერად დაწერილ ისტორიულ რომანს შეუძლია მისცეს მკითხველს შორეული საუკუნეების, წარსული ცხოვრების მოვლენებისა და ადამიანების შესახებ ბევრად უფრო ცხოველი, ნათელი წარმოდგენა, ვიდრე მრავალმა სპეციალურმა გამოკვლევამ.

ვ. ბარნოვის ისტორიული რომანები საქართველოს წარსული ცხოვრების ბევრ დამახასიათებელ, ყოფითს ეპიზოდს თუ სურათს ნათლად და სისწორით წარმოგვიდგენს. ვ. ბარნოვი მხატვრულ-შემოქმედებითი გზებით შედის ისტორიაში. თითქმის ყოველთვის იცავს ისტორიულ პირთა მოქმედების ფაქტურას და ამავე დროს მას უფარდებს ნაწარმოების შინაგანი კანონზომიერების ლოგიკას — ორი კატეგორიის მოვლენები — ისტორიული და ესთეტიკური ხასიათისა, რომლებიც მხატვრულ ნაწარმოებში ხვდებიან ერთმანეთს, ვ. ბარნოვს ყოველთვის უნისონში მოჰყავს.

ვ. ბარნოვის სამწერლო მოღვაწეობის წლებში (რევოლუციამდე) საკმაოდ იწერებოდა და ქვეყნდებოდა ჩვენში ისტორიული მხატვრული პროზის ნიმუშები. მათგან თითქმის ვერც ერთმა ვერ გაუძლო გამოცდას, მაშინ, როდესაც ვ. ბარნოვის როლი, როგორც ისტორიული მხატვრული პროზის ოსტატისა, რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება.

ვ. ბარნოვის მთავარ დამსახურებას ქართული ლიტერატურის წინაშე შეადგენს ის, რომ მის შემოქმედებაში ისტორიული რომანი ჩამოყალიბდა, როგორც განსაკუთრებული, სპეციფიკური ჟანრი. იგი ერთადერთი მწერალია XIX-XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც თითქმის თავისი შემოქმედება მიუძღვნა ისტორიულ-მხატვრულ პროზას და გამოიმუშავა თავისებური მეთოდი ისტორიის მხატვრული ასახვისა.

ქართულ ლიტერატურაში ისტორიული მხატვრული პროზის ჟანრის განმტკიცებისას ვ. ბარნოვმა გაითვალისწინა ის მიღწევები, რომლებიც ამ ჟანრს გააჩნდა მთელი თავისი განვითარების მანძილზე საერთოდ. ამ მიღწევების კრიტიკული გადამუშავების საფუძველზე მან ორიგინალური ხასიათი

მისცა ისტორიულ რომანს. ამიტომ არის, რომ ვ. ბარნოვს ისტორიული წარსულის ჩვენების განსხვავებული, თავისებური მეთოდი აქვს. ახალ ქართულ ლიტერატურაში იგი გვევლინება ისეთ მწერლად, რომელიც არავის არ ჰგავს, რომელსაც ვერაინ განიმეორებს. ვ. ბარნოვი იყო ჩვენი შორის, როგორც ძველი, შორეული ხნის წინათ არსებული დიდი სამხატვრო სკოლის ოსტატი, რომელიც სხვა დროსა და პირობებში კვლავ განაგრძობდა ხატვას ამ გარდასული სკოლის შემოქმედებითი პრინციპების მიხედვით. XX საუკუნის არა მარტო ქართულ ლიტერატურაში, არამედ დასავლეთ-ევროპულ და რუსულ ლიტერატურაშიც ბევრს შეგვხვდებით ასეთ ორიგინალურ შემოქმედს ისტორიული მხატვრული პროზის დარგში, როგორც ვ. ბარნოვია.

მნიშვნელოვანი დადებითი თვისება, რომელიც გააჩნია ვ. ბარნოვის შემოქმედებას ისტორიული მხატვრული პროზის ქანრში, არის წარსული ყოფის მრავალი არსებითი მოვლენის დამაჯერებლად და პოეტურად გამოსახვა. თავისი დიდი შემოქმედებითი ინტუიციით მან ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულის მრავალი ბნელი კუთხე გაგვინათა და დაგვანახვა იმ დროის მოვლენები და ადამიანები თავიანთი ზრახვებით და მოქმედებით, ყოფის დამახასიათებელი ნიშნებით და სხვ. ვ. ბარნოვი არ ჰგავს იმ მწერლებს, რომელთათვისაც ისტორიას არა აქვს დამოუკიდებელი ინტერესი, რომლებიც ნაწარმოებებში შეგნებულად გვერდს უხვევენ ისტორიულ სიმართლეს, გადააქვთ აქცენტი სუბიექტივისტურ თვალსაზრისზე.


ვ. ბარნოვს განსაკუთრებით მდიდარი სიტყვარი გააჩნია. მისი ყოველი ისტორიული რომანები ამ მხრივ პირდაპირ განსაკვიფრებელ მრავალფეროვანებას წარმოგვიდგენს. მაგრამ თანამედროვე მკითხველის ინტერესისა და მოთხოვნის თვალსაზრისით ერთგვარად სადისკუსიოა მისი შემოქმედების ენობრივი ინვენტარი.

ვ. ბარნოვი ჩაკეტილია თავის მიერ გამოხატულ ეპოქებში. მას არ შეუძლია წარსულის ფაქტების შორიდან შეხედვა. მას არ ესმოდა ის კლასობრივი, წინააღმდეგობანი, რომლებიც ახასიათებდნენ ჩვენი ისტორიის ამა თუ იმ ეპოქას. იგი ვერ ხედავდა წარსულს თანამედროვე, მოწინავე ადამიანის თვალ-

საზრისით. მას მხედველობიდან ეპარებოდა ის გარემოება, რომ მწერალი „ეკუთენის თავის საკუთარ დროს, იგი ცხოვრობს თავის თანამედროვე დროის ზნე-ჩვეულებით, იზიარებს მის შეხედულებებს და წარმოდგენებს“ (პეგელი). აქედანაა, რომ ვ. ბარნოვის რომანებს ყოველთვის აკლია ისტორიული პერსპექტივა. ვ. ბარნოვი წერს წარსულზე, და თვითონაც იჭრება. იგი ჩაკეტილია მის მიერ გამოხატულ ეპოქაში. ჩვენის აზრით, მწერალი წარსულის სურათების გაცოცხლებით უნდა უკავშირდებოდეს თავის თანამედროვეობას. წარსულისა და თავის თანამედროვეობის ფაქტები მწერალმა არ უნდა განიხილოს ისე, რომ არ ეძიოს მათი ერთმანეთთან დამაკავშირებელი ძაფები. თანადროულობასთან ცოცხალი, აქტიური დამოკიდებულების გარეშე შეუძლებელია ისტორიის მხატვრული აღდგენა. მწერალი წარსულის მოვლენების ასახვისას პროგრესული თვალსაზრისით უნდა იყოს გამსჭვალული. ალექსეი ტოლსტოის განცხადების თანახმად, „პეტრე პირველზე“ მუშაობა მისთვის იყო საშუალება და გზა თანამედროვეობის, მისი ისტორიული აზრისა და შინაარსის, განვითარების ტენდენციების გაგება-ათვისების საქმეში. სამწუხაროდ ეს თვისება, ეს ნიშანი აკლია ვ. ბარნოვს.

ვ. ბარნოვს, როგორც ისტორიულ-მხატვრული პროზის ოსტატს, საპატიო ადგილი უჭირავს XIX—XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. მისი ისტორიული რომანები განსაკუთრებით შემოქმედებითს მიღწევას წარმოადგენს პოეტურ-ესთეტიკური კულტურის განვითარებაში.

შორეულ გზებზე



სხვადასხვა ქვეყანაში

ბოსფორის ნაპირებზე

მაისი...

გამოღვიძებული და ამწვანებული ბუნება...

ჩვენ ვიშყოფებით ოღესაში. აქედან ვიწყებთ პოგზაურობას ევროპის გარშემო. თბომავალი „გამარჯვება“ უკვე დგას ნავსადგურში და ელოდება ტურისტებს. საღამოს ათი საათიდან დაიწყება მგზავრების ჩასხდომა.

ირგვლივ დიდი მოძრაობაა. გამგზავრების წინ ტურისტები ოღესიდან დეპეშებსა და წერილებს აგზავნიან თავიანთ ოჯახებში. ზოგი პირველად მოგზაურობს გემით და ისიც ასეთ შორეულ გზაზე, როგორც სახეზე ეტყობათ, ღელავენ კიდეც.

თბომავალზე გვხვდებიან მუსიკით. ყველამ დაიკავა კაიუტებში. მათთვის განკუთვნილი ადგილი. დილის ოთხ საათზე

გეპი გავიდა ოდესის ნავსადგურიდან და გეზი სტამბოლისაკენ
აიღო.

გათენდა. გამოვდივართ გემბანზე. მშვიდი ზღვა მზის
შუქზე მრავალფერად ლივლივებს. ჩვენი დიდი სამშობლოს
სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული და ერთად თავმოყრილი
მგზავრები თანდათან ეცნობიან და უახლოვდებიან ერთმანეთს.
თითქოს ერთი ოჯახის წევრები იყვნენ. იწყება საუბარი
იმ ქვეყნების შესახებ, რომლებიც უნდა ვნახოთ. თითქმის
ყველა გართულია: ზოგი გემის დიდ აუზში ბანაობს,
ზოგიც მზის აბაზანას ლებულობს, ზოგიც უკრავს და
ზოგიც სხვადასხვაგვარ სპორტულ თამაშშია ჩაბმული.

შუადღის შემდეგ ზღვამ თანდათან იცვალა ფერი, აბობოქრდა.
საღამოს უკვე ხუთ ბალამდე მიაღწია ღელვამ. ზოგმა
კაიუტებს მიაშურეს და უვანშობლად დაწვნენ. ამ მოგზაურობისას
ეს მათთვის პირველი, არცთუ ისე სასიამოვნო შეხვედრა იყო
გამძვინვარებულ ზღვის სტიქიასთან.

სტამბოლში დილის ექვს საათზე უნდა შევიდეს თბომავალი.
მაგრამ ტურისტები უკვე ღამის სამი საათიდან ფეხზე არიან,
ცდილობენ არაფერი გამოჩინონ. შორს, ბოსფორის
შესავალთან, გამოჩნდა ორი მატერიკი — ევროპა და აზია,
თანდათან ვიწროვდება ნაპირები, უფრო გახშირდა დასახლებული
ადგილები, ძველი ციხე-სიმაგრეების ნანგრევები, მჩრეტები
მინარეთებით. ბოსფორის ორთავე ნაპირი დაქანებულ
ფერდობებს წარმოადგენს. მწირ ადგილებში მოჩანს ზღვამდე
ჩამოსული ქოხები, ხოლო მწვანეში საუცხოო ვილები და
სასახლეები. ბოსფორი ოცდაათი კილომეტრის სიგრძისაა.
იგი აკავშირებს შავ ზღვას (ევქსინის პონტს) მარმარილოს
(პროპინდიტას) ზღვასთან. იგივე ბოსფორი ჰყოფს
ევროპას აზიისაგან.

სტამბოლამდე დაახლოებით ათი კილომეტრი იყო დარჩენილი.
როდესაც ჩავუარეთ მწვანეში ჩაფლულ მოზრდილ სოფელს
კურეჩემშეს. ლეგენდის მიხედვით, ამ ადგილას შეჩერდნენ
ჯოლბეთიდან მომავალი იაზონი და მედეა.

სტამბოლი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია და სხვადასხვა დროს
მას უწოდებდნენ — ბიზანტიას, ახალ რომს, კონსტანტინეპოლს,
დერსაადეტს, დერალიეს, ისტამბულს, სტამბულს. ეს ქალაქი
დააარსეს ბერძნებმა 2616 წლის წინათ. შემდეგ იგი

რომაელებმა დაიპყრეს. 333 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ გაანთავისუფლა რა ქალაქი, უწოდა კონსტანტინეპოლი და გადააქცია ბიზანტიის სატახტო ქალაქად. 1453 წელს სულთან მეჰმედ დამპყრობელმა ბრძოლით აიღო ეს ქალაქი და ოტომანთა იმპერიის სატახტო ქალაქად გამოაცხადა.

სტამბოლი განლაგებულია ორ მატერიკზე — აზიისა და ევროპისა. ბოსფორის სრუტე ჰყოფს მას ორ ნაწილად. მთავარი ნაწილი სტამბოლისა ევროპაშია, მცირე ნაწილი — აზიაში. ოქროს რქის უბე, რომელიც შექრილია ხმელეთში. თავის მხრით ქალაქის ევროპულ ნაწილს ჰყოფს ორად — სამხრეთით — ძველი ანუ საკუთრივ სტამბოლი და ახალი, ევროპული სტამბოლი, რომელსაც ეწოდება გალატა და პერა. ეს ორი ნაწილი ერთმანეთთან ორი ხილით არის დაკავშირებული. პერაში თავმოყრილია საუკეთესო მღაზიები, საკონსულოები, თეატრები, რედაქციები. გალატა სავაჭრო ცენტრია. აქ არის ბანკები, სავაჭრო კანტორები, საზღვაოსნო სავაგენტოები, ბირჟა. ლამაზია ოქროს რქა. ეს სახელწოდება წარმოდგება მისი ფორმისაგან, რომელიც მოგვაგონებს რქას. ოქროს რქის ნაპირას მდებარეობს სტამბოლის უძველესი მეჩეთი, რომელშიც დაცულია თურქეთის სულთანების დინასტიის დამაარსებლის ოსმან პირველის ხმალი. სტამბოლის აზიური ნაწილი, რომელსაც სკუტარი ან უსკუდარი ეწოდება. ევროპულ ნაწილთან შედარებით ჩამორჩენილი ქალაქის შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი ვაწრო, ტალახიანი ქუჩებით.

სტამბოლში ჩამოსული უცხოელი ტურისტები პირველ რიგში მიჰყავთ ცნობილი მეჩეთებისა და სულთნების სასახლეების დასათვალიერებლად. სტამბოლში ხუთასამდე მეჩეთია, მათ შორის ბაიაზეთის, სელიმ პირველის, შაჰზადეს, სულეიმანიეს, ახმედ პირველის, მეჰმედ დამპყრობელის და სხვების. მეჩეთად არის გადაკეთებული ბიზანტიური ხუროთმოძღვრების სასწაული — წმიდა სოფიის ტაძარი ანუ აიასოფია.

აიასოფია შენდებოდა მეოთხე საუკუნიდან. კონსტანტინე დიდის დროიდან. მაგრამ მალე დაიწვა. თეოდოს უმცროსმა 415 წელს ხელმეორედ აღადგინა ეს ტაძარი. ჩვიდმეტი წლის შემდეგ — 432 წელს კვლავ დაიწვა. იმპერატორმა იუსტინემ

გადასწევითა მისი აღდგენა. მშენებლობა დაევალა ხუროთ-
მოძღვრებს ანთიმოს ტრალელს და ისიდორე მილეთელს. მის
მოსაკვზმავად წამოიღეს ძეგლები და ძვირფასი ქვები ათინი-
დან, რომიდან, ეგვიპტიდან. ტაძრის მშენებლობაზე მუშაობ-
და ათი ათასი კაცი. შიგნით იგი მორთული იყო ოქროვერცხ-
ლით, ძვირფასი ქვებით, სპილოს ძვლებით, მოზაიკით, მარმა-
რილოს ბოძებით. იუსტინეს პატივმოყვარე მეუღლე დედო-
ფალი თედოსია თურმე ტაძარში ოქროს ეტლით მიდიოდა.
ეტლში შებმული იყო თოთხმეტი თეთრი ცხენი.

ეს ტაძარი აგებული კვადრატულ საფუძველზე: 77—77
მეტრი განისა, სიგრძისა და სიმაღლისა. მთავარი გუმბათის
სიმაღლე 56 მეტრია, ხოლო დიამეტრი 32 მეტრი. გუმბათში
ორმოცი ნახევრად მრგვალი ფორმის ფანჯარაა დატანებული.
გუმბათის კედლები ოქროს ფონზე ძვირფასი მოზაიკით ყო-
ფილა მოხატული. ტაძრის კედლებს სხვადასხვა ფერის ძვირ-
ფასი მარმარილო ამშვენებდა. კაპიტელი და ლავგარდანი
სულ ოქროთი იყო მოპირკეთებული. ტაძარს შიგნით ჰქონდა
ას რვა პორფირის, გრანიტის და მარმარილოს სვეტი, კედრის
ხის კარებს ამშვენებდა ქარვისა და სპილოს ძვლის ჩუქურთ-
მები. საკურთხეველში ყველაფერი ვერცხლისა ყოფილა.

1453 წელს ორმოცდათოთხმეტი დღის ალყის შემდეგ
სულთან მეჰმედ მეორეს, ჯარებმა აიღეს კონსტანტინეპოლი,
გადასწვეს და გაძარცვეს ეს მდიდარი ქალაქი, ხოლო მცხოვ-
რებთ მუსრი გაავლეს. მატრო სოფიის ტაძრიდან თურქებს
გამოუყვანიათ მასში თავშეფარებული ათი ათასი ქალი,
ბავშვი და მოხუცი. მეჰმედ მეორემ სოფიის ტაძარი გადააქ-
ცია მეჩეთად და მას მიაღვა ერთი მინარეთი. შემდეგი დროის
სულთნებმა კიდევ სამი მინარეთი მიაღვეს და საკურთხეველი
შესცვალეს მიჰრებით. თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადე-
ბის შემდეგ აიასოფია მუზეუმად გადააქციეს. ახლა აიასო-
ფიაში რესტავრირებულია 6—12 საუკუნეების მოზაიკის
ნაწილი. ტაძარში შემონახულია ქრისტიანული წმინდანები.

აქედან გავემგზავრეთ სულეიმანიეს და ექვსმინარეთიანი
ცისფერი მეჩეთის დასათვალიერებლად. ცისფერი მეჩეთი
ააშენეს სულთან ახმედ პირველის მეფობისას, მეჩვიდმეტე
საუკუნის დასაწყისში, ბიზანტიის იმპერატორის სასახლის
ადგილას. ეს ყველაზე ლამაზი მეჩეთია სტამბოლში. ცისფე-

რი მეჩეთი ეწოდება მას იმ ქვეების ფერის მიხედვით, რომლითაც მორთულია. მეჩეთის შუაში დიდი აუზია. ამ აუზიდან წვიმისებურად ჩქეფს შადრევანი, რომლის შეხებებში ცისარტყელასავით ისახება ჩუქურთმებისა და დღის სინათლის ფერები. ყოველი მეჩეთის ეზოში ამოყვანილია წყლის სადენი მილები, მოწყობილია შადრევნები. მუსულმანური წესით მეჩეთში შესვლამდე მორწმუნენი ხელ-პირსა და ფეხს იბანენ. მეჩეთი ძვირფასი ნივთებითაა მოფენილი და მლოცველს არა აქვს უფლება ფეხსაცმელით გაიაროს მასზე. ფეხსაცმელი შესასვლელთან უნდა დასტოვოს. ჩვენ ტურისტებს ნაქსოვი წაღები ჩაგვაცვეს და ისე გაგვატარეს ნივთზე. ქალებისათვის მეჩეთში მოშორებით გამოყოფილია ცალკე მოფარებული სამლოცველო.

აიასოფლის მახლობლად არის სერალი თოფ-კაპუ-სულთნების სასახლე. მასში უთვალავი სიმდიდრეა დაცული. აქ არის შენახული სპარსეთის შაჰის ისმაილის მასიური ოქროს ტახტი, ძვირფასი ქვებით, ბრილიანტებით და მარგალიტებით მოჭედილი. ტახტი მას წაართვა ცოლებთან ერთად სულთანმა სელამმა. ამ სასახლეში ვნახეთ ერთ-ერთი ყველაზე დიდი მარგალიტი მთელ მსოფლიოში. როგორც ჩანს, სულთნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, რაც შეიძლება უფრო ძვირფასად მოერთოთ ოქროთი, ბრილიანტებით და მარგალიტებით თავიანთი სამეფო ტახტი.

თოფ-კაპუს სასახლეში დაცულია ჩინური ფაიფურის უძვირფასესი კოლექცია, ნივთები, კურჭლეული, იშვიათი ბიბლიოთეკა.

დოღმა-ბახჩეს სასახლე აშენებულია მეცხრამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში სულთან აბდულ მეჩიდის მიერ. შენობა შერეული სტილისაა და ზღვის ნაპირას გაგრძელებულია ნახევარ კილომეტრზე. ეს სასახლე სამასზე მეტი დარბაზისაგან შედგება. მის მორთვაზე უამრავი ოქროა დახარჯული. ცალკე დარბაზებში ყოფილა სულთნის პარემი.

სტამბოლში მრავალი ბაზარია, მაგრამ ყველაზე ცნობილია ძველი ბაზარი (კაპალი ჩარში), რომლის ერთი ნაწილი ბიზანტიელების დროიდანაა დარჩენილი. არსებითად ეს არის მთელი ქალაქი გადახურული და მიხვეულ-მოხვეული ვიწრო ქუჩებით, სადაც სამი ათასზე მეტი დიდი და პატარა სავაჭრო

შენობაა. ეს ბაზარი იმდენად რთულ ლაბირინტს წარმოადგენს, რომ მასში გზის გაგნება ადგილობრივ მცხოვრებთაც უჭირთ. ბაზარი კვარტალებადაა დაყოფილი და თითოეულს სავაჭრო საქონლის ხასიათის მიხედვით აქვთ მიკუთვნებული სახელწოდება (მაგალითად, ქუმჯუ ჩარში — იუველირების ბაზარი და ა. შ.).

დავდივართ ქალაქის ქუჩებში, და ვათვალიერებთ ისტიკლიალუს, დამოუკიდებლობის ქუჩას. ეს მთავარი ქუჩაა სტამბოლში. ამ ქუჩაზე მანქანების დიდი მოძრაობაა, მაგრამ იქვე საპალნით დატვირთული ვირებიც გამოჩნდებიან ხოლმე, რომელთაც გვერდით უდგას ქალამნიანი, ტანისამოსშემოხეული პატრონი.

სტამბოლის ქუჩებში 8—12 წლის ბევრი ბავშვი შეგვხვდა. ისინი ფიზიკურ შრომას ეწევიან, ზოგი ფეხსაცმელების მწმენდავია, ზოგიც წყალს ყიდის, ზოგიც მისი წლოვანებისათვის შეუფერებელ ტვირთს ეზიდება. შთაბეჭდილება ისეთია, რომ სხვადასხვა სამხედრო ბლოკებში ჩაბმულ თურქეთს ეკონომიურად ძლიერ უჭირს, ხალხი საშინელ სიღარიბეში და გაჭირვებაში იმყოფება. თურქეთის რაიონებში გავრცელებული შიმშილობა გლახთა უზარმაზარ მასებს დიდ ქალაქებში მიიერეკება. უკანასკნელ დროს მკვეთრად გადიდდა ხალხის მოზღვავება სტამბოლში. გლახები მთელი დღეების მანძილზე თავიანთი ოჯახებითურთ ეძებენ ამ ქალაქში სამუშაოსა და პურს. მაგრამ ყოველი მათი ღონისძიება ამაოა... „მშიერი ბავშვები, — წერს გაზეთი „ჰიურიეთი“, — ევედრებიან დედებს, მშიერი დედები კი — ალაჰს. გლახთა უმრავლესობა, რომლებიც ქალაქს ჩამოვიდნენ სამუშაოსთვის, მძიმე მდგომარეობაშია. ყოველი სოფლიდან წამოვიდ 60-300 კაცი. აქაც, — იუწყებიან ისინი შინ გაგზავნილ წერილებში, — ძლივს ვარსებობთ, არა გვაქვს ფული, სოფელში რომ დავბრუნდეთ“

აიასოფიის მახლობლად, ათ-მეიდანის ერთ დროს იყო ბიზანტიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ცენტრი. ირგვლივ მას ამფითეატრი ერტყა და ასი ათას მაყურებელს იტევდა. მოედანზე დღესაც შემონახულია თეოდოსი დიდის მიერ, მეოთხე საუკუნეში ეგვიპტიდან წამოღებული ოცდაათი მეტრის სიმაღლე გრანიტის ობელისკი. ობელისკზე აჟო-

კრილი იეროგლიფები მოგვითხრობენ, რომ იგი გამოთლილია ჰელიოპოლისში ათას შვიდას წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

ბიზანტიური კულტურის საუცხოო ძეგლს წარმოადგენს იმპერატორ კონსტანტინეს მიერ ელადიდან წამოღებული ბრინჯაოს „გველის კოლონა“, რომელიც ადრე დელფებში წარმართული ტაძრის წინ იდგა.

იპოდრომის მოედანთან ვნახეთ იმპერატორ კონსტანტინეს სასახლის ნანგრევები საუცხოო მოზაიკით, რომელიც გამოხატავს მეომართა შერკინებას, ჩიტებს, ყვავილებს, ნადირობას.

სტამბოლის მუზეუმში დაცულია ანტიკური სკულპტურის ძეგლები, პართიანელი ხელოვნების საუცხოო ძეგლი — ჰერკულესის ქანდაკება და ალექსანდრე მაკედონელის სარკოფაგი.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სტამბოლის ნავსადგურში შესვლისთანავე ვიგრძენით განსაზღვრული პროფესიის პირების საგანგებო ყურადღება. ესენი თურქი პოლიციელები იყვნენ. ისინი სხვადასხვა „სტილის“ სამოქალაქო ტანსაცმელში იყვნენ გამოწყობილნი და ჩვენი იქ ყოფნის განმავლობაში არ მოგვშორებიათ. ჩვენს ტურისტულ ავტობუსებს ისინი მრავალრიცხოვანი საპოლიციო მანქანებით მოაცილებდნენ, ხოლო დანიშნულ ადგილას მისვლისას კიდევ ახალი და ახალი ჯგუფები გვხვდებოდნენ.

სტამბოლში იმ დროს მოგვიხდა ყოფნა, როდესაც ბაიარ-შენდერესის კამარილიის დღეები დათვლილი იყო. ჩავეუარეთ უნივერსიტეტი, მაგრამ მის შენობაში შესვლა არ შეიძლებოდა, მთავრობის განკარგულებით სწავლა შეწყვეტილი იყო, უნივერსიტეტი დახურული. უნივერსიტეტის ეზოში დავინახეთ ტანკებით და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული პოლიციელები. სტუდენტების დიდი ნაწილი დატუსაღებული იყო დემოკრატიული უფლებების მოთხოვნისათვის.

სანამ სტამბოლის გაცნობას დავამთავრებდით, წაგვიყვანეს იმ ადგილის დასათვალიერებლად. სადაც ოქროს რქა ბოსფორს უერთდება. ჩვენი ყურადღება შორს პატარა კუნძულმა და მასზე აღმართულმა თეთრმა კოშკმა მიიპყრო. ეს არის ქალწულ ლეანდრას კოშკი. მასთან დაკავშირებულია

ლეგენდა, რომლის მიხედვითაც სულთანის ულამაზეს ასულს უწინასწარმეტყველეს შხამიანი გველის კბენით სიკვდილი. შეშფოთებულმა სულთანმა თავისი ასული ჩაკეტა ყოველი მხრით წყალშემორტყმულ კოშკში, იქ თითქოს ვერ შეაღწევდა გველი. მაგრამ მასზე შეყვარებული რაინდის მიერ მისთვის გაგზავნილი ყვავილების კალათში აღმოჩნდა შხამიანი გველი, რომელმაც ხელზე უკბინა სულთანის ასულს და სიცოცხლეს გამოასალმა.

დავამთავრეთ სტამბოლის გაცნობა. დაღამდა, გავეშურეთ ჩვენი თბომავლისაკენ. ერთხელ კიდევ შევხედეთ სტამბოლს, ღამით იგი კიდევ უფრო ლამაზი მოჩანდა, ქალაქის ელექტროგანათება სხვადასხვა ფერებად ლივლივებდა ბოსფორსა და ოქროს რქაზე.

გავიარეთ მარმარილოს ზღვაც, ანუ როგორც ბერძნები უწოდებდნენ, პროპონდიტა. იგი ყველაზე მშვიდი და თბილი ზღვაა მსოფლიოში. ჩავუარეთ კუნძულ მარმარას, რომლისგანაც წარმოსდგა ზღვის სახელწოდება. ეს არის მარმარილოს საბადოებით მდიდარი კუნძული.

შევდივართ დარდანელში, რომელსაც ძველად ჰელენსპონტს უწოდებდნენ. იგი მიხვეულ-მოხვეული და ვიწრო სრუტეა, ერთმანეთთან მარმარილოსა და ეგეოსის ზღვას აკავშირებს.

ჩვენი თბომავალი შეუწევს სვლით მიაპობს ზღვას.

ელადის ძველ მინაზე

თბომავალი „გამარჯვება“ ეგეოსის ზღვაში შევიდა. უკვე იგრძნობა ელადის სუნთქვა. ეგეოსის ზღვაში მრავალი კუნძულია დაფანტული. ჩვენი თბომავლიდან კარგად მოჩანს ზოგი მათგანი — იმროსი, ლემნოსი, ლესბოსი.

ეგეოსის ზღვაში შემოგვხვდა ანტარქტიკიდან მომავალი ვეშაპების საჭერი ფლოტილია „საბჭოთა უკრაინა“, რომელიც დიდი ნადავლით ბრუნდებოდა სამშობლოში. ფლოტი-

ლიის თითოეული გემი ჩვენს თბომავალთან მოახლოებისას საყვირით მოგვესალმა. „გამარჯვებამაც“ საყვირითვე უპასუხა. მეზღვაურები ვაშას ძახილით შეხედნენ ერთმანეთს. კარგა ხანს გაგრძელდა ეს სურათი, რადგან როგორც ცნობილია, „საბჭოთა უკრაინის“ ფლოტილია მრავალრიცხოვანი გემებისაგან შედგება. მეტად გულმხურვალე შეხვედრა იყო სამშობლოდან დაშორებით!

გათენებისას ჩვენ თბომავალი შევიდა სარონის უბეში, სადაც მდებარეობს პირეი. პირეი ფართო, ბუნებრივად დატული ნავსადგურია.

პირეის შორეული ისტორია აქვს. ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნემდე ჩვენს ერამდე თანამედროვე ქალაქის ადგილას არსებობდა პირველხარისხოვანი ნავსაყუდელი. ჩვენს დროსაც პირეი წარმოადგენს ქვეყნის სამხედრო-საზღვაო და სამრეწველო ბაზას.

პირეის არქეოლოგიურ მუზეუმში სხვა ექსპონატებთან ერთად ჩვენი ყურადღება მიიპყრო ამ სამიოდე წლის წინათ აღმოჩენილმა ხელოვნების ძეირფასმა ძეგლებმა. 1959 წელს პირეის ნავსადგურის ტერიტორიაზე მიღების ჩასაწყობად ტრანშეის გათხრის დროს — მოულოდნელად პნევმატიკური ჩაქუჩი, რომელმაც მოანგრია ვეებერთელა ზოდი, სადაც ჩაეშვა. კიდევ გადათხარეს მიწა და, ასე იქნა აღმოჩენილი ძველი ელადის ხელოვნების შესანიშნავი განძი, რომელიც ოცი საუკუნის მანძილზე იმალებოდა მიწის ქვეშ. ნაპოვნი იქნა ბრინჯაოს ოთხი და მარმარილოს ერთი ქანდაკება, მარმარილოს ორი სტელა-რელიეფიანი ქვისფილები და ბრინჯაოს ნილაბი. ყველაფერი ეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI—IV საუკუნის ოსტატების ქმნილებები იყო. ყველაზე დიდ ისტორიულ და მხატვრულ განძს წარმოადგენს ქაბუკის ფიგურა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ ეს არის ადამიანის უძველესი გამოსახულება მოცემული ბრინჯაოში და ნაპოვნი ელადის ტერიტორიაზე; ქალის სამი ბრინჯაოს ფიგურა მოეკუთვნება ძველბერძნული ხელოვნების აყვავების პერიოდს; საუცხოოა ქალღმერთ ათენას ქანდაკება, რომელსაც ახურავს საბრძოლო მუზარადი. მეორე ფიგურა — ეს არის ქალიშვილის მომხიბლავი სახე. მესამე ქანდაკება გამოსახავს ქალღმერთ არტემიდას; მარმარილოში შესრულებულ ნაწარმოებ-

თა შორის განსაკუთრებით საინტერესოა ქალღმერთ დემეტრას ქანდაკება. გათხრისას ნაპოვნი ზოგიერთი მონაცემი მეცნიერებს უფლებას აძლევს ივარაუდონ, რომ ეს ქმნილებები რომში უნდა გაეგზავნათ სულას მეომრებს, მაგრამ ათენზე თავდასხმისას გაჩენილმა ხანძარმა მოსპო პირეის ნავსადგურის საწყობი და ქანდაკებანი ნანგრევქვეშ ჩაიმარხა.

პირეიდან ავტობუსებით წაგვიყვანეს ათენისაკენ უძველესი ნაშთებისა და ნანგრევების დასათვალიერებლად.

ათენი პირეიდან რვა კილომეტრითაა დაშორებული, მაგრამ ფაქტიურად ისინი შეზრდილია ერთმანეთთან. ათენის მდებარეობს ნახევარკუნძულ ატიკაზე.

პირეის ქუჩით შევედით ათენში. გავიარეთ პერიკლეს ქუჩა. კლდოვან გორაკზე გამოჩნდა ძველი ქალაქის — აკროპოლის ანუ აკროპოლისის არქიტექტურული ანსამბლი. აკროპოლისი ბერძნულად ნიშნავს „ზედა ქალაქს“.

მთელ მსოფლიოში ცნობილია ათენის ძეგლების უდიდესი ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობა. ავყევით ფეხით გზას და შემდეგ კლდეებზე გამოკვეთილ კიბეებს, რომელსაც მიყვებართ აკროპოლის გორაკზე.

ვხედავთ ძველი საბერძნეთის ბრწყინვალე არქიტექტორულ ძეგლებს, რაც უძლიერეს შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე. ამ ძეგლებიდან უფრო შესანიშნავია კლასიკური ეპოქის ხუროთმოძღვრების ძეგლი ათინა-პალადას ტაძარი — პართენონი. დიდი ბერძენი სკულპტორის ფიდიასის ხელმძღვანელობით არქიტექტორებმა იკტინმა და კალიკრატმა 447 — 438 წლებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე შექმნეს ეს შესანიშნავი შენობა.

პართენონი მნახველს აცვიფრებს თავისი ფორმის პროპორციებით. იგი მარმარილოსაგან იყო ნაგები და ამშვენებდა მრავალი ძვირფასი კოლონა. პართენონის მეტოპოზზე მოთავსებული ყოფილა რელიეფები, რომელნიც ათინა-პალადას მფარველობით მიღწეულ გამარჯვებებს გამოხატავდნენ, ხოლო ფრონტონები შემკუდრი იყო სკულპტურით მითოლოგიურ თემებზე, რაც შესრულებული იყო ფიდიასისა და მისი მოწაფეების მიერ. კოზმიდზე ყოფილა გამოჩუქურთმებული პანათინური დღესასწაულის პროცესია, რომელიც ყოველ

ოთხ წელიწადში იმართებოდა ათინა-პალადას საპატივცემულოდ.

ამ ტაძარში მოთავსებული იყო ათინა-პალადის უზარმაზარი ქანდაკება. ათენის მფარველი ღმერთის ქანდაკებას ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ გადმოცემები ადასტურებენ, რომ ეს იყო ფიდიასის უშესანიშნავესი ქმნილება და გარედან მორთული იყო ოქროთი და სპილოს ძვლით. ქანდაკება იდგა ტაძრის წინა ნაწილში და ძველი ათენელების დიდად საპატივცემულო კულტის საგანს შეადგენდა.

ეს იშვიათი ძეგლი მეჩვიდმეტე საუკუნემდე შედარებით კარგად იყო დაცული. მაგრამ ამ საუკუნის ბოლოს, 1687 წელს ვენეციელების თურქებთან ბრძოლის დროს პართენონის შენობა დიდად დაზიანდა. თურქებს პართენონში მოუწყვიათ ტყვია-წამლის საწყობი, რომელიც შემთხვევით მოხვედრილ ყუმბარისაგან აფეთქებულა და დაუზიანებია გარშემო ძვირფასი ძეგლები. შემდეგ ინგლისელმა ლორდმა ელჯინმა თურქი ფაშისაგან მცირე საფასურით აიღო ნებართვა და ინგლისში გაიტანა აკროპოლის მრავალი ძეგლი.

აკროპოლის ეზოში მიმოფანტულია დიდი და მცირე ფორმის მარმარილოს ნამსხვრევები ესენი აქ არსებული შენობებისა და ძეგლების ნამსხვრევებია.

პართენონის ახლოს არის მოთავსებული მეორე ტაძარი — ერექტიონი, შესანიშნავი თავისი ფორმების სილამაზით. საუცხოოა ამ ტაძრის მარმარილოს კარიკტიდები, რომელზედაც დიდი ოსტატობით გამოკვეთილია ქალთა ფიგურები, რომლის ყოველი დეტალი დიდი შემოქმედებითი გაქანებითაა შესრულებული.

არქიტექტორ მნესიკლს აუშენებია აკროპოლის წინა შესავალი — პროპილეი, ხოლო კალიკრატს — იონიური სტილის ტაძარი — ნიკი აპრეტოს (უფროთ გამარჯვება).

ეს საუცხოო შენობები დამშვენებული იყო შესანიშნავი სკულპტურული ნამუშევრებით. ჰუმბარტად აქ ყველგან ამეტყველებულია უსულო ქვა.

გაგვახსენდა ისტორიული შემთხვევა, რომელიც ამ ოციოდე წლის წინათ მოხდა. 1941 წლის 30 მაისს, ღამით აკროპოლზე ჩამოგლიჯეს ფაშისტური სვასტიკიანი დროშა და აღმართეს საბერძნეთის ეროვნული დროშა. ეს გმირობა ნიშანი

გახდა ბერძენი ხალხის გამათავისუფლებელი ბრძოლისა გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ. ვინ იყო გაბედული მებრძოლი, რომელმაც ეს ჩაიდინა? მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა მისი სახელი. შემდეგ გაიგეს, რომ ეს გაბედული აქტი ჩაიდინა მანოლის გლეზოსმა. ამის შემდეგ მის სახელს მოწიწებით წარმოთქვამდა ყველა, ვისაც უყვარდა თავისი სამშობლო. ხალხთა კეთილშობილურ მახსოვრობაში, მანოლის გლეზოსი გახდა თანამედროვეობის ლეგენდა.

ჩვენი იქ ყოფნისას აკროპოლზე მიმდინარეობდა სარემონტო სამუშაოები. გავეცანით ქვის მთლებებს, რომელთაგან ერთმა ენერგიულმა, ცოცხალმა ახალგაზრდა ბერძენმა ქვის მთელმა, რომელსაც თვითონ მანოლისი ერქვა, მიგვიყვანა ძალზე დაქანებული კლდის ნაპირას და აგვიხსნა, რომ ყველაფერი ეს ამ ადგილას მოხდაო. გადავხედეთ უზარმაზარ პირდაპირ დაქანებულ კლდეს და ძალზე გავცვიფრდით. ეს შეგვნიშნა ახალგაზრდა ბერძენმა: თავისი ხალხის სიყვარულმა ჩაადენინა ეს დაუჯერებელი გმირობა ჩვენს მანოლისსო.

მილიონობით ადამიანის თვალში მანოლის გლეზოსის სახელი გახდა სიმბოლო ბრძოლისა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, მშვიდობისათვის. მაგრამ წლების განმავლობაში მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი გმირი საბერძნეთის რეაქციულ მთავრობას გამომწყვდეული ჰყავს ციხის კედლებში.

აკროპოლში არის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელშიც თავმოყრილია განადგურებისა და მიტაცების შემდეგ გადაჩენილი ძეგლები. ამ მუზეუმის ექსპონატებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცევს მარმარილოს „ქალის თავმა“, ე. წ. „ბოტიჩელმა“, რომელიც გამოქანდაკებულია მეხუთე საუკუნის დასაწყისში ჩვენს წელთაღრიცხვამდე, „ცხენოსანმა“ იმავე ეპოქისა.

აკროპოლის სამხრეთით, თანამედროვე ქალაქის მიმართულებით, მოთავსებულია უძველესი დიონისოს თეატრი და იროდე ატიკის ოდეონი (საკონცერტო არენა). დიონისოს ღია თეატრი იტევდა ოცდათხუთმეტ ათას მაყურებელს. მის მიდამოებში დღესაც წარმოებს გათხრები.

აკროპოლიდან იშლება ათენის საუცხოო პანორამა. რო-

გორც გიღმა გვითხრა, ქალაქის ისტორიულ ნაწილში წარმოებს გათხრები და ამიტომ ამ ნაწილში არ აძლევენ ახალი შენობების აგების ნებასო.

ათენის ნაციონალურ-არქეოლოგიურ მუზეუმში წარმოდგენილია მატერიალური კულტურის, უმთავრესად მიკენის კულტურის ძეგლები — ქანდაკებები, სამკაულები, საოჯახო ნივთები, შენობების მოჩუქურთმებული ნაწილები; ვნახეთ „ელეფსინის ბარელიეფი“, რომელიც მითოლოგიური შინაარსისაა და შექმნილია ფიდიასის ეპოქაში; ამ მუზეუმში დაცულია სტელა — „ჰეჰესოს საფლავის ქვა“, რომელიც მარმარილოსაგანაა გამოქანდაკებული, დაახლოებით ორას ათწელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მისი შინაარსი ასეთია: ახალგზარდა მომაკვდავ ქალს ხელში უჭირავს პატარა თავახდილი ყუთი სამკაულებით, რომელიც მისთვის მოუწოდებია მოსამსახურეს. ნაციონალურ მუზეუმში ვნახეთ აგრეთვე ბრინჯაოს პოსეიდონი, რომელიც იქნევს სამკაბს; პარისი ვაშლით ხელში. ეს ქანდაკებები საუკუნეების განმავლობაში იყო ზღვის ფსკერზე, ალბათ მათი გამტაცებლების გემის დაღუპვის გამო. ისინი სხვა ძეგლებთან ერთად შემთხვევით აღმოაჩინეს ღრუბლების მჭრელმა უბრალო ადამიანებმა. იქვე დაცულია მკურნალობის ღმერთის ესკულაპის მარმარილოს თავი. შესანიშნავია „სპორტული თამაშობანი“, რომელიც ხასიათდება რთული კომპოზიციით.

ათენში კიდევ მრავალი სხვა მუზეუმი, მათ შორის ბიზანტიური ხელოვნების მუზეუმი, ნუმისმატიკური ნაციონალური მუზეუმი, ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმი, დეკორატიული ხელოვნების მუზეუმი.

დავათვალიერეთ ოლიმპიელი ზევსის ტაძრის ნანგრევები. ამ ტაძრის მშენებლობა დამთავრებულა 138 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. მხოლოდ მცირედი ნაშთებიღაა შემორჩენილი ამ გრანდიოზული ნაგებობისაგან, უმთავრესად კოლონადების სახით, რომელთაგან ზოგი უკვე წაქცეულია და ნაწილ-ნაწილადაა დაშლილი. ირგვლივ ფართო ველია, რომელიც ოდესღაც საუცხოო ნაგებობებით ყოფილა მორთული და ხალხის შესაქრები ადგილი იყო. ამ ტაძრისაგან არც ისე შორსაა ადრიანეს თაღი.

ათენის ცენტრში, პარკის წინ, აღმართულია დიდი პოე-

ტას ჯორჯ გორდონ ბაირონის ქანდაკება. ცნობილია, რომ ბაირონმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ბერძნების ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში და გარდაიცვალა მისოლუნგს, 1827 წელს. მართალია, მისი ნეშტი წაასვენეს ინგლისში, მაგრამ ბერძენმა ხალხმა მაინც შეინახა მისადმი პატივისცემა, რისიც დადასტურებდა ეს ძეგლი. ძეგლზე გამოხატულია მოკლე წამოსასხამიანი ქალი, რომელიც არის საბერძნეთის სიმბოლო. მომავლად პოეტს ეს ქალი თავზე ადგამს დაფნის გვირგვინს. ძეგლის წარწერაა: „საბერძნეთი — ბაირონს“. ძეგლთან ჩვენ დავინახეთ ახლად მიტანილი ყვავილები.

ათენის ცენტრია — ომონიას მოედანი, მისკენ მიემართება ქალაქის მთავარი ქუჩები. ამ რაიონშია მოთავსებული ოტელები, რესტორანები, კაფეები, მალაზიები, კინოთეატრები.

საყურადღებოა მარმარილოს სტადიონი, რომელზედაც 1896 წელს ჩატარებულ იქნა პირველი ოლიმპიური თამაშობანი.

ათენი კონტრასტების ქალაქია. მოდერნული მანქანების გვერდით მშვიდად მიემართებიან ვირები. როგორც კი გაცდებით ქალაქის ცენტრსა და მთავარ ქუჩებს, იწყება ვიწრო, ქოხმახიანი ქუჩები. ათენის გარეუბნები პატისია, პერისტერი, კოლოკინტა, ამბელოკიპი, ძირითადად მუშათა, ღარიბთა საცხოვრებელი უბნებია, ხოლო ფილირონი და კიფისია მდიდრების ვილებისა და საცხოვრებელი სახლების რაიონია. ათენის განაპირას მთელი უბანი შედგება ქოხებისაგან და მათში ცხოვრობენ შუა აზიიდან გადმოსახლებული ბერძნები, რომლებიც საშინელ სიღატაკესა და სიბინძურეში იხრჩობიან.

ათენის საუკეთესო და ხალხმრავალი ქუჩაა — პანეპისტიმიუ, რაც ნიშნავს უნივერსიტეტის ქუჩას. ამ ქუჩაზე, გარდა უნივერსიტეტისა, მოთავსებულია მეცნიერებათა აკადემია და ნაციონალური ბიბლიოთეკა.

მე და ჩემი მეუღლე ვსეირნობდით პირეის ნავთსადგურის მახლობლად, სანაპირო ქუჩაზე და ერთმანეთს ვესაუბრებოდით ქართულად. ჩვენს ახლოს დავინახეთ ფეხსაცმლის მწმენდავი. როგორც ჩანს, მან გაიგონა ქართული საუბარი, მიატოვა თავისი საქმე, და ჩვენკენ გამოეშურა. მას ღარიბულად ეცვა,

გაგვეცნო ქართულად — „პაპანდოპულო ვარო“. იგი თურმე დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში. ხანში შესულმა ბერძენმა გაიხსენა სამშობლო და დაბრუნდა საბერძნეთში. მაგრამ აქ მას, თურმე, გაუჭირდა ცხოვრება, სიღარიბეში იმყოფება მთელი მისი ოჯახი, შიუხედავად იზისა, რომ 12-14 საათს შრომობს დღეში. ჩემმა მეუღლემ მას აჩუქა საქართველოდან წამოღებული პაპიროსი — „თბილისის ათას ხუთასი წელი“. ძლიერ გაეხარდა. გამოვემშვიდობეთ. ცოტა რომ გავიარეთ, მოვიხედეთ უკან და დავინახეთ ფესსაცმელის მწმენდავთან მოგროვილიყო 20-30 კაცი და ათვალიერებდნენ საჩუქარს.

პირიდან გამოსულმა ჩვენმა თბომავალმა ჩაუარა საბერძნეთის მრავალ კუნძულს, მათგან განსაკუთრებით დაგვა-მახსოვრდა კუნძული აგიოსელიასი, სადაც უბრალო ბერძენი გლეხი ხვნის დროს შემთხვევით წააწყდა მიწაში ჩაფლულ გენიალურ ქანდაკებას — ვენერა მილოსელს.

იტალიის ცის ქვეშ

შემოუარა რა პელეპონესის ნახევარკუნძულს, ჩვენი თბომავალი გავიდა იონიის ზღვაში. ჰქრის ძლიერი ქარი. თითქმის შეუძლებელია ბაქანზე გამოსვლა.

გათენებისას „გამარჯვება“ მიუახლოვდა სიცილიას. მზიანი, მშვიდი, ნათელი დილაა. გარკვევით მოჩანს დასახლებული ადგილები და ყველაზე მაღალი მოქმედი ვულკანი ევროპაში — ეტნა.

შევდივართ მესინის სრუტეში, რომელიც ყოფს კუნძულ სიცილიასა და აპენინის ნახევარკუნძულს. სრუტედან გამოსვლისას კარგად გამოჩნდა ქალაქი მესინა, რომელიც კალაბრიასთან ერთად 1908 წელს. საშინლად გაანადგურა მიწისძვრამ. დაიღუპა ასი ათასზე მეტი ადამიანი. მიწისძვრა ამ მიდამოებში ხშირი შემთხვევაა. 1961 წლის 24 მარტს გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომ „დღეს ათ საათსა და 37 წუთ-

ზე მესინაზე მოხდა ძლიერი მიწისძვრა. მეცადინეობა სკოლებში და მუშაობა დაწესებულებებში შეწყდა, მოსახლეობამ დატოვა სახლები“.

გავიარეთ რა მესინის სრუტე, თბომაველი ტირენის ზღვით მიემართება ნეაპოლისაკენ.

განსაცვიფრებელი ფერების, მცხუნვარე მზისა და განთქმული სიმღერების ქალაქი გაშლილია ფართო და ულამაზეს ყურეში.

ნეაპოლი დიდი ისტორიის მქონე ქალაქია. მისი სათავე იწყება მეექვსე საუკუნიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იგი თავდაპირველად ყოფილა ბერძენთა ახალშენი. ნეაპოლში თითქმის არ იცის ზამთარი და თოვლი.

ჩვენი ჩასვლისას ნეაპოლის ნავსადგომის ტერიტორიაზე უკვე იღვა საგანგებო მატარებელი, რომელსაც უნდა წავეყვანეთ რომისაკენ.

ნავსადგურის წინ გადაშლილია მუნიციპალიტეტის დიდი მოედანი. ამ მოედნის დასავლეთის კუთხეში დგას მეცამეტე საუკუნეში აგებული დიდი ციხე-სიმაგრე—კასტელ-ნუოვო. ერთ დროს მასში ცხოვრობდნენ ნეაპოლის ესპანელი ვიცე-მეფეები.

ზაფხულის ნათელი, მზიანი დილაა. მატარებელი-ექსპრესი მიქრას კამპანიის მიდამოებში. მინდვრებში ვხედავთ ნათესებს — სიმინდს, კარტოფილს, მწვანე ლობიოს, პამიდორს, ხენდროს, წითელ ფხალს, ხეებსა და ხეებს შორის მავთულებზე გამართულ ვენახებს. როგორ გვაგონებს ყოველივე ეს ჩვენს ლამაზ ქვეყანას!..

მატარებელს თითქმის მთელს სიგრძეზე თან მიჰყვება უძველესი აპიუსის გზა, რომელიც გაკეთებულია მესამე-მეოთხე საუკუნეებში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ეს გზა რომს აკავშირებდა სამხრეთის პროვინციებთან. გზის გასწვრივ ვხედავთ სადარაჯო კოშკებს და დროდადრო ძველი რომაელების სასაფლაოების ძეგლებს. მოჩანს გრძელი ვიადუკები; რომლითაც რომი მახლობელი მთებიდან მარაგდებოდა სასმელი წყლებით.

ნეაპოლიდან გავიარეთ დაახლოებით ორმოცდაათი კილომეტრი და ჩავუარეთ აკვინოს; სამშობლო-ქალაქს ცნობილი პოეტის იუვენალისა.

ნეაპოლიდან წამოსულ ჩვენს მატარებელს სამ საათზე ნაკლები დრო დასჭირდა რომამდე. დილის რვა საათზე ნეაპოლიდან გამომგზავრებულნი, 249 კილომეტრის გავლის შემდეგ, დღის თერთმეტი საათისათვის შევედით რომის უზარმაზარ მოდერნულ სადგურში, რომელსაც ტერმინი ეწოდება. სტაციონე ტერმინი (ბოლო სადგური) — ერთ-ერთი ყველაზე დიდი სადგურია ევროპაში. იგი რომის ცენტრშია მოთავსებული და რკინაბეტონით და შუშით არის ნაგები. ტერმინი არა მარტო რკინიგზის სადგურია, მრავალსართულიანი ქალაქია სხვადასხვანაირი მაღაზიებით და სავაჭროებით.

რომი ერთ-ერთი უძველესი ქალაქია მსოფლიოში. პირველი ახალმოშენენი თანამედროვე რომის ადგილზე დასახლებულან ჯერ კიდევ პირველი ათასეული წლის დასაწყისში ჩვენს ერამდე. გადმოცემით რომი დაუარსებიათ 753 წელს. არის ლეგენდა, თითქოს რომისთვის საფუძველი ჩაუყარია ძმებს — რომულსა და რემს. ენეის შთამომავალს — ამულს მოუსურვებია თავიდან მოეშორებინა. ტახტის პრეტენდენტები და ამიტომ ორთავე ძმა გადაუგდია მდინარე ტიბრში. მაგრამ ისინი გადარჩენილან დაღუპვას. ძუ მგელმა აწოვა ძმებს ძუძუ, ხოლო მწყემსმა აღზარდა ისინი. ამ შემთხვევის მოსაგონრად რომში სენატის სასახლის წინ დგას ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული ძუ მგელის ძეგლი. იტალიელები მას დიდ პატივს სცემენ. მაგრამ ეს მხოლოდ ლეგენდაა, ნამდვილად კი მთებიდან ჩამოსული მწყემსები დასახლებულან თავდაპირველად პალატინის გორაკზე და დასაბამი მიუციათ რომისათვის.

რომი — „მარადი ქალაქი“ უზარმაზარი მუზეუმა. ყოველ ნაბიჯზე მისი ქუჩები და მოედნები ინახავენ წარსულის ნაკვალევს. მთელს ქალაქში თანამედროვე კონსტრუქტივისტული შენობების გვერდით გაფანტულია ძველი სასახლეები, საზოგადო შენობები, ტაძრები; რომში ხელოვნების აუარებელი სიმდიდრეა დაცული. ამ ქალაქში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ უდიდესი მწერლები, მხატვრები, მოქანდაკეები, არქიტექტორები. რომი თავისი მრავალრიცხო-

ვანი საუცხოო ძეგლებით, რომლებიც მიეკუთვნებიან მისი ისტორიის სხვადასხვა ეპოქას, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველზე.

რომი მდინარე ტიბრის ორთავე მხარეზეა გაშენებული და დასავლეთის მხრით ზღვიდან ოცი-ოცდაორი კილომეტრითაა დაშორებული.

სადგურიდან გამოსვლისთანავე ჩვენს წინაშე გადაიშალა დიოკლიტიანეს თერმების კომპლექსი (მესამე საუკუნე ჩვენს წელთაღრიცხვამდე). ახლა ერთ მის ნაწილში მოთავსებულია რომის ნაციონალური მუზეუმის კოლექციები, ხოლო მეორე ნაწილში მიქელ-ანჯელოს მიერ აგებული ტაძარი — სანტა-მარია დეი ანჯელო, მესამე ნაწილი კი ნანგრევებს წარმოადგენს. იქვე ახლოსაა ტუფისაგან ნაშენი ძველი რომის კედლები; ე. წ. სერვი ტულის კედლები პირველი საუკუნისა ჩვენს წელთაღრიცხვამდე.

პირველი, რაც რომში ჩასულ ტურისტს თვალში ეცემა, ეს არის მოძრაობა ქუჩებში. ამის თაობაზე გვაგონდება იტალიური ანეგდოტი: რომის ქუჩებში სწრაფი და უწყსრიგო სვლით შეწუხებული ინგლისელი თურმე შეეკითხა შოფერს: „ბოლოს და ბოლოს გვითხარით, თუ რანაირია თქვენი წესები, მარცხნივ თუ მარჯვნივ უნდა მოძრაობდეთ?“ ჩვენ, სერ, არც მარჯვნივ და არც მარცხნივ არ დავდივართო, უბასუხა შოფერმა. ჩვენ ჩრდილში დავდივართ, მოხერხებულ ადგილებზეო. მართლაც, რომში მანქანები განსაცვიფრებელი სისწრაფით დაქროდნენ ვიწრო და მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებში და ასე თუ ისე ემორჩილებოდნენ მოძრაობის საერთო წესებს, მინიშნებულ ადგილზე მოწყვეტით აჩერებდნენ მანქანებს და ელოდებოდნენ მოძრაობის მარეგულირებელი პოლიციელის ნიშანს გზის კვლავ გაშმაგებით გასაგრძელებლად.

ჩვენი ყურადღება მიიქცია სასულიერო პირების სიმრავლემ რომში. ქუჩებში გვხვდებოდნენ ბერები, მონაზვნები, მღვდლები, თეთრ და შავ ანათორებსა და წამოსასხამებში გამოწყობილნი; მკაცრი გამომეტყველების მქონენი, რომლებიც თითქოს განდგომიან ამ ქვეყნიურობას და მხიარულნი, თვალებით რომ ეთამაშებოდნენ ქუჩაში მიმავალ გოგო-

ნებს. გეხვდებოდნენ სასულიერო პირები, რომლებიც კარგად მართავდნენ მოტოციკლებსა და ავტომანქანებს.

პიაცა დელ პოპოლი უერთდება პინჩოს მალლობს, რომელზედაც გამართულია რომის მთავარი პარკი — ბორგეზეს პარკი. ეს უზარმაზარი პარკია დიდი ხეივნებით, ყვავილნარებით, ტბებით, შადრევნებით, ხელოვნების ძეგლებით. რომაელებსათვის ბორგეზეს პარკი ყველაზე სასიამოვნო, სასეირნო ადგილია.

ეს ვილა და მასში მოთავსებული საუცხოო სასახლე აგებულია კარდინალ სციპიონ ბორგეზისათვის არქიტექტორ ვესანციოს მიერ 1816 წელს. შემდეგ სასახლე გადააქციეს გალერია-მუზეუმად. ბორგეზეს მუზეუმში დაცულია ხელოვნების მდიდარი კოლექციები, გამოჩენილი მხატვრების ორი ათასზე მეტი ნამუშევარი. გალერეის პირველ სართულში მოთავსებულია იტალიური სკულპტურის შედეგები. მეორე სართულში — გამოჩენილ მხატვართა საუცხოო ნაწარმოებები. გალერეაში დაცულია ანტიკური ძეგლები და ფრაგმენტები. ბორგეზეს გალერეიას ამშვენებს კორეჯოს, ტიცციანის, რაფაელის, ბერნინის, ვერონეზეს, ბოტიჩელის, რუბენსის, ვან-დეიკის, კრანახის, კანოვას და სხვათა შედეგები. დაუვიწყარია კანოვას — „პაოლინა ბორგეზე“, ბერნინის „პროზერპინას მოტაცება“, „ჰერმესი და აფროდიტე“. აგრეთვე მისივე — „დავითი“. „პროზერპინას მოტაცება“ მარმარილოს ერთი ნაჭრიდანაა გამოკვეთილი: ამ გალერეაში ენახეთ ტიცციანის „სამი გრაცია“, კორეჯოს „ღანაია“ და რუბენსის „სუსანა და მოხუცები“.

დიდი შთაბეჭდილებებით გამოვედით ამ მუზეუმიდან და გავემართეთ იქვე მახლობლად ჯანიკოლოს გორაკზე, სადაც მოვიწახუდეთ იტალიის ეროვნული გმირის — ჯუზეპე გარიბალდის ძეგლი.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში გარიბალდის სახელი იყო დროშა თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხისა. იგი სათაყვანებელ გმირს წარმოადგენდა სხვადასხვა ქვეყნის რევოლუციურ ახალგაზრდობისათვის. 1848-1849 წლების იტალიის რევოლუციის დროიდან გარიბალდი კარგად იყო ცნობილი სა-

ქართველოშიც. განსაკუთრებით პოპულარული გახდა გარიბალდი ჩვენში იმ დროიდან, როდესაც მან დაიწყო თავისი მოხალისეთა „ათასეულით“ ცნობილი ლაშქრობა. გარიბალდის სასახლო ბრძოლებმა და გამარჯვებებმა საქართველოშიც გამოიწვიეს მოწინავე ახალგაზრდობაში აღფრთოვანება. დიდი პატივისცემა იტალიის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის მეთაურისადმი გამოამჟღავნეს ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, ნიკო ნიკოლაძემ, კირილე ლორთქიფანიძემ, ანტონ ფურცელაძემ და სხვებმა. მე-19 საუკუნის 60-იანი წლების ქართულ პერიოდულ პრესაში ხშირად თავსდებოდა ნარკვევები ჯუზეპე გარიბალდის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. 1863 წელს „საქართველოს მოამბეში“ დაიბეჭდა დობროლუბოვიდან ნათარგმნი „მამა ალექსანდრე გავაცი და მისი ქადაგებანი“, რომელიც ფაქტიურად გარიბალდის მოღვაწეობის დახასიათებას შეიცავდა. ამ სტატიაში აღნიშნული იყო, რომ გარიბალდი იმარჯვებდა ხალხთან მჭიდრო კავშირის მეოხებით; ამავე წელს „ცისკარში“ ანტონ ფურცელაძემ ვრცელი ნარკვევი მიუძღვნა გარიბალდის ცხოვრებას. 1860 წელს დაწერა და 1871 წელს „კრებულში“ გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ თავისი საბრძოლო ლექსი „მესმის, მესმის სანატრელი“, რომელიც მიძღვნილი იყო გარიბალდის განმათავისუფლებელი ბრძოლისადმი; გ. წერეთლის „მგზავრის წიგნში“ ბევრია ნათქვამი გარიბალდის სახელოვანი ბრძოლების შესახებ და ხაზგასმულია მისდამი თანაგრძნობა. როგორც ვიცით, ი. ჭავჭავაძეს სდომებია მოხალისედ წასვლა გარიბალდის რაზმში, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ მოუხერხებია. ილიას სამუშაო კაბინეტს ამშვენებდა გარიბალდის დიდი სურათი.

დრამად იყო აღბეჭდილი ჩვენს მენსიერებაში 1905 წლის რევოლუციის დროს იროდიონ ევლოშვილის მიერ ნათარგმნი „გარიბალდის სიმღერა“, რომელიც მთავრდებოდა შემდეგი სიტყვებით:

ამებო, ავსწიოთ წითელი დროშა!
 აჰა, გვეძახის ბრძოლისა ველი!
 ოჰ, დიდი ხანი ზორკილებს ვათრევთ,
 დაჰკრა საათმა, ველარ მოვითმენთ!

ეს რევოლუციური ბრძოლებისაკენ მომწოდებელი მგზნებარე სიტყვები ეკუთვნოდა ერთ-ერთ იტალიელ პოეტს. შემთხვევითი როდი იყო, რომ ქართველმა პოეტმა ეს ლექსი თარგმნა პირველი რევოლუციის დროს.

1849 წელს ჯანიკოლოს გორაკის ფერდობზე გარიბალდელთა მცირე რაზმი, ჯუზეპე გარიბალდის მეთაურობით, რომის დასაცავად გმირულად ებრძოდა ფრანგების მრავალრიცხოვან ჯარს. ამ ისტორიული მოვლენის აღსანიშნავად, რითაც დაიწყო იტალიის განთავისუფლება უცხოელთა მონობისაგან, გორაკზე აღმართულია ჯუზეპე გარიბალდის დიდი, მაღალი ძეგლი, მოქანდაკე ემილიო გალორისა. ეს ძეგლი რომის შორეულ ქუჩებიდანაც კი მოჩანს. ცხენზე მჯდომარე გარიბალდის საუცხოო ქანდაკება, რომელიც ბრინჯაოსგანაა გამოკვეთილი, დგას გრანიტის კვარცხლბეკზე. მას ამშვენებს აგრეთვე სხვადასხვა საბრძოლო ეპიზოდები და ფიგურები. ძეგლს წარწერილი აქვს გარიბალდელთა ცნობილი დევიზი: „რომი ან სიკვდილი“.

ამ ძეგლის მახლობლად, გორაკიდან დაშვებისას, დგას მეორე ძეგლი — გარიბალდის მეუღლის, ბრაზილაელი ქალის ანიტა რიბერასის ძეგლი, რომელიც შესრულებულია რუტელის მიერ. ანიტა რიბერასი მხარში ედგა თავის სახელოვან ქმარს. იგი მონაწილეობდა გარიბალდის ყველა ბრძოლებში და იმყოფებოდა სახიფათო ადგილებზე. იგი უშიშრად, ვაჟკაცურად იბრძოდა გარიბალდთან ერთად რომის დაცვის დღეებში, მონაწილეობდა ბრძოლებში, როგორც გარიბალდის თანაშემწე. რომის დაცემის შემდეგ, როდესაც გარიბალდმა დასტოვა იქაურობა, ანიტა თან გაჰყვა თავის მეუღლეს. მათი გზა აუწერლად მძიმე იყო, რაზმს საშინელ პირობებში, უქმელ-უსმელს მოუხდა აპენინის მაღალ მთებზე გადასვლა. ეს ვერ აიტანა ფიზიკურად დაქანცულმა და ავადმყოფმა ანიტამ და გზაში გარდაიცვალა. ძეგლი გამოხატავს ამ გმირ ქალს, რომელიც ზის და მიქრის დაუბელავი ცხენით.

იქვე, პინჩოს გორაკსა და ბალში პოეტების, სკულპტორების, არქიტექტორების, მწერლების ბიუსტებთან ერთად ამართულია გარიბალდის თანამებრძოლთა მრავალი მცირე ძეგლები და ბიუსტები. ხალხმა მათი ხსოვნაც დიდი პატივისცემით შეინახა.

იტალიაში მრავალი ადგილია დაკავშირებული გარიბალდის სახელთან. მისდამი პატივისცემის დამადასტურებელია მრავალი ძეგლი და ქანდაკება, რაც გაფანტულია მთელს იტალიაში. იტალიელი პატრიოტები სიყვარულით უჩვენებენ სტუმრებს იმ ადგილებს, სადაც გარიბალდი და მისი რაზმელები იბრძოდნენ სამშობლოს თავისუფლებისა და გაერთიანებისათვის. პატარა კუნძული კაპრერა, ტირენის ზღვაში. სარდინიის აღმოსავლეთით, სადაც ბოლო ხანებში ცხოვრობდა და 1882 წელს გარდაიცვალა გარიბალდი, სამშობლოს მოსიყვარულე შვილებისათვის ითვლება სათაყვანებელ ადგილად.

მწვანეში ჩაფლულ პინჩოს მოედნიდან მოჩანს მთელი რომი, რაც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

კაპიტოლის გორაკი ითვლება რომის ყველაზე ძველ ნაწილად. ამ გორაკზე დგას გაერთიანებული იტალიის პირველი მეფის ვიქტორ ემანუილ მეორეს უზარმაზარი მონუმენტი ძეგლთან არის უცნობი ჭარისკაცის საფლავი.

კაპიტოლის მუზეუმში თავმოყრილია მხატვრობისა და ქანდაკების საუკეთესო ნიმუშები. მხატვრებიდან აქ წარმოდგენილია რუბენსი, ტინტორენტო, ვერონეზე და სხვები. განსაკუთრებულია „მომაკვდავი გლადიატორი“. მისი ასლები მთელ მსოფლიოშია გავრცელებული. ამ მუზეუმში ვხედავთ ამ უკვდავი ნაწარმოების ორიგინალს, რომელიც ნაპოვნია სალიუსტის ბაღებში მეექვსე საუკუნეში. ეს დიადი ნაწარმოები მნახველზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს თავისი ბუნებრიობით და სიმართლით.

კაპიტოლის მუზეუმშია მოთავსებული ვენერა მედიცეისა და ვენერა მილოსელის თანამოზიარე ვენერა კაპიტოლელი.

ამ მუზეუმში ვნახეთ მრავალი ბიუსტი, მათ შორის — არისტოტელეს, მარკ ავრელის, დემოსთენეს, ნერონის, ტერენციის, ავგუსტუსის, ანტონიოს, მესალინას, ჰეროდოტეს, სოკრატის, ჰომეროსის, სოფოკლეს და ესქილისა; საყურადღებოა აპოლონის საუცხოო ქანდაკება.

შესანიშნავია ბარელიეფი ტროას დანგრევის შესახებ. მნახველი უშუალოდ გრძნობს ხალხის დიდ ტრაგედიას და აგონიას.

რომის ნაციონალურ (ბარბერინის) გალერეაში თავმოყრილია სხვადასხვა საუკუნის საუკეთესო იტალიელი ოსტატების შესანიშნავი ნაწარმოებები. აქ დაცულია რაფაელის, ტიციანის, ფრა-ბარტოლომეოს, კარავაჯოს, ფრა-ანჯელოს და სხვების განსაცვიფრებელი სურათები.

დიდად გავრცელებული ყოფილა რომში ტრიუმფალური თაღების მშენებლობა. ჩვენ ვნახეთ კოლიზეის მახლობლად იმპერატორ კონსტანტინეს სამ გასაყლიანი ტრიუმფალური თაღი, რომელიც აგებულია 315 წელს მასენციზე გამარჯვების აღსანიშნავად; იქვე, მახლობლად მდებარეობს ტიტუსის ტრიუმფალური თაღი რელიეფებით, რომლებზედაც აღბეჭდილია იმპერატორის ბრძოლები და გამარჯვებები; გრანდიოზულია სემპტი სევერის ხუთგასაყლიანი ტრიუმფალური თაღი სხვადასხვა ლამაზი ჩუქურთმებით.

რომში მრავალი ფორუმის ნანგრევია. არის ცნობა, რომ კონსტანტინეს პართეელობის დროს (მეოთხე საუკუნეში ჩვენი წელთაღრიცხვისა) რომში ყოფილა თერთმეტი დიდი ფორუმი. შემორჩენილია ნანგრევები ავგუსტუსის, ტრაიანეს და სხვების ფორუმებისა. ყველაზე მნიშვნელოვანია იმპერატორ ტრაიანეს ფორუმი თავისი ცნობილი სვეტით, რომლის სიმაღლეა 36 მეტრი. სვეტს შიგნით აქვს 185 საფეხურიანი დახვეული კიბე, რაც ადის პატარა შოედანზე, სადაც წინათ იდგა ტრაიანეს ბრინჯაოს ქანდაკება. 1587 წელს სვეტის თავზე დადგეს მოციქულ პეტრეს ქანდაკება. ეს სვეტი ცნობილია თავისი ბარელიეფებით, რომლებიც აღწერს ტრაიანეს სამხედრო ცხოვრებას. სვეტზე გამოყვანილია ორი ათას ხუთასი რელიეფური ფიგურა.

ფორუმები იყო ცენტრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა. აქ მიმდინარეობდა სახალხო კრებები. გამოდიოდნენ ორატორები და იმართებოდა კამათი ამა თუ იმ საკითხზე. ახლა ამ ფორუმების ადგილზე მხოლოდ ნანგრევებია მიმოფანტული, გარშემო ყველაფერი ბალახით და ჯაგნარითაა დაფარული.

ერთ-ერთი უდიდესი შენობა რომში არის სახელგანთქმული კოლიზეი. იგი მართლაც ვრანდიოზულია. თავდაპირველად მას რქმევია ამფითეატრი. შემდეგ კოლიზეუმი (Colosseum).

კოლიზიე აშენებულია იერუსალიმის დანგრევის შემდეგ ტყვედ წამოყვანილ თორმეტი ათასი ებრაელის შრომით, ჩვენი წელთაღრიცხვის 72 — 80 წლებში, იმ ადგილზე, სადაც წინათ იყო იმპერატორ ნერონის ბაღები და გუბურა. კოლიზიის მშენებლობა დაიწყო იმპერატორ ვესპასიანემ, მაგრამ დამთავრდა მისი შვილის ტიტუსის მეფობისას.

კოლიზიის აქვს ელიპსის ფორმა, მოცულობით — განი 156 მეტრი და სიგრძე — 189 მეტრი. იგი ნაშენი იყო აგური-სა და გრანიტისა, ტუფისა და მარმარილოსაგან. მოხატული იყო ხელოვნების ძვირფასი ძეგლებით. გარედან კოლიზიის კედლები აღწევდა თითქმის 50 მეტრ სიმაღლეს და გაყოფილი იყო ოთხ სართულად, 80 შესასვლელით. თითოეული შესავალი დანომრილი იყო, ეს ნომრები დღესაც შეიმჩნევა. იგი იტევდა სამოცი ათას მაყურებელს. ამალღებულ ადგილზე გამოყოფილი იყო საგანგებო ადგილები („პოდიუმი“) იმპერატორისა, სენატორებისა, ქურუმებისა და მაღალი მოხელეებისათვის. პირველი სართული ანუ იარუსი განკუთვნილი იყო სამხედრო პირებისა და მათი ოჯახებისათვის. მეორე იარუსი — პატრიციებისათვის, მესამე — ქალებისათვის. მესამე იარუსის ზევით მოთავსებული იყო ქანდარა დაბალო ფენებისათვის. ყველაზე მაღლა განლაგებული იყო მეზღვაურთა გუნდი, რომელიც სიციხეში სპეციალური მოწყობილობის საშუალებით ამ უზარმაზარ შენობას გადაათარებდა ფარდასათარველს. რათა მაყურებლები არ შეეწუხებინა მზეს.

კოლიზიის ქონებია მთელი სისტემა მიწის ქვეშა ნაგებობებისა: დერეფნები, სადაც მოთავსებული იყო გალიები მხეცებისათვის, სხვადასხვა მანქანები წარმოდგენებისათვის, სამსახურებრივი ოთახები გასასვლელით.

კოლიზიე განკუთვნილი იყო გლადიატორების ურთიერთ შერკინებისათვის და გარეულ მხეცებთან ბრძოლისათვის. მის ცენტრში მოთავსებული იყო არენა 86 მეტრის სიგრძისა და 54 მეტრი განისა. არენა გარშემორტყმული იყო ლობურა კედლებით, რათა მხეცები არ მიხტომოდნენ მაყურებლებს. ამ კედლებში დატანებული იყო რკინის კარები. ამ კარებიდან შემოჰყავდათ გლადიატორები და მხეცები. არენაზე ერთ და ხმავე დროს შეეძლო ბრძოლა ორი ათას გლადიატორს და ასეულობით მხეცს (ლომებს, ვეფხვებს, სპილოებს). სანახაო-

შის დროს კოლიზების არენაზე იღუპებოდნენ არა მარტო მხეცები, არამედ უმთავრესად ადამიანები. რომის დაარსების ათასი წლის აღსანიშნავ დღესასწაულზე აქ ერთმანეთს ებრძოდა ათასი წყვილი გლადიატორი, რომელთაგან უმრავლესობა მოკლულ იქნა. მთელი ხუთასი წლის განმავლობაში გრძელდებოდა ეს საშინელი სანახაობა. რომის განებივრებული არისტოკრატია ყოველთვის მოითხოვდა გლადიატორების ჰიკვიდლს. მხოლოდ ბედნიერი გამონაკლისის შემთხვევაში შეინარჩუნებდნენ სიცოცხლეს ეს განწირული ადამიანები. მეხუთე საუკუნიდან აკრძალეს გლადიატორების ურთიერთ ბრძოლები, ხოლო შემდეგ შეექვესე საუკუნიდან გლადიატორების ბრძოლა მხეცებთან.

შუა საუკუნეებში კოლიზი გადააქციეს ციხე-სიმაგრედ შემდეგ ყაზარმებად. მეთოთხეტე საუკუნეში კოლიზიში აწყობდნენ ხარების ბრძოლას.

კოლიზი განადგურდა რომზე ბარბაროსების თავდასხმების დროს, ხოლო მეთერთმეტე საუკუნეში ეს შენობა დიდად დააზიანეს ნორმანებმა. მნიშვნელოვანი ნგრევა ამ შენობისა გამოიწვია აგრეთვე გახშირებულმა მიწისძვრებმა. მაგრამ კოლიზის ცუდად დაცვის მთავარი მიზეზი იყო არა მხოლოდ მტრების შესევები და მიწისძვრები, არამედ რომის პაპების მტაცებლობა, რომლებიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ანგრევდნენ ამ შენობას, როგორც საშენ მასალას ეკლესიებისა და სასახლეებისათვის. ამიტომ აღრიდანვე ყოფილა გავრცელებული რომში ასეთი ენამახვილი თქმა: „ის, რაც ვერ დაანგრის ბარბაროსებმა, დაანგრის ბარბერინებმაო“ (ბარბერინი ყოფილა გვარი რამდენიმე პაპისა და კარდინალისა). მისი მასალისაგან არის აგებული ვენეციის მოედანი, კანჩელერია, ფარნეზე, სენატორების სასახლე, ლატერანული ბაზილიკა და პეტრეს ტაძარის ნაწილი. მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისიდან რაფაელმა, რომელიც გახდა რომის მთავარი არქიტექტორი, იშუამდგომლა პაპის წინაშე კოლიზის დაცვის შესახებ. განადგურებას გადაარჩა კოლიზის დაახლოებით ერთი მესამედი.

მიუხედავად ნგრევისა და განადგურებისა, კოლიზი დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე თავისი მონუმენტურობით. კოლიზი განსაკუთრებით ეფექტურია ღამით

პროექტორების შუქზე. დავდიოდით ამ ნანგრევებს შორის ღამით და ვიგონებდით მის საშინელ წარსულს, იმ სისხლს, რომელიც მის კედლებში დაღვარეს დამონებულმა ადამიანებმა.

ვუცქერდით ამ ორი ათასწლიან შენობას და გვაგონდებოდა ძველი რომაელის სიტყვები: „სანამ არსებობს კოლიზეი, იქნება რომიც, როდესაც დაინგრევა კოლიზეი, დაინგრევა რომიც, ის კი თან მიიტაცებს მთელ მსოფლიოს“.

შემდეგ გავემართეთ პეტრეს ტაძრისაკენ. ყურადღება მიიპყრო ტაძრის წინ საუცხოო მოედანმა. მოედნის მარჯვნივ და მარცხნივ ნახევრად ოვალურად განლაგებულია ბერძინის ორას ოთხმოცდაოთხი ცნობილი სვეტი, რომლებიც თორმეტი წლის განმავლობაში შენდებოდა. სვეტებს ამშვენებს ქანდაკებები. იქვეა ორი საუცხოო შადრევანი, შუაზეა უზარმაზარი ეგვიპტური ობელისკი.

მოედანზე, პეტრეს ტაძრის წინ, ვხედავთ ცოტა არ იყოს უცნაურად ჩაცმულ მამაკაცებს. ესენი არიან ვატიკანის სახელმწიფოს მცველები — შვეიცარიელები, რომლებიც შეიარაღებულნი არიან ძველებური შუბებით. ტანზე აცვიათ მუქი მომწვანო თეთრ და წითელზოლებიანი ტანისამოსი, თავზე ახურავთ ბერეტები.

შევდივართ მსოფლიოში ყველაზე დიდ ტაძარში — პეტრეს ტაძარში. მართლაც, რომ უზარმაზარი შენობაა იგი. მისი სიგრძეა 211,5 მეტრი, სიმაღლე 141 მეტრი, სიგანე — 42 მეტრი. პეტრეს ტაძრის ადგილას რომის იმპერატორის კალიგულას დროს ყოფილა ცირკი. ამ ადგილას აწამეს თურმე მოციქული პეტრე. 326 წელს იმპერატორმა კონსტანტინემ იქ ააშენა ბაზილიკა. 1506 წელს დაიწყეს ახალი ტაძრის აგება. ას წელზე მეტს აშენებდნენ ამ ტაძარს. მის მშენებლობაში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ: ბრამანტე, რაფაელი, ანტონიო და სანგალო, ვინიოლა, პერუცი, ჯულიანო და სანგალო, ჯაკომო დე ლა პორტა, ფონტანა, მადერნა, ბერნინი. მისი მშენებლობა დაამთავრა მიქელ-ანჯელომ.

ტაძრის ცენტრში ამართულია ოცდაათი მეტრის სიმაღლის უზარმაზარი ნაგებობა — ტაბერნაკული. ეს არის ბერძინის მიერ შექმნილი ბალდახინი წმინდა პეტრეს საფლავზე.

ტაძრის შიგნითაა მიქელ-ანჯელოს სკულპტურული ნა-

წარმოები — „ჩიეტა“ — მწუხარება, რომელიც უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. გამოუთქმელ მწუხარებაში მყოფ დედას მუხლებზე უსვენია გარდაცვლილი შვილის უსულო გვაში. ეს გენიალური ქმნილება პირდაპირ განსაცვიფრებლად გამოხატავს დედის ღრმა განცდებს უბედურების წუთებში. მიქელ-ანჯელო ოცდახუთი წლის ახალგაზრდა იყო, როდესაც შექმნა ეს შედევრი.

პეტრეს ტაძარში ქალებს არა აქვთ ნება შევიდნენ მოკლესახელოებიანი და გულგაღვლილი კაბით.

ვატიკანი მხატვრულ ღირებულებათა ერთ-ერთი უდიდესი საცავია მსოფლიოში. მის მუზეუმში დაცულია ხელოვნების უმდიდრესი და უბრწყინვალესი ძეგლები. მრავალი საუკუნის განმავლობაში გამოჩენილი არქიტექტორები, მოქანდაკეები. მხატვრები მუშაობდნენ ვატიკანისათვის. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ქმნის მნახველზე სიქსტის კაპელა, რომელიც მოხატა მიქელ-ანჯელომ. მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მიქელ-ანჯელოს ოთხი წლის განმავლობაში მუშაობა. მაღალ ჰერთან გამართულ ხარაჩოებზე, ზურგზე დაწოლილი მიქელ-ანჯელო ხატავდა ბიბლიურ ლეგენდას ქვეყნიერების შექმნიდან წარღვნამდე. მის მიერ დახატული ყოველი ფიგურა გამოკვეთილია მდიდარი ფერებით. საკურთხეველის უკანა კედელიც მიქელ-ანჯელოს მიერაა მოხატული. მაგრამ ეს უქვემოხუცებულობის დროის ნამუშევარია.

ვატიკანშია რაფაელის გენიალური შემოქმედების მრავალი ნიმუში, უპირველეს ყოვლისა „ლოჯები“ და „სტანცები“.

სტანცა იტალიურად ნიშნავს ოთახს. პაპა იული მეორემ 1508 წელს რაფაელს დაავალა ვატიკანის სასახლის სადარბაზო ოთახების მოხატვა. თორმეტი წელიწადი მუშაობდა იგი. მხოლოდ თავისი მასწავლებლის პერუჯინის მიერ ამ დარბაზებისათვის შესრულებული ფრესკების ნაწილი დატოვა მან ხელუხლებელი. დანარჩენი კი მოხატა თვითონ, ან მისი გეგმით შეასრულეს მისმა მოწაფეებმა. ყველაზე უკეთესია დე ლა სენიატურის სტანცა. ამ დარბაზის ოთხ კედელზე მოხატულია უზარმაზარი ფრესკები: „პოეზია“, „ღვთისმეტყველება“, „მართლმსაჯულება“ და „ფილოსოფია“, რომელიც უფრო მეორე სახელითაა ცნობილი—„ათენის სკოლა“. ამ უკანასკნელში ზამოხატულია ტაძარი, რომლის შესავალთან საუბ-

რობენ და კამათობენ ბერძენი ფილოსოფოსები. მასზე ორ-მოცდათორშეტი ფიგურაა, მათ შორის პლატონისა და არისტოტელეს ფიგურები. დიდი მხატვრული ღირსების გარდა, „სტანცებს“ ის მნიშვნელობა აქვს, რომ რაფაელმა მათზე განოხატა აღორძინების ხანის მრავალი გამოჩენილი მხატვარი, პოეტი და მოღვაწე. ანტიკურ ფილოსოფოსებთან, სწავლულებთან და პოეტებთან ერთად დახატა აგრეთვე ბრამანტე, მიქელ-ანჯელო, ვირგილიუსი, პორაციუსი, ოვიდიუსი, დანტე, პეტრარკა, ბოკაჩიო და თავისი ავტოპორტრეტი.

ვატიკანშია რაფაელის განთქმული „ლოჯი“, რომელიც მისი ნახატებით და ხელმძღვანელობით შეასრულეს მისმა მოწაფეებმა.

ვატიკანის მუზეუმში ვნახეთ რაფაელის სიქსტის მადონა. ცნობილია რომ რაფაელი ხატავდა ლამაზ და სულიერად ამაღლებულ ადამიანებს. ეს თვისებები ყველაზე უფრო მეტად ახასიათებს სწორედ მის სიქსტის მადონას.

ვატიკანის სურათების გალერეაში მდიდრად არის წარმოდგენილი სხვადასხვა სამხატვრო სკოლა და მათი გამოჩენილი წარმომადგენლების — ტიციანის, პერუჯინოს, ბოტიჩელის, კორეჯოს, კარავაჯოს, ვერონეზეს, რაფაელის, ფრანჯელიკოს, მურილიოს, გვადო რენის და სხვათა ნამუშევრები. პირდაპირ აჯადოვებს მნახველს ადამიანის გენიის ეს შედეგები.

ვატიკანის მუზეუმში არის ისტორიული ძეგლების სხვადასხვა დარბაზი და გალერეა. არის ქვების გალერეა, რომელშიც თავმოყრილია ნამდვილი ხელოვნების ნიმუშები — წარწერებიანი ქვები ძველი სასაფლაოებიდან; ეტრუსკულ-მუზეუმში ვნახეთ ამ ხალხის საცხოვრებელ ადგილებში ნაპოვნი საუცხოო ძეგლები; ეგვიპტის მუზეუმში წარმოდგენილია ამ ქვეყნიდან წამოღებული სარკოფაგები, ურნები, ქანდაკებები, ეტლები, პაპირუსები. ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რამზეს მეორეს დედის შავი გრანიტის სარკოფაგმა; ძალზე მდიდარია გობელენებისა და ხალიჩების გალერეა; დიდის მღელვარებით ვათვალისწინებდით ანტიკური სკულპტურის ორიგინალებს. ბერძნულ დარბაზში მოთავსებულია სარკოფაგი იმპერატორ კონსტანტინეს მეუღლის — დედოფალ ელენესა და მათი ასულის — კონსტანცისა; აქვეა

ორიგინალი განთქმული „ლაოკოონი შეილებით“; საუკეთესო ასლი (ბრინჯაოს ორიგინალი დაკარგულია) განსაცვიფრებელი ქანდაკებისა — „აპოლონ ბელვედერელი“, „პერკულესის ქანდაკება“, რომელსაც ყოველთვის აღფრთოვანებაში მოჰყავდა მიქელ-ანჯელო. თითქმის უკვე დაბრმავებული მიქელ-ანჯელო ხშირად მიდიოდა ამ ქანდაკებასთან და ხელით სინჯავდა მის მარმარილოს ნაკეთობას.

პანთეონი ერთადერთი უძველესი შენობაა რომში. იგი აგებულია იმპერატორ ადრიანეს განკარგულებით, მარჯ აგრიპის მიერ დაახლოებით 115 — 125 წლებში ჩვენი წელთაღრიცხვით, შვიდი ღმერთის სადიდებლად („ყველა ღმერთის ტაძრად“). იგი საუცხოო არქიტექტურული შენობაა, სააღმშენებლო ხელოვნების სასწაულია.

პანთეონი წარმოადგენს აგურისა და ბეტონის დიდ ოვალურ შენობას, რომლის შინაგანი დიამეტრია 43,5 მეტრი, სიმაღლე — 42,7 მეტრი, კედლების სისქე 6-7 მეტრი: შენობას არა აქვს ფანჯრები, მხოლოდ გუმბათს აქვს 8-9 მეტრის სიფართოვის ღია თაღი და სინათლეც იქედან ჩადის დარბაზში. განცვიფრებას იწვევს ამ უზარმაზარი გუმბათის ყოველგვარი დასაყრდენის გარეშე აგება.

პანთეონს აშენებებს თოთხმეტი მეტრის სიმაღლის თექვსმეტი კორინთული სვეტი გრანიტისა და მარმარილოს კაპიტელებით; დარბაზის იატაკი მარმარილოსა, გრანიტისა და პორფორისაგანაა ნაგები.

პანთეონში დასაფლავებულია იტალიის საეოელთა დინასტიის მეფეები — უმბერტო პირველი და ვიქტორ ემანუილ მეორე, მაგრამ პანთეონში მნახველთა მთავარი ყურადღების საგანია დარბაზის მარცხენა მხარეზე დასაფლავებული 1526 წელს გარდაცვლილი ოცდაჩვიდმეტი წლის გენიალური შემოქმედი რაფაელ სანტი. მის საფლავს ასეთი წარწერა აქვს: „აქ განისვენებს რაფაელი. მის სიცოცხლეში დიად მშობელ დედა-ბუნებას ეშინოდა მისგან დამარცხებისა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი დედა-ბუნებამაც თავისი თავი ირწმუნა“. რაფაელის საფლავზე ყოველთვის აწყვია ცოცხალი ყვავილები.

დავათვალაიერეთ მეთერთმეტე საუკუნეში (ჩვენს წელთაღრიცხვამდე) აგებული მარცელის თეატრი. ამ თეატრის

ნანგრევები დღემდე არის შემონახული. გარედან თეატრი მონუმენტურია, შიგნიდან კი იგი მოჩუქურთმებულია. ეს თეატრი სამ იარუსიანი ყოფილა და ოთხი ათას მაყურებელს იტევდა.

დიდ შთაბეჭდილებებს ტოვებს მიქელ-ანჯელოს „მოსეს“ სკულპტურა, რაც დგას სან პიეტრო ინ ვინკოლის ბაზილიკაში. ამ სკულპტურაში გამოხატულია სახე მოხუცი ბრძენი ადამიანისა.

დიდი ისტორია აქვს ადრიანეს უზარმაზარ მავზოლეუმს, რომელსაც ახლა წმიდა ანგელოზის კოშკს უწოდებენ. იგი აშენებულია ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში. 1752 წელს ამ შენობის თავზე დადგეს ანგელოზის ბრინჯაოს დიდი ფიგურა და ამიტომაც კოშკსაც მისი სახელი ეწოდა. მიწისქვეშა გვირაბებით იგი დაკავშირებულია ვატიკანთან. მეფეთა დასაფლავების ადგილის მაგივრად. ეს შენობა შუა საუკუნეებში გადააქციეს სატუსალოდ, საშინელი წამების ადგილად. მრავალი მძიმე დრამა უნახავს ამ კოშკის ცივსა და სქელ კედლებს. აქ დაადრჩვეს შეთქმულმა სასულიერო პირებმა პაპები—იოანე მეთექვსმეტი და ბენედიქტე მეექვსე, მოჰკლეს ალექსანდრიის პატრიარქი ვიტელესკი, შიმშილით სული ამოხადეს პაპა იოანე მეთხუთმეტეს: კოშკის ბნელსა და ნესტიან კაზემატებში ჩამწყვდეული იყვნენ ჯორდანო ბრუნო, ბენუვენტო ჩელინი, ბეატრიჩე ჩენჩი, ეკატერინე სფორცა და სხვები; ამ კოშკს უკავშირებენ ცნობილ ოპერა „ფლორია ტოსკაში“ გადმოცემულ შემთხვევასა და მისი გმირი ქალის გადავარდნას მდინარე ტიბრის ტალღებში. ახლა ამ შენობაში მოწყობილია მუზეუმი.

ყურადღებას იქცევს „წმიდა ანგელოზის კოშკთან“ მისასვლელი ფართო ხიდი მდინარე ტიბრზე. ეს ხიდი მორთულია მრავალრიცხოვანი ქანდაკებებით.

პალატინზე, რომელზედაც შემონახულია უზარმაზარი სასახლეების და ტაძრების ნანგრევები, ახლახან აღმოჩენილია ძველი რომის კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლი. იტალიელმა არქეოლოგებმა გათხარეს ძველი ვილა ორი ოთახისაგან, რომლის კედლებიც მოხატულია საუცხოოდ შენახული ფრესკებით. განსაკუთრებით შესანიშნავია ფრესკა ფიგურალური კომპოზიციებით, რომელზედაც გამოხატულია თეა-

ტრალური სცენა. ასეთი ფრესკები ძველი რომის ტერიტორიაზე არ უნახავთ მას შემდეგ, რაც 92 წლის წინათ გათხარეს პალატინზე ლივიის სახლი — რომის იმპერატორის ავგუსტუსის ქალიშვილისა. ავგუსტუსი, როგორც ვიცით, ცხოვრობდა 63 წლიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე და 14 წლამდე ჩვენი ერისა. ახლად აღმოჩენილი ვილის მშვენიერება აძლევს საფუძველს არქეოლოგებს, რომ ის ჩასთვალონ თვითონ ავგუსტუსის ვილად.

ნავონის ლამაზი მოედანი გაშენებულია ძველი რომაული ცირკის ადგილზე და ყურადღებას იქცევს ბერნინის პროექტით გაკეთებული სამი საუცხოო შადრევნით.

ყოველი წლის იანვრის დასაწყისში ნავონის მოედანზე ეწყობა ბავშვების დღესასწაული, რომელსაც ეწოდება ბეფანის დღესასწაული. ბეფანა ეს არის კეთილი მოხუცი ქალი, რომელიც ღამით გამოდის ბუხრიდან და კარგ ბავშვებთან მიაქვს საჩუქრები, ხოლო ცუდ ბავშვებს ბუხართან გაფენილ წინდებში უყრის ნაკვერცხლებს.

დიდ მოგონებებთან არის დაკავშირებული რომის ერთ-ერთი ძველი მოედანი — კამპო დეი ფიორი (ყვავილების მოედანი), სადაც 1600 წელს ინკვიზიციის განაჩენით დასაწყვეს მოწინავე მოაზროვნე და მეცნიერი ჯორდანო ბრუნო. ამ მოედანზე იყო აღმართული მუდმივი სახრჩობელა და აქვე გიზგიზებდა კოკონი „ერეტიკოსების“ დასაწყევად. ახლა ეს არის ხილულობისა და ყვავილების სავაჭრო ადგილი. ამ მოედნის ცენტრში დგას ჯორდანო ბრუნოს ძეგლი.

გავიარეთ ბაბუინოს რაიონში, რომლის ქუჩებში არის მწერლებისა და მხატვრების თავშეყრის ადგილი. ვნახეთ ძველი, ცნობილი კაფე „გრეკო“, რომელიც თავისი არსებობის ორასეულ წელს ითვლის. ეს კაფე მდებარეობს კონდოტის ვიწრო ქუჩაზე, ესპანეთის მოედნის მახლობლად. მისი კედლები მორთულია ცნობილი მწერლების, მხატვრების, კომპოზიტორების ფოტოგრაფიებით. ბევრ ამ სურათებს აქვს ავტოგრაფები და ვრცელი წარწერები იმათ, ვინც გამოხატულია მათზე. იტალიაში ყოფნისას ამ კაფეში დადიოდნენ გოეთე, ბაირონი, მიცევეიჩი, ჰაინე, გოგოლი, მარკ ტვენი, სტენდალი, ანატოლ ფრანსი, ვაგნერი, გუნო და სხვა გამოჩენილი პირები.

პიაცო დელ პოპოლოდან იწყება რომის მთავარი ქუჩა — კორსო, რომელიც მთავრდება ვენეციის მოედანთან. ვია ნაციონალესთან ერთად ვია დე კორსოზე არის მდიდრული სასტუმროები, მაღაზიები, ბანკები, კინოთეატრები, რესტორანები. მაგრამ რომის ყველაზე ფეშენებლური ქუჩაა — ვია ვენეტო. ძვირიანი კაფეების პატარა მაგიდებთან დღეებსა და ღამეებს ატარებენ ცარცვა-გლეჯით გამდიდრებული მილიონერები, დიდგვაროვანთა უქნარა შვილები, კინოვარსკვლავები, ბანკირები. მთელი ეს ქუჩა გიზგიზებს რეკლამების ცეცხლში.

რომის განაპირა უბნები ერთი მხრით, ეს არის მდიდრების ვილების უბნები, ხოლო მეორე მხრივ, ღარიბების უბნები ფიცრული სახლებით და ქოხმახებით. ჩვენ ვნახეთ პარიზის რაიონი, მდიდრების ვილებით და მაღალი კედლებით შემოფარგლული. აქ აშენებულია მოდერნის სტილის ბრტყელ სახურავიანი სახლები, რომლებიც ჩაფლული არიან მწვანესა და ხეხილის ბაღებში; ღარიბთა, მუშათა განაპირა უბნებია — ტესტაჩო, პარბატელა, პორტუენზე, ტიბურტინო, ჩენტონელე; პრიმივალე და სხვები; კაპიტოლსა და მონტე კაპრინოზე თარფის კლდის გამოქვაბულებში თავს აფარებენ უმუშევარი და უბინაონი.

რომში მრავლადაა მიმოფანტული შადრევნები, მათ შორის ისეთი რთული კომპოზიციისა და ქვეშარიტი ხელოვნების ნიმუში, როგორცაა ტრევის შადრევანი. ამ შადრევანის სახელწოდება წარმოსდგა სიტყვისაგან „ტრივიო“, რაც ნიშნავს სამი ქუჩის შეხვედრას. ტრევის შადრევანს თითქმის ორი ათასი წლის ისტორია აქვს. მაგრამ თანამედროვე სახით ის 1762 წლიდან არსებობს, რაც ბერნინის გეგმის მიხედვით შესრულებულია ნიკოლო სილვიოს მიერ.

ტრევის შადრევანის აუზის გამჭვირვალე ძირზე მიმოფანტულია სხვადასხვა ქვეყნის ლითონის ფულები. არის თქმულება, ვინც ამ აუზში ჩააგდებს ფულს, იგი აუცილებლად კვლავ ნახავს რომსო.

ფართოდ ყოფილა რომში გავრცელებული სახალხო აბანოები, რომლებიც უფრო ცნობილია თერმების სახელწოდებით. დიოკლეთიანეს თერმებში ერთდღე იმავე დროს შეეძლო ბანაობა სამი ათას კაცს. თერმებში იყო სპორტული და მუსი-

კალური დარბაზები, ბიბლიოთეკა; თერმები მორთული იყო საუცხოო ქანდაკებებით. რომში ყველაზე ლამაზ აბანოდ ითვლებოდა კარაკალის თერმები, რომელიც აშენებული იყო 216 წელს ჩვენი წელთაღრიცხვისა. მის ნანგრევებში აღმოჩენილი იქნა პერკულეს ფარნეზელი, ბელვედერის ტორსი, ფარნეზელი ხარი და ხელოვნების სხვა ძეგლები. კარაკალას თერმების ნანგრევები ახლა გადაქცეულია საზაფხულო-თეატრად და იქ დგამენ ისეთ ოპერებს, როგორცაა „აიდა“; მსოფლიო ოლიმპიადის ზოგიერთი სპორტული შეჯიბრებაც 1960 წელს ამ თერმებში იქნა ჩატარებული.

რომის უნივერსიტეტი ერთ-ერთი უძველესი სასწავლო დაწესებულებაა დასავლეთ ევროპაში. იგი 1303 წელსაა დაარსებული, ხოლო მისი ეხლანდელი შენობა 1575 წელსაა აგებული.

იტალიელ სტუდენტებს აქვთ თავისებური ტრადიცია. სწავლის დაწყებისა და დამთავრების დღეს ისინი აღნიშნავენ საგანგებო ზეიმით. რომში ყოფნა მოგვიხდა იენისში; სწორედ მაშინ, როდესაც მთავრდებოდა სასწავლო წელი. პიაცო დელ პოპოლოზე შემოგვხვდა სტუდენტების მრავალრიცხოვანი ჯგუფები არლეკინების, მეფეების, დედოფლების, რაინდების, გლეხების ტანსაცმელებში. ირგვლივ სურნელოვანი ყვავილებისა და თაიგულების ზღვა იყო. ახალგაზრდები მხიარულობდნენ, მღეროდნენ, ცეკვავდნენ და თამაშობდნენ. ერთი სიტყვით, სასწავლო წელს დიდი მხიარულებით ამთავრებდნენ.

დავათვალე რეთ მსოფლიო ოლიმპიადის სპორტულ ნაგებობათა რაიონი — „ფორო იტალიკო“, მარმარილოს სტადიონი (სტადიო დეი მარმი). სტადიონს ამშვენებს ანტიკური სკულპტურის ძეგლები. გვიჩვენეს ოვალური „სტადიო ფლამინიო“, სადაც ჩატარდა ოლიმპიური თამაშის გახსნისა და დახურვის ცერემონიალი. აქვე მოეწყო დასკვნითი შეხვედრა ფეხბურთში. სტადიონი იტევს სამოცათათამდე მაყურებელს. მისი ერთი ნაწილი გადახურულია, რათა წვიმამ და მზემ არ შეაწუხოს მაყურებელი. სტადიონი ჩაფლულია ვიწვანეში.

მიიწურა ჩვენი რომში ყოფნის დრო. მატარებელი გამოვიდა ოსტიენსის რკინიგზის სადგურიდან და კვლავ ნეაპოლისაკენ გაეშურა.

გამოჩნდა ნეაპოლის განაპირა უბნები, ლარიბების უბნები. აქ ჯერ კიდევ მწვავედ იგრძნობა მეორე მსოფლიო ომის შედეგები. მრავალი შენობა ისევ ნანგრევებშია. ზოგიერთი ნაწილი ამ ნანგრევებისა ლარიბებს საცხოვრებლად გამოუყენებიათ. ამიტომ ისინი განუწყვეტლივ საფრთხეში იმყოფებიან, ყოფილა შემთხვევები მათი ჩამონგრევისა და ადამიანების დაღუპვისა; ამ ნანგრევების გვერდით მოჩანს ფანერის ქოხმახები. ესენიც ლარიბების საცხოვრებელი ადგილებია. გარდა ამისა, ნეაპოლის ვიწრო და ნესტიან ქუჩებში, ბნელ სახლებში ატარებენ თავიანთ ცხოვრებას მუშები და დიდი ნაწილი მოსამსახურეებისა. გარეგნული სილამაზის მიღმა ამ ქალაქში შეინიშნება სიღარიბე და გაჭირვება.

ნეაპოლის ნაციონალური მუზეუმი ერთ-ერთი უდიდესია მთელ დასავლეთ ევროპაში. მუზეუმის შენობა აგებულია მეთექვსმეტე საუკუნეში. მდიდრად არის მასში წარმოდგენილი ანტიკური სკულპტურა. აქ თავმოყრილია ძველი ბერძნული და რომაული მარმარილოს და ბრინჯაოს ქანდაკებები, ნოზაიკები. მუზეუმშია პომპეის, გეკულანუმის, სტაბიის გათხრების დროს ნაპოვნი მრავალი ქანდაკება, მათ შორის ჰერკულეს ფარნეზელი, გლადიატორი, ვენერა კაპუიდან, აფროდიტეს ტორსი, მოცეკვავე სატირი, ალექსანდრე მაკედონელისა და დარიუსის ომი; ჰერმესი, იუნონა ფარნეზელი, ჯიანა, პერსეი; ნეაპოლის მუზეუმშია განთქმული ჯგუფი — ფარნეზელი ხარი: დედის — ანტიოპის ბრძანებით ძმები — ამფიონი და ზეტოსი გაცოფებულ ხარს თმებით აბამენ მშვენიერ დირქეას. ძველი ბერძნული ხელოვნების ეს ბრწყინვალე ძეგლი ნახული იქნა რომში კარაკალას თერმების ნანგრევებში.

ნეაპოლის მუზეუმში ვნახეთ გათხრების შემდეგ პომპეიში აღმოჩენილი ფრესკები, ხელოვნების საუცხოო ძეგლები. მუშისგან ოსტატურად გამოთლილი რთული ჩუქურთმები და ფიგურები. ამ მუზეუმში მრავლადაა აგრეთვე უძველესი ღროის პაპირუსები; მუზეუმში ჩვენი ყურადღება მიიპყრო მრავალრიცხოვანმა ბიუსტებმა: ნერონისა, ცეზარისა, ავგუს-

ტუსისა, ტიბერისა, მარკ აერელისა, იულიუს კეისრისა და სხვებისა.

ნეაპოლის მუზეუმს ამშვენებს: რაფაელის, ტიციანის, კორეჯოს, ბოტიჩელის ნაწარმოებები. ამ მუზეუმებში ვნახეთ რაფაელის „მადონა“, „ალექსანდრე ფარნეზე“, ტიციანის „დანაია“, „მაგდალინა“, „პაპი პავლე მესამე ნათესავებში“, ველასკეზის „ვაკხი“.

ქალაქის ცენტრშია მოთავსებული აგრეთვე ორი გალერეა: ერთი — თანამედროვე ხელოვნებისა და მეორე — ცნობილი ფაიფურის მდიდარი კოლექციებით. თანამედროვე ხელოვნების გალერეაში უმთავრესად აბსტრაქციონისტული ხელოვნების ნიმუშებია გამოფენილი და პირდაპირ საცოდავ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე თავისი უშინაარსობით, ბნელი ფერებით და ადამიანისადმი უყურადღებობით.

მუნიციპალიტეტის პოედნიდან არცთუ ისე შორსაა განთქმული საოპერო თეატრი სან-კარლო. ეს არის უზარმაზარი ექვს იარუსიანი შენობა და მდებარეობს სან-ფერდინანდოს მოედანზე. დარბაზი თეატრისა მართლაც რომ საუცხოოა. ამ თეატრში სრულდებოდა პირველად როსინის, ბელინის, დონიცეტის და სხვა ცნობილი იტალიელი კომპოზიტორის ოპერები.

კორსო უმბერტოზეა 1224 წელს დაარსებული ნეაპოლის უნივერსიტეტი. ეს არის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი იტალიასა და დასავლეთ ევროპაში. ნეაპოლის უნივერსიტეტში სწავლობენ აღმოსავლურ ენებს, მათ შორის ქართულ ენასაც. ამ ქალაქში ჩვენი გიდი იყო ახალგაზრდა იტალიელი ქალი, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა ეს ინსტიტუტი და გვარიანად ლაპარაკობდა რუსულადაც და ქართულადაც.

ნეაპოლის უბის მთელ სანაპიროზე გაგრძელებულია ფართო ბულვარი ვია კომუნალე. ამ ბულვარს ამშვენებს მრავალი ძეგლი, მათ შორის ვირგილიუსისა და ტასოსი. ცნობილია, რომ ვირგილიუსი ხშირად და ხანგრძლივად ცხოვრობდა ნეაპოლში. ამ ქალაქში დაწერა მან თავისი საუკეთესო ნაწარმოებები. ავტობუსებით განვავრძეთ გზა ვირგილიუსის საფლავისაკენ, რომელიც ქალაქის განაპირასაა — ვია კიალაზე. ძველრომაულ კოლუმბარში.

ნეაპოლში ვნახეთ პინიათიანული ვილა, სადაც ცხოვრების

უკანასკნელი წლები გაატარა. დიდმა იტალიელმა პოეტმა ჯაკომო ლეოპარდიმ. პიატა პედიგროტასთან, ვირგილიუსის პარკში ასაფლავია ჯაკომო ლეოპარდი.

ვნახეთ ე. წ. ვირგილიუსის ტაძარი. ამ ტაძარში მაღალ კვარცხლბეკზე აღმართულია მარმარილოს საუცხოო ბიუსტი პოეტისა.

ვია რომანას პატარა მოედანზე დგას დანტე ალიგიერის ძეგლი.

ნეაპოლის ყველაზე დიდ მოედანს ეწოდება გარიბალდის სახელი. ამ მოედნის ცენტრში დგას ეროვნული გმირის ძეგლი. ეს ძეგლი გამოხატავს ვაჟკაცური გარეგნობის წამოსასხამიან კაცს, რომელიც ხმლის ტარს დაყრდნობია დაფიქრებული.

ვომერის მთიდან მოჩანს მთელი ნეაპოლი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო თავისებურმა სტადიონმა. იგი ოვალური ფორმისაა და ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, თითქოს მაღალ ფეხიან კიჩის მსგავსადაა აშენებული. იგი ასი ათას მაყურებელს იტევს; აქ ჩატარდა მსოფლიო ოლიმპიადის ნახევარ ფინალური შეხვედრა ფეხბურთში.

ვისაც ძველი რომის იმპერიის ისტორია შეუსწავლია, უუძველად დააფიქრებდა თავის დროზე, ერთ-ერთი ცნობილი და მდიდარი სავაჭრო ქალაქის — პომპეის ბედი. ოცი ათას მცხოვრებიანმა ქალაქმა სამ დღეში შესწყვიტა არსებობა, დაიფარა ვეზუვიდან ამოხეთქილი ქვიშით ე. წ. ლაპილებით და სქელი ფერფლით.

ეს მოხდა ჩვენი წელთაღრიცხვის 79 წელს. ამ საშინელი ტრაგედიის მომსწრე ცნობილი რომაელი მოღვაწე პლინი უმცროს ისტორიკოსს ტაციტს სწერს: ვეზუვის თავზე გამოჩნდა უზარმაზარი ბოლქვები, რაც ნაძვის ხის პინიოს ტოტებივით იყო გაშლილი. ვეზუვის ყელიდან ამოდირდა ცეცხლის მაღალი ენები, გავარვარებული ქვები და ფერფლი ისე მრავლად, რომ დღეც დამესავით იყო დაბნელებული. თითქოს დადგა განკითხვის დღე. იყო დაუსრულებელი ელვა-ქექა, მიწის სიღრმიდან მოისმოდა გუგუნი, ნიადაგი ირყეოდა;

ზღვამ ნაპირებიდან უკან დაიხია, დასტოვა რა ხმელეთზე მრავლად¹ თევზები და ზღვის ცხოველები. პაერში გაფანტული იყო მანრჩობელა გაზები. ყოველი მხრიდან მოისმოდა ქალების კენესა, ბავშვების კივილი, მამაკაცების ძახილი, ერთი ეძებდა მამას, მეორე შვილსა და ცოლს.

ვეზუვის კალთებზე არსებული რომაული ქალაქები დაიფარა 8 — 10 მეტრის სიმაღლის ფერფლით. წვიმით დასველებული ფერფლისაგან შეიქნა შესქელებული ცომი, რაც გადაეფარა დაღუპული ადამიანებისა და ცხოველების გვამებს. შემდეგში ეს მასა გაშავდა, გაქვავდა.

ვეზუვის მრისხანება რომ დაცხრა, მისი ფერფლით უკვე დაფარული იყო ქალაქი პომპეი, პერკულანუმი, სტაბია, ოპლონტი, თავრიტანია და მრავალი სოფელი. შემდეგ სამარისებურმა მღუპარებამ დაისადგურა ირგვლივ.

დროთა განმავლობაში ხალხმა დაივიწყა ამ ქალაქების არსებობის ადგილები. ზოგიერთ დაღუპულ ქალაქის ადგილზე ახალი ქალაქებიც აშენდა. ასე, პერკულანუმის ადგილას ახლა ქალაქი რეტინაა გაშენებული, ხოლო სტაბიას ადგილას — ქალაქი კასტელამარე დი სტაბია.

პომპეის მიდამოებში XVI საუკუნიდან ნახულობენ სხვადასხვა ნივთებს. 1689 წელს წყლის მიღების მიწაში ჩასაწყობად წარმოებული გათხრების დროს შემთხვევით წააწყდნენ რაღაც ნანგრევებს და ქვას წარწერით: „პომპეი“. ეგონათ, რომ ეს წარწერა შეეხებოდა მხედართმთავარს პომპეუსს. მეტერამეტე საუკუნეში ნაპოვნი ნივთებით და წარწერებით დარწმუნდნენ, რომ ამ მიდამოებში იყო გაშენებული ქალაქი პომპეი და ეს ნაშთებიც იქედან იყო.

პომპეიში სისტემატური ძიებები და გათხრები დაიწყო 1748 წელს. დღეისათვის პომპეის თითქმის ნახევარია გათხრილი და გაწმენდილი. ახლაც გრძელდება გათხრები. ჩვენი იქ ყოფნისას ქალაქის დასავლეთ ნაწილში გათხრების პროცესში თანდათან ჩნდებოდა დიდი შენობის ზედა სართული.

თბომავალ „გამარჯვებით“ ნეაპოლში ჩამოსული ჩვენი ტურისტები, იტალიის სხვა ისტორიულ ადგილებთან ერთად, დიდი ინტერესით მოველოდით პომპეის დათვალიერებას. ნეაპოლიდან პომპეიმდე 22 კილომეტრია. მგზავრობისას ვხედავდით ვეზუვის კალთებსა და ძირებზე განლაგებულ სოფ-

ლებსა და ქალაქებს. სახლებს მეტწილად ბრტყელი სახურავები აქვთ. მასალად ხშირ შემთხვევაში გამოყენებულია გაქვავებული ლავა. მცხოვრებლები ეწევიან მებაღეობასა და მევენახეობას. ნიადაგი ძლიერ ნაყოფიერია. ვეზუვისაგან ამოხეთქილ სასუქებზე საუცხოო მოსავალი მოდის. წლის განმავლობაში ბოსტნეულის 2—3 მოსავალი მოჰყავთ. განთქმულია ამ მიდამოების ვენახისა და ხეხილის ბაღები. მიწის დაპუშავებულ ზოლებში აქა-იქ გაშლილია შავი ნაკადი გაციებული ლავისა.

ნეაპოლიდან ავტობუსებით გასული მგზავრები, სორენტოსაკენ მიმავალი დიდი გზის დაახლოებით შუა წელზე, პატარა ქალაქ ტორე-ანუაციასთან, სადაც იწყება ვეზუვის ქედის განტოტებანი, ზღვის გაყოლებით გამართულ მოასტალებული საავტომობილო გზიდან უხვევენ მარცხნივ და მცირე ხნის შემდეგ მიაღწევენ პომპეის.

ჩვენ უკვე პომპეიში შევედით. იგი, ზღვის ნაპირას მდებარე, დიდი ქალაქი ყოფილა, დაუარსებიათ მეექვსე საუკუნეში ჩვენ წელთაღრიცხვამდე. ქალაქს ზუთი კარი ჰქონია სტაბიის, სარნოს, ნოლის, ვეზუვის და ჰერკულანუმის. მთელს ქალაქზე გადადიოდა ორი მთავარი ფართო პროსპექტი და მრავალი მცირე ქუჩა. ყოველი ქუჩა რიყის ქვებით იყო მოკირწყლული. ფეხით სასიარულო ადგილები ადამიანებისათვის უფრო ამაღლებული ყოფილა. ყოველ ქუჩაზე გამართულია შადრევანი მთებიდან მომდინარე წყლებით. გათხრების შედეგად პომპეიში აღმოჩენილი იქნა საცხოვრებელი შენობები, თეატრები, სასახლეები, ბაღები, სპორტული მოედნები; მნახველის ყურადღებას იქცევს ხელოსნების ქუჩები. სავაჭრო უბნები, პურის საცხობები. საცხოვრებელი სახლები უმთავრესად ორსართულიანია და ფანჯრები არა აქვთ ქუჩის მხარეს. ზოგიერთი სახლს კარს აწერია: „აქ ცხოვრობს ბედნიერება“.

პომპეიში მრავლად ყოფილა ტაძრები და მათ საგანგებო სახელებიც ჰქონიათ მიკუთვნებული. აღმოჩენილია იუპიტერის, ვენერას, მერკურის ანუ კვირინას, იუნონას, ნეპტუნის, ავგუსტუსის ტაძრები. ზოგი მათგანი, თავისი სიდიადით და მოკაზმულობით ნამდვილი ხელოვნების ძეგლის შთაბეჭდილებას ახდენს.

გრანდიოზულია ბაზილიკა ანუ სასამართლოს შენობა. უზარმაზარი ნაგებობაა — ფორუმში, რომლის სიგრძეც 152 მეტრია, ხოლო სიგანე — 48 მეტრი. მისი გათხრისას უნახავთ ადამიანის 69 გვამი. ფორუმს უკან გლადიატორების საცხოვრებელი ყაზარმებია, რომლებიც ნამდვილად ციხე ყოფილა, მათში ყავდათ ჩამწყვდეული გლადიატორები. აქედან ეს გლადიატორები გადაჰყავდათ ამფითეატრში. ეს ამფითეატრი ოცი ათას მაყურებელს იტევდა.

პომპეიში არსებულა დიდი ანუ ტრაგიკული თეატრი. მას აგრეთვე ნერონის თეატრს უწოდებენ, რადგან ამ თეატრში გამოდიოდა თურმე ნერონი. ჩვენ ვნახეთ ამ თეატრში ნერონის ლოკაც. ეს თეატრი ოვალური ფორმისაა და მაყურებელთა საჯდომი რიგები თანდათან ამალღებულა. ზევიდან თეატრი ღიაა; მეორე თეატრს — მცირე კომიკური თეატრი ანუ ოდეონი ეწოდებოდა. მაყურებლები იძენდნენ ძელის ბილეთებს და ადგილებს იკავებდნენ წოდებრივი წარმოშობის, მღვდმარეობისა და ასაკის მიხედვით. დიდი ანუ ტრაგიკული თეატრი იტევდა ხუთი ათას მაყურებელს, ხოლო მცირე კომიკური თეატრი ათას ხუთას მაყურებელს. საბალეტო სკოლის შენობა მოხატულია მოცეკვავე ქალებით.

პომპეიში დიდად ყოფილა გავრცელებული შენობებისა, საცხოვრებელი სახლებისა და ქუჩების მორთვა ქანდაკებებით და ფრესკებით, რომელთაგან ბევრნი დღესაც კარგადაა შემონახული. ყოველი საზოგადო და მსახურებისათვის მოქალაქეებს ქანდაკებებს უდგამდნენ თურმე. ფრესკები გამოხატავენ მითიური ღმერთების, ადამიანებისა და ცხოველების ფიგურებს. ვხვდებით მათ შორის ფრივოლურ ფრესკებსაც, გავეცანით ორნამენტებისა და საიუველირო ხელოვნების ნიმუშებსაც, განცნადებებს თეატრალური სანახაობის შესახებ.

გათხრების დროს პომპეიში ნაპოვნი ხელოვნების ძეგლები და ნივთები დაცულია პომპეისა და ნეაპოლის მუზეუმებში. ნეაპოლის მუზეუმში ვნახეთ პომპეიდან წაღებული საუცხოო ქანდაკებები და სტატუები: „ათინა-პალადა“, „ნერეიდები“, მარმარილოს ერთი ნაჭრიდან გამოქანდაკებული ჭგუფი — „აპოლონი. რომელიც იმორჩილებს გაცოფებულ ხარს!“ ეს ქანდაკება ნამდვილი შედევრია. არ შეიძლება არ შეჩერდეთ ჰერკულესისა და ვენერას ქანდაკებებთან.

პომპეიში ბევრი ყოფილა სახალხო აბანოები, ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ თერმები. აბანოები მრავალი ოთახისაგან შედგებოდა. ყოველი სააბაზანოს წყლის მიწოდების თავისებური სისტემა ჰქონია.

პომპეიში დაცულია სტაბიის თერმები, რომელიც აგებულია მეორე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. სტაბიის თერმებს ჰქონდა ცალ-ცალკე განყოფილება ქალებისათვის და მამაკაცებისათვის. ამ ორ განყოფილებას შუა მოთავსებული იყო წყლის გასათბობი აუზები. მამაკაცების განყოფილებაში იყო აპოდიტერი (გასახდელი), ტეპიდარი (თბილი აბანო), კალდარი (ცხელი აბანო), ფრიგიდარი (ცივი აბანო), სასპორტო დარბაზი და დასასვენებელი ოთახები.

თერმები ძველად ეს იგივე თავისებური კლუბი იყო. ღამაზად, მდიდრულად იყო მორთული. საუკეთესო ანტიკური ძეგლები, ქანდაკებები აპოლონ ბელვედერისა, ჰერკულეს ფარნეზელისა, ლაოკონის ჯგუფი—თერმებში იქნა აღმოჩენილი. თერმებში კითხულობდნენ პოეტები თავიანთ ლექსებს, მხატვრები ხატავდნენ ღამაზი ქალების პორტრეტებს.

საუცხოოა, განსაცვიფრებელი სილამაზის ქურუმი ქალის ეგმახიის სასახლე და მისი ქანდაკება, რომლის დედანიც ახლანეაპოლის მუზეუმშია, ხოლო პირი პომპეიში.

1860 წლიდან, როდესაც დაიწყო სისტემატური გათხრები პომპეიში, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს მრავალი დამადასტურებელი იმ კატასტროფის მოულოდნელობისა, რომელიც თავს დაატყდა პომპეის მცხოვრებთ 79 წლის 23 აგვისტოს. პომპეის მცხოვრებთა უმრავლესობამ შესძლო გაქცევით თავის გადარჩენა. დაილუპნენ უმთავრესად მოხუცები, ავადმყოფები, მონები და ზოგიერთი მოქალაქენი, რომლებმაც ამა თუ იმ მიზეზის გამო ვერ შესძლეს ქალაქიდან დროზე გასვლა. ამ უკანასკნელთა წყებას ეკუთვნის ახლახან აღმოჩენილი ხელოსანთა უბნის მცხოვრებნი. როგორც ჩანს, ეს ყოფილა ორი ოჯახი: ხუთი მოზრდილი და სამი ბავშვი. ვეზუვის ამოხეტის პირველ ხანაში, მათ თავი შეუფარებიათ თავიანთი სახლებისათვის. როდესაც გავარვარებულ ქვების სეტყვა და ფერფლი ოდნავ შენედა, ამ ადამიანებმა დატოვეს თავიანთი თავშესაფარი და გაეშურნენ ზღვისაკენ, რო-

შელიც იმხანად უფრო ახლო იყო ქალაქთან, ვიდრე ახლა არის. გამძვინვარებული სტიქია მანრჩობელა გაზის ტალღის ხანით მათ ქუჩაზე დაეწია. გაქვავებულ მასაში კარგად არის შენახული ქალის გვამის ანაბეჭდი, რომელსაც სასიკვდილო ტანჯვისას ხელები გაუშვერია თავისი ბავშვისაკენ, რომლებიც გაშეშებულან და პაწია ხელები მიუფარებიათ თვალებზე.

გადავდივართ პომპეის მუზეუმის გასაცნობად. მუზეუმი პატარაა და მასში მხოლოდ გათხრების დროს პომპეიში ნახული მასალებია დაცული. მუზეუმის ერთ კუთხეში თვალი მოკვარით შუშაში ჩასმული ადამიანის მაგვარ ფორმას. შორიდან ეს ქანდაკება გვეგონა და მივუახლოვდით, ნამდვილად კი აღმოჩნდა გაქვავებული ადამიანი, დიახ, ნამდვილი ადამიანი. ვულკანის ამოხეთქვისას პომპეის მცხოვრებთაგან ვინც ვერ მოასწრო გაქცევა, დაიღუპნენ მხრჩოლავი გაზისაგან და შემდეგ მათი სხეული ფერფლმა დაფარა. გაცივებისას ფერფლი გაქვავდა. გაქვავებულ ადამიანთა გარეგნობა გამოხატავს საშინელების განცდას, სასოწარკვეთილებას, კონვულსიას. ჩვენს მიერ ნახული ადამიანის ფორმა მონა ქალისაა, რომელიც პირით ძირს დამხობილა და თავზე ხელები აქვს შემოწყობილი. წელზე მას თოკის ქამარი არტყია. სწორედ ის იყო ნიშანი იმისა, რომ იგი მონა ქალი ყოფილა. როგორც ჩანს, პატრონს მისთვის ნება არ მიუცია გაქცევით ეშველა თავისათვის. ასე დამხობილს დიდ ტანჯვაში დაუმთავრებია თავისი სიცოცხლე; აგერ კიდევ კისერგადაგდებული ადამიანი, კბილები მოუჩანს, ხელები დაკრუნჩხვია. იბრძვის სიცოცხლისათვის; მეორე კუთხეში ვხედავთ თოკით მიბმულ ძალღს, მასაც უგრძვნია მოახლოებული უბედურება და მთელის ძალით ცდილა თოკისაგან აწყვეტას, ენა გადმოგდებული აქვს, თვალები გადმოკარკლული, სხეული მოკრუნჩხული; მუზეუმში ენახეთ გაქვავებული კვერცხი ქათმისა და პურეულის მარცვლები, გამზადებული ცომი პურისა. პირდაპირ შემადრწუნებელია ბავშვის სათამაშოების დანახვა, რაც ნანგრევებშია ნაპოვნი...

გამოჩენილმა იტალიელმა პოეტმა პეტრარკამ ვეზუვს უწოდა „საშინელი მთა—განმანადგურებელი“. მართლაც, ვე-

ზუვი არის დიდი კატასტროფების ადგილი, რომელსაც განუწყვეტლივ შიშის ქვეშ ჰყავს ახლომახლო ყველა. ვეზუვი სულ მოძრაობაშია. მისი ყელიდან ახლაც ამოდის კვამლი და ორთქლი, ხოლო დროდადრო ანათებენ ვულკანური წილას ნაჭრები. 1630—1661 წლებში ამოხეთქილმა ვულკანმა ათი ათასი ადამიანი შეიწირა; 1794 წელს ვულკანმა მთლიანად დაანგრია ქალაქი ტორე-დელა-გრეკო. 1872 წელს — ქალაქი სან-სებასიანი. 1906 წელს დაიღუპა ქალაქები — ბოსკო-ტრეკაზო, სარნო და სან-ჯერანო. ამ წელს ნეაპოლამდეც მიადწია მისმა ფერფლმა და ქვიშამ და რამდენიმე შენობა დაანგრია. 1944 წელსაც განმეორდა ვეზუვის მრისხანება. აღსანიშნავია, რომ ვეზუვიდან ამოსული ფერფლი ქარს ძლიერ შორს მიაქვს.

გაქვევებული ქალაქიდან გამოვდივართ ახალ კეთილმოწყობილ მოედანზე თანამედროვე დიდი მაღაზიებით და სასტუმროებით. აქ ფართო ვაჭრობაა გაჩაღებული. ტურისტებს აწოდებენ სხვადასხვა ბრჭყვიალა, ჭილოფის ქუდებს, ბეჭდებს, ყელსაბამებს, სამაჯურებს.

* * *

ავტობუსებით განვაგრძობთ გზას სორენტოსაკენ, პომპეისაგან მიღებულ მძიმე შთაბეჭდილებას აქარწყლებს სორენტოს ბუნების სიმშვენიერე და ახალ-ახალი თვალწარმტაცი სანახაობა. გზა მიჰყვება გამჭვირვალე ზღვის ნეაპოლის უბეს. ზღვის ნაპირები კლდოვანი, ფლატოვანია. ასფალტირებული გზა წრისებრ უვლის. ამ ფლატეებს. სორენტოს მიმართულებით გავიარეთ მწვანეში ჩაფლული მრავალი ქალაქი და სოფელი, მათ შორის — ტორე ანუნციატა, კასტელმარე დი სტაბია, ვიგო, კვესანა, საიანო, ეგუნცე და სხვები. ესენი საუცხოო სააგარაკო ადგილებია. მომჯადოებელი სურათები ერთმანეთს ცვლის, ბუნება განსაცვიფრებლად ლამაზია, მარჯვნივ გაშლილი ზღვაა, მარცხნივ კი მოჩანს ზვრები. ფორთოხლებისა და ლიმონის ბაღები. ხეები დახუნძულა დამწიფებული მსხვილი ნაყოფით. წელიწადში ფორთოხლისა და ლიმონის ორი მოსავალი მოდის. ყურადღებას იპყრობს მათი შოვლის წესები: რათა ზაფხულში სიცხემ და ზამთარში

სიცივემ არ დაახიანოს ხეები ააჭიროების მიხედვით მათ გადაფარებენ ხოლმე ჩელტებს. ეს იცავს ლიპონისა და ფორთოხლის ხეებს ზედმეტი სიციხისა და სიცივისაგან.

თანდათან ვუახლოვდებით მალლობზე განლაგებულ სორენტოს და მომჭადოებელი სურათები უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება. გამოჩნდა სორენტო და მისი ლამაზი ადგილმდებარეობა. სორენტოში ჩვენი მანქანები გაჩერდა პიაცი დი ტასოს მახლობლად. ეს სახელი შემთხვევით როდი ეწოდება ამ მოედანს. აღორძინების ხანის დიდი პოეტი — ტორკვატო ტასო სორენტოში დაიბადა, მოედანზე აღმართულია პოეტის დადებული ძეგლი. ვნახეთ ადგილიც: სადაც იდგა სახლი, რომელშიც დაიბადა ტასო.

სორენტოში ტორკვატო ტასოს სახელთან მრავალი სხვა ადგილიცაა დაკავშირებული. ყველაზე საუკეთესო სასტუმრო მისი სახელისაა. იქვე მთავარა დარბაზის შესავალთან დგას მისი ბიუსტი. შემდეგ ტასომ თავისი ცხოვრების მეტი წილა გაატარა ფერარაში — პოეტებისა და მხატვრების ქალაქში. ფერარას მუზეუმში დაცულია ტორკვატო ტასოს გენიალურა პოემის — „განთავისუფლებული იერუსალიმის“ ავტოგრაფი. აქვე იჯდა იგი ციხეში თავისი პროგრესული შეხედულებების გამო. მუზეუმად გადაქცეული ფერარას ციხის კედლები, სადაც დამწყვედული იყო ტასო, წარწერებითაა დაფარული, ამ წარწერებს შორის გავარჩიეთ ბაირონის მიერ ლექსად წარწერა. ბაირონი გამოთქევას მოწიწებას სახელოვანი პოეტისადმი. ტორკვატო ტასო დასაფლავებულია რომში, ჯანიკოლოს (ანიკულის) გორაკზე. სანტ-ონოფრიის ტაძარში.

სორენტოში მრავალი ძველი შენობაა. მათ გვერდით ახალია ბევრი. ქუჩები ვიწროა, მანქანებს უჭირთ ერთმანეთისათვის გვერდის ავლა. მოდერნული ავტომანქანების გვერდით დგანან ერთცხენიანი ეტლები. რომლებიც უფრო შეტად ეგზოტიკურობის შთაბეჭდილებას ტოვებენ.

მაქსიმ გორკი სორენტოში ერთ ხანს ცხოვრობდა ვილაში — „მასსი“, ხოლო შემდეგ — ვილა „ილსორიტოში“. ეს უკანასკნელი ორსართულიანი ქვის შენობაა და ზევიდან გადაპყურებს ზღვას. ამ შენობიდან კარგად მოჩანს სორენტოს გზა და ნეაპოლის უბე. შენობას ლიპონის და ფორთოხლის ბალი აკრავს.

ამ სახლზე მიკრულია მარმარილოს მემორიალური დაფა, რომელზედაც აღნიშნულია, რომ აქ ცხოვრობდა მაქსიმ გორკი. მისი ასლანდელი მცხოვრებნი ისე კარჩაკეტილი და გულზვიადნი არიან, რომ კიდეც გაუჭირდათ ჩვენთვის ნება მოეცათ დაგვეთვალიერებინა ბაღი და სახლი. ვერც ერთმა იქ მცხოვრებმა, სამწუხაროდ, ვერაფერი გვითხრა გორკის იქ ცხოვრების შესახებ.

ვათვლიერებთ სორენტოს ღირსშესანიშნავ ადგილებს. ამ ქალაქ-აგარაკზე ცხოვრება სულ ქუჩებზეა გამოსული. აქვეა დალაგებული სავაჭრო მაგიდები თვალის მომჭრელი სამკაულებით. გამყიდველები პირდაპირ ძალით იწვევენ თავისკენ ტურისტებს, რათა შეიძინონ საქონელი.

დიდი ხნის სიარულის შემდეგ ჩვენი სადილობის დრომაც მოაღწია: მიგვიპატიუეს ჰოტელ „ტრამონტანაში“ (ჩრდილოეთის ქარი). იგი სანახევროდ გადასწოლია სორენტოს უბეს. აქედან იშლება იშვიათი ხედი — მოჩანს გაშლილი ზღვა, ნეაპოლი და ვეზუვი.

სორენტოდან გავემგზავრეთ ლამაზი, არცთუ ისე დიდი თბომავლით „სანტა მარიათი“ კაპრისკენ. სორენტოს ნახევარკუნძულისაგან კაპრი დაშორებულია ხუთი კილომეტრით, ბოკა პიკოლას (პატარა პირის) სრუტით. არის გადმოცემა, რომ ერთ დროს კაპრი შეერთებული ყოფილა სორენტოსთან, მაგრამ დროთა განმავლობაში, ზღვის ორმხრივი მოწოლის შედეგად, დაშორებიან ერთმანეთს.

კაპრის ნაპირები დიდად შეჭრილ-შემოჭრილია, გემებს მხოლოდ ორი მისადგომი აქვს: მარინა გრანდე და მარინა პიკოლა. სორენტოდან წამოსული ჩვენი თბომავალი ორმოცი წუთის შემდეგ მარინა გრანდეს ნავსადგურით მიადგა კაპრს.

კაპრის კიროვან ნაპირებთან, ზღვის განუწყვეტელი მოძრაობის შედეგად, მრავალი გამოქვაბული გაჩენილა. თითოეულ გამოქვაბულს თავისი სახელი აქვს. არის ალმასის, ზურმუხტის, ვარდისფერი და სხვა გამოქვაბულები. მაგრამ ყველაზე დიდი და ცნობილია ცისფერი გამოქვაბული — გროტა აზურა.

გამოქვაბულებთან მისვლა მხოლოდ ზღვით, კატარღებით და ნაგებით შეიძლება და ისიც მშვიდ ამინდში, ღელვის დროს

მასში შესვლა შეუძლებელია. ჩვენი თბომავალიდან პირდაპირ კატარლებში გადავჯექით და გავყევით კლდეებიან ნაპირებს. მივემართებით ცისფერი ანუ ლაჟვარდოვანი გამოქვაბულის დასათვალიერებლად. კატარლას მართავს საშუალო ხნის, სანდომიანი იტალიელი მამაკაცი. იგი ფეხშიშველია და ტანზედაც ცუდად აცვია. მეკატარლე სასიამოვნო ხმით მღერის ნეპოლიტანურ სიმღერებს. ჩაეუარეთ მრავალ გამოქვაბულს. მივუახლოვდით ცისფერ გამოქვაბულს. წინ შემოგვხვდნენ მენავეები, რომლებიც ოსტატურად მართავენ თაყიანთ ნავეებს. გამოქვაბულში შესვლა მხოლოდ ნავეებით შეიძლება. კატარლებიდან გადავჯექით ნავეებში. თითო ნავეში მოვთავსდით ოთხი კაცი. მაგრამ ერთ-ერთ ნავეში ჩაქდა ძალზე მსუქანი ბელორუსი ექიმი და მასთან უკვე სხვა ვერავინ მოთავსდა. გაგვაფრთხილეს, რომ ნავეში ყველა ფსკერზე უნდა დაემჯდარიყავით, ან დაეწოლილიყავით, თორემ ისე ვერ შევიდოდით გამოქვაბულის პატარა ხვრელის კარში. მენავემ მოხერხებულად მიიყვანა ნავეი გამოქვაბულის ხვრელთან, მოსწია ჯაჭვი და შეგვაცურა გამოქვაბულში. პირველივე შთაბეჭდილება ისეთი იყო თითქოს ჩვენ ფანტასტიკურ ქვეყანაში ვიმყოფებოდით. ფოსფორისებური ფერების ლივლივი ქმნიდა ზღაპრულ სილამაზეს. საკმაოდ განიერ და მაღალ თაღებიან გამოქვაბულში დასეირნობენ ნავეები და ჩვენც გარინდებული ვათვალიერებთ გარემოს. ხელი ჩაეყავით წყალში და ხელმაც ლაჟვარდის ფერი მიიღო.

გამოქვაბულიდან გამოსვლის შემდეგ მენავეებს საჩუქრები მივეცით, გადავჯექით ჩვენს კატარლაზე და გავემართეთ კაპრისაკენ.

კაპრი არ არის დიდი კუნძული, მასზე ცხოვრობს ცხრა ათასი კაცი. გადავვდით კლდეებიან, ამწვანებულ კუნძულზე.

კაპრზე მრავალი ისტორიული ადგილია. ოდესღაც აქ ცხოვრობდნენ თავიანთ ბრწყინვალე ვილებში იმპერატორები — ავგუსტუსი, ნერონი, ტიბერიუსი; ტიბერიუსის უდიდესი და ულამაზესი მარმარილოს სასახლე სულ დანგრეული და დატაცებულია, მხოლოდ მცირე ნაშთებილია მისგან შემორჩენილი. კაპრი იზიდავდა მრავალ გამოჩენილ ადამიანს. მაგრამ დღეს იგი წარმოადგენს უმთავრესად ამერიკელი მილიონ-

ნერების საუფლოს. ყველაფერი საუკეთესო, რაც არის ამ კუნძულზე, მათ ხელშია. ამერიკელი კაპიტალისტები თავს ისე გრძნობენ, თითქოს ამ კუნძულის ბატონ-პატრონნი და გამგებელნი მხოლოდ ისინი იყვნენ, თითქოს ეს კუნძული მათი კოლონია იყოს. ხანში შესული ამერიკელი ქალებიც კი დასეირნობენ ქუჩებში ძალზე მოკლე და გამჭვირვალე შარვლებით, სამნაირად შეღებილი თმით (თმის სხვადასხვა ნაწილი სხვადასხვა ფერისაა) და მოღეღილი მკერდით.

კაპრზე ჩვენი ყოფნის მთავარი მიზანი იყო იმ ადგილების დათვალიერება, სადაც მკურნალობდა და ხანგრძლივად (1906 — 1913 წლებში) ცხოვრობდა მაქსიმ გორკი. ლენინმა კაპრზე ორჯერ (1908 წელსა და 1910 წელს) ინახულა მაქსიმ გორკი.

კაპრის ყოველმა მცხოვრებმა იტალიელმა იცის, თუ სად ცხოვრობდა სენიორ მასიმო — მაქსიმ გორკი. ერთ ხანს იგი ცხოვრობდა ვილაში — „სერაფიმო“. ეს ვილა კუნძულის დასავლეთ ნაწილშია, იგი სულ ჩაფლულია მწვანეში, ფართობლებისა და ლიმონების ტყეში. ზღვისკენ ქვის კიბით ჩადის გზა.

შორიდან მოჩანს წითლად მოპირკეთებული სახლი. გვეყვით ვიწრო დაქანებულ ქუჩებს და ავედით მოედანზე. აქ მდებარეობს სასტუმრო „ერკოლანო“, სადაც დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა გორკი. მის ფართო აივანზე მუშაობდა დიდი მწერალი. ახლა ამ აივანზე რესტორანის მაგიდებია დალაგებული და ამერიკელი ბიზმესმენები შეექცევიან „კოკა-კოლას“.

სასტუმროს პატრონმა გვიჩვენა ოთახი, რომელშიც ცხოვრობდა გორკი. მისი თქმით, ამ ოთახის ავეჯი — ორი ხის საწოლი და კარადა დაცულია იმავე სახით, როგორც ეს მაქსიმ გორკის დროს იყო. ახლა ეს ოთახი სასტუმროს სხვა ოთახებთან ერთად ქირავდება.

ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ სასტუმროს არავითარი ნიშანი, არავითარი მემორიალური დაფა არა აქვს მაქსიმ გორკის იქ ცხოვრების შესახებ. სამაგიეროდ, შესავალ დარბაზში ოქროს ასოებით მარმარილოზე ამოკვეთილია ვილაც გერმანელი ექიმის (დილ ფონ ბერინგის) მემო-

რიალური წარწერა. მაგრამ სასტუმროს პატრონისათვის უცნობი იყო, თუ რაში გამოიხატა ამ ექიმის დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

კაპრზე მ. გორკის მრავალი ნაცნობი და მეგობარი ჰყოლია, უმთავრესად მეთევზეები და მენავეები. იგი მათ ხშირად ხვდებოდა თურმე, თავისთანაც იწვევდა და ამათაც ესტუმრებოდა. გორკი ბევრ მათგანს მატერიალურადაც ეხმარებოდა, ავადმყოფობისას თავისი ხარჯით ექიმსაც უგზავნიდა. ამის შესახებ გვიამბო ძველმა მეთევზემ, ოთხმოცდაათნი წლის ანტონიო არიველომ, რომელსაც თურმე ხშირად დაჰყავდა გორკი სათევზაოდ.

კაპრზე ვინახულეთ მოხუცი მწერალი ელვინ ჩეკო, რომელიც იქაური მცხოვრებია და მ. გორკისაც პირადად იცნობდა. მას სავალდებულოდ მიაჩნია შეხვდეს საბჭოთა ქვეყნიდან ჩამოსულ ყოველ ტურისტს და ესაუბროს მაქსიმ გორკისთან შეხვედრის შესახებ. ჩეკომ ისიც გაიხსენა, რომ მისი ერთ-ერთი პირველი წიგნი გორკის დახმარებით გამოვიდა, მან მოლაპარაკება აწარმოა იტალიელ გამომცემლობასთან და ნაწილი ხარჯებისა თვითონ იკისრაო; გორკი ხშირი სტუმარი ყოფილა კაპრზე წიგნის მაღაზიებისა და მათ მეპატრონეებს პირადად იცნობდა. იგი ამ მაღაზიებს საგანგებო შეკვეთებსაც აძლევდა თურმე საჭირო მხატვრული ლიტერატურის და ჟურნალ-გაზეთების მისთვის მიწოდების შესახებ.

მიიწურა ჩვენი ყოფნის დრო სორენტოსა და კაპრზე. ჩვენმა პატარა თბომავალმა ნაშუადღევს გეზი აიღო ნეაპოლისაკენ. მას უნდა გაეელო ჩვიდმეტი საზღვაო მილი. ზღვა მშვიდი იყო და ჩვენს წინაშე განსაცვიფრებელი პანორამა იყო გადაშლილი. მუსიკისა და სიმღერების პანგებში თბომავალი შეუმჩნეველად შევიდა ნეაპოლის ნავსადგურში.

დავდივართ ქუჩებში, სანაპიროზე და ვათვალიერებთ ლამის ნეაპოლს.

მალე ჩვენმა თბომავალმა უნდა დასტოვოს იტალია.

ჰავრი, რუანი, პარიზი

ჩვენი თბომავალი „გამარჯვება“ მიაპობდა ხმელთაშუა ზღვის ტალღებს. რაც უფრო ვუახლოვდებით ჰიბრალტარს, მით უფრო ხშირად გვხვდებოდნენ აღმოსავლეთისაკენ მიმავალი გემები. ჩვენ ესპანეთის ნაპირებთან ვიმყოფებით. ვხედავთ ერთ მხარეზე აფრიკის ნაპირებს, მეორე მხარეზე ჰიბრალტარს. შევდივართ ჰიბრალტარის სრუტეში, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ხმელთაშუა ზღვას და ატლანტიის ოკეანეს. ჩრდილოეთის მასივზე ამაღლებულია ჰიბრალტარის კლდეები, სამხრეთისაზე ჯებელმუსას კლდეები. ძველად მათ ჰერკულესის ბოძებს უწოდებდნენ. 1704 წლიდან ჰიბრალტარი ინგლისელებმა ჩაიგდეს ხელთ და გადააქციეს თავიანთ სამხედრო-საზღვაო ბაზად. ჰიბრალტარის ფართობი ხუთი კვადრატული კილომეტრია. მისი სიმაღლე ოთხას მეტრს აღემატება. იგი ესპანეთის ტერიტორიასთან შეერთებული იყო ვიწრო, ქვიშიანი ყელით. მეორე მსოფლიო ომის დროს ინგლისელებმა ღრმა თხრილი გაიყვანეს ესპანეთის მხარეზე და ჰიბრალტარი კუნძულად გადააქციეს.

შემოუარა რა სანტა მარიას კონცხს, „გამარჯვება“ მიჰყვება პორტუგალიის ნაპირებს. ატლანტიის ოკეანე ძალიან შფოთავს. რამდენიმე ხნის შემდეგ შევედით ბისკაის ყურეში, ეს „მტორმების სამზარეულოა“, ამბობენ მეზღვაურები. აქ ხშირად ქრის ძლიერი ქარები და ოკეანე ყოველთვის მძლავრად დღლავს. ამ უბეს უწოდებენ აგრეთვე „გემების სასაფლაოს“, რადგან არცთუ ისე იშვიათია ამ ადგილებში გემების გასაჭირი და დაღუპვა. ჩვენმა თბომავალმა ბისკაის უბის დასაწყისში მიიღო ნიშანი, დახმარებას სთხოვდნენ. მაგრამ კატასტროფაში მოხვედრილი გემი ჩვენგან ძალიან შორს იყო. მხოლოდ მეორე დღეს, ბისკაის ყურედან გამოსვლისას შევნიშნეთ რომელიღაც ტანკერის ნამსხვრევები. ჩავუარეთ ლამანს. მეზღვაურთათვის ეს ყველაზე რთული უბანია, რადგან აქ ხშირად იცის ნისლი, რაც დიდად აძნელებს გემების მიმოსვლას.

შორიდან ჩავუარეთ ბრესტს, შერბურს. უკვე იგრძნობა საფრანგეთი. ზღვაზე შვიდი დღის მოგზაურობის შემდეგ

თბომავალი „გამარჯვება“ შევიდა ჰავრის ნავსადგურში. ჩვენი გზა პარიზისკენ მიემართება. საპოლიციო ფორმლობის გავლის შემდეგ გვირახისებური გრძელი რონოდიო გადავდივართ ნავსადგურის შენობაში. ჩვენ ვიმყოფებით საფრანგეთის იმ ნაწილში, რომელსაც ნორმანდიას უწოდებენ.

ჰავრი საფრანგეთის ერთ-ერთი უდიდესი ნავსადგურია, რომელიც დაკავშირებულია მთელ მსოფლიოსთან. ჰავრი გაშენებულია იმ ადგილას, სადაც მდინარე სენა უერთდება ლამანშს. რუანთან ერთად ჰავრი, როგორც სანავსადგურო ქალაქი სენის ბოლო წელზე, შეადგენს პარიზისა და მისი დეპარტამენტის მთავარ გასასვლელ პუნქტს ზღვაზე.

ჰავრს აქვს კარგად მოწყობილი ნავსაყუდელი, გემებისათვის მოხერხებული მისადგომები, დიდი საწყობები და სარემონტოები. იგი პირველი პორტია საფრანგეთში, რომელსაც აქვს სანაპირო-საზღვაოსნო რადიო-სალოკაციო ტექნიკა გემების მიმოსვლისათვის ხელის შესაწყობად. როგორც აღვნიშნეთ, ლამანშში ხშირია ნისლი, ბურუსი. ახლა კი გემებს ყოველგვარ ვითარებაში შეუძლიათ შესვლა პორტში. ჩვენს საოკეანო თბომავალსაც სვლა ნისლსა და ბურუსში მოუხდა. ხშირი გააფრთხილებელი სასტვენი ნიშნით მიაპობდა იგი ზღვას.

ჰავრი უმთავრესად მეზღვაურებისა და ვაჭრების ქალაქია. მეორე მსოფლიო ომის დროს მან დიდი ნგრევა განიცადა. რიკრიგობით ბომბავდა ხან ფაშისტური გერმანიის და ხან ამერიკა-ინგლისის ავიაცია. ჰავრში დანგრეა და დაზარალდა ორი მესამედი მთელი შენობებისა, უმთავრესად მუშათა უბანი და სანავსადგურო ნაგებობები. ხუთი ათასზე მეტი მოსახლე დაიღუპა ნანგრევებში. ომის შემდეგ ნაგებობათა მხოლოდ ნაწილია აღდგენილი, ისიც მდიდრების ვილები და საცხოვრებელი სახლები. მუშებსა და მოსამსახურეებს ახლაც მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება. გაზეთების ცნობით ექვსი შვილის მამამ, 53 წლის ფრანგმა ქუამ, რომელიც ჰავრში ცხოვრობდა, სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა. ქუა კვალიფიციური გემთშენებელი იყო და სანამ ჯანმრთელი იყო, სამუშაოც ჰქონდა. მაგრამ ამ ორიოდ წლის წინათ იგი მძიმედ დაავადდა, და, როდესაც გასული წლის ივლისში საავადმყოფოდან გამოეწერა, ქუამ უმუშევართა რი-

გებში კიდევ ერთი ადგილი შეავსო. არავის აღარ აინტერესებდა „არასრულფასოვანი“ მუშა. ქუას ერთ-ერთი ვაჟი საწარმოდან დაითხოვეს „პერსონალის შემცირებასთან“ დაკავშირებით, ხოლო უფროსი ვაჟი — საფრანგეთის არმიის ჯარისკაცი, ალჟირში იყო. მოხუცს ცხოვრება გაუძნელდა. მრავალწევრიანი ოჯახი ქუას მეუღლისა და 15 წლის ქალიშვილის მიერ წვალებით ნაშოვნ 490 ახალ ფრანკს შეჰყურებდა. ეს თანხა მხოლოდ ერთ კაცს თუ გამოკვებაეს ნორმალურად. რამდენიმე თვის ბინის ქირის გადაუხდებლობის გამო ქუას ოჯახი ბინიდან გამოაძევეს. ეს უკვე სასოწარკვეთილების კულმინაცია იყო. ქუამ თავი მოიკლა.

ვიწყებთ ქალაქისა და ნავსადგურის გაცნობას. ქალაქის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი საკმაოდ მაღალ გორაკზეა მოთავსებული. აქედან კარგად მოჩანს მთელი ქალაქი და ზღვის სივრცეები. განაპირა უბნებში ბევრი მწვანეა, ვხედავთ ალვის, თუთის, აკაციის, ცაცხვის, კაკლის ხეებს. ზღვის ნაპირის გაყოლებით მოდერნის სტილის აგარაკები და შენობებია, რაც შეძლებულთათვის და ამერიკელი ბიზნესმენებისათვის არის განკუთვნილი. სამაგიეროდ, როგორც კონტრასტი ჰავრის სხვა უბნებში მოჩანს ფანერისაგან შეკოწიწებული მუშათა ქოხები.

ჰავრის ლირსშესანიშნავ ადგილებიდან და დაწესებულებებიდან დავათვალიერეთ ოკეანოგრაფიული ინსტიტუტი, საბუნებისმეტყველო-ისტორიული მუზეუმი, ნელოვნებისა და არქეოლოგიის მუზეუმი. თითოეულ მათგანში მდიდარი და საინტერესო მასალაა დაცული.

საფრანგეთში ზღვით მიმავალი ტურისტები უმთავრესად ჰავრიდან იწყებენ მოგზაურობას. ექსპრესს ორ საათში გადაყავს მგზავრები ჰავრიდან პარიზს. ჰავრიდან საფრანგეთის სატახტო ქალაქამდე 220 კილომეტრია. ჩვენი ჩასვლისას საფრანგეთის რკინიგზებზე დიდი გაფიცვები იყო და მატარებლები არ მუშაობდა. ცხოვრების გაძვირების გამო, რკინიგზელები მოითხოვდნენ საარსებო პირობების გაუმჯობესებას. რაკი რკინიგზებზე არ იყო მოძრაობა, ტურისტულმა ფირმამ ჰავრში დავგახვედრა ავტობუსები. ამან ერთგვარად შესცვალა ჩვენი მოგზაურობის მარშრუტი, და ეს უფრო კარგიც გამოვიდა.

ჩვენი ავტობუსის შოფრები თეთრად არიან ჩაცმულნი. ვარედან თეთრივე მოგრძო ხალათები აცვიათ. ისინი თავიანთი ჩაცმულობით უფრო სააეადმყოფოს მუშაკებს გვანან.

ჩვენ მოგვიხდა საფრანგეთის საუკეთესო კუთხის — ნორმანდიის გავლა და დათვალიერება. მთელი გზა მდინარე სენის ნაპირებს მიჰყვებოდა. ჩვენ წინ გადაშლილი იყო მიხვეულ-მოხვეული სენა თავისი კუნძულებით, რომელსაც მარჯვნივ შემოვლებული აქვს ცარციანი კლდეები. ზღვის თოლიები კლდეებში ბუდეს იკეთებენ. უფრო ზევით გადაშლილია ვრცელი ტყეები. სენის მარცხენა ნაპირზედაც მოჩანს თვალუწვდენელი ტყე. სენაზე ხშირია სანაოსნო სადგურები.

ნორმანდია ერთ-ერთი უდიდესი და ულამაზესი პროვინციაა საფრანგეთისა. ამ უკანასკნელს იგი შეუერთდა 1204 წელს ფილიპე-ავგუსტის მეფობის დროს. ცნობილი ციხესიმაგრის შატო-გაიარის აღების შემდეგ. მანამდე ნორმანდია იყო დამოუკიდებელი საჰერცოგო, რომელიც დიდ როლს თამაშობდა შუა საუკუნეების ისტორიაში. 1066 წელს ნორმანდიის ჰერცოგმა ვილჰელმ დამპყრობელმა თავისი ლაშქარით გადაეჭრა ლამანში და დაიპყრო ინგლისი.

ნორმანდია მართებულად ამაყობს თავისი ბუნებით და ისტორიული ძეგლებით. მსუბუქი და ნესტიანი ჰავის მეოხებით აქაური საძოვრები მეტად ხელსაყრელია მესაქონლეობის განვითარებისათვის. ნორმანდული ჯიშის ძროხა დღეში 20—30 ლიტრა რძეს იწველის. ზაფხულში ნორმანდია წარმოადგენს ნამდვილ აყვავებულ ბაღს. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება მიიქცია ვარდ-ყვავილებმა. რომლითაც დაფარულია ყოველი ეზო, ყოველი სახლის წინა ხედი. ყველგან მოჩანს დიდი სიყვარული და მზრუნველობა ამ ნაზი და სურნელოვანი მცენარეებისადმი. ნორმანდია მდიდარია აგრეთვე ვაშლის და ბლის ბაღებით. ვაშლის წვენიდან აშხადებენ ცნობილ ნორმანდიულ ღვინოს, „ყვითელ გამჟვირვალე ოქროსფერ სიდრს“ (მოპასანი).

ჰავრიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით, მდინარე სენაზე აღმართულია თანჯარვილის ხიდი, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც გაიხსნა. მისი სიგრძე ერთი კილომეტრი და ოთხასი მეტრია. მას მხოლოდ თავსა და ბოლოში აქვს

მწახე საყრდენი. მდინარის ზედაპირიდან ის დაშორებულია დადი სიმღლით (47 მეტრით), რათა ხელი არ შეეშალოს საზღვაო გემების გავლას, რომლებიც რუანამდე მიდიან. მიუხედავად თავისი გრანდიოზულობისა, ხიდი მნახველს აცვიფრებს სიმსუბუქით და სილამაზით. თანკარგილის ხიდი ყველაზე დიდი გამოკიდული ხიდია ევროპაში. ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ხიდზე გავლისას ადამიანებსა და ყოველი სახის ტრანსპორტის მფლობელს ფულს ახდევინებენ. ამისათვის ხიდის თავში საგანგებო სალაროები და საკონტროლო პუნქტებია გამართული. ასეთი წესი ხშირია დასავლეთის ქვეყნებში. მაგალითად, როდესაც პომპეის დასათვალიერებლად მივემგზავრებოდით ავტობუსებით, გამოიკვია, რომ მთელი გზა კერძო მწარმოებელს ეკუთვნის და იგი გამვლელს გარკვეულ თანხას ახდევინებს. სახელმწიფოს არცა აქვს უფლება ჩაერიოს მის საქმიანობაში. გვითხრეს, თუ ამ მწარმოებელმა ისურვა, შეუძლია სულაც დაკეტოს გზა და არავინ გაატაროს მასზე.

გავიარეთ მრავალი სოფელი და ქალაქი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო დამახასიათებელმა ნორმანდიულმა ფერებებმა, რომელთაგან ზოგი კრამიტით და ზოგიც ისლითაა დახურული. ქალაქებში მრავალი ისტორიული ძეგლია. საინტერესოა ქალაქი ლილბონი თავისი ანტიური თეატრით, რომელიც აშენებულია მეორე საუკუნეში ჩვენს ერამდე სამი ათასი მაყურებლისათვის. მიუხედავად მრავალი ქარტეხილისა თეატრის შენობა მაინც დაცულია და ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. მახლობელ მთაზე მოჩანს ტიპიური ფეოდალური ციხე-კოშკი. ეს არის ნორმანდიის ჰერცოგის ვილჰელმ დამპყრობელის საცხოვრებელი ადგილი. აქედან განაგებდა იგი მთელ ნორმანდიას. ციხე-კოშკი ყურადღებას იქცევს თავისი გრანდიოზულობით და თავისი დროისათვის საუკეთესო ტექნიკური ნაგებობებით. ვნახეთ ის ბნელი სარდაფებიც, რომლებიც სატუსალო ყოფილა. ვისაც იქ ჩააგდებდნენ, ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნოდა. ჭაჭვებით დაბმული რამდენიმე კვირაში ამთავრებდა თავის სიცოცხლეს.

შევედით სოფელ ვილკიეში. ეს ადგილი ყურადღებას იპყრობს იმით, რომ აქ ცხოვრობენ მოხუცობაში გადასული ყოფილი მეზღვაურები. სენის ნაპირას აღმართულია ვიქტორ

ჰიუგოს ძეგლი, რომელიც დასტირის ქალიშვილსა და სიძეს.

თავისი ქალიშვილისა და სიძის დაღუპვის ცნობა ვიქტორ ჰიუგოჲმ ესპანეთში მოგზაურობის დროს გაიგო შემთხვევით, გაზეთის ცნობიდან — „გამოჩენილი პოეტის ქალიშვილის დაღუპვა“. ჰიუგოს საყვარელი ქალიშვილი ლეოპოლდინა და მისი ქმარი შარლ ვაკერი ცხოვრობდნენ რა ჰავრში, პატარა ნავით სასაღმრთოდ წასულან სენაზე, ვილკიესაკენ. მოულოდნელად ნავი გადახრილა, წყლით ავსებულა და გადაბრუნებულა. მშველელი არავინ გამოჩენილა. ასე ორთავე ჩაძირულა მდინარეში. ისინი ერთად დასაფლავებს ვილკიეს სასაფლაოზე. ამ შემთხვევის გამო იყო, რომ ბალზაკი წერდა განსკაიას — „ჰიუგო ხელად დაბერდა ათი წლითო“. მთელი სიცოცხლის მანძილზე ლეოპოლდინას დაღუპვის დღე პოეტისათვის დარჩა გლოვის დღეთ. ყოველ წელს ამ დღეს იგი წერდა ლექსებს, რომლებიც მიძღვნილი იყო ტრაგიკულად დაღუპული ქალიშვილისადმი.

ვილკიეს სასაფლაოზე ლეოპოლდინასა და მისი ქმრის გვერდით კიდევ არის ერთი ფილი წარწერით: „ადელი, ვიქტორ ჰიუგოს მეუღლე“.

ვნახეთ ჟუმიენეის სააბატო თავისი განთქმული უძველესი, უზარმაზარი ტაძრით. ეს ტაძარი დაუნგრევიათ ვიკინგებს. მეთერთმეტე საუკუნეში — ის კვლავ აღუდგენიათ. მაგრამ საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს ისევ დაუნგრევია აბოზოქრებულ ხალხს. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ეს ადგილი თავისი ნანგრევებით უყიდია ვილაც ვაქარს და საწყობად გადაუქცევია. ახლა ტაძარში მუზეუმი. მნახველზე შთაბეჭდილების გაძლიერებისათვის ტაძრის მალა თაღებში მოწყობილია რადიო და ექსკურსიის მთელი დროის განმავლობაში მოისმის საეკლესიო გალობა.

კოდბეკში ვნახეთ XV—XVI საუკუნეების ხის საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ციხე-კოშკის პრინციპზეა აგებული; კოდბეკის მახლობლად ჩვენი ყურადღება მიიქცია გამოჩენილი პოლარული მკვლევარის როალდ ამუნდსენის დიდმა ძეგლმა. როგორც ცნობილია, 1928 წლის ივნისში, ნობილეს ექსპედიციის დასახმარებლად ამუნდსენი ფრანგულ ჰიდროპლან „ლატამ-47“-ით გაფრინდა ჩრდილოეთ პოლუსისაკენ.

ნაგრამ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა. ამ შემთხვევის გამო, კოლბეკის მახლობლად ამუნდსენს დაუდგეს ძეგლი, რომელზედაც გამოხატულია დირიჟაბლი „ლატამი-47“ და მისი ნგზავრები. კოლბეკთან ეს ძეგლი დადგეს იმიტომ, რომ ამუნდსენი აქ ხშირად ყოფილა.

შორიდან გამოჩნდა რუანი. მალღობიდან წავადექით მას თავს. ვხედავთ ტაძრებს, გოტიკურ სამრეკლოებს. პირველად ჩვენს წინ გადაიშალა საქარხნო-საფაბრიკო გარეუბანი ასეული აკვამლებული მიღებით. სენაზე რუანს დიდი ნავსადგური აქვს. მისი საზღვაო და სამდინარე სიგრძე 23 კილომეტრს აღწევს. რუანამდე ამოდიან საზღვაო გემები, რომელთაგან შემდეგ ტვირთი გადააქვთ სამდინარო გემებზე. სამდინარო გემები პარიზისაკენ მიემართებიან. რუანით გააქვთ პარიზისაკენ ქვანახშირი, ხე-ტყის მასალა, ლითონი, ღვინო, ხილი, ნედლეულობა ქარხნებისათვის, სამრეწველო ნაწარმი.

რუანი ძველისძველი ქალაქია. ახლა იგი წარმოადგენს ერთ-ერთ მსხვილ ცენტრს და ამავე დროს ნამდვილ ქალაქმუზეუმს. რუანში გარეუბნებით 275 ათასი მცხოვრებია და პარიზს დაშორებულია 140 კილომეტრით.

არის რა დიდი სამრეწველო და საპორტო ქალაქი, ამავე დროს რუანმა დაიცვა თავისი სახელოვანი წარსული, ძველი ნორმანდული იერი. მის ვიწრო შუა საუკუნეებრივ ქუჩებში უჭირთ მანქანებს გავლა. ამიტომ მას ვათვალისწინებთ ფეხით.

რუანში დატულია XV — XVIII საუკუნის არქიტექტურული ძეგლი წმინდა ნორმანდიულ სტილში, უმთავრესად გროს ორლოჟმის, სენ რომენის; მარტენვალის ქუჩებზე. გროს ორლოჟმის ქუჩაზე ყურადღებას იქცევს ძველი კოშკის კარი. ამ კართან ჰკიდია 1389 წელს აწყობილი საათი. იქვე ყურადღებას იქცევს შვიდასი წლის წინათ გაკეთებული უზარმაზარი ზარები; საინტერესოა XVI საუკუნის ხის საცხოვრებელი სახლები და ბურტერულდის ჰოტელი.

მნახველის დიდ ინტერესს იწვევს გამოჩენილი ძეგლი შუა საუკუნეების არქიტექტურისა — ნოტრ დამის კათედრალის გოთური სტილის შენობა. ამ ტაძარს რამდენიმე საუკუნის განმავლობაში აშენებდნენ და მისი მეოხებით შეიძლება გავითვალისწინოთ გოთური სტილის განვითარება. მისი მშენებლობა დაიწყო XII საუკუნეში. ამ ტაძრის კედლებს ამშვე-

ნებს ჩუქურთმები და მრავალი ქანდაკებები. ეს ქანდაკებები და ჩუქურთმები უურადღებს იქცევენ, როგორც ხელოვნების ძეგლები. ტაძრის დარბაზი დაყრდნობილია უზარმაზარ ბოძებზე. მშვენიერია ტაძრის დიდი ფანჯრები ფერადი შუშებით. რუანის ტაძრის მშენებლობასა და მოხატვაში მრავალგანთქმულ ოსტატს მიუღია მონაწილეობა.

რუანის ტაძარმა ბომბარდირებისაგან დიდი ნგრევა განიცადა 1944 წელს. მართალია, თმის შემდეგ ის რამდენადმე შეაკეთეს, მაგრამ ალბათ ჯერ კიდევ დიდი დრო დასჭირდება მის საბოლოო შეკეთებას. ჩვენი დათვალიერების დროსაც მინდინარეობდა მისი აღდგენითი სამუშაოები.

მეორე მსოფლიო ომის დროს საფრანგეთის მსხვილი ქალაქებიდან რუანი ჰავრთან ერთად ყველაზე უფრო დაზიანდა. ნანგრევებად იქცა ქალაქის ძველი ცენტრალური უბნები. სამოქალაქო ძეგლებიდან ყველაზე უფრო მეტად დაზიანდა ცნობილი მართლმსაჯულების სასახლე — მე-15-16 საუკუნის შენობა. უკან დახვევისას გერმანელებმა რუანში ააფეთქეს თითქმის ყველა ხიდი სენაზე.

მრავალი ადგილი რუანში დაკავშირებულია უბრალო გლეხი ქალისა და ეროვნული გმირის ყანა დარკის სახელთან.

რუანში ვნახეთ ციხე-კოშკი, რომელშიც ჩამწვედვდნო იყო ყანა დარკი. აქ გაატარა მან თავისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეები. იგი მოთავსებული იყო ერთ-ერთ ყველაზე საშინელ საკანში. ეს იყო პატარა, კვადრატული სარდაფი. ბინათლე თითქმის არც აღწევდა მასში. კედლები იყო ნესტიანი, სველი, ჰაერი დახუთებული, უმოძრაო. კუთხეში იყარა გროვა დაძალი თივისა. ეს იყო ტუსადის საწოლი. სარდაფში დათარეშობდნენ ვირთხები, მრავალნაირი მწერები და მკბნარეობა. სატუსადოში ყანა დარკს შეკრული ჰქონდა ხელ-ფეხი. ბოლო დამით, გარდა ამისა, მას მიაკრავდნენ დიდ ბომბე. ეშინოდათ არ გაქცეულიყო. მას ხუთი ინგლისელი ჯარისკაცი დარაჯობდა განუწყვეტლივ.

დასჯის წინ ყანა დარკს აშინებდნენ წამების იარაღების ჩვენებით, რისთვისაც იგი დაჰყავდათ ძველი ციხე-კოშკის საწამებელ სარდაფებში. ახლა ეს შენობა ყანა დარკის სახელითაა ცნობილი.

ყანა დარკი 1431 წლის 30 მაისს დასწევს კოცონზე რუან-

ში, ძველ ბაზარზე, თევზეულობის მოედანზე საფრანგეთის დამპყრობელ ინგლისელების და აგრეთვე კათოლიკურ-კლერიკალური ეკლესიის რეაქციული ძალების მოთხოვნით, როგორც „ერეტიკოსი, ცრუმორწმუნე და ქრისტიანობის მოღალატე“.

ცოცხალი ადამიანის დაწვა მკაცრ სასჯელად ითვლებოდა თვით იმ შორეულ დროს. ჩვეულებრივად დასასჯელს კოცონის ანთების მომენტში ზურგიდან თოკით ახრჩობდა ჯალათი, მაგრამ 19 წლის გოგონასთვის არ გაუყეუებიათ ასეთი „შეღავათი“ და იგი ნამდვილად დასწევს ცოცხლად. ერთი ფრანგი ავტორი ასე აღწერს ჟანა დარკის დასჯის სცენას: „კოცონი აღმართული იყო რუანის ძველ ბაზარზე, თევზეულობის ბაზარზე... ეს იყო ვაშლის ხის ძირებისაგან კვადრატულად მოწყობილი კოცონი. ჟანა პერანგის ამარა, ფეხშიშველი გადმოვიდა დახურული ეტლიდან, გადახედა ხალხს. კოცონი, მისი მთავარი მსაჯული იქნა პირველ რიგში. დანახვისთანავე ჟანამ მიაძახა მას: „ეპისკოპოსო, შენი წყალობით გკვდები მე“. ჯალათი ამზადებდა თოკებს. ირგვლივ შეიარაღებული ჯარისკაცები დადიოდნენ. მდივანმა წაიკითხა სასიკვდილო განაჩენი. ანიშნეს და ჯალათი მიექრა ქალწულს, იგი მიათრევა მას კოცონზე, უხეშად შეაგდო შეშების წნულებზე. სასიკვდილოდ განწირული გაოგნებული ჟანა წინააღმდეგობას არ უწევდა. ცოტა ხნით დაუბრუნდა ჟანას გონება. და თავის ფეხთა წინ დაინახა ყვავილი. მას შეეცოდა ბუნების ეს ნაზი ქმნილება, დაიხარა, აიღო ყვავილი, აკოცა და გადასცა ჯალათს: „გადაარჩინეთ ეს, გადაარჩინეთ!“. ჟანა თოკით მიაკრა ჯალათმა ბოძს და ჩამოვიდა ძირს. იგი მარტოდ დარჩა ბოძზე გაკრული... აანთეს კოცონი, ჟანამ ზევიდან გადახედა და მოსალოდნელი საშინელების გამო წამოიყვირა: „ოო, რუანო, რუანო, ნუთუ აქ ვამთავრებ ჩემს სიცოცხლეს“. თანდათან ვრცელდებოდა ალი და უახლოვდებოდა საბრალო არსებას... ჟანას განწირულებას არ ჰქონდა საზღვარი... უზარმაზარი თეატრი მძიმე კვამლი ბოლქვივით ადიოდა ზევით. ცუცხლის ენები შეეხენ მის ფეხებს, ტანს. ჟანას გააჟრჟოლა. ნაპერწკლები დაფარფატობდნენ მის სახეზე, მუცელზე. ფეხები ეწოდნენ და ეფუფქებოდნენ. თოკები, რომლითაც მიკრული იყო იგი ბოძზე, უკვე დაიწვა. ნაპერწკლებმა მიაღწიეს: მის

ლამაზ თმებამდე. ცეცხლწაკიდებული თმა ეცემა ყურებზე, მხრებზე. თანდათან ყველაფერს ნთქავს ცეცხლი. იგი კარგავს ძალას, გონებას... შავ ნახშირად ქცეულმა ჟანამ ჩაიკეცა. ყველაფერი გათავდა“. მიუხედავად ჭალათის ცდისა, თურნე ჟანა დარკის გულს ცეცხლი არ წაეკიდა, არ დაიწვა. შემდეგ ჭალათმა ის სენაში გადააგდო.

მხოლოდ ოციოდე წლის შემდეგ მოხდა ჟანა დარკის რეაბილიტაცია. მისთვის გამოტანილი განაჩენი გამოცხადებულ იქნა „უსამართლოდ და სკანდალურად“.

ჟანა დარკის დასჯის ადგილზე ახლა დგას მისი ძეგლი (მოქანდაკე მაქსიმ რეალ დელ სარტო), ხოლო კოცონის ადგილი აღნიშნულია წრით და შემოვლებულია ღობურით. ეს ადგილი ფრანგი ხალხის სათაყვანებელ ადგილად არის გადაქცეული.

ყოველ წელს რუანში იმართება ჟანა დარკის მოსაგონარი დღესასწაული. ჩვენ სწორედ იმ დროს მოგვიხდა იქ ყოფნა. ქალაქის ქუჩებში დადიოდნენ მეთხუთმეტე საუკუნის სამხედრო და სამოქალაქო ტანსაცმელით მორთული ადამიანები — პაეები, რაინდები, ჯარისკაცები. სენის შუაგულში კუნძულზე იმპროვიზირებულ შუასაუკუნეებრივ ციხე-კოშკის მახლობლად მდებარე მრავალრიცხოვანი გუნდი; უცებ აინთო უზარმაზარი კოცონი და ცეცხლის ალში გამოჩნდა თეთრებით შემოსილი ახალგაზრდა ქალი. ირგვლივ ყველამ მუხლი მოიდრია. ქალწულმა დაიწყო სიმღერა, რომ იგი იმისათვის მოევიღნა თავის ქვეყანას, რათა დაიცვას მტრებისაგან. ცოტა ხნის შემდეგ იგი შეუმჩნევლად მიეთარა ხალხს.

ჟანა დარკი ყოველთვის იყო ფრანგი ხალხის საყვარელი გმირი. მეორე მსოფლიო ომის დროს ფრანგი პატრიოტების წინააღმდეგობის მოძრაობის ერთ-ერთი რაზმი ატარებდა ჟანა დარკის სახელს. საფრანგეთის მრავალ ქალაქში დგას დომრემელი გლეხი ქალისა და სახალხო გმირის ძეგლი. თვითონ რუანში მთავარ ქუჩას ჟანა დარკის სახელი ეწოდება. ამ ქუჩიდან დავიწყეთ რუანის გაცნობა. ამ ქუჩაზე მდებარეობს ჟანა დარკის მუზეუმი. მასში საკმაო მასალაა წარმოდგენილი იმ ეპოქის დასახასიათებლად, რომელშიც ჟანა დარკი ცხოვრობდა. აქვეა დაცული ის საშინელი იარაღები, რომლითაც აწამებდნენ ცხრაშეტი წლის გოგონას.

რუანიდან და ნორმანდიიდან არის ფრანგული ხელოვნები-
სა და ლიტერატურის მრავალი ცნობილი მოღვაწე. დაბადე-
ბით ან შემდეგდროინდელი ცხოვრებით მასთან იყვნენ და-
კავშირებული მწერლები — პიერ კორნელი, გუსტავ ფლო-
ბერი, გი დე მოპასანი და სხვები. რუანში დაიბადა
კორნელი. თავისი პირველი კომედია ლექსად — „მელიტა,
ანუ შეცვლილი წერილები“ კორნელიმ დაწერა სწორედ
რუანში და იქვე გააცნო საგასტროლოდ ჩამოსულ ცნობილ
მსახიობს მონდორის. ამის შემდეგ წარმატებით წავიდა მისი
საპწერლო კარიერა. კორნელის ძეგლი ამშვენებს რუანს. ეს
ძეგლი დაიდგა რუანში 1833 წელს.

გუსტავ ფლობერი, რუანის საავადმყოფოს მთავარი ექი-
მის აშილ-კლეოფას ფლობერის შვილი დაიბადა ამავე ქალაქ-
ში. საავადმყოფოსთან არსებულ ბინაში გაატარა მან თავისი
ბავშვობა. ამ ქალაქში ფლობერი ცხოვრობდა თითქმის 25
წელი. იგი სწავლობდა რუანის ლიცეუმში, სადაც რედაქტო-
რობდა ხელნაწერ ჟურნალს და წერდა ნოველებს უპოეზი-
სად ისტორიულ თემაზე. 1837 წელს ჟურნალ „კოლიბრში“,
რომელიც რუანში იბეჭდებოდა, ფლობერმა გამოაქვეყნა ფი-
ზიოლოგიური. ნარკვევი. მამის გარდაცვალების შემდეგ იგი
გადასახლდა რუანის მახლობლად კრუასეში. რუანში შესე-
ლისას ყურადღება მიიპყრო ფლობერის ძეგლმა. ამ
ქალაქში ყოფნამ ჩვენ გაგვახსენა „მადამ ბოვარი“-
ფლობერის საუცხოო ნაწარმოებებში მოქმედება წარმოებს
რუანსა და მის ახლომახლო ადგილებში. რომანში დასახელე-
ბულია ლონგვილი, ივეტო, ბერტო, ვობიესარი. იონვილი,
აბაილი, ბოვე, არგვილის სერი. დავდიოდით რუანის ქუ-
ჩებში და ჩვენს წინაშე ცოცხლდებოდნენ „მადამ ბოვარის“
მოქმედი პირები — ემა ბოვარი, შარლ ბოვარი, პომე და მისი
აფთიაქი, ლეონ დიუპუი, როდოლფ ბულანჟე. აგრეთვე კო-
შუაზის მოედანი, „ბულონის სასტუმრო“ რუანის ნავსადგუ-
რის მახლობლად.

გი დე მოპასანიც ნორმანდიიდან იყო. იგი დიეპის მახ-
ლობლად ფეკანში დაიბადა. 1869 წლიდან იგი სწავლობდა
რუანის ლიცეუმში. ამ ლიცეუმში მისი საყვარელი მასწავ-
ლებელი ყოფილა პარნასელი პოეტი, ფლობერის მეგობარი
ლუი ბუილე. ამ უკანასკნელს ლიტერატურით დაინტერესე-

ბული ახალგაზრდა მოპასანი ზშირად დაყავდა თურმე კრუ-
სეში ფლობერთან. როგორც ჩანს, ბუილეს რუანელები დღე-
საც აფასებენ და პატივს სცემენ. რუანში არის მისი ქანდა-
კება. მოპასანის მრავალი ნაწარმოები დაკავშირებულია რუ-
ანთან და ნორმანდიის სხვა ადგილებთან. ნორმანდიის ბუნე-
ბა, მისი ადამიანები და ყოფა მთელი თავისი კოლორიტით
აქვს მოპასანს გადმოცემული ნაწარმოებებში: „ფუნთუშა“,
„მადმაზელ ფიფი“, „ერთი ცხოვრება“, „ნორმანდიული ხუმ-
რობა“, „ნორმანდიელი“, „მამალმა იყივლა“, „ტელიეს საუ-
წყებო“, „ერთი გლეხი ქალის ისტორია“ და სხვები. რუანის
ცენტრში, ქალაქის ბაღში დადგმულია მოპასანის ძეგლი.

ნორმანდიელი ხელოვნებისა და სიძველეთა მუზეუმში
ჩვენ ვნახეთ დიდი ფრანგი რეალისტების ცხოვრებისა და შე-
მოქმედების აქსახველი დოკუმენტები — ფოტოები, გამო-
ცემები, მიმოწერა. ამ მწერლებზე მოწიწებით გვესაუბრე-
ბოდნენ რუანელები.

ხელოვნების მუზეუმში მხატვრების ნამუშევრებთან ერ-
თად წარმოდგენილია მდიდარი ხელნაწერები სხვადასხვა
დროისა. სექტურნელის მუზეუმში ვნახეთ ბრინჯაოსა და რკი-
ნის ნაწარმოებები III — XIX საუკუნეებისა. ჩვენ უურად-
ლება მიიპყრო მრავალრიცხოვანმა კარების საკეტებმა, ზოგმა
თავისი სიდიდით და ზოგმაც თავისი ოსტატური გამოკვეთი-
ლობით და სილამაზით ისე, რომ ნამდვილი ხელოვნების ნა-
წარმოების შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე.

როგორც ფრიალ სასიამოვნო გარემოება, მინდა აღვნიშ-
ნო: რუანის ერთ-ერთ წიგნის მაღაზიაში ვნახეთ ჩვენი ცნო-
ბილი მწერლების კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩე-
ლის და კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომანების ფრანგუ-
ლი თარგმანები. ძალზე გაგვახარა „დიდოსტატის მარჯვენის“,
„ტარიელ გოლუას“ და „კოლხეთის ცისკარის“ ასე გავრცე-
ლებამ.

რუანი განთქმულია გაატრონომიულ-კულინარული ხე-
ლოვნებითაც. ფრანგული სუფრის ერთ-ერთ ცნობილ კერძად
ითვლება რუანულად მომზადებული იხვი. ჩვენც გვქონდა
შემთხვევა ამაში დაერწმუნებულიყავით. ჰოტელ დე-ფრანსის
რესტორანში სხვა კერძებთან ერთად გავგიმასპინძლდნენ
რუანულად შემწვარი იხვით, მართლაც რომ გეპრიელი იყო!

განვაგრძობთ გზას პარიზისაკენ. კვლავ მივყევით ტყიან ადგილებსა და სენის ნაპირებს. ჩვენი ავტობუსი საათში სამოცდაათ კილომეტრს გადის. მაგრამ პარიზში მისვლამდე კიდევ ბევრი საინტერესო ისტორიული ადგილების ნახვა მოგვიხდა. დავათვალიერეთ ანდელისი — პატარა სუფთა ქალაქი. ვნახეთ ქალაქები — ვერნონი, მელაანი, პონტუაზი.

* * *

შევდივართ პარიზში. დიდი არმიის პროსპექტით. გავიარეთ მოედნები — თავდაცვისა, ნეისა, ვარსკვლავისა და თანხმობისა. ამ ულამაზესი პანორამის ხილვამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

პარიზში იმ დროს შევედით, როდესაც სამუშაო დრო ახალი დამთავრებული იყო. ამიტომ ქუჩებში ტევა არ იყო. ჩვენი ავტობუსები ხშირად და ხანგრძლივად ჩერდებოდნენ; ელოდნენ თავისუფალ გზას: როგორც იქნა, მივალწიეთ პარიზის განთქმული დიდი ოპერის მახლობლად ბერჟერეს ქუჩაზე ჩვენთვის განკუთვნილ სასტუმრო „მონდიალს“.

პარიზი განსაცვიფრებელი სილამაზის ქალაქია. თითოეული გასეირნება მის ქუჩებში არის ექსკურსია წარსულში. ყოველი უბანი, ყოველი ქუჩა მოგვაგონებს ფრანგი ხალხის ცხოვრების სხვადასხვა ხანას, უძველესი დროიდან დღემდე. 1952 წელს პარიზმა იდღესასწაულა თავისი არსებობის ორი ათასი წელი. პარიზის ბედი ყოველთვის დაკავშირებული იყო მთელი საფრანგეთის ბედთან. იგი არის ქვეყნის მეცნიერული, კულტურული, პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრი. რკინიგზის თერთმეტი მაგისტრალით პარიზი დაკავშირებულია საფრანგეთის რაიონებთან და მსხვილ ნავსადგურებთან.

პარიზზე წერა ძნელია. გამოანგარიშებულია, რომ მის შესახებ სხვადასხვა ენაზე, სხვადასხვა ქვეყანაში გამოცემულია ორასი ათასზე მეტი წიგნი და ალბომი.

ჩასვლისას დაგვირიგეს პარიზის რუკები და ჩვენი მოგზაურობის მარშრუტები. მრავალი ქუჩის სახელმა ჩვენს მეზაიერებაში აღადგინა: სტენდალის, ბალზაკის, დიუმას, ჟორჟ სანდის. მოპასანის, ზოლას, ფრანსის და სხვათა ნაწარმოებები.

პარიზში ბრძეები ქუჩაში დადიან თეთრი ჯოხებით. ერთი ქუჩიდან მეორეზე მათი გადასვლისას, ყოველი სახის ტრანსპორტის მოძრაობა ჩერდება.

გამოვედით სასეირნოდ პარიზის ქუჩებში. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ყურადღება მიიპყრო დიდმა მოძრაობამ. ხალხი და მანქანები დიდ ტალღებად მიედინება. მათ მოძრაობას აწესრიგებენ აჯანები — პოლიციელები. დღისით ქალაქში აკრძალულია საბარგო მანქანების მოძრაობა. ცნობარის მიხედვით პარიზში ნახევარ მილიონზე მეტი მსუბუქი ავტომანქანაა. გარაჟების სიმცირის გამო ამ მანქანებს ღამით პირდაპირ ქუჩებში, ღია ცის ქვეშ ტოვებენ.

პარიზის ერთ-ერთ სილამაზეს წარმოადგენს პირდაპირი ქუჩები. ელისეის მინდვრები და მისი მიმყოლი ქუჩები მოედნებითურთ პირდაპირ სიგრძით თერამეტ კილომეტრზეა გაქიმული.

ელისეის მინდვრები მწვანეში ჩაფლული ფართო პროსპექტია, ქალაქის ცენტრალური ნაწილია. აქ არის ყველაზე ძვირიანი მაღაზიები, რომელთა გარშემო მოწყობილია თვალისმომჭრელი რეკლამები. ელისეის მინდვრებზე მრავალი კაფე (რომელთა დიდი ნაწილი პირდაპირ ქუჩაზეა გამოსული) ვაჩიეტე, მიუზიკოლი და კაბარე, სადაც ღამის ცხოვრება იწყება გვიან. ელისეის მინდვრებზეა ესტრადის თეატრი „მულენ რუჟ“ და მსახიობების კაფე „წისქვილი მთაზე“, კაბარე „ლიდო“, რომელშიც შესვლა ღირს ექვსი ათასი ფრანკი. აქვეა თეატრი კაბარე „ფოლი-პიგალი“, რომლის წინ აღმართულია უზარმაზარი აფიშა — რეკლამა წარწერით: „ქალები ყელამდე“. „მსოფლიოში ერთადერთი რევიუ სტრიპ-ტიზი“. ეს ნიშნავს, რომ მსხვილი თანხის გადახდის შემდეგ გიჩვენებენ საესტრადო ნომერს, სადაც ახალგაზრდა ღამაზი ქალები თანდათან იხდიან სამოსელს. პლიას-პიგალის ახლომანლო ადგილები ფაქტიურად პრიმიტიულად დაფარული სამეძაო სახლების უბანია. იქვე მახლობლად მდებარეობს დე ლია პეს ქუჩა — მოდეების ქუჩა.

პარიზი მდიდარია მოედნებით და ბულვარებით. ყურადღებას იქცევს ბომარშეს, სენ-მარტენის, კაპუცინების, იტალიური, მადლენის, სევასტოპოლის, სენ-ჟერმენის, მონპარნა-

სისა, ლუქსემბურგის, სენ-პიშელის, პარიზის დაცვის, ტიულ-
რას და სხვა ბულვარები.

ვანდომის მოედანი წარმოადგენს მეთვრამეტე საუკუნის
არქიტექტურის ძეგლს. ეს სახელწოდება ამ მოედანმა მიიღო
იმიტომ, რომ აქ მდებარეობდა ჰერცოგ ვანდომის სასახლე.
ამ მოედანზე ყურადღებას იქცევს კოლონა ათას ორასი ვა-
დამდნარი ზარბაზნისაგან, რომლებიც ნაპოლეონის პოლკებმა
წაართვეს მოწინააღმდეგეს. მოედნის სიღრმეში არის კარუ-
სელის თალი, რაც აგებულია ნაპოლეონის გამარჯვებათა აღ-
სანიშნავად.

პარიზის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ბასტილიის
მოედანი. ერთ დროს აქ იყო აღმართული ბასტილიის ციხე.
1370 წელს პარიზის ქალაქის თავმა ჰიუგო ობრიომ ჩაუყარა
საფუძველი ბასტილიის ციხე-სიმაგრეს. თორმეტი წლის შემ-
დეგ ამ ციხის პირველი ტუსალი გახდა თვითონ ჰიუგო ობრიო.
1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის
დროს აჯანყებულმა ხალხმა დაანგრია ეს ციხე. 14 ივლისი—
ბასტილიის აღების დღე საფრანგეთში გამოცხადებულია ნა-
ციონალურ დღესასწაულად. მოედანზე ახლა აღმართულია
ივლისის კოლონა 1630 წლის რევოლუციის დროს ბრძოლებ-
ში დაღუპულთა სახსოვრად. კოლონის თავზე დადგმულია
სკულპტურა „თავისუფლების გენია“. კოლონის სიმაღლე
ორმოცდათორმეტი მეტრია.

ვოკის (ვოგუზების) მოედანზე თითქმის ყველაფერი ძვე-
ლებურადაა შემორჩენილი. 1833 — 1848 წლებში ამ მოედ-
ნის ერთ-ერთ სახლში (№ 6) ცხოვრობდა ვიქტორ ჰიუგო.
ახლა ამ სახლში მისი სახელობის მუზეუმია. ამ მუზეუმში
გამოფენილია დიდი ფრანგი მწერლის ბინის მოწყობილობა,
ბიბლიოთეკა, მისი პორტრეტები, მის ნაწარმოებთა გამოცე-
მები, ტანსაცმელი, სამუშაო მაგიდა, სამეღნე და სხვ.

ყველაზე დიდი და ყველაზე ლამაზი არის თანხმობის მოე-
დანი (პლას დე ლა კონკორდ). ორნახევარი საუკუნის წინათ
ის არ შედიოდა ქალაქის ფარგლებში. საფრანგეთის ბურჟუა-
ზიულ რევოლუციამდე იგი ატარებდა ლუი მეთხუთმეტის სა-
ხელს. 1792 წელს ამ მოედანს უწოდეს რევოლუციის მოედა-
ნი. 1793 წელს ამ მოედანზე დადგმულ გილიოტინაზე თავი
მოკვეთეს საფრანგეთის მეფეს ლუი მეთექვსმეტეს და მარიამ

ანტუანეტას, ჰერცოგ ორლეანელს, შარლოტა კორდეს, შემდეგ — დანტონს და რობესპიერს. გილიოტინა იდგა მოედნის დასავლეთ ნაწილში, იქ, სადაც ახლა ბრესტის ქანდაკება დგას. 1795 წელს მას დაარქვეს თანხმობის მოედანი. 1836 წელს მოედნის შუა ადგილზე აღმართეს ეგვიპტიდან ჩამოტანილი ლუკროსის ობელისკი, რომელიც ცნობილია როგორც კლეოპატრას ნემსი. მასზე გამოკვეთილ იეროგლიფებში შექმნილია ფარაონ რამზეს მეორეს საქმეები. ეს ობელისკი ოცდაოთხი მეტრის სიმაღლისაა და იწონის ორას ტონაზე მეტს. ინჟინერმა ლებამ დიდი გაჭირვებით გადმოიტანა თურმე ის ეგვიპტიდან პარიზში. ობელისკს სამი ათას ხუთასი წლის ისტორია აქვს, შექმნილია მეთოთხმეტე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ობელისკის ორთავე მხარეს მოწყობილია შადრევნები. მოედნის ირგვლივ მაღალ კვარცხლებეებზე დგას სკულპტურული მონუმენტები, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ საფრანგეთის რვა ქალაქს: მარსელს, ლიონს, ნანტს, ბორდოს, ბრესტს, რუანს, ლილს და სტრასბურგს.

ელისეის მინდვრები მთავრდება ეტუალის (ვარსკვლავის) მოედანთან. ამ მოედანზე რადიუჰისებურად შემოდის თორმეტი პირდაპირი პროსპექტი — ალეა. ამ პროსპექტებს ნაპოლეონის მარშლების სახელები ეწოდება. მოედნის ცენტრშია ტრიუმფალური თაღი. ამ თაღის მშენებლობა დაიწყო 1806 წელს ნაპოლეონის ბრძანებით საფრანგეთის არმიის გამარჯვებათა აღსანიშნავად და დაამთავრეს 30 წლის შემდეგ ლუიფილიპეს მეფობისას. იგი აგებულია მსგავსად ძველი რომის ტრიუმფალური თაღებისა, მაგრამ მათზე უფრო მაღალია. ოცდაათი მეტრის სიმაღლე აქვს. თაღს ამშვენებს ბარელიეფები, რომლებიც ალეგორიულად გამოხატავენ: მარსელიოზას, ტრიუმფს, წინააღმდეგობას, მშვიდობას, აგრეთვე სხვადასხვა ეპიზოდს საფრანგეთის სამხედრო ისტორიიდან. აქედან ყველაზე კარგია რიუდის ჯგუფი — მარსელიოზა.

ამ უზარმაზარი თაღის ქვეშ განისვენებს უცნობი ფრანგი ჯარისკაცი, რომელიც დაეცა ბრძოლის ველზე სამშობლოსათვის 1914 — 1918 წლების ომში. საფლავს ამშვენებს წარწერა: „აქ დაკრძალულია სამშობლოსათვის დაღუპული ფრანგი ჯარისკაცი“.

1920 წელს რვა უცნობი ფრანგი ჯარისკაცის გვამი, რომლებიც დაიღუპნენ პირველ მსოფლიო ომში ფრონტის რვა სხვადასხვა უბანში, ამოიღეს საფლავიდან და გადასვენეს ვერდენის ციხე-სიმაგრის ერთ-ერთ კაზემატში. 1920 წლის 10 ნოემბერს ჯარისკაცმა ტინმა, რომლის მამაც დაიღუპა ამ ომში, ერთ-ერთ კუბოზე დააწყო ყვავილების თაიგული, რომელიც მოგროვილი იყო ვერდენის მიდამოებში. ამგვარად შეარჩიეს უცნობი ჯარისკაცის გვამი, რომელიც გადაიტანეს პარიზში და 1921 წლის 28 იანვარს ჩაუშვეს თაღის ქვეშ. ამ დროიდან მარად ჩაუქრობელი ცეცხლი ანთია საფლავზე. საგანგებო კომიტეტი ყოველდღე 18 საათსა და 30 წუთზე თაღქვეშ ატარებს ცერემონიას უცნობი ჯარისკაცის საპატივცემოდ. ჩვენ დავესწარიით ერთ ასეთ ცერემონიას.

ფრანგებს ახასიათებთ დიდი სიყვარული თავიანთი წარსულისადმი. ისინი მოწიწებით ინახავენ თავიანთი ქვეყნისა და სხვა ხალხების კულტურის ძეგლებს. თავისი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის განმავლობაში პარიზში დაგროვდა ხელოვნების მრავალი ძვირფასი განძი. ქალაქი მდიდარია მუზეუმებით, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლებით. საკმარისია ითქვას, რომ პარიზში სამოცამდე დიდი და პატარა მუზეუმი, მათ შორის სახელგანთქმული ლუვრი და აგრეთვე ლუქსემბურგის, თანამედროვე ხელოვნების კარნავალეს. ტროკადეროს, ჟაკმარ ანდრეს, პალიერის, ჰიმეს და სხვ., ამათ გარდა არის გამოჩენილი მოღვაწეების პერსონალური მუზეუმები. რომელთაგან უფრო ცნობილია: მოლიერის, ვიქტორ შიუგოს და როდენის მუზეუმები.

პარიზში მოედნებსა და ქუჩებზე მრავალი ძეგლია დადგმული: მეცნიერების, მწერლების, კომპოზიტორების, პოლიტიკური და სამხედრო მოღვაწეების პატივსაცემად. აქედან დავასახელებთ—მოლიერის, ბერნარდენ დე სენ პიერის, ბოშარშეს, რუჟე დე ლილის, რასინის, ალფრედ მიუსეს, შარლ ნოდის, ვიქტორ ჰიუგოს, ბალზაკის, შოპენის, ემილ ზოლას. ანრი მიურჟეს, თეოდოს ბანვილის ძეგლებს. რივოლოსა და პირამიდების ქუჩების კუთხეში, ტუილრის ბულვარის მახლობლად, აღმართულია ჟანა დარკის ძეგლი. ჟანა დარკი ზის ცხენზე, ხელში დროშა უჭირავს და ფრანგების ჯარს მიუძღვის. ძეგლი აგებულია იმ ადგილზე, სადაც გადმოცემით

ფრანგებმა უანა დარკის მეტაურობით დაამარცხეს ინგლისელები — წაართვეს ციხე-სიმაგრე.

ლუვრი მდებარეობს პარიზის ყველაზე გრძელ ქუჩაზე — რივოლის ქუჩაზე. ეს სახელწოდება ამ ქუჩამ მიიღო ნაპოლეონის მიერ რივოლთან ავსტრიელებზე გამარჯვების აღსანიშნავად.

ლუვრში დაცულია მსოფლიო ხელოვნების საუკეთესო განძეულობა, ნამდვილი შედევრები. იქ ორასი ათასზე მეტი ექსპონატია. მისი დარბაზების საერთო სიგრძე ჩვიდმეტ კილომეტრს აღემატება. თვითონ შენობას უკავია ას ოთხმოცდათვრამეტი ათასი მეტრი.

ციხე-სიმაგრე, რომელსაც ეწოდა ლუვრი, მეფე ფილიპე-ავგუსტმა ააგო ნორმანების თავდასხმებისაგან ქალაქის დასაცავად 1200 წელს. კარლ მეხუთემ კი გადააქცია თავის რეზიდენციად. ფრანცისკ პირველმა დაანგრია ეს ციხე-სიმაგრე და დაავალა არქიტექტორ პიერ ლესკოს და სკულპტორ უან გუჟონს მისი გადაკეთება სასახლედ. ლუვრის შენობა ბევრჯერ გადააკეთეს და გააფართოვეს, რაშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი ფრანგი არქიტექტორები და სკულპტორები — დელორმი, დე ტამპლე, ლემერსიე, პერო და სხვები. თანამედროვე სახე ლუვრმა მიიღო ერთი საუკუნის წინათ. 1852 წლიდან. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ლუვრი უკვე აღარ წარმოადგენდა საფრანგეთის მეფეთა რეზიდენციას, ლუი XIV მიატოვა იგი და გადასახლდა ვერსალში. 1793 წელს კონვენტმა ლუვრი გამოაცხადა სახელმწიფო მუზეუმად. გარდა ე. წ. „ჩრდილოეთის სასახლისა“, მუზეუმს უჭირავს ლუვრის მთელი შენობა.

ლუვრში არის მრავალი განყოფილება, მათ შორის ეგვიპტური სიძველეებისა, ბერძნული და იტალიური ხელოვნებისა, აღმოსავლეთის სიძველეებისა, სკულპტურისა, მხატვრობისა, გამოყენებითი ხელოვნებისა. სურათების გალერეაში დაცულია სხვადასხვა ხალხების, სხვადასხვა დროისა და სამხატვრო სკოლის ნაწარმოებები. მასშია დაცული ფრანგული იტალიური, ფლანდრიული, ჰოლანდიური, ესპანური, გერმანული, ინგლისელი მხატვრების ნამუშევრები. ლუვრშია სკულპტურის ბრწყინვალე ძეგლი ნიკა სამოფრაიელი, ანუ გამარჯვება უცნობი მოქანდაკისა, რომელიც შექმნილია მესამე საუ-

კუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე. იგი იპოვეს შემთხვევით 1863 წელს სამოფერაკლოს კუნძულზე წარმოებული გათხრებისას. ქანდაკება წარმოადგენს ქალს ფრთებით. მაგრამ, სამწუხაროდ, მას მომტვრეული აქვს თავი და ხელები. ამ მუზეუმში ვნახეთ „ვენერა მილოსელი“, მიქელ-ანჯელოს „მონები“, ლეონარდო და ვინჩის „ჯიოკონდა“, რაფაელის, რუბენსის, რემბრანდტის, ტიციანის, კორეჯოს, მურილიოს, ჯორჯონეს, ვერონეზეს, პერუჯინოს, ვან-დეიკის, გოიას და სხვათა განსაცვიფრებელი ნაწარმოებები.

დავათვალიერეთ იმპრესიონისტების მუზეუმი ეე-დე-პომის შენობაში, რომელიც არც ისე შორსაა ლუვრიდან. ამ მუზეუმში გამოფენილია ცნობილი იმპრესიონისტი მხატვრების საუცხოო სურათები. აქ ვნახეთ მანეს, დეგას, მონეს, რენუარის, გოგენის, ვან გოგის, სეზანის, პისაროს, სისლეს და სხვების ნამუშევრები.

ანდრე მორისის გალერეაში ვნახეთ გამოფენა — „იმპრესიონიზმიდან დღევანდლამდე“. ხოლო ახალი ხელოვნების მუზეუმში (მიუზე დ არ მოდერნ) გამოფენა „ფრანგული ტანსაცმელი 1725 წლიდან 1925 წლამდე“.

გავემართეთ პანთეონისაკენ. ეს შენობა შეიქმნა 1791 წელს საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს, დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების თანახმად. თავდაპირველად ეს შენობა განზრახული იყო პარიზის მფარველი წმინდა ენევიევას სახელობის ტაძარი ყოფილიყო. მას აშენებდა არქიტექტორი სუფლო. პანთეონის სიმაღლე ოთხმოცდაათი მეტრია. მის წინა ხედს ამშვენებს ოცდაორი კორინთული კოლონა. კოლონებს ეყრდნობა სამკუთხოვანი ფრონტონი დ'ანჟერის მიერ გამოკვეთილი ბარელიეფით, რომელსაც აწერია: „დიდ ადამიანებს მადლიერი სამშობლო“.

პანთეონის პირველ მიწისქვეშა სართულში, განყოფილებებად დაყოფილ მცირე დარბაზებში, მოთავსებულია სარკოფაგები, რომლებშიც ასვენია ფრანგი მოღვაწეები და მწერლები. პანთეონში პირველად დასაფლავეს 1791 წელს მირაბო. მის მახლობლად ესვენა მარატი. მაგრამ შემდეგ ისინი გამოასვენეს პანთეონიდან. პანთეონში სამოცზე მეტი ადამიანია დასაფლავებული, მათ შორის — ვოლტერი, ჟან-ჟაკ რუსო, ვიქტორ ჰიუგო, ემილ ზოლა, ალფონს დოდე, ჟან ჟორჟ-

სი, მათემატიკოსი ლანგრაჟი, მარშალი ლანი და სხვები. რუსოს საფლავს აქვს ასეთი წარწერა: „აქ განისვენებს ბუნებისა და ჭეშმარიტების შვილი“. მთელ ამ დარბაზებს ანათებს მკრთალი სინათლე.

სენას გადაჰყურებს კონსერჟერის ციხე. ახლა იქ მუზეუშია და ყველას შეუძლია მისი დათვალიერება. უსიამოვნო გრძნობით შევეუდექით ამ ბნელი და მწარე მოგონებებთან დაკავშირებულ შენობის გაცნობას. ვნახეთ გილიოტინის მოწყობილობა, რომელმაც მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ ციხეში გაატარა დასჯის წინ უკანასკნელი საათები დანტონმა და რობესპიერმა.

ინვალიდების სასახლე (პოტელ დეზ ინვალიდ) მოთავსებულია სენის მარცხენა ნაპირზე — ალექსანდრე მესამის ხიდის პირდაპირ. ეს არის შენობათა კომპლექსი და აგებულია მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევარში არქიტექტორ ბრუანის მიერ. უფრო გვიან არის აგებული არქიტექტორ მანსარის მიერ მისი მაღალი თაღი. თავდაპირველად ეს შენობა გამიზნული იყო მოხუცი და დასახიჩრებული ჯარისკაცებისათვის.

1840 წელს წმიდა ელენეს კუნძულიდან ჩამოასვენეს და ინვალიდების სახლში, აკლდამაში დაასვენეს ნაპოლეონ ბონაპარტეს ნეშტი. მისი სარკოფაგი გაკეთებულია კარელიის მეწამული ფერის მარმარილოსაგან. ნაპოლეონის ცხედარი ასვენია შვიდ კუბოში: თუნუქის, წითელი ხის, ორი ტყვიის, შავი ხის, მუხის და ბოლოს სარკოფაგში.

დარბაზში მოთავსებულია მარმარილოს ქანდაკებები, რომლებიც სიმბოლურად გამოხატავენ ნაპოლეონის მთავარ ბრძოლებს. შესასვლელში ბრინჯაოს კარზე წარწერილია ნაპოლეონის ანდერძი: „მე მსურს ჩემი ნეშტი განისვენებდეს სენის ნაპირებზე, ფრანგ ხალხს შორის. რომელიც ესოდენ მიყვარდა“. იქვე დარბაზში დაცულია ნაპოლეონის სხვადასხვა ნივთები: ხმალი, რომელიც მას თან ჰქონდა აუსტერლიცის ბრძოლის დროს, სამკუთხოვანი ქუდი, რომელიც ეხურა მას ეილაუში, ორდენები და ჯვარი ძეწკვით, რომელიც მიართვა პარიზმა იმპერატორად კურთხევის დღეს.

აქვეა აკლდამები ნაპოლეონ ბონაპარტეს ძმების — ჟერომის, ვესტფალიის მეფისა და ჟოზეფის; სიცილიის მეფისა. აქვე ცენტრში არის ნაპოლეონის შვილის — ნაპოლეონ მეო-

რეს ბრინჯაოს აკლდაჰა, ნაპოლეონის შვილის ნეშტი 1940 წელს გადმოსვენეს ვენიდან.

დიდ დარბაზში ასაფლავია რესპუბლიკის პირველი გრენადერის ლატურ ოვერნის გული. სხვადასხვა აკლდამაში ასაფლავია მარშლები: ვობანი, ტიურენი, დიუროკი, ბერტრანი, ფოში.

პარიზში ყოფნის მესამე დღეს დავათვალთვალეთ გრევის მოედანზე პოტელ დე ვილ ანუ ქალაქის რატუშა, სადაც გამოცხადდა პარიზის კომუნა. შემდეგ გავემგზავრეთ პერ-ლაშეზის სასაფლაოზე, რომელიც მდებარეობს ქალაქის ჩრდილოეთის ნაწილში. საფრანგეთის მეფე ლუის XIV-ეს იეზუიტ ბერის ფრანსუა ლა შენისათვის პარიზის მახლობლად უჩუქნია მამული. შემდეგ ეს მამული გადააქციეს სასაფლაოდ და უწოდეს მისი მფლობელის სახელი... პერ-ლაშეზი არის ყველაზე დიდი სასაფლაო პარიზში. ამ სასაფლაოზე ოცდაათ ათასზე მეტი ძეგლია, რომელთაგან ზოგი ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოებია. აქ დასაფლავებულია მოლიერი, ბოპარშე, ლაფონტენი, შენიე, პარნი, დელილი, ბერანჟე, მიუსე, ტალმა, როსინი, ბელინი, ბალზაკი, ბიზე, კიუვე, ლავუაზე, ლაპლასი, აბელიარი და ელიოზა, პოლ ელუარი.

მივყვებით გზას, რომლის ორთავე მხარეზე ჩამწყვრივებულია გარეული წაბლის ხეები. ამ გზას მივყვართ კომუნარების სასაფლაოსთან. ეს სასაფლაო განაპირასაა იმ ადგილას, სადაც უკანასკნელი ბრძოლა გაიმართა 1871 წლის 27 მაისს კომუნარებსა და ვერსალელებს შორის. ამ ადგილას დახვრიტეს 147 კომუნარი. კომუნარების კედელთან მარმარილოს ფირფიტაზე ვკითხულობთ წარწერას: „აქ დაეცნენ 21—28 მაისს 1871 წლის კომუნარები“. ჯალათებმა ვერ შესძლეს წაშლა რევოლუციური მასების განმათავისუფლებელი ბრძოლის ამ გმირული ფურცლებისა. კომუნარების საქმე და ხსოვნა უკვდავია.

დიდის მოწიწებით მოვინახულეთ ეს წმინდა ადგილი და შევამკეთ ცოცხალი ყვავილებით. ჩვენი ტურისტების სახელით მომიხდა პატარა სიტყვის წარმოთქმაც.

იქვე მახლობლად დასაფლავებულია ანრი ბარბიუსი, პოლ ვაიან კუტიურე და მარსელ კაშენი. მათ გვერდით აღმართულია ფაშისტების ტყვეობაში საკონცენტრაციო ბანაკ

„რავენსბურკში“ დაღუპულთა ძეგლი. ეს ძეგლი გამოხატავს ერთმანეთზე გადაჯაჭვულ ორ ხელს. იქვე მახლობლად დასაფლავებულია „წინააღმდეგობის გმირები“, რომლებიც შეეწირენ სამშობლოს თავისუფლებას.

ყოველი წლის მაისის ბოლო კვირას პერ-ლაშეზის სასაფლაოზე კომუნარების პატივსაცემად იმართება დემონსტრაცია.

სასაფლაოს ეზოდან რომ გამოვედით და ცოტა გავიარეთ, გამბეტას მოედნისკენ, პერ-ლაშეზის გარე კედელთან, დავინახეთ კომუნარების ძეგლი, ქვაზე ამოკვეთილია კომუნარების სახეები. მათ წინ დგას მებრძოლი ქალი კედელზე მიყრდნობილი გაშლილი ხელებით.

ვნახეთ მონმარტრისა და მონპარნასის სასაფლაოებიც. მონმარტრის სასაფლაოზე დაკრძალულია ბერლიოზი, ოფენბახი, პალევი, ტეოფილ გოტიე, ალექსანდრე დიუმა, პანრიხ ჰაინე, როსტანი. ამ სასაფლაოზე იყო დაკრძალული პანთეონში გადასვენებამდე (1908 წლამდე) ემილ ზოლა. იმავე სასაფლაოზე ვნახეთ ძეგლი იტალიური წარწერით: „არიგო ბეილი მილანიდან. ცხოვრობდა. წერდა. უყვარდა“. ეს არის სტენდალის საფლავი. თავის ანდერძში სტენდალმა თვითონ ითხოვა მისი საფლავის ქვაზე ასეთი წარწერის გაკეთება. მეგობრებმაც შეუსრულეს დიდ მწერალს ეს თხოვნა. მონპარნასის სასაფლაოზე დაკრძალულია შარლ ბოდლერი და გი დე მოპასანი.

პარიზის განაპირას, ვიწრო და მშვიდ ბერტონის ქუჩაზე № 24 სახლში ცხოვრობდა დიდი ფრანგი მწერალი ონორე ბალზაკი. ამ ძველ და უფერულ ბინაში ემალებოდა იგი თავის მევეალებს, აქვე ქმნიდა თავის ცნობილ რომანებს — „კურტიზანი ქალების ბრწყინვალეობა და სილატაკეს“, „ბიძაშვილის პონს“ და სხვებს. ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისში აქ დააარსეს ბალზაკის მუზეუმი, „ბალზაკის სახლი“. მაგრამ პატარა და დაძველებულ ბინას დღემდე არ აქვს ნაძვცილი მუზეუმის ხასიათი, არც მემორიალური მასალის სიმრავლით გამოირჩევა ეს მუზეუმი. თითქმის მთელი სამი ათეული წლის განმავლობაში ვერ მოახერხა მუნიციპალიტეტმა მისი ერთ-ერთი მფლობელის — დრიუჟონეს ჭირვეულობის დაძლევა და შენობის გათავისუფლება. მხოლოდ დიდი თანხების გადა-

ხდის შემდეგ ამ ორიოდ წლის წინათ ისურვა დრიუჟონემ „პატივი ეცა“ ბალზაჟის სახელისა და ხსოვნისათვის.

გავიარეთ იენის ხიდი და მივადექით ეიფელის კოშკს. იგი სენის მარჯვენა ნაპირზეა. ეს კოშკი ააგეს 1889 წელს ინჟინერ გუსტავ ეიფელის პროექტით მსოფლიო გამოფენისათვის. მისი სიმაღლე სამასი მეტრია. მას აქვს სამი მოედანი, რომელზედაც ადიან ძველებური ლიფტით. პირველი მოედანი გამართულია 57 მეტრზე, მეორე — 115 მეტრზე და მესამე 274 მეტრზე. ყველა მოედანზე არის რესტორანი და საჩუქრების კიოსკები.

ეიფელის კოშკზე მოთავსებულია აგრეთვე მეტეოროლოგიური სადგური, რადიოსა და ტელევიზიის სადგური, თვითმფრინავებისათვის გზის მაჩვენებელი შუქურა.

ეიფელის კოშკის მაღალი მოედნიდან იშლება პარიზის სააუცხოო ხედი. განსაკუთრებით ღამით ახდენს ის მნახველზე წარუშლელ შთაბეჭდილებას.

პარიზის ქუჩებში ხშირად გვხვდება ცოცხალი კაცი-განცხადება, რომელიც დაატარებს უზარმაზარ აფიშებს ამა თუ იმ სავაჭრო ფირმებისა.

ბუნებრივია, რომ ჩვენი ინტერესის საგანს წარმოადგენდა დიდი ფრანგი რეალისტების მხატვრულ ნაწარმოებებში მოხსენებული, თუ აღწერილი ადგილები. ცენტრთან მდებარეობს ემილ ზოლას მიერ დახატული „პარიზის საშო“. პარიზში სამოცზე მეტი დიდი ბაზარია, მაგრამ მათგან ყველაზე პოპულარულია ზოლას რომანის ბაზარი. აქ მხოლოდ ღამით მოაქვთ მძიმედ დატვირთული მანქანებით ყოველნაირი სურსათ-სანოვაგე და ვაჭრობა იწყება დილის ექვსი საათიდან.

მადლენის ქუჩაზე დავათვალიერეთ ბომარშეს მაღაზია, რომელიც არა ერთხელ აქვს ნახსენები თავის მოთხრობებსა და რომანებში ბალზაჟსა და ზოლას. მაგრამ ახლა ისინი ამერიკული სტილის სავაჭროებადაა გადაქცეული.

დიდად გვაინტერესებდა საფრანგეთის მსხვილი მეცნიერულ-სასწავლო ცენტრის — სორბონის დათვალიერება. 1253 წელს სასულიერო პირმა, კაპელანმა რობერ სორბონმა პატარა შენობაში დააარსა კოლეჯი, რომელშიც თეოლოგიის შესასწავლად მიიღო უფასოდ თექვსმეტი ღარიბი სტუდენტი.

ასე ჩაეყარა საფუძველი პარიზის უნივერსიტეტს.

შემდეგში ეს სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულება და მისი შენობა თანდათან გაფართოვდა. სორბონის ფილოლოგიური ფაკულტეტის ეზოში ქვაფენილზე, სორბონის პირვანდელი შენობის ადგილს, შავი ხაზების წრე აქვს შემოვლებული. სორბონის ახლანდელი შენობა აგებულია რიშელიეს რექტორად ყოფნის დროს.

სორბონში არის ოცდაორი ამფითეატრი — დარბაზი, ორი მუზეუმი: თექვსმეტი საგამოცდო დარბაზი, ორას ორმოცდაშვიდი ლაბორატორია, ასტრონომიული კოშკი, მდიდარი ბიბლიოთეკა, კანცელარიები და რექტორის ბინა. მთავარი აუდიტორია იტევს სამი ათას კაცს.

ამ შენობის საპარადო შესასვლელში დგას გამოჩენილი მეცნიერების მრავალი ქანდაკება და სურათი. უნივერსიტეტის ძველ შენობაში ამჟამად მოთავსებულია მრავალი ფაკულტეტი, მათ შორის ლიტერატურის, ისტორიის, ქიმიის, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი.

სორბონის უნივერსიტეტში სწავლობს სხვადასხვა ეროვნების თხუთმეტი ათასზე მეტი სტუდენტი. სწავლა ფასიანია. სწავლის ქირა საკმაოდ დიდია და ყველას, რასაკვირველია, არ შეუძლია მისი გადახდა, ამასთანავე თითოეული საგნის ჩაბარებისას სტუდენტმა კიდევ უნდა გადაიხადოს ფული. ამიტომ უმაღლეს სასწავლებელში უმთავრესად შეძლებულთა შვილები სწავლობენ.

სორბონა გაშენებულია სენის მარცხენა ნაპირზე, ლათინურ უბანში. ამავე უბანშია მოთავსებული მრავალი სხვა უმაღლესი სასწავლებელი და სამეცნიერო დაწესებულება, წიგნების გამომცემლობები და მაღაზიები. პარიზში სწავლობს საფრანგეთის სტუდენტობის ორმოცი პროცენტი.

ფრანგ სტუდენტებს თავისებური ტრადიციები აქვთ. სასწავლო წლის დასაწყისში ხდება ახლად მიღებული სტუდენტების „კურთხევა“. ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ახლად მიღებული სტუდენტი მაღალკურსელი სტუდენტების თანდასწრებით წაიკითხავეს ლათინურად დაწერილ მიმართვას რექტორის სახელზე. ამ მიმართვით სტუდენტი სდებს პირობას კარგი სწავლისა და წესიერების შესახებ. რექტორი ყველას ერთად მიმართავს საპასუხო სიტყვით, შემდეგ სტუდენ-

ტების მონაწილეობით ეწყობა ზეიმი — მღერიან, უკრავენ და ცეკვავენ.

თავისებურად მთავრდება სასწავლო წელიც: სტუდენტები მიემართებიან მონტესქიეს ძეგლისაკენ და ცხვირზე მას წაჰკრავენ წიკპურტს. ამ წიკპურტების შედეგები საკმაოდ მკაფიოდ ამჩნევია ამ ძეგლს.

სენ-მიშელის ბულვართან ჩვენ შემოგვხვდა სორბონიდან მომავალი, ხელიხელჩაიდებული ჯგუფი სტუდენტებისა, რომლებიც ხმამაღლა შეწყობილად გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს ჩვენს ა-ს“. პირველად ჩვენთვის გაუგებარი იყო ამ სიტყვების აზრი. შემდეგ აგვიხსნეს, რომ „ა“ შემოკლებულად ნიშნავს ასოციაციას, ე. ი. პარიზის სტუდენტების ასოციაციას.

პარიზის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს მონმარტრის მადლობი. ამ მადლობზეა მოთავსებული ოთხმოცდასამი მეტრის სიმაღლის ტაძარი საკრეკეორ (წმინდა გული), რომლის სამრეკლოზედაც მოთავსებულია დიდი ზარი (ცხრამეტ ტონას იწონის). მონმარტრის მადლობიდან მოჩანს მთელი პარიზი, რომელიც განსაკუთრებით ლამაზია ღამით სხვადასხვა ფერების ციმციმის ფონზე. ორი საუკუნის წინათ მონმარტრი ყოფილა ქალაქის მახლობელი სოფელი.

მონმარტრი მხატვრებისა და მწერლების საყვარელი უბანია. მის შესახებ მრავალი ნაწარმოებია შექმნილი. მნახველის ყურადღებას იპყრობს მხატვრების მორთულობა, გარეგნობა. მათ აცვიათ თეთრი შარვლები, ბრჭყვილაფერების გაშვებული ხალათები, თავზე ახურავთ იისფერი ბერეტები, ყელზე შემოხვეული აქვთ ფერადი შარფები. მათი ცხოვრება მონმარტრის პატარა მოედანზე მიმდინარეობს, იქვე მუშაობენ. ხატავენ სურათებს, ელოდებიან მყიდველებს, იქვე საკომისიო მაღაზიებში გამოფენილია უმთავრესად ახალგაზრდა მხატვრების ნამუშევრები. მიუხედავად სიღარიბისა, მხატვრები მხატვრული ხალხია. ისინი თან მუშაობენ და თან მღერიან, ცეკვავენ. ჩვენი ყურადღება მიიპყრეს იმ მხატვრებმა, რომლებიც ქვაფენილებზე ხატავდნენ სურათებს. ამბობენ, რომ პარიზში ორმოცი ათასამდე მხატვარიაო. მათ შორის გარდა ფრანგებისა, არიან მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული მხატვრები, რომლებიც ამ ქალაქში გადიან ერთგვარ სკოლას, უმთავრესად დეკადენტურ სკოლას.

მონმარტრზეა მოთავსებული გრევენის მუზეუმი. ეს მუზეუმი დაარსებულა მხატვარ-კარიკატურისტის გრევენის მიერ მეცხრამეტე საუკუნის ორმოციან წლებში და მასში გამოფენილია ცნობილი ადამიანების სანთლის ფიგურები, აგრეთვე ღირსშესანიშნავი ისტორიული ეპიზოდები. მუზეუმის შესავალ დარბაზში აღმართულია ელამი სარკეები, რომლებშიც აირეკლება ადამიანთა არაბუნებრივი სახეები. ეს დარბაზი მნახველში მხოლოდ უსიამოვნო გრძნობას იწვევს.

მონმარტრის ქუჩაზე ას ორმოცდაექვს ნომერ სახლის პირველ სართულზე მოთავსებულია პატარა რესტორანი „კრუასანი“. ამ რესტორანში 1914 წლის 31 ივლისს სადილობის დროს მოჰკლეს მშვიდობისათვის მებრძოლი ტრიბუნი ჟან ჟორესი. იგი თურმე ზურგით იჯდა ფანჯარისკენ, შეუმჩნევლად ვიდაცამ გადასწია ფარდა და ჟორესს კეფაში დაახალა ორი ტყვია. მკვლელი იყო შოვინისტი, პოლიციის აგენტი გვარად ვილენი. შენობას მიკრული აქვს მემორიალური დაფა.

ყოველი წლის 31 ივლისს დემოკრატიული ძალების ინიციატივით „კრუასანის“ კაფესთან იმართება დემონსტრაცია ან მიტინგი, რათა პატივი სცენ მგზნებარე ტრიბუნისა და მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ჟან ჟორესის ხსოვნას.

ახალ ხიდსა და სენ-მიშელის შორის, მალაკეს სანაპიროზე ქვა-ბეტონის პარაპეტის დიდ სიგრძეზე გაშლილია ბუკინისტების კიოსკები, სადაც ნახავთ ყველა დროის გამოცემებსა და გრაფიურებს. აქ წიგნები უფრო იაფად ფასობს, ვიდრე წიგნის მაღაზიებში. პარიზის ბუკინისტების შესახებ ძალზე საინტერესო ცნობები არის ონორე ბალზაკისა და ანატოლ ფრანსის ნაწარმოებებში. ბუკინისტებიდან შეიძლება დროებითაც წაიღოთ წიგნები წასაკითხავად, აგრეთვე მიიღოთ კონსულტაცია ამა თუ იმ გამოცემის შესახებ. მოხუცი ბუკინისტის მიშელ დერბოს წიგნების კიოსკში შემთხვევით წავაწყდით შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ფრანგულ გამოცემას. მოხუცმა ბუკინისტმა, რომელსაც წაკითხული ჰქონდა ეს უკედავი ნაწარმოები, დიდად გვიქო იგი, როგორც სიყვარულის მგზნებარე სიმღერა, რასაკვირველია, ჩვენ ძალზე გახარებული ვიყავით ამ გარემოებით.

კონტის სანაპიროზეა მოთავსებული „უკვდავთა აკადემია“, რომელიც 1635 წელს დააარსა რიშელიემ. მისი შენობის წინ დგას ვოლტერის ძეგლი.

პარიზში ორმოცზე მეტი დრამატიული თეატრია. მაგრამ მათში ყველაზე სერიოზული და ღირსეულია ფრანგული კომედიის თეატრი („კომედი ფრანსუზ“) და ნაციონალური სახალხო თეატრი, დანარჩენები უპირატესად მსუბუქი ჟანრის ფრივოლურ პიესებით იკვებებიან. განთქმულ „კომედი ფრანსუზს“ აგრეთვე უწოდებენ „მოლიერის სახლს“, ვინაიდან ამ თეატრის მთავარ სარეპერტუარო ფონდს დიდი ფრანგი დრამატურგის პიესები შეადგენენ. ამ თეატრის შენობა გარეგნულად მნახველზე ვერ ახდენს განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას, საკმაოდ მოძველებული შენობაა, მხოლოდ კოლონებით და ბარელიეფებით, რომლებიც გამოხატავენ სახელოვან დრამატურგებსა და მსახიობებს, შეატყობთ რომ ეს თეატრია.

ფრანგული კომედიის თეატრში ჩვენ ვნახეთ მოლიერის „მოჩვენებითი ავადმყოფი“. მისი დამდგმელი რეჟისორი იყო რობერტ მანუელი, ხოლო მოქმედი პირნი მსახიობები: ლუი სენიე, ჟორჟ შამარი, ჟან პოლ რუსელინო და სხვები. კომედიაში ყურადღება მიიქცია მსახიობების ნიჭიერი თამაშით.

პარიზის ყველაზე ძველი ნაწილი კუნძული სიტვა, სადაც ცეზარის დროს (106 წელი ჩვენს წელთაღრიცხვამდე) არსებობდა ქალაქი ლუტეცია. ერთ დროს იგი საფრანგეთის მეფეების სამყოფელი ადგილი იყო. ახლა ეს კუნძული სიძველეთა თავისებური მუზეუმი. კუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში დგას პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი — ნოტრ-დამ-დე-პარი — გოთიკური ხელოვნების. ერთ-ერთი საუცხოო ქმნილება. მისი მშენებლობა დაიწყო 1163 წელს და დამთავრდა 1257 წელს, ხოლო ცალკეული სამუშაოები ტაძრის სრულსაყოფად გაგრძელდა 1345 წლამდე.

ღვთისმშობლის ტაძარი მნახველს აცვიფრებს ფორმების პროპორციით. ყველაზე ლამაზია შენობის წინა მხარე, რომელიც აშენებულია მეცამეტე საუკუნეში. განსაკუთრებულ სიმშვენიერეს აძლევს ტაძარს ფერადი მინების ფანჯრები. ამ ტაძრის შესახებ გვაგონდება ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები: „ეს თითქოს უზარმაზარი ქვის სიმფონია, უზარმაზარი ქმნილება ადამიანისა და ხალხისა; მთლიანი და ერთული მსგავსად

„ილიადასა“ და „რომანსუროსი“, საუცხოო შედეგია მთელი ეპოქის ყველა ძალის შეერთებისა, სადაც ყოველი ქვიდან მოსჩქეფს შემოქმედის ფანტაზია, რასაც ხელოვანის შთამაგონებელი გენიის წყალობით მიღებული აქვს სხვადასხვა ფორმა“. ტაძრის ორ კოშკურა-სამრეკლოში, რომელთა სიმაღლე აღწევს სამოცდაცხრა მეტრამდე ჩამოკიდებულია ზარები თითოეული თხუთმეტი ტონის წონისა.

ამ ტაძრის ხილვამ ჩვენს წინაშე გააცოცხლა ვიქტორ ჰიუგოს ცნობილი რომანი და მისი მოქმედი პარები.

მიგვიპატიეჲს პარიზის განაპირა უბანში — არკეის მერიასში, სადაც უშთავრებად მუშები ცხოვრობენ. ვერად არჩეულია პატივცემული მუშა მარიუს სიდობრ. თითქმის მთელი დღე დაეჩიით ამ მერიასში, სადაც გავეცანით: საბავშვო ბაღებს, სკოლებს. ტექნიკურ-საწარმოო სასწავლებლებს, მუშათა ოჯახებს და კოოპერატიულ სავაჭროებს, საავადმყოფოს. დასასრულ, მერიის შენობაში მოგვიწყევს ბანკეტი, სადაც ბევრი რამ კარგი ითქვა ხალხთა შეგობრობასა და მშვიდობაზე.

სასიამოვნო და საინტერესო გასეირნება მოეწყო სენაზე სამდინარო თბომაველით. სენ-კლუს ხილთან დაიწყო ჩვენი მოგზაურობა. პარიზის ოცდათორმეტი ხილიდან ჩვენმა თბომაველმა გაიარა სამეფო ხიდის, ახალი ხიდის (ნამდვილად ის ყველაზე ძველი ხიდია პარიზში, მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში აშენებული), სიტეს ხიდის, ორმაგი ხიდის, საარქი-ეპისკოპოსო ხიდის, თანხმობის ხიდის, ალექსანდრე მესამის ხიდის, ინვალიდების ხიდის, იენის ხიდის, ბირაკეიმის ხიდის, გერენელის ხიდის და მირაბოს ხიდის ქვეშ. სამეფო ხილთან მიახლოებისას მარჯვნივ დავინახეთ სახლი, რომელშიც ცხოვრობდა და გარდაიცვალა ვოლტერი.

პარიზის ხიდების ქვეშ ღამეს ათევენ უბინაონი, ღარიბები და ე. წ. კლოშარდები (მათხოვრები).

* * *

პარიზში ჩვენი ყოფნის ბოლო დღეს მოვიანახულებთ ვერსალი თავის საუცხოო პარკებით და სასახლეებით.

ვერსალისაკენ გამგზავრებისას ჩავუარეთ ბულონის ტყეს, მცირე ხნით შევჩერდით, დავათვალიერეთ პარიზელების ეს

უპირველესი დასახვეწებელი და გასართობი ადგილი. ჩვენი ყურადღება მიიპყრო მრავალწლოვანი მუხების ხშირმა ტყემ. ბულონის ტყეში დაფანტულია მოზრდილი ტბები, ზოოლოგიური ბაღი, იპოდრომი, კაფეები და სხვა გასართობები.

ყოველწლიურად ზაფხულში (ივნისში) მთელი კვირით ბულონის ტყეში ეწყობა „ყვავილების დღესასწაული“, დღესასწაულის დასასრულს აკაციების მთავარ ხეივანში ეწყობა კორსო-ვარდებით დეკორატიულად გაფორმებულია ეტლებისა და ავტომანქანების კარნავალი.

ის ადგილი, სადაც ახლა ვერსალია გაშენებული, მეთექვსმეტე საუკუნეში წარმოდგენდა პატარა სოფელს გაუვალი ტყით. ამ ტყეში ნადირობდა ლუი მეცამეტე. მისი სურვილით იქ გააშენეს მონადირის სახლი. მეჩვიდმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ლუი მეთოთხმეტეს, დროს, ვერსალში არქიტექტორების ლებლანისა, ლევოსა და მანსარის პროექტით დაიწყეს სამეფო სასახლისა და პარკების მშენებლობა. ეს იყო კლასიციზმის სტილით ნაგები შენობები. მეფის მთავარი მებაღის, მხატვარ ანდრე ლენორტის ხელმძღვანელობით სწარმოებდა ვეებერთელა პარკების დაგეგმვა და გაშენება. უზარმაზარ პარკში მოწყობილია შესანიშნავი შადრევნები, გამოქვაბულები, ქანდაკებები. დიდი შადრევნების ცენტრშია ქანდაკებები ალეგორიულ თემებზე — „ბოლონის ბანაობა“, „პროზერპინას“ მოტაცება“, „ნეპტუნის აუზი“, „გაზაფხულისა და ყვავილების აუზი“ და სხვები.

ვერსალის ძვირფასი დარბაზები მოკაზმულია: ოქროს, ბრინჯაოს, მარმარილოს ნამუშევრებით. ამ დარბაზებს ამშვენებს ძვირფასი გობელენები, სურათები სარკეებით, ბიუსტები, ხის ლამაზი ჩუქურთმები, რომლებიც სასახლის მრავალ დარბაზშია გამოფენილი, შესრულებულია იტალიელი ოსტატების მიერ.

ვერსალის პარკის ტერიტორიაზეა დიდი და მცირე ტრიანონის სასახლეები.

ლუი მეთოთხმეტეს ვერსალი ძალიან ხმაურიან ადგილად ეჩვენებოდა. ამიტომ მისი სურვილით არქიტექტორ მანსარმა პარკის სიღრმეში, ვერსალის სასახლიდან ორი კილომეტრის დაშორებით, ააგო პატარა სასახლე. ეს არის დიდი ტრიანონი, რომელიც თეთრი მარმარილოსაგანაა ნაგები. მას ამშვენებს

მწყობრი კოლონები. ეს სასახლე მეფისა და მისი მახლობლების საცხოვრებლად იყო განკუთვნილი. უფრო გვიან კიდევ ააშენეს მახლობლად სასახლე, რომელსაც მცირე ტრიანონი ეწოდა. უფრო შორს მოჩანს პატარა სახლი და წისქვილი, აშენებული ლუი მეთექვსმეტეს მიერ მარია ანტუანეტასათვის. ირგვლივ პარკებში ყველგან ხეივნები, შადრევნები, ტბებია დაფანტული. ლამაზია „ამურის ტაძარი“ და საზაფხულო თეატრი.

1837 წლიდან ვერსალი გამოცხადებულია ნაციონალურ მუზეუმად.

პარიზიდან გამოსვლისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო დენფერ-როშეროს მოედნის ცენტრში მდგარმა ბრინჯაოს „ბელფორის ლომმა“. ეს არის თავისებური სიმბოლო საფრანგეთისა, რომელიც ფხიზლად დარაჯობს თავის მოუსვენარ ჩრდილო-აღმოსავლეთის მეზობელს, რომელმაც არა ერთჯერ დაარბია ჰიუგოსა და ბალზაკის სამშობლო. სამწუხაროდ, თანამედროვე საფრანგეთის მესვეურებს თითქოს დავიწყნიათ ის ჭეშმარიტება, რაც ბრინჯაოს ამ ქანდაკებაშია გამოთქმული და თვითონვე უღებენ სამშობლოს კარს. თავიანთ დამარბეულებს.

რუბენსისა და ვერჰარნის სამშობლოში

ოდესღაც ხშირ ტყეში, შელდას შესართავთან ცხოვრობდა ბოროტი გოლიათი, რომელიც მდინარეზე მიმავალ გემებს მძიმე გადასახადს ახდევინებდა, ანდა, პირდაპირ ძარცვავდა მათ. ეს ურჩხული — დრუიონ ანტიგონეს სახელით ცნობილი, ძალზე მკაცრი ყოფილა, ვინც მის ჭირვეულობას არ დაემორჩილებოდა, იგი მას დაუყოვნებლივ მარჯვენა მკლავს მოკვეთავდა და მდინარე შელდაში გადაისვრიდა. ეს ვერაგი დიდი ხნის განმავლობაში აწუხებდა ფლანდრიელ ხალხს, ბევრი ცრემლი აღვრევინა მათ. მეზღვაურები და გემთმფლობელები საპატიო ჯილდოს დაჰპირდნენ იმას, ვინც თავიდან მოაშორებდა შემაწუხებელს. დაბოლოს, გამოჩნდა ახალგაზრდა ვაჟ-

კაცი სილვიუს ბრაბო, რომელიც შეებრძოლა ურჩხულს, დაამარცხა იგი, მოსჭრა მარჯვენა მკლავი და გადაადგო შელდაში. აქედან — ჰანდვერფენ, „გადაადებული მკლავი“. ამ ადგილას ჩაეყარა საფუძველი ანტვერპენს. ასეთია ლეგენდა ქალაქ ანტვერპენზე, რომლის ისტორიული დასაწყისი ნამდვილად მეშვიდე საუკუნეს მიეკუთვნება.

ანტვერპენში „გროტ მარკეტზე“ ვნახეთ სილვიუს ბრაბოს ძეგლიც. ძეგლი ფლანდრიელი სკულპტორის ეფო ლამბოს ნამუშევარია. საყრდენად ამოყვანილია ქვების ნამტვრევებისაგან შექმნილი კლდე, მის თავზე არის სილვიუს ბრაბოს გამონახულება — ქანდაკება. იქვე გამოსჩქეტს შადრევანი, რომელსაც არა აქვს აუზი, წყალი იფანტება კლდეებში. ამ მოედანზე დგას რატუსა და გილდიების ანუ კორპორაციების ძველი სახლები, რომლებიც მეთექვსმეტე საუკუნეშია აგებული, მათგან მოშორებით შელდის ნაპირზე აღმართულია ძველი ციხე-კოშკი „სტიინი“. იგი აგებულია 850 წელს, მაგრამ ნახევარი საუკუნის შემდეგ დაანგრის ნორმანებმა, გადაარჩა მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც ამავე დროს იყო ქალაქის კედლების ნაწილი. ესპანელების ბატონობის დროს იგი ეკუთვნოდა ესპანეთის მეფის მოადგილეს, სასტიკ ჰერცოგ ალბას. დიდი ხნის განმავლობაში ციხე-კოშკის გადარჩენილი ნაწილი გამოყენებული იყო სატუსალოდ. მის კედლებში აწარმოებდა თავის სისხლიან გასამართლებებს „წმინდა ინკვიზიცია“. ახლა მასში მოთავსებულია საზღვაო მუზეუმი და გამოფენილია ზღვებში დაღუპული გემების ნამსხვრევები, სანავიგაციო მოწყობილობები, გლობუსები, რუკები, მეზღვაურთა პორტრეტები, ძველი მარშრუტების გეგმები.

ანტვერპენი ოთხმოცდაათი კილომეტრითაა დაშორებული ჩრდილოეთის ზღვას. იგი მდებარეობს მრავალწყლიან შელდაზე. ეს მდინარე აკავშირებს ერთმანეთთან ჩრდილოეთის ზღვას და ანტვერპენს. ჩვენი თბომავალიც მიჰყვებოდა შელდის შესართავს.

შორიდან გამოჩნდა მოდერნული სტილის შენობა — დორენგებაუ, იგი 26 სართულიანია და მასში საკრედიტო ბანკია მოთავსებული. მის თავზე კი სატელევიზიო სადგურია, საიდანაც ტელესკოპ-ავტომატის საშუალებით შეიძლება დათვალიერება მთელი ქალაქისა და მისი მიდამოებისა, ოღონდ

ფული უნდა გადაიხადოთ ცალ-ცალკე ლიფტით ასკლისათვის და ტელესკოპ-ავტომატით სარგებლობისათვის.

შელდა დიდ სიგრძეზე მარჯვე მისადგომია საზღვაო და საოკეანო გემებისათვის. ამიტომ, რომ ანტვერპენი მსოფლიო მნიშვნელობის ნავსადგურია. მისი ჩრდილოეთის ნაპირები დასერილია აუზებით საზღვაო-საოკეანო გემების მისადგომად. დღე-ღამის განმავლობაში ანტვერპენში შედის რამდენიმე ასეული დიდი და პატარა გემი.

ანტვერპენის ნავსადგურის მახლობლად აღმართულია ძველი ზღვებში დაღუპული მეზღვაურების პატივსაცემად.

თავდაპირველად გავემართეთ ანტვერპენის იმ ნაწილში, რომელსაც ძველ ქალაქს უწოდებენ. გავიარეთ ვიწრო, მშვიდი ქუჩები.

ჩვენთვის — ტურისტებისათვის ანტვერპენი მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო განსაკუთრებით იმის გამო, რომ მასთან დაკავშირებულია დიდი მხატვრის პიტერ პაულ რუბენსის სახელი (1577 — 1640). მხატვრის მამა, ანტვერპენელი ადვოკატი იან რუბენსი, რომელზედაც ეპკვი მიიტანეს, პროტესტანტებს თანაუგრძნობსო, იძულებული გახდა გადახვეწილიყო თავისი ოჯახით სამშობლოდან. პიტერ პაულ რუბენსი დაიბადა პატარა ქალაქ ზიგენში, კელნის მახლობლად. მხოლოდ ქმრის სიყვდილის შემდეგ, რუბენსის დედამ მიიღო ნებართვა ოჯახითურთ დაბრუნებულიყო ფლანდრიაში. ათი წლისა იყო რუბენსი, როდესაც მან იხილა ანტვერპენი. მთელი მისი შემდგომი ცხოვრება ამ ქალაქთანაა დაკავშირებული. ანტვერპენში განვითარდა და გაიფურჩქნა რუბენსის გენია.

რუბენსის მოღვაწეობა მრავალფეროვანია. იგი იყო არა მარტო გენიალური მხატვარი, არამედ დიდად განათლებული პიროვნება, ღრმად მცოდნე ანტიკური ხელოვნებისა და კოლექციონერი. იგი ექვსი ძველი და ახალი უცხოური ენის მცოდნე ყოფილა. საყურადღებოა მისი პოლიტიკური და დიპლომატიური მოღვაწეობა.

რუბენსმა ანტვერპენი გადააქცია ფლანდრიული კულტურის დიდ ცენტრად, რომელიც ხელოვნების, უპირველეს ყოვლისა, მხატვრობის ნაწარმოებებს აწვდიდა ევროპის თითქმის

ყველა ქვეყანას. რუბენის მეოხებით ფლანდრიულმა მხატვრობამ ერთ-ერთი უპირველესი ადგილი დაიკავა ევროპის სახეთს ხელოვნებაში. ამიტომ უწოდებენ ანტვერპენს კლასიკური ფლანდრიული ხელოვნების ქალაქს.

რუბენსი თავისი ქვეყნის უდიდესი ავტორიტეტია მხატვრობაში. მისმა შემოქმედებითმა ძალამ თავისი დალი დაასვა მის თანამედროვე და შემდეგდროინდელი ფლანდრიელ მხატვართა შემოქმედებას. რუბენსის გარშემო თავს იყრიდნენ ანტვერპენის საუკეთესო მხატვრები. მის სახელთან არის დაკავშირებული ნაციონალური ფლანდრიელი ხელოვნების აღორძინება. რუბენსის მიმდევრები და მოწაფეები იყვნენ: ანტონის ვან დეიკი, იაკობ იორდანსი, ვან ეგმონტი, ვან ტელდენი, დავით ტენერისი ანუ ტენერ-უმცროსი, სოუტმანი, დეკრაიერი, კველინუსი, ვან დიენბეჟი, ვან დე ჰუკე, ბოკპერსტი, პანელისი, მაურმანსი. ზოგი ამ მხატვართაგანი ცნობილია სხვა ქვეყნებშიც.

შესანიშნავი ფრანგი ხელოვანი დელაკრუა ახალგაზრდა მანეს ურჩევდა: „უნდა შეისწავლო რუბენსი, უნდა განიმსჭვალო რუბენსით, უნდა მიბაძო რუბენსს, რადგან იგი — ღმერთია“; თავის დღიურში 1853 წელს კი დელაკრუა წერს რუბენსის შესახებ: „დიდება მხატვრობის ამ ჰომეროსს, მამას ხელოვნებისა, ენთუზიასტს, რომელიც ჩრდილავს ყველას იმდენად არა ერთი რომელიმე მიმართულების სრულყოფით, რამდენადაც უხილავი ძალით და სიცოცხლის სიყვარულით, რაც აღბეჭდილია ყველა მის ნამუშევარში“; დიდი რუსი მხატვარი ი. რეპინი, რომელიც აღფრთოვანებული იყო რუბენსის შემოქმედებით, წერდა: „ორგანული ცხოვრების თრთოლვა და ბრწყინვალეობა, არაფის სხვას არ გამოუხატავს ტილოზე ისეთი ძალით და მკაფიო ფერებით, როგორც რუბენსსო“.

თავისი საუკუნის ვერც ერთი მხატვარი ვერ შეედრებოდა რუბენსს პოპულარობით. რუბენსის ნამუშევრები დაცულია ევროპის საუკეთესო მუზეუმებში. მარტო ერმიტაჟში (ლენინგრადში) რუბენსის ორმოცზე მეტი ნამუშევარია, რომელთაგან ზოგი უკვდავ ძეგლს წარმოადგენს. ერმიტაჟის რუბენსის დარბაზში მოთავსებულია: „გარდმოხსნა“, „მიწისა და წყლის კავშირი“, „ცერერას ქანდაკება“, „პურობა სიმონ ფარისე-

ველთან“, „ნადირობა ლომებზე“. „ქვების მზიდავები“. „პერსეი და ანდრომედა“, „მოახლე“, „პეიზაჟი ცისარტყელათი“, „ვაკხი“ და სხვები. სწორედ ამ სურათებმა გააღვიძეს ჩვენში დიდი ინტერესი და პატივისცემა რუბენსისადმი. ჩვენ ყოველთვის ვეძებდით შემთხვევას, რომ ამ შესანიშნავი ხელოვანის, რაც შეიძლება მეტი ნამუშევარი გაგვეცნო უშუალოდ ორიგინალში. ასეთი შემთხვევაც მოგვეცა ჩვენი მოგზაურობის დროს ანტვერპენში, ბრიუსელში, პარიზში.

ანტვერპენში ჩასვლის შემდეგ ვჩქარობდით, რაც შეიძლება მალე გვენახა რუბენსთან დაკავშირებული ადგილები და მისი სურათების ორიგინალები. პირველად მოვინახულეთ ეგრეთ წოდებულ „მწვანე მოედანზე“ რუბენსის ქანდაკება, ძეგლი 1840 წელს შესრულებულია მოქანდაკე გ. ყეფტის მიერ. მარმარილოს ოთხკუთხოვან კვარცხლბეკზე ღვას რუბენსის შთაგონებული გამოსახულება მთელი ტანით, თითქოს მოძრაობაში.

ანტვერპენის სიამაყეა რუბენსის სახლი-მუზეუმი. ვისაც არ უნდა შეეკითხოთ ანტვერპენში, სად მდებარეობს რუბენს-პიუმ (რუბენსის სახლი), ყველა დაწვრილებით მიგიითიბებთ მის ადგილმდებარეობაზე. ქალაქის ცენტრიდან ახლო, მისივე სახელობის ვიწრო, მოკლე ქუჩაზე (რუბენს ტრაატ), მდებარეობს გამოჩენილი მხატვრის სახლი-მუზეუმი. შენობის შესასვლელთან ვკითხულობთ წარწერას: „აქ ცხოვრობდა დიდი რუბენსი“. ეს არის ლამაზი ორსართულიანი ნაგებობა, კედლებში გამოყვანილი ქანდაკებებით.

შევდივართ ეზოში გაშლილი ტრიუმფალური თაღით. საუცხოოადაა მორთული ეზო და სახლი. ეზოში რამდენიმე შადრევანია და მრავალი ქანდაკი. მაღალ კედელთან მწვანეში რუბენსის დროინდელი მექანიზირებული ჭაა, რომლიდანაც სასმელი წყალი ამოჰქონდათ. ეს წყალი ჩვენც გავსინჯეთ და ფრიად სასიამოვნო სასმელი აღმოჩნდა. ეზოს სიღრმეში დაცულია ქვის პავილიონი, სადაც მხატვარი მეგობრებსა და სტუმრებს უჩვენებდა თავის ახალ ნამუშევრებს. ეზო რუბენსის დასასვენებელ და მეგობრებთან შეხვედრა-საუბრის ადგილი ყოფილა. იქვეა მისი მრავალრიცხოვან მოწაფეთა სახელოსნო. მთელი ფლანდრიიდან მოედინებოდნენ მასთან მოწაფეები. რუბენსის სახელოსნოდან გამოდიოდნენ ნიჭიერი

მხატვრები, არქიტექტორები, სკულპტორები, გრაფიკორები, რომელთაგან ბევრმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თავისი ქვეყნის მხატვრული კულტურის განვითარებაში. რუბენსი მოწაფეებს ზრდიდა დიდი მომთხოვნელობით. ჩვეულებრივად თვითონ ამუშავებდა ესკიზებს, უჩვენებდა საღებავების ფერებს და ავალებდა მოწაფეებს მისი ესკიზით კომპოზიცია გადაეტანათ დიდ ტილოებზე. შემდეგ თვითონ საკუთარი ხელით აშალაშინებდა მათ, მთავარ ნაწილებს გაავლებდა ზოლმე თავის ფუნჯს, მათი მხატვრული სრულყოფის მიზნით.

რუბენსის სახელოსნომ, ერთი მისი თანამედროვეს სიტყვით, ქალაქი ანტვერპენი გადააქცია „თავისებურ აკადემიად, სადაც შეიძლებოდა ხელოვნების მწვერვალების დაუფლება“. რუბენსის მახლობელმა ნათესავმა და მეგობარმა (ფილიპმა) შემოგვინახა ცნობა, თუ როგორ ჰქონდა დიდ ხელოვანს განაწილებული თავისი სამუშაო დრო: იგი დგებოდა დილის ხუთ საათზე, ისმენდა ცისკრის ლოცვას. მისი აზრით, დღის ასეთი დასაწყისი საშუალებას აძლევდა მოეპოვებინა სულის სიმშვიდე და გაემართა გონება, რაც აუცილებელი იყო მუშაობისათვის. იგი იწყებდა მუშაობას. დაქირავებული მწიგნობარი მუშაობის დროს უკითხავდა პლუტარქს, ტიტ ლივიუს ან სენაკას. რუბენსი მასვე უკარნახებდა საპასუხო წერილებს და ესაუბრებოდა მომსგლელებს. შემდეგ ჩადიოდა სახელოსნოში მოწაფეებთან, რომლებიც მისი ესკიზებით ასრულებდნენ დავალებებს. საჭიროების მიხედვით აძლევდა მითითებას, უსწორებდა ნამუშევრებს. სადილობის შემდეგ კვლავ განაგრძობდა მუშაობას ხუთ საათამდე. შემდეგ ცხენით გაისეირნებდა ქალაქის ქუჩებში, ან ქალაქგარეთ. საღამოს ატარებდა მეგობრებთან.

თავის სახლ-სტუდიას რუბენსი აშენებდა რვა წლის განმავლობაში. შენობა გამართულია ბაროკოს სტილზე და იყოფა ორ ნაწილად. ერთ მხარეზეა საცხოვრებელი ოთახები, მეორე მხარეზე — ატელიე აივნით, რომლიდანაც მხატვრის თაყვანისმცემლები ტკბებოდნენ მისი სურათებით. დღესაც ხელუხლებელია საცხოვრებელი ოთახები და სამუშაო სახელოსნო, სადაც ამდენი საუცხოო სურათი შექმნა გამოჩენილმა მხატვარმა. ეზოს მხარეს გადის მთავარი ოთახების ფანჯ-

რები. დარბაზები ოდნავ ჩამობნელებულია. ალბათ, ასე სურდა რუბენსს. ოთახებში შემონახულია ძველი ავეჯი: რუბენსის საწოლი, მაგიდა, კარადები ლამაზი ჩუქურთმებით. როგორც ჩანს, ოთახებს პოლანდიური ღუმელებით ათბობდნენ. საწოლ ოთახში დიდი ღია ბუხარია გამართული, რომელსაც აგრეთვე ხორციელის შესაწვავადაც იყენებდნენ.

მუზეუმში დაცულია რუბენსის და მისი სკოლის მხატვრობის სურათები (იორდანის და სხვ.), საუცხოოა დიდი ფლანდრიული გობელენი, რომელზედაც გამოხატულია აქილევსის ჭიკვდილი. რუბენსის სურათებიდან გამოფენილია „მწყემსების მიერ ქრისტეს თაყვანისცემა“; აგრეთვე ლითოგრაფიული ასლები მისი სხვადასხვა ნამუშევრისა. აქვეა რუბენსის პირველი ცოლის იზაბელა ბრანდტის და მეორე ცოლის — ელენ ფოურმენის პორტრეტები. ცნობილია, რომ რუბენსისათვის ელენ ფოურმენი იყო საუკეთესო მოდელი. თექვსმეტი წლის ელენ ფოურმენი რუბენსმა შეირთო (1630 წელს) მაშინ, როდესაც თვითონ უკვე ორმოცდაცამეტ წელს იყო გადაცილებული. ამის შემდეგ მრავალ მის სურათში სიცოცხლით სავსე ლამაზი ქალის სახე იმეორებს ელენ ფოურმენს. მკვლევარების დასკვნით ელენ ფოურმენის სახეა განმეორებელი: ვენერაში, დიანაში, მადონაში, ანდრომედაში, მაგდალინაში, დიდონაში, ვირსავიაში, ატალანტაში, საბინაში; აგრეთვე მრავალ ისტორიულ და პასტორალურ კომპოზიციაში.

რუბენსი ფართო გონებრივი პორაიზონტის და მდიდარი, მრავალმხრივი ინტერესების მქონე ხელოვანი იყო. თემატურად მისი შემოქმედება მრავალფეროვანია, მოიცავს მრავალნაირ კომპოზიციას ისტორიიდან, თანამედროვე ცხოვრებიდან, ანტიკური მითოლოგიიდან და ქრისტიანულ-რელიგიური ლეგენდებიდან; აგრეთვე პორტრეტებს და პეიზაჟებს; ყოფით სცენებსა და ალეგორიებს. მისი ოსტატობა აცვიფრებს მნახველს დაუშრეტელი მხატვრული შთაგონებით. ყველგან რუბენსის მხატვრობის ცენტრშია — ადამიანი. იგი ხოტბას ასხამს ადამიანს, მის სასიცოცხლო ძალასა და სილამაზეს, მის კეთილშობილებას. რუბენსი სიცოცხლის მოსიყვარულე ხელოვანია. მთელი მისი შემოქმედება — ეს არის

ჰიმნი ადამიანისა და ბუნებისადმი. იგი აღორძინების ხანის ჰუმანისტური ტრადიციების მიმდევარი ხელოვანია.

ანტვერპენის თითქმის ყოველ ქუჩას ამკობს ძველი ხელოვნებისა და კულტურის ძეგლები. ერთ-ერთი ლამაზი ბაღის მახლობლად ცენტრში ვნახეთ რუბენსის თანამედროვის, საუცხოო მხატვრის ანტონის ვან დეიკის მონუმენტი.

ანტვერპენის მუზეუმში დაცულია საუკეთესო ფლანდრიელი მხატვრების: ვან ეიკის, ფრანკენის, ვან დენ ვეიდენისა, ჟორდანის, მემლინგის; რეისდალის, მეტცისის, ვან დეიკის, იორდანის, ბრაუერის, სნეიდერსის, ფეიტის. კონსტანტინ მენიეს ნამუშევრები. ამ მუზეუმს ამშვენებს რემბრანდტისა და ტიციანის რამდენიმე ქმნილება, აგრეთვე — ანტიკური სკულპტურის საუცხოო კოლექცია.

ანტვერპენის მუზეუმში ყველაზე სრულად წარმოდგენილია რუბენსი. აქ ვნახეთ მისი დიდი ტილოები: „მოგვების თაყვანისცემა“, „შუბის ცემა“, „მარიამის ამაღლება“, „მადონა თოთხმეტი წმიდანით“, „ქრისტე ჯვარზე“, „წმიდა ეკატერინე“, „წმიდა ფრანცისკოს ზიარება“ და სხვები. მიუხედავად იმისა, რომ ამ სურათების უმეტესობა რელიგიურ თემაზეა შეარქულებული, მნახველებზე ისინი უდიდეს შთაბეჭდილებას ახდენს: თავიანთი რეალიზმით, ხასიათების სრულყოფით, სახეების გამოკვეთილობით, ბუნებრივი მოძრაობით, ფერების სიმდიდრით და მათი განსაცვიფრებელი შეხამებით. რელიგიურ თემების პირობითობაში, რუბენსმა გამოხატა ადამიანის სილამაზე და ვაჟკაცობა.

რუბენსის სურათები დაცულია არა მარტო ანტვერპენის მუზეუმში, არამედ ქალაქის ძველ ტაძრებში, უწინარეს ყოვლისა, კათედრალურ ტაძარში — ნოტრ დამში. ეს უზარმაზარი შენობა ანტვერპენის საუკეთესო ძეგლია. მისი მშენებლობა 1353 წელს დაუწყიათ და მხოლოდ 1584 წელს დაუმთავრებიათ. თუმცა მას ოთხ საუკუნეზე მეტ ხანს აშენებდნენ, ის მაინც ერთიანი სტილის შენობის შთაბეჭდილებას ტოვებს. ტაძარი მოჩუქურთმებული თეთრი ქვისაგან არის ნაგები, მაგრამ ახლა მას დაკარგული აქვს ფერი, გაშავებულია; 125 ქვის დიდ ბოძზეა დაყრდნობილი ტაძრის თაღები. საუცხოოა ტაძრის გოლდისა, რომელიც 123 მეტრის სიმაღლაა, მას მთელი საუკუნის განმავლობაში აშენებდნენ საუ-

კეთესო ოსტატები -- აპელმანსი და დე ვოგემაკერი. ტაძრის უზარმაზარი ფანჯრები სხვადასხვა ფერის შუშებით ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენენ მნახველზე. სამრეკლოზე ორმოცი სხვადასხვა სიდიდის ზარია. ამ ზარებით სრულდება რთული მუსიკალური ნაწარმოებები. ზარების ასეთ თავისებურ გროვას ეწოდება კარილონი.

ფლანდრიაში ზარების კონცერტი ძალიან გავრცელებულია და დიდი პოპულარობითაც სარგებლობს. 48 ზარის ასეთი კონცერტი ჩვენ მოვისმინეთ ძველი ქალაქის მალინის (მეხელენის) რომბოს ტაძარში. პროფესორმა შიეტ ვან დენ ბრუკმა ზარებზე შეასრულა რახმანინოვის პრელუდია, ოპუს 3 № 2, რუბინშტეინის ოპუს 44 № 1, რიმსკი-კორსაკოვის ინდოელი სტუმრის სიმღერა ოპერა „სადკოდან“. შთაბეჭდილება დიდი იყო.

მთლიანი კონცერტი სრულდება 66 ზარით, რომლისაგან ყველაზე დიდი ზარი იწონის ცხრა ტონას, ხოლო ყველაზე პატარა ოცდახუთ კილოს. ქალაქის ცხოვრებაში ეს ზარები დიდ როლს ასრულებენ. მის მუსიკაში აისახება: ზეიმი, დღესასწაული, მზიარულება, მწუხარება. ადრე თითოეულ ზარს საგანგებო დანიშნულება ჰქონია. ერთი რომელიმე ზარით მოქალაქეებს ატყობინებდნენ სახელოსნოში შეკრებას, მეორე ზარით — მუშაობის დასრულებას, მესამეთი — ქორწილს, მეოთხეთი — დაკრძალვას, მეხუთეთი — მტრის მოახლოებას და ა. შ. ზარების პირველი კლავიკორდონი მოაწყო 1540 წელს ორგანისტმა ჰენტელმა. ამის შემდეგ ის გავრცელდა მთელ ფლანდრიაში. უზარმაზარი კლავიკორდონი კლავიშების რამდენიმე რიგით, მეტად რთული მექანიზმებით პირდაპირ შეერთებულია ზარებთან. იქვე ცხოვრობს მეზარე-დამკვრელი, რომელიც ფიზიკურად ძლიერი უნდა იყოს, რადგან კლავიკორდონზე დაკვრა დიდ ენერჯიას მოითხოვს.

ანტვერპენის კათედრალურ ტაძარშია რუბენსის ტრიპტიხი: „ჯვრის აღმართვა“ და „ვარდამოხსნა“. ეს კომპოზიცია რუბენსმა შემდეგ გაიმეორა სხვა ტაძრებშიც. იქვეა მოთავსებული რუბენსის — „მარიამის ამაღლება“.

ამავე ტაძარში ვნახეთ ლეონარდო და ვინჩის ცნობილი სურათი — „ქრისტეს თავი“. რომელი მხრიდანაც არ უნდა

შეხედოთ ამ სურათს, ქრისტეს თვალები მაინც თქვენ გიციქა-
რით თითქოს ცოცხალია და მოძრაობსო.

ჩვენი ყურადღება მიიბჟრო აგრეთვე ხის ქანდაკებებმა,
რომლებიც ქეშმარიტი ხელოვნების ნიმუშებია. როგორც
ჩანს, ეს რთული ხელოვნება დიდად გავრცელებული ყოფილა
რუბენსის სამშობლოში.

ტაძრის ერთ კუთხეში აღმართულია მის მშენებელთა ქან-
დაკებები, რომელნიც უბრალო ადამიანების შრომით პრო-
ცესს გამოხატავენ.

სამუდამოდ დაიღუპა რუბენსის 34 დიდი სურათი, რომ-
ლებიც მოთავსებული იყო ანტვერპენის ერთ-ერთ ძველ ტა-
ძარში და 1718 წელს ტაძართან ერთად დაიწვა. ანტვერპენის
სხვა ტაძრებშიც შემონახულია დიდი ფლამანდრელი მხატვრის
ნამუშევრები, რომელთაგან ზოგი თავისი შესრულებით ღრმა
შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე.

რუბენსი დიდი ხნის განმავლობაში დაავადებული იყო
რევმატული ავადმყოფობით. იგრძნო რა სიკვდილის მოახ-
ლოება, თვითონვე წინასწარ დაიწყო ზრუნვა თავისი საფ-
ლავის ძეგლისათვის. მან დახატა „წმიდა ოჯახი“, რომლის
მიხედვითაც შემდეგ მის საფლავზე — „წმიდა იაკობის ტა-
ძარში“ (ანტვერპენში) გაკეთდა ძეგლი „მადონა ექვსი წმი-
დანიტ“. ამ ძეგლზე გამოხატულია თვითონ რუბენსი, მისი
პირველი და მეორე ცოლი, უმცროსი შვილი, ბაბუა და მამა.
მკვლევარნი ამ ძეგლის თემას „გენიოსის სასწაულს“ უწო-
დებენ.

ანტვერპენში ჩვენ ვნახეთ შუა საუკუნეებში დაარსებუ-
ლი სტამბა და წიგნის მაღაზია, რომელსაც დღეს პლანტენ-
მორეტუსის მუზეუმში ეწოდება. ამ მუზეუმში ყველაფერი
უცვლელადაა შემონახული — შრიფტი, საამწყობო, პრიმი-
ტიული საბეჭდი მანქანები. დიდი ხნის განმავლობაში ეს იყო
ცნობილი სტამბა-გამომცემლობა, სადაც თავის დროზე მრავ-
ალი წიგნი დაიბეჭდა და შემდეგ ბევრგან გავრცელდა. ამ
სტამბაში დაბეჭდილი წიგნები გამოფენილია მაღაზია-მუ-
ზეუმში. დაინტერესებულ პირს განსაზღვრული თანხის გა-
დანდის შემდეგ სამახსოვროდ ახლაც უკეთებენ სხვადასხვა
ტიქსტის ანაბეჭდს. ანტვერპენში გამოვიდა პირველი გაზეთი
1605 წელს. იგი დაცულია ამ მუზეუმში.

სანამ დავამთავრებდით ანტვერპენის გაცნობას, დავათვალიერეთ კიდევ წყლის ჭიშკარი — ტრიუმფალური თაღი, აშენებული მეჩვიდმეტე საუკუნეში, ფლანდრიული ოპერის დიდი შენობა, სახვითი ხელოვნებისა და მუსიკის აკადემიები, რატუშა, კორპორაციების (მეკასრეების, მეღურგლეების, ფეიქრების და სხვ.) სახლი, ჰერცოგ ალბას ძველი ციხე-კოშკი, მდინარე შელდის ქვეშ გაყვანილი ორკილომეტრიანი ასფალტირებული და მოპირკეთებული ფართო გვირაბი — გზა ცალ-ცალკე მანქანებისა და ფეხით მოსიარულეთათვის. რკინიგზის სადგურის მახლობლად მდებარეობს ზოოლოგიური პარკი. იგი უდიდესია დასავლეთ ევროპაში. მასში თავმოყრილია იშვიათი ცხოველები, თვით ისეთებიც, რომლებიც მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ეგზემპლარია 'შემორჩენილი.

ანტვერპენიდან ბრიუსელისაკენ მიმავალმა ჩვენმა ავტობუსებმა (ტურისტების თხოვნით, გეგმის გარეშე) გზა განაგრძეს სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. მცირე ხნის შემდეგ შევედით სენტ-ამენდში. ეს ლამაზი პატარა ქალაქია, გაშენებული შელდას ნაპირზე. აქ დაიბადა და ცხოვრობდა დიდი ბელგიელი პოეტი ემილ ვერჰარნი. ამ სამიოდე წლის წინათ ემილ ვერჰარნისა და მისი მეუღლის მარტა ვერჰარნის საფლავზე დადგეს ახალი ძეგლი. ჩვენმა ტურისტებმა ანტვერპენიდან საგანგებოდ წამოღებული ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეამკეს დიდი დემოკრატი პოეტის საფლავი.

ელვეტში ვნახეთ რუბენსის საზაფხულო საცხოვრებელი. სახლი უბრალო და ლამაზია, ჩაფლულია მწვანეში.

ანტვერპენიდან ბრიუსელი 50 კილომეტრითაა დაშორებული. გარდა რკინიგზისა, მათ ერთმანეთს აკავშირებს საუცხოო საავტომობილო გზა. მანქანები მოძრაობენ გზაზე. რომელიც ნარგავებით ორად არის გაყოფილი. გზა თითქმის სულ პირდაპირ მიემართება. მოსახვევებში მკაფიო გამაფრთხილებელი მაჩვენებლებია, რომელსაც მძლოლი უეჭველად შორიდანვე შეამჩნევს.

მალინისაკენ გადასახვევი გზის მახლობლად ვნახეთ ჰიტლერელების მიერ მოწყობილი საკონცენტრაციო ბანაკი — ბრეენდოკი. მას გარშემო მაღალი წვეტიანი მავთულის ლო-

ბე არტყია ირგვლივ. მავთულში გატარებული იყო დიდი ძაბვის ელექტროდენი. ეს ყოფილა საშინელი წამების ადგილი, სადაც გაუსამართლებლად სიცოცხლეს ასალმებდნენ უდანაშაულო ადამიანებს, სამშობლოს მოსიყვარულე შვილებს.

ბრიუსელში მისვლამდე შევჩერდით ჰაისელის და ლააკენის პარკში, სადაც 1958 წელს მოწყობილი იყო მსოფლიო გამოფენა. გამოფენის დროიდან შემორჩენილია ზოგი შენობა, მათ შორის თეატრი. მაინც მთავარია ატომიუმი. იგი შედგება ცხრა დიდი ბურთისაგან. თითოეული ბურთი შიგნით დიდ დარბაზს წარმოადგენს. ყველაზე მაღალ ბურთში მოთავსებული იყო რესტორანი ას ორმოცი კაცისათვის. ბურთებში ასასვლელად მილებში მოწყობილი იყო ესკალატორები და ლიფტები.

ბრიუსელი იყოფა ორ ნაწილად — ძველი ან ქვედა ქალაქი ვიწრო ქუჩებით. აქ ცხოვრობენ: მუშები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები, მოსამსახურეები, მეორე ნაწილი: ახალი ანუ ზედა ქალაქი ფართო ქუჩებით, ლამაზი პარკებით და ბაღებით, მდიდრების სასახლეებით. ვანტ-ხოფ-სტაარტის ქუჩა აკავშირებს ქალაქის ქვედა ნაწილს ზედა ნაწილთან.

ბრიუსელის სახვითი ხელოვნების მუზეუმი მოთავსებულია რიუ დე ლა რეჟანსზე. ნეოკლასიკური სტილის ამ ლამაზ შენობას ამშვენებს გრანიტის დიდი სვეტები. სვეტების თავზე ამართულია ბრინჯაოს ოთხი დიდი ქანდაკება, რომლებიც მუსიკის, არქიტექტურის, სკულპტურის და მხატვრობის სიმბოლოებს წარმოადგენენ. მუზეუმის მასიური კარების თაღებზე დადგმულია რუბენსის, ჟან დე ბოლონიას და იან ვან რეისბროეკის ქანდაკებები. შენობის წინახედზე გაწყობილია სხვადასხვა დროის ხელოვანთა ქანდაკებები. ეს მუზეუმი ცნობილია განსაკვივრებელი ფლანდრიული პრიმიტივებით (გობელენები, ხის თემატიკური და პერსონალური ქანდაკებები, კარადები, ბროლის, ძვლის ნამუშევრები და სხვ.), რუბენსისა და მისი სკოლის მხატვრების ტილოებით. მის დარბაზებში მოთავსებულია ბრეგელის (უფროსის), ვან დენ ვეიდენის, პეტრუს ქრისტუსის, ანტონის ვან დეიკის, გუგო ვან დერ ბუსის, მემლინგის, მეტცისის და ჟერარ დავიდის, ვან ორლეის, ჟორდანსის, კონსტანტინე მენიეს და სხვათა საუკეთესო სურათები. რუბენსის სურათებს უკავია არა მარტო

დიდი დარბაზი, არამედ სხვა ფლამანდრიელ მხატვრების ნამუშევრებთან ერთად მეზობელი დარბაზებიც. რუბენსის დარბაზში მოთავსებულია — „მოგვების თაყვანისცემა“, „გზა გოლგოთისაკენ“, „წმიდა ლივინის ტანჯვა“ და ოთხი პორტრეტი. აქვე გამოფენილია აგრეთვე: რემბრანდტის, ტიციანის და გოიას ნამუშევრები და XVIII — XIX საუკუნეების ფლამანდრიული სკულპტურის ნიმუშები.

ბრიუსელში არის მეორე მუზეუმი — ახალი ხელოვნების მუზეუმი, სადაც XIX — XX საუკუნეების ბელგიელ მხატვართა სურათების გარდა, გამოფენილია: ინგლისელი, ფრანგი, გერმანელი, იტალიელი მხატვრების ნამუშევრები. მათ შორის გოიას, კოროს, კურბეს, დელაკრუას, რენუარის, მატისის და სხვათა ქმნილებები.

ბრიუსელში ჩამოსულს ურჩევნ უპირველეს ყოვლისა, გაეცნოს დიდ მოედანს (გრანდ პლას), რომელიც ნამდვილად დიდი არ არის, მაგრამ დამშვენებულია საუცხოო ძველი მოჩუქურთმებული და მოოქრული შენობებით — რატუმით, მეფის სასახლით (თუმცა მეფეებს არასდროს არ უცხოვრიათ მასში), კოპერაციების, ანუ გილდიების სახლებით, ბრახანტის ჰერცოგის სასახლით. გოთიკისა და ბაროკოს აღრეულ სტილზე აგებული შენობები თავისებურ სილამაზეს აძლევს მთელს მოედანს. ამ მოედანზე ყურადღებას იქცევს ვიქტორ ჰიუგოს სახლი. ამ სახლში ცხოვრობდა გამოჩენილი ფრანგი მწერალი, რომელიც ნაპოლეონ მესამემ 1852 წელს საფრანგეთიდან გააძევა. ამ მოედანზე დადგმულია ვიქტორ ჰიუგოს და ეან-ჟაკ რუსოს მონუმენტები.

ფლანდრიაში დიდი პოპულარობით სარგებლობს „მანეჟენ-ფისის“ ქანდაკება. ეს არის 3—4 წლის ბიჭუნას გამოსახულება. ეს ბავშვია, რომელსაც თითქოს თავისდა უნებურად ისტორიული ღვაწლი მიუძღვის ქვეყნის დაცვის საქმეში. სკულპტორ დიუჟენუას ნიერ შესრულებული ეს მცირე მონუმენტი შადრევან რიუ დე ლ'ეტოუს და რიუ დიუ შენის კუთხეშია მოთავსებული — პატარა ჩასუქებული ცოცხალი ბავშვი ბუნებრივი ყესტით ღვრის წყალს. ამ უბანში ყველაფერი „მანეჟენ ფისის“ სახელთან არის დაკავშირებული. ყველაზე უკეთესი ოტელი, რესტორანი მისი სახელობისაა, პატარა მაღაზიებში, უმთავრესად ვაჭრობენ ცხვირსახოცე-

ბით, პირსახოცებით, თავსაკრავებით, ქანდაკებებით, ფოტოებით, ღია ბარათებით, რომლებზედაც ეს ბავშვია გამოხატული. ყოველი ქვეყანა უგზავნის მას თავისი ქვეყნის ნაციონალურ ტანსაცმელს. ბრიუსელის კომუნალურ მუზეუმის დიდ დარბაზში ჩვენ ვნახეთ გამოფენილი ეს ტანსაცმელები. გაგვაკვირვა მათმა სიშრავლემ!

სანამ რუბენსის შესახებ დავამთავრებდეთ საუბარს, უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ლუვრში (პარიზი) გავეცანიტ მის საუცხოო ქმნილებებს, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მონუმენტური დეკორატიული კომპოზიცია ჰენრიხ IV მეორე ცოლის მარია მედიჩის ცხოვრებიდან. ეს ციკლი შეიცავს 21 დიდ ტილოს და 3 პორტრეტს. რუბენსის ეს ნამუშევრები თავდაპირველად გამოფენილი ყოფილა ლუქსემბურგის სასახლეში და მის მთავარ მშვენიებას შეადგენდა. ახლა ეს სურათები გადატანილია ლუვრში და მოთავსებულია ცალკე დარბაზში. ამ გრანდიოზულ სურათებში გამოხატულ სხვადასხვა ეპიზოდებში მაყურებელი ხედავს ცოცხალ ადამიანებს რეალური გარეგნობით და განცდებით. მათში სიშარბლით არის დაცული ისტორიული კოლორიტი. ამასთანავე საქმე გვაქვს ფერების იშვიათ ჰარმონიასთან.

გასულ წელს საფრანგეთის ქალაქ შომონში, მენახშირის სარდაფში აღმოაჩინეს რუბენსის სურათი „ლოს ბენავიდესი“, რომელიც დაწერილია 1635 წ. ექსპერტებმა სურათი ორასორმოცდაათას ლირად შეაფასეს. სურათი შესრულებულია რუბენსისათვის დამახასიათებელი ოსტატობით.

ლუვრშია მოთავსებული რუბენსის — „მონადირე და პეიზაჟი“, „ფლანდრიული ქერმესი“ და „ელენ ფოურმენი ბავშვებით“. კონკრეტულობა და დიდი ლირიული სითბო ახასიათებს ამ ნაწარმოებებს.

რუბენსის შემოქმედების დამახასიათებელი ნიშანია აღორძინების ხანის დიდი მხატვრების და საუკეთესო ნაციონალური რეალისტური ტრადიციების ორგანული შერწყმა. მისი მრავალფეროვანი გენია ყველას აჯადოებს. მას სავსებით სამართლიანად უწოდებენ ენციკლოპედიური ბუნების ადამიანს. ფლანდრიას დღესაც არ ჰყავს მასზე ძვირფასი და საყვარელი ხელოვანი.

ბრიუსელში პლაც დე მორტირზე — წვალეზულთა მოე-

დანზე დგას ძეგლი ბელგიელი პატრიოტების ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც დაიღუპნენ 1830 წელს. კვარცხლბეკზე აღმართულია მოწყენილი ქალის მონუმენტი, რომელიც გამოხატავს ბელგიას. მის ფეხთ ქვეშ გართხმულია ლომი. ასეთივე მოწყენილი ოთხი ქალი ზის მონუმენტის კუთხეებში. სამ მარმარილოს ფილაზე მოთავსებულია ბრინჯაოს გვირგვინები, ხოლო მეოთხე ფილაზე მსხვილი ასოებით გამოყვანილია სიტყვა „პატრია“ (სამშობლო). ყოველწლიურად დამოუკიდებლობის დღეს ამ ძეგლთან იმართება ზეიმი.

ქალაქის მერიის შენობა, რომელსაც ამშვენებს ლამაზი გოდლისა, 96 მეტრის სიმაღლისაა. გოდლისის თავზე აღმართულია ხუთმეტრიანი მოოქრული ქანდაკება. შენობის წინა ხედი ეყრდნობა ჩვიდმეტ მსუბუქ კოლონას, რომლებზედაც ქვისგან გამოქანდაკებულია საუცხოო ჩუქურთმები. ძველი მძიმე კარებით შევდივართ მერიის ეზოში, სადაც დგას ალეგორიული შინაარსის ქანდაკებებით მორთული ორი შადრევანი, რომლებიც გამოხატავენ მდინარე მასს და შელდას.

პოელატრის მოედანზე მოთავსებულია იუსტიციის ანუ სასამართლოს უზარმაზარი სასახლე. მასში სამასამდე დიდი და მცირე დარბაზია. შენობას ამშვენებს მოოქრული გვირგვინი, ხოლო გოდლისაზე გამოქანდაკებულია სიმბოლური ფიგურები: კანონისა, ძალისა, სიმართლისა და მოწყალეებისა.

ამ შენობის წინ, მოედნის აღმოსავლეთ კუთხეში, ამართულია პირამიდა, 1914—1918 წლების ომში დაღუპულთა სახსოვრად.

ანტვერპენსა და ბრიუსელში ჩვენ ვნახეთ კონსტანტინე მენიეს მხატვრობის და სკულპტურის ნაწარმოებები. მენიე ცნობილია, როგორც მონუმენტალური ქმნილებების ავტორი, რომლებიც უმთავრესად მიძღვნილია პროლეტარიატისადმი. მის შემოქმედებაში მთავარია გვიჩვენოს ადამიანი შრომაში. მენიეს ქმნალებათა გმირები არიან: მემალაროელები, მტვირთავეები, მეთევზეები, პორტის მუშები. ანტვერპენში ნავსადგურის მახლობლად ამართულია მისი ქანდაკება „დოკერი“; ანტვერპენშივეა მისი „მტვირთავი“.

ბრიუსელისა და ანტვერპენის სამეფო მუზეუმებში მოთავსებულია კონსტანტინე მენიეს მრავალი ქმნილება. მაგრამ მეტი წილი მისი ნამუშევრებისა დაცულია მისი სახელობის

პატარა მემორიალურ მუზეუმში, ბრიუსელში. ამ მუზეუმში
ვნახეთ ბრინჯაოს „მადაროში“, „ანტვერპენი“, „ინდუსტრია“,
„მემადაროელთა დაბრუნება“, „ქალი ხალხიდან“, „მთესა-
ვი“: „მცელავი“, „ბულონელი მეთევზე“, „მჭედელი“,
„წყლის ამოქაჩველი ქალი“; ნახატები „კარტოფილის შეგ-
როება“, „მემადაროელების დაბრუნება“, „ინდუსტრიული
ხედი“, „მემადაროელი ქალი“, „მადარო“ (ტრიპტიხი) და
სხვები.

ეს შესანიშნავი ხელოვანი ამ ნახევარი საუკუნის წინათ
გააცნო ქართველ საზოგადოებას თავისი სერიოზული ნარ-
კვეით ჩვენმა კრიტიკოსმა გერონტი ქიქოძემ. კონსტანტინე
მენიეს შემოქმედებას იგი რევოლუციის შემდეგაც დაუბრუნ-
და „მნათობში“ გამოქვეყნებული წერილით.

* * *

ბრიუსელის გაცნობის შემდეგ ჩვენ კიდევ დაგვრჩა თავი-
სუფალი დრო. ტურისტების ერთმა ჯგუფმა გადასწყვიტა ვა-
ტერლოოს ისტორიული ადგილების დათვალიერება. სოფელ
ვატერლოომდე ბრიუსელიდან 20 კილომეტრია. იქ გამგზავ-
რება შეიძლება მატარებლით და ტრამვაით. მაგრამ ვამჯო-
ბინეთ ტაქსით წასვლა. ვატერლოოს გზა გადის ტყიან ადგი-
ლებში, შემდეგ გორაკებსა და მინდვრებს შორის. ოცდახუთი
წუთის შემდეგ ჩვენ უკვე იმ ადგილებში ვიყავით, სადაც გა-
დაწყდა ნაპოლეონ ბონაპარტეს ბედი. ჩვენს ხსოვნაში
აღდგა ლიტერატურული წყაროებით ცნობილი ბრძოლების
ადგილები: სუანისა და პარიზის ტყე, ოპენისა და ბრიუსელის
შარაგზა, ციხე-სიმაგრე ჰუმონი, ფერმები — დიუ კაიუ,
როსომი, პაპელოტი, ლა-გე-სენტი, სოფლები — მონ-სენ-
ჟანი, ბელალიანსი, კარტ-ბრა, ვავრა, პლანშენუა; ფერმაში
დიუ კაიუ ბრძოლის წინა დამეს იმყოფებოდა თავისი შტაბით
ნაპოლეონი; ველინგტონს ინგლისის არმიის მთელი ძალებით
პოზიცია ეკავა მონ-სენ-ჟანის ტაფობთან, ვატერლოოს
სამხრეთით.

დავათვალიერეთ ისტორიული ფერმა დიუ კაიუ. იქ ახლა
მუზეუმია. მასში მთლიანად დაცულია ნაპოლეონის ოთახი,
მისი ქუდი და სხვა ნივთები. აქვეა გარდაცვალების შემდეგ

გადაღებული ნაპოლეონის ნიღაბი. სხვა ოთახებში წარმოდგენილია ნაპოლეონის მარშლებისა და გენერლების იარაღები; სოფელ მონ-სენ-ჟანში დაცულია ველინგტონის ადგილსამყოფელი, იქაც მუზეუმია მოწყობილი.

ვატერლოოს ბრძოლის აღსანიშნავად, იმ ადგილას, სადაც იდგა პოლანდიელების და ბელგიელების ჯარები, რომელსაც უტყვევდა ფრანგების გვარდია, 1823 — 1826 წლებში ააგეს, უზარმაზარი გორაკი — პირამიდა 45 მეტრის სიმაღლისა. ეს ხელოვნური გორაკი გაკეთებულია იმ ათეულ ათას მებრძოლის ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც ამ ადგილებში დაეცნენ ისტორიული ბრძოლის დროს. გორაკის თავამდე მიდის 226 საფეხურიანი კიბე. გორაკის პატარა მოედანზე დგას თუჩისაგან ჩამოსხმული ვატერლოოს ლოჰი. მისი ფიგურა, რომელიც გაკეთებულია სკულპტორ ვან-ჰეელის გეგმის მიხედვით, იწონის 28 ტონასა და ჩამოსხმულია ფრანგების მიერ მიტოვებული ზარბაზნებისაგან. მასზე აღნიშნულია ნაპოლეონის დამარცხების დღე.

ვატერლოოს სხვადასხვა ადგილას დაღუპულთა საფლავებზე აღმართულია ძეგლები და მონუმენტები. ვნახეთ ბრძოლაში დახოცილ ჰანოვერთა უკვდავსაყოფი მონუმენტი, რომელიც ცისფერი მარმარილოსაგან არის შესრულებული როგორც პირამიდა; შემდეგი ძეგლი აგებულია ფრანგი მებრძოლების მოსაგონრად და გამოხატავს კლდეზე მიჯაჭვულ დაჭრილ არწივს.

დავათვალიერეთ ვატერლოოს ბრძოლის პანორამა, რომელიც მოთავსებულია დიდ მრგვალ შენობაში. პანორამა შესრულებულია ფრანგი მხატვრის დემულენის მიერ. ეს პანორამა 125 მეტრის დიამეტრისაა და აქვს 12 მეტრი სიმაღლე. მასზე გამოხატულია ვატერლოოს მიდამოები, სოფლები და ფერმები, რომლებშიც მოთავსებული იყო მოწინააღმდეგეთა შტაბები, ჯარების განლაგება, ბრძოლის მომენტები, დაჭრილები და მკვდრები, ცხენოსნები. აი, ნაპოლეონის ძველი გვარდია მარშალ ნეის სარდლობით გადასულა უკანასკნელ იერიშზე. სიღრმეში მოჩანს თეთრ ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონი.

პანორამას გაკეთებული აქვს წარწერები, რომლებშიც

მოყვანილია თითოეული მხარის საბრძოლო განკარგულებები, მითითებულია ნაპოლეონის შეცდომებზე.

ვატერლოოს მიდამოებში მრავალი რესტორანი, კაფე და ნაირ-ნაირი გასართობებია. მათი სახელწოდებები დაკავშირებულია ვატერლოოს ისტორიულ შემთხვევებთან. ჩვენ დავისვენეთ და გამაგრილებელი წყლები დავლიეთ კაფეში „უკანასკნელი შეტევა“. ირგვლივ მიმოფანტულია სუვენირების პატარა სავაჭროები.

უკან გამობრუნებისას მცირე ხნით შევჩერდით სოფელ მონ-სენ-ჟანის განაპირას. აქ ძველ სასტუმროში, 1861 წელს, ორ თვეს ცხოვრობდა ვიქტორ ჰიუგო და წერდა „მიზეზების“ ბოლო თავებს. იქ ახლა ჰიუგოს სახელობის მუზეუმი.

ქალაქი კუნძულებზე

ანტვერპენიდან გამოსულმა ჩვენმა თბომავალმა, დღისით კილის არხზე გავლით, გეზი აიღო ჩრდილოეთისაკენ, შვეციისაკენ. თბომავალი თანდათან უახლოვდებოდა შვეციის სატახტო ქალაქ სტოკჰოლმს. დამის სამი საათია და უკვე თენდება. ჩვენ თეთრი დამეების სამყაროში ვიმყოფებით. ტურისტების დიდ ნაწილს არ სძინავს, ყველა ბაქანზეა გამოსული, გაფაციცებით ათვალეირებენ გარემოს. ირგვლივ მოჩანს მოზრდილი და პატარა კუნძულები. თბომავალი მათგან სულ მცირე მანძილითაა დაშორებული. გზა ხშირად იცვლება: ხან გავდივართ ზღვის ფართო სრუტეში, ხან კი არხისებურ ვიწრო ადგილებში. აქ ზღვა წყნარია, მაშინაც კი, როდესაც მახლობლად იგი ძალზე ღელავს. შვედელი ბოცმანის დახმარებით გემი ფრთხილად მიაპობს ზღვას, შპერებს, რომ არ დაეჭახოს ამობურცულ კლდეებს. შვეციის კუნძულები კლდოვანია, ზოგი მათგანი სულ მოტიტვლებულია, ზოგიც ნაძვისა და ფიჭვის ტყითაა დაფარული. მწვანეში მოჩანს მუქ წითლად შეღებილი სახლები. აი ვუახლოვდებით ციხე-სიმაგრეს

ვაქსპოლმს, რომელიც სტოკპოლმს იცავს ზღვიდან. შემდეგ გამოჩნდა სააგარაკო ადგილები ლამაზი შენობებით, ქარხანა-ფაბრიკების კორპუსები და მიწები. ეს სტოკპოლმის განაპირა უბნებია.

სტოკპოლმი მდებარეობს სრუტის ნაპირას, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს მელარის ტბას ბალტიის ზღვის უბე სალტშენთან. სტოკპოლმი კუნძულების ქალაქია, რომელიც შეჭრილ-შემოჭრილია სრუტეებით და უბეებით. იგი გამართულია თოთხმეტ დიდ და პატარა კუნძულზე. ეს კუნძულები ერთმანეთთან დაკავშირებულია ლამაზად ნაშენი ორმოცი ხიდით. შემთხვევითი როდია, რომ შედეგები თავიანთ ქალაქს უწოდებენ ჩრდილოეთ ვენეციას. ბევრ რამეში ეს შედარება სწორია.

სტოკპოლმს მრავალი გემთმისადგომი აქვს. მისი სიგრძე ოც კილომეტრს აღემატება. ყველა მეზობელ ან დიდ საზღვაოსნო სახელმწიფოს საგანგებო გემთმისადგომი აქვს მიჩენილი. თბომავალი „გამარჯვება“ დილის ექვს საათზე შევიდა სტოკპოლმის ნავსადგურში სტატპორდენის მისადგომთან.

პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ქალაქი კლდეზეა აგებული, ალბათ მის მშენებლებს მძიმე პირობებში უხდებოდათ ბუნების დამორჩილება. დიდი შრომით მათ გააშენეს ლამაზი ქალაქი. ირგვლივ მწვანე, ყვავილები და წყალია. ზღვის სიახლოვის გამო სტოკპოლმში ბევრი თოლიებია. ისინი შეჩვეულნი არიან ადამიანებს და თავისუფლად დაფრინავენ ქალაქში. ჩვენი ავტობუსები თანდათან ზევით და ზევით ადიან. ნავსადგურთან შედარებით ქალაქი მაღლობზეა გაშლილი. ყურადღებას იქცევს მრავალკილომეტრიანი პირდაპირი ქუჩები, მწვანეში ჩაფლული ბაღები და პარკები. იშვიათი სისუფთავე. ჩვენ დავინახეთ თუ როგორ სწუმენდნენ ქუჩებს საპნიანი წყლით და ჭაგრისებით.

შვედებს დიდად უყვართ თავიანთი ქვეყნის წარსული. სტოკპოლმში მრავალია ძველი ძველი და შენობა. სხვადასხვა მუზეუმში თავმოყრილია მდიდარი ნაშთები შვედი ხალხის ისტორიისა.

ვიწყებთ ქალაქის გაცნობას. მის ქუჩებში იგრძნობა ზაფხულის მზე და სითბო. საკვირველია, რომ სამხრეთის ქვეყნებთან (იტალია, საფრანგეთი) შედარებით ივნისში უფ-

რო ნეტად შეეციაში ვიგრძენით ზაფხულის სიცხე, რაც ამ ქვეყანაში იშვიათია.

გავდივართ კუნძულ სტადენზე, სადაც მდებარეობს ძველი ქალაქი და მეფის სასახლე. ეს არის ისტორიული კუთხე სტოკჰოლმისა. მეფის სასახლე თავისი მოცულობით დიდია, მაგრამ გარეგნულად არ არის განსაკუთრებით ლამაზი, უფრო ყაზარმის იერი აქვს. სამეფო სასახლის წინა ხედის ნიშნებში ჩასმულია ბრინჯაოს ქანდაკებები მეფეებისა და მხედართმთავრებისა. სამეფო სასახლის მახლობლად მდებარეობს რამდენიმე ისტორიული მნიშვნელობის ტაძარი. მათგან განსაკუთრებით გამოირჩევა კათედრალური ტაძარი, რომელიც გოთიკურ სტილზე აგებულია მეცამეტე საუკუნეში და დღემდე დაცულია თავისი პირვანდელი სახით. უზარმაზარი, შიგნით თეთრად შეღებილი ტაძარი მორთულია ქანდაკებებით და საფლავის ქვებით, მათგან გამოირჩევა ლიუბეკელი სკულპტორის ბერნეტ ნოტკეს „წმიდა გიორგი და დრაკონი“.

სტოკჰოლმის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და ლამაზი შენობა ეს არის კუნძულ კუნგსხოლმენზე, მელარის ტბის ნაპირას გაშენებული — ქალაქის რატუშა. ეს აგურის შენობა, სპილენძის სახურავით და მოოქრული კოშკურით შორიდან მოჩანს.

რატუშის შენობა აგებულია 1911 — 1923 წლებში არქიტექტორ რაგნარ ესტბერტის ხელმძღვანელობით. არქიტექტორმა მას მეთხუთმეტე საუკუნის შევდური სტილის შენობის სახე მისცა. მისი კოშკურის სიმაღლე აღწევს 116 მეტრამდე. შენობაში მოთავსებულია ესტბერტის და მთავარი მშენებელი მუშების ქანდაკებები და ბიუსტები. ეზოში ბაღის მხრივ აყვევით ფართო კიბეს და შევედით რატუშის უზარმაზარ ვისაღებ დარბაზში. ამ დარბაზში დროდადრო იმართება მრავალრიცხოვანი შეკრებანი და აგრეთვე სასწავლო წლის დაწყებასა და დამთავრებასთან დაკავშირებით მოწაფეთა დღეობები. „ცისფერ დარბაზში“ ვნახეთ მსოფლიოში ყველაზე დიდი ორგანი; სხდომათა დარბაზში ჭერად და საყრდენად გამოყენებულია დიდი გემის „ვიკინგის“ ნაწილები; „ოქროს დარბაზში“ შევდივართ მასიური მოკედილი სპილენძის კარით. გასაცვიფრებელია ამ დარბაზის კედლების მოზაიკა, რომელიც შესრულებულია 23 წლის ახალგაზრდა

მხატვარ ეინერ ფორშეტის მიერ. მის მოპირკეთებაზე დახარჯულია ორი მილიონი ოქროს ფურცელი. მოზაიკა გამოხატავს ცალკეულ ეპიზოდებს შვედეთის ისტორიიდან და ძველ გმირებს. მოზაიკის ცენტრში გამოხატულია სტოკჰოლმი, რომლის სიმბოლოც არის მელარის ტბის პრინცესა; რატუშის შენობაში ცალკეა წვეულებათა დარბაზი თავისი სამზარეულოთი, რომელსაც ერთდროულად შეუძლია მოაწვადოს კერძი ათასი კაცისათვის.

სტოკჰოლმის ქუჩებში დიდი მოძრაობაა. ერთმანეთის მიყოლებით მიდიან მანქანები და ძველებური ტრამვაები. არის აგრეთვე მეტრო და საზღვაო ტრამვაი. ქუჩებში ადამიანები განსაკუთრებით მრავალრიცხოვანია, როდესაც ისინი მიდიან სამსახურში და სამუშაოზე, ანდა, საღამოთი, როდესაც ბრუნდებიან შინ. სტოკჰოლმში ძალზე ბევრი ველოსიპედიც, რომელთა გასაჩერებლად მრავალი საგანგებო ადგილია გამოყოფილი; სადაც გარდა მათი პატრონისა, არავინ ახლებს ზელს.

სტოკჰოლმში რამდენიმე სამხატვრო მუზეუმიცაა: ნაციონალური გალერეია, თილის გალერეია, პრინც ევგენის გალერეია, თანამედროვე მხატვრობის გალერეია. მათში თავმოყრილია უმთავრესად შვედური ხელოვნების ნიმუშები. აქვეა დაცული აგრეთვე რემბრანდტის, რუბენსის, შარდენის, ვატოს და სხვა ცნობილ მხატვართა ნამუშევრები.

მივიდეთ შვეციის ნაციონალური მუზეუმის დასათვალიერებლად. ეს მუზეუმი მოთავსებულია ქალაქის განაპირას, ლამაზ შენობაში, რომელსაც ირგვლივ საუცხოო პარკი აკრავს. ეს მუზეუმი შედგება რამდენიმე დიდი განყოფილებიდან. მასში არის: ისტორიის, სკულპტურის, მხატვრობის და ესტამპების განყოფილება. თითოეული ამ განყოფილებათაგანი არსებითად ცალკე სამეცნიერო დაწესებულებას წარმოადგენს. მუზეუმის შესავალ დარბაზში დგას მოქანდაკე ფოგელბერგის მიერ შესრულებული მარმარილოს ქანდაკება, რომელიც გამოხატავს ჩრდილოეთის ქვეყნების ძველ ღმერთებს: ოდინს, ტორს და ბალდერს; დარბაზებში გამოფენილია შვეციელი და დასავლეთ ევროპული მხატვრების საუკეთესო წარმომადგენლების ნამუშევრები. გვეცანიოთ: რემბრანდტის, რუბენსის, მურილიოს, ველასკესის, ვატოს, დელაკრუას, რენუარის და სხვათა სურათებს. შვეციელი მხატვ-

რებიდან და მოქანდაკეებიდან ჩვენი ყურადღება მიიქცია: ანდრეს ცორნის, ენტრასის, პილოს, ვერთმილერის, ბისტრომ იოან ნიკლასის ნამუშევრებმა. მუზეუმში გავეცანით მეოცე საუკუნის მხატვრობას: პიერ სუგორტის, მარტინ ეიმონდის, ერიკ ალსმარკის, კარლ ლარსენის, იოჰან თობიას სერგელის და სხვათა ნამუშევრებს. ესენი რეალისტური სკოლის წარმომადგენლები არიან შვედურ ხელოვნებაში.

მუზეუმში მდიდრადაა წარმოდგენილი ბროლისა და ფაიფურის ძვირფასი ნაწარმოებები, იშვიათი დიდი გობელენები და ხეზე გამოკვეთილი ხელოვნების ნიმუშები.

ჩვენზე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს არცთუ ისე დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი გამოჩენილი მოქანდაკის — კარლ მილესის ნამუშევრები. მისი საუცხოო ნამუშევრები შვეციის გარეთაც ამშვენებს მრავალ მუზეუმს. ქვისა და ბრინჯაოსაგან მან შექნა მონუმენტალურ რეალისტური ნაწარმოებები. სტოკჰოლმის „საკონცერტო დარბაზის“ წინ აღმართულია მის მიერ შესრულებული მრავალფიგურიანი „ორფეუსი ჯოჯოხეთში“, ხოლო საინჟინერო ტექნიკუმის მთავარი შესავლის წინ დადგმულია მისი ნამუშევარი შადრევანი — „ინდუსტრიის მონუმენტი“. სტოკჰოლმში არის აგრეთვე მილესის ქანდაკება „მფრინავები“. მის მიერ შესრულებული უზარმაზარი „პოსეიდონი“ დგას ჰეტერბორგის მოედანზე.

კარლ მილესის ნაწარმოებთა უმეტესობა თავმოყრილია მის სახლ-მუზეუმში, რომელიც მდებარეობს სტოკჰოლმში მელარენის ტბის ნაპირას. აქ ცხოვრობდა და აქვეა დასაფლავებული მილესი და მისი მეუღლე. სამუზეუმო ექსპონატებისათვის გამოყენებულია უმთავრესად დიდი და ლამაზი ეზო, სადაც დადგმულია ცნობილი მოქანდაკის ნამუშევრები. მუზეუმის ეზოში მოჩქეტს რამდენიმე შადრევანი, რომლის სიღრმეშიც მოჩანს თავისებური ქანდაკებები. ამ ქანდაკებების ცენტრში თემატიურად წარმოდგენილია ადამიანი და მისი კეთილშობილური საქმე. ვნახეთ ანტიკური მარმარილოს საუცხოო კოლექცია, რომელიც მილესს შეუგროვებია იტალიაში ყოფნისას.

ვინახულეთ მოდერნისტული ხელოვნების გამოფენის დარბაზიც. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მან ჩვენზე მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა. ეს არის მიმბაძველობა დეკადენ-

ტური ხელოვნებისა, აბსტრაქტული მხატვრობისა. აქ სკარბობს კონსტრუქტივისტული ხაზები, ბნელი ფერები. თითქმის ვერც ერთი სურათიდან მნახველი ვერაერთად გარკვეულ შინაარსს ვერ გამოიტანს. მხოლოდ თანდართული წარწერა იძლევა იმის განმარტებას, თუ რისი გამოხატვა სურდა ამა თუ იმ სურათში მის ავტორს. ჩვენი ყურადღება მიიპყრო წარწერამ სურათზე — „ლამაზი ქალი“. ამ სურათში დარღვეულია ყოველგვარი პროპორცია და პარმონია. მასზე გამოხატულ ქალს მარცხენა თვალი და წარბი უფრო მაღლა აქვს, ხოლო მარჯვენა თვალი და წარბი — უფრო დაბლა. ყური ერთი მაღლა აქვს. მეორე დაბლა. ტუჩი ერთი მაღლა აქვს, მეორე დაბლა. ტუჩი და ნიკაპი თითქმის გაერთიანებულია. ამ სურათზე ყველაფერში არაბუნებრივობა და დისპროპორცია მოჩანს. მაგრამ ეს სურათი გამონაკლისი როდია. ამ გამოფენაზე გარდა შვეციელი მხატვრებისა უცხოელი მხატვრებიც არიან წარმოდგენილნი. ისინი ავსებენ ერთმანეთს, რასაკვირველია, შვეციაში არიან რეალისტური, სოციალური თემების მხატვრები, მაგრამ ისინი არ არიან გამოფენილნი.

დიდ ინტერესს იწვევს ღია ცის ქვეშ შოწყობილი ცნობილი მუზეუმი „სკანსენი“. მუზეუმი დააარსა დოქტორ არტურ ხასელაუსმა ხელისმომწერით შეგროვილი თანხებით. მუზეუმში წარმოდგენილია მეთვრამეტე საუკუნის მდიდარი კოლექცია: შეძლებული და ღარიბი გლეხების სახლ-კარი, წისქვილი, ქალაქური შენობები, კიჩხები და სხვ. მუზეუმის ტერიტორიაზე ტურისტებს ხვდებიან მეთვრამეტე საუკუნის ნაციონალური ტანსაცმლით მორთული დიასახლისები-გიდეები და იძლევიან ყოველგვარ ახსნა-განმარტებებს.

ზაფხულობით ამ მუზეუმის ტერიტორიაზე ეწყობა: კონცერტები, წარმოდგენები, ფესტივალები, ხალხური შეჯიბრებანი. დავესწარით ამ მუზეუმის პარკში საგანგებოდ ჩვენთვის მოწყობილ კონცერტს, სადაც უმთავრესად შეასრულეს ნაციონალური ხალხური სიმღერები და ცეკვები. მოვისმინეთ ხალხური სიმღერების შემსრულებელი მოლი ოსბრინგი. მან შეასრულა „გლეხური ქორწილი“, რომელიც შედგება რამდენიმე სიმღერისაგან; ძალზე კარგი იყო „გოგონები ედრაოსიდან“. ედრაოსი პატარა დაბაა შვეციაში და ცნობილია სასიმღერო ხელოვნებით. საუცხოოდ მღეროდა სამი გოგონა —

მარცხ სტრუქტურა, ინგრიდ ოსლუნდი და ელზა ხულტი. მათ იმდროს „მხიარული მოგზაური“, „ჩემი სკრიპკა“ და სხვ. მოვისმინეთ აგრეთვე ბორგანესის ხალხური გუნდის სიმღერები. რაც შეეხება შვედურ ტექსტებს, ისინი მეტ წილად სრულდება კოლექტიურად, ქალებისა და ვაჟების ჯგუფით და ემყარება შენელებულ ტაქტს ერთფეროვანი მოძრაობით.

ნაციონალურ სამეფო ბიბლიოთეკაში გვიჩვენეს იშვიათი წიგნებისა და ხელნაწერების კოლექცია, მათ შორის გოეთესა და ვაგნერის კოლექცია. ამ ბიბლიოთეკაში დაცულია 750 წლის „სახარების“ ლათინური გამოცემა და ეგრეთწოდებული „ემმაკის ბიბლია“ — უზარმაზარი ხელნაწერი 1200 წლისა, ჩეხური წარმოშობისა. ეს „ბიბლია“ გადაწერილია ორასი ვირის ტყავზე. არის ლეგენდა, რომ ის ერთ ღამეში ემმაკის დახმარებით სიკვდილმისჯილმა ბერმა გადასწერა და ამით გადაირჩინა თავი.

ბუნებრივია, შვეციაში ყოფნისას, გვინტერესებდა შეხვედრა მწერლებთან, მათთან გამოსაუბრება. ამის საშუალება მოგვცა „საბჭოთა კავშირ-შვეციის საზოგადოებამ“. მისი შეშევებით შევხვდით და გავიცანით პროგრესული შვეციელი მწერალი ჰენრი პეტერ მატისი — ავტორი ცნობილი რომანისა — „ქალი გზაში“. როგორც ჩანს, ჩრდილოეთის ქვეყნებში თითქმის სრულებით არ იცნობენ ქართულ ლიტერატურას. ჩვენი მოსაუბრე ფიქრობდა თითქოს ასევე უცნობი იყო ჩვენთვის შვედური ლიტერატურა და მისი წარმომადგენლები: ესაიას ტეგნერი, სელმა ლაგერლეეფი, აგუსტ სტრინბერგი, ვიქტორ რიუდბერგი და სხვები. მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, რომ ამ მწერლების შემოქმედება, ნაწარმოებები არ იყო ჩვენთვის უცნობი, დიდად ესიამოვნა და პირობა მოგვცა, რომ ქართველი მწერლების ნაწარმოებებს გადავთარგმნით ჩვენ ენაზე. შემდეგ მატისმა აღნიშნა, რომ შვედ მწერლებს მძიმე პირობებში უხდებოდათ ცხოვრება, მათი ბედი — სიღარიბეა. თვით ბურჟუაზიული წრეებიც-კი ვერ უარყოფენ ამ გარემოებას. გაზეთმა „დაგენს ნიუხეტერმა“ გამოაქვეყნა სტატია „მდიდარი ლიტერატურა და ღარიბი მწერლები“. მასში აღნიშნულია, რომ მრავალი მწერალი, ისევე, როგორც საერთოდ შემოქმედებითი მუშაკები „ცხოვრობენ და მუშაობენ მძიმე პირობებში... მაგრამ ამაზე არავინ

ფიქრობს და არც არავის ასსოვს ბრჭყვიალა რეკლამებისა და ბესტსელერების ციფრებს შორის“. შვედ მწერალთა მდგომარეობა მართლაც სავალალოა. მათ უმრავლესობას არ შეუძლია ცხოვრება თავისი შემოსავლით. იგივე გაზეთი განაგრძობს: „სიღარიბე არის მწერლის ბედი, თუ ჩვენ გავითვალისწინებთ, რომ თავისი სამუშაო ძალის უმეტესობას იგი აძლევს მწერლობას. მრავალი ნიჭი დაიღუპა იმის გამო, რომ მწერლებს არ შეუძლიათ ცხოვრება თავისი შრომით და არავინ იცის, თუ რატომ არ გამოჩნდა მრავალი ნიჭიერი ადამიანი, რომელთაც თავიანთი უნარი სხვა საქმეს მოახმარეს, ვიდრე ლიტერატურას“. ეს სიტყვები ნამდვილად გამოხატავს ბურჟუაზიული ქვეყნის სინამდვილეს და მასში ჭეშმარიტი მწერლების ბედს. მათისმა ისიც გვითხრა, რომ შვედ ხალხში დიდია მისწრაფება მშვიდობისადმი. ჩვენმა ხალხმა კარგად იცის მშვიდობის ფასი. ჩვენს ქვეყანას ას ორმოცდაათ წელზე მეტია, რაც არავისთან არ უწარმოებია ომი და არც არავინ დასხმია თავს. ყველა ქვეყნის მოწინავე ძალებმა ენერგიული ბრძოლა უნდა აწარმოონ მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში. ჩვენც სავსებით დავეთამხმეთ ამ სიტყვებს.

სადაც კი მოგვიხდა ყოფნა, ყველგან ვგრძნობდით, რომ ჩვენი დიდი სამშობლო განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობს, როგორც მშვიდობის, მოწინავე კულტურის, მაღალი ტექნიკის ქვეყანა.

სტოკჰოლმიდან ჩვენი თბომავალი გამოემუქრა სამშობლოსაკენ. ვჩქარობთ მალე ვიხილოთ საყვარელი მშობელი ქვეყანა.

ს ა ზ ნ ე გ ი

ლიტერატურული პორტრეტები

ნიკო ლორთქიფანიძე	3
ალექსანდრე აბაშელი	14
სანდრო შანშიაშვილი	24
პაოლო იაშვილი	43

ქართული ისტორიული რომანის კლასიკოსი ვასილ ბარნოვი	54
--	----

შორეულ გზებზე

სხვადასხვა ქვეყანაში	205
----------------------	-----

Шалва Дмитриевич Раднани

Образы и впечатления

(На грузинском языке)

Изд-во „Сабчота Мцeralи“
19 Тбилиси 62

*

რედაქტორი ა. გაბესკირია
გამ-ბის რედაქტორი ნ. ხომერიკი
მხატვარი ო. ვარვარიძე
მხატვ. რედაქტორი ირ. ჯანაშვილი
ტექნორედაქტორი მ. ჯაფარიძე
კორექტორი გ. თათეიშვილი

*

ხელმოწერილია დასაბეჭდად 30|V, 1962 წ.,
ანაწყოების ზომა 5,5X9,25, ფიზიკურ ფ. რაოდენობა 19,25, პირობით ფ. რაოდენობა 15,17,
ტირაჟი 3.000, შეკვეთის № 61, უფ 03737

*

გამ-ბა „საბჭოთა მწერალის“ სტამბა,
თბილისი, პლენანოვის, 181
Типография изд-ва „Сабчота Мцeralი“,
Тбилиси, Плехановский, 181

ფასი 88 კპ.